ვაჟა შუბითიძე

ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი

თბილისი 2008

„ეს ბრწყინვალე იდეაა, თქვენ უკვდავება გარანტირებული გაქვთ“ — ასე გამოეხმაურა გამოჩენილი ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი ამ წიგნის შექმნას და მის ავტორს.

აქამდე ქართველ მკითხველს არ მიუღია ასე ერთად თავმოყრილი 100 დიდი ქართველის ბიოგრაფია და ღვაწლი, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია.

წიგნი უპირველესად განკუთვნილია ჩვენი ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც კარგად უნდა იცოდნენ წინაპართა „კვალი ნათელი“, მათი ეროვნული იდეალები, სამშობლოს სამსახურის ის რთული გზა, რაც ამ დიდმა ქართველებმა განვლეს. მათი უდიდესი ეროვნული საქმენი და გამოცდილება ყველა თაობის ქართველისთვის შეუფასებელი განძია.

წიგნი დაწერილია ამაღლებული ეროვნული სულისკვეთებით, იგი საესეა პატრიოტული მუხტით და საინტერესოდ იკითხება.

სამეცნიერო

რედაქტორი: **მალხაზ სიორიძე,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რედაქტორი: **მაია ებრალიძე**

რეცენზენტები: **თამარ ბარბაქაძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თენგიზ ენდელაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გიორგი ტალახაძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
შალვა ბახტაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მხატვარი: **მალხაზ სულაბერიძე**

საზოგადოება „ქართული ცხოვრების წესი“.
საზოგადოება „მეცნიერები საქართველოს აღმშენებლობისათვის.
ISBN 978-9941-9044-9-3

ვ. შუბითიძე. ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი ©. თბ., 2008

საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2008

ვუძღვნი ჩემი უსაყვარლესი ძმის
კობა შუბითიძის (1966-2006)
ნათელ ხსოვნას

ავტორისაგან

ქართული სისხლი უძველესი ღვინოა, ულრმესი ტანჯვით დადუღებული. ჩვენ ჯერაც ტყავებით შემოსილნი დავეხეტებოდით, როდესაც საქართველო იტანჯებოდა, პირველი ღებულობდა სპარსელებისა და მონღოლების დარტყმებს... მთელი საქართველო სიმღერაა, რომლის მოტივი კეთილშობილურია, სიტყვები მკაცრი და სევდიანი... დიახ, საქართველო კულტურით იყო აღსავსე, მაშინ, როდესაც ჩვენ ტყეებში დავეხეტებოდით; ისინი ჩვენზე უფროსები არიან, ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ მათგან.

ანდრეი ბელი
გამოჩენილი რუსი პოეტი

ეს წიგნი იმ შინაურთა თვალის ასახელად იწერება, ვისაც საკუთარი ძალების ურწმუნოებისა და ნიჰილიზმ-კოსმოპოლიტიზმის სენი შეჰყრია, აგრეთვე იმ უცხოელთათვის, ვინც საქართველოს უისტორიო და უკულტურო ქვეყნად თვლის, ზემოდან მედიდურად დაგვცქერის და მოსამსახურეებად უნდა რომ გვაქციოს.

მათთან ერთად ჩვენს ახალგაზრდა თაობას უნდა შევახსენო სახელოვანი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ერთი ბრწყინვალე გამონათქვამი: „რიდი, მორცხვობა, ურწმუნოება საკუთარი ძალების — ასეთია ბუნებრივი ფსიქიკა პატარა ხალხის და ამ კანონს ვერც ჩვენ ვერ წაუვალთ... ასეთია ბედი ისტორიულად ჩაგრული ხალხის. ქართველი კაცი ათობით და ასობით ჩამოგითვლით უცხოელ გენიოსებს, ხოლო საკუთარს — დიდ მწერალთა სახელების გარდა ვერაფერს გეტყვით“. ამ დიდი ქართველი პატ-

რიოტების ღვაწლის წარმოჩენა საჭიროა იმის გამოც, რომ ბოლო წლებში ფრიად შესუსტდა ყურადღება საქართველოს ისტორიისადმი, როგორც სკოლებში (სადაც ეს საგანი ბედის ანაბარად არის მიტოვებული და ზოგ შემთხვევაში შეჯვარებულია გეოგრაფიასთან), ასევე უმაღლეს სასწავლებლებში (სადაც ფაქტიურად აღარსად ისწავლება, გარდა ისტორიის სპეციალობისა). ამას ემატება გლობალიზაციის პროცესის შედეგად ეროვნულ კულტურათა ნიველირების და გაერთფეროვნების საშიშროება და ჩვენში ფართოდ გავრცელებული „მაიმუნური წამბაძველობა“ (როგორც ნიკო ნიკოლაძე იტყოდა) — ყოველივე უცხოურის კრიტიკის გარეშე მიღება და გადმოტანა, რის გამოც, შესაძლოა მომავალი თაობა მომღერალ მადონას (აშშ) ბიოგრაფიაში, სიმღერებსა და საყვარლებში უკეთ ერკვეოდეს, ვიდრე თამარისა და სხვა გამოჩენილ ქართველთა ისტორიაში; იცოდნენ, ვინ არის „ღამის შოუს“ წამყვანი ვანო ჯავახიშვილი და არაფერი გაეგებოდეთ ბუმბერაზი ივანე ჯავახიშვილისა და სხვა დიდი ქართველების შესახებ.

საბედნიეროდ, ჩვენი ამოცანა ის კი არ იყო, რომ როგორმე შეგვევსო ამ გამოჩენილ ქართველთა რიცხვი, არამედ რამდენიმე ათასეულიდან ამოგვერჩია ისინი და დაგვეყვანა ასამდე. სიას სათავეში უდგას ყველა დროის მარ[illegible] ქართველი შოთა რუსთაველი, დანარჩენი მოღვაწეები განლაგებულნი არიან ქრონოლოგიის მიხედვით. ეს პრინციპი მხოლოდ ერთგან არის დარღვეული — საკაძის შემდეგ გადმოცემულია სტალინის ბიოგრაფია და ღვაწლი (მათ ბევრი რამ აქვთ საერთო).

წიგნში ვერ მოხვდა ბევრი ცნობილი მოღვაწე. თანამედროვე პოლიტიკოსთა შეტანას შეგნებულად ავერიდეთ — მათი ღვაწლი დრომ უნდა დაადასტუროს და ერმა აღიაროს, ამას კი რამდენიმე ათეული წელი მაინც დასჭირდება. მერმის განზრახული გვაქვს გამოვცეთ სერია — „XIX-XX საუკუნის დიდი ქართველები“, სადაც ჩვენი სასახელო მოღვაწეთა ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება წარმოდგენილი.

მომავალმა თაობამ კარგად უნდა იცოდეს, „ვისი გორისანი“ ვართ ქართველები.

ასევე შინაურსაც და გარეშესაც უნდა ახსოვდეს, რომ თუ დიდი

სახელმწიფოები მშვიდობიან ცხოვრებას დაგვაცდიან, ქართველი კაცი მალე ყველას დაუმტკიცებს, რომ თანაბარ პირობებში იგი არც ამერიკელს, არც ევროპელს, არც რუსსა თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელს არ ჩამოუვარდება თავისი ნიჭით, გონიერებითა და შრომისმოყვარეობით. არც ბრძოლაში ვყოფილვართ ოდესმე ჯაბანნი, როცა ჩვენს გარშემო 15-ზე მეტი დიდი სახელმწიფო გაქრა, ჩვენ თვითგადარჩენის საოცარი უნარი აღმოგვაჩნდა; ვინც ჩვენი განადგურება მოინდომა, ყველას ბუმერანგივით დაუბრუნდა საკუთარი აგრესია და, იმედია, მომავალშიც დაუბრუნდება.

ქართველი კაცი მართლმადიდებლური ქრისტიანობის დახმარებით ჯერ ზნეობრივ სირთულეებს დაძლევს, მერე სოციალურ-ეკონომიკურს და XXI საუკუნეში თავის ომახიან, წონად სიტყვას იტყვის.

შოთა რუსთაველი

ბაცობრიობის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მეორე ისეთი ნაწარმოები, რომელსაც ხალხის ყველა ფენის ისეთი სიყვარული და ინტერესი ხვდა წილად, როგორც **შოთა რუსათველს** და მის უკვდავ **„ვეფხისტყაოსანს“**.

შოთა რუსთაველი ყველა დროის უდიდესი ქართველია.

რუსთაველი რომ ევროპის რომელიმე დიდი ერის შვილი ყოფილიყო, ბევრი ცნობილი გენიოსი მის გვერდით ხსენებასაც ვერ ეღირსებოდა. მაგრამ მას, როგორც პატარა ერის წარმომად-გენელს, წილად არ ხვდა მათნაირი აღიარება. ერთი მხრივ, ქართველებისთვის უდიდესი ბედნიერებაა, რომ რუსთაველი ჩვენი ერის შვილია, მაგრამ თავად მისთვის ეს თითქმის ტრაგედიის ტოლფასი აღმოჩნდა, რადგან სამწუხაროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ, ქართველმა ერმა მას სათანადო პატრონობა ვერ გაუწია.

ეს იმაშიც გამოიხატება, რომ ჩვენ დღეს არ გაგვაჩნია უდიდესი ქართველი გენიოსის, ელემენტარული, თუნდაც რეალობასთან მიახლოებული ბიოგრაფია, მაშინ როდესაც თითქმის სრულყოფილად არის შესწავლილი დანტეს, პეტრარკას, შექსპირის და სხვათა ცხოვრება.

სწორად მიუთითებდა ნოე ჟორდანია („ვეფხისტყაოსანი“, პარიზი, 1930), რომ რუსთველმა შექსპირზე ოთხი საუკუნით ადრე მოგვცა რომეოსა და ჯულიეტას ქართული ტიპები (ტარიელი და ნესტან-დარეჯანი).

ძნელად თუ მოიძებნება სიყვარულის შესახებ დაწერილი უფრო შთამბეჭდავი და ამაღლებული სტრიქონები:

„შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად!
მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად;
ვზი მზრდელად სიყვარულისა მის, ჩემგან დანერგულისად“.

ან კიდევ:

„მე რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის მორჩილებს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ,
მისთვის მკვდარი,
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი“.

შეუძლებელია დაწერო ასეთი გენიალური სტრიქონები (და პოემაც), თუ თავად არ გექნება გამოცდილი ამგვარი გრძნობა, „რადგანაც სიყვარულია თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე, ხოლო ვისაც სიყვარული გამოუცდია, მას უგემნია თავად სიკვდილიც“ (კ. გამსახურდია). დიახ, რუსთველმა სიკვდილამდე განიცადა სიკვდილი.

რადგან მისი ტოლფასი არავინა ჰყავთ, ჩვენი მეზობელი სომხები წაეპოტინენ შოთას დიდ სახელს და სომხობა დასწამეს მას. მართლაც სასაცილოა. რუსთაველი რომ „აშოტი“ ყოფილიყო, მის ბიოგრაფიას სომხები დაწვრილებით აღნუსხავდნენ, ისე როგორც დღემდე ყველა თვისიანისას და ასე დაუდევრად არ მოექცეოდნენ, როგორც ქართველები მოვექეცით. ჩვენ ეს გვჩვევია.

„ვეფხისტყაოსანში“ ასახულია აეტორის მხატვრული მსოფლმხედველობა, რელიგიური და ფილოსოფიური, სოციალური და პოლიტიკური შეხედულებანი.

1712 წლიდან დღემდე შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ მიეძღვნა 3000-მდე გამოკვლევა და საგაზეთო წერილი. მას იკვლევდნენ მეფეებიც და მეცნიერებიც, ზეპირად სწავლობდნენ, მზითვად ატანდნენ, ამ წიგნზე ისევე იფიცებდნენ, როგორც ბიბლიაზე.

და მართლაც, ქართველი ერის სულიერ ცხოვრებას, მის ზნეობას, მსოფლმხედველობასა და ესთეტიკას ფეოდალიზმის ეპოქაში განსაზღვრავდა და აყალიბებდა სამი დიდი წიგნი: **„ბიბლია“, „ქარ-**

თლის ცხოვრება“ და **„ვეფხისტყაოსანი“**. პირველი ხალხს უნერგავდა ღმერთის — უმაღლესი არსთაგამრიგის არსებობის რწმენას, სამართლიანობასა და კაცთმოყვარეობას; „ქართლის ცხოვრება“ აცნობდა ქართველ ერისთავთა, მთავართა, მეფეთა, აზნაურთა და „უაზნოთა“ თავგანწირულ ბრძოლას საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად; XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე მათ შეემატა პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც უფრო გააფართოვა ქართველი ხალხის გონებრივ და სულიერ ინტერესთა სფერო (გ. არაბული).

ამ პოემაში განვითარებულია რამდენიმე თემატურ-იდეური ხაზი:

1. ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერებისა „მოსამართლე და მოწყალე“ ძლიერი მეფის მეთაურობით;

2. მეფური წარმოშობის მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობისა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში;

3. წმინდა, უღალატო და სამუდამო სიყვარულისა;

4. სხვადასხვა ეროვნებათა და სახელმწიფოთა კეთილმეზობლური ურთიერთობისა;

5. სიკეთისთვის მებრძოლი ადამიანის ძლევამოსილებისა, მისი სულიერი სიმაღლისა და სიმტკიცისა.

„ვეფხისტყაოსანი“ პოეტური ხელოვნების შედევრად და ეტალონად იქნა აღიარებული.

მაინც ვინ იყო მისი ავტორი, რა ვიცით მის შესახებ?

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორისეულ ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია. დღეს ჩვენ გვაქვს XVII საუკუნის და უფრო გვიანდელი ხელნაწერები, გადაწერილი დახელოვნებულ კალიგრაფთა მიერ.

ამ ხელნაწერებში მოხსენიებულია პოეტის გვარი (თუ წოდება) „რუსთველი“:

„დავჯე რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულლახვარსობილი“...

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“...

პოეტი გვიამბობს, რომ მან დაწერა სამი გმირის — ტარიელისა და მისი მეგობრების შესახებ დიდი პოემა, რომელშიც „შეფარვით“ აქო მეფე თამარი და მისი მეუღლე დავით სოსლანი. ავტორი თამარსა და დავითს ახსენებს როგორც ცოცხლებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ თვითონაც მათი თანამედროვე — XII-XIII

საუკუნეთა მიჯნის მოღვაწეა.

პოემის დაწერის თარიღად 1188-1207 წლებს ვარაუდობენ (1188 წელს თამარი და დავითი შეუღლდნენ, 1207 წელს კი გარდაიცვალა დავით სოსლანი). ჩვენი აზრით, პოემა 1188-1193 წლებში უნდა იყოს დაწერილი, მათი შეუღლებიდან მემკვიდრის — ლაშა-გიორგის (გიორგი IV) დაბადებამდე. სამეფო ტახტის მემკვიდრე რომ ამ დროს დაბადებული ყოფილიყო, რუსთველი ამას პოემაში აუცილებლად ასახავდა. პოემაც ისე მთავრდება, რომ არც ტარიელსა და ნესტანს და ავთანდილსა და თინათინს შვილები ჯერ არ ჰყავთ. საფიქრებელია, რომ რუსთველმა ეს პოემა ახალშეუღლებულ თამარ მეფეს და დავით სოსლანს უძღვნა.

რუსთველის ავტორობა დამოწმებულია პოემის ბოლო სტროფებშიც, რომლებსაც მკვლევართა ნაწილი „ვეფხისტყაოსნის" გაღამწერთა დამატებულად მიიჩნევს. ერთ-ერთ სტროფში პირდაპირ წერია, რომ ტარიელი უქია **„მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსა"**, მეორეგან პოეტი ამბობს: **„ვწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთველისად ამისა"**. აქ უკვე პირველადაა მითითებული, რომ რუსთველი მესხეთიდან ყოფილა.

XVI საუკუნის პირველი ნახევრის პოეტმა **სერაპიონ საბაშვილმა (კედელაურმა)** გალექსა **„როსტომიანის"** ქართული პროზაული ვერსია და მოინდომა გაჯიბრებოდა „ვეფხისტყაოსნის" ავტორს:

„ნაძლევი ვარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა ჩემოდნობა".

მისი აზრით, ამის საპასუხოდ რუსთველს შეეძლო ეთქვა:

„რას მომერჩი ბერი ბერსა? — მე გავლექსე ლამაზ ენა.
აშიყი ვარ თვალ-წარბისა, ვინ სოფელი დაამშვენა;
...თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა".

ამ სტროფში რამდენიმე საინტერესო ცნობაა:

ა) აქ ნათქვამია, რომ რუსთველი „ბერი" იყო. სიტყვა „ბერი" აღნიშნავს მოხუცებულსაც და ბერად აღკვეცილსაც. კონტექსტის მიხედვით, ბერი აქ მოხუცებულის მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, რაც მიგვანიშნებს პოეტის ბიოგრაფიის ერთ დეტალზე — ს. საბაშვილს ჰქონია რაღაც ცნობა, რომ რუსთველმა სიბერემდე, მოხუცებულობამდე იცოცხლა (თუმცა მისი ბერად აღკვეცაც არაა გამორიცხული);

ბ) რუსთველი „აშიყი“ ყოფილა თამარ მეფისა;

გ) თამარმა პოეტს მისი თხზულების „ფასის“ სანაცვლოდ „რუსთავი აუშენა“. ის ან ადრევე ფლობდა რუსთავს, ან თამარმა უბოძა ეს მამული და „აუშენა“ კიდეც თამარს, ალბათ, არ შეეძლო სიყვარულზე სიყვარულითვე ეპასუხა პოეტისთვის თავისი მეფური წარმომავლობის გამო და მადლიერების ნიშნად რუსთავი და თანამდებობა უბოძა.

„ვეფხისტყაოსნის ავტორის სახელი პოემის შესავალსა და დასასრულში ნახსენები არ არის, სავარაუდოა, რომ პოეტის სახელი და გვარი წარწერილი იქნებოდა ხელნაწერთა თავფურცლებზე, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწეეიათ.

მეფე-პოეტი თეიმურაზ I თავისი პოემის **„იოსებზილიხანიანი“**-ს (დაწერილია 1620-იან წლებში) შესავალში „ვეფხისტყაოსნის“ გმირების შესახებ წერს: **„ესენი შოთა რუსთველმა შეამკო არსთა-მკობითა, თვით მინდობილმან სიბრძნესა, მერე თამარის ხმობითა“**. ე.ი. თეიმურაზს ნამდვილად სცოდნია, რომ რუსთველს შოთა ერქვა და ის თამარის დროის მოღვაწე იყო.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში **არჩილ მეფემ** დაწერა **„გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“**. ამ პოემით შეიძლება დავასკვნათ, თუ რა იცოდნენ რუსთველის შესახებ მაშინდელმა ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლებმა. არჩილს სცოდნია, რომ რუსთველი წარმოშობით მესხი ყოფილა, მას განათლება საბერძნეთში მიუღია; რომ როგორც საერო პირი — მოყმე-მეომარი, მონაწილეობდა თამარის მეფობის პერიოდში ქართველთა მიერ ჩატარებულ თითქმის ყველა ბრძოლაში; რომ მას თამარ მეფის ბრძანებით დაუწერია „ვეფხისტყაოსანი“ და ამისთვის „საჯილდოც“ მიუღია და ა.შ.

1757-1758 წლებში საეკლესიო მოღვაწემ **ტიმოთე გაბაშვილმა** მოიარა და აღწერა პალესტინის ქართული ტაძრები და გამოავლინა რუსთველის ბიოგრაფიის ახალი დეტალები. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღწერაში ის ამბობს: **„ჯვარის მონასტერი დაძველებულია და გუმბათს ქვემოთ სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთამს რუსთველს, მეჯურჭლეთუხუცესს, თვითონაც შიგ ხატია მოხუცებული“**.

ტიმოთე გაბაშვილის მონათხრობის მიხედვით ირკვევა, რომ

ა) შოთა რუსთველი ყოფილა მეჭურჭლეთუხუცესი (ანუ ფინანსთა მინისტრი, სავარაუდოდ, 1189-1213 წლებში);

ბ) მას საკუთარი (ან სამეფო) სახსრებით „განუახლებია და მოუხატვინებია“ ჯვარის მონასტრის სვეტები;

გ) შოთა რუსთველის სურათი არის ჯვრის მონასტერში;

დ) ეს შოთა რუსთველი არის „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი (ტიმოთე გაბაშვილს არ მოსწონს მისი პოემა რომანული მოტივების გამო და „ლექსთა ბოროტთა“ მთქმელს უწოდებს შოთას.

სამწუხაროდ, 2004 წელს ბერძენმა ბერებმა, რომლებიც უკანასკნელი 250 წლის მანძილზე განაგებენ ჯვრის მონასტერს, წაშალეს რუსთველის ეს ფრესკა, რითაც განახორციელეს საშინელი ვანდალური აქტი. 2005 წელს ფრესკა აღდგენილ იქნა, მაგრამ არა პირვანდელი მშვენებით).

კათოლიკოსი ანტონ I (XVIII ს-ის მოღვაწე) რუსთველს მიაწერდა თამარის მეორე ისტორიის **„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“** ავტორობას. რადგან ეს თხზულება მაღალმხატვრულობითა და ბრწყინვალე სტილით გამოირჩევა, ანტონ I-ის ეს მოსაზრება შეიძლება სიმართლესთან ახლოსაც იყოს.

იოანე ბაგრატიონი თავის **„კალმასობაში“** (დაიწერა 1813-1828 წწ.) მიუთითებს: **„შოთა რუსთველი, მწერალთა უხუცესი დროსა თამარ მეფისასა, იყო ფილოსოფოს — ღვთისმეტყველი, საღმრთოთა და საეროთა წერილთა შინა გამოცდილი, ენათა სპარსულისა და სომხურისა მცოდნე, უცხო ვარსკვლავთმრიცხველი და ბუნების ისტორიათა მეცნავი“**... რომ თამარ მეფემ რუსთველი **„უცხო მხარეთა მდივნად ყო“**, ე.ი. იყო თამარის მრჩეველი უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებშიო.

შოთა რუსთველის შესახებ გამოთქმული იყო სხვადასხვა ვარაუდები: **სარგის კაკაბაძე** ფიქრობდა, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ორი სხვადასხვა ავტორი ჰყავდა — სარგის თმოგველი XIII საუკუნეში და შოთა რუსთველი XV საუკუნეში; **ნიკო მარი** ვარაუდობდა, რომ რუსთველი იყო XIV საუკუნეში მცხოვრები მაპმადიანი ქართველი პოეტი (ეს პიპოთეზები შემდეგ ორივემ უარყო).

შოთა რუსთველის ბიოგრაფიას რამდენიმეწლიანი შრომა მიუძღვნა **პავლე ინგოროყვამ**. 1926 წელს მან გამოსცა წიგნი **„რუს-**

თველიანა“, ხოლო 1963 წელს — **„რუსთველიანას ეპილოგი“**. ავტორის ძირითადი დასკვნები ასეთია: შოთა რუსთველი ყოფილა იგივე შოთა კუპრია, რომელიც ჩვენს ისტორიაში ცნობილია როგორც ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი, ჰერეთის ერისთავი XIII ს-ის 40-იან წლებში. 1196-1207 წწ. მას დაუწერია „ვეფხისტყაოსანი“, რის გამოც დევნას განიცდიდა საეკლესიო წრეების მხრიდან. ამიტომაც ერთხანს უცხოეთში უცხოვრია. სამშობლოში დაბრუნებულა 1210-იან წლებში. მას მონაწილეობა მიუღია მონღოლებთან საზავო მოლაპარაკებაში (1242-43 წწ.), ასევე მონაწილე ყოფილა კოხტასთავის შეთქმულებისა (79 წლის ასაკში), 1247-50 წლებში რუსთველს ანტონ ალავერდელისათვის გაუტანებია სათანადო თანხა ჯვრის მონასტრის შესაკეთებლად. იგი გარდაცვლილა 1250 წელს 84 წლის ასაკში და დაუკრძალავთ რუსთავის ძველი კათედრალის სანახებში.

პავლე ინგოროყვას მიერ შედგენილი რუსთველის ბიოგრაფია მეცნიერებმა არ გაიზიარეს. ასევე არავინ დაეთანხმა პოეტ **თამარ ერისთავის** მიერ გამოთქმულ ვერსიას, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა თამარ მეფის ბიძაშვილმა დემნა ბაგრატიონმა, რომელიც 1177 წელს აუჯანყდა თამარის მამას და ამის გამო დასაჯეს.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში ჩაწერილ იქნა ზეპირი გამოცემები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ზოგის აზრით, რუსთველი იყო ჩახრუხაძე, „თამარიანის“ ავტორის ნათესავი, ზოგი მიიჩნევს, რომ რუსთველი იყო სასულიერო პირი — ეპისკოპოსი რუსთავის ეპარქიისა, სხვები კი ფიქრობენ, რომ რუსთველი თორელთა ცნობილი საგვარეულოდან იყო (**მოსე ჯანაშვილი, სარგის ცაიშვილი, ნოდარ შოშიაშვილი, რიმა ფირცხალაიშვილი**).

შოთა რუსთველის ბიოგრაფიის ხალხური ვერსიის მიხედვით მისი მშობლები მესხეთში, სოფელ რუსთავში ცხოვრობდნენ. მამამისს იესე რქმევია. იგი ყოფილა რუსთავის ბატონი და შეძლებული კაცი, ჰყოლია 40 ბინა ცხვარი და საქონლის ჯოგი, რომელსაც ზაფხულობით ჩახრახის მთაზე აძოვებდა, რის გამოც ჩახრახელს ეძახდნენ. შოთა მამით ადრე დაობლებულა. მას ჰყოლია უფროსი ძმა. ორივეს მამის ძმა ბესა პატრონობდა. წამოზრდილი შოთა ბიძას მონასტერში მიუბარებია განათლების მისაღებად. მას აგრეთვე უსწავლია აღმო-

სავლეთ საქართველოში, იყალთოს აკადემიაში. ერთი გადმოცემის მიხედვით ობოლი შოთა **გიორგი მესამეს** (1156-1184) წაუყვანია თბილისში, სადაც ის სასახლეში თამართან ერთად იზრდებოდა. შემდეგ შოთა საბერძნეთს, „ათინას" წასულა. საშობლოში დაბრუნების შემდეგ თამარ მეფეს იგი სასახლეში მწიგნობრად მიუწვევია, მერე კი მეჭურჭლეთუხუცესობა უბოძებია. სხვა გადმოცემით თამარ მეფის რჩევით შოთას კოდიანის პატრონის ასული შეურთავს. თითქოს მას ერთი ვაჟი ჰყოლია, რომელიც ზარზმის მონასტრის წინამძღვარი გამხდარა და ა.შ. ამ ზეპირ გადმოცემებში შოთა იხსენიება თამარ მეფის კარის პოეტად, მეფის მწიგნობრად, „მწერალთა უხუცესად", ისტორიკოსად, „ღვთისმეტყველად, მოლარეთუხუცესად, მეჭურჭლეთუხუცესად, ვაზირად. არის გადმოცემა, რომ შოთა დაკრძალულია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, მაგრამ ჯერ საფლავი აღმოჩენილი არ არის არც იქ და არც საქართველოში.

ასე იქცა პოეტის ბიოგრაფია ლეგენდად, თავად რუსთველი კი — მითიურ გენიოსად.

შოთა რუსთველი ადრეული ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ჰუმანისტია მსოფლიო კულტურის ისტორიაში. აქ იგულისხმება რენესანსის ეპოქის ჰუმანიზმი. ამით არის გამოწვეული ანალოგიების ძიება რუსთველისა და რენესანსის ეპოქის, განსაკუთრებით ადრინდელ ჰუმანისტებს შორის. ცნობილი რუსი მკვლევარი ალ. ლოსევი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **ქართველი მოაზროვნენი გვევლინებოდნენ ნეოპლატონური არეოპაგიტული რენესანსის წამომწყებებად ევროპაში, რომ ისინი ამ საკითხში უეჭველ პრიორიტეტს ფლობენ, რომ მათ აქ რამდენიმე საუკუნით გაუსწრეს დასავლეთ ევროპას და რომ ამაზე კამათი შეუძლებელია.**

ჰუმანიზმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა მთელი თავისი ძალისხმევა მიმართოს სიკეთის საკეთებლად, რათა მან გაიმარჯვოს ბოროტებაზე. რუსთველის იდეალია აქტიური ადამიანი, ენერგიული და შეუდრეკელი განსაცდელის წინაშე:

„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა".

მაგრამ, პოეტის ღრმა რწმენით, განგების გარეშე ადამიანის ყოველგვარი მცდელობა უშედეგოა (ღმერთი 193-ჯერ არის ნახსენები პოემაში).

დადგენილია, რომ რუსთველის მსოფლმხედველობაზე, კერძოდ კი ფილოსოფიურ შეხედულებებზე დიდი გავლენა მოახდინეს **პეტრიწმა, ნეოპლატონიზმმა** და **არეოპაგიტულმა** მოძღვრებამ **(შალვა ხიდაშელი)**.

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ — ამ აფორიზმით რუსთველმა ფილოსოფიურად მიგვანიშნა, რომ სიკეთე მარადიულია. ძისთვის ბრძოლა რეალურია და მიღწევადი; ბოროტება კი დროებითია, შეშთხვევითი და წარმავალი. რუსთველის მიერ შემოტანილი ბრწყინვალე გამოთქმები: **„მზიანი ღამე“, „უჟამო ჟამი“, „ერთარსება ერთი“** ღმერთის გარკვეული წარმოდგენის გამოხატულებაა.

რუსთველის პოლიტიკური იდეალია ერთიანი ქვეყანა, რომელსაც მართავს ბრძენი და სამართლიანი მეფე — იგი თავის ძალაუფლებას ხალხის სასარგებლოდ იყენებს. რუსთველისათვის პრიორიტეტულია მოხელეობა, სახელმწიფოს სამსახური და არა გვარიშვილობა („თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა:“), აგრეთვე **„მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს“** ღარიბებისთვის დახმარების გაწევა და წყალობის უხვად გაცემა, მონების განთავისუფლება, ქალისა და მამაკაცის თანახწორობა — აი, რუსთველის სოციალური იდეალი. ამ გზით მაღლდება მეფის აუტორიტეტი და ძლიერდება სახელმწიფო, სადაც კაცი და ქალი ფაქტიურად თანასწორია.

პოემაში გადმოცემულია უდიდესი სიბრძნე, რომელზედაც ერს შეუძლია თაობები აღზარდოს. ამიტომ რუსთველი კიდევ უფრო მეტ აღიარებას, შესწავლას და პოპულარიზაციას იმსახურებს.

ნოე ჟორდანია გვთავაზობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსთველის ფაკულტეტის გახსნას სორბონაში ვიქტორ ჰიუგოს ფაკულტეტის ანალოგიურად.

რუსთველი საქართველოს სიამაყეა და სანამ ეს ქვეყანა იარსებებს, ყოველთვის ასე იქნება!

P.S. ვგონებ, დადგა დრო, რომ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხოს ქართველი ერის სიამაყე და უდიდესი გენიოსი, რითაც ქართველობა ნაწილობრივ მაინც მოიხდიდა ვალს ამ დიდი მოაზროვნისა და მამულიშვილის წინაშე.

ფარნავაზი

დაახლოებით 2300 წლის წინ, ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეთა მიჯნაზე წარმოიქმნა ქართლის ანუ იბერიის სამეფო.

„ქართლის ცხოვრება“ ქართლის სამეფოს დამაარსებლად ფარნავაზს მიიჩნევს. როგორც ეს წიგნი მოგვითხრობს, ლეგენდარული ქართლოსის შთამომავლები ქართლში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ.

მეორე ქართული მატიანეს — **„მოქცევაი ქართლისაი“**-ს — ქართველები აზოს მიერ ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 356-323) შემდგომ არიან-ქართლიდან მოყვანილი ხალხის შთამომავლებად მიაჩნია (არიან-ქართლში, როგორც ვარაუდობენ, იგულისხმება ირანის სამეფოს გავლენის ქვეშ მყოფი რომელიღაც სამხრეთ ქართული გაერთიანება).

ამრიგად, ზემოთ დასახელებული ისტორიული მატიანის მიხედვით, ძვ.წ.310-იან წლებში პონტოს მხრიდან ძლიერი ლაშქრით („ასი ათასი რომაელი“) მოვიდა სარდალი **აზო** (იარედოსის ძე), დაიპყრო მცხეთა და დაანგრია იგი. აზომ ქართლთან ერთად ჰერეთიც დაიკავა, ხარკი დაადო ოსებს და ლეკებს. იგი 24 წლის

განმავლობაში მართავდა ქართლს.

აზომ შეტაკებაში მოკლა მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი ძმა. მკაცრმა მმართველმა კერპთაყვანისმცემლობა შემოიღო და მცხეთის აკროპოლისზე ორი ვერცხლის კერპი აღმართა - გაც და გაიმ. მალე აზოს მმართველობის ქვეშ მოექცა ვრცელი ტერიტორია - მდ.ბერდუჯიდან (დღევანდელი დებედა) ვიდრე „სპერის ზღვამდე" (შავი ზღვა).

აზოსაგან მოკლულ მცხეთის მამასახლისის სამარას ძმას სამი წლის ვაჟიშვილი - **ფარნავაზი** დარჩა.

ფარნავაზი მცხეთოსის შვილის, უფლოსის ჩამომავალი გახლდათ. დედამისი წარმოშობით ისპაჰანელი იყო. შეშინებულმა დედამ თავისი შვილი მოარიდა სისხლისმოყვარულ აზოს და კავკასიონის მთებში გაზარდა. როცა ფარნავაზი წამოიზარდა, იგი დედასთან ერთად მცხეთაში, თავის მამულში დაბრუნდა.

ფარნავაზი თავიდანვე ნიჭიერი ყმაწვილი ყოფილა - მწიგნობრობით, მხედრობით და მონადირეობით განთქმული. მალე იგი აზომ დაიახლოვა.

ერთხელაც ნადირობისას ფარნავაზმა შემთხვევით მიაგნო განძს. ხუთი დღის განმავლობაში იგი დედასთან და დებთან ერთად ეზიდებოდა ოქრო-ვერცხლს გამოქვაბულიდან და საიმედო ადგილას მალავდა.

მალე ფარნავაზი დაუკავშირდა ეგრისის მაშინდელ მმართველს (სკეპტუხს) **ქუჯის** და აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეობა შესთავაზა.

ქუჯი სიხარულით დათანხმდა და მალე ფარნავაზი თავის დედასთან და დებთან ერთად, მთელი ავლადიდებით ეგრისში გადავიდა. დაიდო სამხედრო კავშირი ფარნავაზის მეთაურობით (ქუჯიმ აღიარა ფარნავაზის პირველობა - **„შენ უფალი - მე მონა. თავი და თავი ქართლოსიანნი აღმოსავლეთ ქართველები არიან, ამიტომ შენ გმართებს უფლობა ჩვენი, როგორც ქართლოსის ჩამომავალს"**-ო).

ფარნავაზმა და ქუჯიმ მიიმხრეს ოვსნი და ლეკნი, მათ მხარეზე გადავიდა აგრეთვე აზოს ათასი მეომარი („ათასი რომაელი").

„მოქცევაი ქართლისაი"-ს მიხედვით, დაახლოებით ძვ.წ. 285

წელს ფარნავაზმა აჯანყება დაიწყო. მალე მან აიღო მცხეთა და ქართლის 4 ციხე, ამასთან დესპანები გაუგზავნა სირიის მეფეს ანტიოქე I სოტერს. სირიის მეფემ მას გვირგვინი უბოძა და სომხეთის მმართველებს უბრძანა, მიშველებოდნენ ფარნავაზს.

შევიწროებული აზო კლარჯეთში გაიქცა.

ძვ.წ. 284 წლის მახლობლად **არტაანთან** („ქაჯთა ქალაქის" ახლოს) მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, რომელშიც ფარნავაზმა და მისმა მოკავშირეებმა გაიმარჯვეს. აზო ბრძოლაში დაიღუპა, მისი ლაშქრის დიდი ნაწილი განადგურდა. ფარნავაზმა კლარჯეთი უმალ ქართლს შემოუერთა.

ამრიგად, 27 წლის ფარნავაზი შეიქნა ქართველთა პირველი გამაერთიანებელი, ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიის დამაარსებელი.

გადმოცემით, ფარნავაზს ცოლად მოუყვანია დურძუკელთა თემის ქალი, რომელიც ქართლოსის ძმის, კავკასოსის შთამომავალი ყოფილა. ამ ქალისაგან შეეძინა მემკვიდრე **საურმაგი**. თავისი და კი ფარნავაზმა მოკავშირე ოვსთა მეფეს მიათხოვა.

65 წელი მეფობდა ფარნავაზი თურმე და ამ ხნის მანძილზე უამრავი საშკილიშკილო საქმის გაკეთება შეძლო.

თავისი მოღვაწეობა მან ადმინისტრაციული რეფორმით დაიწყო. ფარნავაზმა თავისი სამეფო რვა საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ დაპყო, რომელსაც სათავეში ერისთავნი ჩაუყენა: **მარგვისის** (არგვეთი) **საერისთავო, კახეთ-კუხეთის, ხუნანის** (გარდაბანი), **სამშვილდის, ჯავახეთის, ოძრხის, კლარჯეთის, ეგრისის** საერისთავოები და **შიდა ქართლის სასპასპეტო** (მას სპასპეტი განაგებდა).

ფარნავაზმა ხელი მიპყო დიდ აღმშენებლობით საქმიანობას - მან ქვის კედელი შემოაელო მცხეთას და გაამშვენიერა იგი. მანვე არმაზის მთაზე (რომელსაც ადრე „ქართლი" ერქვა) აღმართა ახალი კერპი არმაზი. ფარნავაზმა აღაშენა შორაპანისა და დიმის ციხე, ხოლო ქუჯიმ (რომელსაც თავისი ერთ-ერთი და მიათხოვა ფარნავაზმა) ეგრისის შუაგულში ააშენა ქალაქი ციხე-გოჯი.

საისტორიო ტრადიცია ფარნავაზს მიაწერს აგრეთვე სამხედრო თანამდებობათა დაწესებას, ტახტის მემკვიდრეობის წესის

შემოღებას. მიწის მფლობელობის, როგორც კერძო საკუთრების, უფლების დაკანონებას (გადმოცემით მან თაეის ერთგულ ხალხს და აზოს ლაშქრიდან მის მხარეზე გადასულ მეომრებს აზნაურობა მისცა - ,,ქართლის ცხოვრების" მიხედვით სიტყვა ,,აზნაური" აზოს სახელიდან წარმოდგება. ისტორია ფარნავაზს მიაწერს აგრეთვე უდიდესი კულტურული ღონისძიებების განხორციელებას. მან ,,განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, ღა ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული"

ასე ბრძნულად განაგებდა ფარნავაზი თაეის სამეფოს. გაზაფხულობით და შემოდგომობით იგი მცხეთაში ცხოვრობდა, ზამთარში გაჩიანში, ხოლო ზაფხულს წუნდაში ატარებდა. ზოგჯერ მოინახულებდა თურმე კლარჯეთს და ეგრისს.

ფარნავაზი 92 წლის ასაკში გარდაცელილა. დაუკრაძალავთ არმაზის აკროპოლისში.

ამრიგად, ,,ქართლის ცხოვრების" მიხედვით, **ფარნავაზი იყო ქართლის (იბერიის) პირველი მეფე ქართლოსის ტომისაგან** (ე.ი.ქართველთაგან).

ფარნავაზმა საფუძველი ჩაუყარა ქართული სახელმწიფოს ძლიერებას. ამიტომ არის იგი ქრონოლოგიურად (ჩვენთვის ცნობილი პიროვნებებიდან) **პირველი დიდი ქართველი**.

ფარსმან მეორე „ქველი"

ძვ. წელთაღრიცხვის 65 წელს რომაელმა სარდალმა **პომპეუსმა** დაიპყრო ქართლისა და კოლხეთის სამეფოები და ხარკი დააკისრა მათ. ამის შემდეგ ძ.წ. 36 წელს, ასევე რომაელმა სარდალმა კრასუსმა ილაშქრა ქართლში და დაამარცხა მეფე **ფარნავაზ** II. თითქმის ორი საუკუნე ბატონობდნენ რომაელები ქართლსა და კოლხეთში. მაგრამ ახ.წელთაღრიცხვის I საუკუნის ბოლოს ქართლის სამეფომ გაძლიერება დაიწყო და ვითარებაც შეიცვალა.

II საუკუნის პირველ ნახევარში ქართლი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გაძლიერდა და დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა.

თუ ქართლის საგარეო-პოლიტიკური წარმატებების მიხედვით ვიმსჯელებთ ეს იყო ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს განსაკუთრებული ძლიერების ხანა. ამ დროს, II საუკუნის 20-50-იან წლებში ქართლში მეფობდა **ფარსმან II „ქველად"** წოდებული, **„კაცი კეთილი და უხვად მიმნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, მხნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უხორცო"**:

მის დროს ქართლის სამეფოს საზღვრები უკვე მეტად შორს იყო გაწეული სამხრეთ-დასავლეთით; მაგ.: ქართლის სამეფოს ტერიტორია ამ დროს შავი ზღვის სანაპიროზე გავიდა - როგორც ჩანს, ფარსმანმა ტახტზე ასვლისთანავე აქტიური საგარეო პოლიტიკა აირჩია. ამ პერიოდში რომის იმპერატორი იყო ადრიანე (117-138). ადრიანემ 131 წელს კაპადოკიის მმართველად დანიშნა ცნობილი ისტორიკოსი ფლავიუს არიანე, რომელმაც ამავე წელს საინსპექციო მოგზაურობა მოაწყო შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ. ამ სანაპიროს ერთ-ერთ უბანზე ფლავიუს არიანეს დასახელებული ჰყავს ძიდრიტების ტომი, რომელიც ფარსმან II-ს ემორჩილებოდა.

არიანეს თქმით, ძიდრიტებსა და მის დამმორჩილებელ იბერიას ეკავა რამდენიმე ათეული კილომეტრი სიგრძის მონაკვეთი შავი ზღვის პირად, დღევანდელი ჭოროხის შესართავის სამხრეთით. საკუთრივ ჭოროხის შესართავთან მდებარეობდა ქ.აფსარი (გონიო), სადაც რომაული გარნიზონი იდგა, რომელზედაც ფარსმანის ძალაუფლება უკვე აღარ ვრცელდებოდა.

როგორც ჩანს, ფარსმანმა შავიზღვისპირა მეგრულ-ჭანური ტომების დამორჩილებით ერთიმეორისაგან გათიშა რომაელთა სამფლობელოები, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ახლანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და სოლივით შეიჭრა მათ შორის.

რომაელები ნებით არავის არაფერს დაუთმობდნენ, მაგრამ ეტყობა ძალა არ შესწევდათ ფარსმანისთვის ხელის შესაშლელად.

ამ პერიოდში ფარსმანი იმდენად გაძლიერებულა, რომ აშკარად დაპირისპირებია როგორც რომს, ასევე პართიას - მაშინდელ მსოფლიო დამპყრობლებს. ფარსმანს კოლხეთიდან რომის სრული განდევნა გადაუწყვეტია და ნელ-ნელა ახორციელებდა კიდეც თავის ჩანაფიქრს.

134 წელს ფარსმანმა მოაწყო ალანთა დიდი ლაშქრობა რომისა და პართიის სამფლობელოებში. დიონ კასიოსის ცნობით, ალანები თავს დაესხნენ ალბანეთსა და მიდიას, არმენიასა და კაპადოკიას. პართიის მეფე ვოლოგეს II (105-147) იძულებული გახდა „საჩუქრებით“ ეხსნა თავი ალანთაგან.

კაპადოკიის მმართველმა ფლავიუს არიანემ კი დიდი საბრძო-

ლო სამხადისი დაიწყო ალანთა წინააღმდეგ, რამაც ისინი დააშინა და ომი შეწყვიტეს.

იმპერატორი ადრიანე ყოველმხრივ ცდილობდა ურთიერთობის გაუმჯობესებას ფარსმანთან, მაგრამ ქართველი მეფე არანაირ დათმობაზე არ მიდიოდა.

ადრიანეს ბიოგრაფის ელიუს სპარტიანეს ცნობით, ადრიანემ ფარსმანი რომში გაიწვია, მაგრამ იგი არ ეახლა. ადრიანემ სხვა გზას მიმართა და უძვირფასესი საჩუქრები გამოუგზავნა ფარსმანს. საჩუქრებს თან მოაყოლა ერთი სპილო და მეომართა კოპორტა. რომაელთა ელჩობას სათავეში ედგა ცნობილი ფლავიუს არიანე. ფარსმანმა ელჩებს საპასუხოდ დიდებული ძღვენი და ოქროს მოსასხამები გაატანა ადრიანესთან, ხოლო ასეთივე მოსასხამები მან თავის ტყვეებს ჩააცვა ადრიანეს დასანახად. ამგვარი დამამცირებელი ჟესტით განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანება გასცა ამ მოსასხამებით გლადიატორები შეემოსათ და ისე გამოეშვათ ცირკის არენაზე.

მომდევნო იმპერატორის **ანტონინუს პიუსის** (138-161) მმართველობისას ურთიერთობა რომსა და იბერიას შორის გარკვეულწილად გაუმჯობესდა, როგორც ჩანს, ეს შედეგი იყო რომის მხრიდან შემდგომი დათმობისა და მის მიერ იბერიის ტერიტორიული პრეტენზიების ცნობისა.

პიუსმა რომში მიიწვია ქართლის (იბერიის) მეფე. ფარსმანი მეუღლესთან და შვილთან ერთად ჩავიდა იმპერიის დედაქალაქ რომში. მოლაპარაკების შემდეგ ანტონინუს პიუსს გაუფართოებია მისი სამფლობელო, ე.ი. უცვნია იბერიის შორს გაწეული საზღვრები.

დიონ კასიოსის გადმოცემით, საპატიო სტუმარს ნება დართეს მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმში. იმპერატორი თავად დასწრებია ფარსმანის, მისი ძისა და სხვა დიდებულთა სამხედრო ვარჯიშობას, მისი ბრძანებით რომის ერთ-ერთ ტაძარში ცხენოსანი ფარსმანის ქანდაკებაც დაუდგამთ. ისტორიკოსი იულიუს კაპიტოლინი ანტონინუს პიუსის განსადიდებლად განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მისდამი ფარსმანმა მეტი პატივისცემა გამოიჩინა, ვიდრე იმპერატორ ადრიანესადმი. ფარსმან მეორის ეს ვიზიტი, რომელიც 141-144 წლებში უნდა შემდგარიყო, რომში შემდგომ აღმოჩენილი

მაშინდელი საქალაქო ქრონიკის პირველ რიგში აღუბეჭდავთ.

ამ ვიზიტის შემდეგ, როგორც ჩანს, იბერიასა და პართიას შორის მდგომარეობა გართულებულა, რაზეც ის მეტყველებს, რომ პართიის მეფემ ვოლოგესმა სპეციალური ელჩი გააგზავნა ფარსმანზე საჩივრით, მაგრამ უშედეგოდ. ამ ამბავს უკავშირდება ისიც, რომ ქართულმა ხალხურმა ტრადიციამ შემოინახა მოგონება ფარსმან მეფეზე, როგორც სპარსელების წინააღმდეგ თავდადებულ მებრძოლზე: „ქართლის ცხოვრების" მიხედვით სპარსეთი (პართია) ცდილობდა ტახტზე ფარსმანის ნათესავის მითრიდატეს დასმას. ფარსმან II-მ ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ძალებით გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. დაიწყო გოლიათთა ბრძოლები. თვით ფარსმანმა 17 გოლიათი მოკლა ორთაბრძოლაში. მან დაამარცხა ზღაპრულ გოლიათი ჯუმბერი, რომელიც ხალი ხელით ერეოდა ლომს. იმ წელს სპარსელები განიდევნენ ქართლიდან, მაგრამ მეორე წელს კვლავ გამოჩნდნენ და მცხეთას მოადგნენ. აქაც დიდი ბრძოლები გადახდათ. სპარსელები ისევ განდევნეს. მაშინ მათ მუხანათობას მიმართეს - მოისყიდეს ფარსმანის მზარეული და მოაწამვლინეს მეფე.

ფარსმან II სიკვიდილს საყოველთაო გლოვა გამოუწვევია: **„მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულთაგან ვიდრე გლახამდე. და იტყებდეს ყოველი თავთა თვისთა ყოველთა შინა ქალაქთა და დაბნებთა, რამეთუ დასხდიან მგოსანნი გლოვისანი და შეკრბიან ყოველნი და ახსენებდიან სიმხნესა და სიქუელესა, და სიშუენიერსა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა"**

სპარსელებმა ფარსმანის სიკვდილის შემდეგ მართლაც დაიკავეს ქართლი და აქ მეფედ მირდატი დასვეს, მაგრამ ბერძნებმა, სომხებმა და მეგრებმა (ეგრისის მოსახლეობამ) სძლიეს მირდატის ლაშქარსა და სპარსელებს, განდევნეს ისინი და ტახტზე ფარსმანის ვაჟი აიყვანეს.

ფარსმან „ქველის" საშინაო პოლიტიკა „წერილი ერის", ანუ რიგითი მეთემეების მდგომარეობის შესამსუბუქებლად და დიდებულთაგან დასაცავად ყოფილა მიმართული. ამიტომაც დაუმსახურებია ფარსმანს საყოველთაო სახალხო სიყვარული.

ამრიგად, ფარსმან მეორის მეფობის დროს ანტიკურ ეპოქაში, იბერიის სამეფომ უდიდეს ძლიერებას მიაღწია.

წმინდა ნინო და მირიან მეფე

წმინდა **ნინოს** და **მირიან მეფის** სახელს მჭიდროდ უკავშირდება ერთ-ერთი უმთავრესი და ცენტრალური მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში — **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**, ანუ **ქართველთა გაქრისტიანება**.

ყოველივე ეს, დაახლოებით 326 წელს მომხდარა, სულ მალე მას შემდეგ, რაც ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

გადმოცემის მიხედვით, ქართლში ახალი რელიგიის ქადაგების, ქართველი ხალხის ქრისტეს რჯულზე მოქცევისა და ქრისტიანებად მათი მონათვლის საქმეში უპირველესი როლი შეასრულა ახალგაზრდა ქალწულმა ნინომ.

ნინოს სამშობლო ყოფილა კაპადოკია. ეს იყო ძველთაგან „პონტოელი ქართველებით“ დასახლებული ქვეყანა. ნინოს მამას ზაბილონი ერქვა, დედას — სუსანა. ნინოს ბიძა (დედის ძმა) იყო იერუსალიმის პატრიარქი.

ნინოს მშობლები შვილის დაბადებამდე გაქრისტიანებულან, როცა ნინო 12 წლის გამხდარა, მის მშობლებს კაპადოკიაში ყველაფერი გაუყიდიათ, იერუსალიმს ჩასულან და თავიანთი ქონება გაჭირვებულთათვის დაურიგებიათ, თანაც აქვე დასახლებულან.

ნინოსთვის თავის ბიძას, იერუსალიმის პატრიარქს უსწავლებია ქრისტეს მოძღვრება, მისგანვე მიუღია ქალწულს ლოცვა-კურთხევა და წარმართთა გაქრისტიანებას შესდგომია.

ნინო მოგვიანებით რომში ჩასულა, სადაც იგი დაახლოებია ორ ქალს — **რიფსიმეს** და მის გამზრდელს — **გაიანეს** (მათ შემდგომ სომხები გააქრისტიანეს). ნინოს რიფსიმე და გაიანე გაუქრისტიანებია. როცა რომში ქრისტიანთა დევნა კვლავ განახლდა, სამივე გამოქცეულან და სომხეთამდე მიუღწევიათ. რიფსიმე და გაიანე სომხეთს დარჩენენ, **ხოლო ნინომ ღმერთის მინიშნებით გეზი საქართველოსაკენ აიღო.**

ჯავახეთიდან ნინომ სამ თვეში ჩამოაღწია მცხეთას, სადაც „ღმერთნი ღმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ". რიცხვმრავალი ქალაქი ყოფილა მაშინდელი მცხეთა: **„გამოვიდა ერი ურიცხვი, ვითარცა ყვავილნი ველისანი".**

მაშინ ქართლის (იბერიის) სამეფო ტახტზე იჯდა **მეფე მირიან მესამე,** მისი მეუღლე კი იყო **დედოფალი ნანა.**

მაშინდელ ქართლში მთავარი ღვთაება იყო არმაზი, რომლის კერპი არმაზის მთაზე იდგა. არმაზს მარჯვნიდან და მარცხნიდან ორი შედარებით მომცრო კერპი ედგა: ოქროსი — გაცი და ვერცხლისა — გაიმ. არმაზის დღესასწაულზე, ფერისცვალობა დღეს, უეცრად საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა. ნინომ ქრისტეს მოხმობითა და შეწევნით სასწაული მოახდინა და სამივე კერპი დაამსხვრია.

ნინო მცხეთაში დაბინავდა, მთელი შთაგონებით ქადაგებდა ქრისტეს მოძღვრებას, კურნავდა ავადმყოფებს, ახდენდა სასწაულებს და ყველაფერ ამას ქრისტეს მიაწერდა. მცხეთის მახლობლად, მაყვლოვან ბორცვზე ნინომ ვაზის ნასხლავ რქათაგან ჯვარი გამართა, საკუთარი თმის ანაკვეცით შეკრა და მაღლობზე, მაყვლის ბუჩქის ქვეშ აღმართა. იგი აქ ყოველდღე ამოდიოდა და გულმხურვალედ ლოცულობდა. მცხეთაში მრავალი გააქრისტიანა ნინომ, ახალმა სჯულმა სწრაფად იწყო გავრცელება. მოწაფეე-

ბი და მიმდევრებიც მრავლად გაუჩნდნენ სათნო ქალწულს. ნინომ შეძლო დედოფალ ნანას განკურნება, რომელიც ამის შემდეგ გაქრისტიანდა.

მირიან მეფე თავიდან მტრულად იყო განწყობილი ახალი რელიგიის მიმართ. ერთხელ, ნადირობისას, თხოთის მთაზე მირიანი შიშს შეუპყრია, რადგან უცებ დაბნელებულა და უკუნი ჩამომდგარა (ასტრონომებმა დაადგინეს, რომ სწორედ ამ დროს მომხდარა მზის დაბნელება). მეფე თურმე თავის სალოცავ კერპებს სთხოვდა დახმარებას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს დახმარება „ნინოს ღმერთისთვის" უთხოვია. მაშინვე მზე ამობრწყინებულა და სინათლით შემოსილა ირგვლივ ყოველივე.

ამის შემდგომ მირიან მეფესაც უწამებია ქრისტეს რჯული და ნინოს მეშვეობით ისიც გაქრისტიანებულა. მას კონსტანტინეპოლში მოციქულები გაუგზავნია და კონსტანტინე დიდისთვის ქართლის მოსაქცევად სამღვდელო პირთა გამოგზავნა უთხოვია.

მეფე მირიანმა ნინოს ლოცვა-კურთხევით დაიწყო პირველი ქრისტიანული ტაძრის მშენებლობა მცხეთაში. **ეს იყო მცირე ზომის სვეტიცხოველი — ხის 7 სვეტისაგან აღმართული ეკლესია.**

კონსტანტინეპოლიდან ჩამოსულმა სამღვდელოებამ და ანტიოქიის პატრიარქმა აკურთხეს მტკვარი და შეუდგნენ სამეფო ოჯახისა და მცხეთის მოსახლეობის განათვლას.

ასე დაიწყო „მოქცევაჲ ქართლისაჲ". მალე მირიანმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. დაიწყო ახალი ერა ქართველთა ცხოვრებაში.

ანტიოქიის პატრიარქმა მცხეთის პირველ ეპისკოპოსად დაადგინა და აკურთხა **იოანე**. ნინოს დიდი მცდელობით და სამეფო ოჯახის ხელშეწყობით დაიწყო ეკლესია-მონასტერთა მშენებლობა, სხვადასხვა კუთხეების გაქრისტიანება.

ქრისტიანობის მიღებაზე უარი განაცხადეს მთაში მცხოვრებმა ქართველებმა. მირიან მეფემ ნინოს და იოანეს სახარებასთან ერთად ლაშქარიც გააყოლა „ყოველი შემთხვევისათვის". ძალის გამოყენება მართლაც გახდა საჭირო და **„ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა და ძლევით შემუსრა კერპი მათი."**

მთიულეთიდან მობრუნებული ნინო **ბოდბეს** დამკვიდრდა.

აქვე გარდაიცვალა და დაიკრძალა ქართველთა გამაქრისტიანებელი.

ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ქრისტიანობის დიდი მოამაგე ნინო, აგრეთვე მირიან მეფე თავის მეუღლესთან — ნანასთან ერთად.

ქრისტიანობა წიგნიერი და ჰუმანური რელიგიაა. მიუხედავად იმისა, რომ მან მოსპო წარმართული ხანის კულტურისა და რელიგიის ბევრი ნიმუში, ქრისტიანობის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ერისა და მისი კულტურის განვითარებისათვის. ამადაც წერდა **ილია ჭავჭავაძე**, რომ **„ქრისტეს რჯული ქართველობისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად“.**

პეტრე იბერი და იოანე ლაზი

ამ ორი დიდი ქართველის ცხოვრება და მოღვაწეობა ისევე მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან (როგორც დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელისა), რომ გადავწყვიტეთ ორივეს შესახებ ერთად მოგვეთხრო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **პეტრე იბერი** იყო ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მოაზროვნე და სწავლული, რელიგიური მოღვაწე, რომლის ბიოგრაფიაც ძალზე საინტერესო და გამორჩეულია.

ასეთი გენიოსები მწირ ნიადაგზე როდი იბადებიან. ძველი ქართული სახელმწიფოები (იბერია და კოლხეთი) იმდროინდელ სამყაროში ცნობილი იყვნენ კულტურული და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებით. კოლხეთის აკადემიაში III-IV საუკუნეებში მეცნიერების სხვადასხვა დარგებს, მათ შორის რიტორიკა-ფილოსოფიას სწავლობდნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ დიდი ფილოსოფოსების წარმომშობი ბერძნებიც. კოლხეთის აკადემი-

ის მდიდარ ტრადიციებზე აღზრდილმა ქართველმა სწავლულებმა უდიდესი როლი შეასრულეს ანტიკური და შუა საუკუნეების ფილოსოფიურ-რელიგიური და სამართლებრივ-პოლიტიკური აზროვნების გავრცელებასა და განვითარებაში. **სწორედ მათ შეამზადეს ნიადაგი ქართული რენესანსისათვის, რომელსაც აგვირგვინებს დიდი შოთა რუსთველის შემოქმედება.**

ცნობები **პეტრე იბერისა** და **იოანე ლაზის** შესახებ საკმაოდ მრავლად არის ბიზანტიურ წყაროებში, საქართველოში კი მათი სახელი, კერძოდ, პეტრე იბერის **„ცხოვრება“** ჩნდება მხოლოდ XIII საუკუნეში. ძალზე სამწუხაროა, რომ ხშირად, ჩვენს დიდ ადამიანებს თავად ვერ ვაფასებთ და მხოლოდ მაშინ ვაღიარებთ ხოლმე, როცა ისინი უცხოეთში გაითქვამენ სახელს.

პეტრე იბერი, ერისკაცობაში **მურვანი** (მურვანოსი) სამეფო წარმოშობის გახლდათ. იგი დაბადებულია დაახლოებით 411 წელს ქართლის (იბერიის) მეფის ვარაზ-ბაქარის ოჯახში.

სამეფო წარმომავლობის იყო დედამისიც — ბაკურდუხტი, რომელიც მეფე ბაკურის შვილიშვილი გახლდათ. ქართლში მეფობდა ასევე ბაკურის ძმა არჩილი (დაახლოებით 429-437 წლებში).

ბიზანტია-ქართლის ურთიერთობაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო ვარაზ-ბაქარმა მეფისწული ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში ერთგულების საწინდრად ბიზანტიაში იძულებით გაგზავნა კეისარ თეოდოსი II-ის სამეფო კარზე. სხვა პირებთან ერთად მურვანს კონსტანტინეპოლში თან გაპყვა მისი აღმზრდელი და ნათლია **იოანე ლაზი,** რომელსაც მითრიდატედ უხმობდნენ ერისკაცობაში.

პეტრე იბერის ერთ-ერთი ბიოგრაფი მაკარი მოგვითხრობს, რომ კეისარმა თეოდოსიმ და მისმა მეუღლემ ევდოკიამ ქართველი უფლისწული დიდი პატივით მიიღეს, ისე ვითარცა „საკუთარი შვილი“ და დიდად შეიყვარეს იგი „მისი საუცხოო თვისებების გამო“. კეისრის ოჯახმა მურვანოსი სასახლეში დატოვა და მის სათანადო განსწავლასა და აღზრდას შეუდგა. არსთაგამრიგემ უხვად დააჯილდოვა მურვანოსი ნიჭით. ქართველ უფლისწულს სწრაფად აუთვისებია ბერძნული და სირიული ენები, „ყოველივე სწავლულება საეკლესიო და საფილოფოსო“ და თავისი უნარით

და შრომისმოყვარეობით ყველა გააოცა და მოხიბლა. აქვე შეარქვეს მას მეორე სახელიც — ნაბარნუგიოსი.

თავისი ნიჭისა და მონდომების წყალობით მურვანოსმა კეისრის კარზე საკმაოდ წარმატებას მიაღწია, დაიმსახურა კეისრის ნდობა — იგი თეოდოსის კავალერიის უფროსადაც კი დანიშნეს. ასე რომ, ბრწყინვალე მომავალი ესახებოდა, მაგრამ... მურვანოსი თავიდანვე ამჟღავნებდა უდიდეს მიდრეკილებას „სულიერი სიმშვიდისა" და „მეცნიერული ჭვრეტისადმი", ამადაც მიატოვა კეისრის სასახლე და მალულად პალესტინისკენ გაეშურა. მურვანოსთან ერთად გაემგზავრა მისი აღმზრდელი, დიდად განსწავლული იოანე ლაზი, რომელიც გარდაცვალებამდე (464 წ.) აღარ მოსცილებია თავის მოწაფეს.

კეისარ თეოდოსის აქტიური მცდელობის მიუხედავად, პეტრე იბერის (მურვანოსის) უკან დაბრუნება ვეღარ მოხერხდა.

სირიაში პეტრე იბერისა და იოანე ლაზის გადასახლება დაახლოებით 430 წელს უნდა მომხდარიყო. სწორედ ამ დროიდან იწყება სრულიად ახალი ეტაპი მათ მოღვაწეობაში.

ეგვიპტე, სირია და პალესტინა, სადაც პეტრე იბერი და იოანე ლაზი მრავალი წლის განმავლობაში მოღვაწეობდნენ — ეს ის ქვეყნებია, რომლებიც იმ დროის სოციალური და რელიგიურ-იდეოლოგიური ბრძოლების ასპარეზს და ცენტრებს წარმოადგენდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სირიის ქალაქმა გაზამ. ელინური კულტურის განვითარებამ აქ ისეთ დონეს მიაღწია, რომ თვით ბერძნები ჩამოდიოდნენ პლატონისა და სხვა ფილოსოფოსთა შესასწავლად. სწორედ გაზას მახლობლად მაიუმში ეჭირა პეტრე იბერს დიდი ხნის განმავლობაში ეპისკოპოსის კათედრა და დიდ გავლენას ახდენდა გაზის და მთლიანად სირიის ინტელექტუალურ ცხოვრებაზე თავისი ენერგიული მოღვაწეობითა და დიდი ინტელექტით. ფართოვდებოდა ანტიკური ფილოსოფიის შესწავლა-დამუშავება და ყოველივე ეს სირიის, არაბეთისა და ბიზანტიის გავლით დასავლეთს გადაეცემოდა.

პეტრე იბერისა და იოანე ლაზის აქტიური მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო იყო ეკლესია-მონასტრების და სასტუმროების ფართოდ გაშლილი მშენებლობა. ეს დადასტურდა

არქეოლოგიური ექსპედიციებით. ძველი ბიზანტიელი არაბი მწერლის **იოანე რუფუსის** გადმოცემით, პეტრემ იერუსალიმში საგანგებოდ შეარჩია ადგილი და **„ააგო მონასტერი, რომელსაც დღესაც იბერთა მონასტერი ჰქვია"**. აქვე გაატარეს თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი პეტრე იბერმა და იოანე ლაზარმა.

იტალიელთა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პალესტინაში, ბეთლემის მახლობლად აღმოაჩინა ეკლესიის ნანგრევები, რომელიც აგებული იყო ასევე პეტრე იბერის მიერ. ნანგრევებში აღმოჩნდა წარწერები (იგი გაშიფრა დიდმა მეცნიერმა **გიორგი წერეთელმა**), რომელშიც მოხსენიებულია თავად პეტრე (მისი ბავშვობის სახელით მურვანოსი) მისი მამა და პაპა ბაკური.

იბერის დიდ მნიშვნელობაზე და ავტორიტეტზე სხვა ფაქტებიც მეტყველებენ. როდესაც კეისარმა **ძენონმა** სცადა ქალკედონის საეკლესიო კრების (451 წ.) შემდეგ წარმოქმნილი რელიგიურ-იდეოლოგიური შფოთი კომპრომისული წინადადებით, ე.წ. ენოტიკონით შეენელებინა, მან საგანგებო პირები გაუგზავნა პეტრე იბერს თხოვნით, კონსტანტინოპოლში ჩასულიყო და ამ დოკუმენტზე ხელი მოეწერა. საგულისხმოა ისიც, რომ პეტრე ამ მოციქულებს არც კი ეჩვენა.

ბელგიელი მეცნიერი **ერნესტ ჰონიგმანი** მიუთითებს, რომ **„პეტრე იბერის პიროვნება ახდენდა განუზომელ შთაბეჭდილებას მისი წრის ყველაზე უფრო ამაღლებული სულის ადამიანებზე"**, რომელთა **„კრისტალიზაცია„ ხდებოდა პეტრე იბერის, როგორც „ცენტრის"** გარშემო (ე. შვარცი).

პეტრე იბერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობენ ცნობილი სწავლულები, მისი მოწაფეები **იოანე რუფუსი** (პალესტინელი არაბი), **ზაქარია რიტორი** (რომელსაც ეკუთვნის სპეციალური თხზულება პეტრე იბერზე, რასაც ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა მისი „საეკლესიო ისტორია" ასევე ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს პეტრეზე — იგი აქ წარმოდგენილია დიდ და საყოველთაოდ პატივცემულ პიროვნებად).

უახლოესი მეგობრული ურთიერთობა პქონია პეტრე იბერს „სწავლებათა წიგნის" ავტორთან **ესაია ეგვიპტელთან, ტიმოთე ელურთან** (მის ხელდასხმაში ალექსანდრიის პატრიარქად პეტრეს

აქტიური მონაწილეობა მიუღია), აგრეთვე **ენეა გაზელთან, ტიმოთე გაზელთან...**

ზაქარია რიტორი მიუთითებს, რომ იმ დროის ერთ-ერთი მოღვაწე თავის ნაწერებს პეტრე იბერს მიაწერდა თურმე, რათა საკუთარი „წიგნები მიეღებებინა" მორწმუნეთათვის, რაც მეტყველებს არა მხოლოდ პეტრეს მაღალ ავტორიტეტზე, არამედ იმაზეც, რომ იგი აგრეთვე ცნობილი უნდა ყოფილიყო როგორც მწერალი. **სიმონ ყაუხჩიშვილის** აზრით, ქართულ ენაზე პეტრე იბერს უნდა გადმოეღო **გრიგოლ ნაზიანზელის** იამბიკოები.

სამწუხაროდ, პეტრე იბერის თხზულებებს ჩვენამდე არ მოულწევია, რაც გარკვეულ სიძნელეს ქმნიდა მისი შეხედულებების შესწავლის საქმეში; მაგრამ პეტრე იბერის ბიოგრაფიული ცნობების საფუძველზე გაირკვა მისი ფილოსოფიური მემკვიდრეობის სიახლოვე არეოპაგიტულ მოძღვრებასთან, რაშიც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ორ ცნობილ მეცნიერს — **შალვა ნუცუბიძეს** და **ერნესტ ჰონიგმანს.** მათ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შექმნეს ნაშრომები, რომელთა მიხედვით არეოპაგიტული თხზულებების ავტორი უნდა ყოფილიყო სწორედ პეტრე იბერი და არა დიონისე არეოპაგელი, ქრისტიანად მოქცევის შემდეგ ათენის ეპისკოპოსი (იგი პავლე მოციქულმა მოაქცია ქრიატიანობაზე).

პეტრე იბერის (მას თანამედროვენი „მეორე მოსეს" უწოდებდნენ), შეხედულებებიდან მნიშვნელოვანია **თეოზისის, დეიფიკაციის,** ანუ **ადამიანის** გაღმერთების იდეა (რაც ძალზე მნიშვნელოვანი გახდა შემდგომში რენესანსის ეპოქაში), რომელიც ხორციელდება პიროვნების მიერ არსის იერარქიულად განლაგებული საფეხურების გავლით საწყისთან (ღმერთთან) უკან დაბრუნების დროს. აქ თვით ადამიანი იქცევა ღმერთად, რამდენადაც საწყისიდან როგორც მიზეზიდან დაბლა დაშვების შემდეგ იგი არსის საფეხურებზე თანდათან უკან დაბრუნებით მაღლდება და საწყისს უერთდება.

მეორე — სიკეთის **სუბსტანციალობის,** ანუ **სიკეთის მონიზმის** იდეაა, რომლის მიხედვითაც ნამდვილი, სუბსტანციური, საწყისისეული არსებობა მხოლოდ სიკეთეს აქვს. ბოროტება მხოლოდ ემპირიულად არსებობს და არსებითად სიკეთის კლებას წარმოად-

გენს ამასთანაა დაკავშირებული მოძღვრება ექსტაზზე, როგორც ღმერთისა და სიკეთის წვდომასა და სინათლეზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არეოპაგიტულ მოძღვრებას ზეციურ ძალათა ტრიადულ განლაგებაზე და „ცხოვრებაში" აღწერილ იოანე ლაზის ზმანებას, სადაც ეს ძალები ცოცხალი ხილვის სახით არიან წარმოდგენილი (**შალვა ხიდაშელი**).

ამასთან, ერნესტ ჰონიგმანი, შალვა ნუცუბიძისაგან განსხვავებით ფიქრობს, რომ არეოპაგიტული თხზულებანი ორი ავტორისაა: პეტრე იბერისა და იოანე ლაზის (რომლის ფსევდონიმიც ყოფილა ჰიეროთეოსი. მას ფსევდო-დიონისე — იგივე პეტრე იბერი, ხშირად იმოწმებს, როგორც მოძღვარსა და მასწავლებელს). ჰონიგმანმა დაასაბუთა, რომ ასეთი საკუთარი სახელი იმ დროს არ არსებობდა და ჰიეროთეოსი ისევე ხელოვნურად გამოგონილი სახელია, როგორც დიონისე არეოპაგელისა არეოპაგიტულ თხზულებებთან მიმართებაში.

პეტრე იბერს და იოანე ლაზს არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი თავიანთ სამშობლოსთან. შემთხვევითი არ არის, რომ უცხოურ წყაროებში პეტრე ყველგან ქართველად — იბერად იწოდება. მისი ბიოგრაფი იოანე რუფუსი დიდი სიყვარულით წერს პეტრეს სამშობლოზე „ცნობილ ქვეყანა იბერიაზე", მის ახლობლებზე და ნათესავებზე, იოანესა და პეტრეს ბავშვობის სახელებზე. პეტრე იბერი, რუფუსის გადმოცემით, **წერილებს იღებდა ახლობლებისაგან, ეკლესიებსა და მონასტრებს აშენებდა ქართული წესებისა და ადათის მიხედვით და სიცოცხლის ბოლომდე ჭეშმარიტ ქართველად დარჩა თავის მოძღვართან, იოანე ლაზთან ერთად.**

ვახტანგ გორგასალი

ამას შემდეგ, რაც პართიის სამეფოს ადგილას წარმოიშვა ძლიერი ირანის სახელმწიფო სასანიდების დინასტიით, ქართლის (იბერიის) სამეფოს ურთიერთობა ირანთან გამწვავდა. როგორც ცნობილია, 326 წლის მახლობლად მირიან მეფის დროს ქართლი გაქრისტიანდა. ამან კიდევ უფრო დაძაბა ირანისა და ქართლის ურთიერთობა. იწყება ირანელთა ომები ამიერკავკასიის ქვეყნების დასამორჩილებლად. ძალამ თავისი გაიტანა — ქართველებს, სომხებსა და ალბანელებს ხარკი დააკისრეს.

ამ მძიმე ვითარებაში მოუწია გამეფება **ვახტანგ გორგასალს**. მისი ზეობის შესახებ ცნობებს გვაწვდიან შემდეგი ისტორიული წყაროები და თხზულებები: V ს-ის **იაკობ ხუცესის „შოშანიკის წამება“**, IX ს-ის **„მოქცევაი ქართლისაი“**, XI ს-ის ავტორის ჯუანშერის თხზულება **„ვახტანგ გორგასლის ისტორია“**, სომეხი ავტორი **ლაზარე ფარპეცი** და სხვ.

ზუსტი ცნობა იმის შესახებ, თუ როდის გამეფდა ვახტანგი, არ მოგვეპოვება. ჯუანშერის გადმოცემით, მეფე მირდატს და დედო-

ფალ საგდუხტს დაებადათ ჯერ ასული ხვარაშზე, მერე კი ვაჟი ვარან-ხოსრო-ტანგი, ქართულად ვახტანგი, რომელიც ხალხური ტრადიციის მიხედვით სპასპეტ საურმაგს მისცეს აღსაზრდელად. 7 წლისას მამა გარდაეცვალა. ე.ი. ვახტანგი 450-იანი წლების დასაწყისში უნდა გამეფებულიყო, როცა მას თხუთმეტი წელი შეუსრულდა. ესაა ქართლის ცხოვრების უმძიმესი ხანა. ირანელებმა მალე დაიწყეს ქრისტიანობის დევნა და ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელება. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგის ბავშვობაში მცხეთაში მოსულა მაზდეანთა ეპისკოპოსი **ბინქარანი,** რომელიც დაუფარავად ქადაგებდა თავის რწმენას. ამ პერიოდში ირანმა მეფობა გააუქმა სომხეთში. 463 წელს მათ დაამარცხეს ალბანელებიც, რასაც მოჰყვა ასევე მეფობის გაუქმება ალბანეთშიც.

ამ პერიოდში ირანის შაჰს **პეროზს** (459-484წ.წ.) ხანგრძლივი და სისხლმღვრელი ომი ჰქონდა შუა აზიაში სხვადასხვა ტომებთან. 468 წელს მან დაამარცხა კიდარები და ქუშანები, მაგრამ ჰეფთალებმა იგი სასტიკად გაანადგურეს. პეროზმა მთელი თავისი ჯარი და აკლადიდება დაკარგა, თვითონ კი ტყვედ ჩავარდა. ტყვეობიდან გამოსახსნელად მას დასჭირდა უზარმაზარი გამოსასყიდის გადახდა და ვაჟის - კავადის ორი წლით მძევლად დატოვება (ვიდრე გამოსასყიდს არ გადაიხდიდა). ირანის მიერ გადახდილი გამოსასყიდის დიდი ნაწილი დაპყრობილი ხალხებიდან იქნა ამოღებული.

როდესაც ვახტანგი 10 წლის შეიქნა, ქართლი დაულაშქრავთ ოვსებს - **„მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკუარისათ ვიდრე ხუნანამდე და მოახრეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თვინიერ კასპისა“ (ჯუანშერი).** ოვსებს დაუტყვევებიათ ვახტანგის და მირანდუხტიც.

ვახტანგს მდგომარეობა გართულებული ჰქონია ქვეყნის შიგნითაც. მის წინააღმდეგ მებრძოლ დიდებულთა ერთ ნაწილს სათავეში ედგა ქვემო ქართლის პიტიახში ვარსქენი, რომლის შეუზღუდველი ძალაუფლება ეყრდნობოდა ირანელთა ძლიერებას. ვარსქენის მიერ სარწმუნოების გამოცვლა და მისი მეუღლის, ქრისტიანობისათვის თავდადებული შუშანიკის წამება სწორედ ამის შედეგი იყო.

ირანელთა წაქეზებით, ვახტანგს უპირისპირდებოდნენ სამეფო სახლის სხვა შტოს წევრებიც. მნიშვნელოვანი ოპოზიცია აყოლია მას ეკლესიაშიც. ამ პერიოდში იწყება ვახტანგ გორგასლის მეფობა ქართლში. ჯუანშერის მიხედვით, ირანელებმა 450-იანი წლების ბოლოს კვლავ აღადგინეს სამხედრო ბეგარა და ვახტანგიც გაიწვიეს საომრად. ვახტანგს დიდი ომები გადაუხდია შუა აზიასა და ინდოეთში, მერე კი ბიზანტიელებთან, რომლებიც ირანს ებრძოდნენ. ვახტანგის ირანიდან დაბრუნება 460-იანი წლების ბოლოს უნდა მომხდარიყო, როცა ჰეფთალებისაგან დამარცხებული პეროზი იძულებული გახდა დაზავებოდა მათ. ფაქტიურად ამ დროიდან იწყება ვახტანგის ძირითადი საქმიანობა, რომლის მთავარი მიმართულება სახელმწიფოს ცენტრალიზაციისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო.

ვახტანგმა თავიდანვე დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა. მან თავისი მოღვაწეობა ქვეყანაში წესრიგის დამყარებით დაიწყო. პირველი იერიში მან მიიტანა ეკლესიაზე, რომლის რეორგანიზაციაც ჰქონია ჩაფიქრებული.

ვახტანგმა მოხერხებულად ისარგებლა შაპ პეროზის სიძნელეებით ჰეფთალებთან დამარცხების შემდეგ და მთავარეპისკოპოსი მიქაელი, რომელმაც უხეში მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეფეს (როცა ვახტანგი ხელზე ემთხვია, მან წიხლი პკრა მეფეს და „კბილნი შეუმუსრა", კონსტანტინეპოლის პატრიარქთან დასასჯელად გააგზავნა. მიქაელის ადგილას კათოლიკოსად ვახტანგმა ითხოვა პეტრეს (რომელიც ბიზანტიაში ლაშქრობისას გაიცნო) კურთხევა და მასთან ერთად თორმეტი ეპისკოპოსის გამოგზავნა. მან შეცვალა მიქაელის მომხრე ზოგიერთი ეპისკოპოსი, ზოგან კი ახალი საეპისკოპოსოები დააწესა. ახალი კათოლიკოსის კურთხევა დაახლოებით 475 წელს მომხდარა. ამრიგად, ვახტანგმა ქართულ ეკლესიას მოუპოვა ავტოკეფალია (კათოლიკოსი ადგილზევე ნიშნავდა ეპისკოპოსებს მეფესთან შეთანხმებით, ქართულმა ეკლესიამ მიიღო მირონის ხარშვის უფლება) და იგი დაუქვემდებარა ქვეყნის ინტერესებს. მეფემ ალაგმა სამეფო სახლის ოპოზიციური შტოც.

ვახტანგი ირანელებთან მთავარი ბრძოლებისთვის ემზადებო-

და. ამ მიზნით მან ილაშქრა ჩრდილოეთ კავკასიაში, დაამარცხა ოვსნი და ხელთ იგდო კავკასიონის გადასასელელი (დარიალი). აგრეთვე ფაქტობრივად თავის კონტროლს დაუქვემდებარა თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო. ვახტანგს მოლაპარაკება გაუმართავს ჰუნებთან, რომლებიც უნდა დახმარებოდნენ ირანელებთან ბრძოლაში.

ირანის წინააღმდეგ უშუალო ბრძოლის დაწყების წინ 482 წელს ვახტანგმა მოაკვლევინა მოღალატე ვარსქენი. აჯანყების დრო მეფემ ჭკვიანურად შეარჩია - ირანს გართულებული ჰქონდა ვითარება შუა აზიაში, ანტიირანული აჯანყება დაიწყო ალბანეთშიც და სომხებიც ხელსაყრელ დროს უცდიდნენ გამოსვლისათვის. ყოველივე ამის გამო ირანელებმა ჯარების დიდი ნაწილი გაიყვანეს აღმოსავლეთში აჯანყების ჩასაქრობად.

ვახტანგს ამ დროს უკვე დიდი სახელი ჰქონია მოხვეჭილი. სომხები **ვაჰან მამიკონიანის** სარდლობით მას დახმარებას შეპპირდნენ.

482 წელს ვახტანგმა ირანელები ქართლიდან განდევნა. მაგრამ მალე მდგომარეობა გართულდა - ვახტანგმა ვერ მიიღო დახმარება ჰუნებისაგან (მხოლოდ 300 კაცი მოვიდა), ამასთან თავი წამოყვეს ქვეყნის მტრებმაც.

483 წელს ირანელებმა ორი ლაშქარი გამოგზავნეს **მიჰრანისა** და **ატრნერსეჰის** მეთაურობით. ვახტანგი იძულებული გახდა უკან დაეხია. მან სომხეთის მთებს შეაფარა თავი ქართლის მახლობლად. ამასობაში სომხებმა ირანელები დაამარცხეს და ვაჰან მამიკონიანის სარდლობით ვახტანგის დასახმარებლად გაემართნენ, დაბანაკდნენ კარგარის მთებში. ვახტანგმა ძლივს დაარწმუნა ისინი, რომ მთიდან ბარში ჩასულიყნენ. ქართველებმა და სომხებმა ჭარმანაინის მთებზე დაიბანაკეს (გარდაბნის მახლობლად). მალე აქვე დაიბანაკეს ირანელებმაც. ვახტანგმა და ვაჰან მამიკონიანმა მედგრად შეუტიეს მტერს, მტკვარს იქითაც კი აიძულეს გადასვლა, მაგრამ სომეხ და ქართველ დიდებულთა ღალატმა ყველაფერი წყალში ჩაყარა — მოკავშირეთა ჯარი აირია, გაიქცა, მრავალი კიდევ დაიხოცა.

484 წლის გაზაფხულზე სომხეთში დიდი ლაშქრით შევიდა ირა-

ნელთა სარდალი **ზარმიჰრ ჰაზარავუხტი,** რომელსაც მალე ბასიანში მოუვიდა შაპის ბრძანება - გადასულიყო ქართლში და ვახტანგ მეფე შეეპყრო ან მოეკლა. თავად პეროზი კვლავ ჰეფთალებთან საომრად წავიდა.

ჰაზარავუხტი გადავიდა ქართლში, შეკრიბა მოღალატე დიდებულები და მათგან რაზმიც კი შეადგინა ვახტანგის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ვახტანგ გორგასალი იძულებული გახდა ეგრისში გადასულიყო. ამ დროს ირანიდან მოვიდა ცნობა პეროზის დაღუპვისა და ირანელთა ჯარის დამარცხების შესახებ. ჰაზარავუხტმა ქართლში დარჩენა ვეღარ გაბედა და ირანს გაბრუნდა.

ირანელები მალე იძულებულნი გახდნენ მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყვნენ ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის მიმართ.

ვახტანგ გორგასალი (გორგასალი მგლის თავიანს ნიშნავს - მეფის მუზარადზე მგლის თავი იყო გამოსახული, რითაც ვახტანგი შიშის ზარს სცემდა მტერს) ამის შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას ირანელთა წინააღმდეგ, რასაც საბოლოოდ შეეწირა კიდეც. ჯუანშერის გადმოცემით, ახალმა შაპმა **ხოსრომ** ბიზანტიაზე ლაშქრობა გადაწყვიტა და ვახტანგს შემოუთვალა წაძღოლოდა ირანელთა ლაშქარს. ვახტანგმა უარი შეუთვალა. ირანელებმა გამოილაშქრეს ქართლზე, შემუსრეს ქალაქნი და იორზე დაიბანაკეს. განთიადისას ვახტანგი თავს დაესხა მათ, მოკლა შაპის ძე ბარტომი. მაგრამ თვითონაც მძიმედ დაიჭრა, **„სპარსმა ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა“**. ირანელები დამარცხდნენ, მაგრამ **„დამძიმდა წყლულები ვახტანგისი, რამეთუ შეწეული იყო ისარი ფირტუად და წავიდა უჯარმოს“**. ირანელებმა ვახტანგის დაჭრით ისარგებლეს და ქართლი მოაოხრეს.

ამ დროს ბიზანტიაში გამეფდა იმპერატორი **ზენონი.** ბიზანტიასა და ირანს შორის დაიწყო შეტაკება, რომელშიც ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიმარჯვა.

ვახტანგ მეფე ამ ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა. ეს მოხდა დაახლოებით 502 წელს გორგასალი 60 წლისა იყო. იგი მტერთაგან თავისი ქვეყნის განთავისუფლების საქმეს შეეწირა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვახტანგ გორგასლის დიდი აღმშენებლობითი მოღვაწეობა. ვახტანგმა არაერთი ციხე და ქალაქი გააშენა. მისი მეცადინეობით აგებულ იქნა ციხე-ქალაქი **უჯარმა**, აღმოსავლეთ კახეთში კი — **ჭერემი** და **ხორნაბუჯი**. ვახტანგმა ააგო ასევე არტანუჯის ციხე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

ვახტანგის სახელთან არის დაკავშირებული **თბილისის** გაშენება და მისი **დედაქალაქად** გადაქცევა.

თბილისი IV საუკუნეში ციხე-ქალაქად იხსენიება. აქ მჯდარა ირანელთა მოხელე პიტიახში. 482 წელს, როცა ვახტანგმა მოკლა „ურჯულო" ვარსქენი (ლაზარ ფარპეცის თქმით) და ირანელები განდევნა ქართლიდან, ყურადღება მიაქცია თბილისს, რომელიც მოხერხებულ ადგილას მდებარეობდა. ვახტანგმა თბილისში სამეფო სასახლისა და ციხის მშენებლობა დაიწყო. ამას უკავშირდება ხალხის მიერ შექმნილი ლამაზი ლეგენდა თბილისის დაარსების შესახებ: სანადიროდ მყოფ ვახტანგს ხოხობი აუფრინდა. მეფემ თავისი მიმინო დაადევნა, მაგრამ ორივე დაიკარგა. ძებნის შემდეგ ვახტანგი წააწყდა ასეთ სურათს - მეტეხის პირდაპირ, მიწის გულიდან ამომდინარ ცხელ წყაროში ეყარა ორივე ფრინველი. წყარო ცხელი და ოხშივარიანი იყო. ვახტანგს მოწონებია ეს ადგილი და ტყეთა გაჩეხვა და ქალაქის გაშენება უბრძანებია. თვითონვე უწოდებია ტფილისიც („ტფილ" წყაროთაგან ნაწარმოები სახელი) ეს სახელი ერქვა ქალაქს 1930-იან წლებამდე..

ტფილისის მშენებლობა ვახტანგის მემკვიდრემ **დაჩიმ** დაასრულა და დედაქალაქიც მანვე გადმოიტანა მცხეთიდან ტფილისში.

მცხეთაში, წმინდა ნინოს დროინდელი ხის ეკლესიის ადგილზე, ვახტანგმა აღაშენა ქვის დიდი **სიონი** (შემდგომ ამ ტაძარზე დააშენეს სვეტიცხოველი, სადაც გადმოცემით, დაკრძალულია ვახტანგი).

ვახტანგსვე აუშენებია ახალი ეკლესიები **ნიქოზს, ნინოწმინდას, ჭერემს, ჩელეთსა** და **ჟალეთს**.

ჭეშმარიტად განუზომელი იყო ვახტანგის წვლილი ქართლის ცხოვრებაში და **ამიტომაც ეწოდა ქართულ სამეფო დროშას ლეგენდარული ქართველი** მეფის **სახელი - „გორგასლიანი"**.

დავით და კონსტანტინე მხეიძეები

ერავის ბატონობა ისე დიდხანს არ გაგრძელებულა საქართველოში, როგორც არაბთა. მათ საფუძვლიანად შეარყიეს ქართული სახელმწიფოებრიობა, ჩვენი კულტურა და ზნეობა. ზარალი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყვნენ თავდადებული გმირები, რომლებიც თავიანთი თავგანწირვით აღაფრთოვანებდნენ არაბთაგან დასუსტებულ და ლერწამივით მოქანავე ქართველებს.

ასეთები, პირველ რიგში, იყვნენ არგვეთის მთავრები: **დავითი** და **კონსტანტინე**.

იდგა 735 წელი. „მოუსვენარი" ამიერკავკასიის დასასჯელად და მოსათვინიერებლად არაბთა ხალიფამ თავისი ძმისწული გამოგზავნა უზარმაზარი, 120 ათასიანი რჩეული არმიით. მისი სახელი იყო **მურვან იბნ-მუჰამედი** — ქართველებისაგან „**მურვან ყრუდ**", სომხებისაგან კი **ავარანშარანად** (ამაოხრებელს ნიშნავს) წოდებული. ქართველებმა ეს სახელი გაუგონარი სისასტიკისათვის უწოდეს სხვათა თათბირის არად ჩამგდებ სარდალს.

მემატიანე ასე აღწერს არაბთა დიდი მხედრობის შემოსვლას: **„მოეფინა, ვითარცა ღრუბელი ბნელისა, სიმრავლითა, ვითარცა მკალი და მუმლი და დაფარა პირი ქვეყანისა"**.

სომხეთის მიწასთან გასწორების შემდეგ არაბები ქართლში შემოიჭრნენ სასტიკი ხმალთაკვეთებით და **„შემუსრა ყოველნი ქალაქნი და უმრავლესი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა"**.

მაშინ ქართლის ერისმთავარი იყო **სტეფანოზ მესამე**. მან ვერ მოახერხა რამდენადმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა მურვან ყრუს ლაშქრისათვის და ოჯახით ეგრისში გადავიდა. სტეფანოზმა შეძლო ციხე-გოჯამდე მიღწევა, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრეებმა **მირმა** და **არჩილმა** მამა იქვე დაკრძალეს და უფრო საიმედო ადგილას გადავიდნენ აფხაზეთში.

მურვან ყრუმ ქართლი მოაოხრა და იქიდან ჯერ სამცხისაკენ წავიდა, მიწასთან გაასწორა ოძრხე (აბასთუმანი) და ზეკარის ულელტეხილით იმერეთის შუაგულისაკენ დაიძრა.

სწორედ აქ გამოიჩინეს დიდი გმირობა არაბთა წინააღმდეგ არგვეთის მთავარმა — **დავითმა** და **კონსტანტინემ**. ძმებს შორის ასაკით უფროსი ყოფილა დავით, კაცი **„ჰაეროვან და სპეტაკ ხორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გვამით და ხშირ წვერითა“**; უმცროსი — კონსტანტინე **„შუენიერ გვამითა, მოწაბლე თმითა და წვერ გამო“** (ანუ უწვერო).

ძმები მხეიძეები გამორჩეულნი ყოფილან თავიანთი პატრიოტიზმით, გონიერებით და მტკიცე ქრისტიანობით. დავითმა და კონსტანტინემ შეიტყვეს მურვან ყრუს სამცხეში ლაშქრობის ამბავი და ისიც, რომ ზეკარიდან იმერეთში მოემართებოდნენ არაბნი. მათ სასწრაფოდ შეკრიბეს ლაშქარი და არაბთა მეწინავე ჯარს ფერსათის მთასთან ხანისწყლის პირას შეებნენ. დავითის მეთაურობით არგვეთელებმა არაბები **„აოტნეს და განაბნინეს იგინი და ურიცხვი მოსრნეს“**. გაცოფებულმა მურვან ყრუმ **„შეუზახნა ყოველსავე სიმრავლესა წარმართთასა და წამოემართნეს, ვითარცა ქვიშაი სიმრევლითა, და ქვეყნად არგვეთისა და შეიცვეს ტყე და ველი და მთანი და ბორცვნი“**.

ქართველები ვაჟკაცურად დაუხვდნენ არაბებს, მაგრამ მტრის სიმრავლემ მაინც თავისი გაიტანა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მთასა და ტყეში გაიხიზნა. დავითი და კონსტანტინე კი პარტიზანული ბრძოლის გზას დაადგნენ და უეცარი თავდასხმებით საკმაოდ დიდ ზიანს აყენებდნენ მტერს.

ერთხელ არაბებმა შეძლეს არგვეთელთა ალყაში მოქცევა და გზის მოჭრა. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ ერთი მუჭა ქართველები ურჯულო სარკინოზთა წინააღმდეგ, ბევრიც გაუყენეს საიქიოს გზას, მაგრამ მუმლივით დაეხვიენ ძმებს და ორივე ცოცხლად შეიპყრეს.

დავით და კონსტანტინე ქუთაისში დაბანაკებულ მურვან ყრუსთან მიიყვანეს. გესლიანმა მიზანთროპმა შეურაცხყოფა მიაყენა ძმათა სარწმუნოებას. დავითმა და კონსტანტინემ არაფერი დაუთმეს და საკადრისი პასუხი გასცეს მოძალადეს.

მურვან ყრუს ბრძანებით სასტიკად სცემეს ორივე ძმა. ისინი გმირულად იტანდნენ დამცირებას და ტანჯვას. მერმე ქრისტიანობის უარყოფა და მაპმადის რჯულზე გადასვლა მოსთხოვეს ძმებს, დიდი პატივიც აღუთქვეს, მაგრამ ამაო იყო ყოველი.

ძმები სალი კლდესავით იდგნენ თავიანთ მრწამსზე. ათი დღე ციხეში ჩაპყარეს ორივე და ახლა იქ განაგრძეს მათი წამება შეუსვენებლად. ციხიდან გამოყვანილ ძმებს კვლავ დიდი პატივი და ქონება აღუთქვეს, თუ ისინი ქრისტიანობას და თავის ქვეყანას დასთმობდნენ. არაფერმა არ გასჭრა. რისხვისაგან ლამის ჭკუაზე შეირყა მურვან ყრუ.

ბრძანა ძმები გაეშიშვლებინათ და თავდაყირა დაკიდებულები უმოწყალოდ ეცემათ. გმირი ძმები უხმოდ იტანდნენ ყოველივეს. როცა გონი დაკარგეს, მერეღა ჩამოხსნეს ისინი არაბებმა ხიდან, ხელ-ფეხი შეუკრეს, ქედზე მძიმე ლოდები მიაბეს და წყალში ჩაყარეს.

ასე არაადამიანური წამებით დახოცეს გმირი ძმები ურჯულო აგარიანებმა. არაბთა წასვლის შემდეგ ქართველებმა წყლიდან ამოასვენეს ნაწამები ძმების სხეულები და იქვე, მდინარის ახლოს დაკრძალეს. ხალხმა იმ ადგილს მოწამეთა უწოდა.

XI საუკუნის დასაწყისში ბაგრატ მესამემ ხელახლა აღაშენა სარკინოზთაგან იავარქმნილი ეკლესია მოწამეთასთან და მასში გადაასვენა თავდადებული ვაჟკაცები.

დავითისა და კონსტანტინეს გმირობის ამბავი სათუთად შეინახა ქართველობამ და საუკუნეებს გადასცა. ისინი წმინდანად შერაცხა ქართულმა ეკლესიამ. ყოველი წლის 2 ოქტომბერს ხალხი დღესაც აღნიშნავს „მოწამეთობას“, გმირი ძმების ხსენების დღეს.



გრიგოლ ხანძთელი და აშოტ ჯურაპალატი

ადიდი ქართველი მწერალი **გიორგი მერჩულე** 951 წელს ქმნის შესანიშნავ თხზულებას **„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“**, რომელშიც ასახულია IX საუკუნის უდიდესი ქართველების **გრიგოლ ხანძთელის** და **აშოტ კურაპალატის** ცხოვრება და მოღვაწეობა.

ორივე გამოჩენილი ქართველი ერთმანეთის თანამედროვენი იყვნენ. ორივე მათგანმა ღრმა კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში.

გრიგოლ ხანძთელი 759 წელს დაბადებულა. იგი ქართლის ცნობილი ერისთავის **ნერსეს** ცოლის ძმისშვილი იყო და მასთან იზრდებოდა თურმე სასახლეში, აქვე დაწყებულა მისი სწავლა-აღზრდაც.

ყოფილა საოცრად ნიჭიერი და შრომისმოყვარე, გამოირჩეოდა საკვირველი მეხსიერებით. მალე ზეპირად დაუსწავლია ბიბლიის ყველა წიგნი, ძველი და ახალი „აღოქმა“ ადვილად აუთვისებია ბერძნული და არაბული ენები, თეოლოგიური და ფილოსოფიური ლიტერატურა. გრიგოლს ბავშვობიდანვე თავი თვისი ღმერთისთვის მიუძღვნია, არ ჭამდა ხორცს და არ უგემნია არც ერთი წვეთი ღვინო. იყო მშვიდი, წყნარი და ზეციური სხივით განათებული. ნიჭიერი ახალგაზრდისთვის ყურადღება მიუქცევიათ და როცა მღვდლად ხელდასასხმელად წარუდგენიათ, უარზე დამდგარა: **„პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინისო“**. მაინც დაუყოლიებიათ, მაგრამ ეპისკოპოსობაზე კი მტკიცე უარი განუცხადებია. აუყოლიებია სამი ეპისკოპოსი: მისი დეიდაშვილი **საბა** (რომელმაც აღადგინა იშხანი და აღაშენა ნეძვი). **თეოდორე** და **ქრისტეფორე** (კვირიკეთის აღმშენებელი). ოთხივე ერთად გაპარულა ქართლიდან და მისულან კლარჯეთში, **ოპიზის** საეანეში ეპისკოპოს გიორგისთან. სადაც ორი წელი დაუყვიათ.

ოპიზაში დიდი გეგმები დააწყვეს სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა მღვდლებმა. ოპიზიდან შავშეთში გადავიდნენ და ხანძთის შემოგარენს მიადგნენ. საგულდაგულოდ შეარჩიეს მიდამო და სათანადო მომზადების შემდეგ დიდ სატაძრო მშენებლობას შეუდგნენ. ყოველივე ამას უზარმაზარი შრომა და მონდომება დასჭირდა. უამრავი დამხმარეც გამოუჩნდათ და რამდენიმე წლის შემდეგ კულტურის უდიდეს ცენტრად აქციეს იავარქმნილი **ხანძთა**.

ამ უდიდეს პატრიოტულ საქმეში გრიგოლს და მის თანამოაზრეებს დიდი დახმარება აღმოუჩინეს ამოტ ბაგრატიონის ქვეშევრდომმა **გაბრიელ დაფანჩულმა** და მისმა მეუღლემ **მარიამმა**.

გაბრიელმა გრიგოლს მისცა ტაძრის ასაშენებელი მასალა, იარაღი, კირით ხეურონი. მადლიერების ნიშნად გაბრიელისა და მის შთამომავალთა სახელი პატივით მოიხსენიებოდა ხანძთის ტაძარში მღვდელმსახურთა მიერ. გაბრიელისვე სამფლობელოში პატრონის ნებართვის შემდეგ გრიგოლმა დედათა მონასტერიც ააშენა ადგილსა გუნათლეს. აქაც დიდად გაუმართა ხელი გაბრიელმა მამა გრიგოლს.

ამ დიდი მამულიშვილების თავდადების მაგალითით დაიწყო

დიდი კულტურულ-საეკლესიო აღმშენებლობა **ტაო-კლარჯეთში, ნიგალს, შავშეთს, არტაანს** სხვათა მიერაც.

შორს გაუვარდათ სახელი კლარჯეთელ აღმშენებლებს გრიგოლის მეთაურობით. გაბრიელ დაფანჩულმა წვრილად აუწყა ყველაფერი თავის პატრონს აშოტ კურაპალატს, ტაოს მფლობელს.

აშოტ I ბაგრატიონი 786 წლიდან ქართლის ერისმთავარი იყო. თითქმის 25 წლის მანძილზე ებრძოდა იგი არაბებს ფრთხილად, ზომიერად, მაგრამ თანმიმდევრულად. 810 წლის მახლობლად მან უდიდეს წარმატებას მიაღწია და არაბები ტფილისიდან განდევნა. ეს მაშინ გაუგონარი ამბავი იყო, რადგან არაბები მთელ ევრაზიას აზანზარებდნენ და ძნელი იყო მათი დაჯაბვნა.

ქართლში ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ აშოტი თავისი ჯარით ალბანელებს მიეხმარა არაბთა წინააღმდეგ, რისთვისაც, გამარჯვების შემდეგ, მან ბარდავიც შემოიერთა. ეს ყოველივე სამ წელს გაგრძელდა. მაგრამ 813 წელს ხალიფის ტახტზე ასულმა ძლიერმა მბრძანებელმა მამუნმა დიდი ჯარი გამოაგზავნა და ტფილისი კვლავ ხელიდან გააგდებინა აშოტ კურაპალატს. ამას თან დაერთო გრიგოლ კახთა მთავრის შემოჭრა ქართლში და მის მიერ ქსნის ხეობის დაკავება.

შევიწროვებული აშოტი თავისი მომხრეებით შავშეთ-კლარჯეთში ჩავიდა. აქ მან საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ, ძლიერ გაერთიანებას — **ტაო-კლარჯეთის** სამთავროს. აშოტმა აღადგინა მურვან ყრუსაგან დანგრეული **არტანუჯი** თავისი ციხე-სიმაგრით და სამეფო სასახლით და იგი თავის დედაქალაქად (რეზიდენციად) აქცია. ახალ ძალებსაც მოუყარა თავი და ახალი გეგმებიც დასახა — ეს **იყო ტაო-კლარჯეთის ხელახლა აღორძინება და მისი მეთაურობით ერთიანი ქართული სამეფოს შექმნა.** ჭკვიანმა პოლიტიკოსმა კავშირი გააბა არაბთა უმთავრეს მტერთან ბიზანტიასთან. ეს ბიზანტიასაც ხელს აძლევდა და იმპერატორმა **ლეონ მეხუთემ** სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებისთანავე ქართველ გვირგვინოსანს კურაპალატის ტიტული უბოძა და არაბთა წინააღმდეგ მხარდაჭერა აღუთქვა.

სწორედ იმ პერიოდში მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელი კლარ-

ჯეთში თავის სულიერ ძმებთან ერთად. როცა გაბრიელ დაფანჩულმა აშოტ კურაპალატს გრიგოლის ღვაწლის შესახებ აცნობა, აშოტმა მყისვე გააცნობიერა ის დიდი მისია, რაც გრიგოლს და მის თანამოაზრეებს შეიძლებოდა შეესრულებინათ ტაო-კლარჯეთის აღშენების საქმეში, წერილი აახლა და კრძალვით მოიწვია სასახლეში. აშოტის სახლეული დიდი პატივით მიეგება დიდ მამულიშვილს.

გრიგოლმა მეფეს ყოველივე წვრილად აუწყა. აშოტ კურაპალატი აღფრთოვანებული დარჩა გრიგოლის საქმიანობით, მის თანამოაზრეთა თავდადებით და ღირსეულადაც დაასაჩუქრა ისინი. მან ხანძთას აგარაკად და სამეურნეო დანიშნულებით შესწირა მთელი შატბერდი და მისი შემოგარენი. მამის კვალს მიჰყვნენ კურაპალატის შვილებიც — **ადარნესე, ბაგრატ** და **გუარამ ბაგრატიონებმა** გრიგოლის და ძმათა მისთა აგებულ მონასტრებს უხვად უბოძეს სამონასტრო და სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო ყოველგვარი ნივთი.

მშენებლობა კი დღითი-დღე ფართოვდებოდა. გრიგოლის მაგალითი სხვათათვისაც გადამღები აღმოჩნდა და მოდიოდნენ მორწმუნენი, მაშენებელნი, კულტურული მოღვაწენი. მათვე შემოემატათ მრავალი ბერი და მონაზონნი. გიორგი მერჩულე დაწვრილებით მოგვითხრობს მათს შესახებ. სამცხიდან ჩამოვიდა და ადგილ მერეს დამკვიდრებულა **„სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედაი ფებრონია“** მას და გრიგოლს „ერთ-ზრახვა“ ჰქონდათ და ურთიერთთანადგომით და მეგობრობით სძლევდნენ სირთულეებს. ქართლიდან გრიგოლს და მის ძმებს შეუერთდათ ეპისკოპოსი **ეპიფანე** და მღვდელი **მატოი.**

სამცხიდან მოვიდა ფებრონიას ახლო ნაცნობი **ზენონი.** ახალგაზრდა კაცი ფებრონიამ გრიგოლთან მიიყვანა. ზენონი დაობლებულა უდროოდ, ერთი დაღა დარჩენოდა და ისიც ვიღაც შავშეთელს გაუბახებია. ზენონი ცხენზე შემჯდარა და მოსაკლავად გამოდევნებია იმ შავშეთელს. გზაზე დაფიქრებულა — თუ კაცს მოვკლავ, ამით სულს წავიწყმედ, ხოლო თუ უკან ხელცარიელი დავბრუნდები, დაცინვით ამიკლებენო. ამიტომ ზენონს გადაუწყვეტია თავისი ადრინდელი ოცნება განეხორციელებინა

და ღვთისმსახურებას შესდგომოდა. გრიგოლმა ზენონი ხანძთას დატოვა, სადაც მან ღრმა მოხუცებულობამდე იღვაწა.

ფრიად ნაყოფიერად იღვწოდა ორივე დიდი ქართველი — გრიგოლ ხანძთელი („მეუდაბნოე ქალაქმყოფელი") და აშოტ კურაპალატი, რომელმაც **„სოფლები ზოგი იყიდა საფასოითა და ზოგი ოხერი აღაშენა, და განამრავლა სოფელი აშოტ კურაპალატმან ქვეყანათა მათ შინა."**

815 წლიდან კვლავ განაახლა კურაპალატმა ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ. ხელსაყრელი მომენტიც დაუდგა ამისათვის — ტფილისელი ამირა აუჯანყდა ხალიფას, რასაც თან დაერთო ალბანელი ხალხის აჯანყება არაბთა წინააღმდეგ ბაბექის მეთაურობით. ხუთი წელი გაგრძელდა ეს ბრძოლა და აშოტმაც „დაიპყრო მრავალი ქვეყანანი". 818 წელს მან კახეთის მთავარს გრიგოლს წაართვა ქსნის ხეობა. მას ამ ბრძოლაში თავისი სიძე, აფხაზთა მეფე **თეოდოს პირველი** ეხმარებოდა. აშოტმა მთლიანად აღადგინა თავისი კონტროლი მთელ ქართლზე და ბარდავზე და გამარჯვებული არტანუჯს მიუბრუნდა.

აქ კი გიორგი მერჩულე მოგვითხრობს ერთ ძალიან საინტერესო რომანულ ეპიზოდს, რომლითაც მისი ნაწარმოები კიდევ უფრო დიდ ლიტერატურულ ღირსებას იძენს (**ნიკო მარი** მიიჩნევდა, რომ მერჩულეს თხზულების ასეთი ეპიზოდები სცილდება აგიოგრაფიული ლიტერატურის ტრადიციულ ფორმებს და ფარგლებს). მერჩულე დიდი ოსტატობით გადმოგვცემს აშოტ კურაპალატის „გარდარეული სიყვარულის" ამბავს. იგი წერს, რომ მრავალი წლის განმავლობაში აშოტი მეუღლესთან ერთად სიამტკბილობით ცხოვრობდა თურმე. მაგრამ „ბოროტმა" ძალებმა „აცთუნეს ხელმწიფე იგი". მოიყვანა მან არტანუჯის ციხე-სიმაგრეში „დედაკაცი სიძვისაი" და სცოდავდა მასთან, **„რამეთუ ეშმაკი ტრფიალებისაი ფრიად აზრზენდა მას"**. როგორც ჩანს, ეს ამბავი გახმაურდა. მამა გრიგოლმაც შეიტყო **„საქმეი იგი სულისა გახრწნილი და შეწუხდა ფრიად"** ზნეობის დარაჯი. თავად ეახლა კურაპალატს, პირისპირ ამხილა მისი თავშეუკავებლობა და საყვარელის განტევება მოსთხოვა. მეფეს, ჩანს დიდად არ ესიამოვნა ეს ყოველივე, მაგრამ დაითმინა და თავაზიანად შეპირდა „იმ ქალის" განტევე-

ბას. მაგრამ გაუძნელდა ამის აღსრულება უცნაურად ძლიერ გამიჯნურებულ მეფეს.

ერთხელ აშოტ კურაპალატი შატბერდს წასულიყო. გრიგოლმა „პოვა ჟამი მარჯუეი“ და ბერ-მონაზენების თანხლებით არტანუჯის სასახლესთან მივიდა. ბერი შეუგზავნა დიაცს და გარეთ გამოსვლა თხოვა.

გრიგოლმა მკაცრად მიმართა მასთან მისულ ქალს: **„ჰოი, შენ საწყალობელო! რაისთვის ცოლ-ქმართა შორის შთაჭრილხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისა და ცუდითა რაიმე მიზეზითა საფრთხე ქმნულ ხარ დიდისა ხელმწიფისადა?“**

ცნობილია, ცრემლი დიაცის ლოდსატყორცნია. მშვენიერმა ქალმა ტირილით ამცნო გრიგოლს: **„წმინდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემს ზედა ვერ თავისუფალ ვარ, ვინაიდან გარდარეული სიყვარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა, და არაი უწყი, თუ რაი ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყვათა შენთამან შემაძრწუნა ფრიად“**. გრიგოლიც ადამიანი იყო, მასაც გული მოულბო ლამაზი ქალის ცრემლებმა. ამადაც დაუყვავა მას და დამორჩილება მოსთხოვა, რათა ქრისტესთან ეშუამდგომლა და მისგან პატიება მიეღო. დაწყნარებულმა ქალმა სულისათვის ზრუნვა თხოვა მამა გრიგოლს და მანაც იგი **მერეს** მონასტერში, დედა ფებრონიასთან მიიყვანა და მონაზვნად აღკვეცა. გრიგოლმა ქალზე ზრუნვაც სთხოვა ფებრონიას და მკაცრად გააფრთხილა აშოტ კურაპალატისათვის არ გაეტანებინა ქალი, როცა ის მოაკითხავდა.

არტანუჯს მობრუნებული აშოტი უსაზღვროდ შეაწუხა ქალის „დაკარგვამ“. მიხვდა, სადაც შეიძლებოდა ყოფილიყო დიაცი, თავმოყვარეობაც დაივიწყა (ეტყობა, მართლაც ძლიერ უყვარდა ქალი) და მერეს დედათა მონასტერს მიადგა. ფებრონიას უკვე მოესწრო და გადაემალა ქალი. აშოტი ეკლესიაში შეეიდა და ილოცა. ფებრონიაც გამოვიდა და მეფე დალოცა. მოთმინებადაკარგულმა კურაპალატმა ჯიქურ მიმართა დედათა მონასტრის წინამძღოლს: **„უწყი-ა, დედაო, რაისთვის მოვედ აწ?“ ფებრონია მიზეზს ჰკითხავდა. გაბრაზებულმა აშოტმა მიუგო: „ამის მიზეზისთვის იქმნა მოსვლაი ჩემი, რამეთუ სახლისა ჩვენისა მეჭურჭლე ქალი იყო და**

ყოველი მონაგები ჩვენი ხელთა მისთა იყო, და მამა გრიგოლს აქა წამოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩვენგანი (სიყვარულის გულისთვის იცრუა კიდეც მეფემ — ᲗᲨ.) აწ უბრძანე, რომ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგვითვალოს და კუალად თქვენთანვე მოვიდეს, ვითარცა უნდეს". გრიგოლისაგან დარიგებული ფებრონია არ შეეპუა ძლიერ გვირგვინოსანს და პირში მიახალა: „მიზეზებად მიზეზთა ცოდვასათა კაცთა თანა, რომელი იქმან უშჯულოებასა".

გაოგნებული კურაპალატი მიხვდა, რომ „ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლიეს".

ბოლოს დარწმუნდა, სამუდამოდ დაეკარგეო მიჯნური და სასოწარკვეთილმა ამოიოხრა:

„ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს". ასე გამოიგლოვა მან საყვარელი არსება. მერე კი ისე განვითარდა მოვლენები, რომ ამისთვის აღარც ეცალა.

მალე გრიგოლ ხანძთელი საბა იშხნელისა და ერთი ბერის თანხლებით მეორე იერუსალიმს — კონსტანტინეპოლს გაემგზავრა იქაურ წმინდა ადგილთა მოსალოცად.

ამ დროს ამიერკავკასიას არაბები შემოესივნენ კვლავ. სომხეთის აოხრების შემდეგ ისინი ჰერეთსა და ქართლს მოადგნენ. აშოტი ნიგალის ხევს მდგარა მაშინ. როცა მტრის შემოსევის ამბავი აცნობეს, სწრაფად აღიკაზმა და ლაშქრის წეევა ბრძანა. სიყვარულით გართულმა მეფემ ველარ იაზრა, რომ მოღალატენიც მომრავლებულიყვნენ მის სამფლობელოში და შეთქმულებას შესდგომიან ვიღაც „ოროზ-მოროზის ძენი". აშოტი არტანუჯში წავიდა. მოღალატენი მის ამალაშიც გარეულიყვნენ. გვიან მიხვდა ყველაფერს კურაპალატი, შეიარაღებაც თან არა ჰქონია. გამობრუნდა და ტაძარში შევარდა, ეგებ შემიბრალონო. ყველა კუთხიდან დაესივნენ შინაგამცემები და საკურთხეველთან ზვარაკივით დაკლეს ქრისტიანი მეფე. მხოლოდ ახლა გამოფხიზლდნენ მისი მომხრეები, ჭოროხამდე სდიეს მკვლელებს, შეიპყრეს და ყველას ცხვრებივით ყელი გამოსჭრეს. ეს ყველაფერი 826 წელს მოხდა.

ასე დაიღუპა ქართული სახელმწიფოებრიობის მესაძირკვლე, პირველი ბაგრატიონი მეფე.

კონსტანტინეპოლიდან დაბრუნებული გრიგოლი დიდად შეაწუხა აშოტ კურაპალატის დაღუპვამ. სასახლეში მივიდა და მიუსამძიმრა დედოფალს და ახალ მეფეს, აშოტის ვაჟს **ბაგრატ პირველს.**

ბაგრატის ნებართვით **შატბერდისა** და ამ მხარის აღმშენებლობას შეუდგა დაუცხრომელი ბერი. აქაც უამრავი მორწმუნე და დამხმარე მოაწყდა გრიგოლის და ძმათა მისთა წამოწყებულ ახალ მშენებლობებს. ამათ შორის ბევრი თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწე შეიქმნა, მაგალითად, **არსენი** ქართლის კათოლიკოსი გახდა, **ეფრემი** კი — სამცხის ეპისკოპოსი.

სანამ პირში სული ედგა, ბოლომდე უნდა მიეყვანა ეს საღვთო საქმე დიდ პატრიოტს. გრიგოლი მშენებლობასთან ერთად სასწაულებსაც ახდენდა თურმე ქრისტეს შეწევნით. მან ისეთი ავტორიტეტი შეუქმნა სამღვდელოებას, რომ მეფენიც ნებით თუ უნებლიედ ანგარიშს უწევდნენ მათ, რომელთა აზრით, **„მეფე ქვეყნის ზედა ხელმწიფე იყო, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაი“.**

ვალმოხდილი პატრიოტი და დიდი მამულიშვილი 102 წლის ასაკში გარდაიცვალა, 861 წელს. ამ უღიდეს მოღვაწეს სათანადო „მაქებარიც“ გამოუჩნდა გიორგი მერჩულეს სახით, რომელმაც 90 წლის შემდეგ მაღალმხატვრულად აღწერა მისი დიდი საქმეები, წმინდა ცხოვრება და მამულისათვის თავდადება.

მერჩულეს თხზულების ერთ-ერთი ძირითადი მსოფლმხედველობრივი იდეა ზეცისა და მიწის ზემოთ ასახული დუალიზმი და დაპირისპირებაა. ამგვარი შეხედულებების ანტიკურ წყაროს კი პლატონის მოძღვრება შეადგენს.

აშოტ კურაპალატისა და გრიგოლ ხანძთელის მიერ გაწეულ ღვაწლს მალე დიდი შედეგები მოჰყვა. მურვან-ყრუსაგან იავარქმნილი და დაცარიელებული ეს კუთხე მთლიანად გარდაიქმნა, აშენდა და მოშენდა, კულტურულად დაწინაურდა. ამ კუთხის და სამეფოს მესვეურნი გახდნენ შემდეგში საქართველოს გამაერთიანებლები.



დავით ჯურაპალატი, იოანე მარუშისძე და ბაგრატ მესამე

ამ სამი პიროვნების სახელთან არის დაკავშირებული ერთიანი, ძლიერი ქართული სამეფოს შექმნა X საუკუნის ბოლო მეოთხედში. **ბაგრატ III** სრულიად ახალგაზრდა ავიდა სამეფო ტახტზე მძიმე დრო იყო, იწურებოდა პირველი ათასწლეული და საქართველო ჯერაც არ იყო შეკრული ერთიან ეროვნულ ორგანიზმად, მაგრამ საამისო წინაპირობები უკვე არსებობდა.

მაინც როგორი მდგომარეობა იყო ქვეყანაში ბაგრატის გამეფებისას? X-XI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა დასავლეთ საქართველო და შიდა ქართლი. კახეთის საქორეპისკოპოსო და ჰერეთის სამეფო დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების სახით არსებობდნენ. თბილისი და ქვე-

მო ქართლის ნაწილი თბილისის მაპმადიან ამირას ემორჩილებოდა.

დასავლეთით საამირის კლდეკარის საერისთავო ესაზღვრებოდა, ხოლო ქვემო ქართლის დიდი ნაწილი — ღმანისი, ლორე, ტაშირი, სამშვილდე, ბოლნისი, კვირიკე — სომეხთა მეფეებს ეკავათ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელთა ხელში იყო. მის ერთ ნაწილს, რომელსაც მაშინ „ქართველთა სამეფო" ერქვა (სამხრეთ ჯავახეთი, შავშეთ-კლარჯეთი, ამიერტაო და სხვა) ჯერ ბაგრატ III-ის პაპა ქართველთა მეფე **ბაგრატ მეორე** (რეგვენი) ფლობდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (994 წ.) მისი ძე (ბაგრატ III-ის მამა) **გურგენ მეფეთ-მეფე**.

სამხრეთ საქართველოს მეორე ნაწილს ბაგრატიონთა შორის ყველაზე ძლიერი და სახელ-მოხვეჭილი ტაოს მეფე **დავით III კურაპალატი** (961-1001 წწ.) განაგებდა.

ყოველ დიდ ქართულ საქმეს პატრიოტი მამულიშვილების მხრებზე გადაუვლია. ასე იყო იმჟამადაც. საქართველოს გაერთიანების უკეთილშობილეს საქმეს სათაეში ჩაუდგა ქართლის ერისთავი **იოანე მარუშისძე** კაცი ყოვლად უანგარო და ქართული საქმეებისათვის თავდადებული. ამ პერიოდში აფხაზთა სამეფოს განაგებდა უსინათლო **თეოდოსი**; იგი სუსტი მმართველი აღმოჩნდა. სწორედ მას ემორჩილებოდა მაშინ ქართლი და შესაბამისად მარუშისძეც.

იოანე მარუშისძემ კარგად უწყოდა, თუ რა მძიმე იქნებოდა ქვეყნისათვის უსინათლო, უძლური კაცის მეფობა, რომელსაც შვილიც კი არ ჰყავდა.

დიდი საქმის აღსრულება დაყოვნებას ვეღარ ითმენდა და ამიტომ მან **„წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა. აწვია, რათა მოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი, ანუ დაიმჭიროს თვით, ანუ უბოძოს ბაგრატს ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსაც ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი ესევე"** („მატიანე ქართლისა").

სახელგანთქმულ მეფეს დავით კურაპალატს შვილი არ ებადა

და ამიტომ თავისი ახლო ნათესავი **„ბაგრატ გურგენისი გაეზარდა შვილად თვისად“**. გამოდიოდა, რომ ბაგრატი არამცთუ „ქართველთა სამეფოს“ მემკვიდრე იყო (გურგენის ხაზით), არამედ ტაოსიც (დავით კურაპალატის ხაზით). ბაგრატი ამასთანავე აფხაზთა მეფის, უშვილო და უსინათლო თეოდოსის ახლო ნათესავი იყო და თუ მის ადგილს დაიკავებდა, იგი მთელი საქართველოს მეფე გახდებოდა (კახეთისა და ჰერეთის გარდა).

შორსმჭვრეტელი იოანე მარუშისძე სწორედ ამიტომ „ეძებდა მეფედ ბაგრატს“.

დავით III კურაპალატი დათანხმდა იოანე მარუშისძის წინადადებას და ჯარით ქართლისაკენ გაეშურა. ქვახვრელთან მას მიეგება იოანე მარუშისძე და უფლისციხე გადასცა, ხოლო დავითმა იგი უბოძა ბაგრატს. რაკი ბაგრატი ამ დროს მცირეწლოვანი იყო, ამიტომ მას თანაგამგებლად მამამისი **გურგენი** დაუნიშნა. ყოველივე ეს 975 წელს მოხდა.

დავით კურაპალატს ქართლიდან წასვლის წინ შეუკრებია ადგილობრივი დიდებულნი და უბრძანებია: **„ესე (ბაგრატ) არს მკვიდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე, ამას დაემორჩილენით ყოველნი“** („მატიანე ქართლისაი“).

მაგრამ მალე, ქართლის მოღალატე აზნაურებმა კახეთიდან ლაშქარი გადმოიყვანეს, ბაგრატ III დაატყვევეს და კახეთს წაიყვანეს. ამ ამბის შეტყობისთანავე დავით კურაპალატი კვლავ გადმოვიდა ქართლში და უმალ აღადგინა წესრიგი. კახელებმა დატყვევებულნი გაათავისუფლეს და ქართლის დაპყრობილი ადგილები დააბრუნეს წირქუალის ციხისა და გრუას გარდა.

მალე აფხაზეთში უსინათლო თეოდოსის წყალობით ისე აიწეწა და გაირყვნა ქვეყანა, რომ ხალხი ფრიად შეწუხდა. აზნაურნიც განუდგნენ მეფეს. მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. ამით შეწუხებულმა იოანე მარუშისძემ, რომელსაც გულში ამოეჭრა საქართველოს გაერთიანება, **„ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა და მის თანა ყოველთა დიდებულთა და ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისაგან“**. აქ დავით კურაპალატ-

მა სიფრთხლე გამოიჩინა და თხოვნა არ აუსრულა მანამ, ვიდრე მძევლები არ ჩამოართვა. 978 წელს ბაგრატი აფხაზეთს ჩაიყვანეს და მეფედ აკურთხეს.

გადმოცემით, ახლად გამეფებული ბაგრატი მაშინვე არ შესდგომია ქვეყნის მოწესრიგებას, ჯერ იქ არსებული ვითარების შესწავლა დაუწყია.

980 წელს ბაგრატმა თავისი უსინათლო ბიძა თეოდოსი ტაოს გაგზავნა დავით კურაპალატთან, ხოლო თვითონ ქართლისა და აფხაზეთის ერთადერთი ბატონი გახდა.

ახალგაზრდა ბაგრატმა დიდი ნებისყოფა გამოამჟღავნა და მალე წესრიგის დამყარებას შეუდგა.

განსაკუთრებით საჩქარო იყო ქართლის აზნაურთა ალაგმვა. ქართლს ამ მომენტში ფორმალურად ბაგრატის დედა - **გურანდუხტ** დედოფალი განაგებდა (იგი უფლისციხეში იჯდა), ხოლო რეალურად ქართლის მიწა-წყალი დიდაზნაურებს **ტბელებს, კორინთელებს, ფხვენელებს, ფავნელებს, ძამელებს** და სხვებს ჰქონდათ დანაწილებული. დიდებულთა ამ ოპოზიციას ხელმძღვანელობდა **ქავთარ ტბელი,** რომელიც ვერ ურიგდებოდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებას.

980 წელს ბაგრატ III აფხაზეთიდან ქართლში გადმოვიდა და თიღვას დადგა. მალე მოღრისთან მან დაამარცხა ქართლის აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით. ბაგრატმა დედისაგან ჩაიბარა უფლისციხე და განამტკიცა ხელისუფლება შიდა ქართლში. მან ქართლში თავისი ერთგული მოხელეები დანიშნა და კვლავ აფხაზეთს გადავიდა. სულ მალე ბაგრატმა აფხაზეთშიც მოარჯულა ურჩი ფეოდალები და მათ ადგილას **„დაადგინა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა“.**

გავიხსენოთ ის ამბავი, რომ ბაგრატ III დავით კურაპალატმა თავის მემკვიდრედ გამოაცხადა, მაგრამ დავითი ჯერ სიკვდილს არ აპირებდა. და ბაგრატი მოუთმენლობამ შეიპყრო, რამაც მძიმე შეცდომა დააშვებინა.

988 წელს ბაგრატმა გადაწყვიტა მამობილის — დავით კურაპალატის წინააღმდეგ გალაშქრება (!). ბაგრატს ამ საქმეში ეხმარებოდა მამამისი გურგენი, ხოლო ბაგრატ III-ის პაპა ბაგრატ

II (958-944), მიეშველო კურაპალატს. (მას შეეშინდა, რომ შვილს გურგენს მისი ტახტი არ მიეტაცა). შეიქმნა ფრიად უხერხული სიტუაცია - მამა-შვილი (გურგენი და ბაგრატი) დაუპირისპირდნენ მამა-პაპას (ბაგრატ II ხომ გურგენისთვის მამა იყო, ბაგრატისთვის კი - პაპა). სომეხი მემატიანის **ასოლიკის** ცნობით კურაპალატს ეხმარებოდნენ სომეხთა მეფე **სუმბატი**, მისი ძმა **გაგიკი** და კარის მეფე **აბასი**.

დავით კურაპალატი მოკავშირეებით ჯავახეთში ძლივს დაბანაკდა. აქედან მან გაგზავნა ლაშქარი ჯერ გურგენის წინააღმდეგ და დაამარცხა იგი. ამასობაში ბაგრატ III თრიალეთს მივიდა და კარუშეთს დადგა. მან მზვერავი შეაგზავნა დავითის ბანაკში. როცა დარწმუნდა, რომ ძალით ვერაფერს გახდებოდა, ბაგრატმა გაცლა ამჯობინა.

მაგრამ კონფლიქტის მოუგვარებლობა აღარ შეიძლებოდა და ბაგრატს ეყო ვაჟკაცობა თვითონ გამოცხადებულიყო დავით კურაპალატთან და შენდობა ეთხოვა, ამასთან აუხსნა, რომ მას კლდეკარის ერისთავის **რატი ბალვაშის** დამორჩილება უნდოდა. კონფლიქტი მშვიდობიანად იქნა აცილებული. დავით კურაპალატი დათანხმდა რატის დამორჩილებას. სამაგიეროდ მან სკორეთის ციხე გამოართვა ბაგრატ III-ს სუმბატ სომეხთა მეფისათვის მისაცემად - დახმარების საფასურად. ბაგრატმა დათმო ეს ციხე, მაგრამ 989 წელს, სუმბატის სიკვდილის შემდეგ, კვლავ დაიბრუნა იგი.

989 წელსვე ზამთარში, ბაგრატ III მოულოდნელად მიადგა კლდეკარის ერისთავს რატის და ადვილად დაიმორჩილა. რატიმ მეფეს ციხე კლდეკარნი მისცა და თვითონ „დაჯდა მამულსა თვისსა არგვეთს". კლდეკარის საერისთავო ბაგრატ III-მ თავის ერთგულ მოხელეს **ზვიად მარუშიანს** გადასცა სამართავად.

994 წელს გარდაიცვალა ბაგრატ II რეგვენი (ბაგრატ III პაპა). მისი შვილი გურგენი მეფეთა მეფედ იწოდა, რადგან მეფის ტიტული უფრო ადრე მის შვილს ბაგრატ III-ს ჰქონდა მიღებული.

1001 წელს გარდაიცვალა ტაოს მფლობელი დავით კურაპალატიც, რომლის მემკვიდრე წესით ბაგრატ III უნდა ყოფილიყო, მაგრამ აქ მოხდა ფრიად დასანანი ამბავი, რომლის გამოც ტაო დაიკარგა.

ასოლიკის გადმოცემით, 979 წელს დავით კურაპალატი მიეს-მარა ბიზანტიის მცირეწლოვან კეისარს **ბასილი მეორეს**, რომელსაც თავისი სარდალი **ბარდა სკლიაროსი** აუჯანყდა. დავითმა ბიზანტიას გაუგზავნა 12 ათასიანი ჯარი **თორნიკე ერისთავისა** და **ჯოჯიკის** სარდლობით. ამ ჯარმა დაამარცხა ბარდა სკლიაროსი და ტახტი შეუნარჩუნა ბასილი მეორეს (გაიხსენეთ **აკაკი წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავი“**). მადლიერების ნიშნად ბასილი II-ემ დავით კურაპალატს ბასიანს გადაღმა ქვეყნები აჩუქა და დიდი პატივით ეპყრობოდა.

მაგრამ 987 წელს დავით კურაპალატი შეცდა და ამჯერად ბასილი II-ის წინააღმდეგ აჯანყებულ სარდალს **ბარდა ფოკას** მიემხრო (ჭეშმარიტებას ბრძანებდა **კონსტანტინე გამსახურდია: „სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარდა, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი“**).

989 წელს აბიდოსთან ბარდა ფოკა მოკლეს. მემატიანე **იაჰია ანტიოქიელის** ცნობით, ბასილი მეორემ დავით კურაპალატის დასჯა გადაწყვიტა და 990 წელს ტაოში შემოვიდა. დავითმა მორჩილება გამოაცხადა და იძულებული გახდა დაედო პირობა, რომლის ძალით, გარდაცვალების შემდეგ მთელი მისი სამფლობელო ბიზანტიას გადაეცემოდა (!).

ამრიგად, როცა დავით III კურაპალატი 1001 წელს გარდაიცვალა, ბასილი II შემოვიდა ტაოში და **„დაიპყრო მამული დავით კურაპალატისა“**. ბასილი მეორესთან გამოცხადნენ ბაგრატ III და მამამისი გურგენი იმ იმედით, რომ ბასილი მათ ამ სამფლობელოს გადასცემდა. მაგრამ ბასილი კეისარმა ტაო თვითონ დაიტოვა, ხოლო მამა-შვილს მხოლოდ კურაპალატისა და მაგისტროსის ტიტულები უწყალობა. ამრიგად, დავითის შეცდომისა და დაუკვირვებლობის წყალობით მთელი მისი მემკვიდრეობა ბიზანტიას დარჩა, რის გამოც დიდი ომი ატყდა ბიზანტია-საქართველოს შორის **გიორგი I-ის** (1014-1027) დროს.

1008 წელს გარდაიცვალა გურგენ მეფეთა-მეფე. ბაგრატ III-მ მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო **ამიერტაო, შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი** და ეწოდა **აფხაზთა** და **ქართველთა მეფე**.

1008 წელსვე ბაგრატ III კახეთის ქორეპისკოპოსს **დავითს**

მოსთხოვა ადრე წართმეული ციხეების წირქუალისა და გრუას დაბრუნება, რაზედაც უარი მიიღო. ბაგრატმა ილაშქრა კახეთს და დაიპყრო იგი. მანვე დაიპყრო ჰერეთიც და დატოვა აქ თავისი მოხელე აბულალი. მაგრამ ბაგრატის წასვლისთანავე ჰერეთის დიდებულებმა ქვეყანა კვლავ კახეთის ქორეპისკოპოსს გადასცეს. ბაგრატმა ხელმეორედ ილაშქრა და 1008-1010 წლებში კახეთის ყველა ციხე დაიპყრო, დავით ქორეპისკოპოსის შვილი კვირიკე ბოჭორმის ციხეში დაატყვევა და თან წამოიყვანა.

1010 წელს ბაგრატ III-მ მორალურად გაუმართლებელი, მაგრამ ქვეყნისათვის აუცილებელი ნაბიჯი გადადგა. მან „**მოიყვანნა კლარჯი ხელმწიფენი სუმბატ და გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისა, თავისი მამის დისწულნი, დარბაზობად მის წინაშე ციხესა ფანასკერტისასა**“ და სადარბაზოდ მიწვეულნი შეიპყრო, ციხეში ჩაყარა (სადაც დაიღუპნენ კიდეც), ხოლო მათი ქვეყანა თვითონ შემოიმტკიცა.

1010-1014 წლებში ბაგრატმა დალაშქრა განძის ამირა ფადლონი, რომელიც კახეთს არბევდა ხოლმე და ხარკი დააკისრა. 1013 წელს დაიმორჩილა კავკასიონს გადაღმა ქვეყნები „ჯიქეთიდან ვიდრე გურგენამდე“ (კასპიის ზღვამდე).

1014 წლის 7 მაისს, პარასკევს, ფანასკერტის ციხეში ბაგრატ III გარდაიცვალა. **ზვიად** ერისთავთ-ერისთავმა მეფე ბაგრატის ნეშტი წამოასვენა და ბედიას დაასაფლავა (გაიხსენეთ „დიდოსტატის მარჯვენა“).

ბაგრატ მესამემ თავი გამოიჩინა დიდი აღმშენებლობითაც. იგი დაუცხრომლად აგებდა ეკლესია-მონასტრებს, ციხეებს და სხვა კულტურულ საქმიანობასაც ეწეოდა. 996 წ. ააგეს **მარტვილის** ტაძარი, 1002 წელს **ხცისის** ეკლესია, 1003 წელს დამთავრდა **ბაგრატის** ტაძრის - ამ უმშვენიერესი ქმნილების ძირითადი მშენებლობა. ეს ტაძარი 1691 წელს ააფეთქეს ახალციხის მხრიდან შემოჭრილმა თურქებმა და თაღი ჩამოუქციეს. 1010-1014 წლებში აიგო **ნიკორწმინდის** უნატიფესი ტაძარი. 1010 წელს ბაგრატმა **სვეტიცხოვლის** ტაძრის მშენებლობა განიზრახა და ეს განზრახვა მოგვიანებით, 1029 წელს აღსრულდა ხუროთმოძღვარ **არსუკიძის** მიერ.

ბაგრატის მეფობაშია აშენებული და აღდგენილი ატენის, ბედიის, წვიმოეთის, ვერიის ეკლესია-მონასტრები.

ჭეშმარიტად დიადი იყო ქმნილებანი ბაგრატ მეფისანი. ,,მატიანე ქართლისა" ამადაც აღნიშნავს: „ესე ბაგრატ აფხაზთა მეფე წარემართა ყოველთავე ხელმწიფეთა ყოვლითა განგებითა, ამისად მოაჯედ და შემპოვნედ შეიქმნეს ყოველნი მახლობელნი და მოთაულნი მამულისა და სამეფოსა მისისანი და მოლაშქრედ, ვითარცა თვისნი დიდებულნი და მისანდომელნი, დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი წინააღმდგომნი, მომადლა დღეთა მისთა მშვიდობა და დიდი დაწყნარება ქვეყნისა". მემატიანენი მას ვახტანგ გორგასალს ადარებდნენ: „ვსთქუ ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასარისა არავინ გამოჩინებულ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა ყოველითა განგებითა".

ამრიგად, ბაგრატ III-მ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს გაერთიანებას, იგი იყო გაერთიანებული ქვეყნის პირველი დიდი მეფე, რომლის ღვაწლი მართლაც განსაკუთრებულია.

არსუკისძე

ხელოვნებაა თავად უკვდავება. მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი“ — კონსტანტინე გამსახურდიას ეს უკვდავი სიტყვები მართლაც რომ ზედგამოჭრილია სვეტიცხოველის ამგებელზე. მალე ათასი წელი შესრულდება ამ ტაძრის აშენებიდან, ირგვლივ ბევრი რამ წარიხოცა, მაგრამ სვეტიცხოველი ისევ ამაყად დგას და იდგება კვლავაც, როგორც ხელოვნების ულამაზესი ნიმუში.

დიდი ქართველი ხუროთმოძღვარი და ეკლესიათა მშენებელი **არსუკისძე** (მისი სახელი დღემდე ცნობილი არ არის) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა X-XI საუკუნეთა მიჯნაზე. უცნობია მისი დაბადების ზუსტი თარიღი, გარდაცვლილა 1029 წელს, სვეტიცხოველის დამთავრების წელს. მის მიერ აგებული სვეტიცხოველისთვის კი „**თვალის შევლება ყოველ დროში სანუკველია; დილით ხვლიკისფერია იგი, მოუღალავი მზით გაშუქებული, შეღამებისას ოქროცურვილია, ხოლო მწუხრის შემდგომისას, თუ ვარსკვლავიანმა ცამაც დაადგა თვალი, ცას მიეჭრება მისი მრუდე ჰარმონიით აღვსილი ხაზების ზესწრაფვა**“ (კ. გამსახურდია).

ხუროთმოძღვრის გვარი ტაძრის წარწერებიდან პირველმა ამოიკითხა **სარგის კაკაბაძემ**. იგი მიუთითებდა: „**ამ წარწერებიდან ირკვევა, რომ მცხეთის ტაძრის აღმაშენებელი არის მელქისედეკ კათალიკოზი, ხუროთმოძღვარი კიდევ არსაკიძე**“.

1942 წელს ლევან მუსხელიშვილმა პირველმა წაიკითხა „არსუკისძე“. იგი წერდა, რომ „**რადგანაც მოქცევაი ქართლისაი**“ **მატიანე დაჟინებით ასახელებს „არსუკს“, ხოლო არც აქ და არც სხვა ქართულ წყაროებში სახელი „არსაკ“ ცნობილი არაა და თანაც ჯერ კიდევ საკითხავია ამ ორი სხვადასხვა ფორმის იგივეობა, ამიტომ ჩემი აზრით, მცხეთის წარწერაში ეს სახელი ზემომოყვანილი ფორმით უნდა გავხსნათ**“.

ხუროთმოძღვრის სახელი მოხსენიებულია სვეტიცხოველის ორ წარწერაში:

1. აღმოსავლეთის ფასადზე, შუა თაღის ქვემოთ, მედალიონებში:

„ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქისედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამენ. აღაშენა ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაჲთა, ღმერთმა განუსუენე სულსა მისსა“.

2. ჩრდილოეთით, აგრეთვე მთავარი სარკმლის ზემოთ, ორ ქვაზე, რომელთა შორის ჩასმულია მესამე ქვა ხელისა და გონიოს რელიეფით: „ხელი მონისა არსუკისძისაჲ. შეუნდვეთ“.

სწორედ ამ წარწერიდან ვარაუდობენ ცნობილი ლეგენდის წარმოშობას: თითქოს სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარს თავისი დიდოსტატობით დაუჩრდილავს საკუთარი მასწავლებელი, რომელიც ამით გაბოროტებულა და დაუსმენია თავისი შეგირდი, შედეგად კი არსუკისძისთვის მარჯვენა ხელი მოუკვეთიათ:

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, ხელი მომჭრეს
რატომ კარგი აგიგია“.

არსუკისძეს სვეტიცხოველის ტაძრის აგება დაუწყია 1010 წელს, როცა ტახტზე ავიდა საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი **მელქისედეკი**. მშენებლობა დაუწყია მეფე **ბაგრატ მესამეს**, განუგრძია — **გიორგი პირველს**, ხოლო დასრულებულა **ბაგრატ მეოთხის** დროს, 1029 წელს. სვეტიცხოვლის წარწერებიდან ჩანს, რომ ამავე წელს გარდაცვლილა არსუკისძეც („განუსუენე სულსა მისსა“).

ჩვენთვის უცნობია, აუგია თუ არა არსუკისძეს სხვა ტაძრები ან ეკლესიები საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, თუმცა უეჭველია, რომ სვეტიცხოველი არ იქნებოდა მის მიერ აგებული ერთადერთი ქმნილება.

ვახტანგ ბერიძის აზრით, მართალია არსუკისძემ გამოიყენა ძველი (V-VI საუკუნეების, ვახტანგ გორგასლისეული) სვეტიცხოვლის ცალკეული დეტალები და ფრაგმენტები, მაგრამ მან არსებითად ახალი, დამოუკიდებელი შედეგრი შექმნა.

სვეტიცხოველი ორგანულად უკავშირდება ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებას: მისი გეგმა წაგრძელებული სწორკუთხედია, ოთხი თავისუფალი გუმბათქვეშა ბურჯით, — გარე მასები — ჯვრის მკლავების მძლავრი საფეხურებისაგან შედგება; მკლავების შეჯვარედინების ადგილას აღმართულია მაღალყელია-

ნი გუმბათი: ფასადების მოსართავად გამოყენებულია დეკორაციული თაღების განვითარებული სისტემა და სარკმელთა საპირეები. სრულიად განვითარებული ხასიათისაა მდიდარი, მრავალფეროვანი ჩუქურთმებიც, რომელთა მხოლოდ ნაწილმა მოაღწია დღემდე. უნდა ითქვას, რომ ყველა ის ფორმა და მოტივი, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე მუშავდებოდა, არსუკისძის ქმნილებაში მანამდის არნახული მასშტაბით არის განხორციელებული.

სვეტიცხოვლის საერთო პროპორციები, მისი გარეგანი მასების ჰარმონიული წყობა, გრანდიოზული შინაგანი სივრცე, ფასადთა კომპოზიცია, მრავალფეროვანი მორთულობის კარგად გააზრებული სისტემა, რთულ ტექნიკურ ამოცანათა დაძლევა მოწმობს როგორც მთელი იმდროინდელი ქართული ხუროთმოძღვრების სრულ მხატვრულ მოწიფულობას, ისე თავად ხუროთმოძღვრის ბრწყინვალე მხატვრულ ნიჭს, დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას და მაღალ ოსტატობას. არსუკისძის ქმნილებას შუა საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში საეტაპო ძეგლის მნიშვნელობა აქვს: ქუთაისის ბაგრატის ტაძარსა და ალავერდის კათედრალთან ერთად სვეტიცხოველი მომწიფებული ფეოდალიზმის დროინდელი სტილის საბოლოოდ დამამკვიდრებელი ნაწარმოებია (**ვ. ბერიძე**).

სპეციალისტთა აზრით, არსუკიძესვე უნდა აეშენებინა ტაძრის დასავლეთით მდებარე კარიბჭე, რომელიც ტაძრის თანადროულია.

არსუკისძის მიერ აგებულმა სვეტიცხოველმა შემდგომ პერიოდში რამდენადმე იცვალა სახე. ეს გამოწვეული იყო ალფ-არსლანის, თემურ-ლენგის, შაჰ-თამაზისა და შაჰ-აბას I-ის ამაოხრებელი შემოსევებით, რომლებმაც საკმაო ზიანი მიაყენეს ამ შესანიშნავ ტაძარს.

XV საუკუნეში შენობა შიგნიდან ნაწილობრივ გადააკეთეს (ისე როგორც 2006 წელს). XV-XVII საუკუნეებს მიეკუთვნება აგრეთვე გუმბათის ყელი და კედელთა ზოგიერთი ნაწილი.

სვეტიცხოველის ტაძარს და მის ხუროთმოძღვარს უკვდავი ძეგლი დაუდგა **კონსტანტინე გამსახურდიამ** თავის ბრწყინვალე ისტორიულ რომანში. **„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“.**

სვეტიცხოველი და მისი ამგები არსუკისძე შეიმატებენ კვლავაც დიდებას... ან სხვა რა ევალება ჭეშმარიტ ოსტატს, თუ არა ჭიდილი წარმავლობის ნისლთან.

გიორგი მთაწმინდელი

დიდი ქართველი მოაზროვნე და საეკლესიო მოღვაწე **გიორგი მთაწმინდელი (ათონელი)** 1009 წელს დაიბადა ორიალეთში. მამამისს იაკობი რქმეია, დედას — მარიამი. თავდაპირველად თეკლა და თეოდორე შეეძინათ ცოლ-ქმარს. როცა მარიამი მესამე შვილზე ფეხმძიმედ შეიქნა, ცოლ-ქმარმა აღთქმა დასდეს, რომ თუ ძე ეყოლებოდათ, ღმერთისთვის მიეძღვნათ იგი **„რამეთუ ვერძისაი ჯერ არსო შეწირვად“** მშობიარობის წინა ღამეს ვიღაც ღვთაებრივი ჭაბუკი გამოეცხადა სიზმარში მარიამს, მოუწონა განზრახვა, დაუდასტურა, რომ ვაჟი შეეძინებოდათ და რომ მისთვის გიორგი უნდა დაერქმიათ სახელად.

მართლაც ყველაფერი ასე მოხდა და ქვეყანას მოევლინა გიორგი „ტარიგი ღმრთისაი“.

შვიდი წლის გიორგი **ტაძრისის** მონასტერში მიუბარებიათ აღსაზრდელად, სადაც სამი წლის მანძილზე **„ვითარცა ახალნერგი შვენიერი, იზარდებოდა მას შინა და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა“**. ათი წლის გიორგი ხახულში გადაიყვანეს, სადაც მაშინ

მოღვაწეობდნენ მისი მამის უფროსი ძმები **გიორგი** (მწერალი) და **საბა**. აქვე იღვწოდნენ მთავარი ლავრის წინამძღვარი, **მამა მაკარი** და მეფე **გიორგი პირველის** (1014-1027) ძმა, **დიდი ბასილი, ანტონი მნათე** და სხვები. ესენი იყვნენ ღვთისმეტყველებაში და ფილოსოფიაში ფრიად გაწაფულნი, წერილთა მთარგმნელები და მთხზველები, მეცნიერები.

სამივემ აკურთხა პატარა გიორგი და სამოწაფოდ მისცეს ყველაზე ღირსეულ მწყემსს კეთილს **ილარიონ თვალოელს** (რომელიც ადრე თვალის მონასტერში მოღვაწეობდა ანტიოქიაში, რის გამოც „თვალოელად" იწოდებოდა).

მცირე ხანში გიორგიმ უდიდესი ნიჭი, უნარი და შრომისმოყვარეობა გამოავლინა. საოცარი მეხსიერების პატრონი პირდაპირ ისრუტავდა ყველაფერს, რასაც ასწავლიდნენ — ენებს (ბერძნული, არაბული, სომხური), ფილოსოფიურ თუ საღვთისმეტყველო წერილებს, ძველ და ახალ „აღთქმებს", სჯულის კანონებს, საგალობლებს და ა.შ. მალე გიორგის უფროსი ბიძა, ასევე გიორგი თავის სახლში სამასწავლებლოდ და საალმზრდელოდ მიიწვია ქართველმა დიდებულმა **ფერის ჯოჯიკის ძემ** (ფერისის მამა ჯოჯიკი იყო ის ცნობილი ქართველი სარდალი, რომელმაც თორნიკე ერისთავის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო ბასილი კეისრისაგან განდგომილი ბარდა სკლიაროსის განადგურებაში. ფერისს ცოლად ჰყავდა გიორგი პირველის და, საოცრად ღვთისმოსავი ქალბატონი).

ფერის ჯოჯიკისძე ოჯახთან ერთად დაბა ტვარწატაფს ცხოვრობდა, იმიერტაოში. გიორგი მწერალი და მისი ძმისშვილი, პატარა გიორგი ძალიან შეეწყვნენ და შეეტკბნენ მათ.

მაგრამ მოხდა დიდი უბედურება. ბიზანტიის კეისარმა ვიღაცის დასმენით შეიპყრო ფერის ჯოჯიკისძე, ბრალი დასდო მის წინააღმდეგ შეთქმულებაში და სიკვდილით დასაჯა, ხოლო მისი ოჯახი კონსტანტინეპოლს გადაასახლა. ტყვეთა შორის აღმოჩდნენ ორივე გიორგი — ბიძაც და ძმისწულიც.

ეს ტყვეობა თორმეტ წელიწადს გაგრძელდა. ფერისის ქვრივმა (რომელსაც შვილივით უყვარდა გიორგი) და ბიძამ, გიორგი „მწერალმა" ჭაბუკი გიორგი სასწავლებლად მიაბარეს „კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა".

თორმეტი წლის შემდეგ კეისარმა ფერისის ოჯახს საქართველოში დაბრუნების ნება დართო. სამშობლოში დაბრუნდა ოცდახუთი წლის გიორგიც. ამ დროს საქართველოს ტახტზე უკვე **ბაგრატ IV** იჯდა (1027-1072).

გიორგი კვლავ ხახულს მიბრუნდა თავის საყვარელ მოძღვრებთან. ილარიონ თვალოელმა იგი ბერად აკურთხა. მალე გიორგი მარტყოფლობის, ანუ ასკეტობის სურვილმა შეიპყრო და იერუსალიმსა და წმინდა ადგილებში გაპარვა გადაწყვიტა. მოძღვართა ნების საწინააღმდეგოდ იგი ღამით გაიპარა ხახულიდან და დიდი გაჭირვებისა და დამცირების შემდეგ სირიაში **შავი მთის მონასტერში** ჩავიდა. სწორედ ამ მონასტერში ჩაეყარა საფუძველი **„მესვეტეობას"** (ასკეტური ცხოვრების უმაღლეს გამოვლინებას. სვიმონ მესვეტე 30 წელი იჯდა ფეხმოუცვლელად სვეტზე, სვიმონ მესვეტე უმცროსი კი — 43 წელიწადს).

გიორგიმ მოიარა და მოილოცა შავი მთის ყოველი მონასტერი და ბოლოს ლოცვა-კურთხევის მისაღებად შავი მთის სამონასტრო ცხოვრების წინამძღვართან **გიორგი შეყენებულთან** მივიდა (შეყენებული მას ეწოდა, რადგანაც მუდმივ საცხოვრებლად და სულის საღვაწად შემდგარიყო შავი მთის ერთი კლდის ღრმასა და ბნელ გამოქვაბულში „ვითარცა გვრიტი უბიწო და ტრედი უმანკო, კაცი ზეცისაი და ანგელოზი ქვეყნისაი").

გიორგი შეყენებულმა ახალგაზრდა გიორგი მთაწმინდელში ღვთის დიდი სხივი დაიჭირა, იგრძნო მისი სიკეთე და ტალანტი. მან უწმინდესი კურთხევით აკურთხა გიორგი, დაიმოწაფა იგი და **რომანაწმინდას** საკანეს დაამკვიდრა, სადაც გიორგიმ თავმდაბლობით და მორჩილებით სამი წელი დაპყო. ამის შემდეგ მოძღვრის კურთხევით გიორგი იერუსალიმის წმინდა ადგილთა მოსალოცად გაეშურა.

გიორგიმ მშვიდობით მოიარა იერუსალიმი და მისი შემოგარენი, მოიხილა და მოილოცა იქაურობა და კვლავ გიორგი შეყენებულთან დაბრუნდა. მოძღვარმა იგი სრულიად მოწიფულად ჩათვლა და დიდი ექვთიმე მთაწმინდელის საქმის გაგრძელება დაავალა — საღმრთო წიგნთა თარგმნა ბერძნულიდან ქართულ ენაზე. გიორგიმ, როგორც ყოველთვის, ახლაც თავმდაბლობა გა-

მოიჩინა და იუარა, მაგრამ მოძღვარმა მტკიცედ მოსთხოვა და ისიც დამორჩილდა. გიორგი მთაწმინდელი შავი მთიდან ათონის მთაზე გაემგზავრა. ექვთიმე მთაწმინდელის გარდაცვალების შემდეგ გიორგის მისულამდე ქართველ ბერებს უკვე სამი წინამძღვარი გამოეცვალათ — გიორგი, გრიგოლი და არსენი. გიორგის ბევრი ვერაფერი გაუკეთებია ათონზე ქართველთა პოზიციების გასაძლიერებლად. პირიქით, მის დროს ბერძნები (ბიზანტიელები) გამძლავრებულან და ქართველებისთვის შეუტევიათ ათონის სავანეთა ხელში ჩასაგდებად. გრიგოლის წინამძღვრობის დროს ათჯერ უმეტესმა ბერძენმა ქართველებს წაართვეს **ათონის, ნათლისმცემლის, ლეონდარის, მელინძის, სტილახის, დომროვიის** და **ერისოს** სალოცავნი. სამჯერ ჩაიგდეს ბერძნებმა ქართველთა თავადი ლავრა და გაძარცვეს. ისინი უკვე ყველაფერს კადრულობდნენ — ცემდნენ, გვემდნენ ქართველ ბერებს, იყო ქურდობა, წაგლეჯა, მზაკვრობა, ცილისწამება. ბერძნები ღამით ფხეკდნენ ქართულ წარწერებს და ბერძნულად აწერდნენ, იპარაკდნენ და ამსხვრევდნენ ქართულ წარწერიან ქვებს და ბერძნულენოვანს აყენებდნენ (სწორედ მათი „ღირსეული" შთამომავლები არიან დღეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოღვაწე ბერძენი ბერები, რომლებმაც 2004 წელს კედლიდან გადაფხიკეს შოთა რუსთაველის ფრესკა — **ვ.ბ.**). ათონის მონასტრის წინამძღვარმა მამა გრიგოლმა და მისმა თანაშემწემ არსენმა ბევრი იბრძოლეს, წერილები მისწერეს საქართველოს მეფეს ბაგრატ IV-ს და ბიზანტიის იმპერატორს მიქაელ IV-ს და დახმარება სთხოვეს მოძალებულ ბერძენთაგან. როგორც იქნა, იმპერატორმა გამოსცა ბრძანება და ქართველებს ისევ დაუბრუნეს წართმეული სალოცავები.

მალე მამა გრიგოლი გარდაიცვალა და წინამძღვრად აკურთხეს **არსენი**. სწორედ ამ დროს ჩავიდა ათონზე გიორგი მთაწმინდელი, უკვე სახელმოხვეჭილი ქართველი ბერი. ბერძნებმა კვლავ განაახლეს შეტევა ქართველებზე, მაგრამ არსენმა და გიორგი მთაწმინდელმა შეძლეს ქართველთა სიმართლის დამტკიცება ბერძენ-ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა შეკრებაზე.

მალე არსენი გარდაიცვალა და წინამძღვრობა გიორგის სთხოვეს, მაგრამ მან მტკიცე უარი განაცხადა და უბრალო ბერის

ცხოვრება განაგრძო. ათონის ქართველთა სამწყსოს წინამძღვარი გახდა **სვიმეონი**. გიორგიმ შესთავაზა სვიმეონს, რომ დაწერდა ათონის ქართული მონასტრის ისტორიას დაარსებიდან დღემდე მომავალი თაობებისათვის გადასაცემად და მალე აღასრულა კიდეც ეს. ერთი წლის შემდეგ მამა სვიმეონიც გარდაიცვალა და კვლავ თხოვნით მიმართეს გიორგის, მაგრამ ამაოდ. წინამძღვარი შეიქმნა **სტეფანე ხარტულარი**. სტეფანე ჩასციებია გიორგის — მღვდლობა მაინც იტვირთეო, მაგრამ მან უარი თქვა ყოველგვარ დაწინაურებაზე.

მალე ამის შესახებ შეიტყო შავ მთაზე **გიორგი შეყენებულმა** და მკაცრი საყვედური შემოუთვალა გიორგი მთაწმინდელს — რიგორ თუ ამდენ ხანს არც წიგნთა წერა-თარგმნებას შესდგომიხარ და არც მღვდლობაზე ხარ თანახმაო? გიორგი აქამდე მორჩილად და თავმდაბლად ცხოვრობდა — ჯერ ეზოებსა ჰგვიდა, მერე სვეტებს წმენდდა, კიბის საფეხურებს ასუფთავებდა, შემდეგ სარებს და პალოებს თლიდა, არჭობდა, თოკებს გრეხდა და ჭიმავდა, სამღვდელოთა ჭურჭლეულს რეცხავდა და ამშრალებდა, კიდობანთა მტვირთავად მუშაობდა (საოცარი თავმდაბლობა და მოთმენა გამოუჩენია ჭეშმარიტად).

გიორგიმ ვეღარ გაუტეხა ხათრი გიორგი შეყენებულს და ჯერ მღვდლად ეკურთხა, შემდეგ — დეკანოზად. მერე კი მთავარი დავალების შესრულებას შეუდგა დიდის გულმოდგინებით.

მალე გიორგი მთაწმინდელმა განასრულა **„ცხოვრებაი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ექვთიმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქეობისა მათისაი“**. ეს წიგნი ჩაფიქრებული იყო არა მარტო დიდ წინაპართა ღვაწლის გადმოსაცემად, არამედ მომავალი თაობების აღსაზრდელად, განსანათლებლად და შეასრულა კიდეც ეს უმნიშვნელოვანესი მისია. ამის შემდეგ გიორგიმ თარგმნა ბერძნულიდან ეკლესიის საფუძველი — **სვინაქსარი**, რომელსაც პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა.

რაკი ერთხელ დაიწყო გიორგიმ აღარც დაუსვენია და მოადევნა წინა ორ წიგნს: **„სახარება გამოკრებული საწელიწდოი“**, **„პავლე გამოკრებული საწელიწდოი“**, **„დიდნი კურთხევანი“**, **„დაბადება“**, **„პავლე სრული“**, **„კათოლიკენი წმიდათა მოციქულთანი“**. ბოლო

წიგნი რომ დაამთავრა, სწორედ მაშინ გარდაიცვალა წინამძღვარი სტეფანე ხარტულარი. კელავ შესთავაზეს წინამძღვრობა გიორგის. კელავ უარობდა, მაგრამ დაამუნათეს და სხვებთან ერთად კენჭისყრაზე დათანხმდა (მართლაც ჭეშმარიტი დემოკრატიულობა გამოავლინა). სამი კანდიდატურიდან ერთხმად აირჩიეს გიორგი, რომელმაც ეს ყველაფერი ღვთის ნება-სურვილად ჩათვალა და ენერგიულად შეუდგა წინამძღვრის რთულ და საპატიო მისიას, არაფერს არ უკადრისობდა — თუ არ წერდა, მიწას ხნავდა და თესავდა, თიბავდა, მკიდა, აშენებდა და ა.შ. დიდ დროს უთმობდა მოწაფეთა სწავლებას და აღზრდას. მალე გიორგიმ ღვთისმშობლის მთავარ ტაძარში დიდი სამარტვილე ლარნაკი აღაშენა და იქ გადაასვენა ექვთიმესა და მისი მამის, იოანეს ნაშთები, ისევე როგორც არსენ ნინოწმინდელისა და იოანე გრძელიძისა.

გიორგი მივიდა ბიზანტიის იმპერატორთან **კონსტანტინე მონომახოსთან,** დალოცა და მთავარი ლავრის შესაკეთებლად მასალის (ტყვიის) მიცემა სთხოვა. იმპერატორმა სიხარულით აღასრულა მისი ეს თხოვნა.

მალე კონსტანტინეპოლს სტუმრად ეწვია საქართველოს მეფე **ბაგრატ IV**. მას თან ახლდა დედა მარიამი და ულამაზესი ასული მართა. როცა გიორგიმ ეს გაიგო, უმალ გაეშურა ბაგრატთან შესახვედრად. დიდის სიყვარულით შეხვდნენ ერთმანეთს მეფე ბაგრატი და გიორგი მთაწმინდელი. შემდეგ ორივე ერთად იმპერატორმა მიიწვია სტუმრად და ათონის სავანეს ახალი წყალობა მიუბოძა. ბაგრატ მეფის დედა მარიამი გიორგის დაემოწაფა და ათონის ლავრას შესაწირავი შესწირა. ბაგრატმა საქართველოში ჩამოსვლა სთხოვა გიორგის და ჭყონდიდის ეპისკოპოსობა შესთავაზა, მაგრამ გიორგიმ იუარა **„ყოველივე არა თავს იდვა, რამეთუ ყოველთა მოსწრაფებითა გაურბოდა დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისას და სიმდაბლესა შეიტკბობდა“.**

ბაგრატ მეოთხემ და მისმა ოჯახობამ სამი წელი დაჰყო ბიზანტიაში. ამ დროს გარდაიცვალა იმპერატორი კონსტანტინე მონომახოსი. მისმა ქვრივმა **თეოდორამ** შვილად აიყვანა ბაგრატის ასული მართა, რომელმაც მთელი საიმპერატორო კარი დაატყვევა თავისი სილამაზით. მალე თეოდორაც გარდაიცვალა. გიორგი

კონსტანტინეპოლიდან ათონს გაეშურა. მისვლისთანავე წინამძღვრობიდან გადადგა, ყველაფერი ხელუხლებლად დაუტოვა ბერებს და კვლავ გიორგი შეყენებულთან მივიდა. მან მაინც შეძლო მთაწმინდელის დაყოლიება და კვლავ დაითანხმა ათონის ქართველთა საკანის წინამძღვრობაზე. ათონზე მიბრუნებული გიორგი ბაგრატის დედას მარიამ დედოფალს შეხვდა, რომელსაც გადაეწყვიტა იერუსალიმს ჩასვლა, იქაური წმინდა ადგილების მოლოცვა და გლახაკთა და უპოვართათვის შესაწირავის დარიგება.

გიორგიმ დაარწმუნა დედოფალი, რომ სახიფათო იყო სარკინოზთაგან (არაბთაგან) დაკავებულ იერუსალიმში გამგზავრება. მაშინ დედოფალმა სთხოვა გიორგის, რომ ის წასულიყო მის ნაცვლად იერუსალიმს მოსალოცად და მოწყალების დასარიგებლად. გიორგიმ უარი ვეღარ უთხრა დედოფალს და იერუსალიმის გზას დაადგა. მაშინ მიმდინარეობდა **ჯვრის მონასტრის** ახალმშენებლობა, რომელსაც ქართველი ბერი, ნეტარი მამა პროხორე ედგა სათავეში. დედოფლის მიერ გატანებული განძის დიდი ნაწილი გიორგიმ ჯვრის მონასტრის მშენებლობას შესწირა. პროხორემ სთხოვა, რომ გაეგზავნა მონასტრისათვის მის მიერ დაწერილი და თარგმნილი წიგნები.

უზომოდ გაეხარდა გიორგის მშვიდობით მობრუნება მარიამ დედოფალს, მადლობა გადაუხადა და საქართველოში მიიპატიჟა. გიორგიმ კვლავ იუარა, მერე კი გზა დაულოცა სამშობლოში მიმავალ მარიამს. გიორგი შეყენებულის თხოვნით გიორგი მთაწმინდელი კვლავ შავ მთაზე გაემგზავრა საღმრთო წიგნთა სათარგმნელად და საწერად. დღისით ფიზიკურად შრომობდა, ღამით კი გონებრივად — შეუსვენებლივ წერდა და თარგმნიდა საღმრთო წიგნებს ღვთიეშთაგონებული ბერი.

ანტიოქიის პატრიარქმა **იოანემ** მიიწვია სახელგანთქმული ქართველი საეკლესიო მოღვაწე, დასხდნენ, ისაუბრეს და აზრი გაუზიარეს ერთმანეთს. შემდეგშიც არაერთხელ მიუღია რჩევა პატრიარქს გიორგისგან. იოანე რომ გარდაიცვალა, პატრიარქი გახდა თევდოსი სამეუფოელი, ფილოსოფიაში და ღვთისმეტყველებაში ფრიად განსწავლული კაცი. ის არ იცნობდა გიორგი მთაწმინდელს. ბერძნებმა დრო იხელთეს და ისევ შეუტიეს ქართველებს,

პეზღობა დაუწყეს მათ პატრიარქის წინაშე, თითქოს ქართველები ცუდი ქრისტიანები არიან და ქრისტეს მოწაფეთაგან არავინ ყოფილიყოს საქადაგებლად საქართველოში. ამის გამო საქართველოს ეკლესია და პატრიარქი (პირველი კათოლიკოს — პატრიარქი იყო მელქისედეკი, რომლის შეკვეთით ამავე 1010-1029 წლებში აშენდა სვეტიცხოველი) ანტიოქიის საპატრიარქოს უნდა დაემორჩილონო. ქართული ეკლესიის ინტერესების და სიმართლის დაცვა თავის თავზე აიღო გიორგი მთაწმინდელმა. მან დიდ საეკლესიო შეკრებაზე მოატანინა პატრიარქ **თევდოსის „მიმოსვლა ანდრია მოციქულისა“** და დაუსაბუთა, რომ საქართველოში ქრისტიანობა იქადაგა ქრისტეს ორმა მოწაფემ — **ანდრია პირველწოდებულმა** და **სვიმონ კანანელმა,** რომელიც საქართველოშიეე გარდაიცვალა და აფხაზეთში, ანაკოფიასაა დაკრძალულიო. გიორგი შემდეგ მიუბრუნდა პატრიარქ თევდოსის და უთხრა: „აკი ამბობ, მეუფეო, რომ ანტიოქიის საყდარი მოციქულ პეტრეს განეკუთვნება არა?“

პატრიარქმა დაუდასტურა.

„ხოლო პეტრეს პეტრემდე აკი სვიმონი ერქვა?“ — დიახ, დაადასტურა კვლავ პატრიარქმა.

“ვინ უწოდა სვიმონს პეტრე“ — ჩაჰკითხვდა გიორგი.

„მისმა ძმამ ანდრიამ“ — მიუგო პატრიარქმა.

„მაშ, ანდრია მწოდებელია, ხოლო პეტრე წოდებული, ხომ ასეა“ — ასეაო, მიუგო თევდოსიმ.

„მერე ისიც ხომ მართლად გამოდის, რომ ძმათაგან მწოდებელს საქართველო გაუნათლებია, ხოლო წოდებულს ანტიოქია“? — „გამოდის, ასეა ჭეშმარიტად“.

„და უკეთუ ყოველივე ასეა, გამოდის ანტიოქიისა და საქართველოს ეკლესიების შეერთებაც აუცილებელია, მაშინ რომელი რომელს უნდა დაემორჩილოს, მწოდებელი წოდებულს თუ პირიქით? ანუ რომელი უფრო უპრიანი ყოფილა, უფროსი ძმა და მწოდებლის სამწყსო საქართველო უნდა დაემორჩილოს უმცროს ძმისა და უფროსი ძმისაგან სახელდებულ სამწყსო ანტიოქიას თუ პირიქით? თუ შეერთებაა, ანტიოქიის საპატრიარქო უნდა შეუერთდეს საქართველოს ეკლესიასო“.

გიორგიმ ისიც დაუსაბუთა თევდოსის, რომ ქართველები სანი-

მუშო მართლმადიდებლები იყვნენ გაქრისტიანებიდან, ბერძნებს კი მრავალი გადახვევა ჰქონიათ ჭეშმარიტი მართლმადიდებლობისაგან, ბევრჯერ უღალატიათ მისთვის. მან აჩვენა დიდი სვინაქსარი პატრიარქს, სადაც ეწერა, რომ იყო დრო-ჟამი, როცა მთელ საბერძნეთსა აღარ იპოვებოდა მართლმადიდებლობა და სწორედ ამის გამო იოანე გუთელი მცხეთას ჩავიდა და იგი კათოლიკოსად ქართლის კათოლიკოსმა აკურთხა-ო.

ხმა ვეღარ ამოიღეს ბერძნებმა და ანტიოქიის პატრიარქმა. ასე დაიცვა ქართული ეკლესიის სიძველე, სიწმინდე და დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) დიდმა გიორგი მთაწმინდელმა. ამის შემდეგ კიდევ უფრო გახმიანდა გიორგის სახელი მართლმადიდებლურ სამყაროში და საქართველოში.

საქართველოდან კი კვლავ მოსდიოდა ეპისტოლენი გიორგის ბაგრატ მეფისა და მისი ოჯახისაგან, ორივე დედოფლისაგან, აქ ჩასვლას, ეკლესიისა და სამეფო ოჯახის განათლებასა და კურთხევას სთხოვდნენ, თანადგომას ეაჯებოდნენ. ვეღარ გაუძლო გიორგის გულმა ამდენ ხვეწნა-მუდარას, თანაც ამდენი ხნის უნახავი სამშობლო მონატრებოდა. თანხმობის წერილი გაუგზავნა მეფეს.

ძალიან გაუჭირდათ საქართველომდე მოღწევა გიორგი მთაწმინდელს და მის რამდენიმე მოწაფეს, რადგან ველურ თურქ-სელჯუკებს დაეპყროთ ბევრი ქვეყანა და გადაეკეტათ გზები.

ღვინობისთვე იყო, საქართველოს სატახტო ქალაქ ქუთაისს რომ მიატანეს. **ილარიონ ქუთათელმა** დიდი პარაკლისი გადაიხადა გიორგის საპატივსაცემოდ და იმ დღეს დაემოწაფა კიდეც გიორგის.

ბაგრატ მეფეს უფლისციხეში აცნობეს საპატიო ნანატრი სტუმრის ჩამოსვლის ამბავი. მან კეთილშობილნი გაგზავნა გიორგის უფლისციხეში გადმოსაყვანად. თავად საპატიო მანძილზე გამოეგება მთაწმინდელს და შეიტკბო და შეიყვარა ფრიად, ახალი ოქროპირი და საღმრთო კაცი უწოდა მას. მეფე გვერდიდან არ იშორებდა სახელგანთქმულ ბერს, თავისი უფლისწული გიორგიც მას დაუმოწაფა და აღსაზრდელად ჩააბარა. მეფემ გიორგის სთხოვა, რომ თუ რამ ნაკლოვანებას ნახავდა სამეფო ან საეკლესიო ცხოვრებაში, დაურიდებლად ემხილებინა. ხუთი წელი დარჩა გიორგი

მთაწმინდელი საქართველოში. დადიოდა სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან — ქალაქში და განურჩეველად ასწავლიდა, ერსა თუ ბერს.

სწავლასთან ერთად ნაკლოვანებებსაც ამხელდა. ყველას აღსარებისაკენ და მონანიებისაკენ მოუწოდებდა და **„იწყეს აღსარებად და სინანულად თვით მეფემან, კათალიკოზმან, მღვდელთა და დიაკონთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა“**. გიორგი მთაწმინდელმა მალე **„ყოველნი ცხადნი და დაფარულნი უწესოებანი განჰმარნა“**. იგი არ მოერიდა არც მეფეს და მისიანებს, და ამხილა ისინი მაღალი საეკლესიო თანამდებობების გაყიდვაში. პირველად გიორგი მთაწმინდელმა მიუთითა ყველას, რომ წინა პლანზე უნდა დამდგარიყო ღირსება ადამიანისა და არა გვარიშვილობა, რომ სამართლის სასწორი არ უნდა გადახრილიყო მდიდრის და დიდებულის მხარეზე (ეს ყოველივე შემდეგ პრაქტიკულად განახორციელეს დავით აღმაშენებელმა და მისმა მემკვიდრეებმა). მთელ ქვეყანაში დადიოდა სამშობლოს მონატრებული გიორგი, მდიდრებს გლახაკთა წყალობას ასწავლიდა, ხოლო გლახაკთ — მოთმინებას, ხოლო ქველთა საქმისათვის გარჯილობას, ჰკურნავდა კიდეც ზოგიერთებს. ბოლოს საოცარ საქმეს მოჰკიდა ხელი დიდმა ქართველმა და განმანათლებელმა — ეს იყო ობოლი ბავშვების შეკრება საპატრონოდ, საბერძნეთს სასწავლებლად და ქართული ეკლესიის გასაძლიერებლად შინ თუ გარეთ.

საბერძნეთს წასვლამდე ქართული საეკლესიო წიგნების „გამართვაც“ მოასწრო დიდმა სწავლულმა.

ერთ დღეს ბიზანტიიდან ელჩები ეწვია ბაგრატ მეოთხეს. იმპერატორი **კონსტანტინე დუკა** თავისი ტახტის მემკვიდრისათვის, **უფლისწულ მიქაელისათვის** ცოლად მეფის ულამაზეს ასულს, ზემოთ ნახსენებ მართას თხოვდა ქართველ მეფეს.

გიორგი გამოემშვიდობა ყველას და ოთხმოც ობოლ ბავშვთან ერთად გაჰყვა ბიზანტიელთა ქართველ საპატარძლოს და ბიზანტიის მომავალ დედოფალ მართას.

ჩასვლისთანავე იმპერატორს წარუდგინეს გიორგი მთაწმინდელი. მოიხიბლა ქართველი ბერით კონსტანტინე დუკა და ყველა სურვილისა და თხოვნის ასრულებას დაპირდა. გიორგიმ დალო-

ცა იმპერატორი და ბევრ საეკლესიო მოვლენაშიც განანათლა სამხედრო კაცი. გიორგიმ პირადული არაფერი მოინდომა, მხოლოდ ობოლ ბავშვებზე ზრუნვა და დახმარება სთხოვა კეისარს.

კეისარმა ბავშვების ნახვა ისურვა. იმ დღეს გიორგიმ ცუდად იგრძნო თავი, მაგრამ არ შეეპუა ავადმყოფობას და იმპერატორთან წაიყვანა ობოლი ბავშვები. კონსტანტინე დუკამ დიდი ინტერესით დაათვალიერა ბავშვები, მათი გალობითაც დატკბა და მადლი შესწირა გიორგი მთაწმინდელს, ბავშვთა აღზრდისა და განათლებისათვის კი თანხებიც გაიღო. მომავალში კიდევ უფრი მეტ დახმარებას შეპირდა გიორგის და დაემშვიდობა.

დასუსტებული გიორგი ქსერლოფისაკენ წავიდა ბავშვებთან ერთად. გზად დაუღამდათ. დილით გიორგის წინამძღოლობით ილოცეს ქართველებმა. შუადღით სარეცელზე წამოჯდა და ოთხივე სახარება მოატანინა, ოთხივე მოისმინა, პირჯვარი გადაიწერა, ღმერთსა თვისი სული და საქართველო შეავედრა და მიიძინა. ეს ყველაფერი 1065 წლის 27 ივნისს მოხდა.

ასე აღესრულა ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მოაზროვნე და საეკლესიო მოღვაწე, თავისი ქვეყნის სახელის შორს გამტანი ლეგენდარული მამულიშვილი. დაკრძალეს იგი ათონის ქართველთა მონასტერში.



ეფრემ მცირე

თანამედროვე ქართულმა ფილოსოფიურმა მეცნიერებამ, გამოჩენილმა მკვლევარებმა **ნიკო მარმა, ივანე ჯავახიშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, კორნელი კეკელიძემ, ივ. ლოლაშვილმა** და სხვებმა საყოველთაოდ აღიარეს **ეფრემ მცირეს** დამსახურება ქართული კულტურის ისტორიისა და ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში.

ცნობილი ქართველი მოაზროვნე ეფრემ მცირე ქართული კულტურის აღმავლობის, ე.წ. რენესანსის პერიოდის (XI-XIIIს.ს.) ფილოსოფიური აზრის პირველი სერიოზული წარმომადგენელი და ფუძემდებელია. მის სახელს დაუკავშირდა საქართველოში ორი ფილოსოფიური მიმდინარეობის **ნეოპლატონიზმისა** და **არისტოტელიზმის** დამკვიდრება, რამაც დიდი გავლენა იქონია საერთოდ შუა საუკუნეების აღმოსავლეთის, დასავლეთის და კერძოდ, ქართული აზროვნების განვითარებაზე.

ივანე ჯავახიშვილი ახასიათებდა ეფრემ მცირეს, როგორც **შესანიშნავ, სწორუპოვარ ქართველ ფილოლოგ, ფილოსოფოსს და ისტორიკოსს: „ჩვენი თაობის ზნეობრივი მოვალეობაა მისი მემკ-**

ვიდრეობის შესწავლა-გამოცემა“ — წერდა იგი.

ანტონ ბაგრატიონი იოანე პეტრიწთან და არსენ იყალთოელთან ერთად ეფრემ მცირეს მიიჩნევდა უდიდეს ქართველ მოაზროვნედ, „საკვირველი“ სიბრძნის მოღვაწედ, „დიდ კაცად“ და „საღმრთო ფილოსოფოსად“ იოანე ბაგრატიონი წერდა, რომ ეფრემი იყო **„ფილოსოფოსი, რიტორი მშვენიერი და დიალექტიკოსი... ძნელთა ჰაზრებთა დამამტკიცებელი“**, რომელმაც **„აღზარდა სწავლასა შინა ქართულისა ენისა იოანე ფილოსოფოსი და ასწავლა ბერძნული“**.

ყველა ზემოთ ხსენებული ქართველი მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს ეფრემ მცირეს დიდ ინტერესს ანტიკური სამყაროს კულტურისადმი, ფილოსოფიისა და მითოლოგიისადმი და იმ დევნას, რომელსაც იგი ამის გამო განიცდიდა (**შ. ხიდაშელი**).

ნიკო მარი მიუთითებდა ეფრემის დიდ ინტერესზე წინა-ქრისტიანული კულტურისადმი, თუნდაც ეს კულტურა „ძველი საეკლესიო მამების მეშვეობით ყოფილიყო“ მოწოდებული. ეფრემ მცირე იყო ნამდვილი ნოვატორი და სწორედ ამის გამო ებრძოდნენ მას. **ივ. ჯავახიშვილის** თქმით, ეს ხალხი წინააღმდეგი ყოფილა **„წმინდა საფილოსოფო მოძღვრებების... მეტადრე ნეოპლატონური ფილოსოფიისა“** **კორნელი კეკელიძე** წერდა, რომ **„ზოგიერთი მისი თანამედროვე სასულიერო და საერო პირი ეფრემს, მის მოქმედება-მოღვაწეობას ეჭვის თვალით უყურებდა“**.

ეფრემ მცირეს უმცროსმა თანამედროვეებმა **არსენ იყალთოელმა** (არისტოტელიკოსი) და **იოანე პეტრიწმა** (ნეოპლატონიზმის მიმდევარი) თაყისებურად, საკუთარი შეხედულებებით გააგრძელებს მისი ფილოსოფიური შემოქმედება და იდეები.

ალბათ დიდი უბედურებაა, რომ ბიოგრაფიული ცნობები ძველი, შუა და, ნაწილობრივ, ახალი პერიოდის ქართველ მოღვაწეთა შესახებ თითქმის არ გაგვაჩნია. ეს ეხება **ეფრემ მცირესაც**.

ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, ეფრემ მცირე XI საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. იგი იოანე პეტრიწის წინამორბედი იყო.

კორნელი კეკელიძე ეფრემ მცირეს მიიჩნევდა ცნობილი ფეოდალის ვაჩე კარიჭისძის შვილად. ფეოდალთა გარკვეულმა ნაწილ-

მა ისარგებლა გიორგი პირველის გარდაცვალებით 1027 წ. და 7-8 წლის ბაგრატ მეოთხის გამეფებით, დაუპირისპირდა სამეფო ხელისუფლებას და ბიზანტიაში გადავიდა. მათ შორის იყო **ვაჩე კარიჭისძე**. გიორგი პირველის მცდელობა — ბიზანტიის ბატონობისაგან გაეთავისუფლებინა ბასიანს გადაღმა ქვეყნები და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილი, ფეოდალების გარკვეულ ნაწილს არ მოსწონდა, რადგან ეს მეფის ძალაუფლების კიდევ უფრო განამტკიცებდა.

ვაჩე კარიჭისძე ბიზანტიური ორიენტაციის ღიად მხარდაჭერი ყოფილა. ბიზანტიაში მას თან წაუყვანია მცირეწლოვანი ვაჟი ეფრემი, რომელსაც შემდგომ კონსტანტინეპოლში მიუღია განათლება და საფუძვლიანად დაუფლებია ბერძნულ ენას.

ვიცით, რომ ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ეფრემს გაუტარებია შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად. აქ მისი გადასახლების მიზეზი, კ. კეკელიძის აზრით, უნდა ყოფილიყო ურთიერთობის გამწვავება ბერძნებსა და ბიზანტიის ქართულ მონასტრებში მცხოვრებ ქართველებს შორის.

ეფრემ მცირე გარდაცვლილა XI საუკუნის მიწურულს.

ეფრემი ფრიად განათლებული და მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მან მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია შუა საუკუნეების ამ პერიოდის მეცნიერების ბევრ დარგს.

იგი დიდ და ნაყოფიერ მთაგრმნელობით საქმიანობას ეწეოდა და შეუქმნია თარგმნის საკუთარი თეორია და სკოლა, რაც საფუძვლად დაედო საქართველოში ამ მიმართულებით შემდგომ მუშაობას საუკუნეთა მანძილზე.

ეფრემ მცირეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემუშავების საქმეში. ამ ტერმინთა დიდმა უმრავლესობამ დღევანდლამდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა.

ეფრემ მცირეს ფილოსოფიური მოღვაწეობა შუა საუკუნეთა ორი დიდი მოაზროვნის **ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა** და **იოანე დამასკელის** მოძღვრების ქართულ სინამდვილეში შემოტანითა და გავრცელებით არის განსაზღვრული. მან ჯერ დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი **თხზულებების კორპუსი** თარგმნა

ძთლიანად და შემდეგ იოანე დამასკელის **„ცოდნის წყარო“**. ორივე მათგანის შეხედულებანი წარმოადგენს ანტიკური ფილოსოფიის მონოთეისტურ გადამუშავებას, მაგრამ ორივეში, განსაკუთრებით არეოპაგიტიკაში, დარჩა პრინციპული იდეები, რომლებმაც შეინარჩუნეს თავისი ანტიკური მნიშვნელობა და შეასრულეს პროგრესული როლი შუა საუკუნეებისა და შემდეგი ახალი დროის ფილოსოფიის განვითარებაში.

ამას გარდა, მონოთეისტურ შეხედულებებთან შეგუებული იდეები აღვიძებდა ინტერესს უშუალოდ ანტიკური ფილოსოფიისადმი.

ქართული ფილოსოფიის განვითარების შემდგომ ეტაპზე, რომელიც უშუალოდ თან სდევდა ეფრემ მცირეს, ქართულ ენაზე მისი ზეგავლენით ითარგმნა **ნეოპლატონიკოს პროკლეს** მთავარი ფილოსოფიური თხზულება, რის საფუძველზეც მოხდა ეფრემის მოწაფის იოანე პეტრიწის შეხედულებათა ჩამოყალიბება. **ეს კი ნეოპლატონიზმის მონოთეიზმთან შეთანხმების მეორე ცდა იყო ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში.**

შალვა ნუცუბიძის დაკვირვებით, ეფრემ მცირე **„უმეტეს ნაწილში“ იოანე დამასკელის „თვალსაზრისს იზიარებდა“, მაგრამ „საზოგადოებრივმა განვითარებამ თავისი ქნა და ეფრემ მცირემ დაარღვია დამასკელისეული დაქვემდებარების, სუბორდინაციის პრინციპი ფილოსოფიასა და თეოლოგიას შორის.** მან შემოგვთავაზა ამ ურთიერთობის ახლებური გაგება: „თეოლოგიასა და ფილოსოფიას შორის არა დაქვემდებარების, არა სუბორდინაციის, არამედ შერწყმისა, კოორდინაციის ურთიერდამოკიდებულების შესახებ. როგორც ფილოსოფია საჭიროებს თეოლოგიას, ისე თეოლოგია — ფილოსოფიასო“, — აცხადებს ეფრემ მცირე.

დასასრულ, მინდა შემოგთავაზოთ ეფრემ მცირეს ერთი გონივრული შეგონება, რასაც ყველა დროში ექნება გამოყენება; ეფრემის აზრით, **„საფილოსოფო სწავლაი“ არის იარაღი („ისარი“), რომლითაც შეიძლება „გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა“ ძლევა და მოწინააღმდეგის კამათის („სიტყვის-გებაი წინააღმდგომთაი“) უკუგდება.**



იოანე პეტრიწი

ვარნა ელვარებითა ეპოხა მჭერმეთქვეობისა იწყო იოანე პეტრიწმან“; იოანე იყო **„ჭეშმარიტი ფილოსოფოსი, ფრიად საყვარელი მოლექსე საქართველოსა შინა, სრულის აზრით იყო დიდი და ჩინებული კაცი დროისა თვისისა... ჰპოვა ჩინებულება და პატივისცემა არა მხოლოდ თანამედროვეთა თვისთა, არამედ ყოველთა განათლებულთა შთამაობათა თვისისა მამულისათა“** — ასე აფასებდა იოანე პეტრიწის ღვაწლს ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი **სოლომონ დოდაშვილი**, რომელსაც შესწავლილი ჰქონდა პეტრიწის შემოქმედება.

ანტონ ბაგრატიონი პეტრიწს „საღმრთო ფილოსოფოსად“ და ფილოსოფოსთათვის მისაბაძ მაგალითად თვლიდა. უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ მის მოღვაწეობას **ტიმოთე გაბაშვილი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე**, აკადემიკოსი **თ. უსპენსკი, სერგი გორგაძე** და სხვა.

და მართლაც, იოანე პეტრიწი შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ფილოსოფოსებზე და მწერლებზე, მათ შორის უპირველეს გენიოსზე — შოთა რუსთველზე.

სამწუხაროდ, მისი ბიოგრაფიიდან ცოტა რამ არის ჩვენთვის ცნობილი.

იოანე პეტრიწი დავით აღმაშენებლის ეპოქის მოღვაწეა. მისი ახალგაზრდული წლებისა და განათლების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. ცხოვრების გარკვეული ნაწილი მან გაატარა ბიზანტიაში, კონსტანტინეპოლში, სადაც იმ დროს მანგანის აკადემიაში კათედრას უძღვებოდა ცნობილი მოაზროვნე **იოანე იტალოსი** და კითხულობდა ფილოსოფიის კურსს. როგორც ვარაუდობენ, იოანე აკადემიაში იტალოსის ლექციებს ისმენდა და მისი თანამოაზრეც გამხდარა. ჩვენამდე მოაღწია დოკუმენტმა, სადაც მას იტალოსი „უსწავლულეს" პიროვნებას, მეგობარს და მისი შეხედულებების გაბედულ და ხმამაღალ პროპაგანდისტს უწოდებს.

კონსტანტინეპოლიდან იოანე პეტრიწი გადასახლებულა **პეტრიწონის** ქართულ მონასტერში, რომელიც იმ დროს დაარსდა, როცა იტალოსი გაასამართლეს და მის მიმდევრებს მკაცრი დევნა დაუწყეს. თავისი ზედწოდება **პეტრიწი** იოანემ ამ მონასტრის სემინარიაში გატარებული რამდენიმე წლის გამო მიიღო.

იტალოსის თანამოაზრეობის გამო პეტრიწი დევნასა და შევიწროვებას განიცდიდა ბერძენთა და ქართველთა მხრიდან, რასაც თავადაც აღასტურებს. ამას იგი ხსნის მდევნელთა ორმაგი უვიცობით, ორმაგი „სენით", ერთი მხრივ, ისინი „უმეცრები" იყვნენ მეცნიერებაში (როგორც დღესაც ხდება ხოლმე), მეორე მხრივ, მათ საკუთარი უმეცრებაც არ ჰქონდათ შეგნებული. აქ პეტრიწი იმოწმებს **სოკრატეს** ერთ შეგონებას: **„ძნელი არს სენი, არამედ უფიცხეს [ძნელ არს] უმეცრებაჲ სენისაჲ"**.

საბოლოოდ, დავით აღმაშენებლის მოწვევით, პეტრიწი საქართველოში, **გელათში** დაბრუნდა და აქ განაგრძო სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. სარწმუნოების საკითხში უჩვეულო ტოლერანტობით გამორჩეულმა მეფემ პეტრიწს აზროვნების და მოღვაწეობის საკმაო თავისუფლება მიანიჭა. დევნით გამოწვეული მწუხარების შემდეგ პეტრიწი კმაყოფილებით გამოთქვამს იმედს, რომ მეფე დავითის წყალობასა და თანადგომას „მინდობილი" გააგრძელებს მუშაობას თავისი „შეძლებისაებრ და ძალისა" მიხედვით.

პეტრიწი **ნეოპლატონიზმის** მიმდეკარია.

იოანე პეტრიწის შესახებ პირველი საგანგებო და ძალალი დონის გამოკვლევა ეკუთვნის **ნიკო მარს**. მან დიდი შრომა გასწია, რათა ნათელი გაეხადა პეტრიწის განსწავლულობის სიღრმე მთელი ანტიკური კულტურის და არა მხოლოდ ფილოსოფიის და, კერძოდ, ნეოპლატონიზმის მიმართულებით. მას, მიუთითებდა ნ. მარი, მასალით ამარაგებენ ჰომეროსი და პესიოდე, მისი ავტორიტეტები არიან ჰიპოკრატე, ემპედოკლე, პარმენიდე. ძალიან ხშირად იმოწმებს პლატონს, რომელსაც მოიხსენიებს როგორც დიდსა და ღვთაებრივს. სოკრატეს სახელი არ სცილდება პეტრიწის ფილოსოფიური თხზულების ფურცლებს. თუმცა პეტრიწი ხშირად იმოწმებს არისტოტელესაც, მაგრამ მის ავტორიტეტებს პლატონი, პლოტინი და პროკლე წარმოადგენენ. იგი იხსენიებს პორფირიუსსა და იამბლიხოსსაც.

პეტრიწის ერუდიციამ და განსწავლულობამ ანტიკურ ლიტერატურაში, მითოლოგიასა და პოეზიაში **„უდიდესი გავლენა მოახდინა ძველი ქართული მწერლობის შინაარსზე“** და ამით ხელი შეუწყო მასში საერო მიმართულებების წარმოქმნას და განმტკიცებას, ხოლო ნეოპლატონიზმმა, რომელიც **„მოიცავდა ყველა ფილოსოფიებს და ყველა რელიგიებს“**, გააფართოვა ქართველი საზოგადოების გონებრივი ჰორიზონტი და გააძლიერა ლიტერატურული ურთიერთობანი ისლამის ქვეყნებთან“ (ნ. მარი).

კანონზომიერად ეღერდა მარის გამოკვლევის დასკვნითი ნაწილი: **„ქართველები X და XI საუკუნეებში დაინტერესებულნი იყვნენ ფილოსოფიის დარგში იმავე კითხვებით, რომლებითაც გატაცებულნი იყვნენ მოწინავე მოაზროვნეები, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში, მხოლოდ იმ განსხვავებით სხვებისაგან, მაგ., ევროპელებისაგან, რომ მაშინ ქართველები სხვებზე ადრე ეხმაურებოდნენ ფილოსოფიური აზრის უახლოეს მიმდინარეობებს და მუშაობდნენ თავისი დროისათვის სანიმუშო ტექსტუალური კრიტიკით კარგად შეიარაღებულნი უშუალოდ ბერძნულ დედნებზე“**.

ნიკო მარმა დაადგინა პეტრიწის ბიოგრაფიის ერთი ფაქტი, რომელმაც ნათელი მოპფინა პეტრიწის ბიზანტიაში მოღვაწეობის თავისებურებასა და მნიშვნელობას.

აკადემიკოს თ. უსპენსკის მიერ ვენაში მიკვლეულ საბუთში, რომელიც წარმოადგენს იოანე იტალოსის წერილს ვინმე „აფხაზისადმი", აღრესატი დახასიათებულია, როგორც მისი მეგობარი და **„უსწავლულესი პიროვნება, იტალოსის იდეების „ყველაზე ხმამაღალი და გაბედული პროპაგანდისტი"**. მარმა დაასაბუთა, რომ ამ პიროვნებაში პეტრიწი უნდა იგულისხმებოდეს (ეს ცნობა მეტყველებს იმაზეც, რომ მაშინდელი აფხაზები ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც მეგრელები, კახელები და ა.შ. ასე აღიქვამდნენ მათ უცხოელები — **ვ.შ.**). ეს დასკვნა იძლეოდა საფუძველს შეხედულებისათვის ქართულ წყლილზე იმ „ბარბაროსულ" ელემენტში, რომელიც ნ. მარის თქმით, საერთოდ ასრულებდა მნიშვნელოვან როლს ბიზანტიის კულტურის ფორმირებაში და, კერძოდ, XI საუკუნის ფილოსოფიის აღორძინებაში (შ. ხიდაშელი).

1914 წელს ივანე ჯავახიშვილი წერდა, რომ ეს ხანა საქართველოში **„იმ მხრივ არის განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ამ დროს მოწინავე ქართველთა გონებრივმა სამფლობელომ აზროვნების უმწვერვალეს ხარისხს მიაღწია და საფილოსოფოსო მწერლობას დაეწაფა... ერთი სიტყვით, ქართველობამ ელინური შემოქმედების ნიმუშები იგემა და დაეწაფა იმ ცხოველმყოფელს ელინიზმს, რომლის ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთ ევროპაში ე.წ. „რენესანსი" წარმოშვა. საქართველოში ეს მოძრაობა უკვე XII საუკუნეში დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა"**.

მაღალ შეფასებას აძლევდა იოანე პეტრიწის შემოქმედებას **კორნელი კეკელიძე**. იგი მიუთითებდა, რომ „იოანე პეტრიწს ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის ჩვენში; მან არამც თუ შექმნა ჩვენში ფილოსოფიური აზროვნება და მიმართულება, არამედ შესაფერისი ფილოსოფიური ენა, სტილი და ტერმინოლოგიაც შემოიღო".

იოანე პეტრიწის ყველაზე ღრმა მკვლევარი, დიდი ქართველი მეცნიერი, შალვა ნუცუბიძე ამოდიოდა დებულებიდან, რომ იოანე პეტრიწის შეხედულებანი აღმოცენებულია ნეოპლატონიზმის საფუძველზე და წარმოადგენს ნეოპლატონიზმს, აღორძინებულს, განვითარებულს „ქართული რენესანსის" პირობებში. შ. ნუცუბიძე აფართოებს ქართული რენესანსის ცნებას, ამუშავებს აღმოსავ-

ლური რენესანსის თეორიას და წამოაყენებს დებულებას, რომ შუა საუკუნეების პროგრესულ ფილოსოფიურ მიმართულებას და რენესანსის თეორიულ საფუძველს აღმოსავლეთშიც, დასავლეთშიც და საქართველოშიც წარმოადგენს ნეოპლატონიზმი და მისი გადამუშავებული ფორმა ფსევდოდიონისეს მოძღვრების სახით. შ. ნუცუბიძე მიუთითებს, რომ პეტრიწი საქართველოში აგრძელებს ბიზანტიაში შეწყვეტილ რენესანსს და უფრო შორს მიდის. ის **„ცდილობს ეკლესიის მოძღვრებანი შეუგუოს ფილოსოფიას“**. ქართველი მოაზროვნე მიმართავს „აგზნებულ წარმართს“, პროკლეს, რომელიც თხზავდა ჰიმნებს მნათობებისა და განსაკუთრებით მზის სადიდებლად. პეტრიწი ახდენს ქრისტიანობის შეგუებას ძველ რელიგიასთან“

XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში შ. ნუცუბიძემ წამოაყენა დებულება „პანთეისტურ მატერიალიზმზე“, როგორც ძველი ქართველი ფილოსოფიური აზრის განვითარების „პროგრესულ მიმდინარეობაზე“, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფუძემდებლად წარმოდგება იოანე პეტრიწი.

იოანე პეტრიწმა თარგმნა **პროკლეს** მთავარი თხზულება **„თეოლოგიის პირველსაფუძვლები“**, რომელიც უძველესია ამ თხზულების თარგმანებს შორის. დასავლეთში ეს წიგნი XII-XIIIსს. მიჯნაზე თარგმნეს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პეტრიწის მთავარი თხზულება **„განმარტებაი პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“** — გამსჭვალულია ანტიკური ფილოსოფიის სულით და როგორც ნ. მარი წერდა, იოანე პეტრიწი ამ თხზულებაში „განუწყვეტლივ ტრიალებს არა მხოლოდ ნეოპლატონიკურს, არამედ ანტიკური პოეტებისა და ფილოსოფოსების სამყაროში“. ცნობილი მოაზროვნე **ალ. ლოსევი** წერს პეტრიწზე, როგორც „შესანიშნავ სახელზე“, მოაზროვნეზე, რომელმაც **„მოგვცა პროკლეს ტრაქტატის შემოქმედებითი გადამუშავება და რომელმაც შეძლო პროკლეს ფილოსოფიის ღრმა ცოდნა და გაგება შეეთავსებინა თავისი საკუთარი ფილოსოფიური თეორიების არაჩვეულებრივ ორიგინალობასა და სიღრმესთან“**.

ცნობილი ევროპელი მოაზროვნე **ნიკოლაუს კუზანელი** წერდა,

რომ სამი დებულება — „ყოველივე არის ყოველივეში“, „ღმერთი ყოველივეს მეშვეობით არის ყოველივეში“ და „ყოველივე ყოველივეს მეშვეობით არის ღმერთში“ — ერთსა და იმავე აზრს წარმოადგენს და არსის უნივერსალურ თვისებას გამოხატავს.

იოანე პეტრიწი რამდენიმე საუკუნით ადრე იდგა იმავე თვალსაზრისზე და იმავე შეხედულებას ავითარებდა „ყოველი, ყოველსა შორის არს, ყოველნი მყოფნი პირველ პირველსა მყოფსა ეტრფიან“ და მარადიულად არსებობენ („სამარადისოობენ“) პირველი მყოფის „წესისა მიერ“.



არსენ იყალთოელი

დიდი ქართველი მოაზროვნის, ფილოსოფოსისა და მწერლის **არსენ იყალთოელის** სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული დავით აღმაშენებლის ეპოქასთან. არც ის არის შემთხვევითი, რომ ქართველობამ სწორედ მას ანდო დიდი მეფის საფლავის ეპიტაფიის შეთხზვა:

„ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა იქით გამესხნეს,
თეგზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს“.

ანტონ ბაგრატიონი არსენს პეტრიწის გვერდით აყენებდა და საგანგებოდ ხაზს უსვამდა მის დამსახურებას მონოფიზიტობის წინააღმდეგ. ასევე დიდ შეფასებას აძლევდა მის მოღვაწეობას სოლომონ დოდაშვილი, XIX საუკუნის ცნობილი ქართველი მოაზროვნე. ეფრემ მცირედან მოყოლებული ქართული ფილოსოფიური აზროვნება ორ ნაკადად დაიყო — ნეოპლატონიზმისა და არისტო-

ტელიზმის მიმდევრებად. ნეოპლატონიზმის წარმომადგენელი იყო იოანე პეტრიწი, არისტოტელიზმისა — პეტრიწის თანამედროვე და ეფრემ მცირეს მოწაფე, არსენ იყალთოელი.

ბიოგრაფიული ცნობები არსენ იყალთოელის შესახებ ასევე ძალზე მწირია.

არსენ იყალთოელს უსწავლია მანგანის აკადემიაში, მოღვაწეობდა შავ მთაზე, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი **გელათში, შიომღვიმესა** და **იყალთოში,** სადაც მას **აკადემიაც** დაუარსებია. სახელი **იყალთოელიც** აქედან შეერქვა (უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილი არსენ იყალთოელი და არსენ ვაჩეს ძე ერთი და იგივე პირია. ვაჩესძე ან გვარია, ან მამის სახელი, იყალთოელი კი წარმოშობის ან მოღვაწეობის ადგილი).

არსენი იყო XI-XII საუკუნეების მიჯნის მოღვაწე, ასევე დავით აღმაშენებლის (1089-1125) თანამედროვე და მეფესთან დიდად დაახლოებული პირი, რაც თავისთავად მეტყველებს მის ავტორიტეტსა და მნიშვნელობაზე ერის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. ამის დამადასტურებელია მისი მონაწილეობა დავით IV-ის მიერ მოწვეულ ბოლო საეკლესიო კრებაზე 1123 წელს, როგორც **„მთარგმნელი და მეცნიერი ბერძენთა და ქართველთა ენათა და განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა“** (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი). ეს კრება, რომელსაც დავით მეფეც ესწრებოდა, ეხებოდა **მონოფიზიტებსა** და **დიოფიზიტებს** (ქალკედონისტებს) შორის არსებულ სადავო საკითხებს. არსენი იცავდა დიოფიზიტების პოზიციებს.

კამათი („სიტყვის-გება“) დიდხანს გაგრძელებულა. საბოლოოდ დავითსა და არსენს არ გასჭირვებიათ თავიანთი მჭერმეტყველებით და მაღალი აზროვნებით მონოფიზიტობის დამცველთა დამარცხება (ესენი იყვნენ ძირითადად სომეხი მღვდელმთავრები).

არსენის სახელთანაა დაკავშირებული მთავარი თხზულება **„დოგმატიკონი“,** რომლის მიზანი იყო დოგმატების დაცვისა და ერეტიკოსების თეორიული უკუგდების ძირითადი საყრდენი როლის შესრულება. „დოგმატიკონში“ შესულია არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი სხვადასხვა ავტორიტეტულ მოღვაწეთა ნაშრო-

მები (მაგ.: **ანასტასი სინელის „წინამძღვარი“, იოანე დამასკელის „ცოდნის წყარო“, თეოდორე აბუკურას ტრაქტატები, მიქაელ პსელოსის „პირმშოისათვის“, ევსტატი ნიკიელის თხზულებანი** და სხვ., აგრეთვე საკუთარი კომენტარები და მოსაზრებები ამ თხზულებებზე და ა.შ. (შ. ხიდაშელი)).

არსენს უდიდესი წვლილი მიუძღვის როგორც განათლების ორგანიზატორს და მასწავლებელს. იგი ასწავლიდა გელათის აკადემიაში, შიომღვიმეში, მრავალი თაობა აღზარდა თავის დაარსებულ იყალთოს აკადემიაში, რითაც დიდი წვლილი შეიტანა განათლებისა და სწავლა-აღზრდის საქმეში.

მისი თხზულებანი და თარგმანები დიდ ზეგავლენას ახდენდნენ ქართული ფილოსოფიური და საეკლესიო აზროვნების განვითარებაზე შემდგომ საუკუნეებში.



დავით IV ალმაშენებელი და გიორგი ჭყონდიდელი

საქართველო XI საუკუნის 60-70-იანი წლებიდან არნახული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რაც მომთაბარე და ველური ტომების თურქ-სელჯუკების ლაშქრობით იყო გამოწვეული. სულთნების ალფარსლანისა და მალიქშაპის ლაშქრობებმა, ხოლო შემდეგ 1080 წელს დაწყებულმა „დიდმა თურქობამ“ საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე მიიყვანეს. XI საუკუნის მეორე ნახევრისათვის თურქ-სელჯუკებს დაპყრობილი ჰქონდათ უზარმაზარი ტერიტორია — შუა აზია, ირანი, არაბეთის ერაყი, სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, მცირე აზიის უდიდე-

სი ნაწილი, ბიზანტიის იმპერიის ზოგიერთი ადგილი.

„**დიდ თურქობას**“ თან დაერთო კიდევ ერთი დიდი უბედურება — 1088 წელს საქართველოში მოხდა არნახული მიწისძვრა, რომელმაც თითქმის მთლიანად დაანგრია ქვეყანა (მთელი წლის განმავლობაში ირყეოდაო მიწა, მოგვითხრობს მემატიანე)..

ამ პერიოდში, ასეთ არასახარბიელო ვითარებაში, იწყებს მეფობას ქართველ მეფეთა შორის უდიდესი და უნიჭიერესი **დავით IV**, ერისაგან „**აღმაშენებლად**“ წოდებული.

როგორც დავით მეფის ისტორიკოსი გადმოგვცემს, 1089 წელს 35 წლის გიორგი II-მ (1072-1089 წ.წ.) თავი დაანება მეფობას (როგორც ჩანს, არა თავისი ნებით) და თავის ერთადერთ ვაჟს დავითს „დაადგა გვირგვინი მეფობისა“. დავითი ამ დროს 16 წლის ყოფილა. მის აღზრდაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სწორედ **გიორგი ჭყონდიდელს** - ბრძენ და უგონიერეს სახელმწიფო მოღვაწეს, რომელმაც ჩაუნერგა დავითს ბევრი ის საჭირო თვისება, რომელიც მეფემ შემდეგ გამოამჟღავნა. მისი ისტორიკოსის თქმით, იგი იყო „**კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთათა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სვიანი და ფრთხილი, თანააღზრდილი პატრონისა და თანაგამკაფელი ყოველთა გზათა საქმეთა და ღვაწლთა მისთა**“. იგი „ვითა მამა არს მეფისა აგრე ყველა სიურავი უმისოდ არ იქნების“.

დავითის წინაშე ორი უმთავრესი ამოცანა იდგა: ქვეყნის აწეწილ საშინაო საქმეთა მოწესრიგება და თურქ-სელჩუკთა საქართველოდან განდევნა.

ახალგაზრდა მეფე ჯერ პირველი ამოცანის გადაწყვეტას შეუდგა.

დავითმა თავის გარშემო შემოიკრიბა ერთგული და გამოცდილი ერისკაცნი, რომელთა შორის აღსანიშნავი იყვნენ მეფის მწიგნობართუხუცესი მისი აღმზრდელი **გიორგი** და მეფის მოძღვარი **არსენი**.

პირველი რიგის ამოცანად მაინც დასახულ იქნა საკუთრივ ქართლის გაწმენდა ჩამოსახლებულ თურქთაგან („მოოხრებულ იყო ქართლი“) და აყრილ-გაქცეული მოსახლეობის მამა-პაპათა ნასახლარებზე დაბრუნება.

დავითმა დიდი რუდუნებით, ნელ-ნელა მოაგროვა გაბნეული და დაქსაქსული ქვეშევრდომები და მათგან სამხედრო რაზმები შეადგინა. მან **„ნიანია კახაბერის ძეცა და სხუანიცა აზნაურნი მცირედ შემოკრიბა სადმე დაშთომილნი“.**

ეს პატარა სამხედრო გუნდები თავს ესხმოდნენ ქართლში ჩამომსხდარ თურქებს, ერეკებოდნენ მათ და აყრილ და დაშინებულ მოსახლეობას უკან დაბრუნების საშუალებას აძლევდნენ. ამან სასურველი შედეგი გამოიღო.

ნელ-ნელა „სოფელთავეცა იწყეს შთამოსვლად და დასხდომაი“. ამ ენერგიულ და გონივრულ ღონისძიებათა შედეგად ქვეყანამ ფეხზე დადგომა დაიწყო. ამრიგად, პირველი ოთხი წლის განმავლობაში დავითი ძირითადად ქვეყნის მოშენებისა და დაწყნარებისათვის ზრუნავდა, ძალებს იკრებდა.

1092 წელს **„მოკუდა სულტანი მალიქშა“** და ტახტზე ავიდა **ბარქიაროკი,** რომლის დროსაც თურქ-სელჯუკთა ძლიერება მნიშვნელოვნად დაქვეითდა. დავითს კარგად ესმოდა, რომ თურქთა წინააღმდეგ ფართო შეტევაზე გადასვლისათვის საჭირო იყო ურჩი ფეოდალების მორჯულება, ქვეყანაში მტკიცე წესრიგის დამყარება, ერთგულთა დაწინაურება.

1093 წელს ბაღვაშთა საგვარეულოს უფროსმა, კლდეკარის ერისთავმა **ლიპარიტ ამირამ** „იწყო მათვე მამულ-პაპურთა კუალთა სვლა, რამეთუ ზაკვდა წინაშე მისსა“ დავით IV-ს მამისაგან განსხვავებით, მტკიცე ხასიათი ჰქონდა და ქვეყნის მტრების მიმართ დაუნდობელი იყო. ამიტომ მან „ინება გაწურთვნა“ ლიპარიტისა, რომელიც უმალვე შეპყრობილ იქნა. ლიპარიტმა მოინანია ცოდვები და შუამდგომელთა მეცადინეობით დავითმა იგი გაათავისუფლა და კვლავ დაუბრუნა საერისთავო. მაგრამ შემდგომში ლიპარიტმა თავისი სიტყვა და ფიცი გატეხა. მაშინ კი, როცა დავითი დარწმუნდა, რომ **„კუდი ძაღლისა არ განიმართების და არცა კირჩხიბი მართლად ვალს“,** 1095 წელს ლიპარიტი ისევ შეიპყრო და ორი წლის პატიმრობის შემდეგ (1097 წ.) ბიზანტიას გააძევა. 1103 წელს კი, როცა გარდაიცვალა ლიპარიტის შვილი რატი, დავითმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო და იგი თავისად დაიჭირა.

ლიპარიტის მსგავსად, დავითმა მამულები ჩამოართვა ერისთავ

ძაგან აბულეთისძეს და მის ძმას ეპისკოპოს მოდისტოს და ორივე ციხეში ჩაყარა. ასეთი ქმედებით დავითმა დიდად დაასუსტა ოპოზიცია და ეს კარგი მაგალითი გამოდგა სხვა ურჩებისთვისაც.

დავითის ნაყოფიერ მოღვაწეობას ხელი შეუწყო ხელსაყრელმა საგარეო პოლიტიკურმა სიტუაციამ — დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყო მაჰმადიანთა წინააღმდეგ (1095 წ.), რამაც საგრძნობლად შეასუსტა თურქ-სელჯუკები. — „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აიღეს იერუსალიმი და ანტიოქია". ეს ყველაფერი 1097-1099 წლებში მოხდა. დავითი, როგორც ჩანს, კარგად იყო ინფორმირებული ყოველივე ამის შესახებ და შესაბამისადაც მოქმედებდა.

როცა უკვე **„მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განიმრავლა სპანი და არღარა მისცა სულტანსა ხარჯა"**. ამრიგად, 1099 წელს დავითმა კვლავ აღადგინა ქვეყნის დამოუკიდებლობა, ხარკის ძლევა შეუწყვიტა თურქ-სელჯუკებს, რომლებიც ამიერიდან „ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლსა"

რაკიღა თურქ-სელჩუკები შეჩერებულ და ალაგმულ იქნენ, დავითმა ახლა ფიქრი დაიწყო საქართველოს საზღვრების გაფართოებაზე. საქართველოს საზღვრებს გარეთ მხოლოდ კახეთ-ჰერეთი და თბილისის საამირო იყო დარჩენილი. დავითმა კახეთის შემოერთებით დაიწყო. გავიხსენოთ, კახეთ-ჰერეთი 1008-1010 წლებში შემოიერთა ბაგრატ III-მ, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ (1014 წ.) გიორგი I-ის მცირეწლოვანებით ისარგებლეს მოღალატე აზნაურებმა და კახეთ-ჰერეთი კვლავ განუდგა მეფეს. ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის ბრძოლები ამ მხარის შემოსაერთებლად ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

1101 წელს დავით IV-მ შეურჩია მოხერხებული დრო და კახეთის მეფეს კვირიკეს **ზედაზნის** ციხე „წარუღო". მალე, 1102 წელს, კვირიკე მეფე გარდაიცვალა და მის ადგილას დაჯდა მეფის უნიჭო ძმისწული აღსართანი. სანამ კახეთ-ჰერეთის შემოსაერთებლად გადამწყვეტ ბრძოლას დაიწყებდა, დავითმა იქ თავისი მომხრეების გამრავლება დაისახა მიზნად, ხოლო მოცემული დროის შუალედში საეკლესიო საქმეთა მოგვარება ინება. დავითმა გადაწყვიტა ეკლესიის დაქვემდებარება მეფის მმართველობისათვის და

მისი ჩაყენება ქვეყნის გაერთიანების, ზნეობის და აღმავლობის სამსახურში. ეკლესიაშიც მრავლად იყვნენ როგორც მეფის მომხრენი, ასევე მისი მოწინააღმდეგენი, რომლებიც მრავალ უზნეობას ჩადიოდნენ. დავითის ისტორიკოსის თქმით, ამ დროს „**წმინდანი ეკლესიანი, სახლნი ღმერთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნენ**".

1104 წელს დავით IV-მ საგანგებოდ წინასწარ ჩატარებული თეორიული და ორგანიზაციული მომზადების შემდგომ მოიწვია **რუის-ურბნისის** საეკლესიო კრება. კრების მიზანი იყო ეკლესიაში მოკალათებული მეფის მოწინააღმდეგე დასის განდევნა და უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებზე მეფის მომხრეთა აღზევება. ამ საქმეში დავითს უდიდესი მხარდაჭერა აღმოუჩინეს **გიორგი მწიგნობართუხუცესმა, იოანე კათოლიკოსმა, მამა ევსტატემ, არსენ ბერმა** და სხვებმა. განსაკუთრებული როლი კრების მუშაობაში შეასრულა გიორგი ჭყონდიდელმა. მან მეფესთან ერთად მიზნად დაისახა ეკლესიის ჩაყენება სახელმწიფოს და ზნეობის სამსახურში, იქ არსებული უწესრიგობის აღმოფხვრა (ხელდასხმის წესის დარღვევა, საეკლესიო ქონების განიავება „მცირეწლოვანთა" (12 წლამდე) ქორწინება და სხვ.).

რუის-ურბნისის კრების „ძეგლისდებით":

1. შეიცვალნენ მღვდელმთავარნი;
2. დაწესდა წლოვანების ზღვარი ხელდასხმისათვის (35 წელი — ეპისკოპოსთათვის, 30 — მღვდელთათვის, 25 — დიაკონთათვის, 8 — წიგნის მკითხველთათვის).
3. აიკრძალა ხელდამსხმელის მიერ ხელდასხმულისაგან „ქრთამისა და დაფასის" მიღება.
4. აიკრძალა უეკლესიო ნათლისცემა და ქორწინება;
5. კათოლიკოსსა და ეპისკოპოსთ დაევალათ ქორეპისკოპოსებად „სჯულისა და საღვთო წიგნთა მეცნიერთა" არჩევა;
6. აიკრძალა მეორედ გვირგვინის კურთხევა და ა.შ.

რუის-ურბნისის კრების გადაწყვეტილებით ეკლესიიდან განდევნილ იქნენ უღირსი მღვდელთმსახურნი და მათ მაგიერ ღირსეულნი დანიშნეს: „**უღირსად გამოჩინებულნი განკუეთეს და შეაჩუენეს, გარდამოსთხინეს საყდართაგან**".

დავითმა ეკლესიაზე თავისი უფლებების განსამტკიცებლად გა-

აერთიანა **მწიგნობართუხუცესისა** და **ჭყონდიდელის** (საეკლესიო) თანამდებობა.

დავითის ნებით, გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი მეფის შემდეგ პირველი პირი გახდა საერო საქმეებში და კათოლიკოსის შემდეგ ასევე პირველი პირი სასულიერო საქმეებში. დავითი მისი შეშვეობით ერეოდა საეკლესიო საქმეებშიც და ეკლესიას კარნახობდა თავის ნებას. ამასთანავე დავითმა გააორმაგა ზრუნვა ეკლესია-მონასტრებზე და დიდი შეღავათები მიანიჭა მათ.

დავითმა გაატარა სამთავრობო რეფორმა და შექმნა უმაღლესი სახელმწიფო მთავრობა - **სავაზირო**, რომელიც მთლიანად ემორჩილებოდა მეფეს. მან ძირითადი სამოხელეო უწყებანი (საშინაო, ფინანსთა, სამხედრო) გამოყო სხვა დარგებისაგან და ისინი უშუალოდ მეფის ვაზირს - მწიგნობართუხუცესს - ჭყონდიდელს დაუქვემდებარა, მათი მეთაურები კი წინ წამოსწია სხვებთან შედარებით. პირველი ვაზირი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო, ბოლო - მსახურთუხუცესი.

მნიშვნელოვანი რეფორმა მოახდინა დავით IV-მ სასამართლო საქმეში. შეიქმნა უმაღლესი სააპელაციო **„საჯო კარი“**, სადაც მეფემ სამი მოსამართლე დასვა: **მწიგნობართუხუცესი, უფროსი** (საწოლისა) **და ზარდახნის** მწიგნობარნი.

„საჯარო კარის“ მუშაობას თვით მეფე მეთვალყურეობდა და აკონტროლებდა.

დავითმა მანდატურთუხუცესის უწყებასთან (შინაგან საქმეთა აპარატი) შექმნა **მსტოვართა** (მზვერავთა) ინსტიტუტი, რომლებიც ყველანაირი ინფორმაციით ამარაგებდნენ მეფეს და მტკიცედ იცავდნენ ქვეყნის უშიშროებას. სამხედრო რეფორმის შედეგად დავით IV-მ ქართული ლაშქარი სამ ნაწილად გაპყო: ერთ ნაწილს მეფის გვარდია (მონასპა) წარმოადგენდა, მეორე ნაწილს მეციხოვნენი შეადგენდნენ, რომელთა მოვალეობას „ქალაქთა და ციხეთა შინა“ დგომა და მათი გამაგრება შეადგენდა, ხოლო მესამეს — საკუთრივ მოლაშქრენი, რომელნიც იყვნენ „დაუცხრომლად მიმოსვლასა ლაშქრობასსა მისსა ზამთარ და ზაფხულ“.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შემდეგ დავითმა მედგრად შეუტია კახეთ-ჰერეთს. მალე მისმა მომხრე აზნაურებმა ქავთარ

და **ბარამ არიშიანებმა** შეიპყრეს **აღსართან** კახთა მეფე და დავითს გადასცეს, რის შემდეგაც მეფემ უმალ დაიკავა კახეთი და პერეთი. ეს 1104 წელს მოხდა.

მაჰმადიანი მფლობელები ძლიერ განარისხა დავითის მიერ კახეთ-პერეთის დაკავებამ და 1104 წელს **განძის ათაბაგის** მეთაურობით საქართველოზე გამოილაშქრეს. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა **ერწუხს** (საინგილოში). ქართველებმა იმარჯვეს. დიდი ვაჟკაცობა გამოუჩენია თავად დავითს. მეფე მთლიანად სისხლში ყოფილა მოსერილი, **„მას დღესა სამნი ცხენი გამოუკლეს და მეოთხესა ზედა მჯდომმან სრულ ყო მის დღისა ომი“**. 1104-1105 წლებში დავითმა ბრძოლებით მთლიანად დაიკავა კახეთ-პერეთი და „ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი“.

კახეთ-პერეთის შემოერთების შემდეგ დავითმა **ქვემო ქართლის** განთავისუფლება დაიწყო. 1110 წელს დავითმა **სამშვილდის ციხე** წაართვა თურქ-სელჯუკებს. ეს ციხე სამხრეთიდან ამაგრებდა თბილისს. სამშვილდის დაკარგვით შეშინებულმა თურქებმა „უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამით მეოტ იქმნნეს“. მეორე დღესვე ქართველებმა **ძერნის ციხეც** დაიკავეს.

1115 წელს დავითის ბრძანებით გიორგი ჭყონდიდელმა ჯარით **რუსთავი** გაანთავისუფლა თურქთაგან, ხოლო 1116 წელს **ტაოში** დაზამთრებული თურქნი გადარეკა საქართველოს საზღვრებს იქით.

1116 წელს დავით IV-მ თავისი შვილი კატაი მიათხოვა ბიზანტიის იმპერატორის ოჯახს, მანამდე კი თავისი მეორე ასული თამარი ცოლად გააყოლა შარვანის შაჰს მანუჩეჰრ მეორეს. შარვანის შაჰი დავითმა მაინც ვერ გადმოიბირა, რის გამოც მასთან ბრძოლა დაიწყო. 1117 წელს დავითმა ილაშქრა და აიღო პერეთის უკანასკნელი დიდი სიმაგრე **გიში**. 1117-20 წლებში დავითის შვილმა დემეტრემ და თვითონ დავითმა აიღეს **შარვანის** ციხე-ქალაქები **ქალაძორი** და **ყაბალა**. 1120 წლის მაისში დავითმა კვლავ დაარბია შარვანის ტერიტორია. მალე შარვან-შაჰს ბრძოლა გამოუცხადა **დარუბანდის** მმართველმა. შარვან-შაჰი ამ ბრძოლაში დაიღუპა და დავითმა მის ტახტზე თავისი ერთგული კაცი დასვა.

1118 წელს დავითმა თურქებს „წარუღო“ მნიშვნელოვანი ციხე-

ქალაქები ლორე და აგარანი და ამით ქვემო ქართლი მთლიანად შემოუერთა ქვეყანას.

დავითის ამ გამუდმებულმა ბრძოლებმა, უზარმაზარი მსხვერპლი მოითხოვა. მეფე ბევრს ზრუნავდა ჯარზე, მაგრამ მისი გაძლიერებისა და შევსების საკითხი მაინც დადგა დღის წესრიგში. როგორც ჩანს, ამ პერიოდში კვლავ თავი წამოჰყო ოპოზიციამაც. და დავით IV-მ გადაწყვიტა ქართულ ჯარებთან შესაერთებლად და მუდმივ სამხედრო სამსახურად ჩრდილოეთიდან გადმოესახლებინა ყივჩაყები.

ქართველები კარგად იცნობდნენ ყივჩაყებს, რომლებიც იმ პერიოდში კიევის-რუსეთის სახელმწიფოსგან ძლიერ იყვნენ შევიწროვებულნი. დავით მეფეს უკვე რამდენიმე წლის მოყვრობა ჰქონდა ყივჩაყებთან — მას მეორე ქორწინებით ცოლად პყავდა ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარაღანიძის ასული გურანდუხტ დედოფალი, რომლისაგანაც მეფეს 4 შვილი შეეძინა (თამარი, კატაი, ვახტანგი, თამარი).

1118 წელს დავითმა **„წარავლინა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თვისსა“**. ყივჩაყებმა წინაპირობად ოვსებისაგან სამშვიდობო გზის გათავისუფლება ითხოვეს. დავითი გიორგი ჭყონდიდელთან ერთად სასწრაფოდ ოვსეთს გადავიდა და მალე დაიკავა „ციხენი დარიალისა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიის მთისათანი“. ოვსი მთავრებიც იყმო მეფემ. დავითმა ოვსები და ყივჩაყნი ერთმანეთს შეარიგა, მერე ორივეს მძევლები ჩამოართვა და ყივჩაყები საქართველოში ჩამოიყვანა.

გზაში გარდაიცვალა მეფის ამაგდარი აღმზრდელი და უდიდესი პატრიოტი გიორგი ჭყონდიდელი, რომლის თანამდებობა დაიკავა **სვიმონმა**, გიორგის დისწულმა.

დავითმა ყივჩაყთა 40 ათასი ოჯახი ჩამოიყვანა საქართველოში (დაახლოებით 200 ათასი კაცი) და ისინი ძირითადად დაასახლა აღმოსავლეთ საქართველოში, თურქთა შემოსევების შედეგად დაცარიელებულ შიდა ქართლში, ჩრდილო სომხეთში, ჰერეთში და სანაპირო ქვეყნებში. ყოველ ყივჩაყურ ოჯახს თითო მეომარი უნდა გამოეყვანა. ამრიგად, გვარდიის ჩათვლით, დავითის ხელში იყო უკვე 45 ათასი კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული

მეომარი, რომელიც მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა. საერთოდ მეფის ლაშქარი 60-70 ათასი კაცისაგან შედგებოდა. მეფე ხანდახან იყენებდა **„როქის სპას“** - დაქირავებულ მეომრებს მეზობელი ხალხებიდან და ტომებიდან. განახლებული ლაშქრით მეფე გადამწყვეტი ომებისათვის ემზადებოდა. 1119 წლის ბოლოს საქართველოში საიდუმლოდ ჩამოსულა იერუსალიმის მეფე, ფრანგი ჯვაროსანი რაინდი **ბოლდუინ მეორე,** რომელსაც, როგორც ჩანს, დავითთან საიდუმლო მოლაპარაკება გაუმართავს და ისევ უკან გაბრუნებულა.

1120 წლის თებერვლიდან 1121 წლის ივნისამდე დავით IV შეუსვენებლად ებრძოდა თურქებს და ყველგან იმარჯვებდა მათზე. ქართველებმა თურქები დაამარცხეს **ბორტიასთან, აშორნიასთან, სევგელმეჯთან,** ამავე დროს, როგორც ზემოთ ითქვა, დალაშქრეს შარვანის სამფლობელოები.

1121 წლის ზამთარში, დიდთოვლობისას, აფხაზეთში მყოფი დავითი მცირე ჯარით მსწრაფლ გადმოვიდა ქართლში და **ალგეთთან** გაანადგურა თურქნი. ამავე წლის გაზაფხულზე **ბარდავთანაც** დაამარცხეს ქართველებმა თურქები.

ამ პერიოდში დავითმა, როგორც ჩანს, შეავიწროვა თბილისიც.

ყოლის მხრივ დამარცხებულმა თურქებმა გადაწყვიტეს გაერთიანება და ქართველთა სამაგალითო დასჯა. მთავარსარდლად მათ ალეპოს სულტანი, ჯვაროსნებთან ომებში სახელმოხვეჭილი **ნეჯიმ ად-დინ ილღაზი** მოუძღოდათ.

300 ათასი თურქი შემოვიდა საქართველოში თრიალეთით და **დიდგორს** დადგნენ. დიდგორის ვიწრობები მრავალრიცხოვან თურქებს ფართო მანევრირების საშუალებას არ აძლევდა. იდგა 1121 წლის 12 აგვისტო, დავითის საომარი დროშის ქვეშ 56 ათასამდე კაცი იდგა (40 ათასი ქართველი, 15 ათასი ყიჩაყი, 500 ოსი და 200 ფრანგი ჯვაროსანი). მეფის ბრძანებით ქართველებმა **ნიჩბისის ხევი** ჩახერგეს და გადაწყვიტეს ან გაემარჯვათ, ან დახოცილიყვნენ.

დავითმა პატრიოტული სიტყვით გაამხნევა თანამებრძოლნი. უცბად ქართველთა ბანაკს 200 მეომარი გამოეყო და თურქთა ბანა-

კისაკენ გაეშურა. თურქებმა ისინი მოღალატეებად მიიღეს და შუა განლაგებაში შეუშვეს. ისინი უმალ თურქებს დაერიენენ და ჟლეტა დაუწყეს. სანამ თურქები გონს მოეგნენ, დავითმა უძლიერესი იერიშები მიიტანა მტერზე, რომელიც შედრკა და უკან დაიხია. ბრძოლა 3 საათში დაამთავრდა.

1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე გამართული უდიდესი ბრძოლა დავითის გამარჯვებით დასრულდა. **„ძლევაი საკვირველი“** — ასე უწოდა დავითის ისტორიკოსმა დიდგორის ბრძოლას. თავში მძიმედ დაჭრილი ილღაზი 1123 წელს გარდაიცვალა.

ეს იყო უდიდესი ბრძოლა, რომელიც ოდესმე ქართველებს მოუგიათ.

1122 წელს დავით IV-მ ოთხასწლოვანი ბატონობისგან გაათავისუფლა **თბილისი** და აქვე გადმოიტანა სამეფო ტახტი. იმავე 1122 წელს მან განძის თურქები გაანადგურა. დავითი დიდების ზენიტში იმყოფებოდა.

1123 წელს დავით მეფემ **დმანისი** წაართვა თურქებს. 1123 წელს დაიწყო და 1124 წელს დაასრულა მეფემ შარვანის დაპყრობა - **შამახას ციხესთან** გაანადგურა დიდი სულტანი **მაჰმუდ მუჰამედის ძე**. დავითმა იმავე წელს **დარუბანდიც** აიღო და ყოველმხრივ განდევნა თურქნი.

1124 წელს დავითმა ილაშქრა სომხეთს და აიღო „ციხენი სომხეთისანი“ - **გაგი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი** და **ტალინჯაქარი**.

1124 წლის აგვისტოში დავით IV-მ თურქთაგან გაათავისუფლა სომხური ქალაქი **ანისი**, ხოლო მისი ამირა **აბელსუარი** დაატყვევა და დასავლეთ საქართველოში გაგზავნა. ისტორიკოს **მათე ურჰაელის** ცნობით, დავითმა აქ სისასტიკე გამოიჩინა და 20 ათასი კაცი გაჟლიტა. ანისშიც მეფემ თავისი მოხელე **აბულეთი** და მისი შვილი **ივანე** დანიშნა. ანისის შემდგომ დავითმა გაათავისუფლა **ვანანდისა** და **არარატის** პროვინციები და საქართველოს შემოუერთა სომხეთის დიდი ნაწილი.

ამრიგად, დავით მეფემ თავისი მოუღლელი მარჯვენით საქართველოს ააცილა ყველაზე დიდი საფრთხე - მომთაბარე თურქ-სელჯუკების ბატონობა და სრულიად გაანადგურა ისინი შინ თუ გარეთ.

დავითმა საბოლოოდ გააერთიანა საქართველო, შემოუმტკიცა მას მეზობელი ქვეყნებიც - ამიერითგან საქართველოს საზღვრები გადაჭიმული იყო **„ნიკოფსიიდან დარუბანდამდისა ზღუამდე და ოვსეთიდგან — სოერად და არაგაწამდე“.**

დავითმა გაატარა სასიცოცხლო მნიშვნელობის რეფორმები ცხოვრების ყველა სფეროში, მოაშენა და მოამრავლა ქვეყანა.

დავითმა ქართველ კაცს დაუბრუნა საკუთარი თავის რწმენა.

მთელი ცხოვრების მანძილზე წიგნს და ხმალს ვერ ელეოდა მეფე, რომელმაც ორივე საქართველოს სამსახურში ჩააყენა. თვითონ დავითი ტანად ახოვანი ყოფილა და „უშიში ვითარცა უხორცო“.

განათლებულ მეფეს კარგად სცოდნია იმდროინდელი მსოფლიო სასულიერო და საერო ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ასტრონომია. დავითის კალამს ეკუთვნის მაღალნიჭიერად შეთხზული „გალობანი სინანულისანი“.

1106 წელს დავით IV-მ დაიწყო **გელათის აკადემიისა** და **ტაძრის** ერთდროული მშენებლობა. კაცთმოყვარე მეფეს იქვე აღუშენებია „ქსენონი (საავადმყოფო) ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა“, სადაც ხშირად ნახულობდა ავადმყოფებს და ყურადღებას არ აკლებდა მათ - ყველას მოიკითხავდა, გადაპკოცნიდა და ამ მზრუნველობით ტკივილებს უამებდა გაჭირვებულთ.

მალე გელათი დიდი კულტურის ცენტრად იქცა. დავითმა ბიზანტიიდან მოიწვია თვალსაჩინო ქართველი ფილოსოფოსი **იოანე პეტრიწი,** გელათშივე მოიწვია **არსენ იყალთოელი.** რამდენიმე წლის შემდეგ არსენი მეფემ იყალთოს გაგზავნა, სადაც აღაშენა იყალთოს აკადემია.

ქართლში კულტურის ცენტრად **შიომღვიმის** მონასტერი აქცია მეფემ. იგი ნიჭიერ ახალგაზრდებს უცხოეთში სასწავლებლად აგზავნიდა. დავითმა თავისი კვალი დაამჩნია ცხოვრების ყველა სფეროს - სულიერსაც და მატერიალურსაც.

მთელ საქართველოში დადიოდა თავის ერზე უზომოდ შეყვარებული მეფე, მფარველობდა ქვრივ-ობლებს და გლახაკებს. ცალკე ქისა ჰქონია დავითს, ყოველ დღე ფულით ავსებდა და ღარიბ-ღატაკებს ურიგებდა თურმე. საყურადღებოა ისიც, რომ **იგი ქველ-**

მოქმედებას სახელმწიფო ქონებიდან კი არ ეწეოდა ზოგიერთებივით, არამედ „ხელთა თვისთა ნადირებულთა“ ე.ი. საკუთარი შრომით შეძენილი ქონებიდან.

ლეგენდებს თხზაუდა ხალხი მეფე დავითის საოცარ ღვაწლზე. ამიტომაც უწოდეს მას „აღმაშენებელი“

ანდერძი დაუწერია სიკვდილის წინ დავითს. 1125 წელს კი საკუთარი ხელით დაადგა გვირგვინი თავის ვაჟიშვილს **დემეტრეს** (1125-1156), რომელიც პირველი ცოლისგან პყავდა (სომეხთა მეფის ქალი იყო იგი).

მთელი ცხოვრება „ცოდვებს“ ინანიებდა ღვთისმოშიში და ჭეშმარიტად ქრისტიანი მეფე. ამის დასტურია **„გალობანი სინანულისანი“**. როცა ჩემი აღსასრულის ჟამი დადგესო, წერდა დავითი, **„ჟამი რაი წულილთა ამოფშვნათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, შენობანი უქმ იქმნენ, ყვავილოვნებაი დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაი, სხუასა შეუდგნენ სპანი, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო“**. მართლაც საოცარი და დავითის საკადრისი სიტყვებია!

ეს დროც დამდგარიყო — 1125 წლის 24 იანვარი, შაბათი დღე. ამ დღეს უწია მას უკანასკნელმა ბრძოლამ. **ეს იყო ერთადერთი ბრძოლა, რომელშიც დავითი დამარცხდა. მისი დამმარცხებელი კი იყო ის, ვისაც ჯერ არავინ დასხლტომია ხელიდან — სიკვდილი.** სიკვდილს წაექცია 60 ომის მომგები სახელოვანი მეფე. დავით აღმაშენებელი ღირსეულად დაიტირა დიდმა და მცირემ. დაკრძალეს იგი გელათში, ეკლესიის შესასვლელთან. ამიერიდან ქართულ დროშას **„გორგასლიან-დავითიანი“** ეწოდებოდა.

გიორგი III

დავით IV აღმაშენებლის უფროს შვილს, საქართველოს მეფე დემეტრე I-ს (1125-1156) ორი ვაჟი ჰყავდა: **დავითი** და **გიორგი**. მემკვიდრეობა კანონით დავითს ეკუთვნოდა, როგორც უფროსს. მიუხედავად ამისა, მეფის სიმპათია უმცროსი ვაჟის გიორგის მხარეზე ყოფილა. 1150 წელს დავითმა შეთქმულება მოაწყო მამის წინააღმდეგ და დამარცხდა. დემეტრემ შვილს აპატია, მაგრამ მისი მომხრეები ამოწყვიტა. მიუხედავად ამისა, დავითის მომხრენი კვლავ აჯანყდნენ და 1154 წელს დემეტრე I აიძულეს ბერად აღკვეცილიყო. დავითს სულ 6 თვე უმეფია და საიდუმლო ვითარებაში გარდაცვლილა. ქართული საისტორიო წყაროს **„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“**-ს ავტორი გადმოგვცემს, რომ დემეტრე მეფე ურჩი შვილის სიკვდილს ემუდარებოდა ღმერთს, რომელმაც ისმინა მისი ვედრება და „დავითის დღეთა შემცირებითა სრულ იყო“ დემეტრეს სურვილი. სომეხი ისტორიკოსი **ვარდანი** კი დავითის მკვლელებად ასახელებს **სუმბატ** და **ივანე ორბელებს,** რომლებიც თითქოს გიორგი უფლისწულმა მიუგზავნა თავის ძმას.

დავითის სიკვდილის შემდეგ ტახტზე კვლავ დემეტრე მეფე

დაბრუნდა, რომელმაც თანამოსაყდრედ თავისი საყვარელი შვილი **გიორგი** დაისვა: „**მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამაღლა და მამამ თავისა-თანა და თვისსა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა**“ („ისტორიანი და აზმანი“). მალე დემეტრე მეფე ბელტის ციხეში გარდაიცვალა და ტახტი დარჩა **გიორგი III-ს**, რომელმაც მამა გელათს დაკრძალა და მეფობას შეუდგა.

გიორგი III ნიჭიერი და მამაცი მეფე გამოდგა. თუ მამამისი დემეტრე I ძირითადად დავით აღმაშენებლის ნაანდერძევ მემკვიდრეობას იცავდა, გიორგი III-მ კვლავ განაახლა საქართველოს საზღვრების გაფართოებისათვის დიდი ბრძოლა.

პირველად გიორგი მეფეს **შაჰარმენის** სამფლობელო ქ.კაღზევანზე გაულაშქრია და გაუმარჯვნია. ამის შემდეგ მეფემ მთავარი ყურადღება ქ. **ანისზე** გადაიტანა. გავიხსენოთ, ანისი. 1124 წელს დაიპყრო დავით აღმაშენებელმა, მაგრამ დემეტრე I იძულებული გამხდარა ანისი ყმადნაფიცობის პირობით მაპმადიანი მმართველისთვის დაებრუნებინა. გიორგი III-მ კვლავ გადაწყვიტა ანისის დაპყრობა. 1161 წელს მეფე გიორგიმ დაამარცხა დადიანი ამირა ანისისა **ფადლონი** და მრავალიც დახოცა (ამ ამბავს ადასტურებენ არაბი ისტორიკოსი **იბნ ალასირი** და სომეხი ისტორიკოსები **მათე ურჰაელი, ვარდანი** და **სტეფანოს ორბელიანი**). გიორგიმ დაპრყობილი ანისი **ივანე ამირსპასალარს** ჩააბარა და თან 2000 რჩეული მეომარი დაუტოვა ქალაქის დაცვისათვის. ანისის კვლავ დაკარგვა დიდად განიცადეს მუსულმანმა მმართველებმა და უმალ შეადგინეს კოალიციური ლაშქარი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ხლათის მმართველი შაპარმენი, ნასირ ალ-ადინ სუქმან II, დიარბექირის მმართველი არდოხის ძე კოტბ ად-დინ ილღაზი, არზრუმის მთავარი ალ-მალიქ სალდუხი და სხვ. გიორგი III-ს მხარში ედგნენ ცნობილი სარდლები და ერისკაცნი - მწიგნობარ-თუხუცესი **იოვანე**, ამირახორი **ლიპარიტ სუმბატის ძე, ქირქიშ აბულეთის ძე, ბექა სურამელი** და სხვანი. გიორგი მეფემ ამჯერადაც სძლია მტერს და შეინარჩუნა ქალაქი.

1163 წელს გიორგი III-მ ილაშქრა **არზრუმზე** და დაამარცხა

მეფე **სალთიკის** ლაშქარი. თვითონ სალთიკი ტყვედ შეიპყრო მეფემ და მხოლოდ მისი დის თხოვნის შემდეგ გაათავისუფლა დიდი გამოსასყიდისა და საჩუქრების სანაცვლოდ.

შემდგომში 1172 წელს მეფემ დალაშქრა და დაიკავა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ქალაქი **დვინი**, რომლის მმართველად ადგილობრივი ფეოდალი **ანანია** დანიშნა. ამით მან სომხეთში მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ამის საპასუხოდ, 1173 წლის ზამთარში კვლავ შეიკრა მაპმადიანთა კოალიცია და 50 ათასიანი ლაშქრით საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა. გიორგი მესამე ამ ომში დამარცხდა. მაპმადიანებმა აიღეს ციხე **გაგი, გელაქუნი** და **ანისისაკენ** წავიდნენ მრავალრიცხოვანი ტყვეებით. გამარჯვებით გალაღებულმა მაპმადიანებმა მზადება დაიწყეს საქართველოზე თავდასასხმელად, მაგრამ გიორგი III-მ დაასწრო, 1175 წელს აზერბაიჯანში შევიდა ჯარით და დაიკავა იგი განჯამდე.

როგორც ისტორიკოსი **ვარდანი** გადმოგვცემს, ოთხი წლის განმავლობაში გამუდმებით მიმდინარეობდა ომი ანისისათვის. გართულებულ ვითარებაში **ელდიგუზ ათაბაგმა** გიორგი მეფეს ზავი შესთავაზა. შერიგების მთხოვნელად გამოსულა „დედოფალი რუსუდან“ — და გიორგი მეფისა, „სულტანის ცოლყოფილი“. გიორგი III, როგორც ჩანს, იძულებული გამხდარა ანისი დაეთმო და იგი თავისი წინანდელი პატრონისათვის დაებრუნებინა. 1174 წელს გიორგი III-მ კვლავ დალაშქრა ანისი და მისი მმართველი არსლანი თან წამოიყვანა. მმართველად მას კვლავ ივანე ორბელი დაუნიშნავს. ამავე წელს ათაბაგი ელდიგუზი და სხვები საპასუხოდ თავს დაესხნენ ანისს, დაარბიეს შირაქის ველი, მაგრამ დამარცხდნენ და უკუიქცნენ.

ივანე ორბელი მალე გადააყენა მეფემ ორგულობის გამო და მის ადგილას მთავარი **აპირატი**, ანისის ეპისკოპოსის ბარსელის ძმა, დანიშნა.

1175 წელს მაპმადიანთა კოალიცია კვლავ შემოესია ლორეს და დამანისის მიდამოებს და დაარბია იგი. როგორც ჩანს, ანისი იმჯერად კვლავ მაპმადიანებმა დაინარჩუნეს 1199 წლამდე, როცა

ეს ქალაქი დაიბრუნა თამარ მეფემ და გადასცა მხარგრძელებს.

1173 წელს გიორგი მეფეს დარუბანდის მმართველისაგან დახმარება სთხოვა თავისმა დისწულმა, შარვანის შაპმა **ალსართანმა**. გიორგი მიეხმარა დისწულს, აიღო ქალაქი **შაბურანი** და ალსართანს გადასცა იგი.

გიორგი III-ის ლაშქრობებმა განამტკიცა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი. ომებს შორის პერიოდს გიორგი ქვეყნის აღმშენებლობისთვის იყენებდა. ქვეყნის შიდა მდგომარეობის მოწესრიგების მიხნით მეფე გიორგი III-მ გამოსცა **კანონი მეკობრეებისა და მპარავთა მიმართ.** გიორგის მეფობამდე ამ საქმეს სპეციალური ორგანო განაგებდა, ხოლო გიორგის მეფობაში მეკობრეებისა და გამოუსწორებელი ქურდებისათვის უმკაცრესი სასჯელი დაუწესებიათ, იმავდროულად ამ ბოროტმოქმედების ამოსაშანთად და დამნაშავეთა დევნის გასაადვილებდა **„სამპარავთმძებნელო სამართლის“** თანამდებობის პირთა უფლება-მოვალეობანი გაუფართოებიათ.

სომეხი მემატიანის **ვარდანის** ცნობით, 1180 წელს გიორგი მესამემ **„მპარავი და მეკობრე მოსპო, რადგან ყოველთა ლაშქართა თანამდგომითა სჯულად დასდრო მცირისა და დიდისა საქმისათვის უწყალოდ ყოველი კაცის ძელზე აღბმა“**. ქურდობა-ავაზაკობისათვის სახრჩობელასთან ერთად ძელზე აკიდებდნენ მოპარულ საქონელსაც. ანალოგიურად სჯიდნენ მეკობრეებსაც.

ყოველივე ეს მაშინდელ საქართველოში სასამართლო წარმოების მაღალ დონეზე მეტყველებს, რადგან იგი დამყარებულია საძძებრო პრინციპზე (მპარავთა ძებნა, აღმოჩენა, გასამართლება, განაჩენის სისრულეში მოყვანა).

1177 წელს ფრიად უსიამოვნო ამბები მოხდა გიორგი მეფის კარზე - მის წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დემეტრე I ტახტიდან გადააგდო მისმა უფროსმა შვილმა დავითმა, რომელიც 6 თვის მეფობის შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ტახტზე კვლავ დაბრუნდა დემეტრე, რომელიც ასევე მალე გარდაიცვალა და სა-

ქართველოს ტახტი დაუტოვა თავის უმცროს ძეს გიორგი III-ს. გიორგის ძმას დავითს დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი **დემეტრე (დემნა)**, რომელსაც წესით ეკუთვნოდა ტახტი, მაგრამ იგი გიორგიმ დაინარჩუნა.

გიორგი მეფეს ვაჟი არ გააჩნდა, მხოლოდ ასული თამარი ჰყავდა. როცა დემნა წამოიზარდა, ცოლად შეირთო ამირსპასალარ **ივანე ორბელის** ქალი. მალე ივანე ორბელმა სიძის გამეფება გადაწყვიტა და გიორგი მესამეს დიდი შეთქმულება მოუწყო. ივანე ორბელს მხარი დაუჭირეს ივანე ვარდანის ძემ, შოთა ართავაჩოს ძემ, ლიპარიტ სუმბატის ძემ (ქართლის ერისთავი), მეჯინიბეთუხუცესმა ქავთარ ივანეს ძემ და ანანია დვინელმა. განდგომილთ სურდათ დემნას გამეფება. მალე შეთქმულთ მიემხრნენ სარგის მხარგრძელი შვილითა და ძმისწულითურთ, ჯავახნი კახაი შვილებითურთ, დიდი გამრეკელი, მემნა ჯაყელი, ჰასან კაენის პატრონი და გრიგოლ ანელი.

შეთქმულთა ჯარი, სტეფანოს ორბელიანის ცნობით, 30 ათას კაცს აღემატებოდა. გიორგი მეფე ამ დროს სახატეს ყოფილა. როცა განდგომილების ამბავი შეიტყო, იგი მსწრაფლ ამოქმედდა და თბილისის გამაგრება იწყო. როცა განდგომილებმა შეიტყვეს, რომ მეფე ჯარებს აგროვებდა, მათი ნაწილი დემნას ჩამოშორდა და მეფის ბანაკში გადავიდა. ყველა მისკენ გადასული გიორგიმ შეიყვარდომა და დაასაჩუქრა.

აჯანყებულები ლორეს ციხეში ჩაიკეტნენ. მათ დიდხანს ვერ გაუძლეს ალყას და მალე **„დემეტრე გარდამომბმელი საბლისა გარდამოხტა ციხისაგან და მიმართა თავისსავე ბიძასა“**. შეთქმულნი სასტიკად დასაჯეს. გიორგიმ თავისი ძმისწულიც არ დაინდო მას თვალები დასთხარეს და დაასაჭურისეს. ეტყობა, დემნამ ამდენ ტანჯვას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა ეს „სახე კეთილი და ყოველით ხელით მარჯვ და ნასწავლი“ ყმაწვილი.

გიორგი მეფემ თვალები დასთხარა ივანე ორბელს, ხოლო სიკვდილით დასაჯა მისი უმცროსი ძმა ქავთარ ორბელი და მისი შვილი სუმბატი. დამნაშავეთა ნაწილი გააძევეს საქართველოდან. მა-

თი მამულები და თანამდებობანი მეფემ თავის ერთგული დაუნაწილა. ასე მიიღო ამირსპასალარობა ნაყიერაყარმა ყუბასარმა, მსახურთუხუცესობა კი — აზნაურის ნაყმევმა აფრიდონმა და ა.შ.

საერო ფეოდალთა შეიქმულებას თან დაერთო ეკლესიის გამოსელა მეფის წინააღმდეგ, რაც გიორგიმ დათმობითა და მორიგებით ჩააცხრო. ეკლესიამ კვლავ მიიღო საგადასახადო შეუვალობა, რაც თავის დროზე გააუქმა გიორგი III-მ.

მართალია, აჯანყება ჩააქრეს, მაგრამ გიორგი მეფე დარწმუნდა, რომ ურჩი ქვეშევრდომნი ხელსაყრელ დროს უცდიდნენ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ამიტომ მეფემ გადაწყვიტა ტახტზე თავისი ასულის **თამარის** თანამესაყდრედ დასმა (თამარს უმცროსი დაც ჰყოლია — რუსუდანი).

1178 წელს გიორგი მეფემ ტახტზე თანამოსაყდრედ დაისვა თამარი, რომელიც მაშინ 18 წლის იყო.

ექვსი წლის განმავლობაში ერთად მეფობდნენ მამა-შვილი. გიორგი ყოველმხრივ ამზადებდა თამარს დამოუკიდებელი მეფობისათვის.

1184 წლის 27 მარტს, სამშაბათს, გიორგი მეფე კახეთს, სტაგირს გარდაიცვალა და ეს ამბავი ისნის ციხეში მოახსენეს თამარს.

საქართველოს ტახტი თამარმა დაიკავა. იწყებოდა ახალი ერა საქართველოს ისტორიაში.

თამარ მეფე

თამარ შვიდმნათობიერისადმი ამაღლებული, რომანტიკული სიყვარული და მოკრძალება ბავშვობიდანვე მოგვდგამს ყველა ქართველს.

თამარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობენ ძველი ქართული ქრონიკები - უცნობი ავტორის **„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“** და **ბასილი ეზოსმოძღვრის** თხზულება **„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“**. თამარი არაქართველ ისტორიკოსთა ქრონიკების გმირიც გახლდათ.

დღესაც, ჯერ კიდევ გვაოცებს ზოგიერთ ქვეყანაში მთავრობის მეთაურად ქალის დანიშვნა, საქართველოში კი XII საუკუნეში, უკვე იყო ასეთი პრეცენდენტი - **ქვეყნის სამეფო ტახტი დაიკავა ქალმა, შემკობილმა ყველა მაღალი ადამიანური ღირსებით.** მის სიბრძნესა და თავმდაბლობას გარეგნული მშვენიერებაც ემატებოდა **„ტანსა ზომიერსა გრემანობა, თვალთა და ღაწუთა სპეტაკთა ზედა ვარდებრივ ფეროვნება, მორცხუვი ხედვა, ლაღი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ულიზღო სიტყუის სინარნარე“** (ბასილი ეზოსმოძღვარი).

გიორგი III-ის მიერ დამარცხებულმა და დასჯილმა დიდებუ-

ლებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ მეფის გარდაცვალებით და თამარს მრავალი პრეტენზია და მოთხოვნა წაუყენეს. მათ, როგორც ჩანს, სადავოდაც კი გახადეს თამარის მეფობა (შეგახსენებთ, 1178 წელს გიორგი III-მ თამარი თანამესაყდრედ დაისვა ტახტზე), ამიტომ იგი ხელმეორედ იქნა კურთხეული საქართველოს სამეფო ტახტზე. წესისამებრ, თამარი ტახტზე აიყვანეს ლიხთიმერელმა დიდებულებმა და საეკლესიო პირებმა - ქუთათელმა ეპისკოპოსმა **ანტონ საღირისძემ** და რაჭა-თაკვერის ერისთავმა **კახაბერ კახაბერის ძემ** (მან ხმალი შეარტყა თამარს, როგორც ქართული ჯარის მთავარსარდალს). ამრიგად, ტახტზე ასულ ახალგაზრდა მეფეს ჯერ დიდებულთა ჯგუფმა და მერე მეჭურჭლეთუხუცესის **ყუთლუ-არსლანის** (სპარს. ყუთლუ-ბედნიერი, არსლანი-ლომი) „დასმა" თანმიმდევრულად ორი უმთავრესი მოთხოვნა წაუყენა: ა) გიორგი მესამის დროს დაწინაურებულ უგვარო, მაგრამ ნიჭიერ, დიდმოხელეების გადაყენება და მათ მაგიერ ისევ ძველ დიდგვაროვანთა აღდგენა თანამდებობებზე; ბ) მართვა-გამგეობის სპეციალური დაწესებულების „კარავის" შექმნა ისანში („ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკვარება, მომღებელმან წესს რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმა ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქვა: — დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მიღებისა, წყალობისა და მიღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვეკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა. მაშინღა სრულ იქნებოდეს განგებული ჩვენი" („ისტორიანი და აზმანი"...). თამარმა სერიოზულად შეაფასა დიდებულთა ულტიმატუმი და გარკვეულ კომპრომისზე წავიდა. მან გადააყენა უგვარო დიდმოხელეები — ამირსპასალარი **ყუბასარ** (ნაყივჩაყარი) და მსახურთუხუცესი **აფრიდონი**. მაგრამ მეორე მოთხოვნის შესრულებაზე, რაც ითვალისწინებდა მეფის ჩამოშორებას საკანონმდებლო და სასამართლო საქმიანობისაგან, თამარმა გადაჭრით უარი განაცხადა. ყუთლუ-არსლანი ამ ულტიმატუმის წაყენებით კარიერისტულ მიზნებსაც ისახავდა. „უკლებელმან გონებათა და საუნჯემან სიბრძნისამან" **თამარმა შეიყვარო „ყუთლუ-არსლან, ჭურჭელთუხუცესი და აწ თავისა თვისა**

ამირსპასალარად და სომხითს მეფისა ადგილისა ლორეს დაჯდომად განმზადებული" („ისტორიანი და აზმანი"...).

ამრიგად, თამარი მიხვდა, რომ ისანში სამეფო დარბაზთან ერთად „კარვის" დადგმა მისი ხელმწიფობის დასასრულს მოასწავებდა და ყუთლუ-არსლანი დააპატიმრა („კარავი", ანუ გვიანდელი „პარლამენტის" მსგავსი დაწესებულება, შემდგომ 1265 წელს შემოიღეს ინგლისში).

ყუთლუ-არსლანის შეპყრობამ ვითარება გაართულა მისმა მომხრე დიდებულებმა მოილაპარაკეს და მოითხოვეს ყუთლუ-არსლანის უვნებლად გათავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში „განემზადეს ისანისაცა შემობმად".

ძმათა შორის სისხლის ღვრას მოერიდა ქრისტიანი მეფე და განდგომილებს ორი საპატიო დედოფალი მიუგზავნა შესარიგებლად - ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატის დედა **ხვაშაქ ცოქალი** და აზნაურ სამძივართა დედა - **კრავაი ჯაყელი**. ამ საპატიო ელჩებმა დაითათბირეს და დაიყოლიეს განდგომილნი, რომლებმაც მეფისგან უვნებლობის ფიცი მიიღეს.

ამრიგად, თამარის წინააღმდეგ მიმართული ეს გამოსვლა მარცხით დამთავრდა, მაგრამ თამარიც იძულებული შეიქმნა სერიოზულ დათმობაზე წასულიყო. მოკლე ხანში ქვეყანა დაწყნარდა და თამარი სამეფო დარბაზის მეშვეობით (მისი უფლებები გაფართოვდა) ქვეყნის მართვას შეუდგა.

მალე გარდაიცვალა მეფის მოწინააღმდეგე მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი **მიქაელი** და თამარმა თანამდებობებზე ახალი ვეზირები დანიშნა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლად და ვაზირად დაამტკიცა **ანტონი**, ამირსპასალარად - **სარგის-მხარგრძელი**, მანდატურთუხუცესად - **ჭიაბერი**, მეჭურჭლეთუხუცესად - **კახაბერ ვარდანის ძე**, ამირახორად **გამრეკელ-თორელი**, მსახურთუხუცესად - **ვარდან დადიანი**, ჩუხჩარეხად **მარუშიანი**. ადგილებზე კი „ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნენ: ბარამ ვარდანის ძე - სვანთა ერისთავად; კახაბერ კახაბერის ძე - რაჭისა და თაკვერის ერისთავად; და ოთაღო შარვაშის ძე - ცხუმის ერისთავად; ამანელის ძე - არგვეთის ერისთავად; და ოდიშის ერისთავად - ბედიანი. ლიხთ ამერით: ქართლის ერისთავად - რატი სურამელი; და კახე-

თის ერისთავად - ბაკურ-ყმა ძაგანის ძე, და პერეთის ერისთავად - გრიგოლისძე ასათ; და სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბოცო ჯაყელი" („ისტორიანი და აზმანი"...).

ამასთან თამარმა „აღავსნა ეპისკოპოსნი და საყდარნი შესაწირავითა, თავისუფალ ყვნა ეკლესიანი ხარჯისა და ბეგარისაგან"

1185 წელს სამეფო საბჭომ თამარის დაქორწინება გადაწყვიტა. ბევრი ღირსეული კაცი თხოვდა თამარს ხელს (მრავალი შეწირვია კიდეც თურმე მის სიყვარულს), მაგრამ სამეფო დარბაზმა ამ მრავლიდან ერთი არცთუ ღირსეული კანდიდატი ამოარჩია (როგორც ჩანს, დიდებულებს ხელს არ აძლევდათ თამარის ქმრად ძლიერი პიროვნების მოყვანა) - თბილისის ამირას **აბულასანის** წინადადებით საქმროდ შერჩეულ იქნა ელადიმერ-სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის შვილი **იური** (გიორგი), რომელიც ბიძამისმა გააძევა სამთავროდან და იმჟამად იმყოფებოდა ყივჩაყეთს.

მალე თამარის უკითხავად დიდებულებმა ყივჩაყეთს გააგზავნეს ებრაელი დიდვაჭარი **ზანქან ზორაბაბელი**, რომელმაც რუსი უფლისწული ტფილისს ჩამოიყვანა. მოკლე ხანში გიორგი ბოგოლიუბსკი ჯერ დაწინდეს, მერე კი ქმრად შერთეს თამარს. ქორწინების აღსანიშნავად ქართველებმა გიორგის სარდლობით ლაშქრობანი მოაწყვეს თურქთა წინააღმდეგ კარში, კარნიფორსა და ბასიანში. 1187 წელს მათ ძველ პართიაშიც ილაშქრეს და ნადავლითა და ტყვეებით უკან დაბრუნდნენ.

მალე გიორგის „უკეთურნი ზნენი" აღმოაჩნდა: **„და გამოაჩნდებოდა რუსსა სკვითურნი ვითარ ნაღებთა ბუნებითნი. სიმთვრალეთა შინა საძაგელთა უწესაოებად იწყო მრავალთა, რომელთათვის ნამეტნავ არს წერად და თქუმად"**. ორ წელიწად-ნახევარი „ვითარ გურდემლი, მოითმენდა მხნე თამარ უკეთურებათა რუსისათა, გარნა სხვა ვეღარავინ მოითმენდა". თამარმა მისი განკურნებაც სცადა, „მრავალი ღონე იძია", მაგრამ უფრო „განძვინდა რუსი, ვითარცა ღმრთისაგან საფარველმოძრცვილი". მეფე იძულებული გახდა გაყროდა ულირს ქმარს: **„და მე არა მიძლავს ჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ განვიყრი მტვერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ"** - უთხრა მას და აურაცხელი სიმდიდრით დატვირთული კონსტანტინეპოლს გააძევა.

1188 წელს თამარმა მეორედ იქორწინა („კვალად იწყეს ურვად ყოველთა, რამეთუ თამარს ხედვიდეს უშვილოდ“) **დავით სოსლანზე**. დავითი ოვსთა მეფის ჯადრონის ძე იყო, რუსუდან დედოფლის სასახლეში გაზრდილი, ბაგრატიონთა საგვარეულოს სისხლით ნათესავი. დავითი, ბასილი ეზოსმოძღვრის თქმით, მრავალი ღირსებით ყოფილა შემკული: **„მხნე და მხედარი ძლიერი, რაინდობითა უსწორო და მშვიდოსნობითა შემმართებელი, ტანითა ახოვანი და ყოვლითურთ სიკეთითა“**. თამარს და დავითს ორი შვილი შეეძინათ საქართველოს მომავალი ხელმწიფენი - **ლაშა გიორგი** და **რუსუდანი**.

გიორგი რუსმა ორჯერ სცადა საქართველოში დაბრუნება და გამეფება და ორივეჯერ მოღალატე ქართველ დიდებულთა დახმარებით.

პირველად 1191 წელს კარნუ ქალაქით შემოვიდა (როგორც ჩანს, იგი მოიწვიეს მოღალატეებმა კონსტანტინეპოლიდან). მას პირველი მიემხრო კლარჯეთისა და შავშეთის ერისთავთ-ერისთავი **გუზანი** (ამირა აბულასანის შვილი). გიორგი რუსსა და გუზანს შეუერთდნენ სამცხის სპასალარი **ბოცო**, მსახურთუხუცესი **ვარდან დადიანი** („რომელმაც შეყარა ყოველი სუანეთი, აფხაზეთი, საეგრიო გურიითა, სამოქალაქო, რაჭა-თაკუერი, არგუეთი და აფიცა რუსის გამეფება“). შეთქმულებამ უაღრესად საშიში ხასიათი მიიღო — მოღალატე დიდებულებმა გიორგი რუსი გეგუთის სასახლეში მოიყვანეს და მეფედ აკურთხეს. აჯანყებულები გორამდე გადმოვიდნენ, ჯავახეთისა და თრიალეთის აღება გადაწყვიტეს, დასწვეს ქალაქი ოძრხე (აბასთუმანი). თამარმა ჯერ მოლაპარაკებით სცადა შეთქმულთა დამშვიდება, მაგრამ როცა ამით არაფერი გამოვიდა, მეფემ უბრძანა სპასალარ გამრეკელს ერთგული ლაშქრით შებმოდა აჯანყებულთ - მტკვარსა და ნიალის ველზე მოღალატენი დამარცხდნენ, მათი ნაწილი ქართლიდან უბრძოლველად გაიქცა. თამარმა შეპყრობილი გიორგი რუსი კვლავ გააძევა. მან ზოგიერთ აჯანყებულს თანამდებობა წაართვა, ზოგი შეიწყალა (ვინც მოინანია), ნაწილი კი თვითონ გადაიხვეწა საქართველოდან.

1193 წელს გიორგი რუსმა კვლავ სცადა საქართველოში დაბ-

რუნება განძის ათაბაგის დიდი ლაშქრით. ამჟამად იგი კაბეჩოვნიდან (ქიზიყი) შეშოეიდა, მაგრამ ხორნაბუჯის პატრონმა **საღირ მახატლის ძემ** მცირედი ლაშქრით უკუაქცია „უბედური რუსი“.

ორი წლის განმავლობაში ქართულმა ლაშქარმა ათზე მეტი ლაშქრობა მოუწყო, მათ აიღეს და დაარბიეს განდგომილი ქალაქები - **ბარდავი, განძა, კარნუ-ქალაქი** და სხვ., უამრავი ალაფი და სიმდიდრე იგდეს ხელთ.

საქართველოს გაზრდილ საერთაშორისო აუტორიტეტს ვერ შეეგუენ თურქნი და გადაწყვიტეს მძლავრი კოალიციური ლაშქრობის მოწყობა თამარ მეფის წინააღმდეგ. ბაღდადის ხალიფამ წააქეზა ისინი და ძლევამოსილების სიმბოლოდ თავისი დროშა გაუგზავნა. ომის საბაბი კი გახდა საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნის - შარვანის დაპყრობა ირანის ადარბაგანის ამირის **აბუბექრის** მიერ. შარვანის შაჰმა დახმარება თავის მფარველს თამარს სთხოვა.

შეიყარა სამეფო დარბაზი, რომელმაც გადაწყვიტა აბუბექრის კოალიციისათვის ომის გამოცხადება. ათ დღეში შეიყარა ქართული ლაშქარი. თამარმა სიტყვით მიმართა მებრძოლებს და გაამხნევა ისინი, მერმე დალოცა ჯარი, შეავედრა არსთაგამრიგეს **„წარუძღუანა ძელი ცხოვრებისა და თან წარატანა ანტონ ჭყონდიდელი“**. თვითონ თამარი ტფილისს დაბრუნდა და ფეხშიშველი სალოცავად დადგა ქართველთა გამარჯვებისათვის.

1195 წლის 16 ივნისს ციხე-ქალაქ **შამქორთან** გამართულ ბრძოლაში ქართველებმა დავით სოსლანის სარდლობით სასტიკად დაამარცხეს აბუბექრი და მისი ლაშქარი. ქართველებმა უამრავი ტყვე და ალაფი იგდეს ხელთ ხალიფას დროშასთან ერთად (12 ათასი ტყვე, 40 ავაზა, 20 ათასი ცხენი, 7 ათასი ჯორი, 15 ათასი აქლემი და სხვ.). ამ ბრძოლაში თავი ისახელეს **შალვა** და **ივანე ახალციხელებმა** (შალვამ იგდო ხელთ ხალიფას დროშა). დამარცხებულმა აბუ-ბექრმა შემდგომში რამდენჯერმე სცადა საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნების დაპყრობა, მაგრამ უშედეგოდ. თამარმა და დავით სოსლანმა განძასთან და დვინთან კვლავ მარცხი აგემეს მას.

მაჰმადიანები კიდევ უფრო გააგულისა საქართველოს ახალმა

წარმატებებმა და იკონიის (რუმის) სულთანმა **რუქნ ად-დინმა** გადაწყვიტა საქართველოს საბოლოოდ დამხობა. მემატიანის ცნობით, მან **„შეკრიბა კაცი ოთხმეოც ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი“** და გათამამებულმა თამარს თავხედური წერილი გამოუგზავნა არზრუმიდან. რუქნ ად-დინ სულეიმან შაპი ამ წერილში თავის თავს ამპარტავნულად უძლეველ მეფეს უწოდებდა, იგი აბუჩად იგდებდა თამარს და მის ქვეყანას; რეგვენ დედაკაცს უწოდებდა მეფეს და ბრალს სდებდა მუსლიმანთა დახოცვაში. რუქნ ად-დინი ქართველებისგან მოითხოვდა დამორჩილებას და სჯულის დათმობას. ამ შეურაცხმყოფელი წერილის გარდა, მის მომტან ელჩს რუქნ ად-დინმა ზეპირად მოსახსენებელიც დააბარა თურმე: **„უკეთუ მეფემან დაუტეოს რჯული, იპყრას სულთანმან ცოლად და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულთანისა“**. გააოცა და გააოგნა სამეფო კარი თავხედი სულთნის უკადრისმა საქციელმა - ზაქარია მხარგრძელს ისეთი სილა გაუწნია უზრდელი ელჩისათვის, რომ გონდაკარგული იქვე დაცემულა.

თამარმა და სამეფო დარბაზმა ლაშქარი შეკრიბეს, ხოლო მოსულიერებული ელჩი დაასაჩუქრეს და საპასუხო წერილიც გაატანეს. წერილში თამარი აუწყებდა რუქნ ად-დინს, რომ **„შენ ოქროსა მევირეთე სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა ღმერთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმინდაისა, რომელი შენ ჰგმე. აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი წინამოგებებად შენდა“**. („ისტორიანი და აზმანი“...).

თამარმა ყარსამდე გააცილა ქართველთ მხედრობა. მერე მეუღლეს, დავით სოსლანს გადასცა სახელმწიფო დროშა („გორგასლიან-დავითიანი“); შემდგომ ჯარი დალოცა სამგზის სანატრელმა, უჩინა მას მხედართმთავარნი (**ზაქარია მხარგრძელი, შალვა და ივანე ახალციხელები, თორელნი**). მესხეთს მობრუნდა უკან თამარ მეფე, ავიდა ოძრხეს და იწყო ლოცვა-კურთხევა საპატიო კრებულთან ერთად.

ქართული ლაშქრის მიზანს შეადგენდა მტერზე მოულოდნელი თავდასხმა მათსავე ბანაკში. ბასიანში უდარდელად დაბანაკებულ რუქნ ად-დინის უზარმაზარ მხედრობას ქართველები უეცრად და-

ესხნენ თავს. ლაშქარი სამ ნაწილად ყოფილა დაყოფილი. თურქ-სელჯუკთა ლაშქარი თავიდან ძალზე არეულა, მაგრამ რუქნ ად-დინმა მოახერხა ჯარის საომრად განლაგება და ომში ჩაბმა. ქართველთა მეწინავე მხედრობას ცხენები დაუხოცეს, სხვანიც დაქვეითდნენ და მხარში ამოუდგნენ მათ. მალე ქართველების მდგომარეობა გართულდა და ისინი „კნინღა სივლტოლად მიღრიკ-ნეს", (ე.ი. გასაქცევად გაემზადნენ), მაგრამ ამ დროს მეწინავეებს მიეშველა მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე განლაგებული ჯარი. ამას გადაუწყვეტია კიდეც ბრძოლის ბედი. გაქცეულ სელჯუკებს ქართველები უკან დაედევნენ და უმოწყალოდ ჩეხეს. ქართულ მხე-დრობას ხელში ჩაუვარდა სელჩუკთა ბანაკი და უამრავი ქონება. ნადავლთა შორის ყოფილა აღმოსავლურ სამყაროში ცნობილი სა-მედიცინო ტრაქტატი - **კარაბადინი,** რომელიც მწიგნობართუხუ-ცეს-ჭყონდიდელის ბრძანებით უთარგმნიათ ქართულად.

ბასიანის ბრძოლა 1202 წ. მომხდარა. ამ ომში გამარჯვების შემდეგ არნახულად გაიზარდა საქართველოს საერთაშორისო ავ-ტორიტეტი და იგი წინა აზიის უდიდეს სახელმწიფოდ იქცა. დიდი ტრიუმფით აღნიშნეს ქართველებმა ბასიანის ომში გამარჯვება.

1203 წელს შაჰ-არმენთა სამფლობელო დაულაშქრავთ ქართ-ველებს და თურქთათვის წაურთმევიათ **არჭეში, მანასკერტი** და **ატტინი.** თუმცა ამავე წელს ორჯერ მარცხიც იგემეს - ხლათის სულთანმა და კარნუ-ქალაქის ამირამ ცალ-ცალკე დაამარცხეს ზაქარია „უფროსი" და ზაქარია „უმცროსი" მხარგრძელები. ამის გამო 1204 წელს ქართველებმა დავით სოსლანის სარდლობით აი-ღეს ჯერ ხლათი, მერე კი კარი (ყარსი). თვითონ თამარმა და ლა-შა-გიორგიმ მიიღეს ქალაქის კლიტენი და იგი ივანე ახალციხელს ჩააბარეს სამართავად. ამ პერიოდში იქნა აგრეთვე დაბრუნებული **ხახული, ოშკი** და **ბანა.**

1203 წელს თამარს ეწვივნენ საზღვარგარეთის ქართულ მონას-ტერთა წინამძღვარნი. მეფემ დიდი პატივით მიიღო ისინი და უკან დაბრუნებისას უხვად დაასაჩუქრა. მაგრამ კონსტანტინეპოლში საქართველოდან ჩასული სამღვდელონი გაძარცვა კეისარმა ალექ-სი III ანგელოსმა, რომელმაც საკუთარ ძმას თვალები დათხარა და იმპერატორობაც წაართვა.

თამარმა კელავ გაუგზავნა ძღვენი მონასტრებს და თან ლაშქარიც შემოიკრიბა. ბიზანტიის იმპერიას მძიმე დრო ედგა — 1204 წელს ჯვაროსნებმა აიღეს კონსტანტინეპოლი; თამარმა, როგორც ჩანს, ამითაც ისარგებლა და ქართულმა ჯარმა ზედიზედ დაიკავა ქალაქები - **ლაზია, ტრაპიზონი, სამსუნი, კერასუნტი, კოტიორა, ჰერაკლია** და **„ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი“**. თამარმა ბიზანტიას ჩამოაშორა დაკავებული ქალაქები და ახალი ყმადნაფიცი ქვეყანა - **ტრაპიზონის საკეისრო** შექმნა. ქვეყნის მმართველად კი დასვა **ალექსი კომნენოსი**, ბიზანტიის ტახტის პრეტენდენტი, მისივე ნათესავი (ალექსის მამა, ანდრონიკე, თამარის მამის, გიორგი III-ის მამიდაშვილი იყო). ამრიგად, ტრაპიზონის საკეისროს შექმნით, თამარმა კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს საზღვრები.

1206 წელს გარდაიცვალა თამარის ღირსეული თანამეცხედრე დავით სოსლანი (დაკრძალეს გელათს) და იმავე წელს თამარმა საქართველოს ტახტზე თანამოსაყდრედ დაისვა თავისი უფროსი შვილი **ლაშა-გიორგი**.

იბ ალ-ასირისა და **აბულ ფარაჯის** ცნობით, 1208-1209 წლებში ქართველები მიხმარებიან მაპმადიანი მმართველების წინააღმდეგ აჯანყებულ სომხურ მოსახლეობას. მათ აიღეს არჭეში და შემდეგ ხლათს შემოერტყნენ. ქართულმა მხედრობამ ხლათი ვერ აიღო, მაგრამ 30 წლით დაიდო ზავი და ამით დასრულა ქართველთა განმათავისუფლებელი ლაშქრობა სომხეთში, ჩრდილოეთ სომხეთი გაიწმინდა სელჩუკთაგან და შევიდა საქართველოს შემადგენლობაში.

მეზობლებთან ხანმოკლე მშვიდობა მალე დაირღვა. ირანის აზერბაიჯანის გამგებელმა **არდებილის** სულთანმა 1208 წელს თავხედურად დაარბია ანისი და აღდგომა დღეს 12 ათასი ქრისტიანი (ქართველი და სომეხი) ამოწყვიტა.

ამით განრისხებულმა თამარმა საპასუხო ლაშქარი გაგზავნა სულთანის დასასჯელად სწორედ მუსლიმანური დღესასწაულის - რამაზანის მარხვის დროს. ქართულმა ლაშქარმა დაარბია არდებილი და ზუსტად ამდენივე მუსლიმანი ამოწყვიტა. გათავხედებული სულთანი სიკვდილით დასაჯეს.

არდებილში გალაშქრებამ თამარი და დარბაზი დაარწმუნა, რომ ირანში მდგომარეობა ქართველთა სასარგებლოდ შეცვლილიყო ქვეყანა დასუსტებული ჩანდა და მალე კიდეც გადაწყდა ირანს გალაშქრება. ეს იყო თამარის მეფობაში ქართველთა მიერ განხორციელებული უკანასკნელი დიდი ლაშქრობა.

საგანგებოდ მოშზადებული და შეყრილი ქართული მხედრობა 1210 წელს ირანის ტერიტორიაზე შევიდა. მათ სასტიკად დაამარცხეს მტერი და აიღეს მარანდი. თავზარდაცემულმა თავრიზელებმა უომრად დათმეს ქალაქი და უამრავი საჩუქრით აიცილეს ქართველთა რისხვა. თავრიზის შემდეგ უბრძოლველად აიღეს მიანა, შემდეგ კი ბრძოლით ზენჯანი. აქ ქართველებმა მცირე ხანს შეისვენეს და შემდგომ ყაზვინი აიღეს. ყაზვინიდან ხორასნისკენ გაემართნენ და **„მიიწივნეს ვიდრე გურგანისად ქალაქად და მოაოხრეს ქვეყანა იგი“**. ამასობაში იმდენი ნადაელი დაუგროვებია ქართულ ლაშქარს, რომ წინსვლა შეუძლებელი გამხდარა. უკან მობრუნებულმა ქართველებმა სასტიკად დასაჯეს მიანის გამგებელი იქ მცველად დატოვებული ქართველთა რაზმის ამოწყვეტის გამო.

ასეთი შორეული და სახელოვანი ლაშქრობა ქართველებს არც მანამდე და არც მას შემდეგ არ ჩაუტარებიათ: **„ესდენად სიშორესა შინა მივიდნენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა“**.

განუზომლად გაზარდა ირანზე ლაშქრობამ საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი. საქართველო ემზადებოდა ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრედ გამოსვლისათვის, საქართველოს სამეფო ხელისუფლება კი ალექსანდრე მაკედონელისა და ავგუსტ კეისრის საქმეთა ისტორიულ მემკვიდრედ ცხადდებოდა. ამადაც საქართველოს სამეფო დროშაზე „გორგასლიანისა“ და „დავითიანის“ გვერდით ჩნდება „ალექსანდრიანიცა“ და „ავღუსტიანიც“.

თამარ შვიდმნათობიერი, თავის დიდ წინაპართა მსგავსად, დიდ დახმარებას უწევდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ არსებულ ეკლესია-მონასტრებს, განსაკუთრებით იერუსალიმის სავანეებს.

ბასიანთან ომის შემდგომ თამარმა მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ეგვიპტის აიუბიანთა სულთან **სალადინთან**. ამიერიდან მუსულმანებს აეკრძალა ქრისტიანთა დევნა-წვალება. ხოლო **ქართველებს უფლება მიეცათ ცხენზე ამხედრებულნი, თავიანთი დროშით, ყოველგვარი გადასახადის გარეშე, შესულიყვნენ იერუსალიმში.** თამარისვე თხოვნით სალადინს ქრისტიანებისათვის დაუბრუნებია ის ჯვარი, რომელზედაც მიმსჭვალული იყო იესო ქრისტე (200 ათასი დინარი გადაუხადა ამ ჯვრის დასახსნელად თამარმა სალადინს).

სპარსეთიდან ლაშქრის დაბრუნების შემდეგ გარდაიცვალა ამირსპასალარი **ზაქარია მხარგრძელი**. თამარმა ამირსპასალარობა მის ძმას **ივანეს** მიუბოძა. მასვე უწყალობა ათაბაგის თანამდებობა (ათაბაგის, უფლისწულის აღმზრდელის, თანამდებობა ამ დროს იქნა შემოტანილი).

1212 წელს მომხდარა მთიელთა აჯანყება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. მთიელ-ფხოველთა და დიდოელთა აჯანყება ივანე ათაბაგმა 3 თვის შემდგომ სასტიკად ჩაახშო. აჯანყების მიზეზი, როგორც ჩანს, იყო ის, რომ თავისუფლებისმოყვარე მთიელები ძნელად ეგუებოდნენ ბარის ექსპანსიას და მისი იდეოლოგიური და პოლიტიკური ინსტიტუტების გადმონერგვას მთაში.

1213 წელს თამარს ავადმყოფობამ დაპრია ხელი — („დედობრივმა უძლურებამ განგრძობილთა შინა მხედრობითა") და სარეცელს მიაჯაჭვა იგი. სიკვდილის წინ თავისი შვილნი და დიდებულნი მოინახულა მეფემ, დალოცა თავისი ერი და „მშვიდობით დაიძინა სარეცელსა ზედა თვისსა".

დიდხანს გლოვობდა ერი სათაყვანებელ და სანატრელ გვირგვინოსანს. გელათს დაკრძალეს 53 წლის დედა საქართველოისა. გადმოცემის მიხედვით, ლაშა-გიორგის, დედის ანდერძის თანახმად, იერუსალიმს გადაუსვენებია თამარი და იქ დაუკრძალავს. ისე კი, სინამდვილეში დღემდე არავინ იცის სად არის თამარ მეფის საფლავი.

განუზომელი კვალი დააჩნია თამარმა საქართველოს ცხოვრებას. სიბრძნით აღსავსე, ტკბილად მოსაუბრე, გასაოცრად თავმდაბალი, გულმოწყალე და შემწყნარებელი, მართალი მსაჯული იყო

იგი. თამარის დროს აუკრძალავთ სიკვდილით დასჯა და დასახჩრება („არცა თუ ტაჯგანაგი უბრძანა ვისადმე დაკვრად“).

ლევან სანიკიძე თავის „დედა ისტორიაში“ თამარის შესახებ წერს: „უმდიდრესი ხელმწიფე იყო, მაგრამ თვითონ სადა, მოკრძალებული, „უქონელი“ ცხოვრებით ცხოვრობდა, ხოლო ხალხისათვის, ქვრივთა, ობოლთა, უქონელთა, გლახაკთა და უპოვართათვის გასცემდა „სიუხვითა მზეებრითა“. ყოველ წელს სახელმწიფოს მთელი შემოსავლის მეათედ ნაწილს ღარიბებსა და უქონელ-უპოვრებს ურიგებდა. გულის სიღრმემდე ეცოდებოდა თამარს უძლურნი და საპყარნი; თავის მახლობლად აბინავებდა მათ. საკუთარი ხელით აჭმევდა, საგებელ-საძინებელს გაუწყობდა, დააწვენდა და გაამხნევებდა. ცისმარე დღეს შეუსვენებლივ იღვწოდა. იცოდა „წყნარმა და ნარნარმა, ცნობიერმა“ ადამიანური უქმობისაგან წარმოსდინდებოდა ადამიანური ბოროტებანი. ყველა დასაქმებული ჰყავდა. „არცა თვითონ უქმობდა და არც თვისთა ყმათა აუქმებდა“.

შრომობდა ქართველი ხალხი. შენდებოდა ტაძრები, სავანეები, სრა-სასახლენი, ციხე-სიმაგრენი, გზები, ხიდები, სარწყავ-საირიგაციო სისტემები.

დიაცი იყო და უყვარდა საქმენი სამამაცონი: მშვილდოსან-მახვილოსნობა, ნადირობა, ჯირითობა, მხედრობა.

დიაცი იყო და უყვარდა „ხელსაქმარი“ სადიაცონი: მატყლის ჩეჩვა და ძაფის რთვა, ქსოვა და ბეჭვა, ჭრა და კერვა, ქარგვა და კემსვა მანეულებად.

დავით სოსლანს და გიორგი ლაშას მისი ხელით შეკერილი და მოქარგული ჯუბები ეცვათ.

საკუთარი ხელით ნაქსოვ-ნაკერს საკუთარი ხელითვე აცმევდა ღარიბს, ქვრივს, ობოლს, უძლურს, დავრდომილს.

თამარის მეფობაში დიდად განვითარდა მეურნეობის ყველა დარგი. ქვეყანა მოეშენა და მოეწყო, მაღალ დონეს მიაღწია ხელოსნობამ და ვაჭრობამ. ქვეყნის წლიური შემოსავალი 4 მილიონ მანეთს აღწევდა, რაც აღემატებოდა მაშინდელი საფრანგეთის შემოსავალს. შესაბამისად გრანდიოზული თანხები ხმარდებოდა ლაშქრობებს, მშენებლობებს, გემთმშენებლობას. თამარი ციხე-

კოშკებსა და ეკლესიებს აგებდა ქართველთა მიერ შემოერთებულ და ყმადნაფიც ქვეყნებშიც კი.

თამარის დროსაა აგებული დიდებული ვარძია - კლდეში გამოკვეთილი 13 სართულიანი ციხე-ქალაქი („ყოველსაგანცა მოთხრობა ძნელ არს, თუ ვისმე ნებავთ ამისგანცა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი, ქმნულნი და ნაშენები ქვაბქმნილი"). თამარის მეფობაშია აშენებული ბეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ ლეგენდარული ოქრომჭედლები ბექა და ბეშქენ ოპიზარები.

ამ ეპოქაში მხოლოდ ქართველებს შეუქმნიათ საერო მხატვრული პოეზია. ხოლო გვირგვინი ამ დროისა და ყველა დროისა არის შოთა რუსთველის სწორუპოვარი ქმნილება - „ვეფხისტყაოსანი". მას მოკრძალებით გვერდს უმშვენებდნენ მოსე ხონელი თავისი „ამირან-დარეჯანიანით", ჩახრუხაძე - „თამარიანით", იოანე შავთელი „აბდულმესიათი" და ა.შ.

იშვიათი სიტყვებითა და რითმებით ჰყავს შემკობილი თამარ მეფე ისტორიკოს ბასილი ეზოსმოძღვარს: „სიხარულ იყო თხრობათა შინა და კდემულ-განმსწავლელობათა, შემხებელ ლბილობით და განმწვრთნელ სიტკბოებით, მგვემელმოწყალეობით და შემრისხველ თანალმობით, რათა ყოვლად ყოვლითურთ განუგმობელ აჩვენოს თვისება ღმრთისა. სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწველ. აღვირი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზ უდებთათვის, კანონი სირცხვილისა მოხუცებულთა და კვერთხი რკინისა ჭაბუკთათვის, კეთილმრავალთა სიბრძნით მცველ, ხოლო მბორგალეთა თვალუხვავად მგვემელ... ისურვებდა და სასურველი იყო, იქებოდა და საქებელ იყო, ნატრიდეს და სანატრელი იყო... ურჩნი თვისნი დაამდაბლა და მოყვარენი აამაღლნა".

თამარმა თვითონვე უკვდავყო თავი თვისი დიდი საქმეებით. ამიერიდან „გორგასლიან-დავითიან" ქართულ დროშას „თამარიანიც" ეწოდა.

შალვა ახალციხელი

შალვა **ახალციხელი** თორელთა სახელოვანი გვარის ღირსეული წარმომადგენელია. ამ გვარს ეკუთვნოდა ყველა დროის უდიდესი ქართველი გენიოსი შოთა რუსთაველი.

თორელები განსაკუთრებით გაძლიერდნენ და დაწინაურდნენ XII საუკუნის მეორე ნახევრიდან და ღირსეული მონაწილეობა მიიღეს თამარ მეფისა და მის მემკვიდრეთა პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამხედრო ცხოვრებაში. შუა საუკუნეებში დიდებულნი და აზნაურნი თავიანთ ძირითად გვართან ერთად ატარებდნენ მამულისა და ციხე-ქალაქის მფლობელობის აღმნიშვნელ გვარ-წოდებასაც, რაც მათი შთამომავლებისათვის ნამდვილ გვარად იქცეოდა. ასეთი პირები ოფიციალურ ისტორიულ საბუთებში მოხსენიებულნი არიან ან ორივე გვარით — ზოგადით და კერძოთი (მაგ.: შალვა თორელი — ახალციხელი), ან მხოლოდ გვარით (შალვა ახალციხელი).

ზოგიერთ ქართველ ისტორიკოსს მიაჩნდა, რომ შალვა თორელი-ახალციხელი იყო ჯერ თამარ მეფის მეჯურჭლეთუხუცესი,

მერე კი მანდატურთუხუცესი (თუმცა, ეს უტყუარად ჯერ არ არის დასაბუთებული). ისე კი უდავო ფაქტია, რომ თორელები XII საუკუნის შუა ხანებიდან, გიორგი მესამის (1156-1184 წწ.) დროიდან შეუცვლელად, თითქმის საუკუნის განმავლობაში იყვნენ ჯავახეთის მენაპირე ერისთავები. თორელთა გვარი წარმოიშვა **სოფელ თორში** (მტკვრის ხეობაში, ბორჯომთან ახლოს) დამკვიდრებული გვარის სამძივართა ერთი შტოსაგან. თორის მხარის გარდა, ისინი ფლობდნენ მტკვრის ხეობის ბევრ სოფელს, აგრეთვე **ძამის** და **თეძმის** ხეობებს (შიდა ქართლში). თორელები დამკვიდრდნენ **ახალციხეში, ღობიეთში, ქვეშეთში,** სადაც აშენებდნენ ციხე-სიმაგრეებსა და ეკლესიებს (ასე წარმოიქმნა მათი ახალი გვარ-წოდებები: ახალციხელი, ღობიარი, ქვეშელი, ხოლო „სახელოდ" ანუ საგამგებლოდ ჰქონდათ თითქმის მთელი ჯავახეთი. გამორიცხული არ არის, რომ რუსთველიც სამძივართა გვარის წარმომადგენელი ყოფილიყო.

ახალქალაქის ერისთავთ-ერისთავს **კახა გამრეკელ-თორელს** 1184 წელს თამარმა ჯერ ამილახორობა უბოძა, ხოლო შემდეგ, 1187 წელს ამირსპასალარადაც დანიშნა. მან დიდი როლი შეასრულა აჯანყებულ გიორგი რუსისა და ქართველი დიდებულების დამარცხებაში 1191 წელს. შალვა და ივანე ახალციხელები თორელთა მეორე შტოს წარმომადგენლები და მენაპირე ერისთავები იყვნენ (**ნ. შოშიაშვილი**).

1195 წლის 26 ივნისს შამქორთან გამართულ ბრძოლაში ქართველებმა დავით სოსლანის სარდლობით სასტიკად დაამარცხეს მუსლიმანთა კოალიციური ლაშქრობა ათაბაგ აბუბექრის მეთაურობით. ამ ბრძოლაში დიდად ისახელა თავი შალვა ახალციხელმა. ის იბრძოდა „მსგავსად აქილევსისა", შეიჭრა მტრის შუაგულში ძლიერი ხმალთაკვეთებით და ხელთ იგდო თავად ხალიფას დროშა, მუსულმანთა მთავარი სამხედრო სიმბოლო. ეს დროშა პირადად მიართვა თამარს შალვა ახალციხელმა. თამარმა იგი **ხახულის** ტაძარს შესწირა.

შალვამ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1202 წელს **ბასიანის** ბრძოლაში. იგი თავის ძმასთან, ივანესთან ერთად მეწინავე ჯარს სარდლობდა. შალვა აქაც მტრის შუაგულში შეიჭრა, რუმის (ანუ

იკონიის) სულთნის რუქნ-ად-დინის „მაღალ საჩრდილობელთან“ და სასულთნო დროშასთან. მან მოკლა მცველი და საჩრდილობელი თავზე დაამხო სულთანს, თუმცა მან მაინც შეძლო გაქცევა, ქართველები გამოედევნენ გაქცეულ მტერს და მწარე დამარცხება აგებინეს. შალვა და ივანე ახალციხელებმა 1204 წელს უშუალო მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სტრატეგიული ქალაქის კარის აღებაში.

თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ შალვა ახალციხელი კელავ ერთგულად ედგა მხარში მის მემკვიდრეებს. 1210-იან წლებში ლაშა-გიორგისთან ერთად უშუალოდ იბრძოდა ხლათის სულთნისა და კარნუ-ქალაქის მმართველთა ხელახლა დასამორჩილებლად. შემდეგ გიორგიმ **კეჩროლის** დასაპყრობად გაგზავნა შალვა თავისი ჯარით. შალვამ მისვლისთანავე აიღო კეჩროლი და საქართველოს დაუმორჩილა და შემოუმტკიცა. მემატიანეები დიდად აქებენ შალვას **„რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“**. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ არ ყოფილა იმ პერიოდში (1190-1225 წწ.) რაიმე მნიშვნელოვანი ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღოს და თავი არ ესახელებინოს შალვა ახალციხელს თავის ძმასთან ერთად. საქართველოში კი სახელის მოხვეჭა და აღზევება ბევრი მტრისა და მოშურნის გაჩენასაც გულისხმობს. განსაკუთრებით მხარგრძელებს შურდათ ძმები ახალციხელების, მათ შორის, პირველ რიგში, საქართველოს ამირსპასალარს ივანე მხარგრძელს. იგი ხელსაყრელ დროს უცდიდა მათ „დასამცირებლად“, ან დასაღუპავად და აი, ეს დროც დადგა.

1225 წლის აგვისტოში **გარნისთან** (სომხეთში) ქართულ მხედრობას (60 ათასი კაცი) ხვარაზმშაჰ მუჰამედის შვილის, თავზეხელაღებული და მამაცი სარდლის **ჯალალ-ედ-დინის** 200 ათასიანი ჯარი დაუპირისპირდა.

ქართველები გარნისთან მდებარე მთაზე იყვნენ დაბანაკებულნი, ქვემოთ კი ჯალალ-ედ-დინის ჯარი იდგა. ერთი დღე დაპყვეს ასე, შემდეგ კი ჯალალმა სასტიკი იერიში დაიწყო. სარდალმა და ათაბაგმა ივანე მხარგრძელმა ძმები თორელების 4 ათასიანი რაზმი შეაგება მტერს, თვითონ კი დანარჩენი ძალებით ზემოდან დასცქეროდა ბრძოლის ველს. ბუნებრივია, ასეთი პატარა რაზმი,

თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად, ვერ გაუძლებდა უზარმაზარი არმიის შეტევას. ივანე მხარგრძელმა მათ დამხმარე ჯარი არ მიაშველა და ეს რაზმი თითქმის მთლიანად გაწყდა, დაიღუპა ივანე ახალციხელი, უიარაღოდ დარჩენილი შალვა ბოლოს ცხენის ძგერებით იბრძოდა, მაგრამ მაინც ტყვედ ჩავარდა („ვითარცა შენიოთდა ძლიერად ომი, ხმალნიცა ახალციხელთანი განტყდეს ჩაბალახსა ზედა"). მხარგრძელი კი თავისი ჯარით უკუიქცა (უფრო გაიქცა) და ბიჯნისს ჩაიკეტა, თავის სამფლობელოში.

ჯალალ-ედ-დინმა შეიწყალა წინა აზიაში სიმამაცით განთქმული ქართველი სარდალი და თავისთან „შინა პატიმრობაში" ამყოფა, სამართავად კი ადარბადაგანის ქალაქები უბოძა.

განძაც წაართვა ქართველებს ჯალალმა და საქართველოს სატახტოსაკენ — ტფილისისაკენ დაიძრა (შემდეგ აიღო კიდევაც ტფილისი და ასი ათასზე მეტი ადამიანი სიკვდილით დასაჯა). 1225 წლის დეკემბერი იდგა.

მდინარე არაქსთან რომ მივიდნენ, აქ გაირკვა, რომ შალვა ახალციხელი იდუმალ წერილებს აგზავნიდა თურმე რუსუდან მეფესთან და ხვარაზმ-შაჰის ლაშქრობის გეგმებს ატყობინებდა. ეს წერილები ჯალალ-ედ-დინის მსტოვრებმა იგდეს ხელთ და მბრძანებელს მიართვეს. დიდად შეწუხებულა შალვა, რომ უკანასკნელი სამსახური ვეღარ გაუწია თავის სათაყვანებელ ქვეყანას. კიდევ პატიებას შეპირდნენ, თუ ქრისტიანობას განუდგებოდა და ისლამს აღიარებდა. სასტიკი უარი მიიღეს.

მდინარე არაქსის პირას გაიყვანეს და თავი მოკვეთეს. ასე დაიღუპა დიდი პატრიოტი. მადლიერმა ქართველობამ არ დაივიწყა შალვა ახალციხელის ვაჟკაცობა და თავდადება და თაობიდან თაობას გადასცა მისი გმირობის ამბავი. მას მიუძღვნეს სახელგანთქმული სიმღერა „შავლეგო" — ვაჟკაცი ქართველების პიმნი და სადიდებელი.

ბექა და ბეშქენ ოპიზარები

ოქრომჭედლობის დიდოსტატთა — **ბექა** და **ბეშქენ ოპიზარების** ქმნილებებს წინ უძღვის X-XI საუკუნეების შესანიშნავ ოსტატთა — ასათმოქმედის, გაბრიელის, გაბრიელ საფარელის, ასან, თევდორე და გიორგი გვაზავაისძეთა, თეთაი-ს, ივანე დიაკონის, ივანე მონის-ძის, ფილიპეს და სხვათა შემოქმედება და „კვალი ნათელი".

ბექა ოპიზარი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIII საუკუნის დასაწყისში. სამწუხაროდ, მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ჯერაც არ გაგვაჩნია. სადაურობის მაჩვენებელი სახელწოდება ოპიზარი გვაფიქრებინებს, რომ იგი ან წარმოშობით კლარჯი იყო (ოპიზა კლარჯეთში მდებარეობდა), ანდა თავისი პროფესიული მოღვაწეობა დაუკავშირა ქართული კულტურის ამ დიდებულ კერას.

დღემდე მოაღწია ბექა ოპიზარის ორმა ნაწარმოებმა — **ანჩისხატის ჩარჩოს** მოჭედილობამ და **წყაროსთავის** სახარების ყდამ. არსებობს ცნობა მესამე ქმნილებაზეც — ესაა **ანჩის** სახარების ყდა, თუმცა მას ჩვენამდე არ მოუღწევია.

წყაროსთავის სახარება გადაუწერია ორ მწერალს — **იოანე ფუკარალის ძეს** და **გიორგი სეთაისძეს** 1195 წელს. იმავე ან მომდევნო წელს მისი ყდა ბექა ოპიზარს მოუჭედავს ოქროთი. სახარება გადაუწერინა და მოაჭედინა **ტბეთის** ეპისკოპოსმა **იოანე საფარელ-მტბევარმა**. ყდის მარცხენა მხარეს, ქვემოთ, მოთავსებულია ბექას ხელმოწერაც: **„ქრისტე შეიწყალე ოქრომჭედელი ბექაი ოპიზარი"**.

თავად ხელნაწერის ერთ მინაწერში აღნუსხულია ის მასალა, რაც ოსტატს გამოუყენებია ყდისთვის და მითითებულია ბექას გასამრჯელო — 23 დრამა.

ბექა ოპიზარი, როგორც ჩანს, აღიარებული და მიღებული ოქრომჭედელი იყო. მას უკვეთავდნენ თავად მეფის კართან დაახლოებული მაღალი სასულიერო წოდების პირები, მის ქმნილებებში

ოსტატის სახელი ყველგან თვალსაჩინო ადგილასაა, მასვე დიდი პატივისცემით იხსენიებენ შემკვეთთა წარწერებშიც.

1895 წელს ექვთიმე თაყაიშვილს წალკის რაიონის სოფელ წინწყაროში, თურქეთიდან ჩამოსახლებული ერთი ბერძენის ოჯახში უნახავს ანჩის სახარება, რომელსაც უკვე ხის ყდა ჰქონია (ვ. ბერიძე). ხელნაწერის ბოლოს დართულ ანდერძში ნათქვამია: „**მე სოფრომ მწიგნობარმა ეს სახარება მოვაჭედვინე ღმრთისა მიერ კურთხეულს, ღირსსა ოქროის მქანდაკებელსა ბექასა**“. აქედან ჩანს, რომ ამ სახარების ყდა ოქროთი ყოფილა მოჭედილი ბექა ოპიზარის მიერ. სამწუხაროდ, მის ამ ნამუშევარს ჩვენ ვერასოდეს ვიხილავთ. ანდერძში მოხსენიებულნი არიან „ღმრთივ გვირგვინოსანი თამარ მეფეთა მეფე და დედოფალი“, დავით სოსლანი და მათი ძე, უფლისწული ლაშა-გიორგი. მათთან ერთად ბექას მოხსენიება იმაზეც მეტყველებს, თუ რა დიდად აფასებდნენ მას თანამედროვენი. ბექას ეს ნამუშევარი 1193-1207 წლებში უნდა იყოს შექმნილი (ლაშა გიორგის დაბადების შემდგომ და სოსლანის გარდაცვალებამდე).

ანჩის მონასტერთანაა დაკავშირებული ბექას მესამე ნაწარმოებიც — სახელგანთქმული **ანჩისხატი**, რომლის ჩარჩოც მან მოჭედა ანჩის ეპისკოპოსის **იოანე ანჩელ-რკინაელის** შეკვეთით. ძველი თქმულებით, მაცხოვრის ეს ხატი — ე.წ. ხელთუქმნელი ხატის მსგავსი — საქართველოში **ანდრია მოციქულს** ჩამოუტანია I საუკუნეში. ასეთი განსაკუთრებული ხატის შემკობას კი ბექასნაირ დიდოსტატს თუ მიანდობდნენ, მით უმეტეს, რომ ანჩისხატი თამარ მეფის სურვილითა და ხარჯით იქნა მოჭედილი. ხატის ჩარჩოს ქვემოთ წარწერაში ნათქვამია: „**ქ. ბრძანებითა და ნივთის ბოძებითა ღმრთივ გვირგვინოსნისა დიდისა დედოფალთ დედოფალისა, თამარისათა, მე იოანე ანჩელმან რკინაელმან ხელვყავ საშინელისა ამის ხატისა პატივით მოჭედად, მფარველმცა არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიჭედა ხელითა ბექასათა, ქრისტე შეიწყალე**“. უფრო გვიან მაცხოვრის ეს ხატი სამცხის ათაბაგთა, ჯაყელთა ოჯახს ეკუთვნოდა. XVII საუკუნეში იგი ტფილისში ჩამოიტანეს და დაასვენეს ძველ ეკლესიაში, რომელსაც ამის შემდგომ **ანჩისხატის ეკლესია** ეწოდა.

ამჟამად ანჩისხატი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება, ხოლო წყაროსთავის სახარება — მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

წყაროსთავის სახარების ყდა ვერცხლისაა, მოოქროული (ზომა 20X17სმ). მას ამკობს ორი კომპოზიცია: ერთ მხარეს ვედრების გამოსახულებაა (ტახტზე დაბრძანებული ქრისტე, მის მარჯვნივ ღვთისმშობელი, მარცხნივ — იოანე ნათლისმცემელი, მეორე მხარეს — ჯვარცმა (ჯვარცმულ ქრისტეს აქეთ-იქეთ ღვთისმშობელი და იოანე მოციქული, ჯვრის განივი მკლავის ზემოთ — ორი ანგელოზი წელზევით. ორივე გამოსახულება ჩასმულია ფართო ორნამენტულ ჩარჩოში. ჩარჩოები ოთხივე მხარეს შუა ადგილას წყდება და ადგილს უთმობს ან ძვირფასი თვალის ბუდეს (ჯვარცმის გარშემო), ან მარიამსა და იოანეს ფიგურებს, რომელნიც ჩარჩოს ხაზის არეში არიან შეჭრილნი (ვედრების სცენა). საერთო სურათში ჩართულია წარწერებიც: ჯვარცმაში მხოლოდ მოქმედ პირთა დასახელებაა, ვედრებაში შემკვეთისა და ავტორის ლამაზად შესრულებული გრძელი ასომთავრული წარწერები, რომელთაც კომპოზიციის თანაბარუფლებიანი ელემენტის მნიშვნელობა აქვთ.

წყაროსთავის სახარების ყდის სკულპტურული სცენები თავიანთი აგებულებით ძალზე წააგავს და უახლოვდება ბექას უფროსი თანამედროვის ბეშქენ ოპიზარის მიერ უფრო ადრე შესრულებულ კომპოზიციებს ბერთის სახარების ყდისათვის.

ანჩისხატის ბექასეული მოჭედილობა მოოქროვილი ვერცხლია. იგი ენათესავება წყაროსთავის სახარების მოჭედილობას, განსაკუთრებით ვედრების კომპოზიციას (ბექას ეკუთვნის მხოლოდ ხატის ჩარჩო; ხატის კარებისა და საკუთრივ მაცხოვრის გამოსახულება უფრო გვიან, სხვადასხვა დროს არის მოჭედილი). ხატის ჩარჩო სიმაღლით 1 მეტრზე მეტია, სიგანით — 70 სმ. იგი მცენარეთა მსგავსი ჩუქურთმებით მორთული ფართო არშიაა, რომელზედაც ადგილ-ადგილ ჩართულია წმინდანთა ფიგურები: მარცხენა შვეულ არშიაზე, შუაში, მოთავსებულია ღვთისმშობელი, მარჯვენაზე, მის პირდაპირ, იოანე ნათლისმცემელი. ორივე მათგანი მაცხოვრის გამოსახულებისკენაა მიმართული. ამგვარად, ისევე როგორც წყაროსთავის სახარების ყდაზე, აქაც,არსებითად

ვედრების კომპოზიცია გამოდის. ჩარჩოს ორი ზემო კუთხე მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებს უჭირავთ, ხოლო მათ შორის, ცენტრში „საყდარია“ — სიმბოლურ-ალეგორიული გამოსახულება — სამეფო ტახტი, ზედ აღმართული ჯვრით; ქვემო არშიაზე, შესაბამისი ადგილები განკუთვნილი აქვთ პეტრე და პავლე მოციქულებს (კუთხეებში) და იოანე მახარებელს (შუაში). ამრიგად, სკულპტურული ფიგურები აქ ჩართულია ჩარჩოს მძლავრ ორნამენტულ არშიაში, როგორც მისი დეტალები.

ამრიგად, ბექას ეპოქის ჭედურ ნაწარმოებში უმთავრესი ყურადღება ექცევა არა სკულპტურულ გამოსახულებას, როგორც ეს XI საუკუნეში იყო, არამედ დეკორატიულ-ორნამენტულ მხარეს.

ბექა ოპიზარი რომ უაღრესად მაღალი დონის შემოქმედი და პროფესიონალი იყო, მოწმობს მის მიერ ვირტუოზული ბრწყინვალებით შესრულებული ორნამენტული სახეები და ფიგურები. ბექა იყენებდა წინა ეპოქის მხატვრულ მონაპოვარსაც. იგი ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელია ქართული ხელოვნების „ოქროს ხანისა“, რომლის შემდეგაც ხელოვნების ეს დარგი საკმაოდ დაქვეითდა როგორც ტექნიკური, ისე მხატვრული თვალსაზრისით.

ბექას უფროსი თანამედროვე იყო **ბეშქენ ოპიზარი**, რომელიც მოღვაწეობდა XII საუკუნეში. თავისი წარმოშობითა და შემოქმედებით ისიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სამხრეთ საქართველოს ამ კუთხესთან.

ჩვენთვის ცნობილია ბეშქენ ოპიზარის ერთადერთი ქმნილება — **ბერთის სახარების** ვერცხლის ყდის მოჭედილობა, რომელიც ადრე გელათის მონასტერში ინახებოდა, ამჟამად კი ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ბერთა მნიშვნელოვანი მონასტერი და კულტურული ცენტრი იყო კლარჯეთში. ეს სახარებაც ამ მონასტერს ეკუთვნოდა, როგორც ამ მინაწერებიდან ჩანს. ყდის წარწერაზე ასე ვკითხულობთ: **„ოქროპირისა ნიკითა მოიჭედა სახარებაი ესე... მოიჭედა ხელითა ბეშქენ ოპიზარისაითა“.**

ბერთის სახარების ყდის ერთ მხარეს გამოსახულია ჯვარცმა, მეორე მხარეს კი ვედრება (იგივე გაიმეორა შემდგომ ბექა ოპი-

ზარმაც). ჯვარცმიან მხარეს ყდის ოთხივე კუთხეში ჩუქურთმიანი არშიებია. იესო ქრისტეს, მარიამისა და იოანეს ტრადიციული ფიგურები მაღალი ოსტატობითაა შესრულებული, მაგრამ ქრისტეს სხეული ნამდვილად კი არ პკიდია, არამედ რამდენადმე მანერულადაა დაყენებული. ვედრების მხარეს ორნამენტული ნაკვეთები აგრეთვე კუთხეებშია მოთავსებული. მანძილი მათ შორის ზემო და ქვემო არშიებზე შეესებულია მშვენივრად შესრულებული რელიეფური ასომთავრული წარწერებით, მარჯვნივ და მარცხნივ კი მათ შორის ჩასმულია მარიამისა და იოანე ნათლისმცემლის ხელებაპყრობილი, რამდენადმე დაგრძელებული ფიგურები. შუა ადგილი უჭირავს ტახტზე მჯდომი ქრისტეს მძლავრ ფიგურას, რომელიც თავისი ზომით დიდად აღემატება ორ დანარჩენს.

ქრისტეს ტანსაცმლის რთული ნაკეცები, მისი ტახტის ჩუქურთმები, არშიების არგუმენტაცია მოწმობს, რომ ბეშქენი ფრიად დახელოვნებული ოსტატი იყო და როგორც მისი დროის სხვა ოქრომჭედლებს, მასაც განვითარებული ჰქონდა დეკორაციული დამუშავების ალღო (**ვ. ბერიძე**).

ქართველობას მუდამ საამაყოდ ჰქონდა და მომავალშიც ექნება ამ ორი დიდოსტატის შემოქმედება, რომელმაც გაუძლო ყველაზე ულმობელ მსაჯულს — დროს.

გრიგოლ სურამელი და ცოტნე დადიანი



ეს ორი ქართველი ერისთავი ერთმანეთის თანამედროვენი იყვნენ. მონღოლებს ახალი დაპყრობილი ჰქონდათ საქართველო. რუსუდან დედოფალი იძულებული გახდა, დაზავებოდა მათ და თავისი შვილი ყაენთან ურდოში თანამეფედ დასამტკიცებლად გაეგზავნა. რუსუდანი შვილის დაბრუნებას ვერც მოესწრო. იგი 1245 წელს გარდაიცვალა.

მეფის დამტკიცებამდე მონღოლებმა საქართველო **რვა დუმნად** დაპყვეს და მათ სათავეში ქართველი ერისთავები ჩაუყენეს. მათ შორის იყვნენ **გრიგოლ სურამელი** და **ცოტნე დადიანიც**.

სურამელები ქართლის ერისთავები იყვნენ. გრიგოლი თამარ მეფის ერთგული ერისთავის რატი სურამელის შთამომავალი იყო.

ქართველები 50 ათას ოქროს პეპერასთან ერთად მძიმე სამხედრო ბეგარასაც იხდიდნენ — ბრძოლებში თან ახლდნენ მონღოლ დამპყრობლებს.

...ეს ყველაფერი კოხტასთავის შეთქმულებამდე მოხდა. უკვე მეშვიდე წელი იყო, ქართველები საომრად თან ახლდნენ ირანში სალ კლდეზე აღმართული ციხე-სიმაგრის **ალამუთის** („არწივის ბუდე“) ასაღებად გარსშემოწყობილ მონღოლებს.

ალამუთის ციხეს თანამედროვე ტერორისტთა წინაპრები მუ-

ლიდ-ასასინები — თავზეხელაღებული და მამაცი ფანატიკოსები იცავდნენ.

ზაფხულის ერთ ღამეს ვიღაც იდუმალ შეიპარა მონღოლი ნოინის **ჩალატას** კარავში და სიცოცხლეს გამოასალმა იგი. ჩალატას ბანაკი ქართველთა ბანაკის გვერდით იდგა. მონღოლებს ბევრი აღარ უფიქრიათ, მკვლელობა ქართველებს გადააბრალეს და მათზე შურის საძიებლად გაემართნენ. ერთ-ერთი ნოინი **ჩარმაღანი** ამაოდ აკავებდა მონღოლებს: **„დაწყნარდით, კაცნო, რამეთუ არა არს ნათესავი ქართველთა კაცის მკვლელი და არცა სჯული უცთ ესევითარისა საქმისა ქმნად“**. გაავებული მონღოლები ღრიანცელით და იარაღის ჟღარუნით დაიძრნენ ქართველთა დასახოცად. ქართველებს ვერ გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ზოგი საბრძოლველად გასვლას ამბობდა, ზოგი ბანაკში ჩაკეტვას ამჯობინებდა. დრო აღარ ითმენდა.

სწორედ ამ ურთულეს მომენტში გამოიჩინა დიდი სიმამაცე და თავდადება **გრიგოლ სურამელმა**. მან ასე მიმართა თავისიანებს: **„არა არს ჟამი ბრძოლისა, რამეთუ მცირე ვართ“**, თუ შეებრძოლებით, დიდიდან მცირემდის ყველას ამოგვწყვეტენ, ამიტომ უმჯობესია ხელი არ გამოვიღოთ და თათრებს ჩვენ, ლაშქრის მეთაურნი შევხვდეთ. ისინი ჩვენს დახოცვას დასჯერდებიან და დანარჩენ ქართველებს, მთლიან ჯარს, ხელს არ ახლებენო.

ისეთი აღტკინებითა და შთაგონებით ლაპარაკობდა სურამელი, რომ ხმა აღარავის ამოუღია და ყველა უმალ დაემორჩილა ქართველ პატრიოტსა და ვაჟკაცს.

სიტყვა დაასრულა თუ არა, სამჯერ პირჯვარი გადაიწერა, მუხლი მოიყარა და ღვთისმშობლის სადიდებლად გალობას შეუდგა. ქართველთა ბანაკი აპყვა მას.

მონღოლები უკვე ახლოს იყვნენ.

გრიგოლ სურამელი პირველი გამოეგება სიკვდილს. დანარჩენი მეთაურებიც მას მიპყვნენ. ის იყო შეტაკება უნდა მომხდარიყო, რომ ამ დროს ლერწმებიდან გამოხტა ვინმე ასასინი ტერორისტი და სპარსულად დაიძახა: **„მან ქუშტემ ჩალატა“ — „მე მოვკალ ჩალატა“**-ო.

მკვლელი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

ქართველები უაზრო მსხვერპლს გადაურჩნენ, თუმცა გრიგოლ სურამელი და სხვა მეთაურები მზად იყვნენ თავის გასაწირად.

...მალე მონღოლთა ულელი კიდევ უფრო დამძიმდა. უაღრესად

შეწუხებულმა ქართველმა ერისთაებმა მონღოლთა წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა გადაწყვიტეს.

მტერი რომ ვერ მიხვედრილიყო მათ განზრახვას, მოითათბირეს დედაქალაქიდან მოშორებით შეკრებილიყვნენ **ჯავახეთში, კოხტასთავს.** შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: **ეგარსლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, კახაბერ კახაბერისძე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თორღვა პანკელი, გამრეკელი თორელი** და **სარგის თმოგველი.**

შეკრებაზე გადაწყდა, რომ ერთიანი ძალით დაპირისპირებოდნენ მონღოლებს და შეკრების ადგილად დათქვეს **რკინისჯვარი.**

ცოტნე დადიანი და კახაბერ კახაბერისძე კოხტასთავიდან ერთი დღით ადრე წავიდნენ, ვინაიდან წინ შორი გზა ედოთ და დასავლეთ საქართველოდან ჯარები დროულად უნდა გადმოეყვანათ.

დანარჩენებმა წასვლა ვეღარ მოასწრეს. შეთქმულება ვიღაცამ გასცა. ქართველი დიდებულები მონღოლებმა შეიპყრეს და სომხეთში, ანისთან ახლოს წაიყვანეს მთავარ ბანაკში.

როცა ცოტნე დადიანი თავისი ლაშქრით ლიხის მთას გადმოვიდა, მან შეიტყო შეთქმულების ჩაშლის ამბავი. ჯარი უკან გააბრუნა და თავად ორი მსახურის თანმხლებით ანისის გზას დაადგა.

ანისში ჩაყვანილი ქართველი დიდებულები გამოტეხვის მიზნით მონღოლებმა გააშიშვლეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და მცხუნვარე მზის ქვეშ დაყარეს.

ცოტნე ანისში ჩავიდა და იქ საწამებლად მზეზე დაყრილი თავისი თანამემამულენი იხილა. თავადაც ტანთ გაიხადა, მხარ-მკლავი გაიკრა და სიცხითა და კრაზანებით განაწამებ თანამოაზრეებს მიუჯდა.

გაოცებულმა მონღოლმა ნოინებმა ცოტნეს ასეთი საქციელის ახსნა მოსთხოვეს. ჩემი ამხანაგები უდანაშაულონი არიან და თუ უდანაშაულოთა დასჯა განგიზრახავთ, მეც მათთან ერთად დამსაჯეთო, უპასუხა დადიანმა.

მონღოლებმა, ბევრი დამპყრობლისაგან განსხვავებით, ვაჟკაცობისა და სიმამაცის ფასი კარგად იცოდნენ. ცოტნეს ამგვარმა თავდადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე და ყველანი გაათავისუფლეს.

ასე იხსნა ცოტნემ თავისი მოყვასნი. მისი თავგანწირვა კი ერთ-ერთ ულამაზეს მაგალითად იქცა მონღოლთა პერიოდის საქართველოს „დიდ ღამეში“.

დემეტრე თავდადებული

დემეტრე **მეორემ** სულ 29 წელი იცოცხლა ამქვეყნად, მაგრამ მისი თავდადებისა და გმირობის ამბავი არასოდეს წაიშლება ჩვენი სამშობლოს ისტორიიდან.

დემეტრე საქართველოს მეფის დავით VII „ულუს“ და გვანცა დედოფლის ვაჟი გახლდათ. 1260 წელს დავით VII მონღოლებს აუჯანყდა. მონღოლებმა შეიპყრეს მეფის მეუღლე გვანცა და სიკვდილით დასაჯეს. დავით ულუ დამარცხდა და იძულებული გახდა შერიგებოდა მონღოლებს.

მამის გარდაცვალების შემდეგ 11 წლის დემეტრეს, როგორც კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა, სათამაშოების ნაცვლად სამეფო სკიპტრა შეაჩეჩეს ხელში.

ჟამთააღმწერელის გადმოცემით, დემეტრე ყოფილა მშვენიერი და მომხიბლავი ვაჟკაცი: **„ტანითა ახოვან, ფერთა ჰაეროვან, შესახედავად ტურფა, თმითა და წვერითა მწყაზარ და შვენიერ. თვალითა გრემან, ბეჭპრტყელ და შეწყობილ. სამხედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და შვილდოსანი რჩეული, უხვი, მოწყალე და**

მდაბალი, გლახაკთა, ქვრივთა და დავრდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა გინა სხვათა კაცთა“.

ობლობაში გაზრდილ მეფეს განსაკუთრებით ებრალებოდა ქვრივ-ობლები და ღატაკები. ხშირად ღამ-ღამობით გადიოდა ფულით სავსე ქისებით და მანამ არ დაბრუნდებოდა შინ, ვიდრე გაჭირვებულებს არ დაურიგებდა. მეფე ზრუნავდა ეკლესია-მონასტრებზე, უხვად აძლევდა შესაწირავს. მისი მეფობის პერიოდში აიგო მეტეხის დიდებული ტაძარი ტფილისში.

ურთულესი პერიოდი ედგა მონღოლებისაგან საფუძვლიანად შევიწროვებულ საქართველოს. მოშლილი იყო მეურნეობა, დაეცა კულტურა, შეირყვნა ზნეობა, როგორც **ლევან სანიკიძე** მიუთითებს, დემეტრე მეფეშიც მისი თანამედროვეობა ჩასახლებულიყო მთელი თავისი წინააღმდეგობებით: იგი უშიშარი რაინდიც იყო და უპრინციპო რენეგატიც, დაკვირვებული ბრძენიცა და თავზეხელაღებული ავანტურისტიც, თავმდაბალიც და ამპარტავანიც, უხვიც და გულხარბიც, საზოგადო კაცთმოყვარეც და პატივმოყვარე ეგოისტიც. მაგრამ ჯერ არავინ იცოდა, რომ მასში თურმე დიდი გმირი სუნთქავდა...

დემეტრეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა მონღოლ ყაენებთან და ვეზირებთან. მისი გავლენა მონღოლთა ყაენის კარზე განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც **არღუნ ყაენის** პირველი ვეზირი გახდა **ბულა ჩინგსანგი**. ბულას ვაჟს ცოლად გააყოლეს დემეტრეს ასული. მძახლების გავლენა იმდენად გაიზრდა, რომ დემეტრესა და სხვათა მხარდაჭერის იმედად ბულამ არღუნ ყაენის მოშორება და ტახტზე თავისი ერთგული კაცის დასმა გადაწყვიტა, თუმცა ყველაფერი კარგად ვერ გათვალა. შეთქმულება გამჟღავნდა და ბულა სიკვდილით დასაჯეს. ასევე ამოწყვიტეს მისი ოჯახის წევრები, ნათესავები და მომხრეებიც.

არღუნ ყაენმა, როგორც ჩანს, კარგად იცოდა დემეტრეს და ბულას სიახლოვის და თანამოაზრეობის ამბავი. ამის გამო დემეტრე სასწრაფოდ ურდოში დაიბარეს. ეს 1289 წლის დასაწყისში მოხდა.

დემეტრე ყველაფერს მიხვდა. მეფემ უმალ სამეფო დარბაზი შეკრიბა და დარბაისელთ რჩევა ჰკითხა. დარბაზის წევრებს კარგად ესმოდათ, რომ თუ დემეტრე ყაენთან წაიდოდა, უეჭველად სიკვდილი ელოდა, ამადაც ურჩიეს მთაში გახიზვნა და დამალვა.

სწორედ აქ გამოაკლინა დემეტრემ უდიდესი პასუხისმგებლობა თავისი ერის წინაშე. მან კარგად გააცნობიერა, რომ არწასვლის შემთხვევაში მონღოლები უდანაშაულო ხალხზე იძიებდნენ შურს და მიწასთან გაასწორებდნენ მთელ სამეფოს.

დემეტრემ გმირული გადაწყვეტილება მიიღო და ქვეყნის მოოხრებას და ხალხის ამოჟლეტას საკუთარი სიცოცხლის გაწირვა არჩია. ამიტომაც არის ის უდიდესი ქართველთაგანი:

„არა! წავალ, არ დავდგები, დე, აღსრულდეს ნება ღვთისა, ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს, მეფის თქვენის დიმეტრისა“...

ასე ათქმევინა ილია ჭავჭავაძემ თავის პოემაში **„დემეტრე თავდადებული“** მირონცხებულ ახალგაზრდა მეფეს.

„მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა და არა დავიშლი ურდოსა წასვლას“ (ავტორისეული).

დემეტრე თავისი ამალით ამაყად ეახლა ყაენს. არღუნმა იგი საპყრობილეში ჩააგდო. რამდენიმე ქართველმა მოახერხა საპყრობილეში შეღწევა მეფის გასათავისუფლებლად, მაგრამ მან უარი განაცხადა გაპარვაზე და ბოლომდე ვაჟკაცურად დაელოდა თავის მძიმე ხვედრს. 1289 წლის 12 მარტს დემეტრე ურდოში სიკვდილით დასაჯეს.

სამაგიეროდ გადარჩა მისი საყვარელი საქართველო.

მადლიერმა ქართველობამ დემეტრეს **„თავდადებული“** უწოდა, **ეკლესიამ კი წმინდანად შერაცხა იგი.** მისი გმირობის ამბავი თაობიდან თაობას გადაეცემა დღესაც!

გიორგი V ბრწყინვალე

გიორგი V ქართველ მეფეთა შორის განსაკუთრებული სახელით გამოარჩია ერმა — „ბრწყინვალე“ უწოდა მას.

გიორგი შვილი იყო სახელოვანი დემეტრე თავდადებულისა, რომელმაც საკუთარი თავის გაწირვით იხსნა საქართველო მტრის აპაოხრეებელი თავდასხმებისაგან, მას 1289 წლის 12 მარტს მონღოლთა ურდოში თავი მოეკვეთეს.

გიორგი ასევე შვილიშვილი იყო დიდი შანდატურთუხუცესის, სამცხის მთავრის **ბექა ჯაყელისა** (ბექას ქალიშვილი ნათელა იყო დედა გიორგი მეფისა, ნათელა დემეტრე თავდადებულის მესამე ცოლი გახლდათ). ბექა ჯაყელი მამაცი სარდალი და ჭკვიანი მმართველი გამოდგა. ამასთან იგი ნიჭიერი იურისტიც ყოფილა. მაშინდელ სამართალმცოდნეებთან ერთად ბექას შეუდგენია **„წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე“** ეს წიგნი მოგვიანებით მისმა შვილიშვილმა **აღბუღამ** შეავსო და საქართველოს ისტორიაში იგი ბექა-აღბუღას სამართლითაა ცნობილი.

დემეტრე მეფეს და ნათელა დედოფალს გიორგის გარდა შვი-

ლი არ ჰყოლიათ (დემეტრეს ჰყავდა უფროსი შვილები პირველ ორ ცოლთან): **„მარტო შვა დედამან, ვითარცა მარგალიტისათვის თქმულ არს მარტოება უმჯობესისათვის, ეგრეთვე გიორგი იპოვა უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ჟამისათა, არა ოდენ ხელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა“** (ჟამთაღმწერელი).

როდესაც დემეტრე თავდადებული ურდოში სიკვდილით დასაჯეს, გიორგის აღზრდა ითავა პაპა ბექა ჯაყელმა **„წარიყუანა პაპამან მისმან და აღზარდა საკვირველი და უმჯობესი ყოველთა კაცთა, ვითარცა ქვემორე სიტყუამან ცხადყოს“** (ჟამთააღმწერელი).

1299 წელს აჯანყებული დავით VIII-ის საპირისპიროდ (დავითი დემეტრეს უფროსი ვაჟი იყო) მონღოლებმა მეფედ დასვეს მისი მცირეწლოვანი ნახევარძმა **გიორგი** (შემდეგში გიორგი V ბრწყინვალე). მისი მეფობის არეალი მაშინ მხოლოდ თბილისი იყო. 1302 წელს მონღოლებმა ამავე დავით VIII-ს დაუპირისპირეს მისი ღვიძლი ძმა ვახტანგ III (1302-1308წ.წ.). ვახტანგის დროს გიორგი „აღარ ჩანს“. ვახტანგ III-ის გარდაცვალების შემდეგ მონღოლებმა მეფედ დაამტკიცეს დავით VIII-ის შვილი გიორგი მცირე (გიორგი VI), რომელსაც „საქმის მოურავად“ ბიძა - გიორგი დიმიტრისძე (გიორგი V) დაუდგინეს.

1318 წელს გარდაიცვალა გიორგი მცირე და ტახტი დაიკავა გიორგი მეხუთემ: **„აქა იწყო აღმოცისკრებად მზემან მეფისამან გიორგი, რომელი აღეზარდა პაპასა დიდსა ბექასა“** (ჟამთააღმწერელი).

ურთულეს დროსა და უძნელეს პირობებში მოუწია მეფობის დაწყება გიორგის: საქართველო კატასტროფის პირას იყო მისული, ეკონომიკურად დაქვეითებული; პოლიტიკურად კარგა ხნის დაქსაქსულ, მონღოლთა მარბიელი ექსპედიციებისაგან ფიზიკურად ძლიერ დაზიანებულ ქვეყანაში სრული ქაოსი და უწესრიგობა სუფევდა. მონღოლთა თარეშს ყიჩაყთა და ოსთა თავაშვებულობა დაემატა. ვახტანგ მეფის დროს ოსებმა ბაყათარის მეთაურობით ქართლში შემოაღწიეს და გორიც კი დაიკავეს. ერთმანეთზე თავდასხმა და ხოცვა-ჟლეტა ჩვეულებრივი ამბავი გამხდარა. ამორალურ ცხოვრებას ფრიად გადაუგვარებია ერი: **„დიდი უსამართ-**

ლობა და მძლავრებულობა ქმნილ იყო ერთმანერთსა ზედა და... ერთმანერთსა ღალატად დასხმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგურა და დაგდება უბრალოსა და მრავალფერნი ულუსობანი" ისე ყოფილა გავრცელებული, რომ ,,ყოლა სამართალი არსად იყო-ღო" (,,ძეგლის დადება"):

გაპარტახებული და თითქმის დაცარიელებული ყოფილა საქართველოს ბარი. გახელებული შიდა ომი ჰქონიათ ქართველ მთიელებს. მტრის გასახარად ერთმანეთს ჟლეტდნენ ქსნის ხეობაში მცხოვრები ცხაოტელნი და ჟამურელნი. ამ პერიოდში მეტად გაძლიერებულან და გალაღებულან ,,მთავარნი" ანუ ,,საქვეყნოდ გამრიგენი", რომლებიც ძალზე ეურჩებოდნენ მეფეს.

ასეთ საქართველოში იწყებდა მეფობას გიორგი მეხუთე. ამ დროს იგი 25-26 წლის ყოფილა და მეფობისათვის სრულად შემზადებული.

გიორგი მეფემ დავით აღმაშენებელივით ორი დიდი ამოცანის გადაწყვეტა დაისახა მიზნად: საქართველოს ხელახლა გაერთიანება და მონღოლთა ბატონობის გადაგდება. ჭკვიანმა მეფემ უმალ იაზრა, რომ დაქცეული საქართველოსათვის თუნდაც უკვე დასუსტებულ ილხანების საყაენოსთან ბრძოლის ატეხა საბედისწერო შედეგის მომტანი იქნებოდა. ამიტომ მან მონღოლებთან ფრთხილი და მშვიდობიანი პოლიტიკის წარმოება ამჯობინა, რათა დრო მოეგო და ქვეყანა ფეხზე დაეყენებინა (როგორც ჩანს, მან გაითვალისწინა დავით აღმაშენებლის მეფობის პირველი წლების ისტორია, რომლითაც დავითმა ჯერ ქვეყანა მოაშენა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუწყვიტა ხარკის მიცემა თურქ-სელჯუკებს (ამ დიდ მეფეთა მაგალითის გათვალისწინება არც თანამედროვე ქართველებს გვაწყენდა - **ვ.შ.**).

1315 წელს ოლჯაითუ ყაენმა (1304-1317წ.წ.) გიორგი V თავის ჯარით მცირე აზიაში აჯანყების ჩასაქრობად გაიწვია. გიორგიმ და ქართველებმა დიდად გამოიჩინეს თავი ამ ბრძოლებში. ეს იყო ქართველთა უკანასკნელი მონაწილეობა დამქანცველ მონღოლურ ლაშქრობებში.

1317 წელს გარდაიცვალა ოლჯაითუ ყაენი და ტახტზე ავიდა მისი 12 წლის ვაჟი **აბუსაიდი** (1317-1335წ.წ.). ახალი ყაენის მცი-

რეწლოვანების გამო ფაქტიური მმართველი გახდა პირველი ვაზირი **ჩობან ნოინი**.

გიორგი მეფემ მოიპოვა უხომოდ აღზევებული ჩობან ნოინის პირადი ნდობა. არაბი ისტორიკოსის **ელ-კალკაშანდის** ცნობით, ეს ნდობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ჩობანი საყაენო საქმეებსაც კი ეკითხებოდა ჭკვიან ქართველ მეფეს. ჩობან ნოინს ძლიერ სჭირდებოდა გიორგი მეფე, რომელიც თავის ჯარით ყველაზე სერიოზული ძალა იყო მონღოლთა შორის ხშირი შეთქმულებების და აჯანყების ჩასაქრობად.

გიორგი მეფეს ჩობან ნოინი 1311 წელს გაუცვნია, როცა მან ჩობანთან ერთად საბერძნეთში აჯანყება ჩააქრო და იქ მთელი წელი დაჰყო. აქ დაახლოებულან და დამეგობრებულან ორივენი. ყაენს, ჯერ კიდევ ურდოში გიორგი მცირეს მეფედ დამტკიცების დროს უბრძანებია საქართველოს გაერთიანება („ჟამთააღმწერელი"), მაგრამ მონღოლმა მოხელეებმა და ქართველმა მთავრებმა, ვისაც ეს ჰქონდათ დავალებული (გიორგი ბრწყინვალე სწორედ იმ დროს იმყოფებოდა საბერძნეთში), ვერაფერი გააწყვეს: სამცხის სამთავროს პატრონებს მამა-შვილ **სარგისსა** და **ყვარყვარეს** (გიორგი V ბიძებს) არ უსურვებიათ დამორჩილებოდნენ გიორგი მცირეს.

1317 წელს, როცა გარდაცვლილი ოლჯაითუს მაგივრად აბუსაიდის ტახტზე ასვლის გამო გიორგი ილხანთა ურდოში გამოცხადდა, ჩობან ნოინმა მას, ჟამთააღმწერელის ცნობით, „**მისცა ყოველი საქართველო და ყოველი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი** (იგულისხმება დავით VIII (1293-1311) **და მესხნი შვილნი ბექასანი**" (იგულისხმება სარგისი და ყვარყვარე - **ვ.შ.**). ეს ნიშნავდა ყაენის დასტურს, გიორგის თავის ხელში გაეერთიანებინა ამიერ და იმიერ საქართველო, გაეუქმებინა სამცხის სამთავროს ხასობა (დამოუკიდებლობა) და შემოეერთებინა საქართველოსათვის. ამერიდან თვითონ გიორგი მეფეს ეძლეოდა უფლება მონღოლ მოხელეთა გარეშე აეკრიფა ხარკი. ეს ყველაფერი იმაზეც მეტყველებდა, რომ თვითონ მონღოლებსაც ხელს აღარ აძლევდათ დაქსაქსული საქართველო, საიდანაც ხარკის აკრეფა და ლაშქრის გამოყვანა ფრიად გაძნელებული იყო.

ამრიგად, გიორგის მეფობის პირველ პერიოდში საქართველო

ისევე ილხანებთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული და ყმადნაფიცობა ჯერ კიდევ არსებობდა. ამიტომაც „იერლიყად“ წოდებული ყაენის ბრძანებანი საქართველოშიც მოდიოდა ხოლმე; მაგრამ მაშინდელი არაბული ცნობით, მონღოლთა ყაენის ბრძანებათა ძალა და ხელისუფლება საქართველოზე უშუალოდ უკვე აღარ ვრცელდებოდა (**ივანე ჯავახიშვილი**). ქვეყანაში ამ დროს მონღოლთა ერთი დუმანიღა მდგარა (10 ათასი კაცი) საქართველოს საზღვრების დასაცავად.

საქართველოს კვლავ გაერთიანებისათვის საჭირო იყო მოღალატე და ურჩი მთავრების ალაგმვა. გიორგი ბრწყინვალემაც, დავით აღმაშენებელივით, აქედან დაიწყო. თავიანთ მამულებში „ხელმწიფედ“ ქცეულ და მონღოლთა მიერ გალაღებულ მთავართა დამორჩილება ფრიად ძნელი საქმე იყო. აქ გამოამჟღავნა გიორგიმ მტკიცე ნება და ძალა. ბევრი მთავარი ნებით დამორჩილებია მეფეს, მაგრამ ურჩების მოსარჯულებლად საყაენოში არეულობას უცდიდა გიორგი. ერთ დღესაც **„რა დრო დაიცა გიორგიმ ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომლებიც ჩინგიზთ მიუდგნენ** (ე.ი. მონღოლებს ემხრობოდნენ **ვ.შ.**) **კახეთს ცივზედ მოაწივა და ამოსწყვიტა“.**

ცივის მთაზე მოწვეული მოღალატეების მკაცრად დასჯამ სხვებსაც დაუკარგა მადა მეფის საწინააღმდეგო საქმიანობისა და ყოველივე ამან დადებითად იმოქმედა ქვეყნის გაძლიერების თვალსაზრისით.

მალე გიორგი ქართლიდან მოთარეშე და მაოხრებელი ოსების განდევნას შეუდგა. ოსი ფეოდალების მოძალების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევა ქვეყნის შიგნით მშვიდობის დამყარებისა და დაკნინებული ქართული მიწისმფლობელობის აღდგენას ისახავდა მიზნად. სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა ოსებთან თითქმის სამ წელიწადს გაგრძელებულა.

გიორგი ბრწყინვალემ **„განასხნა და აღფხურნა ოვსნი“**, წაართვა ბრძოლით **„ციხენი და დაბები, რომლებიც დაეპყრათ ადგილ-ადგილ“** (ჟამთააღმწერელი). გიორგის ამ ბრძოლაში ეხმარებოდნენ მთიელები - **„ცხრაძმის“** (ქსნის) საერისთავოს ლაშქარი (ვირშელი ერისთავის სარდლობით) და **„მთიულნი არაგვისანი“**.

მას შემდეგ, რაც ოსები გორიდან განდევნეს, ქსნის და არაგვის ხეველთა შორის უაზრო ცილობამ იჩინა თავი იმის გამო, თუ ვინ უფრო მეტი ვაჟკაცობა გამოიჩინა ბრძოლაში. მთიულები ვერც გიორგი მეფის ვაჟმა დავითმა შეარიგა და ისინი უაზროდ შეაწყდნენ ერთმანეთს (!). გიორგიმ უშალ გადაწყვიტა მთაში წესრიგის დამყარება. დიდი ამალით გავიდა ტფილისიდან მეფე, არაგვის ხეობას აუყვა და ქსნის ხეობაზე ჩამოიარა, ხევისბერ-ჰეროვანებთან ბჭობის შემდეგ უკან დაბრუნდა მათთან ერთად და სამეფო დარბაზის საგანგებო სხდომა დანიშნა.

დარბაზმა მიიღო ახალი კანონმდებლობა საქართველოს მთიანეთისათვის — „ძეგლის დადება". მისი ავტორების აზრით მთაში მუდმივ არეულობას და ხშირ დანაშაულს აადვილებდა სამეფო სამართლის უქონლობა და სასჯელის სიმსუბუქე („სისხლისა სუბუქობა"). გიორგის არ შეეძლო ბარში მოქმედი სამართალი უშუალოდ შემოეღო მთაში. ამას აბრკოლებდა ფეოდალური ურთიერთობების განვითარების დაბალი დონე მთაში. აქ ხშირად პრიმიტიულ-თემური წეს-ჩვეულებანი მოქმედებდნენ. მთავარ ზომად გახშირებული მკელელობისა და სხვა მრავალ უწესობათა აღსაკვეთად „ძეგლის დადებამ" გამოიყენა სისხლის დამძიმება, ე.ი. სისხლის მსუბუქი საზღაურის მაგიერ დამნაშავეს დააკისრა გადიდებული საზღაური (სისხლის ფასი). „ძეგლის დადებამ" სისხლის ანაზღაურება შემოიღო როგორც ფულით, ისე მამულით, ამასთან ძალაში დატოვა ფართოდ გავრცელებული სასჯელის ადგილობრივი ფორმაც - დამნაშავის „გაძევება". კანონმდებლობამ ასევე ამოაგდო შურისძიების ფორმაც, მაგრამ გაითვალისწინა დაზარალებულის აფექტური მდგომარეობა (აღელვება) და ამ დროს ჩადენილი მოქმედებისათვის მას სასჯელი არ დაადო (ზოგიერთ შემთხვევაში ზარალი მხოლოდ სისხლში „მიუფასა"). ვინაიდან მთაში ძველებურად აღარ ასრულებდნენ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს, „რჯულის შეცოდება" მთიელებში ჩვეულებრივი ამბავი გამხდარა. სამეფო დარბაზი ამ საქმეშიც ჩაერია და კვლავ აღადგინა საყოველთაოდ მიღებული საეკლესიო სამართალი.

ცივის მთაზე მოღალატე ფეოდალთა ამოწყვეტის შემდეგ გიორგი ფრთხილად ადევნებდა თვალს დასავლეთ საქართველოში

მიმდინარე პროცესებს. საქართველოს გაერთიანების საქმეში დასავლეთ საქართველოს შემოერთებას დიახაც რომ მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა. 1327 წელს ქუთაისს გარდაიცვალა დავით ნარინის შვილი **კონსტანტინე,** რომელიც უშვილოდ გადაეგო. სამეფო ტახტი დაიკავა მისმა ძმამ **მიქელმა,** რომელიც მრავალი წელი ებრძოდა თავის ძმას რაჭა-არგვეთიდან, სადაც გამაგრებული იყო. 1329 წელს მიქელიც გარდაიცვალა და მას მემკვიდრედ მცირეწლოვანი ვაჟი **ბაგრატი** დარჩა. გიორგიმ ამით ისარგებლა და უმალ გადალახა ლიხის მთა („იმერნი ყოველნი მოერთოდნენ სიხარულითა"), აიღო ქუთაისი და ბაგრატი დაიმორჩილა. ბაგრატს საერისთავოდ მისცა შორაპანი. დასავლეთ საქართველოს მთავრებმა მორჩილება გამოუცხადეს გიორგი მეფეს, რომელიც ქუთაისიდან ოდიშსა და აფხაზეთს გადავიდა, „განაგნა მუნებურნი და დაიპყრა ციხენი თვისად". აფხაზეთიდან მეფე გურიაში გადმოვიდა და იქაც მოაგვარა საქმენი. ამრიგად, **ორმეფობა საქართველოში მოისპო და გიორგი თვითმპყრობელი მეფე გახდა.**

1334 წელს გარდაიცვალა სამცხის მთავარი სარგისი. გიორგის აქ ძალა არ გამოუყენებია და მისი შვილი ყვარყვარე (თავისი ბიძაშვილი) თვითონ მეფემ დასვა მთავრად საგანგებო ბრძანებით.

ამრიგად, საქართველოს სამეფოსაგან განცალკევებულ მესხეთის (სამცხის) არსებობასაც ბოლო მოეღო. აშიერიდან კვლავ აღდგა სრულიად საქართველო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდის".

სამცხიდან ტფილისს მობრუნების შემდეგ გიორგი მეფემ განჯასთან დაამარცხა მონღოლები. მალე სულთანი **ორხანი** წამოვიდა საქართველოზე დიდი თურქული მხედრობით. გიორგი ბრწყინვალემ **კლარჯეთის საზღვარზე** სასტიკად დაამარცხა მტერი და დიდი ნადავლიც იგდო ხელთ. დაახლოებით 1335 წლისათვის გიორგიმ გააძევა საქართველოში მდგარი მონღოლთა ჯარი და ხარკის მიცემაც შეუწყვიტა ილხანებს. **საქართველომ სრულად აღიდგინა დამოუკიდებლობა მონღოლთა ასწლიანი ბატონობის შემდგომ.**

გიორგი მეფემ კვლავ შემოიმტკიცა **სომხეთი, დაიპყრო რანი, მოვაკანი, დაღესტანი და შარვანი,** კვლავ დააკისრა მათ ხარკი და „ვითარცა აღმაშენებელმა კვლავ აღადგინა საქართველოს ერთი-

ანობა და ძლიერება (რასაკვირველია მონღოლთა უღლის გადაგდება გიორგი მეფეს გაუადვილა ქვეყნის გაერთიანებამ და ყაენ აბუსაიდის მიერ ძლიერი ჩობან ნოინის მოკვლამაც. ჩობან ნოინის სიკვდილის შემდეგ (1327 წ.) დაიწყო დიდი არეულობა. ამით ისარგებლა გიორგი ბრწყინვალემ და „განასხნა თათარნი საქართველოსაგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსრნა ყოველნი საზღვართაგან თვისთა").

იმავდროულად გიორგი მეფემ ფულის რეფორმა ჩაატარა - მან „ყაზანური თეთრის" მაგივრად მოაჭრევინა და მიმოქცევაში გამოატანინა „გიორგაული თეთრი", რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიურ მოღონიერებას. ეს მოღონიერება ტფილისსაც დაეტყო, ქალაქი მოეშენა და კვლავ მნიშვნელოვანი როლის შესრულება დაიწყო. რომის პაპის იოვანე XXII-ის დროს, 1330 წლისათვის პაპმა და კარდინალთა საბჭომ ტფილისის მრავალ ღირსებათა გამო კათოლიკობის საქრისტიანო კათედრა ქ. სმირნადან ტფილისში გადმოიტანა და აქ საკათედრო ტაძრის აგება გადაწყვიტა.

გიორგი ბრწყინვალის მიერ ხელახლად გაერთიანებულ საქართველოში ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დადგა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დარღვეული ნორმების აღდგენა. მონღოლთა ხანგრძლივმა ბატონობამ დიდი ზიანი მიაყენა მართვა-გამგეობის ქართულ პოლიტიკურ სისტემას, ზოგი ინსტიტუტი პრაქტიკულად გაუქმებულა კიდეც. ქვეყნის მართვა-გამგეობის სრულყოფის მიზნით, გიორგი მეფის ბრძანებით შექმნილა უნიკალური ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება". იგი წარმოადგენს ცენტრალური სამმართველო დაწესებულებების დანიშნულებათა და მოხელეთა უფლება-მოვალეობების აღნუსხვა-განმარტებას. წიგნი განკუთვნილი იყო მოხელეთათვის სავალდებულო სახელმძღვანელოდ მართვა-გამგეობის პრაქტიკულ საქმიანობაში. თხზულების ავტორი კარის ერთ-ერთი მოხელე და მეფის პოლიტიკის თავდადებული დამცველი ყოფილა. „ხელმწიფის კარის გარიგებაში" მოცემული მართვა-გამგეობის წესები გიორგი ბრწყინვალის მეფობის პერიოდს ასახავს. ზოგიერთი წესი გადმოღებულია შესაბამისი წერილობითი წყაროებიდან, მათ შორის იმ კარის გარიგებებიდან, რომელიც ზოგი თხზულების ავტორის დროში, ხოლო ზოგი ძველად

(მაგ. თამარის დროს და უფრო ადრეც) ყოფილა დაწერილი.

ძეგლის ამგვარი შედგენილობა მიუთითებს სახელმწიფოს გეგმაზომიერ ღონისძიებებზე, აღედგინათ მართვა-გამგეობის ძველი სისტემის პრინციპები და, რაც მთავარია, ზოგი მოქმედი წესი ან შეცვლილიყო, ან დასაბუთებულიყო, ანდა ახლად ნორმირებულიყო.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში" წარმოდგენილი მართვა-გამგეობის სისტემა სრულყოფილია მაღალი ფეოდალური წყობილების შესაფერისად.

მეფესთან - „ხელმწიფის კარზე" მოქმედებს „დარბაზი" და ვაზირთა საბჭო - „საავაზირო", დადგენილია დარბაზობისა და ვაზირობის წესები, საზეიმო „დარბაზობა" „პურობის" ცერემონიალი, უცხოელთა მიღების ეტიკეტი და სხვ. მეფე გამოყვანილია ერთმმართველად, რომლის ბრძანებას ემორჩილება ყველა. სახელმწიფო მმართველობა ადგილებზე წარმოდგენილია საქვეყნოდ გამრიგე მოხელეების - „ერისთავების" სახით, ხოლო საეკლესიო მმართველობა „ეპისკოპოსების" სახით - ორი კათოლიკოსით სათავეში (დასავლეთ საქართველოს **„აფხაზთა კათოლიკოსი"** და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **„ქართლის კათოლიკოსი"**). მთლიანად ქვეყანა დაქვემდებარებულია დარგობრივ-საუწყებო ცენტრალური მოხელეების გამგებლობას: სულ არის **ექვსი** ასეთი მოხელე-ვაზირი (**მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი და ამილახორი**), მოქმედებენ სხვა ცენტრალური მოხელენიც (მელვინეთუხუცესი, მონადირეთუხუცესი, მეხილეთუხუცესი, მესაწოლეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი, მოლარეთუხუცესი და ა.შ.).

„ხელმწიფის კარის გარიგებაში" გამოწვლილვითაა აღნუსხული დიდმოხელე-ვაზირთა უფლება-მოვალეობანი და მათი ხელქვეითი დაწესებულებანი. ცალკეა გამოყოფილი უმაღლესი განათლების დარგი, რომელიც არცერთ უწყებას არ ექვემდებარება: **გელათის აკადემიას მოძღვართმოძღვრის მეთაურობით მინიჭებული აქვს ავტონომია** (საქ. ისტ. ნარკვევები, ტ.3, გვ. 636).

„საავაზიროს" (ვაზირთა საბჭოს) მეფე დროდადრო, საჭიროე-

ბისაძებრ, იწვევდა. მას მეფის გარდა ესწრებოდა ექვსი ვაზირი და სამი მათი თანაშემწე. დარბაზი მმართველობის კოლეგიური დაწესებულებაა, რომელშიაც მაშინ მონაწილეობდნენ მაღალი საერო და საეკლესიო ხელისუფალნი: კარზე მყოფნი - ვაზირნი, საქვეყნოდ გამრიგენი ერისთაესები, კათოლიკოსები (აფხაზეთისა და ქართლის), მოძღვართმოძღვარი (გელათის აკადემიის რექტორი), ეპისკოპოსები და სამეფო დიდი მონასტრების (გელათის, გარეჯის და სამცხის - „თორმეტი უდაბნოს") წინამძღვარნი უფროსი ბერმონაზვნებითურთ.

დაწესებული ყოფილა **„დარბაზობის"** (დარბაზის სხდომის) ორნაირი წესი: **„დიდი წესითა"** და **„უმცროსითა"**, რომელთა არჩევა ხდებოდა მეფის სურვილით.

ამრიგად, **„ხელმწიფის კარის გარიგება" ეს იყო ქართული სახელმწიფო-სამართლებრივი კულტურის ბრწყინვალე გამოვლინება.** ამ ძეგლიდან ვგებულობთ, რომ გიორგი ბრწყინვალეს აღუდგენია და განუმტკიცებია თამარის დროინდელი სახელმწიფო პოლიტიკური სისტემა. მეტიც, ეს სისტემა გაუმჯობესებული სახით დაუტოვა მან ქართველობას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გიორგი ბრწყინვალის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებას მაშინდელ მსოფლიოში. გაძლიერებულ საქართველოს XIV საუკუნის პირველ ნახევარში ინტენსიური დიპლომატიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან - ბიზანტიასთან, რომის პაპთან, ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოსთან, ტრაპიზონის საკეისროსთან და სხვ.

გიორგი მეფემ საქართველოს წინანდელი გავლენიანობის აღდგენა იერუსალიმში ქართველთა და სხვა ქრისტიანთა შევიწროებული მდგომარეობის გამოსწორებაზე ზრუნვით დაიწყო. მონღოლთა ბატონობის პერიოდში საქართველოს დასუსტებით ისარგებლეს ეგვიპტის მამელუქებმა და იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერი მეჩეთად აქციეს, ამასთან ისინი დამამცირებლად ექცეოდნენ იქ ჩასულ ქრისტიან მლოცველებს. ეს მონასტერი დავით VIII დაუბრუნა ქართველებს, მაგრამ ქრისტეს **„აღდგომის"** ეკლესია,

„**გოლგოთა**“ და ქრისტეს „**საფლავი**“ ისევე ეგვიპტელებს ეპყრათ ხელთ.

გიორგი ბრწყინვალემ 1316 და 1320 წლებში ორი ელჩობა გაგზავნა ეგვიპტის სულთანთან. მასში შედიოდნენ შალვა ერისთავის ვაჟი **პიპა** და დეკანოზი **იოანე ბანდასძე**. ერთ-ერთ ამ ელჩობას დავალებული პქონია ქრისტეს საფლავის კლიტის დაბრუნება, სამაგიეროდ გიორგი სამხედრო დახმარებას სთავაზობდა სულთანს. მაპმადიანისათვის ამ თხოვნის შესრულება ფრიად ძნელი საქმე იყო, მაგრამ, გიორგი მეფის დიდი პოლიტიკური „წონის“ გამო სულთანმა ყველა თხოვნა დააკმაყოფილა.

ამ დროს, უცხოელთა გადმოცემით, საქართველო დიდი და ძლიერი ქვეყანა იყო, მას მამაცი მეფე და ქრისტიანობის დამცველი ჯარი ჰყავდა.

ეგვიპტის სულთანთა წერილებში გიორგი ბრწყინვალე მსოფლიო რანგის პოლიტიკურ მოღვაწედ არის აღიარებული. ისინი შემდეგი ეპითეტებით ამკობენ მეფეს: „...**სახელოვანი და სახელგანთქმული, მამაცი, უშიშარი, ძლიერი, ლომი, ტახტ-გვირგვინის მპყრობელი, მართლმადიდებელთა შორის საუკეთესო, რუმისა და ერანის ქვეყნების დამცველი, ქრისტიანთა საყრდენი, რომის პაპის მეშველი. მულისმანთა მეგობარი, სულთანთა უგულითადესი მეგობარი...**“ და ა.შ.

გიორგი ბრწყინვალის აქტიური პოლიტიკის წყალობით მისი მეფობის ბოლო წლებში კვლავ აღსდგა საქართველოს გავლენა **ტრაპიზონის** საკეისროზე. მისი მმართველი ირინე ტახტიდან გადმოაგდო ანახუტლუმ (გარდაცვლილი მეფის ბასილის დამ) და თვითონ გამეფდა. ეს ყველაფერი კი მან გიორგი ბრწყინვალეს მიერ მიცემული ქართველთა („ლაზთა“) ჯარით გააკეთა. ბიზანტიელები არ შეურიგდნენ მარცხს და ბასილის ძმამ მიხეილმა სამი გემით ჯარი გადმოსხა ტრაპიზონში ტახტიდან ანახუტლუს გადმოსაგდებად, მაგრამ მათ მოუსწრო გიორგი მეფის გამოგზავნილმა ჯარმა და ბიზანტიელები სასტიკად დაამარცხა.

ამრიგად, **გიორგიმ კვლავ აღადგინა ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს პოლიტიკური გავლენა.**

მიუხედავად იმისა, რომ 1338 წელს საქართველო დალაშქრა

აზერბაიჯანის მმართველმა ჩობანიდმა პასან ქუჩუკმა, მოღონიერებულ ქვეყანას მან ვერაფერი დააკლო და შემდგომ წლებში მარცხიც იწვნია გიორგისაგან.

გიორგის დროს არის შექმნილი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი წყარო **„ძეგლი ერისთავთა“** (ავტორი **ავგაროზ ბანდაისძე**), რომელშიც გადმოცემულია ქსნის ერისთავთა საგვარეულო ისტორია.

გიორგი ბრწყინვალემ აღადგინა საქართველოს ძლიერება „ვითარცა აღმაშენებელმან“. მის დროს ქვეყანა ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად კვლავ აღზევდა. გიორგიმ თავისი დაულალავი მოღვაწეობით ერს დაუბრუნა საკუთარი თავის რწმენა.

გიორგი ბრწყინვალე იყო გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი ჭეშმარიტად დიდი მეფე. მართალია, მის შემდგომ ორ მეფეს ბაგრატ V-ს და ალექსანდრე I-ს „დიდის“ სახელით მოიხსენიებენ ისტორიკოსები, მაგრამ მათი მოღვაწეობა თავისი მნიშვნელობით ვერც კი შეედრება გიორგის საშვილიშვილო „საქმეებს საგმირონს“.

P.S. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, გიორგი VIII-ს მეფობის დროს (1446-1466წწ.) (იგი იყო გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელი მეფე) საქართველო სამ სამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და ოთხ სამთავროდ (სამცხის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის) დაიშალა.

დაიწყო საქართველოს დაქუცმაცებულობის ხანა უმძიმესი დროება ქართველი ერის ისტორიაში.

საქართველოს სამეფო-სამთავროები აღმოჩნდნენ ირანისა და ოსმალეთის (მოგვიანებით კი რუსეთის) იმპერიების დაპყრობითი ომების არეალში. იწყება უმძიმესი ბრძოლები ქართველობის შესანარჩუნებლად, რომელშიც მთავარ როლს ქართლის სამეფო ასრულებდა.

განსაკუთრებით დიდი იყო ერის წინაშე ქართლის მეფეთა - მამა-შვილის **ლუარსაბ I-ისა** და **სიმონ I-ის** დამსახურება.

სწორედ მათ შესახებ გავაგრძელებთ თხრობას მომდევნო ეპიზოდში.

ლუარსაბ I

ლუარსაბი ქართლის მეფის დავით X-ის (1505-1525წ. წ.) უფროსი ვაჟი იყო. დავითის მეფობის დასაწყისში ქართლის სამეფო ხელისუფლება საგრძნობლად დასუსტდა, სამაგიეროდ გაძლიერდნენ თავადები. **ბერი ეგნატაშვილის** ცნობით, **„არღარა იცვალებოდა ერისთავნი და არცა თავადნი. ყოველივე ხევს და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკვიდრ ქმნილიყვნენ და ვისაცა (მეფე) მამულსა მისცემდა, მკუიდრად მიეცემოდა. და ყოველივე ძლიერ იყუნენ: მთავარნი, ერისთავნი და თავადნი“** („ახალი ქართლის ცხოვრება“).

ქართლის სამეფო სახლის წევრებს შორისაც უთანხმოება ყოფილა. 1512 წელს დავით მეფის უმცროსმა ძმამ **ბაგრატმა** მოითხოვა, რომ მისთვის საუფლისწულოდ მიეცათ მუხრანი და დაენიშნათ შიდა ქართლის სადროშოს სპასპეტად. დავითი იძულებული იყო ეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. ბაგრატმა მუხრანში ციხე ააგო და იქ გადავიდა საცხოვრებლად. **ამით მან საფუძველი დაუდო მუხრან-ბატონთა სამეფო საგვარეულოს შტოს.**

1513 წელს დავით X-მ კახეთი შეიერთა და 1518 წლამდე ქართლ-კახეთი ერთიანი ქვეყანა იყო. ამ დროს ოსმალეთსა და ირანს შორის ომი დაიწყო (რომელიც 1555 წლამდე გაგრძელდა),

რის გამოც ქართლ-კახეთის გაერთიანება ვეღარ მოხერხდა. 1522 წელს ქართლი დალაშქრა ირანის შაჰმა, რომელმაც ტფილისიც აიღო და აქ გარნიზონი ჩააყენა. 1524 წელს შაჰ ისმაილი გარდაიცვალა და ირანში შიდა არეულობა დაიწყო. ტახტზე ავიდა მისი 10 წლის შვილი თამაზი. ამით ისარგებლა დავით მეფემ და იმავე წელს თბილისი დაიბრუნა, აიღო და დაანგრია აღჯაყალას ციხე და შაჰის ვასალობისაგან განთავისუფლდა.

პირველად ამ ბრძოლებში გამოუჩენია თავი **ლუარსაბს**, როგორც მამაც მეომარს.

მალე დავით X-ს ბრძოლა დაუწყეს საკუთარმა ძმებმა. იგი აიძულეს მეფობისთვის თავი მიანებებინა და ბერად აღკვეცილიყო. წესით, სამეფო ტახტზე მისი შვილი **ლუარსაბი** უნდა ასულიყო, მაგრამ მეფობა ხელთ იგდო დავითის ძმამ - **გიორგიმ**. ლუარსაბმა კუთვნილი ტახტის დაკავებისათვის მზადება დაიწყო. ამ მიზნით 1526 წელს მან ცოლად მოიყვანა იმერეთის მეფის ბაგრატის ასული თამარი. ბაგრატის დახმარებით ამავე წელს ლუარსაბმა მიიღო ქართლის დასავლეთი ნაწილი - მდ. ფრონეს გაღმა, ახლანდელი ხაშურის რაიონი (ალი, სურამი, ახალდაბა), აგრეთვე ქართლისა და ბორჯომის რაიონის ნაწილი. 1527 წლიდან ლუარსაბი უკვე მეფედ არის მოხსენიებული ისტორიულ წყაროებში. ბრძოლა ბიძა-ძმისშვილს შორის ამის შემდეგაც გაგრძელდა. გიორგი საბოლოოდ დამარცხდა და 40-იანი წლების დასაწყისში ბერად აღიკვეცა.

ლუარსაბ I (1527-1556წ.წ.) ჭკვიანი პოლიტიკოსი და მამაცი სარდალი აღმოჩნდა. იგი კარგად ხედავდა, რომ უმოკავშირეოდ დარჩენილ საქართველოს სამეფო-სამთავროებს დიდი მტაცებლები - ოსმალეთი და ირანი ემუქრებოდნენ და მთელი საქართველოს მასშტაბით ცდილობდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალების გაერთიანებას. შესაბამისად, ლუარსაბს კარგი ურთიერთობა ჰქონდა იმერეთისა და კახეთის მეფეებთან.

ირანის ტახტზე განმტკიცებულმა **შაჰ თამაზმა** გადაწყვიტა ურჩი ქართლის მეფის დასჯა. 1540 წელს შაჰ თამაზი შეესია შარვანს და დაიპყრო იგი. შარვანის დაპყრობის შემდეგ იყი ყარაბაღში მივიდა და აქედან, 12 ათასი რჩეული მხედარი ქართლის სამეფოს წი-

ნაღმდეგ დასძრა. ყიზილბაშები განთიადისას მოადგნენ თბილისს, ხალხს ჯერ კიდევ ეძინა. ამ დღეებში ლუარსაბს დიდი უბედურება დაატყდა თავს - მცირეწლოვანი შვილი გარდაეცვალა და იგი მეუღლითურთ მცხეთას იყო წასული შვილის დასაკრძალავად. ლაშქარი და დიდებულნიც თან ახლდნენ მეფეს.

ყიზილბაშები იდუმალ შევიდნენ ქალაქში და ცეცხლი წაუკიდეს მას. მოქალაქეთა ნაწილი გაიქცა, ნაწილმა კი თბილისის ციხეში შეასწორო შესვლა. შაჰ თამაზმა უვნებლობის ფიცი მისცა ციხისთავს, რომელმაც უღალატა ლუარსაბს და ციხე ჩააბარა. შაჰ თამაზმა აქ თავისი გარნიზონი ჩააყენა და მცხეთას მიაშურა ლუარსაბის შესაპყრობად. ყიზილბაშთა მეორე რაზმმა ასევე ღალატით ხელთ იგდო მიუდგომელი ბირთვისის ციხე. ვინც მაპმადიანობის მიღებაზე უარი განაცხადა, ყველა დახოცეს, ქალები და ბავშვები ტყვედ აიყვანეს.

ლუარსაბ მეფემ შეიტყო მტრის შემოსვლა და ჭკვიანურ ტაქტიკას მიმართა - პარტიზანული ბრძოლის გზას დაადგა თავს ესხმოდა მტრის მცირე რაზმებს, დიდ რაზმებს კი - თავს არიდებდა. შაჰ თამაზი მალე იძულებული შეიქმნა შეეწყვიტა საომარი მოქმედება და დიდძალი ტყვითა და ნადავლით ყარაბაღს გაბრუნებულიყო. თბილისში მან ყიზილბაშთა გარნიზონი დატოვა. ძალზე ცუდად მოიქცა ამ დროს კახეთის მეფე ლევანი, რომელმაც შაჰ-თამაზს ნებაყოფლობით გამოუცხადა მორჩილება, ქართლი კი გაწირა - აღარ დაეხმარა ლუარსაბს.

შაჰ თამაზის ქართლში ლაშქრობის საპასუხოდ მისმა მოქიშპე ოსმალეთის სულთანმა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა სცადა.

იმერეთის მეფემ ბაგრატმა მოხერხებით აჯობა და დაამარცხა სულტანის მიერ გამოგზავნილი მუსა-ფაშას 22-ათასიანი ლაშქარი ქარაღაქთან.

1545 წელს სულეიმანმა კვლავ დიდი ჯარი შეუსია საათაბაგოს. ბაგრატ მეფემ დახმარებისათვის ლუარსაბ მეფეს, გურიელსა და დადიანს მიმართა (ეს უკანასკნელი არ გამოცხადდა). ლუარსაბ მეფეს კარგად ესმოდა, თუ რა მძიმე შედეგები მოპყვებოდა თურქთა გაბატონებას სამხრეთ საქართველოში და ამიტომ დაუყოვნებლივ დათანხმდა.

ქართლისა და იმერეთის მეფეთა შეერთიებული ჯარი ბასიანის-კენ გაემართა, სადაც დაბანაკებული იყო მტერი. ძირითადი ბრძოლა სოხოისტას ველზე მოხდა 1545 წელს. ბრძოლის დაწყების წინ ყოველად უაზრო უთანხმოებამ იჩინა თავი ქართველთა ბანაკში: მესხებს მოუთხოვიათ თურმე ბრძოლაში მეწინავეობა, რაზედაც უარი მიუღიათ. განაწყენებულებს ბრძოლის ველი დაუტოვებიათ და უკან გამობრუნებულან (!).

დაუნდობელი და თავგანწირული ბრძოლა დილიდან დაღამებამდე გაგრძელდა. ქართველებმა თავი აღარ დაზოგეს და ბოლომდე იბრძოდნენ. მრავალი მათგანი ბრძოლის ველზე დარჩა, ბევრი კი მხოლოდ მაშინ გაშორდა ბრძოლის ველს, როცა სულ უიარაღოდ დარჩა. ქართველები დამარცხდნენ. ოსმალებს აქტიური მხარდაჭერა აღმოუჩინა მოღალატე თავადმა ოთარ შალიკაშვილმა, რომლის მხარდაჭერით მტერმა დაიკავა სამცხის ციხე-სიმაგრეები და ათაბაგად ქაიხოსრო III დასვეს. ამ დროიდან ოსმალეთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი სამხრეთ საქართველოში, რასაც შემდგომ მისი სრული დაპყრობაც მოჰყვა.

სოხოისტას ბრძოლის შემდეგ ლუარსაბ I კვლავ ინარჩუნებდა ძალაუფლებას ჯავახეთში. ამას კი ვერ შეურიგდა ქაიხოსრო III. თუმცა მან დაინახა, რომ ოსმალეთი საათაბაგოს სრული დაპყრობისათვის ემზადებოდა, მაგრამ ლუარსაბის ჯიბრით ქაიხოსრომ ახლა შაჰ თამაზს სთხოვა დახმარება ქართლის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. მტერიც ამას ელოდებოდა და უმალ გამოეშურა შაჰ თამაზი ქაიხოსროს დასახმარებლად ქართლის ურჩი მეფის წინააღმდეგ.

1547 წლის სუსხიან იანვარში დიდძალი ჯარით შაჰ თამაზი სამცხეში შემოვიდა და ახალქალაქში დაბანაკდა. დიდთოელობის გამო ვერ მოხერხებულა ხალხის გახიზვნა. შაჰ თამაზმა დაარბია ჯავახეთი და შემდგომ ქვემო ქართლში გაილაშქრა. მან ბევრი სახიზარი აიღო, ბლომად ხალხიც დაატყვევა, მაგრამ თავადაც იმდენად დიდი ზარალი განიცადა, რომ ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო და უკან დაბრუნდა, სადაც მას მლიქვნელურად ეახლნენ იმერეთის და კახეთის მეფეები, რომლებიც თამაზმა უხვად დააჯილდოვა და უკან გამოისტუმრა.

ამრიგად, შაპ თამაზმა ვერც ამჯერად შეძლო ლუარსაბ I-ის დამორჩილება და ქართლის წინააღმდეგობის გატეხვა. ლუარსაბმა **„თვითონ სხვათა ყმობის თქმა არ იკადრა. ამის ჯავრით ხუთჯერ შაპ თამაზ ყაენმან იმაზედ ილაშქრა და ვერას საქმით ვერც მოამშვიდა და ვერც მოკლა და ვერც დაიჭირა და ვერც შეიხვეწია“** (ფარსადან გორგიჯანიძე).

მალე ლუარსაბმა თავგანწირული ბრძოლებით ყიზილბაშებს ხელიდან გამოსტაცა შიდა და ქვემო ქართლის ციხე-სიმაგრეები. ამასთან ლუარსაბი გრძნობდა, რომ საქართველოს ძირითადი საფრთხე სამცხე-საათაბაგოდან მოელოდა. ამიტომ მან დაუყოვნებლივ ილაშქრა და დაიპყრო სამცხე-ჯავახეთი, კოლა-არტაანი და ამით კვლავ დაუპირისპირდა ოსმალებს. სამწუხარო ის იყო, რომ ქართლის გმირულ ბრძოლაში ლუარსაბის მეთაურობით, არც იმერეთის მეფე მონაწილეობდა და არც სამცხე-საათაბაგო. სამცხის ათაბაგთა ირანის მხარეზე დადგომა გამოწვეული იყო იმით, რომ ირანელები მათ ვასალობას სჯერდებოდნენ, ოსმალეთს კი საათაბაგოს სრული დაპყრობა სურდა კავკასიაში ბატონობის განსამტკიცებლად.

1551 წელს შაქში მყოფ შაპ თამაზს ქაიხოსრო მესამემ აცნობა, რომ ლუარსაბმა სამცხე-საათაბაგოს მრავალი ციხე დაიკავა და თუ შაპი ზომებს არ მიიღებდა, მთლიანად დაეუფლებოდა მას. შაპ თამაზი დიდი ჯარით მესამედ წამოემართა მესხეთისაკენ. დაუნდობლობა ყიზილბაშებს არასოდეს აკლდათ, მაგრამ ამჯერად თავიანთ თავს გადაამეტეს: მრავალი ქრისტიანი ამოწყვიტეს, ბევრი ტყვედ იგდეს. ლუარსაბის მომხრეთა ერთმა ნაწილმა თავი შეაფარა ვარძიის ციხე-სიმაგრეს. მტერმა დიდი დანაკლისის ფასად შეძლო იქ შესვლა და ჯოჯოხეთი დაატრიალა - ბერებიც კი არ დაინდეს - 20 ეკლესიის მსახური მოკლეს. შაპ თამაზი გააოგნა ვარძიის სიმდიდრემ და მშვენიერებამ. მონასტერი მთლიანად დაარბიეს და გაძარცვეს. რკინისა და ოქროს კარები მოგლიჯეს და ირანში გაგზავნეს. შაპ თამაზმა საათაბაგო ქაიხოსრო III-ს დაუმორჩილა და მასვე გადასცა ლორე და ბამბაკი. გაოცებულმა შაპმა ქართლში რაზმები გაგზავნა ლუარსაბის შესაპყრობლად, მაგრამ ვერ შეძლო მისი დაჭერა და კვლავ ყარაბაღში დაბრუნდა.

ვიდრე ლუარსაბ მეფე ცოცხალი იყო, შაჰ თამაზი ვერ ბოისვენებდა. ამიტომ 1554 წელს მან მეოთხედ ილაშქრა ქართლში. შაჰ თამაზმა დიდი მსხვერპლის ფასად ჯერ საბარათიანო დაიკავა და მერე შიდა ქართლის დაპყრობა სცადა - მტერი შეესია გორისა და წედესის ციხეს და ატენის ციხესაც შემოადგა. ატენის ციხეს თავს აფარებდნენ ლუარსაბის დედა და თავად-აზნაურნი. მაღალ კლდეზე ქვითკირით ნაგები ატენის ციხის აღება გაჭირდა, ციხის დამცველები გმირულად იცავდნენ თავს, მაგრამ ყიზილბაშებმა ტყვედ იდგეს დედოფლის მსახური, კავთისჩეველი ბეთიაშვილი, რომელიც იძულებული იყო მათთვის ეჩვენებინა წყაროს გზა, რომლითაც მარაგდებოდა გარნიზონი. უწყლოდ დარჩენილი დამცველები იძულებული გახდნენ დანებებულიყვნენ. ყიზილბაშებმა ხელთ იგდეს ლუარსაბის დედა ნესტან-დარეჯანი, მრავალი აზნაური და უკან დაბრუნდნენ. ლუარსაბი დაედევნა მტერს და დიდი ზიანი მიაყენა მათ, თუმცა ტყვეების გამოხსნა ვერ შეძლო. შაჰ თამაზმა ამჯერად 30 ათასი ტყვე წაიყვანა და ყარაბაღს გაბრუნდა. როცა დატყვევებული დედოფალი დარწმუნდა, რომ მისი გამოხსნა შეუძლებელი იყო, თავი აარიდა იმ უდიდეს დამცირებას, რაც მოელოდა და თავი მოიწამლა. გმირი მეფის ლუარსაბის დედამ ნესტან-დარეჯანმა ნაძრახ სიცოცხლეს სიკვდილი არჩია. 1554 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო. მოლაპარაკების ძირითადი თემა საქართველოს განაწილების საკითხი იყო. ლუარსაბ I ცდილობდა ამ ზავის ჩაშლას, რადგან ორი მტაცებლის ომი ხელსაყრელი იყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. 1555 წლის 29 მაისს ქ. ამასიაში გაფორმდა საზაეო ხელშეკრულება თურქეთსა და ირანს შორის. დამპყრობლებმა ამიერკავკასია გაინაწილეს. ირანის ხელში აღმოჩნდა ქართლისა და კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი (ძირითადი) ნაწილი, აზერბაიჯანი და სომხეთის აღმოსავლეთი ნაწილი, დანარჩენი კი წილად ხვდა თურქეთს. ამასიის ზავის შედეგებმა დასაბამი მისცეს დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ახალ ეტაპს. დამპყრობლებს შორის შუაზე გაყოფილი საქართველო ფაქტიურად დაპყრობილი არ გახლდათ, რადგან ირანმა და თურქეთმა მხოლოდ დასაპყრობი მიწები გაინაწილეს.

ირანისა და თურქეთის დაზავებამ გაართულა საქართველოს სამეფო-სამთავროების მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, ლუარსაბ I-მა ქედი არ მოიხარა და ბრძოლა განაგრძო.

დაუღალავმა ლუარსაბმა ნელ-ნელა კვლავ შეძლო შიდა და ქვემო ქართლის ციხე-სიმაგრეების დაბრუნება და თბილისის ციხის ირანული გარნიზონი შეავიწროვა. თბილისის დაცვა შაჰისაგან დავალებული ჰქონდა ყარაბაღის მმართველს შავერდი სულთანს. სწორედ მას ²იმართეს დახმარებისათვის თბილისის ციხეში მდგომმა ყიზილ-ბაშებმა. 1556 წელს შავერდი სულთანი დიდი ჯარით ლუარსაბ მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად დაიძრა. ბრძოლა მოხდა **გარისთან**, ქციის (ხრამის) ხეობაში. ქართველთა ლაშქარს მოხუცებული ლუარსაბ მეფის უფროსი ვაჟი 19 წლის **სიმონი** მეთაურობდა. სიმონმა თავგანწირული იერიშით გაარღვია მტრის ცენტრი და აიძულა შავერდი სულთანი გაქცეულიყო. ქართველები გაქცეულ მტერს დაედევნენ. მეფე ლუარსაბი კათოლიკოსთან და საპატიო ამალასთან ერთად მაღლობიდან ადევნებდა თვალს ბრძოლას და სიმონის უკან მობრუნებას უცდიდა. ამ დროს მიმალული მტრის ერთი რაზმი შემთხვევით გაქცევისას შეეჯახა ლუარსაბის ამალას. გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა, სადაც ვაჟკაცურად იბრძოდა მოხუცი მეფე. თურმე მას ყველა საბრძოლო იარაღი შემოემტვრა და ცხენის ძგერებით აგრძელებდა ბრძოლას. უეცრად მეფის ცხენს ნაპრალში ჩაუვარდა ფეხი, დაეცა და ლუარსაბიც ქვეშ მოიყოლა. სულთანის მხლებელმა ზაქირმა და სხვა ყიზილბაშებმაც ისრები დაუშინეს წაქცეულ მეფეს, მაგრამ მოსაშველებლად მოსულმა ქართველებმა ყველანი ამოწყვიტეს. სიმონი მტრის უკანასკნელ რაზმებს ანადგურებდა, როცა მამის სასიკვდილოდ დაჭრის ამბავი აცნობეს. ლუარსაბ მეფეს დიდხანს აღარ უცოცხლია. სამშობლოსათვის თავდადებული მეფის ანდერძიც ვაჟკაცური ყოფილა: **„ჩემს გლოვას დაეხსენით და ქვეყნის შენახვას გაუფრთხილდითო“**. ლუარსაბ მეფე მცხეთას დაკრძალეს.

მეთხუთმეტე საუკუნის განმავლობაში ქართლის სამეფო გმირი ლუარსაბის მეთაურობით თავგანწირულ ბრძოლებს აწარმოებდა ირანელი და ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ და მტერს არ დანებებულა.

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით **„ლუარსაბ მეფე მამაცობაზედ ნაქებია ყოველს საქართველოს მეფეთა და თავადთა ზედან ძველით ახლებამდისინ. თავად კარგი სარდალი იყო და მერმე გულოვანი, უხვი და უშურველი, სასმეველ-მჭმეველი, სამართლიანი, ყმამორჩილი, ომში კოხტა და უშიშარი, თანაც მაგარი ქრისტიანი. ურუმთა და ყიზილბაშთა ნამეტნავად მისგან ეშინოდათ“.** ლუარსაბის ვაჟკაცობას მტრებიც კი აღიარებდნენ. ირანელი ისტორიკოსი **ისქანდერ მუნში** აღნიშნავდა, რომ ლუარსაბი საქართველოს მეფეთა შორის გამოირჩეოდა თავისი მამაცობითა და გულადობით და არასოდეს თავს არ სდებდა მორჩილებისა და მოხარკების უღელში.

ლუარსაბის თანამედროვე და მომდევნო თაობის დიდ პატრიოტებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ქართველთა მიერ ლუარსაბ I-ის მეთაურობით წარმოებული თავგანწირული ბრძოლების დიდი ისტორიული მნიშვნელობა: **„უკეთუმცა მეფესა ლუარსაბს ესოდენი ბრძოლა არ ექმნა, ახლამცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ და რაოდენიცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველნივე ხმლისა მისისგან არიან“** (ბერი ეგნატაშვილი).

უკეთეს დასკვნას ლუარსაბ მეფის ღვაწლის შესახებ ძნელად თუ გააკეთებს ვინმე.

სიმონ I

ნათქვამია, კვიცი გვარზე ხტისო — ქართლის ახალი მეფე **სიმონ I** (1556-1569წწ., 1578-1600წწ.) მამამისივით მამაცი სარდალი და ჭკვიანი პოლიტიკოსი გამოდგა. მან გააგრძელა ქართლის სამეფოს და საერთოდ ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და სიკვდილამდე არ უღალატია სახელოვანი მამის ანდერძისათვის.

სიმონ მეფეს ძალზე მძიმე მემკვიდრეობა ერგო - განუწყვეტელი ომების შემდეგ ქვეყანა ფრიად დაუძლურებული და გავერანებული იყო. ტფილისი კვლავ ყიზილბაშებს ეკავათ და მეფის რეზიდენცია გორში იყო. სიმონმა უპირველეს მიზნად აოხრებული ქვეყნის ფეხზე წამოყენება განიზრახა და პირველი ოთხი წლის განმავლობაში, მშვიდობიანობის პირობებში, ქვეყანა მოაღონიერა.

1559 წელს მან ცოლად შეირთო კახთა მეფის ლევანის ასული ნესტან-დარეჯანი და ამით კახეთთან კავშირი განამტკიცა. გადაწყვიტა ტფილისის განთავისუფლება ყიზილბაშთა ბატონობისაგან. ამისათვის ნიადაგი შემზადდა მტერთან წვრილ-წვრილი

შეტაკებებით. სიმონმა დახმარებისათვის ლევან კახთა მეფეს მიმართა, რომელმაც თავისი ვაჟი **გიორგი** გაამგზავნა დასახმარებლად. ქართლ-კახეთის გაერთიანებული ლაშქარი **ციხედიდს** დადგა, ბანაკიც სპეციალურად იქნა გამაგრებული.

ყიზილბაშებმა დროზე გაიგეს სიმონ მეფის განზრახვა და ყარაბაღის მმართველთან **შაჰვერდი ზიადოღლისთან** მაცნე გაგზავნეს, დახმარების სათხოვნელად. მტერმა ისარგებლა ღამით და უჩინრად შეძლო იმ დროს უკაცრიელი გარდაბნის გამოვლა და ტფილისის ციხეში შესვლა.

1561 წლის 6 აპრილი თენდებოდა, აღდგომა დღე. ქართველებს საყარაულო რაზმი ეყენათ დევის ნამუხლართან (მუხათგვერდში). ყარაულის უფროსის **ფარეშა გერმანოზაშვილის** დაუდევრობის შედეგად, რაზმი გადამწყვეტ მომენტში თავის საგუშაგოზე არ აღმოჩნდა. მტერი მოულოდნელად დაესხა თავს ქართველებს. სასტიკი ბრძოლა ქართველთა დამარცხებით დამთავრდა. ბრძოლაში დაიღუპა კახთა მეფის შვილი გიორგი, რასაც არევ-დარევა მოჰყვა კახელთა რაზმში. ყიზილბაშები კვლავ ტფილისში დაბრუნდნენ, სიმონი კი ბრძოლით გაეცალა მტერს და შიდა ქართლში გამობრუნდა.

ციხედიდის ბრძოლაში დამარცხებამ ვერ გატეხა სიმონ მეფე, რომელიც კვლავ წვრილ-წვრილ შეტაკებებში ამარცხებდა ყიზილბაშებს. მაგრამ აქ თავი იჩინა ღალატმა და სიმონ მეფეს საკუთარი ძმა განუდგა. **დავითი** სამეფო ტახტს უმიზნებდა და ამიტომაც დაუპირისპირდა მას. 1562 წელს ის სხვა მოღალატე თავადებთან ერთად ეწვია შაჰ თამაზს ყაზვინში. შაჰმა დავითი გაამაჰმადიანა, „შვილი" უწოდა და თფილისისა და ქვემო ქართლის მმართველად დანიშნა. მალე რენეგატი დაუდ-ხანი შაჰმა ქართლში გამოისტუმრა და თან ჯარი გამოატანა. დაუდ-ხანს მხარი დაუჭირეს ბარათაშვილებმა და ზოგიერთმა სხვა უზნეო თავადმაც.

დაუდ-ხანი პირველი მოღალატე უფლისწული იყო საქართველოს ისტორიაში, რომელიც ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით, სპარსთა სამეფო კარზე გაიქცა. მაშინდელ საქართველოში ასეთი რამ გაუგონარ მოვლენად ითვლებოდა და სიმონ მეფემაც გადაწყვიტა სამშობლოს უარმყოფელი ძმის მოშორება. 1567-1568

წლებში დიღომთან და სამადლოსთან სიმონმა ორჯერ დაამარცხა დაუდ-ხანი, მაგრამ ტფილისის აღება მაინც ვერ შეძლო, რადგან მის მოღალატე ძმას ყიზილბაშური სახანოები ეხმარებოდნენ.

დაუდ-ხანმა ამ დამარცხებათა შემდგომ დახმარება კვლავ შაჰ-თამაზს თხოვა. შაჰის ბრძანებით 1569 წელს განჯაში თავი მოიყარეს შაქისა და ყარაბაღის ბეგლარბეგთა ჯარებმა, თამაზმა შამხლის ლეკთა ჯარიც დაიქირავა და საქართველოსკენ გამოისტუმრა. ქართლისაკენ შიშით მომავალ ყიზილბაშთა ჯარს ქართველი **კახაბერ ყორღანაშვილი** მიგებებია და მეგზურობა უკისრია: მოღალატემ მტერი კიდევაც შეაგულიანა და ალგეთის ხეობაშიც შემოიყვანა. სიმონ მეფემ მტრის შემოსვლის ამბავი როგორც კი გაიგო, მაშინვე აიყარა და ფარცხისისაკენ გაემართა. მთავარი ბრძოლაც ამ სოფელთან მოხდა. ქართველებზე „ათგზის უმრავლესი" ლაშქარი ჰყოლიათ ყიზილბაშებს. შეტევა მაინც ქართველებს დაუწყიათ და **„მიდრიკნეს ყიზილბაშნი პირველსავე კვეთებასა ზედა"**. სიმონი დაედევნა გაქცეულ მტერს და რამდენიმე კაცი შუბით განგმირა, მაგრამ ველარ შენიშნა, რომ ძირითად ქართულ ლაშქარს გაცილებოდა. მისი პატარა ლაშქარი მტრის ალყაში აღმოჩნდა. იდროვა მოღალატე ყორღანაშვილმაც და ყიზილბაშებს მიუთითა - ეს გახლავთ სიმონ მეფეო. მოულოდნელად სიმონ მეფეს ზურგიდან შუბი ჰკრეს და მიწას დაანარცხეს. ჭილყვავებივით მიესივნენ მეფეს და ტყვედ იგდეს, მისი რაზმი კი ამოწყვიტეს.

ქართველთა ლაშქარი ვაჟკაცურად აგრძელებდა ბრძოლას, მაგრამ რიცხვმრავლობამ თავისი გაიტანა, უკან დაიხიეს და დაიფანტნენ. დატყვევებული სიმონ მეფე ჯერ ტფილისს მიიყვანეს, მერე კი ყაზვინს გააგზავნეს შაჰ თამაზთან. სიმონმა მტკიცე უარი განაცხადა გათათრებაზე, რის გამოც ალამუთის ციხეში ჩააგდეს.

1569 წელსვე შაჰ თამაზმა ქართლის მეფედ **დაუდ-ხანი** გამოაცხადა. მაგრამ ქართველებმა არ მიიღეს ძმისა და ქვეყნის მოღალატე. 10 წლის განმავლობაში მისი ხელისუფლება მხოლოდ ტფილისზე და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა. ქართველმა პატრიოტებმა გაორმაგებით გააგრძელეს ბრძოლა და დაუნდობლად ჟლეტდნენ ყველა მოღალატეს. ქართლის სპასპეტმა **საჩინო ბარათაშვილმა** ქართველთა ჯავრი იყარა მოღალატე ყორღანაშვილზე

- კოჯრის გზაზე მოიხელთა და გელიყარის ციცაბო კლდიდან გადაჩეხა. ლექსიც შეუთხზავთ ამ ამბით გახარებულ ქართველებს:

„ყორლანას-ძეს ქარაფიდან
ხელი კრეს და გადაფრინდა“.

ამავე პერიოდში შექმნილა ქართველი კაცის უტეხი სულის და დიდი იმედის გამომხატველი ხალხური ლექსი - სიმღერაც:

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი შესჭამონ მტრისანი“.

1576 წელს ირანში გარდაიცვალა ქართველთა მოდგმისა და ჯიშის დაუძინებელი მტერი შაჰ თამაზი და მისი მემკვიდრეობისათვის სისხლიანი ომი ატყდა 9 უფლისწულს შორის. შაჰის ტახტი იმჯერად **ისმაილმა** დაისაკუთრა. მაშინვე ალამუთის ციხიდან გამოუყვანია შაპს სიმონ მეფე და ოსმალეთთან ომის განახლებისათვის მზადება დაუწყია, მაგრამ არ დასცალდა — გადმოცემით, ის მოუწამლავთ. ახალი შაჰი შეიქნა **მაჰმუდ ხუდაბენდე** (1577-1587). მამა დიდი **შაჰ აბას I-სა**. ხუდაბენდე უნიჭო და სუსტი მმართველი გამოდგა. ეს უმალ იყნოსეს ოსმალებმა და ირანთან ომის განახლება და მისი ამიერკავკასიიდან განდევნა გადაწყვიტეს. სულთანმა **მურად III-მ** ირანის წინააღმდეგ მებრძოლი ლაშქრის სარდლად **ლალა მუსტაფა ფაშა** დანიშნა. ლალა ფაშას ჯერ სამცხე-საათაბაგო და ქართლი უნდა დაეპყრო, შემდეგ კი შარვანი.

ლაშქრობის წინ ლალა ფაშამ მოწოდებით მიმართა ქართლის, კახეთის, იმერეთის მეფეებს, ოდიშის, გურიის მთავრებს და ათაბაგობისათვის მებრძოლ მანუჩარს, რომ ერთობლივად გამოსულიყვნენ ირანელთა წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ.

1578 წლის 9 აგვისტოს **ჩილდირთან** გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა ოსმალებსა და ყიზილბაშებს შორის. ირანელთა რიგებში აღმოსავლეთ სამცხის ქართველებიც იბრძოდნენ. სასტიკი ბრძოლა ოსმალთა გამარჯვებითა დამთავრდა. მალე მათ ახალციხეც დაიკავეს. სამცხის მთავარი ყვარყვარე, მისი ძმა მანუჩარი და მათი დედა დედისიმედი დამორჩილდნენ ლალა ფაშას. ამის შემდეგ ქართლისაკენ გზა ხსნილი იყო და ლალა ფაშამაც არ დააყოვნა —

24 აგვისტოს თურქებმა ტფილისი აიღეს. დაუდ-ხანი ყიზილბაშებთან ერთად ლორეში გაიქცა. ტფილისში ლალა ფაშასთან მორჩილებით გამოცხადდნენ **ვახტანგ მუხრანბატონი** (იგი იმ დროს განაგებდა ქართლის საქმეებს), **ბარძიმ ამილახორი** და ქსნის ერისთავი **ელიზბარი**. მტერს წინააღმდეგობა გაუწია მხოლოდ ქვემო ქართლმა, სადაც მუსრი გაავლეს ოსმალებს.

ამრიგად, ქართლი ოსმალებმა დაიკავეს, ტფილისში მათ ფაშა დანიშნეს, გორი კი სანჯაყად გამოაცხადეს და ციხე-სიმაგრეებში გარნიზონები ჩააყენეს. ქართლიდან ლალა ფაშა შაქი - შარვანისაკენ წავიდა. სართიჭალასთან მას შემოეგება კახეთის **მეფე ალექსანდრე II** (1574-1605) და ოსმალთა მორჩილება-მოხარკეობა იკისრა. ლალა ფაშამ მალე აღმოსავლეთი ამიერკავკასიაც დაიმორჩილა და აქედანაც გამოდევნა ყიზილბაშნი.

ირანის მწარე მარცხმა აიძულა შაპი ხუდაბენდე, რომ შეეცვალა დამოკიდებულება საქართველოსა და კერძოდ სიმონ მეფის მიმართ. თავის მხრივ, სიმონ მეფეს კარგად ესმოდა, რომ მარტოდ დარჩენილი საქართველო ვერ გაუმკლავდებოდა ოსმალთა მსოფლიო იმპერიას, საჭირო იყო ირანის გამოყენება მათ წინააღმდეგ. ყიზილბაშთა თვალის ახვევის მიზნით, სიმონმა მაპმადიანობა მიიღო, რის შემდეგ მას კვლავ ებოძა ქართლის მეფობა. 1578 წლის ოქტომბერში სიმონ მეფე სარდალ **ალიყული ხანთან** ერთად 5 ათასი მხედრით და ქვეშეხით საქართველოში გამოისტუმრეს.

დაბრუნებისთანავე კვლავ ქრისტეს სჯულზე მოექცა სიმონ მეფე და გაალმასებით შეუტია თბილისიდან არზრუმში უკან მიმავალ ლალა ფაშას და პარტიზანული ბრძოლებით დიდი ზიანი მიაყენა მას. ლალა ფაშამ ყვარყვარე ათაბაგი და მისი ძმა მანუჩარი ჯერ არზრუმში ჩაიყვანა, მერე კი სტამბოლს გაგზავნა.

სულ მალე სიმონ მეფემ ოსმალებს ხელიდან გამოგლიჯა **ლორე, გორი** და ქართლის სხვა ციხე-სიმაგრეები. მალე სიმონმა ყიზილბაშებთან ერთად ტფილისის ციხის ალყა დაიწყო. ძლიერ გაუჭირდა ოსმალთა გარნიზონს, განსაკუთრებით სურსათის არქონამ დაუზარალა ისინი. თბილისის გარნიზონის დასახმარებლად 1579 წლის შემოდგომაზე ლალა ფაშამ 20 ათასიანი ჯარით და სურსათით დამასკოს ფაშა გამოგზავნა. **დმანისის** ვიწროებში მათ დიდი ზიანი მიაყენა

სიმონ მეფემ თავის ლაშქრით, მაგრამ გაუფრთხილებლობის გამო მისი მოკავშირე **ალი ყული ხანი** ტყვედ იგდეს ოსმალებმა და ტფილისის ციხეში შეიყვანეს. უკან დაბრუნებულ დამასკოს ფაშას სიმონი დმანისთან ჩაუსაფრდა, მაგრამ ტყვე ალი ყული ხანმა მოკლე გზა უჩვენა ოსმალებს და უშიშარ ადგილას გაიყვანა. სიმონ მეფე მაინც დაედევნა ოსმალებს და დიდი ზიანიც მიაყენა - **„ყველა ცხენი, ტყვე და თბილისიდან წამოღებული მეჰმუდის ხაზინა ხელთ იგდო“.**

1579 წელს საომარი კამპანიის დამთავრების შემდეგ სულთანმა გადააყენა სარდლობიდან ლალა ფაშა, რომელმაც ვერ შეძლო საქართველოს დამორჩილება. იგივე ბედი ეწია 1580 წელს სარდლად დანიშნულ სინან ფაშას, რომელსაც ასევე დიდი ზიანი მიაყენა სიმონ მეფემ.

1582 წელს დაიწყო საზავო მოლაპარაკება ოსმალეთსა და ირანს შორის, რის გამოც საომარ ასპარეზზე მცირე ხნით მშვიდობა დამყარდა. ამავე წელს შაჰის მთავრობამ ერთმანეთს შეარიგა სვიმონი და ალექსანდრე II კახთა მეფე (ფრიად ამორალური პიროვნება, რომელმაც იკადრა სიმონის ცოლის — თავისი საკუთარი დის — გაძარცვა და შეურაცხყოფა). ოსმალთა წინააღმდეგ მათ გარდა გაერთიანდნენ ირანის, საშამხალოს და დაღესტანის მმართველები და კვლავ ალყაში მოაქცია სიმონმა თბილისის ციხე.

მურად III-მ ალყაშემორტყმული თბილისის გარნიზონის დასახმარებლად გაგზავნა დიარბექირის ბეგლარბეგი **ჰალიმ ჰასან ფაშა.** მასვე მიაშველა ჩილდირის ბეგლარბეგი **მანუჩარ (მუსტაფა) ჯაყელი.** იმავდროულად წერილები გაეგზავნათ იმერეთის მეფეს, სამეგრელო-გურიის მთავრებს, დასხმოდნენ ქართლის სამეფოს. ოსმალთა 20 ათასიანი ჯარი მუხრანის ველზე დაბანაკდა. სწორედ ამ დროს დაესხა თავს ქართლს იმერეთის მეფე გიორგი, „დადიან-გურიელი თან ახლდნენ, გაღმა-გამოღმართი სულ დალეწეს“ სიმონ მეფემ „არა მიხედა მათ“, თავს დაესხა მუხრანთან ოსმალებს და სასტიკად დაამარცხა. მარცხნაჯამმა ოსმალებმა ძლივს მიაღწიეს ტფილისის გარნიზონამდე. სიმონ მეფემ მთელი ხაზინა წაართვა მათ.

მუხრანთან ოსმალთა დამარცხება მანუჩარ (მუსტაფა) ჯაყელს დააბრალა მთავარსარდალმა და მისი მოკვლაც გადაწყვიტა, მაგ-

რამ იმარჯვა მანუჩარმა და თავი დააღწია, ისევ ქრისტიანად მოიქცა და სიმონ მეფის მხარეზე გადავიდა. მალე მანუჩარმა სამცხეში ანტიოსმალური აჯანყება დაიწყო და მრავალი ციხეც წაართვა მათ. ამავე წელს მან კვლავ აღადგინა 1579 წელს ოსმალთა მიერ გაუქმებული ათაბაგობა. 1583 წელს მანუჩარმა ცოლად შეირთო სიმონ მეფის ასული და ამიერიდან ქართლის ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ სამცხეც შეუერთდა. ამ წელს სიმონ მეფემ ოსმალთა ბატონობისაგან გაანთავისუფლა ლორე და **სამშვილდე.**

ვახუშტი ბაგრატიონისა და **ბერი ეგნატაშვილის** გადმოცემით ამავე წელს სიმონ მეფეს გაუთავისუფლებია თვითონ ტფილისიც, თუმცა მცირე ხნით.

1584 წელს სულთანმა ახალი მთავარსარდალი დანიშნა - **ფერად ფაშა** და საქართველოს დასამორჩილებლად გამოგზავნა. ფერად ფაშას უზარმაზარმა არმიამ დაიკავა ლორე და დმანისი, მოსპო და გაანადგურა გზად ყველაფერი, გაძარცვა და დაატყვევა მოსახლეობა. დმანისიდან ფერად ფაშამ 20 ათასიანი რაზმი რეზვან ფაშას სარდლობით ტფილისისაკენ გამოგზავნა. ოსმალთა ჯარი ხატისსოფელთან დაბანაკდა. ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობით, სიმონ მეფე ბრძოლის წინ, როგორც ელჩი, წარსდგომია ოსმალებს და მეფის სახელით ზავი შეუთავაზებია მათთვის.

სიმონ მეფეს ოსმალთა ჯარის დაზვერვაც მოუწყვია, მაგრამ გორას მოფარებული მტრის ერთი ნაწილი ვერ აღურიცხავს. გათენებისას სიმონ მეფე 4 ათასი კაცით მოულოდნელად დაესხა ოსმალებს, მაგრამ მათ მისაშველებლად გამოგზავნილმა ახალმა 10 ათასიანმა ლაშქარმა გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. სიმონ მეფე ამჯერად დამარცხდა. ფერად ფაშამ ტფილისში წასვლა ვეღარ გაბედა და თრიალეთის გზით სამცხეში ჩავიდა. თურქებმა ახალციხეში ციხესიმაგრის აგება დაიწყეს, მაგრამ ბრძოლებით და სიცივით განაწამებ ჯარში აჯანყებამ იფეთქა და ოსმალები ამის გამო საქართველოს გაეცალნენ.

1585 წელს სიმონ მეფემ კვლავ წაართვა თურქებს ლორე, მაგრამ ოსმალებმა დიდი ჯარი გამოგზავნეს და დაიბრუნეს იგი.

1587 წელს ფაშა შეეცადა მძლავრი დარტყმით გაეტეხა სიმონ მეფის წინააღმდეგობა. იგი საქართველოსაკენ დაიძრა დიდი ჯარით.

ლაშქრის ნაწილი მან ახალციხის ასაოხრებლად გაგზავნა. ათაბაგმა მანუჩარმა დახმარება სთხოვა თავის სიმამრს - სიმონ მეფეს. სიმონი დასახმარებლად გაეშურა. ამასობაში თავად ფერად ფაშა მთავარი ძალებით ჯერ ტფილისში ჩავიდა, მერე კი გორში. სიმონ მეფე იძულებული შეიქნა ქართლს დაბრუნებულიყო. ამით ისარგებლეს ოსმალებმა, დაიპყრეს ახალციხე და კვლავ ჩილდირის საბეგლარბეგოს მიუერთეს. მანუჩარ ათაბაგს ოსმალებმა აუჯანყეს მოღალატე ფეოდალები **კოკოლა შალიკაშვილის** მეთაურობით. მანუჩარ ათაბაგი იძულებული გახდა ახალდაბას გადასულიყო საცხოვრებლად.

1587 წელს დამარცხებული და დაუძლურებული ირანის ტახტზე ავიდა ახალი შაპი — **აბას** I (1587-1629წწ.), მომავალში საქართველოს დაუძინებელი მტერი და მისი დამაქცევარი. მძიმე ვითარებაში დაიწყო მან მეფობა - მთელი ამიერკავკასია ოსმალეთს ჩაეგდო ხელში. შაჰ აბასმა რუსეთს თხოვა დახმარება ოსმალეთის წინააღმდეგ, მაგრამ რუსეთი ლივონიასთან ოცდაათწლიანი ომით ძლიერ იყო დასუსტებული.

1588 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო, რომელიც ორი წელი გაგრძელდა. 1588 წელს სიმონ მეფეც დაუზავდა ოსმალებს, ხარკის ძლევა იკისრა. სამაგიეროდ ოსმალეთი არ ერეოდა ქართლის შინაურ საქმეებში. სულთანმა ვერ შეძლო სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი მეფის სრული დამორჩილება.

1590 წლის 21 მარტს სტამბოლში დაიდო ზავი ოსმალეთსა და ირანს შორის. შაჰ აბასმა ამ ზავით საქართველო, აღმოსავლეთ სომხეთი, ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანი და ლურისტანის ნაწილი ოსმალეთს დაუთმო. ოსმალეთის იმპერია თავის დიდების ზენიტში იდგა.

1588-1590 წლებში სიმონ მეფემ სამჯერ შეძლო იმერეთის სამეფოს შემოერთება, მაგრამ ფეოდალთა ღალატის წყალობით სამივეჯერ დაკარგა. ოსმალთა ზეწოლით სიმონი შემდგომ იძულებული გახდა ეცნო იმერეთის ტახტზე **როსტომის** გამეფება.

სიმონ მეფისა და ქართლის სამეფოს თავგანწირულმა ბრძოლამ ოსმალეთის წინააღმდეგ დიდი გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთ ევროპაში. ევროპელები ძლიერ შეაშფოთა 1590 წელს სტამბოლის

ზავის პირობებმა და ოსმალთა კიდევ უფრო გაძლიერებამ. რომის პაპმა **კლიმენტი VIII-მ** და გერმანიის იმპერატორმა **რუდოლფ II-მ** დაიწყეს მოლაპარაკება ანტითურქული კოალიციის შედგენაზე. სიმონ მეფეს, ოსმალთა წინააღმდეგ გამოჩენილ მებრძოლს, წერილებიც მოუვიდა მათგან. სიმონი წერდა ესპანეთის მეფეს, შეექმნათ ისეთივე ანტიოსმალური კავშირი, როგორც შეიქმნა 1595 წელს (ირანის, ქართლის და კახეთის შემადგენლობით). გმირი მეფე რომის პაპს ამშვიდებდა - **„ვიდრე პირში სული მიდგას, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე“**-ო.

ევროპელებმა ვერ შეძლეს ანტიოსმალური კოალიციის შედგენა. მიუხედავად ამისა, სიმონ მეფემ მოკავშირეებთან ერთად 1598 წელს კვლავ განაახლა ომი ოსმალეთის იმპერიასთან.

1598 წლის ზაფხულში სვიმონ მეფემ ალყა შემოარტყა გორის ციხეს. ალყა 9 თვეს გაგრძელდა. 1599 წლის დიდმარხვის დღეებში სიმონ მეფემ საომარი ხერხი იხმარა ოსმალთა წინააღმდეგ: თურქებმა იცოდნენ, რომ ქართველები დიდმარხვის დროს ომს ერიდებოდნენ და ყურადღება მოადუნეს. სიმონ მეფე ჯერ გაეცალა გორის ციხეს, მერე კი ღამით მოულოდნელად თავს დაესხა და აიღო იგი. სიმონ მეფესთან ერთად მანუჩარ ათაბაგმაც ააჯანყა სამცხის მოსახლეობა. სიმონისა და მანუჩარის წინააღმდეგ დიდი ლაშქრით გამოგზავნეს **ჯაფარ ფაშა**. შიდა ქართლის ჯარს სიმონმა თავისი ვაჟი **ბატონიშვილი გიორგი** უსარდლა და გორში დააყენა, თვითონ კი საბარათიანოში წავიდა და ლაშქრის შეკრება დაიწყო. ამ დროს ოსმალებიც გამოჩნდნენ ნახიდურთან. სიმონ მეფემ ვერ მოასწრო ლაშქრის შეკრება და თანამებრძოლთა რჩევის მიუხედავად, გადაწყვიტა შებმობა რიცხვმრავალ მტერს **საღირაშენთან**, ფარცხისის ახლოს.

ბრძოლის წინ ქართველებს ზიარება მიუღიათ, ერთმანეთს გამომშვიდობებიან და ფიცი დაუდიათ, ბოლომდე ებრძოლათ. ბრძოლა თვით მეფეს დაუწყია, არნახული სიმამაცე გამოუჩენია თურმე. უთანასწორო ბრძოლა 5 საათს გაგრძელებულა. ბოლოს მეფე გამოუტაციათ თავისიანებს ბრძოლის ველიდან და უკუქცეულან. ფარცხისთან მეფის ცხენს შემთხვევით სხვისი ცხენი მიეჯახა და ცხენი მხედართან ერთად საფლობში ჩავარდა. ძალზე გაუძნელ-

დათ თურმე მეფის გამოყვანა. ამასობაში ოსმალეთა რაზმმაც მოასწრო და მათმა წინამძღოლმა, გამაჰმადიანებულმა მოღალატემ **ბარათაშვილმა,** იცნო მეფე და ეს ამბავი უმალ ჯაფარ ფაშას ამცნო. მარტოდ დარჩენილი მეფე იძულებული გახდა დანებებულიყო.

მეფისა და სხვა ტყვეთა დახსნა ვერ მოხერხდა.

1600 წელს სიმონი ჯაფარ ფაშამ სტამბოლს გაგზავნა. დიდი ზეიმით აღნიშნეს თურქებმა სიმონ მეფის - ოსმალთა წინააღმდეგ ყველაზე სახელოვანი მებრძოლის დატყვევება. საზეიმოდ მოურთავთ სტამბულის ქუჩები და 3 დღე აღნიშნავდნენ ყოველივე ამას. სულთანი მეჰმედ III ბევრს ეცადა თავის ნებაზე დაეყოლიებინა სიმონ მეფე, მოსთხოვა მას ქრისტიანობის უარყოფა და მრავალი წყალობაც აღუთქვა, მაგრამ ქედი ვერ მოახრევინა გმირ მეფეს. გაცეცხლებულმა ბოლოს იედიყულეს ციხეში ჩაკეტა სიმონი. სიმონ მეფის შვილმა გიორგიმ არაფერი დაიშურა სახელოვანი მამის გამოსახსნელად, ხაზინის მთელი სიმდიდრე, ეკლესიისა და თავადთაგან აკრეფილი ოქრო და თვალმარგალიტიც სტამბოლს გაგზავნა თავის შვილ დავითთან ერთად, მაგრამ ამან შედეგი არ მიიღო. 1611 წელს თურქეთში გარდაიცვალა სიმონ მეფე. ხარბმა სულთანმა განძეულობა მაინც დაიტოვა და რამდენიმე ხნის შემდეგ მეფის ნეშტი დაუთმო ქართველებს. მცხეთას ჩამოასვენეს გმირი მეფე ქართლისა და თავისი სახელოვანი მამის - ლუარსაბის გვერდით დაკრძალეს.

დიდი სახელი დატოვა ქვეყნისათვის თავდადებულმა მეფემ. 44 წლის განმავლობაში ვაჟკაცურად და ღირსეულად იცავდა ერის დამოუკიდებლობას ირანული და თურქი დამპყრობლებისაგან; წინ უძღოდა მთელი ქართველი ხალხის ბრძოლას ამ მიზნისათვის და შედეგიც ყველასათვის ნათელია **საქართველომ შეინარჩუნა თვითმყოფადობა და ხალხი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა.**

არჩილ მეფემ საინტერესოდ შეაფასა მისი მოღვაწეობა - **სიმონ მეფემ „ქართლს ხმალი შეარტყაო“.**

ქართლის ვაჟკაცურმა ბრძოლამ სიმონ მეფის მეთაურობით მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა ირანის და თურქეთის ბატონობის სიმძიმე საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებს.

მამა-შვილის ლუარსაბისა და სიმონის მაგალითზე იზრდებოდნენ მომავალი პატრიოტები და თავდადებულნი საქართველოში.

ბერი თევდორე

„ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებში **თევდორეს** გმირობის ამბავს სულ ერთი გვერდი აქვს დათმობილი, მაგრამ ეს ერთი გვერდი მრავალ ტომს გადასწონის.

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ ქართველობას თევდორემდე თითქმის აღარ პყოლია სარწმუნოებისა და ქვეყნისთვის თავდადებული გმირი. ზუსტად არც მისი გვარია ცნობილი და არც ასაკი. ვარაუდობენ, რომ ის საშუალო ასაკის აუნდა ყოფილიყო, სოფელ კველთიდან.

იდგა 1609 წლის თიბათვე (ივნისი). სამხრეთ საქართველოს, წინა წელს განცდილი დამარცხების საპასუხოდ, თურქები და ყირიმელი თათრები („მგლის-ტყაოსნები“) შემოესივნენ. მტერმა აიღო ახალციხე, გაძარცვა ახლომახლო სოფლები და ქართლისაკენ გაეშურა. ერთი წლის წინ თურქთა დამარცხებაში სამცხის პატრონებს მანუჩარსა და დედამისს ელენეს ეხმარებოდა ქართლის ახალგაზრდა მეფე **ლუარსაბ II** (1606-1614), შემდგომში თავისი ქვეყნისა და ქრისტიანობისათვის წამებული რაინდი.

თურქებს მასზე ჯავრის ამოყრა, ქართლის დარბევა და გაძარცვა სურდათ. თუ მეფეს ხელთ იგდებდნენ, შეიძლებოდა დიდი გამოსასყიდსაც მოითხოვდნენ. 60 ათასიან ჯარს გამაპმადიანებული ქართველი **ფერად-ფაშა** მოუძღოდა. ჯავახეთისა და თრიალეთის გამოვლის შემდეგ ისინი **მანგლისს** მოადგნენ და აქ გაიგეს, რომ მეფე ლუარსაბი მცირე ამალით ცხირეთს იდგა და ვეზირებთან ბჭობდა. თურქებს მეგზური სჭირდებოდათ, რადგან გზა არ იცოდნენ. მანგლისის მოოხრების შემდეგ სოფელ კველთას მიადგნენ და აქ ერთი მღვდელი შეიპყრეს, სახელად თევდორე. სარდლებმა თევდორეს ცხირეთისაკენ წაყვანა მოსთხოვეს. თევდორემ თავიდან იუარა. ცემა დაუწყეს. მღვდელმა შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა, ალბათ იფიქრა, ჯობია მე წავიყვანო სხვა გზით, ვიდრე ვინმე სულმოკლე ან გამცემი ამ ურდოს პირდაპირ მეფეს მიაყენებდესო. თევდორემ ჯერ გოსტიბესაკენ წაიყვანა მტერი, მერე

ერთაწმინდისაკენ და ცხირეთი გეერდით მოიტოვეს. მღვდელმა იცოდა, რომ ეს ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდებოდა მისთვის, მაგრამ შეგნებულ ნაბიჯებს დგამდა. რადგან ხვდებოდა, მეფის დატყვევება ქვეყნის დამარცხების ტოლფასი იქნებოდა. უმეფოდ და უმეთაუროდ ქართველები გამარჯვებას ვერ შეძლებდნენ. ამიტომ მისი გადარჩენა ახლა ქვეყნის გადარჩენის ტოლფასი იყო. სოფელ ქვენადრისთან რომ მივიდნენ, თურქებმა ეჭვი აიღეს, რომ თევდორე რაღაცას ეშმაკობდა. ამასობაში კარგა დრო გავიდა და ქართველებმა ხმა მიაწვდინეს ლუარსაბ მეფეს კარს მომდგარი საშიშროების შესახებ. როცა თურქები დარწმუნდნენ, რომ მღვდელმა ისინი მოატყუა და სხვა გზით ატარა, თევდორე სასტიკი წამებით მოკლეს. **ასე შესწირა თავისი სიცოცხლე მღვდელმა თევდორემ თავის მშობლიურ ქვეყანას. მისი მსხვერპლი გამართლებული გამოდგა — ქართველებმა შეძლეს ძალების მობილიზება და ჯერ სხერტის ჭალასთან აოტნეს თურქნი, მერე კი 27 ივნისს ტაშისკართან გამართულ ბრძოლაში გიორგი სააკაძის სარდლობით სასტიკად დაამარცხეს და ქართულ მიწაში დაამიწეს ისინი.** მაშინ ქართლი დიდ აოხრებას გადაურჩა თურქთაგან.

ქეთევან წამებული

ქეთევანი ბაგრატიონთა მუხრან-ბატონების შტოს ღირსეული წარმომადგენელი იყო. მამამისი ცნობილი ქართველი პატრიოტი აშოთან მუხრან-ბატონი გახლდათ, ხოლო ქეთევანის უფროსი და, დედისიმედი — სამცხის ათაბაგის ქაიხოსროს მეუღლე და შემდგომში მისი ქვრივი. იყო „ამაყი, მრისხანე, გლისპი და გაუსინჯავი“ (როგორც მემატიანე წერს) ვაჟკაცური ბუნების ქალბატონი, რომელიც არაფერს უთმობდა არც ირანელებს და არც თურქებს. იგი იყო დედა სახელოვანი მანუჩარ ათაბაგისა, ბებია მანუჩარ ბეგისა, რომელიც მხარში ედგა გიორგი სააკაძეს მარტყოფის და მარაბდის ბრძოლებში.

ქეთევანი 1572 წელს დაიბადა. 16 წლის ყმაწვილი ქალი კახთა მეფის ალექსანდრე მეორის (1574-1605წ.წ.) რძალი გახდა. იგი ცოლად შეირთო ალექსანდრეს ვაჟმა დავითმა (რომელიც პოეტი და მთარგმნელიც ყოფილა, თარგმნა „ქილილა და დამანა“).

1589 წელს მათ შეეძინათ ვაჟი, მომავალი მეფე და პოეტი თეიმურაზ I (1589-1663წ.წ.). 1602 წელს ავად გამხდარ მეფე ალექსანდრეს დავითმა ტახტი წაართვა და მეფობას შეუდგა, მაგრამ დიდ-

ხანს ვერ იმეფა — ოთხი თვის თავზე მოულოდნელმა სიკვდილმა უწია.

ულამაზესი და უსათნოესი დედოფალი ნაადრევად დაქვრივდა. ქეთევანმა მართლაც სამეფო აღზრდა მისცა თავის შვილებს — თეიმურაზს და ელენეს. თავადაც პქონია პოეტური ნიჭი ქეთევანს. მას დაუწერია „ანბანთქება“.

შვილის სიკვდილის შემდეგ ალექსანდრე ტახტზე დაბრუნდა და კიდევ სამი წელი იმეფა, ვიდრე იგი სიცოცხლეს არ გამოასალმა თავისმა „გათათრებულმა“ შვილმა, შაპ-აბას I-თან მძევლად ნამყოფმა კონსტანტინე მირზამ, რომელმაც თავისი მეორე ძმა გიორგიც მოკლა (მანამდე ცოტა ხნით ადრე თეიმურაზი და ელენე ირანელებმა „საპატიო მძევლებად“ წაიყვანეს შაპის კარზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი რუსთ ხელმწიფეს უნდოდა სასიძოდ და სარძლოდ).

აქ ქეთევან დედოფალმა უკვე აშკარად გამოაჩინა თავისი მტკიცე ბუნება. მან შეთქმულთა შემოკრება დაიწყო, რათა ქვეყნის მოღალატე და მამის მკვლელი კონსტანტინე (რომელმაც გაბედა და მუსულმანთა წესით თავის რძალს ცოლობა სთხოვა) კახეთიდან გაეძევებინათ. ქეთევანმა კახელი თავადები შეპყარა და კონსტანტინეს წინააღმდეგ თანადგომა მტკიცედ მოსთხოვა. თავადებმაც შეპფიცეს ერთგულება დიდებულ მანდილოსანს („ესე იყო ღაწვ-მრავალი და სამგზის სანატრელი, დედათა შორის ახოვანი დედოფალი და მოწამე ყოვლად ქებული ქეთევანი“).

ქეთევანმა ქართლშიც გაგზავნა შიკრიკი დახმარების სათხოვნელად გიორგი მეათესთან. ქართლ-კახელთა ჯარს თავად ქეთევანი გაუძღვა. მათ მოღალატე კონსტანტინეს ჯარი, დაამარცხეს და კონსტანტინეც მოპკლეს. ასე ააცილა მაშინ საფრთხე კახეთს ქეთევან დედოფალმა. ამ დროიდან შაპ-აბასი ძალზე მტრულად განეწყო ქეთევანის მიმართ, რადგან მასში უდიდესი ეროვნული მუხტი დაინახა. შაპი იძულებული გახდა კახეთის ტახტზე ქეთევანის 16 წლის ვაჟი თეიმურაზ I დაესვა და ქრისტიანადაც დაეტოვებინა. ეს 1606 წელს მოხდა

1607 წლის დასაწყისში შაპ-აბასმა ალყა შემოარტყა თურქთა მფლობელობაში მყოფ ქალაქ შემახას და კახეთის მეფეს დახმა-

რება მოსთხოვა. თეიმურაზმა უარი შეუთვალა. განმეორებითი მოთხოვნის შემდეგ კახეთიდან შაპს ეახლა ქეთევან დედოფალი ათასი მეომრით, მაგრამ თეიმურაზზე გაბრაზებულმა შაპმა ისინი უკან გააბრუნა. მალე თეიმურაზმა ცოლად შეირთო მამია გურიელის ასული ანა, რომელმაც ორი ვაჟი აჩუქა მეუღლეს — ლევანი და ალექსანდრე.

1610 წელს თეიმურაზის მეუღლე მოულოდნელად გარდაიცვალა. შაპმა თეიმურაზი აიძულა ცოლად შეერთო ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის და ხორეშანი, თეიმურაზის არცთუ შორეული ნათესავი. მტარვალმა შაპმა იმავე 1611 წელს კიდევ ერთი ცოლი შეირთო — ქეთევანის ქალიშვილი ელენე.

1612 წელს შაჰ-აბასმა ზავი დადო თურქეთთან, რომლითაც კვლავ „დაიბრუნა" ქართლ-კახეთი. შესაბამისად, ხელები გაეხსნა ქართლ-კახეთის ურჩი მეფეების დასასჯელად. 1612 წლის ბოლოს იგი მაზანდარანში ჩავიდა და ქართლ-კახეთის მეფეები თავისთან „სანადიროდ" იხმო. ქართველმა მეფეებმა უარი შეუთვალეს შაპს, შაჰ-აბასმა აქვე შეიტყო, რომ თეიმურაზსა და ლუარსაბს, თურმე, რუსეთისაკენ უჭირავთ თვალი. განრისხებულმა შაპმა კახეთისა და ქართლის ცალ-ცალკე დასჯა გადაწყვიტა. პირველად თეიმურაზი ამოიღო მიზანში.

1614 წლის გაზაფხულზე შაპმა ელჩი გამოუგზავნა თეიმურაზს და შემოუთვალა: **შენ აღარ გენდობი, თუ მტრობას არ მიპირებ, მძევლად შენი შვილი უნდა გამომიგზავნო.** თეიმურაზი იძულებული იყო უმცროსი ვაჟი გაეგზავნა მძევლად. შაპი ამას არ დასჯერდა უფროსი ვაჟის, ხოლო შემდეგ თეიმურაზის დედის გაგზავნაც მოითხოვა. მეფემ ეს მოთხოვნაც იძულებით დააკმაყოფილა. ბოლოს თავად თეიმურაზი დაიბარა შაპმა, რომელიც ყველაფერს მიხვდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. შაპმა სამივე მძევალი ირანს გაგზავნა, თავად კი კახეთის მოოხრებას შეუდგა. თეიმურაზმა მხოლოდ ალყის გარღვევა მოახერხა და ჯერ ქართლში გადავიდა, მერე კი ლუარსაბ მეფესთან ერთად იმერეთს შეაფარა თავი.

ასე აღმოჩნდა ქეთევან დედოფალი ირანში, სადაც მან ათი წელი გაატარა შაპის ტყვეობაში.

ასე ამბობდა სპარსეთში ტყვედ წაყვანილი ქართველი:

რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ, მე არ გავხდები სპარსელი. ხეზე დამკიდონ, ქვეშ ცეცხლი შემინთონ, — ისე ვიწვოდე, მაშინაც ვეტყვი ჩემს მტარვალს: „მე ქართველი ვარ იცოდე!“

1614-17 წლებში შაპ-აბასმა ოთხჯერ ილაშქრა კახეთში და მიწასთან გაასწორა ერთ დროს აყვაყებული მხარე, 100 ათასზე მეტი ადამიანი დახოცა, ხოლო 200 ათასზე მეტი — ირანში გადაასახლა.

თეიმურაზ მეფე კი ვერაფრით მოარჯულა და ვერც დაიმორჩილა. ირანში მძევლებად გაგზავნილი თეიმურაზის შვილები და დედა — ქეთევანი შაპმა ცალ-ცალკე დაამწყვდია, რამდენიმე წლის შემდეგ კი მეფის ორივე ვაჟი დაასაჭურისებინა. ერთმა წამებას ვერ გაუძლო და დაიღუპა, მეორე კი ჭკუაზე შეცდა. ქეთევანმა შვილიშვილების ტრაგედიის შესახებ არაფერი იცოდა. კახელები კი ბრძოლას განაგრძობდნენ თეიმურაზ მეფის გარეშე. იგი გონიოში ცხოვრობდა და ხან თურქეთის და ხან რუსეთის მეშვეობით ცდილობდა კახეთის ტახტზე დაბრუნებას. შაპ-აბასმა გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ გაესწორებინა მიწასთან ქართლ-კახეთი და იქ თურქმანული ველური ტომები ჩამოესახლებინა.

ამ მიზნის ასრულებამდე შაპმა საჭიროდ მიიჩნია ქეთევან დედოფლის გამუსლიმანება და ძისი გატეხვა. ქეთევანი, ათი წლის განმავლობაში შირაზში, იმამ-ყული-ხან უნდილაძის სამფლობელოში იმყოფებოდა, ეითარცა „საპატიო ტყვე“. იგი ქრისტიანობისა და საქართველოს და სიმტკიცის ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენდა და სანამ არ გასტეხდა, აბასი თავის მთავარი გეგმის განხორციელებას წარმატებით ვერ დაიწყებდა. მთელი საქრისტიანოც და ირანიც მოხიბლული იყო ქართველი ქალის სიმტკიცით, სათნოებით და გონიერებით.

ქეთევანს შაპის სახელით ქრისტიანობის უარყოფა და მაპმადიანობის მიღება მოსთხოვეს. უნდილაძეც მიუგზავნეს დასაყოლიებლად, მაგრამ ამაოდ **„დაშვრა იგი მრავლისა ვედრებითა და არა ისმინა დედოფალმან“**. ქეთევანმა მტკიცე უარი განაცხადა, რის გამოც შაპმა მისი წამებით მოკვლა ბრძანა. სხვებისათვის ჭკუის სასწავლებლად ქრისტიანობის ბურჯი სამაგალითოდ უნდა დაესაჯათ.

1624 წლის 13 სექტემბერს ქეთევან დედოფალი სასტიკად აწამეს — გავარვარებული მიტრა ჩამოაცვეს თავზე, ტანსაცმელი შემოახიეს, ძუძუ-მკერდი დაუგლიჯეს ...უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ლოცულობდა დედა საქართველოისა! მერე კი მისი ცხედარი ღია ცის ქვეშ დააგდეს ჯალათებმა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ღამით, კათოლიკე მღვდლებმა დოს ანჟუსმა და გრიგორი ორსინიმ „მოიპარეს“ წამებული ქალის ცხედარი და ისპაპანს დაასვენეს იგი, კათოლიკურ ეკლესიაში. ორი წლის შემდეგ კათოლიკე ბერებმა ქეთევანის ნეშთის ნაწილი თეიმურაზ მეფეს ჩამოუტანეს საქართველოში, ნაწილი კი ინდოეთში, ქალაქ გოაში წაიღეს და იქ დაკრძალეს დე-გრასას მონასტერში (2006 წელს ინდოეთში ჩასულმა ქართულ მკვლევართა ჯგუფმა ამ მონასტერში ინდოელ არქეოლოგებთან ერთად აღმოაჩინა ქეთევანის ხელის მტევანი).

ქეთევან დედოფლის მოწამეობრივმა სიკვდილმა, სამშობლოსა და ქრისტიანობისათვის უმაგალითო თავდადებამ შეძრა ქრისტიანული სამყარო. **ქართულმა ეკლესიამ წმინდანად აღიარა ქეთევან წამებული. მის დიდებულ მაგალითზე იზრდებოდნენ მომავალი ქართველი ქალბატონები ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც. ქეთევან დედოფალი მთელი საქართველოს საფიცარია დღესაც.**

გიორგი სააკაძე და იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი)

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲐᲛ ᲝᲠ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ 300 ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲨᲝᲠᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲕᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲗ. ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲕᲔᲡᲛᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲐ ᲐᲛ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲒᲐᲐᲚᲘᲖᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲣᲘᲩᲜᲘᲔᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲔᲗᲮᲠᲝ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲘᲗᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲯᲣᲦᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲣᲓᲐᲘᲗᲝᲓ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲛᲐᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲜᲓᲝᲑᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲓᲐᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲨᲔᲛᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲒᲐᲜᲬᲘᲠᲕᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲮᲕᲓᲐ ᲬᲘᲚᲐᲓ ᲝᲠᲘᲕᲔ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲠᲐᲕᲐᲜᲓᲔᲓᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲦᲘᲪ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔ ᲬᲝᲓᲔᲑᲠᲘᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲮᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲬᲠᲔᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲐ. ᲘᲒᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 1580 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲐ ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ, ᲐᲢᲔᲜᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲤᲔᲚᲨᲘ; ᲛᲐᲛᲐ ᲡᲘᲐᲣᲨᲘ, ᲓᲔᲓᲐ — ᲗᲐ-

მარი (ბარათაშვილის ქალი). გიორგის პყავდა სამი ძმა და ერთი და.

სიმონ პირველის მეფობის დროს (1556-1600წ.წ.) სააკაძეებს დიდი თავადობის პრეტენზიები გაუჩნდათ. სიმონ მეფისა და გიორგი X-ის (1600-1606წ.წ.) მიერ დაწინაურებული სააკაძე კი უკვე ნამდვილად დიდ ფეოდალად იქცა. იგი თეძმის ხეობაში ჩასახლდა, თავის რეზიდენციად აქცია სოფელი ნოსტე, სადაც სასახლე, ციხესიმაგრე და ეკლესია ააშენა. სოფელ ერთაწმინდაში კი საგვარეულო ეკლესია და ძვალშესალაგი გამართა.

„გათავადებულმა აზნაურმა“ გიორგი სააკაძემ ცოლად შეირთო ნუგზარ არაგვის ერისთავის ასული მარეხი, რომლისგანაც შეეძინა რვა შვილი — ხუთი ვაჟი და სამი ასული.

ტფილისისა და ქართლის მოურავს გიორგი სააკაძეს ეკუთვნოდა დიდი რაოდენობით სოფლები თეძმის, მანგლისის, ატენის, ალის (ნაბახტევი, კლდისწყარო) ხეობებში, ტფილისთან და ქვემო ქართლში.

ამის გამო ამბიციურ მოურავს ბევრი მოშურნე და მტერი გაუჩნდა დიდგვაროვან თავადებს შორის. განსაკუთრებით მტრობდნენ მას შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი და ქაიხოსრო ჯავახიშვილი. ისინი სააკაძეს მედროვედ და „მეცამეტე გოჯად“ მიიჩნევდნენ.

გიორგი სააკაძის სახელმა ძლიერად პირველად ტაშისკართან (ხაშურის რაიონში) გაიელვა. იდგა 1609 წლის თიბათვე (ივნისი). სამცხეში შემოიჭრნენ თურქები და ყირიმელი თათრები. ახალციხის აღების და გაძარცვის შემდეგ თრიალეთის გზით მტერი ქართლში შეიჭრა. მეფე ლუარსაბ მეორე (1606-1614წ.წ.) მცირე ამალით ცხირეთის საზაფხულო რეზიდენციაში იდგა და მოურავ გიორგი სააკაძესთან და სარდალ ზაზა ციციშვილთან თათბირობდა.

თურქებს ლუარსაბის შეპყრობა და ქართლის მოოხრება სურდათ, მაგრამ თევდორე ბერის გმირობის წყალობით, ეს გეგმა ჩაეშალათ. როცა სააკაძემ და ციციშვილმა შეიტყვეს მტრის შემოსევის ამბავი, სასწრაფოდ შეკრიბეს ჯარი, მტერს სხერტის ჭალასთან შეებნენ და დაამარცხეს. ამის შემდეგ, თურქებმა გეზი გორისა და ხაშურისაკენ აიღეს. ტაშისკართან, ქვიშხეთის ახლოს, ნახვეტას მინდორზე მათ გზა გადაუკეტეს ქართველებმა. 27 ივნისს 50 ათას-

ზე შეტ თურქს 10 ათასი ქართველი დაუპირისპირდა. ლუარსაბ მეფემ სარდლობა მიანდო გიორგი სააკაძეს და მანაც მარტივი, მაგრამ თამამი ტაქტიკით სასტიკად დაამარცხა თურქთა მრავალრიცხოვანი ჯარი.

1611 წლის შემოდგომაზე ლუარსაბ მეფემ ცოლად შეირთო გიორგი სააკაძის და. მეფესთან დამოყვრებამ ახალი ასპარეზი გადაუშალა მოურავს. სააკაძის მოწინააღმდეგე თავადებმა მწვავედ განიცადეს „უგვარო ქალის" დედოფლად დასმა და ლუარსაბ მეფესთან სააკაძის ბეზღობა იწყეს. ისინი რამდენიმე თვის განმავლობაში უჩიჩინებდნენ მეფეს თავიდან მოეშორებინა „უჯიშო დედოფალი" და მოეკლა გიორგი სააკაძე.

მეფემ თავადთა ზეწოლას ველარ გაუძლო, ცოლი გაუშვა და სააკაძის მოკვლაზეც დათანხმდა. მაგრამ ფარეშთუხუცესმა ბაკა ხერხეულიძემ სააკაძე გააფრთხილა და მანაც ცოცხალმა გაასწრო — ცოლ-შვილთან ერთად ირანს გაიქცა შაჰ-აბას I-ის (1587-1629წ.წ.) კარზე.

თავადებმა შადიმან ბარათაშვილის მეთაურობით მიწასთან გაასწორეს სააკაძის კარ-მიდამო. თავისი ნების საწინააღმდეგოდ 1612 წელს ირანს გადახვეწილი გიორგი სააკაძე შაპის სამსახურში ჩადგა. იგი ირანში თავის შესაფარებლადაც წავიდა და თავგასულ თავადებზე შურის საძიებლადაც. შაპის კარზე გიორგიმ სარწმუნოება გამოიცვალა — მუსულმანი გახდა და თავის დროს უცდიდა.

ეს დროც დადგა. თურქეთთან დაზავების შემდეგ (1612 წ.) შაპმა ქართლ-კახეთისათვის მოიცალა. მან მიზნად დაისახა ამ ორი ქართული სამეფოს ცალ-ცალკე განადგურება, გაძარცვა, მოსახლეობის აყრა და ირანში გადასახლება, ხოლო მათ ნაცვლად თურქული ტომების ჩამოსახლება.

1614 წელს შაჰ-აბას I-მა კახეთში ლაშქრობა გადაწყვიტა. სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის თქმით, შაპმა ჯარები შეაგროვა და საქართველოსაკენ გამოეშურა. მას თან ახლდა მოურავი გიორგი სააკაძე. რომელიც, სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს უცდიდა თავის მტრებზე შურის საძიებლად, ირანში ბევრი რამ გადააფასა და მიხვდა, რომ შაჰ-აბასი ყველას თავისი მიზნებისათვის იყენებდა. მართალია, გიორგი მაინც წამოყვა მეგზურად და

მრჩეველად შაპს (აქვე უნდა ითქვას, რომ მაშინ საქართველოში ლაშქრობას თავი აარიდეს ასევე გათათრებულმა ქართველებმა — იმამ-ყული-ხანმა და დაუდ-ხან უნდილაძეებმა, რომელთა მამა ალავერდი-ხან-უნდილაძე შაპის მარჯვენა ხელი იყო და თავადაც აბას I-ის სამსახურში იდგნენ. თავის სამშობლოში ძვ.წ. V ს-ში ლაშქრობაზე ასევე უარი განაცხადა დიდმა ბერძენმა თემისტოკლემ. სპარსთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირი ბერძნებმა სამშობლოდან გააძევეს. იგი დიდი პატივით მიიღო სპარსთა მეფემ. ცოტა ხნის შემდეგ მას თავის ქვეყნის წინააღმდეგ გალაშქრება მოსთხოვეს, მაგრამ მან უარი განაცხადა, ხარის სისხლი შესვა და თავი მოიკლა).

მემატიანის თქმით, სააკაძე ურჩევდაო შაპს, რომ „ზაფხული გასულიყო, ზამთარი დამდგარიყო, ტყეში ხეებს ფოთლები გადასცვენოდა, რომ სპარსთა ჯარს გაადვილებოდა ცხენებით სიარული და შესვლა ქართველთა ქვეყანაში“ (იგივე ცნობა გაიმეორეს ისტორიკოსებმა ბერი ეგნატაშვილმა და ვახუშტი ბაგრატიონმა). შაპი ზამთარში კი წამოვიდა კახელთა დასასჯელად, მაგრამ ძირითადი ბრძოლები მაინც მარტში გაიმართა (თუმცა ამას არავითარი შეღავათი არ მიუცია კახეთისათვის). შაჰ-აბასმა კახეთი მიწასთან გაასწორა, 80 ათასი კახელი დაატყვევა და ირანს გააგზავნა. შემდეგ იგი ქართლში გადავიდა. კახეთის მეფე თეიმურაზ I და ქართლის მეფე ლუარსაბ II იმერეთს გაიქცნენ იმერთა მეფესთან, გიორგი III-სთან თავის შესაფარებლად. შაჰ-აბასი დაჟინებით მოითხოვდა ორივე მეფის მისთვის გადაცემას. ერთხანს მეფეები უარზე იდგნენ, მაგრამ შემდეგ ლუარსაბ მეფე თავისი ნებით წამოვიდა და შაპს ჩაბარდა. ახალგაზრდა გმირმა ამით ქართლს აარიდა ისეთივე აოხრება, რაც კახეთს ხვდა წილად. შაჰ-აბასმა იგი ტყვედ წაიყვანა ირანში და გამაჰმადიანება მოსთხოვა, რაზედაც ლუარსაბმა კატეგორიული უარი განაცხადა. ჯერ-ჯერობით ის ციხეში გამოჰკეტა ირანის მბრძანებელმა. ლუარსაბ მეფეს მემკვიდრე არ დარჩენია, ამიტომ მის მაგივრად შაჰმა ქართლის დროებით მმართველად ჯერ ფარსადან ციციშვილი, მერე კი ბაგრატ-ხანი (სვიმონ მეფის მოლალატე ძმის დაუდ ხანის ვაჟი) დანიშნა. ამან ძალზე გაანაწყენა გიორგი სააკაძე, რომელსაც შაპი მანამდე პპირდებოდა ქართლის მმართველობას. მეტი გზა არა აქონდა სააკაძეს —

ჩაყლაპა ეს წყენა. მან ლუარსაბ მეფის ალტერნატივის ძიება და შაპისთვის შეთავაზება იწყო. 1615 წელს კახელები აუჯანყდნენ შაჰ-აბასს და ალაყერდში მდგარი ციხიონი მთლიანად გაჟლიტეს. შაჰმა კახეთის საბოლოოდ მოთხრა გადაწყვიტა — 1616-17 წლებში კიდევ სამჯერ დალაშქრა და მართლაც ენით აუწერელი უბედურება დაატრიალა ამ მდიდარ და ლამაზ მხარეში (ყველა ლაშქრობის დროს მას თან ახლდა საakაძე).

კახეთის მოსახლეობის მესამედი ამ ბრძოლებში გაწყდა, ნახევარი კი ირანში იქნა გადასახლებული — სულ ნახევარ მილიონამდე ადამიანი შეეწირა ამ გამანადგურებელ ლაშქრობებს (მანამდე შაჰმა მოტყუებით მძევლად ხელთ იგდო თეიმურაზ I-ის დედა, ქეთევან დედოფალი და მისი ორი ვაჟი და ტყვედ გაგზავნა ირანში). შაჰ-აბასმა მოოხრებულ კახეთში თურქმანული ტომების ჩამოსახლება დაიწყო (სხვათა შორის, 1605 წელს 350 ათასი სომეხიც გადაასახლა შაჰმა ირანში, ასევე მოექცა აზერბაიჯანელებსაც).

1619 წელს ბაგრატ-ხანი გარდაიცვალა და ქართლის მმართველად შაჰ-აბასმა მისი უნიჭო ძე სიმონ-ხანი დანიშნა, თანაშემწედ კი გიორგი სააkაძე დაუდგინა. რეალურად ქართლს სააkაძე მართავდა, მას ეკითხებოდა ყოველი საქმე. სააkაძე კარგად მიხვდა თავის შეცდომას (ვინც უცხო მეფეთათვის თავს გადადებს, ის ყოველთვის ცუდად დაამთავრებს თავის ცხოვრებას) და თავის ძველ მტრებს — ციციშვილებს, ბარათაშვილებს და ჯავახიშვილებს შეურიგდა, თუმცა ლუარსაბ მეფის მიმართ ბოლმა არ განელებია და გარკვეული წვლილიც შეიტანა მის დაღუპვაში 1622 წელს.

ლუარსაბ მეორემ, 24 წლის შემკობილმა და მშვენიერმა ვაჟკაცმა, ბოლომდე უერთგულა თავის ქვეყანას და სარწმუნოებას და „ვითარცა მწყემსმან დადვის სული თვისი ცხოვართა თვისთათვის". ქართულმა ეკლესიამ ლუარსაბ წამებული წმინდანად შერაცხა და ამით უკვდავყო მისი ხსოვნა.

1623 წელი თითქმის მთლიანად ირანში დაkყო სააkაძემ: გაზაფხულზე მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ყანდაkარის (ავღანეთშია) აღებაში, შემოდგომაზე კი ყარჩიხა-ხანთან ერთად ერაყში ილაშქრა და ბაღდადი და ქურთისტანი დაუმორჩილა შაkს (შაkმა მთავარსარდლობა და ბაღდადის აღების პატივი მთლიანად ყარჩიხა-ხანს მიაწერა, რითაც ძალზე გააბოროტა სააkაძე).

შაპ-აბასი ქართლ-კახეთის ერთხელ და სამუდამოდ ამოსაგდებად ემზადებოდა. ლუარსაბ მეორის მოკვლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ქეთევან დედოფლის საკითხი, რომელიც, უკვე ათი წელი იყო, რაც შირაზში „საპატიო ტყვედ" ჰყავდა შაჰს. ქეთევანი ვერც მუქარით შეაშინა, ვერც ქრთამით დაიყოლია — ქრისტიანობაზე უარი ვერ ათქმევინა.

გამძვინვარებულმა შაჰმა მისი სასტიკი წამება და სიკვდილი ბრძანა და 1624 წლის სექტემბერში გმირი დედოფალი სასტიკი წამებით მოკლეს. ქართულმა ეკლესიამ ქეთევან წამებულიც წმინდანად შერაცხა.

ლევან სანიკიძე თავის „უქარქაშო ხმლებში" (ტ.3, გვ. 228) მიუთითებს, რომ ქეთევან დედოფლის წამების დროს სააკაძე ირანში, შაჰის კარზე ყოფილა. არსებობს კათოლიკე მამის ამბროსიო დუშ ანჟუშის ცნობა, რომელიც ეხება ქეთევან დედოფლის წამებას. ამ წყაროს მიხედვით, როცა შაპ-აბასმა მოისმინა სარწმუნოებისათვის ქეთევან დედოფლის თავდადების ამბავი, მობრუნებია იქვე მდგომ სააკაძეს და უყვირია: „დიახ, ის ქალბატონი დაიღუპა თავისი სარწმუნოებისათვის და არა ისე, როგორც შენ და სილა გაარტყა მოურავს" (ი. ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტ. II, 1986).

1624 წლის ბოლოს შაჰმა საბოლოოდ გადაწყვიტა ქართლ-კახეთის მიწასთან გასწორება და ამისათვის საგანგებო მზადება დაიწყო. ლაშქრობის ნამდვილი მიზანი რომ შეენიღბა, მან ქართლის მმართველს სიმონ ხანს ცოლად მისცა თავისი შვილიშვილი. ახალშეუღლებულნი უნდა წასულიყვნენ ტფილისში და თან უნდა გაეყოლებინათ სპარსული მხედრობა — ვითარცა მაყრიონი. შაჰი კვლავ არ ენდო სააკაძეს და მთავარსარდლად ისევ ყარჩიხა-ხანი (გათათრებული სომეხი) დანიშნა. მეტიც, მან ირანში მძევლად დაიტოვა სააკაძის შვილი პაატა და სააკაძის სიმამრის ზურაბ არაგვის ერისთავის მეუღლე (შაჰი ალბათ ფიქრობდა, რომ რაკი სააკაძემ გაიმეტა ლუარსაბ მეფე, თავისი მბრძანებელი, შეიძლება იგივე გაეკეთებინა შაჰისთვისაც).

1625 წლის მარტში ტფილისში ნეფე-პატარძალი და ურიცხვი „ლაშქარ-მაყრიონი" მოვიდა. ქორწილის დამთავრების შემდეგ ყარჩიხა-ხანმა ჯარი ჯერ აღაიანის ველზე დააბანაკა, მერე კი

მარტყოფის ველზე განალაგა. კახეთში ბრძანება გააგზავნა, რომ კახთა ლაშქარი დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო. როცა კახელები მოვიდოდნენ, ისინი ერთიანად უნდა ამოეწყვიტათ, მერე კი ქართლის აოხრებას შესდგომოდნენ, საკაძემ იცოდა, რომ ცბიერი შაპი მას არ ენდობოდა. ეს ეჭვი კიდევ უფრო განუმტკიცა მის მიერ ლოჭინის ხეობაში შაპის მალემსრბოლის შეპყრობამ, რომელსაც შაპის წერილი მოჰქონდა ყარჩიხა-ხანთან. შაპ-აბასი თავის ერთგულ სარდალს ავალებდა, რომ ამოეწყვიტა კახელები, ქართველები კი აეყარა და ირანში გაესახლებინა, საკაძე მოეკლა და ირანში მისი თავი გაეგზავნა. საკაძემ სასწრაფოდ შეკრიბა ქართლის თავადები, სასულიერო პირნი და შაპის მალემსრბოლისთვის წართმეული წერილი წაუკითხა ყარჩიხა-ხანის იდუმალ. ყველა მიხვდა კარს მომდგარ საფრთხეს, გიორგიმ დაიყოლია ზურაბ არაგვის ერისთავიც და ყარჩიხა-ხანის ლაშქრის წინააღმდეგ აჯანყება გადაწყვიტეს. აჯანყების დღედ დათქვეს 1625 წლის 25 მარტი, ხარება დღე.

ამ დღეს ქართველებმა გიორგი საკაძის ჭკვიანური საომარი ტაქტიკისა და გამბედაობის, აგრეთვე ქართველ მოლაშქრეთა თავდადების წყალობით თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს შაპის 30 ათასიანი არმია. თავად საკაძემ საკუთარი ხელით განგმირა ყარჩიხა-ხანი და იუსუფ-ხანი, ხოლო მისმა მხლებლებმა დანარჩენი ირანელი სარდლები. მარტყოფის გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთის და მთლიანად საქართველოსათვის. ამ გამარჯვებამ მათ თავიდან ააცილა გათათრების და აყრა-გადასახლების საფრთხე და საკუთარი ძალა არწმუნებინა. მალე ქართველებმა მთელი ქართლ-კახეთი გაწმინდეს ირანელებისაგან საკაძის მეთაურობით. საკაძემ გონიოში შეფარებულ კახთა მეფეს თეიმურაზს წერილი გაუგზავნა და ქართლ-კახეთის ტახტზე მეფედ მოიწვია.

საკაძეზე და ზურაბ ერისთავზე განრისხებულმა შაპ-აბასმა თავი მოჰკვეთა საკაძის უმცროს ვაჟს პაატას, რომელიც ტარიგად შეეწირა თავის სამშობლოს.

მარტყოფის გამარჯვებამ და პაატას სიკვდილმა ხალხი საბოლოოდ შემოაბრუნა საკაძისკენ და აპატია მას რენეგატობა და კონდოტიერობა.

ასეთი დიდი მარცხი ჯერ არავისთან მოსელია შაჰ-აბასს. მან გადაწყვიტა რევანში აელო და ქართველები საბოლოოდ მოესპო. შაჰმა ქართლში დიდი ლაშქრით გამოაგზავნა თავისი სიძე ისა-ხან ყოჩიბაში. ჯარმა 1625 წლის ივნისის ბოლოს სოფელ მარაბ-დასთან დაიბანაკა.

1 ივლისს მარაბდის ველზე 50 ათასი ირანელი 20 ათას ქარ-თველს დაუპირისპირდა. დიდებულთა უმრავლესობამ და თავად სარდალმა თეიმურაზ მეფემ არ მიიღეს საakაძის სწორი საომა-რი ტაქტიკა და შეტევაზე გადავიდნენ. მართალია, ქართველებმა თავიდან სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ირანელებს მიეშველა აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი თავისი მხედ-რობით. ქართველები დამარცხდნენ. 10 ათასი ქართველი და 14 ათასი ირანელი ესვენა მარაბდის ველზე. ბრძოლაში გმირულად დაეცა ცხრა ძმა ხერხეულიძე. გადარჩენილმა ქართველებმა უკან დაიხიეს და გაიფანტნენ.

გიორგი საakაძემ პატარ-პატარა რაზმები შემოიკრიბა და პარ-ტიზანული ბრძოლა გააჩაღა დამპყრობთა წინააღმდეგ. მან შეძლო ქსანთან ირანელთა 12 ათასიანი ჯარის განადგურება. მალე საakა-ძემ თავისი რაზმებით ირანელები სამცხე-ჯავახეთიდანაც გაყარა და ირანის წინააღმდეგ მომხრობის მიზნით იქ თურქთა სულთანი მიიწვია (!). ეს კი არასწორი ნაბიჯი იყო (საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საakაძე ძლიერი სარდალი იყო, მაგრამ პოლიტიკაში საკმა-ოდ მოიკოჭლებდა). თურქები სამცხეში კი შემოვიდნენ, მაგრამ სა-akაძის დასახმარებლად ხელიც არ გაუნძრევიათ. საakაძემ კვლავ განაგრძო ბრძოლა ირანის წინააღმდეგ და გორის, ბირთვისის და ლორეს ციხეები გამოსტაცა მათ. ამასობაში შაჰ-აბასმა ტაქტიკა შეცვალა და თეიმურაზ მეფესთან ზავი დადო. ეს აღარ მოეწო-ნა საakაძეს და იმერეთში გადავიდა, დაუმძახლდა იმერთა მეფეს გიორგი მესამეს და თანაც შეპირდა მისი ვაჟის მეფედ დასმას ქართლ-კახეთში თეიმურაზის ნაცვლად. თეიმურაზს ისედაც არ მოსწონდა, რომ რეალური ძალაუფლება საakაძის ხელში იყო და როცა საakაძის ახალი გეგმის შესახებ შეიტყო, ფრიად განრისხდა — ფაქტი იყო, რომ საakაძე ძაღლად აღარ აგდებდა თეიმურაზ მეფეს. ამ უნდობლობამ და დაპირისპირებამ გამოიწვია უდიდე-სი უბედურება — სამოქალაქო ომი, ანუ ქართველები საკლეტად

დაერივნენ ერთმანეთს. ეს ყველაფერი 1626 წლის შემოდგომაზე ბაზალეთის ტბასთან მოხდა. გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფის წინააღმდეგ გამოსვლა სააკაძის დიდი შეცდომა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაპირისპირებაში გარკვეულწილად თეიმურაზიც სცოდავდა, სააკაძე მაინც მეფის ქვეშევრდომი იყო და მეტი დათმობა და შეგნების გამოჩენა მართებდა. ეს კი ძალაუფლებით „მთვრალმა" სააკაძემ გაითვალისწინა და თავის მომხრეებთან ერთად დამარცხდა კიდეც. ამ ბრძოლაში დაიღუპა და დაიჭრა ასობით ადამიანი და, რაც ყველაზე დიდი უბედურება იყო, დაიშალა ქართველთა ერთობა.

თეიმურაზზე შურისძიებით აღვსილი სააკაძე მომხრეებით ჯერ სამცხეში გადავიდა, იქიდან კი თურქეთის სულთანს ეახლა, კვლავ „გათათრდა" და თავისი სამსახური შესთავაზა ირანის წინააღმდეგ, სამაგიეროდ კი ჯარი სთხოვა საქართველოს „გამოსახსნელად". ამით მან კვლავ გაიამეორა ძველი შეცდომა. თურქეთის სულთანს სულ სხვა გეგმები ჰქონდა — მას სააკაძე ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდებოდა და არა საქართველოს საშველად. ამასთან შაჰ-აბასის მაგალითიც წინ ედგა სულთან მურად IV-ს. სააკაძე კარგად მიიღეს, ყარამანიის ვილაიეთიც უბოძეს, დიდვეზირის ხუსრევ-ფაშას მარჯვენა ხელადაც დანიშნეს, მაგრამ ბოლომდე. როგორც ჩანს, არ ენდობოდნენ და თვალს ფხიზლად ადევნებდნენ. სააკაძემ თურქეთშიც დიდი სახელი გაითქვა, მაგრამ მოშურნენიც ბევრი გაიჩინა. როცა მიხვდა, რომ თურქეთის სულთანს მისთვის „არ ეცალა", მან ქართლში გაქცევა გადაწყვიტა. ის და მისი მხლებლები, ორმოცდაათამდე ქართველი, მათ შორის მისი ვაჟი ავთანდილიც, შეიპყრეს და ყველანი სიკვდილით დასაჯეს. გიორგი სააკაძის კეთილშობილური განზრახვა საქართველოს გაერთიანებისა ნაადრევი აღმოჩნდა და დაშვებული შეცდომების გამო მარცხით დამთავრდა. საქართველოს ერთიანი სხეული მაშინ ძლიერ იყო დარღვეული. **უცხო, მტრული (თუნდაც ერთმორწმუნე) ძალებით მხოლოდ პირადი ძალაუფლების და სიმდიდრის მოპოვება შეიძლება და არა სამშობლოს ჭეშმარიტი გამოხსნა.** ამადაც ამბობდა დიდი ბაირონი: „ვაგლახ! მას სჯერა ეს ზღაპარი, რომ მის სამშობლოს გამოიხსნის გადამთიელი".

სააკაძეზე უამრავი ნაშრომი და ნარკვევია დაწერილი: ზოგი

მას ქვეყნის მხსნელად და ეროვნულ გმირად თვლის, ზოგი მოღალატედ და კონდოტიერად, ხოლო ზოგი არც მოღალატედ და არც გმირად, უბრალოდ ტრაგიკულ პიროვნებად მიიჩნევს მას. ფაქტი ერთია — საკაძეს დიდი დამსახურებაც მიუძღვის თავის ქვეყნის წინაშე (ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ბრძოლების მოგება, შვილის — პაატას გაწირვა სამშობლოსათვის) და დიდი შეცდომებიც აქვს დაშვებული (კახეთში შაპის მეგზურობა, ლუარსაბის „დაღუპვა", სამოქალაქო ომის გაჩაღება ბაზალეთთან, სუსტი და მერყეევი პოლიტიკა). ამადაც უწოდებდა ილია ჭავჭავაძე მას „ავკარგიან კაცს" და მიუთითებდა „მის ავად და კარგადაც აღსახსნელ დიდ საქმეებზე" ეს ყველაფერი იძლევა იმის საფუძველს, რომ ეს „უძღები შვილი" გმირად თუ არა, მოღალატედ მაინც არ მივიჩნიოთ.

იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი) 1879-1953

საკუთარ ქვეყანაში მაინცდამაინც დიდი სიყვარულით არასოდეს სარგებლობდნენ ის ადამიანები, რომლებიც მთელი თავიანთი ცხოვრებით, ნიჭითა და უნარით უცხო ქვეყანას ემსახურებოდნენ, ხოლო სამშობლოსათვის ნაკლებად იცლიდნენ, ან კიდევ უარესი, სხვათა ინტერესებს მასზე ბევრად მაღლა აყენებდნენ.

იოსებ ჯუღაშვილი დღემდე მსოფლიოში ყველაზე ცნობილი „ქართული" სახელია. მაგრამ მას, სამწუხაროდ, იცნობენ როგორც „სტალინს", ანუ რუსს, რომელმაც რუსეთს უდიდესი სამსახური გაუწია — ეს ჩამორჩენილი ქვეყანა ატომურ სახელმწიფოდ და უძლიერეს იმპერიად აქცია, საქართველოსთვის კი მისი მოღვაწეობის პერიოდში, განსაკუთრებული არაფერი გაკეთებულა.

არადა, შეეძლო! სტალინი იყო მსოფლიო დიქტატორი. ასეთი განუზომელი ძალაუფლება, თავმოყრილი ერთი პიროვნების ხელში, არც მანამდე და არც მის მერე, აღარავის ჰქონია. მის გენიალურ ნიჭსა და უნარს აღიარებდნენ მოწინააღმდეგენიც და მომხრენიც (მათ შორის ჩერჩილი, პიკასო, შარლ დე გოლი და უამრავი სხვა), მაგრამ ეს ნიჭი საქართველოსთვის არ დახარჯულა.

არადა, ჭეშმარიტად ბედნიერი და ვალმოხდილია მხოლოდ ის ადამიანი, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული.

სტალინზე ათასობით ნაშრომი, ნარკვევი, ლექსი თუ რომანია დაწერილი, გადაღებულია მრავალი ფილმი. ვიდრე იგი ცოცხალი იყო, შიშისა თუ გულწრფელი სიყვარულის გამო, უმეტესად აქებდნენ. გარდაცვალების შემდეგ მას ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. ზოგიერთი ლანძღვასაც აღარ ერიდებოდა, თანაც იმდენად, რომ ამან უკურეაქციაც კი გამოიწვია. სტალინზე ძირითადად აპოლოგეტური ან უკიდურესად კრიტიკული (ძირითადად რუსეთსა და ევროპაში) წიგნები იწერებოდა. ობიექტური ნაშრომი მის შესახებ იშვიათია (გ. ყორანაშვილი).

სტალინი ბუნებრივი ნიჭით უხვად დაჯილდოებული ადამიანი იყო. მას სათანადო, კლასიკური განათლება არ მიუღია (ამანაც განაპირობა მისი შეცდომები და ადამიანებისადმი უნდობლობა). თავისი დროის ღვიძლი შვილი იყო. დღეს რომ დაბადებულიყო იგი, ალბათ ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი პოლიტიკოსი იქნებოდა, მაგრამ მაშინდელი არეული დრო იძლეოდა საშუალებას, ქმნიდა ვითარებას მისნაირი ადამიანების (ლენინი, ტროცკი, ჰიტლერი, მუსოლინი, მაო ძე-დუნი) ხელისუფლების უმაღლეს ვერტიკალში მოსახვედრად.

სტალინი დაიბადა გორში 1879 წლის 21 დეკემბერს, მეწაღე ხელოსნის ოჯახში. მამა — ბესარიონი რთული ხასიათით გამორჩეოდა, ხშირად სვამდა და სცემდა შვილს, რამაც მძიმე დაღი დაასვა მის ბავშვობას და ჩაკეტილ, გულდახურულ ადამიანად ჩამოაყალიბა; დედა — კეკე, სათნო და ლმობიერი ხასიათის ქალი. იოსებს (სოსოს) ძალიან უყვარდა.

1894 წელს იოსებ ჯუღაშვილმა დაამთავრა გორის სასულიერო სემინარია და სწავლა განაგრძო თბილისის მართლმადიდებლურ სასულიერო სემინარიაში. რუსი მარქსისტების გავლენით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1899 წლიდან რევოლუციური მოღვაწეობისათვის სემინარიიდან გარიცხეს, რის შემდეგაც არალეგალური ცხოვრება დაიწყო და პროფესიონალი რევოლუციონერი გახდა. რსდმპ II ყრილობის შემდეგ (1903 წ.) მიემხრო ლენინს და ბოლშევიკებს, ლენინის გაცნობის შემდეგ (1905 წ. ტამერფორსი)

კი მისი აქტიური მხარდამჭერი გახდა. ჯუღაშვილმა და კამომ შექმნეს ე.წ. „მაუზერისტთა ჯგუფი“, რომელიც თავს ესხმოდა სახელმწიფო დაწესებულებებს (ბანკი, ფოსტა) და აწყობდა „ექსცესებს“. ასეთი გზით მოპოვებულ ფულს უგზავნიდნენ საზღვარგარეთ ისედაც კარგ პირობებში მცხოვრებ ლენინსა და მის გარემოცვას. ახალგაზრდა იოსები პოეტური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული და ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ ბეჭდავდა თავის ლექსებს. ერთ-ერთი მათ შორის — „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“ ნამდვილი შედევრია და ავტორის გულწრფელ ჭაბუკურ განწყობილებას ასახავს. მაგრამ მას შემდეგ, რაც სტალინი ბოლშევიკი გახდა, თავისი საშშობლო („ივერთ მხარე“) ფაქტიურად დაივიწყა და ლენინურ, ანტიეროვნულ, პრორუსულ-კოსმოპოლიტურ მიმართულებას დაუჭირა მხარი. შესაბამისად იგი მკვეთრად უპირისპირდებოდა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამასა და მიმართულებას, ფარულად თუ აშკარად ებრძოდა მას. ამიტომ ფ. მახარაძესთან და ს. ორჯონიკიძესთან ერთად სტალინსაც ეკისრება პასუხისმგებლობა (მორალური მაინც) რუსეთის საიდუმლო სამსახურების მიერ დაგეგმილ და ქართველების ხელით განხორციელებულ უდიდეს ეროვნულ ტრაგედიაში — ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში.

რევოლუციური მოღვაწეობისათვის მეფის მთავრობამ ი. ჯუღაშვილი რამდენჯერმე დააპატიმრა და გადაასახლა, მაგრამ იგი, რატომღაც, ადვილად ახერხებდა თავის დაღწევას და გაქცევას. შეიძლება ითქვას, რომ 1921 წლამდე, როცა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია და ანექსია მოახდინა, ი. ჯუღაშვილს და ბოლშევიკებს არავითარი რეალური გავლენა არ ჰქონიათ საქართველოში, ისინი იდეურად დამარცხდნენ და ბედის ძიება რუსეთში დაიწყეს. ქართულ საზოგადოებაზე და თავის ქვეყანაზე გაბრაზებული სტალინი საქართველოს გაეცალა და თავისი მოღვაწეობა მთლიანად რუსეთს დაუკავშირა. მან მხარი დაუჭირა ლენინურ ავანტიურას და ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებაში (მერე რომ დიდი ოქტომბრის რევოლუცია შეარქვეს) აქტიური მონაწილეობა მიიღო. 1917 წლის 26 ოქტომბერს (რევოლუციის მეორე დღეს), იგი აირჩიეს პირველი საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად (1917-1923 წ.წ.). იმავდრო-

ულად ხელმძღვანელობდა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატს, რომელიც 1920 წლიდან გადაკეთდა მუშათა და გლეხთა ინსპექციად.

სტალინმა საძრახისი როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ოკუპაციის და სუვერენიტეტის დაკარგვის საქმეში. 1921 წლის 20 იანვარს რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა მთავრობის მეთაურს ვ. ლენინს მოახსენა: „საქართველო ისე გათავხედდა", რომ საჭიროა მისი სამხედრო ჩარევით გასაბჭოებაო. 22 იანვარს სტალინმა წერილი გაუგზავნა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს: „...წინადადებას გაძლევთ, მოიწონოთ ამხ. ჩიჩერინის ხაზი საქართველოს საკითხზე, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობას კავკასიაში იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რა წესით განხორციელდეს სამხედრო ჩარევა". 26 იანვარს რკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ვ. ლენინის წინადადებით მოიწონა „ჩიჩერინის ხაზი". 28 იანვარს სტალინმა დეპეშა გამოუგზავნა რუს კომუნისტთა მთავარ დასაყრდენს საქართველოში სერგო ორჯონიკიძეს: „...ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება, გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა საჭირო შეიქმნას სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. გადაწყდა აგრეთვე კავკასიის ფრონტს გაეგზავნოს შეკითხვა ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობაზე, თუ კიდევ რა ძალები დაგჭირდება იმისათვის, რათა საქართველო უეჭველად დავამარცხოთ". როცა ყველაფერი მოამზადეს, 1921 წლის 16 თებერვალს სტალინმა მორიგი სასწრაფო დეპეშა გაუგზავნა ორჯონიკიძეს: „ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი". ასე დაამხეს საქართველოს დამოუკიდებლობა ე.წ. შულავერის მოღალატე მთავრობის წევრებმა სტალინის პირდაპირი მითითებით. მართალია, ომგამოვლილმა ევროპის ქვეყნებმაც აქციეს ზურგი საქართველოს და რუსეთს „გადაულოცეს" იგი, მაგრამ ქართველი კაცის ასეთი საქციელი თავისი ქვეყნის მიმართ, ღალატის ტოლფასია.

სტალინისა და ქართველი ბოლშევიკების „დამსახურებაა" ისიც, რომ ბოლშევიკებმა საქართველოს ოკუპაციიდან მოკლე ხანში შექმნეს ნელმოქმედი „ბომბები" — აფხაზეთისა და ე.წ.

„სამხრეთ ოსეთის“ (ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს, მას ცხინვალის რეგიონი ჰქვია) ავტონომიები (ეს „ბომბები“ იმ წუთშივე აგვიფეთქეს რუსებმა, როგორც კი საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1992 წელს და უარი თქვა დსთ-ში შესვლაზე). დამოუკიდებლობადაკარგული საქართველო ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციაში შეიყვანეს, მერე კი 1922 წელს საბჭოთა კავშირში, ქართველი ხალხისთვის არავის არაფერი უკითხავს. ჩვენი ქვეყანა, ფაქტობრივ, კვლავ რუსეთის კოლონიად აქციეს. საქართველომ მარტო ეს უბედურება როდი განიცადა. იმისათვის, რომ უფრო მკაცრად დაესაჯათ ჩვენი ქვეყანა, 1921-1928 წლებში საქართველოს, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ სტალინის მეთაურობით, წაართვა 21 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია და იგი დაურიგა ჩვენს მეზობლებს — თურქეთს (სამცხე-ჯავახეთის ნაწილი), აზერბაიჯანს (საინგილო), სომხეთს (ლორეს რაიონი) და რუსეთს (სოჭისა და ჩრ.კავკასიის ზოგიერთი ადგილი).

სტალინმა რუსეთში თავი გამოიჩინა, როგორც ძლიერმა პოლიტიკურმა მებრძოლმა. მან შეძლო თავისი მომხრეების გამრავლება რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, გამოავლინა დიდი ნიჭი პარტიული ინტრიგების ხლართვაში, თანმიმდევრობით ჩამოიშორა თავისი მთავარი კონკურენტები — ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, რიკოვი, ბუხარინი და სხვ. და უდიდეს ერთპიროვნულ ძალაუფლებას მიაღწია. 1922 წლიდან იგი რკპ გენერალურ მდივნად აირჩიეს და 31 წლის განმავლობაში მსოფლიოს უდიდეს იმპერიას (22,4 მლნ. კვ. კმ) მართავდა. სტალინის ხელმძღვანელობით განხორციელდა გიგანტური რევოლუციური გარდაქმნები — ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია, რომლებსაც დადებითთან ერთად მრავალად ახლდა უარყოფითი შედეგებიც. სტალინის მცდარმა დებულებამ „კლასობრივი ბრძოლის კიდევ უფრო გამწვავების“ შესახებ გამოიწვია მსოფლიო ისტორიაში არნახული რეპრესიები და მილიონობით ადამიანის ფიზიკურად განადგურება, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც მკაცრად გაუსწორდნენ საზოგადოების თითქმის ყველა ფენის (განსაკუთრებით კი ინტელიგენციის) წარმომადგენლებს. უამრავი ადამიანი ციხეში გაგზავნეს და გადაასახლეს.

ყველაზე დიდ პლიუსად სტალინს საქართველიანად უთვლიან საბჭოთა კავშირის დიდ საშამულო ომში (1941-1945წწ.) გამოჩენილ სიბრძნეს, ვაჟკაცობას, მხედართმთავრულ ნიჭს, ორგანიზაციულ უნარს, თავდადებას და მახვილ პოლიტიკურ ალღოს მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებთან და მათ მეთაურებთან ურთიერთობაში.

სტალინს შეღავათები ამ ომში არც თავისი თანამემამულეებისათვის მიუნიჭებია (საქართველოდან ომში წასული 700 ათასი კაციდან 300 ათასამდე დაიღუპა) და არც თავისი შვილისათვის. იაკობ ჯუღაშვილი ტყვედ ჩავარდა, სტალინს შეეძლო მისი გამოხსნა, მაგრამ პრინციპული მოსაზრების გამო ეს არ გააკეთა. იაკობი გერმანელმა ფაშისტებმა დახვრიტეს.

სტალინმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქვეყანას თავი დაეცვა ფაშისტური გერმანიისაგან, ხოლო შემდეგ მტრის საკუთარ ბუნაგში გასანადგურებლად (თუმცა დიდი მსხვერპლის ფასად — დაიღუპა 20 მილიონი საბჭოთა ადამიანი). ამ დამსახურებისათვის მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირობა და უმაღლესი სამხედრო წოდება — გენერალისიმუსობა (1945 წელს). სტალინის დიპლომატიური ნიჭისა და მოხერხების წყალობით წითელმა არმიამ თითქმის მთელი აღმოსავლეთ ევროპა დაიკავა და იქ სოციალისტური სახელმწიფოები შექმნა მარიონეტული მთავრობებით. მსოფლიო ფაქტიურად ორად გაიყო — სტალინის (ე.ი. სსრ კავშირის) მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. სტალინს ასევე უდიდესი წვლილი მიუძღვის ომისაგან დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის და შემდგომი განვითარების, ხალხის სოციალური კეთილდღეობის ყოველწლიურად ამაღლების საქმეში (1945-1952 წ.წ.). სტალინს ჰქონდა უნიკალური შანსი 1945 წელს, ომის დასასრულს, რომ უდიდესი სამსახური გაეწია საქართველოსთვის, კერძოდ, მას შეეძლო ჯარები შეეყვანა უკვე „დაჩოქებულ" თურქეთში და სამუდამოდ დაებრუნებინა თურქეთის მიერ საქართველოსთვის წართმეული ტერიტორიები, მაგრამ ამის გაკეთება ვერ მოახერხა. გარდაიცვალა 1953 წლის 5 მარტს.

მისმა უეცარმა გარდაცვალებამ ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა. ერთი რამ კი ფაქტია — საქართველომ სხვებთან ერთად მაინც მწარედ დაიტირა სტალინი!

ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები

რაც ვერ მოახერხა შაჰ-აბას I-მა საქართველოს მრავალგზის დალაშქვრითა და აოხრებით, ის საკმაოდ წარმატებულად მშვიდობიანი გზით შეძლეს მისმა მემკვიდრეებმა — შაჰ-სეფიმ (1629-1642წ.წ.) და შაჰ-აბას II-მ (1642-1666წ.წ.) — სპარსული წეს-ჩვეულებების დანერგვა ქართლ-კახეთში გათათრებული ქართველი მეფის ხოსრო-მირზას, იგივე როსტომის მეფობის (1632-1658წ.წ.) დროს. როსტომი თავადაც მიმდევარი და თაყვანისმცემელი იყო სპარსულ-მუსულმანური წესებისა და სხვებსაც ახალისებდა და აქეზებდა, აჯილდოებდა კიდეც (მაგალითად ისიც კმარა, რომ როსტომის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილობილმა და ტახტზე ასულმა ვახტანგ V შაჰნავაზმა, მართალია იძულებით, მაგრამ მაინც, შაჰის ბრძანებით ცოლად შეირთო თავისი დედობილი, მარიამ დედოფალი.

კახეთში შაპები ამასაც არ დასჯერდნენ — ჯერ არაქართველი გამგებელი სელიმ-ხანი დანიშნეს, მერე კი თურქმანული ოჯახების ინტენსიური ჩასახლება იწყეს.

აბას მეორემ ესეც არ იკმარა და კახეთის ირანულ-თურქმანული კოლონიზაციის გასაღრმავებლად აქ საგანგებოდ გამოგზავნა ირანის ჯარების სპასალარი ალავერდი-ხანი.

ალავერდი-ხანმა კახეთში სამი ციხე ააშენა — ბახტრიონის, ალავერდის და ყარაღაჯის და სამივეგან ძლიერი ირანული ციხიონი ჩააყენა. მალე სელიმ ხანს კახეთი ჩამოართვეს და ორ ნაწილად გაყვეს — ერთი ყარაბაღის ბეგლარ-ბეგს გადასცეს სამმართველოდ, მეორე კი — ნახიჭევანისას. კახეთის ბარში 80 ათასამდე ელი-თურქმანი ჩამოასახლეს, რომლებმაც ვაზისა და სხვა კულტურულ მცენარეთა აჩეხვა და ამ მიწების საძოვრებად გადაქცევა დაიწყეს. ბარის მოოხრებამ მთაც ძალზე დააზარალა.

სწორედ ამ ძძიმე ჟამს იშვა ეს სიმღერა:

„ბახტრიონს სხედან თათრები, სიტყვას ამბობენ ძნელსაო,
ახმეტას ჩავჭრით ვენახსა, შიგ ჩავასახლებთ ელსაო“.

ყოველმხრივ შევიწროებულმა ხალხმა შურისმგებლური სახალხო რაზმების შექმნა დაიწყო. ამის გაკეთება მთაში უფრო იოლი იყო (თათრების ხელი იქამდე კარგად ვერ წვდებოდა) და ამ რაზმებს ხალხის წიაღიდან გამოსული ვაჟკაცები ჩაუდგნენ სათავეში — თუში ზეზვა გაფრინდაული, ხევსური ნადირა ხოშარაული, ფშაველნი ჭინჭარაული, გოგოლაური და სხვ.

მაგრამ მთიელები მარტო რას გახდებოდნენ! ანტიირანული აჯანყების მზადება დაიწყეს კახელებმაც ბიძინა ჩოლოყაშვილის მეთაურობით და ქართლელებმა — ზაალ არაგვის ერისთავის (ბიძინას სიმამრი, ზურაბ ერისთავის ძმა) და ძმების, ქსნის ერისთავების — შალვა და ელიზბარის წინამძღოლობით. შეთქმულები შეიყარნენ გათათრებულ, მაგრამ გულით მაინც ქართველ ზაალ არაგვის ერისთავთან დუშეთს, მოიწვიეს ზეზვა გაფრინდაულიც და ერთმანეთს შეჰფიცეს კახეთის გათავისუფლება ურჯულო თათართაგან.

აჯანყებულები შუაღამით ერთდროულად უნდა დასცემოდნენ ბახტრიონსა და ალავერდს და დაემარცხებინათ მტერი, მერე კი მთელი კახეთი უნდა გაეწმინდათ ველური თურქმანებისაგან.

ზაალ ერისთავმა საბრძოლველად თავისი უფროსი ძე — ზურაბი გააგზავნა არაგველთა ჯარით, მათ შეუერთდნენ ქსნის ერისთავები თავიანთი ძალებით და დაეცნენ ბახტრიონის ციხეს. ამ დროს კი ბიძინა ჩოლოყაშვილი კახელებით ალავერდს დაატყდა თავს.

ეს ყველაფერი 1659 წლის ბოლოს მოხდა. აჯანყებულნი ისე სწრაფად მოქმედებდნენ, რომ თათრებს გონს მოსვლის საშუალება არ მისცეს. ციხიონთა უმრავლესობა გაჟლიტეს, ხოლო გადარჩენილები გარბოდნენ — ბახტრიონის ციხიონი ალავერდისაკენ და ალავერდისა — ბახტრიონისაკენ. ალვანის ველზე ქართველები წამოეწიენ მათ და სათითაოდ გაწყვიტეს.

ალვანიდან აჯანყებულები მთელ კახეთს მოედნენ და დედა-ბუდიანად გაჟლიტეს მთელი ჩამოსახლებული თურქმანები, რომელთაგან ძალზე ცოტამ დააღწია თავი კახელთა შურისძიებას.

ასე აიცილა კახეთმა „თურქმანიზაციის“ დიდი საფრთხე. აბას მეორემ ველარ გაბედა მთელი კახეთის დასჯა და ლაშქრობა, მაგრამ აჯანყებულთა მეთაურები „მოიკითხა“ და მათი ირანში გაგზავნა მოითხოვა. როცა აჯანყებას იწყებდნენ, ბიძინას, შალვა და ელიზბარს უკვე თავი ჰქონდათ გადადებული, ამიტომ სიკვდილს ვაჟკაცურად შეეგებნენ — თავიანთი ნებით ეახლნენ შაჰს.

ირანში ჩასვლისთანავე სამივეს გამაჰმადიანება და შაჰის სამსახურში ჩადგომა შესთავაზეს. სამივე მტკიცე უარზე დადგა, პირიქით, „გინებულ ჰყვეს სჯული მაჰმადისა“.

როცა ვერც მუქარით და ვერც ქრთამით ვერ გადაიბირეს აჯანყების მეთაურები, მაშინ შაჰის ბრძანებით დასასჯელად გადასცეს იმ ელ-თურქმანებს, რომელთა ნათესავებიც ამოწყვიტეს ქართველმა აჯანყებულებმა.

სასტიკად აწამეს დიდი მამულიშვილები — ასო-ასო აკუწეს. ასე ზვარაკად შეეწირნენ მშობელ ქვეყანას გმირები.

ქართველმა ხალხმა უკვდავყო მათი სახელები, ხოლო ქართულმა ეკლესიამ ერისა და სარწმუნოებისათვის წამებული სამივე გმირი წმინდანად შერაცხა. ისინი მალულად ჩამოასვენეს და იკორთის ტაძარში დაკრძალეს.



ანთიმოზ ივერიელი

ანთიმოზ ივერიელს ბედისწერამ ძალზე მძიმე ხვედრი არგუნა — შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი სამშობლოსგან შორს გაეტარებინა და თავისი ნიჭი და უნარი უცხო ქვეყნისთვის მოეხმარებინა.

ახლაც არაა ცნობილი მისი გვარი. დაბადებულია 1650 წელს, დასავლეთ საქართველოში. ბავშვობისას ანდრიად უხმობდნენ თურმე. მამას ივანე (იონა) რქმევია, დედას — მარიამი.

16 წლის ჭაბუკი თურქებს მოუტაცნიათ და სტამბოლში მონათა ბაზარზე გაუყიდიათ (ტყვეებით ვაჭრობამ საქართველოს უფრო დიდი ზიანი მიაყენა, ვიდრე ირან-თურქეთის ამაოხრებელმა ლაშქრობებმა. ყოველწლიურად 10-12 ათასი ადამიანი მიპყავდათ გასაყიდად საქართველოდან. სამი საუკუნის მანძილზე XVI-XVIII საუკუნეებში თითქმის 5 მილიონამდე ადამიანია გაყიდული).

პატარა ანდრიას მხოლოდ ერთ რამეში გაუმართლა (თუ ამას გამართლებას დავარქმევთ) — იგი შეიძინა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა. საპატრიარქო მაშინ სტამბოლში იყო. პატრიარქთან ოცდასამი წელი გაატარა ანდრიამ. აქვე დაირქვა ახალი

სახელი — ანთიმოზი.

ნიჭიერი ადამიანი ყველგან ადვილად ავლენს თავის ტალანტსა და უნარს. ანთიმოზმა სწავლისადმი დაუოკებელი მისწრაფება გამოამჟღავნა. მან მალე აითვისა საღმრთისმეტყველო და საერო ლიტერატურა, ფილოსოფია, რიტორიკა, ხელოვნება. ყმაწვილი სრულყოფილად დაუფლებია ბერძნულ, არაბულ და თურქულ ენებს (მოგვიანებით, რუმინულსაც). ყოველივე ამასთან ერთად, ანთიმოზმა გამოამჟღავნა იშვიათი უნარი ძერწვისა, ქვაზე და ხეზე მკვეთელობისა, ოქრომჭედლობისა, მხატვრობისა, კალიგრაფიისა, ხუროთმოძღვრების და სასტამბო ხელოვნებისა (ლევან სანიკიძე).

ანთიმოზი თანაშემწედ ჰყავდა პატრიარქს — წერილების შედგენაში ეხმარებოდა, უთარგმნიდა.

40 წლის ანთიმოზი ვლახეთის მთავარმა კონსტანტინე ბრინკოვიანუმ, რუმინელთა დიდმა მოღვაწემ, სტამბოლიდან ბუქარესტში წაიყვანა და მისი ნიჭი და უნარი თავისი ხალხის სამსახურში ჩააყენა. სწორედ მაშინ ისწავლა ანთიმოზმა რუმინული და საეკლესიო სლავური.

1691 წელს ანთიმოზ ივერიელმა ბუქარესტში დააარსა სტამბა და იმავე წელს დაბეჭდა ძველბერძნულიდან ახალ ბერძნულ ენაზე გადმოთარგმნილი პირველი წიგნი „შეგონებანი ბასილი მაკედონელისა თავისი ძის ლეონისადმი". მალე ანთიმოზმა „ბერძნულ-რუმინული ლიტურგია" და „ფსალმუნიც" დაბეჭდა მაღალ დონეზე, გრავიურებით და სათანადო გაფორმებით.

სამი წლის შემდეგ ანთიმოზი ბუქარესტიდან ახლომდებარე ქალაქ სნაგოვში გადავიდა. აქ მან აღადგინა ნახევრად დანგრეული მონასტერი, სადაც ხელახლა დააარსა სტამბა. მონასტერში დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა გაჩაღდა. დაიწყო წიგნების ბეჭდვა სხვადასხვა ენებზე, ტოპოგრაფიული სკოლაც კი გაიხსნა. ანთიმოზი პარალელურად სასულიერო სამსახურსაც განაგრძობდა, როგორც მონასტრის იღუმენი.

სხვა ქვეყანაში დაწინაურებულ ნიჭიერ ადამიანებს ადგილობრივთა შორის არსებითი მოშურნე გამოუჩნდებათ ხოლმე. ამჯერადაც ასე მოხდა. ვიღაცის ბოროტი ენის გამო იგი შერისხა ბრინ-

კოვიანუმ. ანთიმოზმა წერილი გაუგზავნა ვლახეთის მთავარს, თავისი უდანაშაულობა აუხსნა და სნაგოვი დატოვა. ბრინკოვიანუ ჭკვიანი კაცი იყო, მალე გაერკვა სიმართლეში და კვლავ შემოიერიგა ნიჭიერი ქართველი.

1705 წელს ანთიმოზი რიმნიკის ეპისკოპოსად დანიშნეს. ჩავიდა თუ არა, პირველ რიგში, აქაც სტამბა გახსნა ამ ქართველმა „გუტენბერგმა". სწორედ მაშინ წამოიწყო რუმინელთა ისტორიაში უდიდესი საქმე ანთიმოზმა. მანამდე მართლმადიდებლურ რუმინეთში საეკლესიო სამსახური ან ბერძნულ ენაზე წარმოებდა, ან სლავურზე. ეს კი მოსახლეობის ძირითადი ნაწილისთვის გაუგებარი იყო. ანთიმოზმა ითავა და აღასრულა კიდეც დიდი ჩანაფიქრი — მისი ხელმძღვანელობით ითარგმნა და დაიბეჭდა სასულიერო წიგნები რუმინულ ენაზე. ამის შემდეგაც რუმინელებს საშუალება მიეცათ საეკლესიო მსახურება თავიანთ მშობლიურ ენაზე ჩაეტარებინათ, რაც მოვლენა იყო ამ ხალხის ისტორიაში.

დაუფასეს კიდეც და 1708 წელს ანთიმოზ ივერიელი გახდა ელახეთ-რუმინეთის ეკლესიის უმაღლესი სასულიერი პირი და ხელმძღვანელი — მიტროპოლიტი. აქვე, კურთხევის დროს, საპროგრამო სიტყვაც წარმოთქვა.

1711 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. ანთიმოზს ჭირის დღესავით ეჯავრებოდა თურქები, რომელთაც მისი ორივე სამშობლო (საქართველო და რუმინეთი) დაემონებინათ და იავარექმნათ. მან რუსული ორიენტაცია აირჩია და რუმინელთა მეთაურებს ერთმორწმუნე რუსეთის მეფესთან პეტრე პირველთან კავშირისაკენ მოუწოდა. ეს კი პოლიტიკაში მის ჩართვას ნიშნავდა. პრუტზე გამართული ბრძოლოს დროს ანთიმოზ ივერიელმა აიძულა რუმინელი სარდალი თომა კუზინო თავისი ჯარით რუსთა მხარეს გადასულიყო. ბრინკოვიანუს ამ ომში თურქთა მხარე ეჭირა და ასეთი ქმედებით ანთიმოზმა კვლავ განარისხა მთავარი. ავისმოსურნენიც შეუჩნდნენ, რომ მოეშორებინა უკვე დიდი გავლენის მქონე ქართველი მიტროპოლიტი. 1712 წელს ბრინკოვიანუმ კაცი გაუგზავნა ანთიმოზს და ნებით გადადგომა ურჩია. მას წაუყენეს ბრალდებები — „მთავრის ინტერესთა ღალატი" და „უცხოური წარმომავლობა". ისევ იმართლა თავი ანთიმოზმა მთავრის წინა-

შე, მაგრამ თანამდებობიდან გადადგომა მაინც ითხოვა. ისევ გონს მოეგო ვლახეთის მთავარი.

მალე თურქებმა სიკვდილით დასაჯეს კონსტანტინე ბრინკოვიანუ (არ დაუფასეს ერთგულება) და სტეფან კანტაკუზინო და მთავრად დანიშნეს მათი ერთგული მონა მავროკორდატი.

როცა თურქეთ-ავსტრიის ომი დაიწყო, ანთიმოზმა კვლავ ანტითურქული პოზიცია დაიკავა. ეს უკვე აღარ აპატიეს. მავროკორდატმა სიკვდილით დასაჯა ანტითურქული მოძრაობის მეთაურები. მისი მითითებით ანთიმოზ ივერიელი (ვითარცა რევოლუციონერი და მოჯანყე) გადააყენეს მიტროპოლიტობიდან და მიუსაჯეს სამუდამო გადასახლება სინას ნახევარკუნძულზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში.

ჭეშმარიტად, „სხვას სხვის მიწაზე ვის გაუხარია“ (ი. ნონეშვილი). ანთიმოზის შემთხვევაშიც ასე იყო. მას მიტროპოლიტობის პატივი აჰყარეს, ბორკილები დაადეს, საბარგულზე ნივთივით დაადგეს და მცველებით გარშემორტყმული სამხრეთში გაგზავნეს.

გადასახლების ადგილამდე არც მიუღწევია. ანდრიანოპოლთან თურქმა იანიჩარებმა ხმლებით დაჩეხეს (ეტყობა ფარული ბრძანება ჰქონდათ) და მდინარე დაუჩიაში გადააგდეს.

ასე აღესრულა კიდევ ერთი დიდი ქართველი. იდგა 1716 წლის 12 სექტემბერი.

ანთიმოზ ივერიელმა ერთი უდიდესი საქმის გაკეთება მაინც მოასწრო თავისი ბედკრული სამშობლოსათვის. როდესაც ვახტანგ მეფემ მოიწადინა ქართლში სტამბის გამართვა და წიგნების ბეჭდვის დაწყება, მას ამ საქმეში მართლაც ფასდაუდებელი უანგარო დახმარება გაუწია სწორედ ანთიმოზ ივერიელმა. 1708 წელს ვახტანგმა მას დახმარება სთხოვა. სამშობლოს მონატრებულმა ანთიმოზმა მართლაც რომ თავი გადასდო ამ საქმისათვის. მან ვახტანგ VI-ს გაუგზავნა სტამბის დაარსებისათვის საჭირო ყველანაირი ტექნიკა და მასალა, აახლა ასოთამწყობი მ. იშტვანოვიჩი, შეიქმნა და ჩამოისხა პირველი ქართული შრიფტი და მალე პირველი წიგნიც დაიბეჭდა.

ეს იყო „სახარება“. სულ ამ სტამბაში 1709-1722 წლებში დაიბეჭდა 19 დასახელების წიგნი, მათ შორის იყო გენიალური

„ვეფხისტყაოსანი“ (1712 წელს) ვახტანგ VI-ის რედაქციით და კომენტარებით. ბოლო წიგნი, რომელიც აქ დაიბეჭდა, იყო „ჟამნი“. 1722 წელს სტამბამ არსებობა შეწყვიტა. წიგნების ბეჭდვისა და გამოცემის ხარისხი ისეთივე იყო, როგორც იმ პერიოდის ევროპულ სტამბებში დაბეჭდილი წიგნებისა. სტამბას ჰქონდა რამდენიმე ფორმის შრიფტი: ხუცური (ასომთავრული, ნუსხური), მხედრული, ბერძნული და ლათინური. ერთსა და იმავე დროს იყენებდნენ როგორც შავს, ისე წითელ საღებავს, წიგნებში ჩართულია სურათები (გრავიურით). ტექნიკური შესრულების მხრივ ყველა პარამეტრი — კარგი ქაღალდი, ჩინებული აკინძვა და შეკაზმვა — იმდროინდელი ხელოვნების შედევრია. სტამბაში დაოსტატდნენ შემდეგში ცნობილი მოღვაწეები — ნ. ორბელიანი (ნ. თბილელი) — სულხან-საბას ძმა, გერმანე მღვდელმთავარი, კვიპრიანე სამთავნელი და სხვ.

ამით ანთიმოზ იკერიელის სამუდამოდ ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. მოგვიანებით მისი დამსახურება ღ› ღვაწლი რუმინელებმაც დააფასეს — ქართული ეკლესიის მსგავსად, იგი რუმინეთშიც წმინდანად შერაცხეს. იგი წმინდანად შერაცხა რუმინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ისევე როგორც ქართულმა ეკლესიამ..

სულხან-საბა ორბელიანი

ქვემო ქართლის ულამაზეს სოფელ ტანძიაში (ბოლნისის რაიონი) 1658 წლის 4 ნოემბერს დაიბადა „საქართველოს მამა“ (როგორც მას ევროპელებმა უწოდეს) სულხან-საბა ორბელიანი.

სულხანის მამა ვახტანგი ქართლის მეფის ვახტანგ V-ის (1658-1675წწ.) მდივანბეგი და ცოლის ძმა იყო (მისი და როდამი ცოლად ჰყავდა ვახტანგ მეხუთეს).

სულხანის დედა თამარი ბახტრიონის აჯანყების ერთ-ერთი იდეური სულისჩამდგმელის ზაალ არაგვის ერისთავის ასული იყო. მისმა ძმამ ზურაბმა უშუალო მონაწილეობა მიიღო აჯანყებაში, რისთვისაც მოგვიანებით სპარსელებმა სიკვდილით დასაჯეს.

სულხანს ჰყოლია შვიდი ძმა და სამი და. მისი მამიდაშვილები იყვნენ მომავალი მეფეები — არჩილი და გიორგი XI. სწორედ მათ შორის იზრდებოდა იგი იმჟამინდელ „უმაღლეს სკოლაში“ — მუხრანელ მეფე-ბაგრატიონთა ოჯახში. მისი მასწავლებლები ყოფილან ბერუკა ზედგენიძე და გიორგი იაშვილი.

ნიჭიერი ახალგაზრდა საფუძვლიანად დაეუფლა სიბრძნისმეტყველებას, ღვთისმეტყველებას, ფილოლოგიურ დარგებს. ქართული ენის ბრწყინვალედ შეთვისების შემდეგ შეისწავლა სპარსული, თურქული, ბერძნული, ლათინური, არაბული, სომხური, ხოლო მოგვიანებით — იტალიური და რუსული.

სულხანი თავისი მამიდაშვილის გიორგი XI-ის პოლიტიკურ გუნდის წევრი იყო და გარკვეულ დავალებებსაც ასრულებდა. მალე გიორგის ირანის მესვეურებმა ერეკლე I (თეიმურაზ პირველის შვილიშვილი) დაუპირისპირეს ქართლის ტახტზე. ძალამ თავისი გაიტანა და ეს ნიჭიერი და მამაცი ხელმწიფე იძულებული გახდა ირანს წასულიყო, სადაც ავღანელთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტი ჩააბარეს. ქართლის ტახტი დარჩა ერეკლეს. სულხანმა თავის მამიდაშვილს არ უღალატა, პოლიტიკური ცხოვრების „ღელვასა და შფოთს“ ჩამოშორდა და 1698 წელს ბერად აღიკვეცა დავით-გარეჯის მონასტერში, სადაც მას სასულიერო სახელად საბა უწოდეს.

ბერად აღკვეცამდე იგი მიიწვიეს გიორგი XI-ის ძმისშვილის ვახტანგ ლევანის ძის (ვახტანგ VI) აღმზრდელად და მასწავლებლად. სულხან-საბამ ჩინებულად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და უდიდესი წვლილი შეიტანა ვახტანგის დიდ პიროვნებად, განათლებულ მეფედ ჩამოყალიბების საქმეში. „ამ თავადმა აღზარდა ვახტანგი და მისი სახლობა. ამისთვის ისეთ პატივს სცემენ და ისე უყვართ, როგორც საკუთარი მამა, აგრეთვე მთელ საქართველოს მამად მიაჩნია იგი“, — წერდა კათოლიკე მისიონერი რიშარი, რომელთან ერთადაც სულხან-საბამ შემდეგ ევროპაში იმოგზაურა.

ბერად აღკვეცამდე სულხანს უკვე დაწერილი ჰქონდა „სიტყვის კონა“ — ბრწყინვალე ქართული ლექსიკონი, პოეტურად ხორცშესხმული და განზავებული.

12 წელი გაატარა სულხან-საბამ დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში ჯერ რიგით ბერად, მერე კი ამავე ეკლესიის მოძღვრად. ასკეტური ცხოვრებითა და საკუთარ სულში ჩაღრმავებით ცდილობდა იგი ზიარებოდა ღვთაებრივ ჭეშმარიტებას. საბა ხშირად ქადაგებდა თავისი სამწყსოს წინაშე. მერე ამ ქადაგებებს (სულ 56 ქადაგება) მან წერილობითი სახე მისცა და უწოდა „სწავლანი“. ეს არის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი, რომელშიც ერთმანეთშია შერწყმული ღვთისმეტყველება, პედაგოგიკა, პოეზია, ისტორია, ფოლკლორისტიკა და თვით ფსიქოლოგიაც კი.

„სწავლანი“ რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ერთ-ერთ მათგანში „სწავლა გიორგობისა დღისა და ქართველთა თათრობისათვის“, სულხან-საბა მკაცრად აკრიტიკებს და ამუნათებს ქრისტიანობის უარმყოფ და მტრის სამსახურში შესულ ქართველ რენეგატებს: „...ერთი ვინმე უარის-მყოფელთაგან მეზიზღებოდა და მე ვარქუ: „განმაშორე, შვილო ჯოჯოხეთისაო-მეთქი!“. ხოლო მან მომიგო და მრქვა: „არა, ნუ იყოფინ, მე შვილი ვარ სასუფეველისაო“. მე ვკითხე: „ვითარ?“ მან მომიგო: „ოდეს ქრისტე მოვალს მეორედ მოსვლას, უკეთუ იგი არს ძე ღმრთისა და მაცხოვარი სოფლისა, ვაჩვენებ შუბლთა ჩემთა აღბეჭდილთა ბეჭდითა მით მირონისა მისისაითა და, უკეთუ მოჰამედი უდიდებულეს არს, ვაჩვენებ სერსა მისსა წინადაცვეთილებისასა და ანუ ერთმ აღმიყვანს ზედაც ანუ მეორეო“ და იცინოდა ფრიად... ვაი, უგუნურება ესეთი, კაცნო ცოდვითა აღსავსენო და უსჯულებათა გარდამეტებულნო!“

1703 წელს ქართლის ტახტი კვლავ გიორგი XI-ს მიაკუთვნეს, მაგრამ შაჰმა იგი საქართველოში აღარ გამოუშვა. ვინაიდან გიორგის ერთადერთი ვაჟი ბაგრატი ადრე დაეღუპა, ამიტომ გიორგის მოადგილედ ანუ „ჯანიშინად“ დანიშნეს მისი ძმისწული ვახტანგ ლევანისძე (იგივე ვახტანგ VI). იგი, როგორც ზემოთ ითქვა, სულხან-საბამ აღზარდა სამეფოდ: ვახტანგმა აქტიურად დაიწყო მოღვაწეობა და მცირე დროში ბევრი რამის გაკეთება მოასწრო. სავარაუდოდ, ყოფილ შეგირდს, თავისი რჩევებით ხშირად ეხმარებოდა სულხან-საბა, რომელიც მან ბოლოს დაითანხმა და გარეჯიდან წამოიყვანა კიდეც.

მონასტრიდან წამოსელის შემდეგ დაწერა მან ქართული ლიტერატურის შედევრები: „სიბრძნე-სიცრუისა“, „ქილილა და დამანა“, „მოგზაურობა ევროპაში“, ლექსები.

ბიძისა (გიორგი XI) და მამის (ლევანი) ირანში გარდაცვალების შემდეგ, 1712 წელს, ქართლის გამგებელი („ჯანიშინი“) ვახტანგი ნამდვილ მეფედ დასამტკიცებლად სპარსეთს გაემგზავრა სამასკაციანი ამალით. მათ შორის იყო სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგის სულიერი „მამა“ და აღმზრდელი.

შაჰმა სულთან ჰუსეინმა დიდი პატივით მიიღო ვახტანგი და

მისი ამალა, მაგრამ მალე მას ქართლის ტახტზე დასმის წინაპირობად გამაპმადიანება მოსთხოვა. ვახტანგი გაჯიუტდა და უარი განუცხადა ირანის მბრძანებელს. გაბრაზებულმა შაპმა ვახტანგი ქირმანს დაატყვევა და გადაასახლა, სადაც იგი შინაპატიმრობაში იმყოფებოდა, ხოლო ქართლის ტახტზე ვახტანგის ნახევარძმა, გათათირებული იესე დასვა.

ვახტანგს ქირანში სულხან-საბაც თან გაპყვა. მათ ტყვეობაშიც არ შეუწყვეტიათ ლიტერატურული საქმიანობა, თუმცა მეფობა არ ეთმობოდა ვახტანგს და ყველანაირად ცდილობდა ისეთი რამ მოეფიქრებინა, რითაც ზეგავლენას მოახდენდა ირანის შაპზე თავის სასარგებლოდ.

დიდხანს ითათბირეს მოძღვარმა და მისმა სულიერმა შვილმა და ბოლოს გადაწყვიტეს: ევროპაში ელჩად წასულიყო თავად სულხან-საბა, როგორც ევროპული რანგის მეცნიერი და მოღვაწე.

1713 წლის აგვისტოში სულხან-საბა ირანიდან „გაიპარა" და ევროპაში წაპყვა ფრანგ კათოლიკე მისიონერს ჟან რიშარს. ისინი ჯერ სტამბოლში ჩავიდნენ, სადაც რიშარმა სულხან-საბა წარუდგინა საფრანგეთის ელჩს დეზალურს. 1714 წლის იანვრის ბოლოს ისინი ჩავიდნენ ჯერ მარსელში, ხოლო აპრილში — პარიზში, სადაც სულხან-საბა შეხვდა საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ს.

საბამ ძალზე მაღალი დონის დიპლომატიური ეტიკეტი გამოამჟღავნა, რითაც ფრიად გააოცა ლუი XIV. მან ვახტანგის წერილი გადასცა ფრანგ გვირგვინოსანს, სადაც მატერიალურ (300 ათასი ეკიუ) და სამხედრო დახმარებას თხოვდა ქართლის გამგებელი ფრანგთა მეფეს, სამაგიეროდ კათოლიკობის მიღებას პპირდებოდა.

ვახტანგი აგრეთვე თხოვდა ლუის, რომ ზეგავლენა მოეხდინა ირანის შაპზე. ლუი XIV-ს არაფერი კონკრეტული არ უთქვამს მეფის ელჩისათვის. ამიტომ სულხან-საბა მეორედაც შეხვდა მას და რომის პაპის საშუამდგომლო წერილიც გადასცა, მაგრამ ამაოდ. მეფე მხოლოდ მისიონერების გაგზავნას შეპპირდა „ელჩს ქართლისას". როგორც ჩანს, ქართლშიც და მით უმეტეს ირანში, ქართველი მეფე და მისი გარემოცვა გარკვეულ ინფორმაციულ ვაკუუმში იყვნენ და არ იცოდნენ ევროპის სახელმწიფოთა ნამდ-

ვილი ზრახვანი. მაშინ საფრანგეთი და ევროპის სხვა ქვეყნებიც ცდილობდნენ ანტითურქული კოალიციის შექმნას და ირანის ჩართვას ამ საქმეში. ვახტანგი კი ევროპას ირანის წინააღმდეგ დახმარებას თხოვდა (!) ამიტომაც თავაზიანი უარით გამოისტუმრეს უკან მისი ელჩი.

1714 წლის ივნისში სულხან-საბა პარიზიდან იტალიას გაემგზავრა. გაიარა სავოიის საჰერცოგო, მონაკო, მონტე-კარლო, გენუა და რომში მივიდა. რომის პაპმა კლიმენტი XI-მ ორი ეტლი შეაგება საპატიო სტუმარს, რამდენჯერმე შეხვდა კიდეც, მაგრამ ლოცვა-კურთხევის გარდა, მისგან სულხან-საბამ ვერაფერი მიიღო.

ფლორენციის, პიზის, ლივორნოს, პალერმოს, მალტის (აქ იხილა ქართველი ტყვეები) გავლით სულხან-საბა სტამბოლს ჩავიდა, სადაც ერთ წელიწადზე მეტ ხანს დარჩა. აქედან კვლავ განუწყვეტელი მიმოწერა ჰქონდა პარიზთან, რომთან, სტამბოლში საფრანგეთის საელჩოსთან. ამასობაში რომის პაპმა შეარჩია საქართველოში გასაგზავნი მისიონერები. მათ დაფინანსებას კისრულობდა ლუი XIV. ჟან რიშარი სპარსეთში ელჩად უნდა დანიშნათ და მას უნდა გამოეთხოვა შაპისათვის ვახტანგის მეფედ მობრძანება საქართველოში. მაგრამ გარდაიცვალა ლუი XIV და ყველაფერი წყალში ჩაიყარა (სხვათა შორის, სტამბოლში საბამ გაიცნო ახალგზარდა სწავლული და მოგზაური, შემდგომში სახელგანთქმული იოსებ ქართველი (აბესალამაშვილი).

გულგატეხილი და ჯანგატეხილი სულხან-საბა 1716 წლის ივლისში, სამთვიანი მოგზაურობის შემდეგ ქართლს დაბრუნდა. ვახტანგ მეფე დარწმუნდა, რომ ევროპისაგან არავითარი დახმარების მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა და ისევ საკუთარი თავის იმედზე უნდა დარჩენილიყო. იგი იძულებული გახდა ხლებოდა შაპს, გათათრებულიყო და ამ გზით მიეღო ქართლის მეფობა. ვახტანგს ქართლის მეფობასთან ერთად სპარსთა ჯარის მთავარსარდლობა და თავრიზისა და ბარდის ბეგლარბეგობა ცუბოძეს, მაგრამ მხოლოდ 1719 წელს გაუშვეს „თვის" სამეფოში.

ქართლში მობრუნებულმა ვახტანგ VI-მ ახლა უკვე რუსეთზე აიღო ორიენტაცია თავისი ბიძის მეფე არჩილ I-ის მსგავსად. ამან

გააცოფა არა მარტო ირანი, არამედ ოსმალეთიც. ვახტანგი ორმხრივი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. მალე ტფილისი ოსმალებმა დაიკავეს და დაიწყო „ოსმალობა“. ყოველმხრივ შევიწროვებულმა ვახტანგმა სხვა ვერაფერი მოიფიქრა და რუსეთს წასვლა გადაწყვიტა „დროებით“ (მაგრამ, როგორც აღმოჩნდა სამუდამოდ). 1724 წლის ივლისში, მეფე ვახტანგ VI 1200 რჩეული მხლებლით, ოჯახთან ერთად რუსეთს გაემგზავრა. ცარიცინთან რომ მივიდნენ, ვახტანგს პეტრე პირველის გარდაცვალება ამცნეს. მოსკოვში ისინი ვესესვიატსკოეს ქართულ კოლონიას მიადგნენ, მათ აქ მიეგებათ განსვენებული არჩილ მეფის ქალიშვილი დარეჯანი. ქართველები იდგნენ და ელოდნენ, თუ როდის მოიღებდა რუსი იმპერატრიცა მოწყალებას და აღმოუჩენდა დახმარებას ქართლის მეფეს.

ვახტანგის დიდ ამალაში იყო სულხან-საბა ორბელიანიც. რთულმა და დამღლელმა მგზავრობამ, იმადგაცრუებამ ძალზე უარყოფითად იმოქმედა მასზე და ჯანმრთელობა სერიოზულად შეურყია.

1725 წლის, 26 იანვარს სულხან-საბა მოსკოვს, სესენცკას, არჩილ მეფის სასახლეში გარდაიცვალა. იგი იქვე, სასახლის საყდარში დაკრძალეს დიდი პატივით. თავისი ქვეყნის სამსახურში მდგარ ამაგდარ მამულიშვილს სამშობლოში დამარხვაც არ ეღირსა.

სამაგიეროდ, საბას ბრწყინვალე შემოქმედებითმა მემკვიდრეობამ თავისი საფიცარი ქართველობის გულსა და გონებაში სამუდამოდ დაიდო ბინა.

ვილი ზრახვანი. მაშინ საფრანგეთი და ევროპის სხვა ქვეყნებიც ცდილობდნენ ანტითურქული კოალიციის შექმნას და ირანის ჩართვას ამ საქმეში. ვახტანგი კი ევროპას ირანის წინააღმდეგ დახმარებას თხოვდა (!) ამიტომაც თავაზიანი უარით გამოისტუმრეს უკან მისი ელჩი.

1714 წლის ივნისში სულხან-საბა პარიზიდან იტალიას გაემგზავრა. გაიარა საფოიის საპერცოგო, მონაკო, მონტე-კარლო, გენუა და რომში მივიდა. რომის პაპმა კლიმენტი XI-მ ორი ეტლი შეაგება საპატიო სტუმარს, რამდენჯერმე შეხვდა კიდეც, მაგრამ ლოცვა-კურთხევის გარდა, მისგან სულხან-საბამ ვერაფერი მიიღო.

ფლორენციის, პიზის, ლივორნოს, პალერმოს, მალტის (აქ იხილა ქართველი ტყვეები) გავლით სულხან-საბა სტამბოლს ჩავიდა, საღაც ერთ წელიწადზე მეტ ხანს დარჩა. აქედან კვლავ განუწყვეტელი მიმოწერა ჰქონდა პარიზთან, რომთან, სტამბოლში საფრანგეთის საელჩოსთან. ამასობაში რომის პაპმა შეარჩია საქართველოში გასაგზავნი მისიონერები. მათ დაფინანსებას კისრულობდა ლუი XIV. ჟან რიშარი სპარსეთში ელჩად უნდა დაენიშნათ და მას უნდა გამოეთხოვა შაპისათვის ვახტანგის მეფედ მობრძანება საქართველოში. მაგრამ გარდაიცვალა ლუი XIV და ყველაფერი წყალში ჩაიყარა (სხვათა შორის, სტამბოლში საბამ გაიცნო ახალგზარდა სწავლული და მოგზაური, შემდგომში სახელგანთქმული იოსებ ქართველი (აბესალამაშვილი).

გულგატეხილი და ჯანგატეხილი სულხან-საბა 1716 წლის ივლისში, სამთვიანი მოგზაურობის შემდეგ ქართლს დაბრუნდა. ვახტანგ მეფე დარწმუნდა, რომ ევროპისაგან არავითარი დახმარების მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა და ისევ საკუთარი თავის იმედზე უნდა დარჩენილიყო. იგი იძულებული გახდა ხლებოდა შაპს, გათათრებულიყო და ამ გზით მიეღო ქართლის მეფობა. ვახტანგს ქართლის მეფობასთან ერთად სპარსთა ჯარის მთავარსარდლობა და თავრიზისა და ბარდის ბეგლარბეგობა ცუბოძეს, მაგრამ მხოლოდ 1719 წელს გაუშვეს „თვის“ სამეფოში.

ქართლში მობრუნებულმა ვახტანგ VI-მ ახლა უკვე რუსეთზე აიღო ორიენტაცია თავისი ბიძის მეფე არჩილ I-ის მსგავსად. ამან

რის ასულისაგან მას ხუთი შვილი პყავდა. ბაქარი, თამარი, ანუკა, თუთა და გიორგი. ამათ გარდა, ვახტანგს სამი ხარჭისაგან (საყვარლისაგან) პყავდა სამი ვაჟი — ვახუშტი (ცნობილი ისტორიკოსი და მოაზროვნე), პაატა და როსტომი. 1703 წელს ირანის შაპმა გიორგი XI-ს ქართლის ტახტი კელავ დაუბრუნა, მაგრამ იქვე ირანში დატოვა. თავის მოადგილედ, ქართლის გამგებლად (ჯანიშინად) დარჩა ვახტანგის მამა ლევანი. მალე ლევანიც სპარსეთს გამოიძახეს და რეალურად 1712 წლამდე ქართლის გამგებელი იყო სწორედ ვახტანგ VI.

მისი გამგებლობის წლები ეს არის ქართლის სამეფოს აღმაყლობის ოქროს ხანა. მემატიანეთა გადმოცემით, ვახტანგი ყოფილა „ზნესრული, ფრიად მოღვაწე, სამღვდელოთა პატივისმცემელი, ქვრივ-ობოლთა, გლახაკთა მიმცემელი, შემბრალე, ეკლესიათა მაშენებელი, ხატთა, ჯვართა მამკობელი, მოწყალე, ცოდნისმოყვარე, ბრძენი, მხნე და ახოვანი, მშვენიერ-ჰაეროვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი, არამედ მრისხანე, ამან მოიწყო ყოვლითა ქართველნი“. მის დროს ქართლი დიდად დაწინაურდა სოციალურ-ეკონომიკურად და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კულტურული თვალსაზრისითაც.

ვახტანგ მეექვსემ პირველ რიგში ქვეყანაში წესრიგის აღდგენა დაისახა მიზნად, რაც შეუძლებელი იყო ცენტრალიზებული, ანუ მეფის ხელისუფლების განმტკიცების გარეშე.

ვახტანგმა გვერდით შემოიკრიბა ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი ხალხი და თავიდან მოიცილა ქართლის სამეფო კარზე მოკალათებული რენეგატები, საეჭვო ელემენტები. მან გააუქმა ქვეყანაში ფეხმოკიდებული ირანულ-ყიზილბაშური წესები, აღადგინა მამა-პაპური, ქართული წეს-ჩვეულებანი, ეროვნული იდეოლოგია, რაც მართლმადიდებელ ქრისტიანობას ემყარებოდა ყოველთვის. ამიტომ ვახტანგმა „ინება საქართველოს სარწმუნოების გაძლიერება“, რაც, ერთი მხრივ, ერის ზნეობრივ გაჯანსაღებას, ხოლო მეორე მხრივ, ეკლესიის გაწმენდა-განმტკიცებას გულისხმობდა.

1705 წელს ვახტანგმა საეკლესიო კრება მოიწვია და საქართველოს კათოლიკოსად აკურთხა თავისი ძმა დომენტი — ფრიად

განსწავლული საეკლესიო მოღვაწე.

საეკლესიო თანამდებობებზე დაინიშნენ ღირსეული მღვდელმსახურნი, ამასთან ვახტანგმა ააშენა და განაახლა მრავალი ეკლესია-მონასტერი, მათ შორის „**სიონის გუმბათი და სამხრო და შეამკო ყოვლითურთ სიპატიოსნითა, განაპატიოსნა მცხეთის ცხოვლისმყოფელი სვეტი და დაასვენა კარსა სვეტისასა ხატი პატიოსანი, შემკული ყოვლითურთ სიპატიოსნითა, შემოავლო სვეტსა ფარდა მძიმისა ზარბაბისა, გამოუცვალა კანკელსა ზევითა სვეტგბი, თლილისა ქვისა აღაშენა ურბნისის სამრეკლო და გალავანი**". ურჩ ფეოდალთა და მოღალატეთა ასალაგმად ვახტანგმა შექმნა „მცველთა ჯარი", ანუ სამეფო გვარდია. ესენი იყვნენ პროფესიონალი მეომრები, ერთგულ თავადაზნაურთა შვილები, რომლებიც ჩინებულად ფლობდნენ საბრძოლო ხელოვნებას.

სულხან-საბა ორბელიანის მიერ აღზრდილ მეფეს კარგად ესმოდა განათლებისა და წიგნის ფასი. ვახტანგმა საქართველოში სტამბის დაარსება განიზრახა. ამისათვის იგი 1708 წელს დაუკავშირდა რუმინეთში მცხოვრებ დიდ ქართველს, განმანათლებელსა და წიგნის ბეჭდვაში დახელოვნებული ანთიმოზ ივერიელს. 1709 წელს ანთიმოზის უანგარო დახმარებით თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სპეციალურად აგებულ შენობაში გაიხსნა პირველი ქართული სტამბა. ამ სტამბაში დაიბეჭდა პირველად „სახარება", ვახტანგ VI-ის მიერ რედაქტირებული „ვეფხისტყაოსანი", მისივე ნათარგმნი „ქმნილების ცოდნის წიგნი" ანუ „აიათი". სულ 19 დასახელების წიგნი დაიბეჭდა ამ სტამბაში, რაც უდიდესი კულტურული ღონისძიება იყო და ცოდნის გავრცელებას უწყობდა ხელს. მათ შორის ეკლესიაშიც. სწავლა-აღზრდის ახლებურ ნიადაგზე აღორძინება ვახტანგს ძნელბედობაში ჩავარდნილი ქვეყნის უმთავრეს ამოცანად მიაჩნდა (თავად ვახტანგმა თარგმნა და გადმოაკეთა მსოფლიო დიდაქტიკური ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშები: გალექსა რუსული თხზულების „აპოვთეგმატას" მოკლე რედაქცია — „სიბრძნე მაღალობელი", თარგმნა „ქილილა და დამანა", „ამირანნასარიანი" და სხვა. მან ერთ-ერთმა პირველმა შექმნა პატრიოტული ლირიკის ნიმუშები, განავითარა „სოფლისადმი მდურვის" მოტივი ქართულ პოეზიაში, მისი სატრფიალო

ლექსები ძეტწილად ალეგორიულ-მისტიკური ხასიათისაა, თუმცა ცალკეულ ლექსებში აღბეჭდილია ღრმად ინდივიდუალური ადამიანური განცდები.

ვახტანგ მეექვსემ პირველმა მოპკიდა ხელი უმთავრესი ქართული საისტორიო კრებულის „ქართლის ცხოვრების" მეცნიერულ შესწავლას, მის ხელახალ გადამუშავებას, ჩასწორებას და შევსებას, მან ისტორიკოსი ბერის ეგნატაშვილის მეთაურობით შექმნა „სწავლულ კაცთა" კომისია, რომელმაც ძალზე სერიოზული მუშაობა გასწია ამ კრებულის სათანადო ჩასწორებისა და გამართვისათვის.

1705-1708 წლებში ვახტანგის მიერ სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ შედგენილ იქნა კანონთა კრებული, რომელსაც შემდგომ „ვახტანგ VI-ის სამართალი" ეწოდა („დასწერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი"). ეს სამართალი შეიცავს 7 საკანონმდებლო ძეგლს: 1. სამართალი მოსესი; 2. სამართალი ბერძნული; 3. სამართალი სომხური; 4. სამართალი კათოლიკოსთა; 5. სამართალი მეფის გიორგისა; 6. სამართალი აღბულასი; 7. სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა. „ვახტანგის სამართალი" ეხებოდა ცხოვრების ყველა მხარეს — საბატონყმო ურთიერთობებს, წოდებრივ მიმართულებებს, ქონებას, ნასყიდობას, ვალს, მემკვიდრეობას, ქურდობას, მკვლელობას, ოჯახს (ლ. სანიკიძე). ნაყოფიერი საკანონმდებლო მოღვაწეობისათვის მეფეს „ვახტანგ სჯულმდებელი" უწოდეს.

ვახტანგმა ასევე ცალკე საკანონმდებლო ძეგლად შეადგინა „დასტურლამალი". ეს წარმოადგენს თავისებურ განახლებულ ვარიანტს გიორგი ბრწყინვალის დროს შედგენილი „ხელმწიფის კარის გარიგებისა", რომელიც განსაზღვრავდა სამეფო მოხელეთა უფლებებსა და ფუნქციებს.

ვახტანგმა მოშალა კიდევ ერთი დიდი უბედურება, რაც მეტად ასუსტებდა ქვეყანას — „ტყვის-ყიდვა". ამაზე მას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ირანიდან, მაგრამ მეფემ მაინც თავისი გაიტანა.

ვახტანგის ჯანიშინობამდე ქართლის კახელმა მეფემ ერეკლე პირველმა (ნაზარ-ალი-ხანმა) ქართლიდან გლეხობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი აჰყარა და კახეთს გადაასახლა. 1707

წელს შაპის ნებართვით ვახტანგ VI-მ დაიწყო კახეთში გადასახლებული გლეხობის ქართლში დაბრუნება და თითქმის ბოლომდე მიიყვანა ეს საქმე.

ვახტანგმა დიდი ყურადღება დაუთმო ომებითა და ამაოხრებელი შემოსევებით დაქცეული ქართლის სამეურნეო აღორძინებას. მისი ბრძანებით გაპყავდათ გზები, აგებდნენ ხიდებს, სავაჭრო ქარვასლებს, წისქვილებს, წყაროებს, წყალსადენებს, სარწყავ არხებს. შენდებოდა ახალი ქალაქები და სოფლები, „აღაშენა ხუნანი და სოფლები უშენსა აღგილებსა". ამ პერიოდში საკმაოდ გაფართოვდა ტფილისიც, ამასთან ერთად განვითარდა ხელოსნობა და ვაჭრობა. ვახტანგმა ტფილისს ააშენა ბრწყინვალე, სარკეებიანი სასახლე „ოქროსა ვარაყითა შეთხზული".

ვახტანგის აღმშენებლობას და გაძლიერებას მთელი საქართველო ადევნებდა თვალს „ამას მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნი". ვახტანგმა თავისი ქალიშვილი თამარი ცოლად გაატანა კახთა მომავალ მეფეს, „პატარა კახის" მამას თეიმურაზ მეორეს, მეორე ქალიშვილი ანუკა კი იმერეთის დიდ ფეოდალს ვახუშტი აბაშიძეს. 1707 და 1711 წლებში ვახტანგმა ორჯერ ილაშქრა ოსეთში, დაანგრია მრავალი ციხე, „მოწვა და მოსტყვევნა ურჩნი", ხარკი დააკისრა და „დააწყნარა" ისინი.

ეს ყველაფერი 1712 წლამდე მოესწრო. 1709 წელს ირანში გარდაიცვალა გიორგი XI, რომლის ძალამ და ავტორიტეტმა ვახტანგს ამოსუნთქვის საშუალება მისცა და დიდი საქმეები აკეთებინა სულხან-საბა ორბელიანის დახმარებითა და თანადგომით. მალე ირანშივე დაიღუპა ვახტანგის მამა ლევანიც. ქართლის მეფედ შაპმა დანიშნა ვახტანგის ძმა ქაიხოსრო, მაგრამ 1711 წელს ისიც გარდაიცვალა (მოკლეს). შესაბამისად, ვახტანგი ირანში იხმეს „ნამდვილ მეფედ" დასამტკიცებლად. ვახტანგი 300 კაციანი ამალით წავიდა ირანს. იდგა 1712 წლის 28 თებერვალი. შაპ-სულთან ჰუსეინი „დიდის ზეიმით" შეხვდა ვახტანგს და მის ამალას, მაგრამ ქართლის მეფედ დამტკიცების წინაპირობად გამაჰმადიანება მოსთხოვა. ვახტანგმა მტკიცე უარი განაცხადა. შაპმა იგი ქირმანს გადაასახლა შინა-პატიმრობაში, ქართლის მეფედ კი ვახტანგის ნახევარძმა, გათათრებული და ულირსი იესე (ალი-ყული-ხანი) დანიშნა.

ვახტანგმა ფარ-ხმალი არ დაყარა. მან გადაწყვიტა სულხან-საბა ორბელიანი („საქართველოს მამა") ევროპაში გაეგზავნა და საფრანგეთისთვის და რომის პაპისთვის დახმარება ეთხოვა. სულხან-საბა ფრანგ კათოლიკე მისიონერთან ჟან რიშართან ერთად 1713 წელს გაემგზავრა ევროპაში, ორჯერ შეხვდა ჯერ ფრანგთა მეფეს ლუი XIV-ს და მერე რომის პაპს კლიმენტი XI-ს, მაგრამ არაფერი გამოვიდა — არავინ დაინტერესდა პატარა ქრისტიანული ქვეყნის ბედით. გარდა ამისა, საფრანგეთი და ევროპის ქვეყნები თავად ცდილობდნენ ანტითურქულ კოალიციაში ირანის ჩათრევას, ამიტომ ქართველების ხათრით ირანს ომს არავინ დაუწყებდა.

გულგატეხილი ვახტანგი სულხან-საბას უკან დაბრუნების შემდეგ (1716წ.) ბედს შეურიგდა, ფორმალური მაპმადიანობა მიიღო და მასთან ერთად ქართლის მეფობაც, მაგრამ იგი ირანის ჯარების სარდლად (გენერალისიმუსად) დანიშნეს და ჯერ აღმოსავლურ-ირანული საქმეების მოწესრიგება დაავალეს. ის სამი წლით დატოვეს ირანში. ამ ხნის მანძილზე ჯანიშინი ანუ ქართლის გამგებელი იყო ვახტანგის უფროსი ვაჟი ბაქარი.

1719 წელს ვახტანგი VI, როგორც იქნა, დააბრუნეს თავის სამეფოში. კვლავ ძველი ქართული წესით ეკურთხა მეფედ, მაპმადიანობა კი აღარც გახსენებია. ჩამოსვლისთანავე ქვეყნის მოღალატეები მოიკითხა, იესეს დროს ამაღლებულნი, ზოგი სიკვდილით დასაჯა, ზოგიც გააძევა. ვახტანგის ირანში ყოფნის დროს დაიწყო ლეკთა ამაოხრებელი თარეშობანი ქართლ-კახეთში. ორი წელი ებრძოდა ლეკებს, დაამარცხა კიდეც, მაგრამ ირანის შაპს შეეშინდა ვახტანგის გაძლიერებისა და ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი ააღებინა.

გაბრაზებულმა ვახტანგმა ირანს ზურგი აქცია და რუსეთს მიაპყრო იმედის თვალი. ეს კი უკვე მისი დიდი შეცდომა იყო (სხვათა შორის, მისი ვაჟი და მოადგილე ბაქარი საქართველოს რუსეთთან კავშირში დიდ ხიფათს ხედავდა. სანამ რუსი ივანი მოვა, ალია და ოსმანა ტყავს გაგვაძრობენო).

სამეფო დარბაზის უმრავლესობამ ვახტანგის მხარე დაიჭირა და რუსეთთან მეგობრული კავშირის დამყარება გადაწყვიტა. გეგ-

მა კი ასეთი იყო: რუსთა და ქართველთა მეფეებს ერთად უნდა შეეტიათ ირანისათვის. სანამ რუსთა იმპერატორი პეტრე პირველი კასპიის სანაპიროზე გამოჩნდებოდა, ვახტანგი ომისათვის უნდა მოშზადებულიყო და ქართველ-სომეხთა 40 ათასიანი ჯარით შეერთებოდა პეტრე პირველის ლაშქრობას ირანის კასპიისპირეთზე. პეტრე პირველის ელჩებმა ვახტანგთან სიტყვიერი (და არა წერილობითი) შეთანხმება დადეს, ირანში არაფერი შეეტყოთ. ამასობაში ავღანელებმა 1722 წლის მარტში გულნაბადთან სასტიკად დაამარცხეს ირანელები და მათი დედაქალაქი ისპაპანიც კი აიღეს. ვახტანგს მიეცა შანსი არათუ სამუდამოდ დაეხსნა თავი ირანისაგან, არამედ იქით შეტია მისთვის და დაეპყრო ეს ქვეყანა.

1722 წლის 2 ივლისს ვახტანგ VI-ს რუსეთიდან ეწვია პეტრე პირველის ელჩი ბორის (ბაადურ) თურქესტანიშვილი. პეტრე ატყობინებდა ვახტანგს, რომ რუსთა ჯარები მალე გამოჩნდებოდნენ კასპიის ზღვის სანაპიროზე. მანამდე ვახტანგი უნდა შებრძოლებოდა ლეკებს. იმ დღეებშივე თურქეთის სულთნის აპმედ მესამის ელჩიც ეწვია ვახტანგს, ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეობა შესთავაზა და მთლიანი საქართველოს მეფობაც აღუთქვა. ვახტანგმა უარი შეუთვალა სულთანს. მან პეტრე პირველს წერილი გაუგზავნა და აცნობა, რომ 20 ივლისს განჯაში იქნებოდა.

რუსები მართლაც დაიძრნენ კასპიისაკენ და დარუბანდი აიღეს. ვახტანგ VI ქართველ-სომეხთა 40 ათასიანი ჯარით განჯას მივიდა და ლოდინი დაუწყო მათ. სამი თვე ელოდებოდა ქართლის მეფე პეტრე პირველს და მის არმიას, სამი თვე (!) ნოემბერში, როგორც იქნა, შეატყობინეს, რომ რუსთა ჯარი დარუბანდიდან უკან, სამშობლოში გაბრუნებულა. გამოვიდა, რომ პეტრე პირველმა მოატყუა ქართლის მეფე. ასეთი დაუფიქრებელი ქმედებით ვახტანგმა ყველა გზა მოიჭრა. მან უარით ოსმალეთი გაანაწყენა და მტრად მოიკიდა ირანი, დაღესტანი და თვით კახთა გათათრებული მეფე კონსტანტინე. 1723 წელს ირანის ახალმა შაპმა შაპ თამაზ II-მ კახეთის მეფეს კონსტანტინეს (მაპმად-ყული-ხანს) ქართლიც უბოძა, რაც ვახტანგ VI-ის ტახტიდან გადაყენებას ნიშნავდა.

კონსტანტინემ ვახტანგის წინააღმდეგ მოუხმო განჯის და

ერევნის ხანებს, ლეკებს და ტფილისს შეუტია. სასტიკი ბრძოლები რამდენიმე თვეს გაგრძელდა და კონსტანტინეს დამარცხებით დამთავრდა. აშასობაში არზრუმის ბეგლარბეგმა ელჩები გამოგზავნა ვახტანგთან და ოსმალეთის სულთნის უზენაესობის აღიარება სთხოვა.

ვახტანგმა კვლავ დარბაზი შეკრიბა. ყველამ ურჩია, რომ დათანხმებოდა თურქთა მოთხოვნებს და ამით ქართლიც გადაერჩინა და თავისი მეფობაც. დარბაზობას რუსთა ელჩებიც ესწრებოდნენ. ისინი არწმუნებდნენ ვახტანგს, რომ გაზაფხულზე ამჯერად უკვე აუცილებლად წამოვა პეტრე დიდი ირანზე სალაშქროდ და თურქთა მოთხოვნას არ დათანხმდეო.

ვახტანგ VI ამჯერადაც შეცდა და რუსთა იმედით თურქების შეყოლიება სცადა გაზაფხულამდე.

„მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების, ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხვდების“.

წერდა დავით გურამიშვილი და მართლაც, ბედისწერა კვლავ ცუდად დაუტრიალდა ქართლსაც და მის გულუბრყვილო მეფესაც. მალე კონსტანტინე დაქირავებული ლეკების 7 ათასიანი ჯარით მოულოდნელად შემოიჭრა ტფილისში და ვახტანგი დაამარცხა. ქალაქი დაიკავა და გაძარცვა კონსტანტინეს მიერ დაქირავებულმა ლეკის ჯარმა. თავად კონსტანტინე შაპ-აბასივით მოექცა დედაქალაქს. ამის შემდეგ ლეკთა ჯარი მან ქართლის საერისთავოებსაც მიუსია. ვახტანგი ცხინვალში გამაგრდა, სადაც მას კვლავ ეწვივნენ თურქთა ელჩები. კვლავ შესთავაზეს მორჩილება და აღუთქვეს კონსტანტინეს გაძევება ტფილისიდან. ამჯერად, 1723 წლის ზაფხულში ვახტანგი დათანხმდა თურქებს. იბრაჰიმ ფაშა წამოვიდა და ტფილისს მოადგა. კონსტანტინემ ქალაქის კლიტენი ჩააბარა და სანაცვლოდ მეფობა სთხოვა. მეორე დღეს იბრაჰიმ ფაშამ კონსტანტინე ციხეში ჩააგდო, ქართლის მეფედ კი ვახტანგის ვაჟი ბაქარი დანიშნა.

ასე დაიწყო „ოსმალობა“ ქართლში, რომელიც 12 წელი გაგრძელდა (1735 წლამდე). ფორმალურად ქართლს კვლავ მამა-შვილი მართავდა, რეალურად კი — თურქები. ვახტანგს კიდევ პეტრე პირველის იმედი ჰქონდა. რუსებმა კი 1724 წლის 12 ივლისს ზავი

დადეს თურქებთან და მთელი ამიერკავკასია თურქეთის გავლენის სფეროდ ცნეს. ასე გაწირა პეტრე დიდმა გაჭირვებაში ჩაკარდნილი ქართლი და მისი გულუბრყვილო, რუსთა მოიმედე მეფე.

ვახტანგმა ჯერ იბრაჰიმ ფაშას მოქრთამვა სცადა ტახტის დაბრუნების მიზნით, მერე კი, როცა ფაშა თურქეთში გაიწვიეს, ბაქარი აუჯანყდა მათ, გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ დროებით. ახალმა ფაშამ რაჯამ ქართლის მეფედ ხელახლა გამუსულმანებული ვახტანგის ძმა იესე დანიშნა, მერე კი ვახტანგის შესაპყრობად ჯარები გაგზავნა ცხინვალს. ვახტანგმა ძლიეს გადაასწრო რაჭას. მან წერილი გაუგზავნა რუსთა ხელმწიფეს და რუსეთში ჩასვლა ითხოვა. მალე დადებითი პასუხი მოუვიდა. 1724 წელს ვახტანგმა კიდევ ერთი დიდი შეცდომა დაუშვა. იგი 1200 კაცით რაჭიდან რუსეთს წავიდა და ოჯახთან ერთად თან წაიყვანა ქართლის (და ნაწილობრივ კახეთის) მთელი ინტელექტუალური, სასულიერო და სამხედრო ელიტა (მათ შორის სულხან-საბა ორბელიანიც). ამით მოოხრებული ქართლი უთავოდ და უპატრონოდაც დარჩა. ამიტომაც ათქმევინა გამწარებულ ბაქარს ეს სიტყვები დავით გურამიშვილმა მამაზე:

„ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე მინაწდომარე,
რაზედაც მიდგა, არ დარჩა, ის საქმე წაუხდომარე“.

ამ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა სამშობლოში ვეღარ დაბრუნდა და რუსთა სამსახურში ჩადგა, იქვე დაიხოცნენ „გარუსებულები“.

პეტრემ ელჩების მეშვეობით ჯერ ჩრდილო კავკასიაში დასახლება შესთავაზა, მაგრამ ამაყი ვახტანგ მეფე გაჯიუტდა და პეტერბურგის გზას დაადგა. მაშინ მას ნება დართეს მცირე ამალით წასულიყო რუსეთის დედაქალაქში. ვახტანგმა 84 კაცი აარჩია, დანარჩენები ასტრახანს დატოვა და პეტერბურგის გზას დაადგა. ცარიცინთან პეტრე პირველის სიკვდილი ამცნეს ვახტანგს. მაინც განაგრძო გზა ამალით მეფემ. მოსკოვში ჩასულები ცოტა ხნით გაჩერდნენ. სწორედ იმ დროს გარდაიცვალა დიდი სულხან-საბა ორბელიანი. 1725 წლის ზაფხულში ვახტანგ VI ამალით პეტერბურგს ჩავიდა და პეტრეს ქვრივს, იმპერატრიცა ეკატერინე I-ს შეხვდა. ვახტანგმა მიუსამძიმრა დედოფალს მეუღლის გარდაცვა-

ლება. მან ყველა მოხიბლა თავისი ინტელექტით. მეფემ რუსეთს სამხედრო დახმარება სიხოვა. რუსებს ხელს არ აძლევდათ თურქთა მიერ ირანის დაპყრობა და ირანის დახმარება გადაწყვიტეს. მათ შესთავაზეს ვასტანგს შაპ თამაზ II-სთან კავშირის დამყარება. ვახტანგმა ქართლის ტახტზე აღდგენაც მოითხოვა, რაზეც სიტყვიერი თანხმობა მიიღო.

რუსთა ელჩებთან ერთად ვახტანგ VI წამოვიდა უკან და 1726 წლის აგვისტოში დარუბანდს ჩავიდა. აქ იგი ორჯერ შეხვდა შაპის ელჩებს და რუსთა სახელით (!) დახმარებას შეპპირდა.

1727 წელს გარდაიცვალა ეკატერინე I და ვახტანგიც უკან გაიწვია 12 წლის პეტრე მეორემ.

1730 წელს რუსეთის ტახტზე ახალი ჭკუასუსტი მეფე ანა ივანეს ასული ავიდა. 1732 წელს რუსეთმა ხელშეკრულებით გილანი, ასტარაბადი და მაზანდარანი ირანს დაუბრუნა. იმავე წელს ირანის ხელმწიფე გახდა დიდი ნადირ-შაპი, მან თურქები აღმოსავლეთ საქართველოდან გარეკა და ვახტანგს შეუთვალა, ჩამოდი და ქართლის ტახტი დაიჭირეო.

ვახტანგმა უარი განაცხადა (!)

ახლა უკვე რუსებმა აკადრეს მკვახე პასუხები მის „აბეზარ თხოვნას" სამხედრო დახმარების თაობაზე. იმედგადაწურული და განაწყენებული ვახტანგი მოსკოვიდან წამოვიდა. ემუდარებოდნენ ქართველები სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ არავის დაუჯერა. ასტრახანს ჩამოვიდა და იქ დაეფუძნა. აქვე გაატარა თავისი ძძიმე წუთისოფლის უკანასკნელი დღენი. აქვე გარდაიცვალა 1737 წლის 26 მარტს. დაკრძალეს ასტრახანის მიძინების ტაძარში (25 წლის შემდეგ აქვე დაკრძალეს მისი სიძე, ერეკლე მეორის შამა. თეიმურაზ მეორე).

ასე აღესრულა უცხოობაში ქართველ მეფეთა შორის ყველაზე განათლებული გვირგვინოსანი, ერის გულწრფელი მოამაგე და პატრონი, დიდი მამულიშვილი და ერისკაცი, თუმცა სუსტი პოლიტიკოსი.

ვახუშტი ბაგრატიონი

დიდი ქართველი ისტორიკოსი, გეოგრაფი და კარტოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი დაიბადა 1696 წელს ტფილისში. იგი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის „უკანონო“ შვილი იყო. ფრანგი მოგზაურის შარლ პეისონელის ცნობით, დედამისი ყმა გლეხის ქალი ყოფილა, იგი მოსწონებია მაშინ ჯერ სულ ახალგაზრდა 21 წლის ვახტანგს და კიდეც შესძენია მისგან ვახუშტი, მომავალში დიდი მამულიშვილი და ერისკაცი.

ვახუშტი ბატონიშვილის აღზრდა-განათლებას ხელმძღვანელობდნენ ძმები იესე და გიორგი გარსევანიშვილები და ტფილისში მცხოვრები ფრანგი კათოლიკე მისიონერები. ვახუშტიმ იმ დროისათვის ბრწყინვალე განათლება მიიღო. ქართულის გარდა, მან კარგად იცოდა რამდენიმე უცხო ენა — ბერძნული, ლათინური, ფრანგული, თურქული, რუსული და სომხური ენები.

1717 წელს ვახუშტი ბატონიშვილი დაქორწინდა მარიამ გიორგის ასულ აბაშიძეზე. ვახტანგ VI-ის ირანიდან დაბრუნების შემდეგ, ვახუშტი აქტიურად ჩაერთო ქართლის სამეფოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და ბოლომდე მხარში ედგა მამას. იგი ორჯერ მონაწილეობდა განდგომილი ქსნის ერისთავებს

წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში. 1722 წელს, როცა ვახტანგ VI ქართველ-სომეხთა 40 ათასიანი ჯარით 3 თვე განჯას იდგა და ელოდებოდა რუსთ ხელმწიფეს — პეტრე პირველს, ვახტანგმა ვახუშტი ქართლის საშეფოს გამგებლად დატოვა.

ვახუშტიმ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1723 წელს განვითარებულ მოვლენებშიც, როცა კახეთის მეფემ გათათრებულმა კონსტანტინემ (მაჰმად-ყული-ხანმა) კახ-ლეკთა ჯარით ტფილისს შეუტია და სამოქალაქო ომი გააჩაღა ქართლის წინააღმდეგ. კონსტანტინემ განჯის ხანიც „მოიწვია" ქართლის ასაოხრებლად. ვახტანგ VI-მ ვახუშტი ბატონიშვილი გაგზავნა განჯის ხანის წინააღმდეგ რაჭველთა და იმერთა ჯარით. ვახუშტის სარდლობით სძლიეს განჯელებს, თავად განჯის ხანი აღჯაყალას ციხეში ჩაიკეტა. ვახუშტი წოფას დადგა და იქ ემზადებოდა აღჯაყალაზე საიერიშოდ.

ქართლის მოღალატე თავადებმა ეს ამბავი კონსტანტინეს აცნობეს. კონსტანტინემ განძის ხანის დასახმარებლად კვლავ კახთა და ლეკთა ჯარი გაგზავნა. ბრძოლა დილიდან საღამომდე გაგრძელდა. ვახუშტი და მისი ჯარი ლომებივით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს კიდეც.

ამის შემდეგ ვახტანგ მეფემ ვახუშტი 600 მეომრით გაგზავნა მცხეთის გამოსახსნელად კონსტანტინეს მომხრეებისგან. ვახუშტიმ ალყა შემოარტყა ქალაქს და უსისხლოდ დაუბრუნა იგი ქართლის მეფეს, შემდეგ კი მარტყოფიც გაათავისუფლა მოძალადეებისაგან.

როდესაც რენეგატმა კონსტანტინემ თავისი დაქირავებული ლეკებით მაინც შეძლო მუხანათურად ტფილისში შეჭრა და მისი გაძარცვა გადამთიელივით, ვახუშტიც იბრძოდა აქ, მაგრამ ვახტანგი თავისი მომხრეებით ამჯერად დამარცხდა. თავისთვის ჩაუწერია კიდეც გულმოკლულს: სიონის სახელოვანი ღვთისმშობლის ხატი, კახთა მეფემ ლევანმა რომ შეამკო, ეხლა კახთა მეფემ კონსტანტინემ შემუსრაო: **„კახი ბატონი შეუხდა ქალაქსა, ააოხრა, ამოსწყვიტნეს მოქალაქენი, აიკლეს საქონელი ურიცხვი, შეუხდნენ სიონსა, დასწვეს, შეაგინეს სიწმინდე, ხატი პატიოსნისა სიონთა ღვთის-მშობელი წაიღეს, დღესაც არ ვიცით რა უყვეს,**

ზოგი ვინმე დამსხვრევას იტყვიან, ზოგნი დამალვასა“.

1724 წლის ივლისში 28 წლის ვახუშტი სხვა 1200 ქართველთან ერთად რუსეთში წაჰყვა მამას, ვახტანგ VI-ს. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა დიპლომატიურ მიმოსვლებში, პარალელურად მეცნიერულ საქმიანობასაც ეწეოდა უკვე. საბოლოოდ, ვახტანგის სიკვდილის შემდეგ, იგი მოსკოვს დამკვიდრდა და რუსთა მთავრობისაგან ჯამაგირიც დაენიშნა.

1745 წელს ვახუშტიმ მოსკოვში დაამთავრა თავისი ფუნდამენტური თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ეს არის საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან („დასაბამიდან“) XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე. ვახუშტი საქართველოს ისტორიის პრობლემებს უკავშირებს მსოფლიო ისტორიას და უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს. პატრიოტი მეცნიერის ამ ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს პოლიტიკური და ეთნიკური ერთიანობის იდეას.

ვახუშტი საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის მიზეზებს სამართლიანად ხედავს XIII-XIV საუკუნეებში განვითარებულ რთულ მოვლენებში. ავტორი ისტორიულ ამბებს მატიანეების სტილით გადმოგვცემს და ცდილობს ეს მოვლენები ახსნას მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გზით. ვახუშტი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გადმოსაცემად იყენებს ისტორიულ ქრონოლოგიას, რომელიც მეცნიერებად აქცია. მან მოგვცა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია, მისი აზრით საქართველოს ისტორია ორი ნაწილისაგან შედგება: „ძველი ისტორია“ 1469 წლამდე და ისტორია „შემდგომად განყოფისა“, ე.ი. 1469 წლიდან ვახუშტის ეპოქამდე. მისი ისტორიის პირველი პერიოდის წყარო „ქართლის ცხოვრებაა“, მეორე ნაწილი კი ძირითადად ორიგინალურია. ვახუშტი თავის ნაშრომში გაკვრით ეხება ქართული ენის ზოგიერთი დიალექტის გავრცელების ფარგლებს. მისი კვლევა-ძიების ერთ-ერთ მთავარ ნაწილს გეოგრაფია წარმოადგენს. მან მოგვცა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის პირველი საფუძვლიანი და დეტალური გეოგრაფიული აღწერილობა, გეოგრაფიული ატლასები.

„საქართველოს გეოგრაფიული აღწერა“ ვახუშტის მთავარ

შრომაში შემავალი იმ გეოგრაფიული თაკების ერთობლიობის პირობითი სახელწოდებაა, რაც წარმოადგენს თავისი ეპოქის მეცნიერულ დონეზე დაწერილ ნაშრომს. მასში განხილულია ხუთი პოლიტიკურ-ეთნიკური ერთეულის (ქართლისა და კახეთის სამეფოების, სამცხე-საათაბაგოს, დასავლეთ საქართველოს და კავკასიონის მაღალმთიანი ჩრდილოეთი კალთის) ბუნებისა და მოსახლეობის თავისებურებანი. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი 2 გეოგრაფიული ატლასი (5 რუკიანი, 1735 წ. და 19 რუკიანი, 1745 წ.) წარმოადგენს კავკასიის ერთი ნაწილის პირველ დეტალურ, საკმაოდ მრავალმასშტაბიან და იმ დროისთვის ზუსტ კარტოგრაფიულ გამოსახულებას. მის რუკებს ავტორის სიცოცხლეშივე მაღალი შეფასება მისცეს ევროპელმა კარტოგრაფებმა და თარგმნეს კიდეც ფრანგულ და რუსულ ენებზე, ამასთან, გამოიყენეს XVIII საუკუნეში შედგენილი მთელი რიგი ევროპული რუკებისათვის. XIX საუკუნის შუახანებამდე სწორედ ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომებით ეცნობოდნენ კავკასიის გეოგრაფიას.

1752 წელს ვახუშტი ბაგრატიონმა რუსულიდან ქართულად თარგმნა „მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია“ 27 რუკიან მსოფლიო ატლასთან ერთად, რომელშიც გამოსახულია იმ დროის ყველა ცნობილი ქვეყანა (სხვათა შორის, ამ სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ გეოგრაფიას თელავის სემინარიაში).

ვახუშტის გეოგრაფიული თხზულება და რუკები მნიშვნელოვანი წვლილია მსოფლიო გეოგრაფიულ მეცნიერებაში. ამასთან იგი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დიდი მცოდნეც იყო. მას ზუსტად ჰქონდა შესწავლილი საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური, ნიადაგურ-რელიეფური და სხვა სამეურნეო-ეკონომიკური თავისებურებანი. მის თხზულებებში საქართველო სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით დაყოფილია 5 ბოტანიკურ-აგრონომიულ ზონად.

მეცნიერულ მუშაობაში კლავდა დიდი მამულიშვილი სამშობლოზე სევდას და დარდს. სამშობლოში ვეღარც დაბრუნდა. გარდაიცვალა 1757 წელს მოსკოვში, დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში სხვა ქართველებთან ერთად.

მკითხველს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, მინდა შევთავაზო ცალკეული ფრაგმენტები ვახუშტის ნაშრომიდან „აღწერა

სამეფოსა საქართველოსა", რათა გაიგონ, თუ როგორები იყვნენ ჩვენი წინაპრები:

ზნეთათვის

ზნენი აქედათ: პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქვეყანისა, ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანიან თვის-თვისთა და თანასწორთა: მთავარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა, და უმცირესნი უმცირესთა და ამის მიერ არა იყო მრავალცოლობა...

სამართლისთვის

ხოლო წესნი სამართლის და შერისხვისათვის აქვნდათ: სისხლი, ხმალი, შანთი, მდუღარე და ფიცი.

ჩვეულებისათვის

ხოლო წესნი ესენი და ჩვეულებანი აქვნდათ, რომელნი ვთქვით, და განუხეთქელობისათვის სამეფოსა მცდელობდნენ და უკეთუ მიულიან საზღვარნი თვისნი, ყოველი მწუხარებდნენ და იჭირვოდნენ კვალად გებასავე და მეფეთა თვისთა მიუდრეკელად ერთგულებდნენ. გარნა თუ სძლიან ვინმე მძლავრთაგანმან, არა დაემორჩილიან, არამედ კვალად იპყრიან თვისნივე წესნი, და არა დაუტევიან ღმერთნი და მეფე და ჩვეულებანი.თვისნი.

ტაბლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდნენ, სკამთა ზედა სხიდიან, ბოდიშობდიან ქუდის მოხდით, ვითარცა აწ მთის კაცნიცა სმიდიან ღვინოს, სჭამდნენ ხორცთა პირუტყვთა და ნადირთათა, ნადიმობდნენ მეფისა თანა და ურთიერთთა თანა. მეფეთა გამეფებათა ზედა გარდააყრიდიან დიდნი და მცირენი სრულიად ოქროსა და ვერცხილისა ტაბაკთა, ვის რა ძალედვა.

ცოლნი თვისთა თანასწორთა ერთი და არა სხვათაებრ მრავალნი.

ამისთვის უწყოდენ მოყვრობა, ნათესაობა, ურთიერთთა მტერობა და მოყვრობა, ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა.

არამედ ქორწილის ჟამსაცა გარდააყრიდიან, ვითარცა მეფესა, ოქროსა და ვერცხლსა ყოველნი მოწვეულნი და მწვეველნი, ვის რა ძალედვა, და არა სიძე-რძლისა იყო იგინი, არამედ მეწდისა მათისა.

მკვდარსა დაიფლვიდიან ყოვლითა შესამოსლითა და საჭურველითა და სამკაულითა თვისითა, ტიროდიან და საბნელოსა სხდიან 40 დღე. აღიპარსნიან თავნი, წვერ-ულვაშნი, წარბნი, წამწამნი და ჩაიხდიდიან წელამდე სამოსელთა მამრნი და მდედრნი, იცემდიან, ვიდრე სისხლისდინებისამდე; არა სჭამდიან ხორცსა და ცხოელსა წლამდე, გარნა მაშინც იძულებითა დიდითა შთაიცვიან ძაძა. ფლასნი და დაიბურიან თავსა თხისურნი ჩაჩნი; განპყვიან საფლავამდე ცოლნი ქმარსა და ქმარნი ცოლთა, და სხვათა ახლოს მოყვასთაცა. ჯინსა შინა მსხდომარენი ბნელსა, ძაძითა მოკრულითა. იმღერდიან მწუხარისა ხმითა ტყებისა ჟამსა არა ჭირისუფალნი, არამედ სხვანი მუნ მყოფნი...

<u>აღდგომისათვის</u>

ხოლო აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირევითა სანოვაგითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფენი და დიდებულნი.

შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა. და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა, დაუწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა, და რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი.

შემდგომად ამისა შექმნიან ბურთობა და, რომელმან მხარემან აჯობის, იყო მხარე-თალარნი სამეფონი, და მისციან მათ თვითოთა თვითო (აგრეთვე ქორწილისა, დიდგამომჩენებისა დღესა შინა ყვიან ესე ასპარეზსა ზედა).

მერმე შემოვიდიან მეფისა თანა და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი მგოსან-სახიობითა.

<u>სახელი რით ეწოდა</u>

ხოლო ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა: პირველად საქართველო, მეორედ ივერია, მესამედ გიორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსაც წილად ხვდა ქვეყანა ესე და, სადა დაეშენა, უწოდა სახელითა თვისითა ქართლი. და მის გამო მორჩილთა ანუ წილხდომილთა ეწოდა საქართველო.

ხოლო მეორე სახელი, ივერია, ენითავე ქართულითა მიეცა,

რამეთუ „იი“ არს შორისყრილი, რომელი არს სასიხარულო ხმა ზახილისა, ხოლო „ვერიე“ — მოვერივე, არამედ წყალობისათვის შეთხზულად — „ივერია“, რამეთუ ოდეს ი მეფემან ადერკიმ მოკლა არშაკ, მეფე ქართლისა, გოლიათობითა თვისითა, მაშინ აღუტევა ხმა სპათა მიმართ თვისთა:

— იი, ვერიე!

და განხმდა ხმა ესე, და იტყოდიან ყოველნი სიმხნისა მისისათვის. ამის გამო იწოდა ივერია.

კვალად **გიორგიაცა** მხნედ მომჭირნეობისა მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა, რამეთუ „გიორგი“ მუშაკად ითარგმნის...

გარნა არს ქვეყანა შვენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა ღვთისა მიერ, და არა ხელოვნებითა კაცთათა, რამეთუ ნაყოფიერებს ყოველნი თესლ-მარცვალნი კაცთა საზრდელნი: ბარინჯანი, ხორბალნი, ქრთილი, შვრია, სიმინდი, ღომი, ფეტვი, მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვი, საკადრისი, ძაძა, მაშა, უგრეხელი, კანაფი, სელი და სხვანიცა.

<u>კაცთათვის</u>

ხოლო კაცნი ამის ქვეყანისანი არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი... უპყრავთ მტკიცედ...

ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, პაეროვანნი, შავ თვალ-წარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზნი, იშვიათ შავგვრემან და მოყვითაინ, იშვიათ თვალჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ.

ქალთა თმა გარდაშვებული და დაწნული, ხოლო კაცთა — ყურთა ზედა მოკვეცილნი.

წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვით სქელნი. მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მსწრაფლნი, მკვირცხლნი, სალაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი (ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა), სტუმართა და უცხოს მოყვარენი, მხიარულნი (უკეთუ ორნი ან სამნი არიან, არარაი შეიჭირვიან), უხვნი (არცა თვისსა და არცა სხვისას კრძალვენ), საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლმიმხვდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყვარენი (არამედ

არს ჟამი რაოდენომე, არღარა ისახელების ცოდნა, თვინიერ წიგ-ნის კითხვისა და წესისა, გალობა-სიმღერისა და სამხედროსაგან კიდე, და ჰგონებენ დიდმცოდინარობად), ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყვა-რენი, თვალმგებნი და მოთაკილენი. ხოლო რომელნი მთათა შინა სცხოვრობენ, — მგზავრნი ნადირთა, გარნა გონიერნი.

ხოლო შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთრიგად: თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვრილი, ბეწ-ვებული, აფროსანი, ტანს კაბა ლარისა, სკლატისა ანუ ჩოხისა მუხლთ ქვემომდე, მასზე სარტყელი, შიგნით საგულე ბამბიანი კაბის უმოკლე, პერანგი აბრეშუმისა, ბამბისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა, და კისერი სრულიად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა, ანუ ბამბისაგან, ანუ ტილოსა. არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწ-რმართული და მოგვნი, თვინიერ მისსა — არა; ფერხთა პაიჭი და წულა ტყავისა ანუ სკლატისა, ხოლო მაშია სპარსული; უმცირეს-თა — ჩუსტი და ქალამანი. კვალად ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარს დიდი.

...კვალად სამკაულნი იციან მრავალგვარნი, ზოგნი თვისნი და ზოგნი სპარსთანი: ზამთარ კაცთა და ქალთა ქათიბი, ტყავი და ტოლომა ბეწულნი, გარნა ქალთა კაბა და ტყავი — ვიდრე მიწამ-დე.“

დავით გურამიშვილი



დავით გურამიშვილი — ეს გენიალური ქართველი პოეტი და მოაზროვნე, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული მამულიშვილი, დაიბადა 1705 წელს საგურამოს ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას, რომელსაც გორისუბანს ეძახდნენ (აქ დღესაც შემორჩენილია ძველი ციხე-დარბაზის ნანგრევები). მაღლობზე შეფენილი ეს სოფელი, ვახუშტის თქმით, ცნობილი ყოფილა „ნაყოფიერი ხილით, ვენახით, მარცელით... პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა, ტყითა, ველითა და მთითა შემკობილითა“.

ამ მიდამოებში გურამიშვილები შედარებით გვიან, XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე დამკვიდრებულან. მისი წინაპრები ისტორიულად დიდგვაროვან ზევდგინიძეთა ოჯახს ეკუთვნოდნენ. როგორც კი სამხრეთ საქართველოში, მესხეთ-ჯავახეთში, თურქული ექსპანსია — მოსახლეობის შევიწროვება და გამუსულმანება დაიწყო, ისინი აიყარნენ და შიდა ქართლში და კახეთში გადმოსახლდნენ.

ზევდგინიძეთა გვარი ქართლსა და კახეთში გადმოსახლების შემდგომ რამდენიმე შტოდ დაიყო. XV საუკუნის ერთ-ერთ ქრონიკაში („მცხეთის გუჯარი“) მოხსენიებულია თავადი გურამ ზედგინიძე, რომელმაც როგორც ჩანს, სათავე დაუდო ახალ გვარეუ-

ლობას, რომელთა შთამომავლები — გურამიშვილები დამკვიდრებულან ქართლ-კახეთის საზღვარზე, სწორედ საგურამოს მიდამოებში და სახელი „საგურამო", როგორც ჩანს, მათივე გვარიდან მომდინარეობს (ს. ციშვილი).

ძველ საქართველოში დამკვიდრებული წესის თანახმად, ისიც გაუძიძებიათ ღარიბი გლეხის ოჯახში (ამ ტრადიციას უალრესად დადებითი მნიშვნელობა პქონდა წოდებათა დაახლოების საქმეში). უთუოდ ძიძასთან ყოფნისას შეითვისა დავითმა მდიდარი ხალხური სიტყვიერება, მადლიანი ქართული, რომელიც მას სამშობლოდან მოწყვეტილს, ღრმა მოხუცებულობამდე ასე ცოცხლად შემორჩა.

დავითის მამა-პაპა ქართლ-კახეთის მეფეთა კარზე დაწინაურებული დიდგვაროვნები იყვნენ. დავითის ბავშვობა დაემთხვა ვახტანგ VI-ის ჯერ ჯანიშინობის, მერე კი მეფობის პერიოდს. ეს იყო ქართლის სოციალ-ეკონომიკური და, განსაკუთრებით, კულტურული აღმავლობის ხანა, რომელიც სულ ორ ათეულ წლამდე გაგრძელდა. დავითსაც, როგორც არისტოკრატიული ოჯახის შვილს, გარკვეული განათლება უნდა მიეღო. „დავითიანში" გურამიშვილი მოგვითხრობს თავის საგურამოზე, სადაც ცხოვრობდნენ მისი მშობლები, ნათესავები და სადაც მან გაატარა სიჭაბუკე.

მის სამშობლოს კი უკვე მძიმე დღეები ედგა. სამი ვეშაპი (რუსეთი, თურქეთი და ირანი) და ლეკთა რაზმები ცდილობდნენ ქართლის დამორჩილებას და გაძარცვას. ამას თან ერთვოდა შიდა დაპირისპირება ქართლ-კახეთსა და საქართველოს სხვა სამთავროებს შორის. ამიტომაც იყო, რომ „ქართლი იბერიის იმ დაბლობს აღარ წარმოადგენდა, სადაც სტრაბონმა დათვალა მრავალრიცხოვანი ქალაქები და საუცხოო შენობები. თათრებმა და დაღესტნელებმა ისე გაანადგურეს ეს კურთხეული ქვეყანა, რომ იგი მიტოვებულ უდაბნოდ აქციეს და ახლა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოდგენაც კი არ აქვს, რას ნიშნავს კეთილი ცხოვრება. ხალხი მიწურებში შეხიზნულა და მხოლოდ გადარჩენის საშუალებას ეძებს, მაგრამ მეტწილად უშედეგოდ. მოთარეშე ლეკი მათ აქაც პოულობს" (იაკობ რეინეგსი).

თავისი ქვეყნის ასეთი ყოფით გულშეძრული დავითი წერდა:

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა მჭევრი!

...თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,

სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!
მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი;
თავის თავთა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!"

ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 18-19 წლის დავითს მონაწილეობა მიუღია ბრძოლებში, მაგ. გორთან, ზედაველთან 1723 (თუ 1724) წელს გამართულ ბრძოლაში ოსმალთა წინააღმდეგ. ქართლში 1723 წელს ოსმალთა ბატონობის და ლეკ-აბრაგთა გააქტიურების შემდეგ ვახტანგ VI ჯერ რაჭაში გადავიდა, იქიდან კი 1724 წლის ზაფხულში 1200 კაციანი ამალით რუსეთს წავიდა. ამის შემდეგ ქართლი მთლიანად ანარქიამ მოიცვა. მოსახლეობა სხვა კუთხეებში გარბოდა. ლეკთაგან და ოსმალთაგან თავის დაცვა შეუძლებელი გახდა. ოსმალეთისა და ყირიმის ბაზრები აიკსო ქართველი ტყვეებით, რომლებსაც მართლაც ჩალის ფასად ჰყიდნენ მოთარეშე ლეკები. „ქართლის ამ ჭირს" ვერც გურამიშვილი გადაურჩა. ახლად დაქორწინებული დავითი გახიზნულა სოფელ ლამისყანაში, თავისი მოყვრების აზნაურ გარაყანიძეების ოჯახში. როცა ოჯახი მკისაოვის ემზადებოდა და მამითადის პურობას აპირებდნენ, დავითი ორ მხლებელთან ერთად წყაროსთან ჩასულა, იარაღი აუყრია და პირის დაბანვა დაუწყია. სწორედ ამ დროს მათ თავს დაესხა ლეკთა 15 კაციანი რაზმი (არაა ცნობილი, თუ რა ბედი ეწია დავითის მხლებლებს). ეს 1727 წლის ზაფხულში მოხდა. დავითს მხარი გაუკრეს და თუშ-ფშავ-ხევსურეთის გავლით დაღესტანს გადაიყვანეს:

„შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიდვეს გენია,
გარდმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია".

ლეკებმა იგი დაღესტნის ერთ-ერთ აულში, სოფელ ოსოქოლოში ჩაიყვანეს და მისი გაყიდვა სცადეს. დავითმა ენით უთქმელ ტანჯვა-წამებას ვეღარ გაუძლო და ორჯერ სცადა გაპარვა. პირველი გაპარვა წარუმატებელი აღმოჩნდა, დაიჭირეს, ძლიერ სცემეს და ორმოში ჩააგდეს. ლეკებმა მისი უდრეკი რწმენა და თავისუფლების სიყვარული მაინც ვერ გატეხეს. 11 დღე, მშიერ-მწყურვალი, დახეულ-დაგლეჯილი ტანსაცმლით გარბოდა იგი და ბოლოს კაზაკთა დასახლებებს მიაღწია.

საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ახალგაზრდა დავითმა იცოდა, რომ მოსკოვში ვახტანგ მეფე და

მისი ამალა იმყოფებოდა და მათთან წავიდა. ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ 1729 წელს იგი მოსკოვში ჩავიდა ვახტანგ VI-სთან და იქ დამკვიდრდა, „პატარა საქართველოში“.

თავგანწირული და პატრიოტი ჯაბუკი ვახტანგმა დიდი პატივით მიიღო. აქ მას საკმაოდ მაღალი თანამდებობა — ჯაბადარბაშობა (იარაღის საწყობების ხელმძღვანელობა) მისცეს. აქვე ნახა დავითმა თავისი ბიძა მერაბ გურამიშვილი და თავისი ძმა ქრისტეფორე (ქაიხოსრო) — შემდგომში ქართული შრიფტის შემქმნელი, ასევე რუსეთში ქართული სტამბის დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი.

ვახტანგ VI-სთან მოსკოვში მყოფ მოღვაწეთათვის, მათ შორის დავით გურამიშვილისთვის, მეტად ნაყოფიერი და სასარგებლო აღმოჩნდა იქ გატარებული წლები. ვახტანგის კარი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის კერად იყო ქცეული, სადაც განსაკუთრებულ პატივში იყო პოეზია, მხატვრული მწერლობა. იმართებოდა პოეტთა შეჯიბრებებიც. ერთ-ერთ ასეთ შეჯიბრს თავად ავტორი იგონებს „დავითიანში“. მას აქ მწარედ დაუმარცხებია პოეტი ჯავახიშვილი. აქვე მოიხვეჭა დავითმა პოეტის სახელი. გურამიშვილის პოეზიის აშკარად დიდაქტიკურ-განმანათლებლური ნაკადიც აქ გატარებული წლებიდან იღებს სათავეს.

ნადირ-შაპის გამოჩენამ აღმოსავლეთის ასპარეზზე ძალიან შეცვალა მოვლენათა მსვლელობა. მან რუსებს ჯერ უკან წაართვა თავისი დაკარგული ტერიტორიები, შემდეგ კი დაუზავდა მათ. მალე ნადირ-შაპმა თურქებიც დაამარცხა.

ამან საბოლოოდ დაასამარა ვახტანგ VI-ის იმედები, რომელიც 1737 წელს ასტრახანში გარდაიცვალა. ლიდერის გარეშე დარჩენილი ქართული ემიგრაცია დილემის წინაშე აღმოჩნდა. ისინი ან სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ, ან რუსეთის ქვეშევრდომობა უნდა მიეღოთ. ამის სანაცვლოდ მეფის მთავრობა მათ რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში ყმასა და მამულს ჰპირდებოდა (თავადებს 40, აზნაურებს კი 20 კომლ ყმას). ამ დროს, 1747 წლამდე ქართლ-კახეთში კვლავ ურთულესი სიტუაცია იყო — 1735 წელს ოსმალობა ყიზილბაშობამ შეცვალა და ისედაც გაუსაძლისი მდგომარეობა უფრო და უფრო ღრმავდებოდა. ამასთან, ვახტანგის მომხრე თავადები შეიძლებოდა შეერისხათ კახელ ბაგრატიო-

ნებს (თეიმურაზ II და ერეკლე II). ამიტომ უდიდესმა უმრავლესობამ რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. დავითმაც აღიარა რუსეთის ქვეშევრდომობა. მას დაენიშნა ჯამაგირი, ხოლო მამულები ქართველების ერთ ჯგუფთან ერთად ერგო უკრაინაში, კერძოდ, მირგოროდსა და ზუბოვკაში 30 კომლ ყმა-გლეხთან ერთად.

1738 წელს რუსეთში საცხოვრებლად დარჩენილ ქართველთაგან ჩამოყალიბდა „ქართველ ჰუსართა ასეული", რომელიც შემდეგ პოლკად გადაკეთდა მრავალრიცხოვნობის გამო. დავით გურამიშვილი ამ პოლკის წევრი გახდა და რიგითი ჯარისკაციდან პორუჩიკობამდე მიაღწია. მან მონაწილეობა მიიღო რუსეთის მიერ წარმოებულ ომებში თურქეთის, შვეციისა და პრუსიის წინააღმდეგ. დავითმა ამ ომებში თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა და გონიერმა მეომარმა და მეთაურმა. იგი დააწინაურეს და ჯერ კაპრალად, შემდეგ კვარტირმეისტერად, 1740 წლიდან კი ასეულის ვახმისტრად დანიშნეს. პრუსიის წინააღმდეგ 7 წლიან ომში (1756-63წ.წ.) კისტრინის ცნობილ ბრძოლაში იგი ტყვედ ჩავარდა — მისი ცხენი ჭაობში ჩაეფლო, თავად ცხენიდან გადმოვარდნის დროს მხარი ძლიერ დაიშავა და გონიც დაკარგა. უკანდახეულმა პრუსიელებმა პოეტი თან წაიყვანეს და მაგდებურგის ციხეში მოათავსეს. 1759 წლის ოქტომბრის ხელშეკრულებით მოხდა ტყვეთა გაცვლა და 7 დეკემბერს დავითიც გაათავისუფლეს ტყვეობიდან. იგი დასნეულებული იყო, დაზიანებული მხარიც ძალზე აწუხებდა, ამიტომ ვადაზე ადრე გაუშვეს დამსახურებულ პენსიაზე. უკრაინაში დაბრუნებულ ჯანმრთელობაშერყეულ პოეტს მამული გაპარტახებული დახვდა. მაინც გული არ გაიტეხა, თავის ახალგაზრდა მეუღლესთან, ტატიანა ავალიშვილთან ერთად შეუდგა დანგრეულის აღდგენას.

დღედაღამ მაინც საქართველოზე ფიქრობდა. შინ ვეღარ მოახერხა დაბრუნება, ამიტომაც ლექსების წერით იქარვებდა სამშობლოზე სევდას და დარდს, მხოლოდ სიზმარში თუ ხედავდა თავის სათაყვანებელ საქართველოს პეიზაჟებს, საგურამოს და მცხეთის ჯვარს.

დავითი აქტიურად მონაწილეობდა ქართული ახალშენის ცხოვრებაში, საირიგაციო სისტემის თავისებური პროექტიც კი შეუდგენია. პირად ცხოვრებაში კი ბედი კვლავ არ სწყალობდა. შვილს ვერ ეღირსა და სამაგიეროდ იშვილა „დავითიანი" — თავისი ლექ-

სების უნიკალური და საოცარი კრებული. მას ქმნიდა წლების განმავლობაში, ელოლიავებოდა და ეფერებოდა შეილივით. „დავითიანის“ ყოველი ლექსი, ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია მრავალტანჯული პოეტის გულწრფელი სინანულით, „მართლის თქმით“ (ანუ ობიექტურობით), დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით.

1787 წელს უკრაინაში, კრემენჩუგში მდგარ ფელდმარშალ პოტიომკინთან საქართველოდან ელჩად ჩავიდა ერეკლე მეორის ვაჟი მირიან ბატონიშვილი. დავით გურამიშვილმა საკუთარი ხელით გადაწერილი კრებული „დავითიანი“ (თავისი ერთადერთი პირმშო, როგორც ის უწოდებდა კრებულს) მიართვა მირიან ბატონიშვილს, რომელმაც, ჩვენდა საბედნიეროდ, იგი ხელუხლებლად ჩამოიტანა. ეს კრებული ყველაზე ძვირფასი რამ არის, რაც გურამიშვილს შეეძლო მიეძღვნა თავისი მშობელი ქვეყნისა და ერისათვის.

ამის შემდეგ კი, რაც თავისი პატრიოტული ვალი აღასრულა, სიკვდილიც შეიძლებოდა. დიდხანს აღარც უცოცხლია — გარდაიცვალა 1792 წლის თიბათვეში. დავით გურამიშვილი დაკრძალეს მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, სადაც დღემდე განისვენებს.

დავით გურამიშვილი ახალი ქართული პოეზიის ერთ-ერთი მთავარი მესაძირკველე და ნოვატორია. სწორედ მან დაიწყო ის პოეტური ძიებანი, რომელიც ასე წარმატებით განასრულა ახალგაზრდა ბარათაშვილმა. მისი ლექსების ენა მთლიანად გასაგებია დღევანდელობისათვის, სწორედ მან დაიწყო ქართული მხატვრული სიტყვის დემოკრატიზაცია.

დავით გურამიშვილი ქართული პოეზიის მამამთავრად რუსთველს აღიარებდა და მის გაკვეულ გავლენასაც განიცდიდა, ოღონდ თავისი თანამედროვე სხვა მწერლებისგან განსხვავებით მან შემოქმედებითად აითვისა რუსთველის მემკვიდრეობა, გაკაფა ახალი გზები და შექმნა სრულიად ორიგინალური პოეტური სამყარო. ძველ ქართულ პოეზიაში ქართველი ხალხის ეროვნული ბედ-იღბალი და პატრიოტული სულისკვეთება ისე არავის გამოუხატავს და წარმოუჩენია, როგორც ეს გურამიშვილმა გააკეთა. მან პირველმა დაძლია აღმოსავლური პოეზიის გავლენა და ბუნებრივი მეტყველება გააბატონა. „დავითიანში“ ლექსებთან ერთად ორი პოემაა შესული. პირველი ისტორიული ხასიათისაა და პირო-

ბითად „ქართლის ჭირი“ ეწოდება. მასში შთამბეჭდავი პოეტური ძალითა და ფერადოვნებით არის გადმოცემული იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობა. „მართლის თქმა“ გურამიშვილის შემოქმედებითი მეთოდია, რადგან „ფარცა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“:

„ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო, ალმა მხვნელსა, დალმა მბარავს,
ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს...
...ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად...“

დავით გურამიშვილი ღრმად ჩასწვდა იმ მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს ქართლის დაქცევა. მისი აზრით, გარეშე მტრის გარდა ამ საქმეში ლომის წილი მიუძღვის ძმათა შორის ატეხილ სისხლისმღვრელ ომებს, ფეოდალურ ეგოიზმს და უპასუხისმგებლობას. „ქართლის ჭირი“ საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში პოეტის მიერ ჩართულია საკუთარი ბიოგრაფიული პასაჟები, მისი ტრაგიკული ცხოვრების ეპიზოდები. პოემაში გადმოცემული ყოველი კონკრეტული ფაქტი ფართო განმაზოგადებელ ძალასაც იძენს. პირადული და საზოგადო (ჭირი) აქ ერთ მთლიან, მხატვრულად დამაჯერებელ სურათს ქმნის. პოემის შესავალში გადმოცემულია დიდაქტიკურ-განმანათლებლური ბრწყინვალე იდეები. „სწავლა მოსწავლეთა“ ავითარებს იმ აზრს, რომ სწავლა-განათლების აღორძინება ქვეყნის ხსნის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. „დავითიანში“ ჩართული მეორე პოემა „ქაცვია მწყემსი“ პირველი საყოფაცხოვრებო ხასიათის პოემაა ქართულ პოეზიაში, რომლის გმირები უბრალო, დაბალი წრის ადამიანები, ბუნების ლაღი შვილები არიან.

გურამიშვილის ლირიკულ ლექსებში დასმულია ღრმა ფილოსოფიური და ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. ადამიანი, მისი ამქვეყნიური ხვედრი, სიკვდილ სიცოცხლის მარადიული მონაცვლეობა მისი პოეზიის შედევრის უმთავრესი თემაა. აქ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რელიგიურ განცდებს. საბედნიეროდ, არ ახდა პოეტის გოდება და წუხილი იმის თაობაზე, რომ „ცოცხალიც აღარ ვახსოვარ, მკვდარს ვინღა მამიგონებსა“. გურამიშვილი ქართველების ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტია, „დავითიანის“ შექმნით მან უკვდავებაში შეაბიჯა.

ერეკლე II

საქართველოს უკანასკნელი დიდი მეფე ერეკლე II დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს. იგი გამაჰმადიანებული კახთა მეფის კონსტანტინეს ძმისწული იყო. 1733 წლიდან კახეთის მეფედ ოსმალებმა დაამტკიცეს თეიმურაზ II — მამა ერეკლე II-ისა. თეიმურაზი ჭკვიანი პოლიტიკოსი და ნიჭიერი სარდალი იყო. მის კარზე იზრდებოდა ერეკლე, პატარა კახად წოდებული. საომარ ხელოვნებას აბელ ანდრონიკაშვილი ასწავლიდა მომავალ დიდ ხელმწიფეს, ღვთისმეტყველებას - ონოფრე ბოდბელი, გალობას - დიმიტრი ხელაშვილი.

1735 წლიდან კახეთის სამეფო ,,ოსმალობისაგან" გათავისუფლდა, მაგრამ ირანს მოევლინა ნადირშაპი, უმამაცესი და უნიჭიერესი მმართველი შაჰ-აბასის შემდგომ და ოსმალობა ,,ყიზილბაშობამ" შეცვალა.

მრავალგზის დალაშქრა საქართველო ნადირშაპმა და დიდი უბედურებაც დაატრიალა ქართლ-კახეთში. მოხერხებულმა თეიმურაზმა მაინც შეძლო საერთო ენის გამონახვა მრისხანე დამპყრობელთან. თეიმურაზმა და მისმა სათნო მეუღლემ თამარმა ასული ქეთევანი მიათხოვეს ნადირშაპის ძმისწულს ალი ყული-ხანს.

ხოლო ტახტის მემკვიდრე ერეკლე ნადირის მოთხოვნით მძეელად დატოვეს ირანის მბრძანებელთან. 17 წლის ერეკლემ მონაწილეობა მიიღო ნადირშაპის ინდოეთის ლაშქრობაში. ნადირ შაპმა „რეშტის ტრაქტატით" რუსებს კვლავ წაართვა კასპიის ზღვის სანაპირო, მაზანდარანისა და ასტარაბადის მიდამოები და ოსმალეთიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან განდევნა. ნადირშაპმა ინდოეთში სახელოვნად ილაშქრა და 1739 წელს ერეკლე საქართველოში დაბრუნა. ინდოეთის დალაშქვრის შემდეგ ნადირმა თურქესტანი დაიპყრო ბუხარათი და სამარყანდით. მალე მან დაღესტნისა და ჭარის ლეკთა დამორჩილება გადაწყვიტა. დაღესტნის ომიდან ნადირ შაპი დამარცხებული დაბრუნდა, მაგრამ 1743 წელს კვლავ განაახლა ომი ოსმალეთთან და დიდ წარმატებებსაც მიაღწია.

თეიმურაზი და ერეკლე გვერდში უდგნენ ამ ბრძოლებში ნადირ-შაპს და მისი ნდობა მოიპოვეს. თეიმურაზმა კახეთის ხარკი დიდად შეამცირებინა შაპს ჭკვიანური ქმედებით და თანადგომით. 1744 წლის ზაფხულში ნადირშაპმა ქართლის მეფობა უბოძა თეიმურაზს, ხოლო კახეთისა მის შვილს ერეკლეს. ქრისტიან მეფეთა ასვლა ტახტზე (1632 წლიდან მაპმადიანი მეფენი მართავდნენ აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებს) ქართველთა დიდი გამარჯვება გახლდათ და „იყო სიხარული ქართლსა და კახეთს, სიხარული უზომო" (პაპუნა ორბელიანი). ამით ბრძოლა ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობისათვის ახალ ფაზაში შევიდა.

1743 წლიდან თეიმურაზი და ერეკლე მონაწილეობდნენ ოსმალთა წინააღმდეგ ნადირშაპის მიერ დაწყებულ ომში და მრავალგზის დაამარცხეს თურქები. 1746 წელს ირანი და თურქეთი დაზავდნენ, მათ შორის კვლავ ძველი საზღვრები აღდგა. მალე ირანში დიდი აჯანყებები დაიწყო მრისხანე შაპის წინააღმდეგ და 1747 წლის ივნისში შეთქმულებმა ნადირშაპი მოკლეს კიდეც. ტახტზე ავიდა მისი ძმისწული ალიყული ხანი - თეიმურაზის სიძე. ამ დროს თეიმურაზი ირანში იყო და ქართლი საპატრონოდ ერეკლეს და აბდულა-ბეგ იესეს ძეს დაუტოვა. აბდულა-ბეგი ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ძმის ასევე ქართლის მეფის იესეს შვილი იყო და თეიმურაზს ქართლის ტახტს ეცილებოდა. მან შეძლო ქართლის შემომტკიცება მამამისის აქ არყოფნის ჟამს. ერეკლემ 1748 წელს საბოლოოდ გაწმინდა თბილისის ციხეები აბდულ-ბე-

გის მომხრე ყიზილბაშებისაგან. მალე ერეკლეს ქედი მოუხარეს სომხეთ-აზერბაიჯანის სახანოებმა და საჩუქრები მიართვეს. 1748 წელს ქართლ-კახეთმა უკანასკნელად გადაუხადა ხარკი ირანის შაჰს - ასიოდე ქართველი მოლაშქრე და რამდენიმე ქალი. 1749 წელს თეიმურაზი სამშობლოში დაბრუნდა და ამიერიდან ქართლ-კახეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ამ დროს ირანი შინაომებმა მოიცვეს და იგი ძლიერ დასუსტდა, 50-იან წლებში კი სახანოებად დაიშალა. ირანის ახალი შაჰები დიდი მოკრძალებით და პატივით ეპყრობოდნენ მამა-შვილს. ორი წლის შემდეგ (1749 წელს) სამშობლოში დაბრუნებულმა თეიმურაზმა თან ჩამოიტანა სიგელი იმის შესახებ, რომ ყაზახ-ბორჩალო ქართლ-კახეთის სამეფოს კუთვნილება იყო. ამრიგად გაფართოვდა ქვეყნის საზღვრები და განმტკიცდა მისი ძლიერება.

1749 წელს შემოდგომაზე ერევნის ხანს შეუტიეს თურქმანულმა ტომებმა. თეიმურაზი და ერეკლე დაეხმარნენ მას. ერევნის სახანო ქართლ-კახეთის მფარველობაში შევიდა და მამა-შვილის ვასალი გახდა. ერევნის შემდეგ ქართლ-კახეთის მფარველობა აღიარა ნახიჩევანის ხანმა - ქართველმა ბამანმა. ქართლ-კახეთი ამიერკავკასიის ხალხთა იმედად იქცა. 1750 წელს თეიმურაზსა და ერეკლეს დახმარება სთხოვა განჯის ხანმა ყარაბაღის ფანა-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფანა-ხანი დაამარცხეს და დახმარების საფასურად მამა-შვილმა შამშადილის მხარე წაართვეს განჯის ხანს. ყარაბაღის ხანი მალე მამა-შვილის მომხრეთა ბანაკს შეუერთდა. ქართლ-კახეთში მშვიდობა დამყარდა და ქვეყანამ მოშენება იწყო, ეკონომიკურად და კულტურულად განვითარდა. თბილისი ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცენტრად იქცა. მრავალი ქართველი კვლავ უბრუნდებოდა ქრისტიანობას.

ქართლ-კახეთის მეფენი ნელ-ნელა შეუდგნენ უდიდესი ჭირის მოშორებას საქართველოსთვის - ჭარ-ბელაქნისა და დაღესტნელი ლეკების ალაგმვას. ისინი უდიდეს მატერიალურ და მორალურ ზიანს აყენებდნენ ქვეყანას. 50-იანი წლებიდან დაღესტნელთა შემოსევები კიდევ უფრო გახშირდა - მათ აქეზებდა ოსმალეთის სულთანი.

1750 წელს იორ-ალაზნის შესაყართან, დანღისში ერეკლეს ჯარმა სასტიკად დაამარცხა ლეკთა მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელმაც ყაზახი დაარბია.

1751 წლის თებერვალში თეიმურაზი და ერეკლე ჯარებით ჭარის დასაპყრობად დაიძრნენ. თეიმურაზის და ერეკლეს მიერ ჭარის დაპყრობით შაქის მმართველს აჯი ჩელების, რომელსაც ასევე მტრობდნენ ლეკები, დიდი უსიამოვნება ელოდა. ამიტომ იგი თვით შეებრძოლა მამა-შვილს. მათ უღალატა აგრეთვე განჯის ხანმა და 1751 წლის 15 თებერვალს აგრი-ჩაისთან ერეკლე და თეიმურაზი მძიმედ დამარცხდნენ. ერეკლე ტყვეობისაგან თავადმა პაპა მებურიშვილმა, ვაჩნაძემ და გლეხმა დათუნა ბოსტაშვილმა იხსნეს.

აღნიშნულმა მარცხმა გაათამამა ქართლ-კახეთის მტრები. შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია. 1751 წლის ივლისში ერევნის სახანოს შეუტია აზატ-ხან ავღანმა, რომელიც ირანის ტახტისათვის იბრძოდა. ერეკლემ თავისი ვასალი იხსნა უდიდესი სამხედრო ნიჭის წყალობით. ჯერ ალყისაგან გაათავისუფლა ერევანი, მერე კი ყირბულახთან სასტიკად დაამარცხა აზატ-ხანის 18 ათასიანი ლაშქარი. ყირბულახთან გამარჯვებამ დიდად აამაღლა ერეკლეს ავტორიტეტი.

1752 წლის დასაწყისში ერეკლემ კვლავ მრავალგზის დალაშქრა ლეკთა მოთარეშე რაზმები და მოემზადა აჯი ჩელების დასასჯელად. აჯი ჩელებს ამ დროს მამა-შვილის წინააღმდეგ კოალიცია შეუდგენია. ქართველთა ჯარები განჯასთან იდგნენ, საიდანაც შაქში შეჭრას აპირებდნენ. მაგრამ ერეკლეს კვლავ უღალატეს მოკავშირე ხანებმა და 1752 წლის აპრილში ქართველები განჯასთან კვლავ მწარედ დამარცხდნენ. ზარალიც დიდი იყო. ამ დამარცხებამ შეარყია თეიმურაზისა და ერეკლეს ავტორიტეტი ამიერკავკასიაში. ამით ისარგებლა აზატ-ხანმა და კვლავ დაიმორჩილა ერევნის ხანი. საჭირო იყო ენერგიული ზომების გატარება აშეებული და გალაღებული მტრის წინააღმდეგ და სამთვიანი საგანგებო მზადების შემდეგ მამა-შვილმა 1752 წლის 1 სექტემბერს თულქითაფასთან სასტიკად დაამარცხეს აჯიჩელები, სამაგალითოდ დასაჯეს ყახაზი და შამშადილელი მოღალატენი. აზატ-ხანი იძულებული გახდა დაზავებოდა მათ. ერეკლესა და თეიმურაზის ავტორიტეტი კვლავ აღსდგა ამიერკავკასიაში. 50-იანი წლებიდან არნახულად გაიზარდა ერეკლეს ავტორიტეტი როგორც აზიაში, ასევე ევროპაში. ევროპაში ხმები გავრცელდა, თითქოს ერეკლემ სპარსეთი

დაიპყრო და ოსმალეთში შეჭრისათვის ემზადებოდა. დაიწყო მშვიდობიანობის და აღმშენებლობის პერიოდი. შენდებოდა თავდასაცავი ნაგებობანი, ციხეები, საფარაეები.

1754 წელს კახეთს შემოესია დაღესტანში ამ დროს გაძლიერებული ხუნძახის მფლობელი ნურსალ-ბეგი. მისმა ლაშქარმა დაარბია კახეთის რამდენიმე სოფელი და შემდგომ არაგვის საერისთავოში გადავიდა და ალყა შემოარტყა მჭადისჯვრის ციხეს. ერეკლემ და თეიმურაზმა დუშეთთან ჯარები გააერთიანეს და 1754 წლის 16 აგვისტოს მტრის დიდი ჯარი გაანადგურეს.

1755 წელს ავარიის ხანი შემოესია კახეთს დაღესტნისა და ჭარ-ბელაქნის 20-ათასიანი ლაშქრით. ერეკლემ მოთარეშენი ამჯერადაც სასტიკად დაამარცხა ყვარლის ციხესთან და უკუაქცია. ამის შემდეგ ლეკებმა კვლავ მცირე რაზმებით იწყეს ქვეყნის რბევა. მათ ჯერ საინგილოდან, მერე კი საბარათიანოდან თითქმის მთლად გააქციეს ქართული მოსახლეობა. 1757 წელს ქართველებმა დაამარცხეს ზემო ქართლში შეჭრილი დაღესტნელთა 4 ათასიანი ლაშქარი, ხოლო 1759 წელს კი 8 ათასიანი ლაშქარი კოხტა ბელადისა და ჩონჩოლ-მუსას სარდლობით. დაღესტნელ მოთარეშეებზე მოპოვებულმა ამ გამარჯვებებმა კიდევ უფრო გაზარდეს ქართლ-კახეთის ავტორიტეტი და შიშის ზარი დასცეს ლეკებს. ჭარსა და კახეთს შორის მშვიდობა ჩამოვარდა. მეფეებთან მშვიდობა არჩიეს სხვა მთავრებმაც.

1758 წელს ერეკლე II-მ და იმერეთის მეფე სოლომონ I-მა სამოკავშირეო ხელშეკრულება დასდეს ურთიერთმისახმარებლად, რაც ასევე წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისათვის. მამა-შვილმა კარგად იცოდნენ, რომ ქართლ-კახეთის ბედი დიდად იყო დაკავშირებული ირანში მომხდარ ცვლილებებთან. მათ გადაწყვიტეს დახმარების თხოვნა რუსეთისათვის. თეიმურაზსა და ერეკლეს ნდომებიათ რუსთა ჯარის დახმარებით ირანში ლაშქრობა და იქ მათთვის და რუსთათვის სასურველი შაჰის დასმა. რუსეთზე ორიენტაციის აღება, როგორც მოვლენებმა ცხადყვეს, შეცდომა იყო. რუსეთს ამიერკავკასიაში მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა ყოველთვის და არა საქართველოს დახმარების სურვილი. რუსეთზე ორიენტაციის აღება აცოფებდა ირანისა და ოსმალეთის მთავრობებს. ამიტომ მამა-შვილმა

კონფლიქტი გაითამაშეს თეიმურაზის რუსეთში გამგზავრების წინ - ვითომდაც სამტროდ გადაეკიდნენ ისინი ურთიერთს.

1760 წლის აპრილში თეიმურაზი ამალით პეტერბურგში გაემგზავრა რუსეთისათვის დახმარების სათხოვნელად. რუსეთს კი, როგორც ყოველთვის, საქართველოსათვის „არ ეცალა", იგი შვიდწლიან ომში იყო ჩაბმული.

1762 წლის იანვარს თეიმურაზ II უეცრად გარდაიცვალა პეტერბურგში. თეიმურაზი ასტრახანს წამოასვენეს და მიძინების ტაძარში თავის სიმამრის - ვახტანგ VI-ის გვერდით დაკრძალეს. თეიმურაზ მეორემ თავისი ნიჭიერებით და წინდახედული დიპლომატიით დიდად შეუწყო ხელი ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერებას და წინსვლას. რუსეთში წასვლის წინ თეიმურაზმა ქართლის ტახტის მემკვიდრედ უდროოდ გარდაცვლილი ვახტანგ ერეკლეს ძის მაგიერ კვლავ ერეკლე II დანიშნა.

ამრიგად, 1762 წლიდან ერეკლე II შეიქნა ქართლ-კახეთის გაერთიანებული სახელმწიფოს მეფედ.

60-იან წლებიდან ერეკლეს ენერგიული მოღვაწეობის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფო კიდევ უფრო გაძლიერდა. თეიმურაზ II-ის რუსეთში ყოფნის ჟამს 1760 წლის დეკემბერში მან სასტიკი დამარცხება აგემა ყარაბაღის მმართველს ფანა-ხანს და თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია იგი, იმავდროულად განჯაც დაიმორჩილა მეფემ. ერეკლემ კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი ბატონობა სომხეთშიც. ქართლ-კახეთის ვასალობა და მისი უზენაესობა აღიარეს შამახიის, შაქის და ნახჩევანის მმართველებმაც.

1762 წლის დასასრულს ირანში ტახტისათვის ბრძოლაში გაიმარჯვა ქერიმ-ხანმა და თითქმის მთელი ირანი გააერთიანა. მან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ერეკლესთან, თავისთან დაიბარა და სამხრეთ აზერბაიჯანის ბატონობაც შესთავაზა. გოგო-ბიჭებით ხარკის გადახდაც მოუთხოვია ირანის გამგებელს, მაგრამ უარი ძიიღო. მალე 60 ათასიანი ლაშქრით არაქსის ნაპირებთან მოვიდა ქერიმ-ხანი, მაგრამ ერეკლეს მხარი დაუჭირეს ზემოთ აღნიშნულმა სახანოებმა, რამაც გადააფიქრებინა ამ დამპყრობელს ქართველებთან შებმა და უომრად გაბრუნდა უკან.

1760 წელს ერეკლემ დაატყვევა ირანის ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტი აზატ-ხანი. ქერიმ-ხანმა დიდძალი საჩუქრები მოართვა

ერეკლეს და მისი გადაცემა მოითხოვა. 1763 წელს ერეკლემ ეს თხოვნა დააკმაყოფილა და ამით ქვეყნის დამოუკიდებლობა კიდევ უფრო განამტკიცა. ქერიმ-ხანმა ერეკლე II ქაროლ-კახეთის მეფედ აღიარა და შეურიგდა ერეკლეს გაელენას ამიერკავკასიის სახანოებზე. ერეკლემ მალე შეზღუდა თავგასული ფეოდალებიც და თავისი მდგომარეობა განამტკიცა ქვეყნის შიგნით; მაგრამ ქართლის სამეფოს მკვიდრი ზოგიერთი ორგული თავადი არ ცნობდა კახეთის ბაგრატიონთა უფლებებს ქართლის ტახტზე და „მუხრანელ“ ბაგრატიონთა ტახტის აღდგენისათვის იბძროდნენ. ისინი დაუკავშირდნენ ვახტანგ მეფის უკანონო შვილს - პაატას და სახელმწიფო გადატრიალების მოშზადება იწყეს. 1752 წელს რუსეთიდან გამოქცეული პაატა ბატონიშვილი განათლებული პიროვნება ყოფილა. ადრე მოღალატური საქმიანობისათვის დაპატიმრებული პაატა ერეკლემ შეიწყალა, მაგრამ არ მოიშალა მან ქვეგამხედვარობა მეფისა. პაატას აქტიურად უჭერდა მხარს სახლთუხუცესი დიმიტრი ამილახვარი და მისი ვაჟი 15 წლის ალექსანდრე (შემდეგში ცნობილი ისტორიკოსი, „გეორგიანული ისტორიის“ ავტორი), აგრეთვე სხვა თავადნი. როგორც დავით ბატონიშვილი გადმოგვცემს, „სცნა რა ესე მეფემან, შეიპყრო ესენი; შეიკრიბნენ ქართველნი (სასამართლოზე - ᲗᲐᲨ.) და მოკვეთეს პაატას თავი და დაწვეს ცეცხლში თაქთაქიშვილი ელიზბარი და დიმიტრი პატიმარ-ჰყვეს და შეურაცხყვეს აღდგომითა მისთა კარაულსა ზედა, და მოკვეთეს ძესა მისსა ალექსანდრეს ცხვირი, და გლახა ციციშვილსაც მოკვეთეს ენა“ („ახალი ისტორია“). ამრიგად, 1765 წელს ერეკლე II-მ სახელმწიფო დარბაზის სხდომაზე ამხილა შეთქმულთა ანტიქართული საქმიანობა და მკაცრად დასაჯა ისინი საჯაროდ.

გაძლიერებული ერეკლე უკვე ფიქრობდა საქართველოს დაკარგული ტერიტორიის აღდგენას და სერიოზული მზადება დაიწყო სამცხე-საათაბაგოს დასაბრუნებლად. ამასთან ერეკლეს რუსეთის იმედიც ჰქონდა. რუსეთი ამ დროს ომს აპირებდა ოსმალეთთან და ერეკლეს მათი გამოყენება სურდა თავისი მიზნებისათვის.

1769 წლის 21 მაისს ტფილისში ერთმანეთს შეხვდნენ ერეკლე II, სოლომონ I და გარუსებული ქართველი თავადი, პორუჩიკი ხვაბულოვი (ქობულაშვილი), რომელიც რუსეთის სახელით მოქ-

მედებდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველი მეფეები ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. მათ კონკრეტული წინადადებანი წაუყენეს ხვაბულოვს და პეტერბურგში თავიანთი ელჩები გაგზავნეს.

1769 წლის 29 აგვისტოს სოფ.ხოდასთან ერეკლე II შეხვდა რუსთა 500 კაციანი ჯარის სარდალს გენერალ ტოტლებენს. ერეკლემ მოლაპარაკებისას თანხმობა განაცხადა ომში მონაწილეობაზე რუსეთის მხარეს (იგულისხმება რუსეთ-თურქეთის ომი - **3.Ш.**) თუ რუსეთის მთავრობა 5 ათასკაციან დამხმარე ჯარს გამოაგზავნიდა სათანადო შეიარაღებითა და ქვემეხის მსროლელებით. რუსეთის მთავრობა განსაკუთრებით ყოფილა დაინტერესებული ამ ომში ერეკლე II-ის მონაწილეობით, რადგან კავკასიის ფრონტზე სოლომონ I-ის ძალები საკმარისი არ იყო. ამიტომ 1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინე მეორემ გამოსცა ბრძანება, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში 3700 ჯარისკაცის გაგზავნას.

1770 წლის თებერვალში საქართველოში უკვე იმყოფებოდა 1228 რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი. 30 აპრილს მოზდოკიდან საქართველოსკენ დაიძრა ტომსკის პოლკი, რომელშიც 2093 კაცი ირიცხებოდა. ამან საბოლოოდ გადააწყვეტინა ერეკლეს ომში ჩაბმა რუსეთის მხარეს. ერეკლეს გეგმით მთავარი დარტყმა უნდა მოეხდინათ ახალციხეზე, მერე კი იმერეთი გაეთავისუფლებინათ ოსმალთაგან. ეს გეგმა ტოტლებენმა მიიღო.

1770 წლის 17 აპრილს ერეკლე II შვიდი ათასიანი ჯარით და ტოტლებენი 2200 კაცით აწყურის ციხეს მიადგნენ. ტოტლებენი დაჟინებით მოითხოვდა აწყურის ციხის აღებას, ერეკლეს კი უნდოდა დაესწრო ახალციხის ფაშისათვის და მესხეთის განთავისუფლება დაიწყო. 19 აპრილს ტოტლებენმა მოულოდნელად შეწყვიტა ბრძოლა და აწყურის ციხეს გაეცალა. ერეკლე მიხვდა, რომ აწყურთან დგომა რუსთა ჯარის გარეშე უაზრო იყო და ასპინძისაკენ გაემართა. ახალციხის ფაშამ გზა გადაუღობა ერეკლეს, მაგრამ მეფემ დაამარცხა და უკუაქცია ოსმალნი. მალე ლეკ-ოსმალთა ახალი ჯარი გამოჩნდა.

1770 წლის 20 აპრილს ასპინძის სახელგანთქმულ ბრძოლაში დიდი სამხედრო ნიჭის წყალობით ერეკლემ გაანადგურა მტრის ლაშქარი. ტოტლებენის მოღალატური მოქმედების გამო ერეკლე

II-მ ასპინძის წარმატება ვერ გამოიყენა. იგი იძულებული გახდა თბილისს დაბრუნებულიყო, რადგან ტოტლებენი მეფის მოღალატე თავადების დახმარებით გადატრიალებას ამზადებდა. ერეკლეს ენერგიულმა ზომებმა ჩაშალა ტოტლებენის გეგმები და იგი ტომსკის პოლკთან ერთად 1770 წლის ივნისში იმერეთში გადავიდა, საიდანაც შემდგომ უკან გაიწვიეს.

1771 წლის ოქტომბერში ერეკლე II-მ აიღო ხერთვისის ციხე. ამავე წლის დეკემბერში ერეკლემ რუსეთში საგანგებო ელჩობა გაგზავნა ანტონ კათოლიკოსის და ლევან ბატონიშვილის ხელმძღვანელობით. მეფე რუსეთის მფარველობაში შესვლის სურვილს გამოთქვამდა და თავის პირობებს აყენებდა. ელჩები 1774 წელს უარით გამოისტუმრეს საქართველოში. 1773 წლის იანვარში ერეკლემ და სოლომონმა კვლავ აღადგინეს კავშირი და ოქტომბერში ერთობლივად ილაშქრეს ჯავახეთში. ქართველებმა არტაანამდის მიაღწიეს, მაგრამ სოლომონის „ავადმყოფობის" გამო უკან გამობრუნდნენ.

ამრიგად, 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთის მხარეზე გამოსვლით ქართლ-კახეთის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა ფრიად გართულდა. ამ ომში მონაწილეობამ ქვეყანას არაფერი მისცა, პირიქით, ქართლ-კახეთმა მატერიალური ზარალი განიცადა; ამავე დროს ოსმალეთი გადაიმტერა და ირანის ნდობაც დაკარგა („სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარდა, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი" - კ. გამსახურდია). ამიერკავკასიის ხანებმაც არ მოუწონეს ერეკლეს რუსთა ჯარის შემოყვანა საქართველოში. ერეკლე მეორემ ჩვეული დიპლომატიური ფანდები იხმარა და დაარწმუნა ყველა, მათ შორის ქერიმ-ხანიც, რომ რუსთა ლაშქარი დროებით იყო საქართველოში თურქებთან საომრად.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ერეკლეს მიერ მორიგე ჯარის შექმნა 1774 წელს. ქართლ-კახეთის მამაკაცი მოსახლეობა აღწერილ იქნა. ყველა ლაშქრობის შემძლე მამაკაცი მოვალე იყო ერთი თვით ლაშქარში გამოსულიყო. ლაშქარში მორიგე თავისი ხარჯით მიდიოდა. ამ მიზნით ერეკლემ გლეხები სასურსათო გადასახადისაგან გაათავისუფლა. ამრიგად, შეიქმნა მორიგე ჯარი 5 ათასი კაცის

შემადგენლობით, რომელსაც სათაეში ჩაუდგა ერეკლეს ყველაზე ნიჭიერი ვაჟი ლევან ბატონიშვილი.

1776 წელს დაიდო ერეკლეს საიდუმლო შეთანხმება ოსმალეთთან, რომლისთვისაც ერეკლესთან მშვიდობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შეთანხმებით ახალციხიდან დაუბრუნებიათ მოტაცებული ქართველი ტყვეები, ხოლო ქართლ-კახეთის სარბევად გამზადებული დაღესტნის ლაშქარი დაუფანტავთ. 1778 წელს სტამბოლიდან დაბრუნდა ერეკლეს ელჩი გურგინა ენაკოლოფაშვილი და სულთანის მიერ ერეკლესათვის გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქრები ჩამოიტანა. ამ შეთანხმებამ კვლავ აამაღლა მეფის პრესტიჟი.

1778 წელს ქართლ-კახეთისა და ყარაბაღის შეერთებულმა ჯარებმა ერეკლეს სარდლობით სასტიკად დაამარცხეს ყუბის ხანის ფათალი-ხანის ჯარები, რომლებიც განჯის ხანთან ერთად იბძროდნენ. მოკავშირეებმა განჯის სახანო შუაზე გაიყვეს. ერეკლე ერევნის სახანოზე სალაშქროდ ემზადებოდა და ამიტომ განჯაში 3 ათასი მეომარი დატოვა. 1779 წელს ქართლ-კახეთის ჯარებმა ერევნის სახანოზე გაილაშქრეს. აგვისტოში ერეკლემ ალყა შემოარტყა ერევანს. ეშმაკმა ხანმა სომეხთა კათოლიკოსი გამოუგზავნა ერეკლეს და მორჩილება და ხარკი იკისრა. ერეკლე სრულ კაპიტულაციას მოითხოვდა. მისმა ლაშქარმა ერევანი დაარბია, რამდენიმე ათასი სომეხი აპყარა და საქართველოში გადმოასახლა (!). ერევანში ხანის გვერდით ერეკლე II-მ თავისი სიძე დანიშნა გუბერნატორად. 1780 წელს ერეკლემ კვლავ ილაშქრა ერევანში და თაეისი ბატონობა აღადგინა.

ერევანში ბრძოლის დროს იმერეთში გამოჩნდა ქართლის ტახტის პრეტენდენტი ალექსანდრე ბაქარის ძე. რუსეთის მთავრობამ იგი სპეციალურად გამოაგზავნა ერეკლესთან დასაპირისპირებლად. საბედნიეროდ, ერეკლეს წინააღმდეგ მას მხარი დაუჭირა სოლომონ I-მა, რომელსაც ეშინოდა ოსმალეთთან ერეკლეს მომავალი კავშირისა. ერეკლე უკან გამობრუნდა ერევნიდან.

1779 წელს გარდაიცვალა ქერიმ-ხანი და ირანში კვლავ არეულობა დაიწყო. ამავე დროს მოხდა ერეკლესა და სოლომონის შერიგებაც. რუსეთმა ისარგებლა ირანში დაწყებული არეულობით და მორიგი დიპლომატიური სვლები გააკეთა. მან მიზნად დაისახა მფარველობაში მიეღო ქართლ-კახეთი და შეექმნა ბუფერული სახელმწიფოები

- სომხეთსა და „ალბანეთში“ (ჩრ.აზერბაიჯანი). რუსეთი ამიერკავკასიაში თავისი მდგომარეობის განმტკიცებას კვლავ ამიერკავკასიელთა სამხედრო ძალების დახმარებით ცდილობდა. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის მხარეზე ერეკლე II-ის, როგორც ყველაზე ძლიერი კავკასიელი მეფის გადმობირებას. ამ საქმის მოგვარება სპეციალურად დაევალა თავად გრიგოლ პოტიომკინს და მის თანაშემწეს კავკასიის საქმეებში პაველ პოტიომკინს. 1782 წელს პაველ პოტიომკინი თავის შტაბ-ბინაში - გეორგიევსკში ჩავიდა.

1779 წელს გ. პოტიომკინმა საქართველოში გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი საქსონელი იაკობ რაინეგსი. ერეკლემ იგი პირად ექიმადაც აიყვანა, მაგრამ ექიმის საეჭვო ქცევამ განაპირობა მისი უკან გაბრუნება. 1781 წელს ერეკლემ იგი ფაქტობრივად გააძევა საქართველოდან. 1782 წელს გ. პოტიომკინმა იაკობ რაინეგსი სპეციალური დავალებით კვლავ ერეკლესთან გამოისტუმრა. გ. პოტიომკინმა რჩევა მისცა ერეკლე II-ს დაეწყო მოლაპარაკება რუსეთის მფარველობის ქვეშ შესასვლელად. ამისათვის ერეკლეს ოფიციალური თხოვნით უნდა მიემართა იმპერატორ ეკატერინე მეორესათვის. პარალელურად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერეკლეს ქართლის ტახტის პრეტენდენტი ალექსანდრე ბაქარის ძე დაუპირისპირეს, რათა ზეგავლენა მოეხდინათ მეფეზე. სამი დიდი სახელმწიფო ეცილებოდა ერთმანეთს ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის - რუსეთი, ირანი და ოსმალეთი. ერეკლემ რატომღაც მიიჩნია, რომ ამ სამიდან ერთ-ერთზე უნდა გაეკეთებინა არჩევანი და მის მფარველობაში შესულიყო. ძნელად შესანარჩუნებელ ქვეყნის დამოუკიდებლობას მან რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა ამჯობინა. ეს ერეკლეს ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა იყო, რომელიც ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს.

1782 წლის 21 დეკემბერს ერეკლემ ოფიციალური დოკუმენტი შეადგინა იმპერატორის სახელზე, სადაც ითხოვდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო მიეღოთ რუსეთის იმპერიის მფარველობაში. ერეკლე ომის შემთხვევაში რუსთა მხარეზე გამოსვლის პირობას იძლეოდა, ოღონდ რუსეთს უნდა ეზრუნა ოსმალთა და ლეკთაგან მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნებაზე. საქართველოში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსთა ორი პოლკი და ქვეყანა ემართათ მხოლოდ ერეკლეს მემკვიდრეებს.

რუსეთის მთავრობამ ხელშეკრულების ტექსტი საბოლოოდ ჩამოაყალიბა და ერეკლე II-ს გამოუგზავნა დასამტკიცებლად. შესაბამისად ,ხელშეკრულება მეფემ დარბაზთან ერთად განიხილა და მისი მიღება გადაწყვიტა. 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში ხელი მოაწერეს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას. ერეკლეს მხრიდან მას ხელი მოაწერეს თავადმა კ. მუხრანბატონმა და თავადმა გ. ჭავჭავაძემ, რუსეთის მხრიდან - პავლე პოტიომკინმა.

1784 წლის იანვარში სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

ხელშეკრულება შედგებოდა პრეამბულის, 13 ძირითადი და 4 სეპარატიული მუხლის, ანუ არტიკულისაგან. ტრაქტატის საფუძველზე შეიზღუდა ერეკლეს სუვერენული უფლებები საგარეო პოლიტიკის საკითხებში, რომლებსაც იგი რუსეთის იმპერატორს უთანხმებდა. მეექვსე მუხლის მესამე პარაგრაფში აღნიშნული იყო, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში. ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო ხდებოდა „სუვერენული, მაგრამ დამოკიდებული" (ივ.ჯავახიშვილი). შემდგომში რუსეთის იმპერიამ თავისი ინტერესების შესაბამისად გამოიყენა ტრაქტატის პირობები და უბრძოლველად დაეუფლა აღმოსავლეთ საქართველოს.

1783 წლის 2 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა რუსთა ორი ბატალიონი. გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამ და რუსთა ჩამოსვლამ საქართველოში მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია მეზობელ ქვეყნებსა და სახანოებში. ოსმალეთის მთავრობა თვლიდა, რომ რუსეთმა მოატყუა ერეკლე და ქართლ-კახეთის სრული დაპყრობისათვის ემზადებოდა. სულთანმა დაავალა ახალციხის ფაშას სულეიმანს, რომ განეახლებინა ლეკთა თავდასხმები საქართველოში. მალე ლეკთა თავდასხმებმა ახალციხის ფაშას წაქეზებით სისტემატიური ხასიათი მიიღო. რუსეთის მთავრობა მხოლოდ პროტესტებით ცდილობდა მის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის დაცვას ოსმალთა მიერ წაქეზებული ლეკებისაგან. ქვეყნის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა და რთულდებოდა. ერეკლე II დამატებითი ჯარის გამოგზავნას თხოვდა რუსეთს, მაგრამ ამაოდ. ამასობაში ირანში შაჰის ტახტისათვის ბრძოლა რუსეთის მოძულე აღა-მაჰმად ხანის გამარჯვებით დასრულდა. ქართლ-კა-

ხეთის ყმადნაფიცები და მოკავშირენიც უკვე ერეკლეს წინააღმდეგ ოსმალეთის უკავშირდებოდნენ.

1781 წელს უეცრად გარდაიცვალა ლევან ბატონიშვილი და მორიგე ჯარიც დაიშალა. საგარეო მტრების მოგერიება ძირითადად ფეოდალურ ლაშქარს დაეკისრა, რომელსაც, საჭიროებისამებრ, იწვევდა ერეკლე. 1784-1785 წლებში რუს-ქართველთა გაერთიანებულმა ჯარმა რამდენჯერმე დაამარცხა ლეკები. 1785 წლის დასაწყისში ერეკლემ განჯაში ილაშქრა და რუსთა დახმარებით კვლავ შეძლო განჯის სახანოზე ბატონობის აღდგენა.

1785 წლის მარტში ლეკ-ოსმალთა ჯარი სოფ. დურნუკს შეესია, გაძარცვა, 20 კაცი მოკლა, 200 კი დაატყვევა. დურნუკის აოხრების შემდეგ 28 მარტს ტაბახმელასთან ერეკლემ დაამარცხა ლეკ-ოსმალნი, 16 აპრილს სურამთან რუს-ქართველთა ჯარმა კვლავ გაანადგურა შემოსეული მარბიელნი. მაისში კვლავ მარცხი იგემეს ლეკებმა ერეკლესთან ბრძოლაში. ლეკებზე გამარჯვებათა მიუხედავად ქვეყანა ფიზიკურად უძლურდებოდა და ეკონომიკურად ჩანაგდებოდა. ლეკები ხშირად დაუსჯელად დათარეშობდნენ.

1785 წლის სექტემბერში კახეთში შემოიჭრა ოსმალეთის აგენტი ომარ-ხანი 20 ათასიანი ჯარით. იგი ძარცვა-ჟლეტით მოიწევდა ქართლისაკენ. ერეკლემ ვერ შეძლო ლაშქრის დროულად შეკრება და მტერს ვერ დაეწია. ნაძარცვით დატვირთული ავარიის ხანი ახალციხეს გადავიდა. 100 ათასი მანეთით დააზარალა მან ერეკლე ახტალის განადგურებით. ერეკლე II იძულებული გახდა ომარ-ხანისათვის ყოველწლიური ჯამაგირი დაენიშნა. მეფე კვლავ ამაოდ თხოვდა დახმარებას რუსეთის მთავრობას. რუსეთი ქართლ-კახეთის დასუსტების მიზნით შეგნებულად არღვევდა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებს. როცა ერეკლე მეფე დარწმუნდა, რომ რუსეთის მთავრობა მას ცრუ დაპირებებით კვებავდა, საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა იწყო. ამაში მას ბიძგი მისცა სასახლის ანტირუსულმა ოპოზიციამაც, რომელსაც მდივანბეგი სოლომონ ლიონიძე და ერეკლეს სიძე, სარდალი დავით ორბელიანი თავკაცობდნენ.

1786 წლის 12 სექტემბერს ქართლ-კახეთსა და ახალციხის საფაშოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო, რითაც მათ

ხელი აიღეს ერთმანეთის მტრობაზე. ამ პერიოდში ერეკლემ ურთიერთობა მოაგვარა აღა-მაჰმად-ხანთან, რომელმაც „დიდი დოსტობისა და მეგობრობის“ სურვილები შემოუთვალა მეფეს ელჩის პირით.

1787 წლის ზაფხულში ქართველთა და რუსთა ჯარმა კვლავ დაიმორჩილა განჯა, რომელიც ყარაბაღის ხანმა „წარუღო“ მეფეს. მალე ერეკლემ სომეხთა დახმარებით თვით ყარაბაღის ხანი იბრეიმიც დაამარცხა. იმავე წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის მეორე ომი და რუსთა ჯარებმა 1787 წლის სექტემბერში დატოვეს საქართველო. რუსეთის მთავრობამ ერეკლე ისევ გასაჭირში მიატოვა. ოსმალთა სულთნისაგან წაქეზებულმა ლეკებმა კვლავ განაახლეს თავდასხმები. მეორედ მოითარეშა ქართლი ომარ-ხანმა, განსაკუთრებით ანანური გაატიალა. რუსეთის მთავრობა ერეკლეს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ აქეზებდა, მაგრამ მეფემ წინდახედულება გამოიჩინა და რუსეთის დაუკითხავად „სამეგობრო-საზავო“ ხელშეკრულება გააფორმა ოსმალეთთან. მართალია, ერეკლე II-მ დაიწყო საგარეო ორიენტაციის გადასინჯვა, მაგრამ ეს საქმე მან ბოლომდე არ მიიყვანა. როგორც ჩანს, გულში კვლავ რუსთა იმედი ჰქონდა მეფეს.

80-იანი წლების ბოლოს ერეკლე მეორემ დაუშვა პოლიტიკური შეცდომა, რომელიც შემდგომ საკმაოდ ძვირად დაუჯდა საქართველოს. საქმე ეხება იმერეთის სამეფოს შემოერთებას და საქართველოში ერთმეფობის აღდგენას. ამ დროს საამისოდ ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი. დასუსტებულ ოსმალეთსა და ირანს არ შეეძლოთ ქართლ-კახეთის და იმერეთის გაერთიანებისათვის ხელი შეეშალათ, ხოლო რუსეთს გაყვანილი ჰყავდა ჯარები საქართველოდან და იგი ფარულად მიესალმებოდა მასზე ორიენტირებულ ორივე სამეფოს შეერთებას. იმერეთის მეფე დავით გიორგის ძე ტახტს ნებით არ უთმობდა კანონიერ მემკვიდრეს, ერეკლეს შვილიშვილს დავით არჩილის ძეს, რომელიც უკვე 1789 წლისათვის 17 წლის გამხდარიყო. მალე აქ ქართლ-კახეთთან შეერთებისათვის დიდი და ძლიერი მოძრაობა დაიწყო.

1789 წლის ივლისის ბოლოს ცხინვალში ჩამოვიდნენ იმერეთის საერო და სასულიერო წარმომადგენლები: „ესენი ითხოვდნენ, რადგან არ სურს მეფესა ირაკლის ძეფე დავით, მიმტაცებელ ტახ-

ტისა, ინებოს და შეიერთოს თავისდა სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა" (პლატონ იოსელიანი). ელჩებმა მოახსენეს, რომ დადიან-გურიელიც და წვრილი ერიც მხარს უჭერდა ქვეყნის გაერთიანებას და ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას. 3 დღის განმავლობაში ერეკლე სამეფო დარბაზთან ერთად განიხილავდა ამ საკითხს, რომელსაც დიდი უმრავლესობა უჭერდა მხარს. ერეკლე ყოყმანობდა, მას იმერეთში თავისი შვილიშვილის დავით არჩილის ძის გამეფება სურდა და, ალბათ, ამ გზით ვარაუდობდა ქვეყნის შემოერთებას. ერეკლეს გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა მოახდინეს რეაქციონერმა თავადებმაც, რომელთაც მეფის მეუღლე დარეჯან დედოფალი მფარველობდა. ერეკლემ, საბოლოოდ უარი თქვა იმერეთის სამეფოს შემოერთებაზე და ქართლ-კახეთის ჯარით იმერეთში მეფედ დასვა დავით არჩილის ძე, თავისი შვილიშვილი (ანუ სოლომონ II).

1790 წლის ივნისში მდივანბეგ სოლომონ ლიონიძის თაოსნობით ხელმოწერილ იქნა ,,ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თბილისს". ამ ხელშეკრულებით დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები სამხედრო კავშირს ამყარებდნენ ქართლ-კახეთის სამეფოსთან და უერთდებოდნენ 1783 წლის ტრაქტატს. ისინი ერეკლეს მფარველობას აღიარებდნენ და მასვე ანდობდნენ რუსეთთან ურთიერთობის დამყარებას და მოლაპარაკებას.

1791 წელს ერეკლემ მორიგი შეცდომა დაუშვა, რამაც ხელი შეუწყო განხეთქილებას სამეფო კარზე და ქვეყნის დაქსაქსულობის გაღრმავებას. ერეკლემ შეადგინა საგანგებო ,,განწესებანი" ანდერძის მნიშვნელობით. შეიცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი - ამიერიდან ტახტის მემკვიდრეობა უფროსი ძმიდან მის შვილზე კი არა, არამედ უმცროს ძმაზე გადადიოდა, თუ ეს უმცროსი ღირსეული იყო, თუ არა და ტახტის კანდიდატი უფროსობის კვალობაზე უნდა შეერჩიათ ჯერ ძმებში, ხოლო შემდეგ მათ შვილებში. როგორც ვარაუდობენ, ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლა დარეჯან დედოფლის რჩევით მომხდარა. ახალმა წესმა, ერეკლეს სურვილისგან დამოუკიდებლად, სამეფო კარზე არსებული განხეთქილება შენელების მაგიერ, უფრო გაამძაფრა. გადმოცემით, ერეკ-

ლეს ეს წესი შემდგომში გაუუქმებია კიდეც, მაგრამ ქვეყანა უკვე მთლიანად დაყოფილი იყო საუფლისწულოებად ერეკლეს მრავალრიცხოვან ვაჟიშვილებს შორის. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი ქვეყნის დასუსტებას.

ქვეყნის მდგომარეობა გაართულა ირანში მომხდარმა მოვლენებმაც. 1791 წელს აღა-მაჰმად-ხანმა თითქმის მთელი აზერბაიჯანი დაიპყრო შირაზიანად, ხოლო 1794 წელს მან საბოლოოდ დაამარცხა მისი მთავარი მეტოქე ლუტფ ალიხან ზენდი და მთელი ირანის ერთპიროვნული მბრძანებელი შეიქნა. გაძლიერებულმა შაჰმა უმალ შეცვალა ერეკლესადმი დამოკიდებულება. მან კვლავ მოინდომა ქართ-კახეთზე ირანის ძველი ბატონობის აღდგენა. ერეკლეს რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტასაც თხოვდა დაჟინებით. ერეკლეს კი კვლავ რუსთა დახმარების იმედი ჰქონდა (!).

1791 წელს აღა-მაჰმად-ხანმა განჯის სახანო წაართვა ერეკლეს, თუმცა ერევნისა და ყარაბაღის სახანოები კვლავ ერეკლეს მორჩილებაში დარჩნენ. 1793 წლიდან თვითონ ოსმალეთი აქეზებდა აღა-მაჰმად-ხანს ქართლ-კახეთის კვლავ დაპყრობისაკენ, მათ ძლიერ რუსებს ისევ სუსტი ირანელები ერჩიათ საქართველოში. ერეკლე კი კვლავ რუსეთს თხოვდა დახმარებას!.. სხვისი დახმარების შემყურე კი ყველაზე ნაკლებად ეხმარება საკუთარ თავს. 1794 წლის იანვარში ერეკლემ კვლავ გარსევან ჭავჭავაძე მიავლინა პეტერბურგს და დაუყოვნებელ სამხედრო დახმარებას ითხოვდა იმპერატორისაგან.

აღა-მაჰმად-ხანს ჯერ აზერბაიჯანული სახანოების დაპყრობა სურდა. მან 8 ათასიანი ჯარი გაგზავნა ყარაბაღისა და ერევნის სახანოთა დასამორჩილებლად. მაგრამ ერეკლეს დახმარებით, ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით, მოკავშირეებმა სასტიკად დაამარცხეს ირანელები 1795 წლის იანვარში. აღა-მაჰმად-ხანმა კვლავ შემოიყარა ჯარები და 1795 წლის აგვისტოში მდ. არაქსი გადმოლახა სამი მიმართულებით - შუშის ციხისკენ, ბაქო-ყუბისა და ერევნისაკენ. ერეკლე ფიქრობდა, რომ შუშისა და ერევნის აღების შემდეგ შემოუტევდა შაჰი თბილისს 70 ათასიანი ჯარით, მაგრამ ვერ გაითვალისწინა, რომ აღა-მაჰმად-ხანს მათი აღების გარეშეც შეეძლო ქართლში შემოჭრა. შესაბამისად, ლაშქრის მოგროვებაც ვერ შეძლო. შაჰმა ალყა შემოარტყა შუშის ძნელად

ასაღებ ციხეს და ერთი თვის განმავლობაში ზვერავდა ერეკლესა და რუსთა მოქმედებას. შუშის ციხე აღა-მაჰმად-ხანმა ვერ აიღო. აქედან მან ულტიმატუმი გაუგზავნა ერეკლეს, რომ სამუდამოდ აეღო ხელი რუსეთთან კავშირზე, ხარკი ეხადა ირანისათვის და მისი ვასალი გამხდარიყო. თუ ეს პირობები არ შესრულდებოდა, ქართლ-კახეთში შემოსევით იმუქრებოდა საჭურისი შაჰი. აღა-მაჰმად-ხანმა, როგორც ჩანს, ისიც გაარკვია, რომ რუსეთი მხოლოდ სიტყვით ეხმარებოდა ერეკლეს, საქმით კი არა. არის ცნობები, რომ მან დიდი საჩუქრები და ქრთამები მიართვა რუსთა სარდალს გუდოვიჩს, რათა ეს უკანასკნელი არ დახმარებოდა ერეკლეს.

1795 წლის აგვისტოს ბოლოს ერეკლე II და სოლომონ II ერევნის ხანის დასახმარებლად გაემართნენ. სექტემბრის დასაწყისში აღა-მაჰმად-ხანმა შუშასთან (ყარაბაღთან) მცირე ჯარი დატოვა და მთავარი ძალებით თბილისისაკენ შემობრუნდა. მის მხარეზე გადავიდნენ განჯის ხანი და ყარაბაღელი სომეხი მელიქები - მეჯლუმი და ჰაბოვი. დიდი ქრთამი (100 ათასი მანეთი) მისცა მას სომეხთა კათოლიკოსმა. ერეკლემ ეს ყველაფერი 4 სექტემბერს გაიგო დაგვიანებით. დამატებითი ჯარის შეყრა ვეღარ ხერხებოდა (მოხუცებულიყო უკვე ერეკლე...) და 5 ათასი კაცით გადაწყვიტა 35 ათას ირანელთან შერკინება. 7 სექტემბერს ერეკლე უკვე სოღანლუღში ჩამოვიდა ყაზახიდან. მას უკან მოსდევდა შაპის ლაშქარი, აქვე შეტაკებაც მოხდა და ირანელები შეაჩერეს. 10 სექტემბერს შაჰი კრწანისთან მოვიდა და 3 ათასი კაცით შეუტია ქართველებს. ირანელები ქართველმა მექვემეხეებმა და დავით ბაგრატიონის მხედრობამ კვლავ სასტიკად დაამარცხეს. მალე აღა-მაჰმად-ხანს მოღალატეებმა ერეკლეს ჯარის მცირერიცხოვნება აცნობეს. მთავარი ბრძოლა 11 სექტემბერს მოხდა კრწანისის ველზე. თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად მცირერიცხოვანი ქართველები დამარცხდნენ. აღა-მაჰმად-ხანმა 13 ათასი კაცი დაკარგა.

რუსთა სარდალმა გუდოვიჩმა მხოლოდ 1 ოქტომბერს მიიღო ბრძანება - დახმარებოდა ერეკლეს (!). აღა-მაჰმად-ხანმა მოითარეშა თბილისი, ქართლის სოფლები და ქალაქები. 1795 წლის დეკემბერში, დიდი დაგვიანებით, საქართველოში შემოვიდა რუსთა ორი ბატალიონი.

მალე ერეკლემ და ყარაბაღის ხანმა იბრეიმმა კვლავ აღადგი-

ნეს ბატონობა განჯაში. 1796 წელს რუსეთმა დაიწყო ლაშქრობა და ქართველთა და სხვა კავკასიელთა დახმარებით აიღო დარუბანდი და ჩრდილო აზერბაიჯანის მთავარი ქალაქები. ამან ერეკლეს მდგომარეობა კიდევ უფრო განამტკიცა, მაგრამ მცირე ხნით. მოულოდნელად გარდაიცვალა ეკატერინე II და დედის მოძულე პავლე I-მა გააუქმა ეს ლაშქრობა.

კრწანისის ომის შემდგომ დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა ერეკლემ თბილისში და მთელ სამეფოში, ქვეყანა ნელ-ნელა იკრებდა ძალებს. აღა-მაჰმად-ხანი კვლავ მუქარას უთელიდა ერეკლეს. 1797 წლის ივნისში რუსთა წასვლით გახარებულმა შაჰმა კვლავ დაიმორჩილა ერევნის სახანო, შუშის ციხე და ისევ ემზადებოდა საქართველოს ასაოხრებლად. 6 ივლისს იგი შეთქმულებმა მოკლეს და ქართლ-კახეთიც გადარჩა. ერეკლე კვლავ ჯარს თხოვდა იმპერატორს, მაგრამ მოხდა პირიქით - აქ მყოფი რუსთა ჯარიც მთლად გაიყვანა პავლე I-მა. რუსეთმა თავისი მიზანი შეასრულა - ძლიერ დაასუსტებინა დამპყრობლებს ქართლ-კახეთი და თავისთვის ადვილი დასაპყრობი გახადა იგი.

1797 წელს შეთქმულება მოუწყვიათ ერეკლეს წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ.

1798 წლის 11 იანვარს, თელავში, 78 წლის ასაკში, გარდაიცვალა მეფე ერეკლე მეფე-მეომარი, გამოჩენილი სარდალი, დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, სამართლიანი, ხალხის ჭირისა და ლხინის გამზიარებელი პიროვნება, ლეგენდებისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების გმირი, ქართველთა დიდი იმედი, უკანასკნელი დიდი ხელმწიფე. სვეტიცხოველში დაკრძალეს იგი, ვახტანგ გორგასლის გვერდით.

მის გარდაცვალებასთან ერთად დამთავრდა საქართველოს ისტორიის ძველი ეპოქაც.

სოლომონ I

იმერეთის მეფე ალექსანდრე V 1752 წელს გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი 17 წლის ვაჟი სოლომონი. სოლომონი იყო ყველაზე ნიჭიერი და ენერგიული მეფე იმერეთის სამეფოს სამსაუკუნოვან ისტორიაში. უკიდურესად მძიმე იყო იმერეთის მდგომარეობა სოლომონის მეფობის ჟამს. თურქეთი ამ პერიოდში კვლავ ამიერკავკასიაში გაბატონებას ცდილობდა და გაუორმაგა ხარკი დაპყრობილ ქვეყნებს, მათ შორის იმერეთის სამეფოსაც. შინააშილობა კიდევ უფრო რთულს ხდიდა სოლომონის მდგომარეობას. სამეფო ტახტისათვის მეფეს ებრძოდნენ ბიძები - გიორგი და მამუკა. მალე მათ შეუერთდნენ სოლომონის პაპა ლევან აბაშიძე, რაჭის ერისთავი როსტომი, მამია IV გურიელი და საკუთარი დედაც კი.

მეფის მტრებს მიემხრო აფხაზ-იმერთა კათოლიკოსი ბესარიონი, როსტომ რაჭის ერისთავის ძმა. ერთი წელიც არ იყო გასული სოლომონის გამეფებიდან, რომ შეთქმულები მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ და მეფე დაამარცხეს. სოლომონი იძულებული გახ-

და ახალციხეს გაქცეულიყო პაჯი-აპმედ ფაშა ჯაყელთან. სულთანმა მაპმუდ I-მა უბრძანა პაჯი-აპმედს, აღედგინა სოლომონი იმერეთის ტახტზე. სოლომონმა ახალციხის ფაშას დახმარებით დაამარცხა შეთქმულნი და მკაცრად დასაჯა ისინი. ერთი ბიძა (გიორგი) ციხეში ჩააგდო, მეორე - იმერეთიდან გააძევა, ასევე დედამისიც სამეგრელოს გაისტუმრა; პაპამისს ლევან აბაშიძეს მთავარი სამყოფელი - კაცხი წაართვა და ძლიერ „დაამდაბლა". მალე სოლომონმა გურიაში ილაშქრა და ტახტიდან გადააგდო მამია გურიელი, მთავრად კი მისი უმცროსი ძმა, გიორგი დანიშნა. მალე მამია გურიელი შეიერდომა სოლომონმა ბესარიონ კათოლიკოსთან ერთად და თავის ერთგულებაზე დააფიცა. რაჭის ერისთავს როსტომს იმჟამად ვერაფერი მოუხერხა ახალგაზრდა მეფემ.

შეთქმულთა დამარცხების შემდეგ სოლომონმა ცოლად შეირთო სამეგრელოს მთავრის კაცია II-ის და მარიამი და ამით დადიანი თავის მომხრედ გაიხადა.

სოლომონმა კარგად იგრძნო, რომ თურქთა უღლისაგან გათავისუფლება ქვეყნის მოლონიერებისა და აქ წესრიგის დამყარების გარეშე არ მოხერხდებოდა, ამიტომაც სამეფოში ღონისძიებათა გატარებას შეუდგა. სასახლის კარზე მეფემ ძირძველი თავადების ადგილას ნელ-ნელა დააწინაურა თავის მომხრე ფეოდალები - წერეთლები, აგიაშვილები, მაჭავარიანები, მესხები, წულუკიძეები და სხვ. მეფეს ძლიერ აშფოთებდა გლეხთა დაბეჩავებული მდგომარეობა, რის გამოც გლეხობის დიდი ნაწილი სამეფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა („გადაუწერა" მათ „საურავი" და „საუდიერო") ზუსტად განსაზღვრა სამეფო გადასახადის ზომა და უდანაშაულო გლეხთა გაყიდვა აკრძალა. ყველაზე დიდ ჭირად იმერეთში ამ დროს მაინც „ტყვეთა სყიდვა" ითვლებოდა. მეფემ დაიწყო ამ უბედურებასთან ბრძოლა, რაც თურქთა წინააღმდეგ გალაშქრებას ნიშნავდა. ტყვის სყიდვის აკრძალვამ დიდი უსიამოვნება გამოიწვია რეაქციონერ თავადებშიც, რომლებიც მეფეს აუმხედრდნენ. სამაგიეროდ გლეხობა დაუდგა გვერდით მეფეს.

მოღალატე თავადებს თურქთა იმედი ჰქონდათ მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ თურქთა განდევნა სოლომონის უპირველეს ამოცანად იქცა. ამ დროს ოსმალთა გარნიზონები იდგნენ

ქუთაისის, შორაპნის, ბაღდადისა და ცუცხვათის ციხეებში. ხრესილის მინდორზე იდგა მტრის ძირითადი ძალა და სოლომონმაც გადაწყვიტა, რომ მთავარი დარტყმა აქ მიეყენებინა თურქთათვის. 1757 წლის დეკემბერში მეფე საიდუმლოდ შეუდგა მზადებას, იწყო ჯარების შეკრება, ამასთან დახმარება თხოვა სამეგრელოსა და გურიის მთავრებს.

მეფის მზადება შეიტყვეს მოღალატეებმა ლევან აბაშიძემ და როსტომ რაჭის ერისთავმა და თავიანთი რაზმებით თურქთა ბანაკს მიაშურეს. წინდახედულმა სოლომონმა წინასწარ ჩაკეტა ახალციხიდან, გურიიდან და ფოთიდან მომავალი გზები, საიდანაც თურქთა დამხმარე ჯარის შემოსვლა იყო მოსალოდნელი. ჯარის ერთი ნაწილი მეფემ გაგზავნა თურქთა ციხიონების ალყაში მოსაქცევად, მთავარი ლაშქრით კი თვითონ ხრესილისაკენ დაიძრა. თურქთა ლაშქარში 40 ათასამდე კაცი ყოფილა, სოლომონს კი დაახლოებით 10 ათასი მებრძოლი ჰყავდა. თურქთა ლაშქარს ახალციხის ფაშა ქეპაია მეთაურობდა. იგი ძირითადად შედგებოდა ახალციხისა და აჭარის სანჯაყთა ჯარებისაგან. მათ შეუერთდა მოღალატე ლევან აბაშიძე და ერთ-ერთი წულუკიძე (რაჭის საერისთაოდან) თავიანთი მხედრობით.

გადამწყვეტი ბრძოლა 1757 წლის 14 დეკემბერს მოხდა ხრესილის მინდორზე. სოლომონი გამთენიისას ჯარით თავს დაესხა თურქებს. თურქებმა მალე ინიციატივა ხელთ იგდეს და შეავიწროვეს მეფის ჯარი, მაგრამ აქ იმარჯვა სოლომონმა. მან პირადი მაგალითით გაიყოლია მებრძოლნი და საკუთარი ხელით განგმირა თურქთა სარდალი. მტრის ბანაკში არეულობა დაიწყო. მოღალატე ლევან აბაშიძისა და წულუკიძის რაზმელთა ნაწილი სოლომონის მხარეს გადავიდა. თურქთა ლაშქარი უკუიქცა. ქართველები გამოედევნენ და მათი უმრავლესობა გაანადგურეს, ნაწილი ტყვედ იგდეს. ბრძოლაში მოკლეს სოლომონის პაპა, მოღალატე ლევან აბაშიძე.

ხრესილთან გამარჯვებას უდიდესი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა იმერეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. სოლომონმა მალე მიიღო სათანადო ზომები თურქთაგან თავდასხმის შემთხვევაში მზადყოფნისთვის. 1758 წელს გორში სოლომონმა,

თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს და განამტკიცეს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი.

ახალციხის ახალმა ფაშამ ორი ლაშქრობა მოაწყო 1758 წელს სოლომონის დასჯის მიზნით. ერთ-ერთი შემოსევის დროს, დეკემბერში, მისგან წაქეზებულმა ხუნძახელმა ლეკებმა ძლიერ დაარბიეს იმერეთი, ააოხრეს და გაძარცვეს გელათი და დიდი ნადავლით დაბრუნდნენ უკან. მათი თავდასხმა იმდენად მოულოდნელი ყოფილა, რომ სოლომონი იძულებული გამხდარა მოთარეშეებს გაცლოდა. ამის შემდეგ მეფემ საომარი ხერხი იხმარა, — ახალციხის ფაშას სამიათასკაციანი რაზმი გამოართვა და გათავხედებულ თურქ მეციხოვნეთა დასასჯელად წამოიყვანა. გზაში მათ წინასწარ გაფრთხილებული მეფის ჯარი დაესხა თავს და ამოჟლიტა. ამან ძალზე დააშინა თურმე თურქები და მოსახლეობის შეწუხებას ველარ ბედავდნენ.

ხრესილის ომის წარმატებით გასრულების შემდგომ სოლომონი ქვეყნის აწეწილი მდგომარეობის გამოსწორებას შეუდგა. რაჭის ერისთავი როსტომი და მისი ძმა კათოლიკოსი ბესარიონი კვლავაც ორგულობდნენ მეფეს, საჭირო გახდა დაცემული ეკლესიის და გაუქმებული კათედრების აღდგენა-გაძლიერება და ეკლესიის ჩართვა მაჰმადიანთა შემოტევების წინააღმდეგ.

1759 წლის 4 დეკემბერს სოლომონ მეფემ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება მოიწვია, რომელსაც საერო ფეოდალებიც ესწრებოდნენ. კრებამ აღადგინა ქუთაისის საეკლესიო კათედრა და ქუთათელად აკურთხა მაქსიმე აბაშიძე. საეკლესიო კრებამ საგანგებო დადგენილებით ყველა ეკლესია გაათავისუფლა გადასახადებისა და ვალდებულებებისაგან, გარდა „სალაშქრო“ და „სანადირო“ ვალდებულებებისა. კრებამ ასევე საგანგებო დადგენილებით დაადასტურა „აფხაზ-იმერთა“ კათოლიკოსის უფლებები მის კუთვნილ ყმა-მამულზე და დაავალდებულა ყველა საერო ფეოდალი უზრუნველყოთ ამ უფლების განხორციელება. თანამდებობიდან გადაყენებულ იქნენ უღირსი და ანგარებიანი მღვდელმთავარნი და მათ ადგილას დაინიშნენ მცოდნე და ღირსეული სასულიერო პირნი.

5 დეკემბრის სხდომაზე, რომელიც ფაქტიურად სახელმწიფო დარბაზის სხდომის რანგში მიმდინარეობდა საერო და სასულიერო ხელისუფლებმა სოლომონის მორჩილებისა და „ტყვის სყიდვის“ აკრძალვის პირობა დადეს. დაწესდა ორგვარი სასჯელი: საეკლესიო კრებამ ტყვის მსყიდველნი შეაჩვენა, საერო ხელისუფლებამ კი ამისათვის სიკვდილით დასჯა დაადგინა. პარალელურად სოლომონ მეფე შეუდგა სახასო (სახელმწიფო) ქონების გაზრდას. თავდაპირველად მეფე სხვადასხვა საშუალებებით იძენდა ციხეებს (ხარაგოულის, ჩხერის, მოდინახეს ციხეები, ასევე ლევან აბაშიძეს და თურქებს წაართვა კაცხისა და სხვა ციხეები) და მას ფეოდალებზე წყალობის სახით აღარ გასცემდა. ასევე ამრავლებდა სოლომონი სახასო გლეხებსაც, სახელმწიფო მიწებზე ასახლებდა თურქთაგან ტყვედ წამოყვანილ მაჰმადიან ქართველებს, მფარველობდა და აწინაურებდა ჯავახეთიდან წამოსულებს და ა.შ. ამ ღონისძიებებმა სოლომონს ხალხის მასობრივი მხარდაჭერა მოუპოვა.

1760 წელს ახალციხის ფაშასაგან საგანგებო მიმართვა მოუვიდა სოლომონს „ტყვის სყიდვის“ აღდგენის თაობაზე. მეფემ მას უარი შეუთვალა.

ისევ ღალატმა წამოყო თავი ქვეყნის შიგნით. სოლომონს განუდგა ტახტის მაძიებელი ბიძაშვილი თეიმურაზ მამუკას ძე. მან პირობა მისცა თურქებს, რომ იმერეთს კვლავ დაუმორჩილებდა ოსმალეთს, აღადგენდა „ტყვის სყიდვას“, თუ მას სოლომონის მაგიერ მეფედ დასვამდნენ. მალე თანხმობაც მოვიდა სულთანისაგან და 1760 წელს იმერეთში 20 ათასიანი ჯარით შემოიჭრა მოლა-აბდულა ფაშა. სოლომონმა 5 ათასი კაცით დაამარცხა იგი და უკუაქცია თურქნი. 1763 წლის იანვარში კვლავ 13 ათასიანი ჯარით შემოიჭრნენ თურქნი ერზურუმის ფაშის იბრაჰიმის სარდლობით. სოლომონმა ისევ 5 ათასიანი ლაშქრით დაამარცხა და გააძევა ისინი. იმავე წლის ოქტომბერში უფრო მრავალრიცხოვანი ჯარით მოვიდნენ იმერეთში თურქები, აიღეს საბეკას ციხე, მაგრამ კვლავ სასტიკად დამარცხდნენ. მალე თურქებმა ქართლის გზით სცადეს იმერეთზე თავდასხმა, მაგრამ ერეკლე II-მ მათ გზა ჩაუკეტა და უკან გააბრუნა.

ამ ბრძოლებში უდიდესი დახმარება აღმოუჩენია ერეკლეს სოლომონ მეფისათვის, რამაც ხელი შეუწყო იმერთა წარმატებებს.

1764 წელს სულთანმა 8 საფაშოს ჯარები გააერთიანა, რომლებსაც თან მოპყავდათ სოლომონის ტახტის მოცილე — თეიმურაზი, სარდლად ახალციხის ფაშა ჰასან ჯაყელი მოუძღოდათ თურქებს. ზოგიერთი ცნობით მას 100 ათასამდე კაცი ჰყოლია სალაშქროდ წამოყვანილი. ლაშქრობაც საგანგებოდ ყოფილა მოშზადებული. ლაშქრობის წინ თურქეთის მთავრობამ ერეკლე II-ს ელჩი გაუგზავნა და მუქარა შეუთვალა იმერეთისათვის ფარული დახმარების გამო, რაზედაც ერეკლემ მუქარითვე უპასუხა. საქმეში ჩარეულა რუსეთის ელჩი სტამბოლში და თურქებმა ერეკლეზე თავდასხმა გადაიფიქრეს, მაგრამ იმერეთზე ლაშქრობა კი არ გადადეს.

1765 წელს თურქებმა დაიკავეს გურია. მამია I გადააყენეს და გურიელობა მისცეს მის ძმა გიორგის (V). თურქებმა ასევე აიძულეს დადიანი სურსათით მოემარაგებინა ისინი. ამრიგად, სოლომონი მოკავშირეთა გარეშე აღმოჩნდა. 1766 წელს, სამეგრელოში გამოზამთრების შემდეგ თურქები იმერეთს შეესივნენ. თურქებს მიემხრნენ სოლომონის მოძულე და ტყვეებით მოვაჭრე ფეოდალებიც. ჰასან ფაშამ დაიკავა ქვემო იმერეთი, ერთთვიანი ალყის შემდეგ აიღო სვენის ციხე და ქუთაისში შევიდა. ქუთაისში მან მეფედ გამოაცხადა თეიმურაზ მამუკას ძე. სოლომონის შეპყრობა მან ვერ შეძლო. მეფე წერეთლებმა შეიფარეს. ამაოდ ელოდა სოლომონი რუსთაგან დახმარებას. ჰასან ფაშამ იმერეთი დაარბია და იმავე წელს უკან გაბრუნდა. იმერეთში ოთხი ათასი კაცი დაუტოვა თეიმურაზს მეფობის შესანარჩუნებლად.

როგორც კი თურქთა ძირითადი ჯარები იმერეთიდან გასული დაიგულა, სოლომონმა უმალვე შეკრიბა ჯარი, ორასი ლეკიც დაიქირავა და თურქებს შეუტია. თეიმურაზი კვლავ თურქეთს გაიქცა, სოლომონმა კი მთელი იმერეთი დაიკავა.

1766 წელსვე სულთანმა მუსტაფა III-მ კვლავ შეპყარა ჯარები (მათ მაწანწალები და მოხალისენიც შემოუერთდნენ) და იმერეთში ლაშქრობა დააპირა სოლომონის დასაშინებლად. მაგრამ ამაოდ. 1766 წელს სულთანმა საზავო მოლაპარაკება შესთავაზა სოლომონს. შუამავლობა ერეკლე II-მ იკისრა. მეფე სოლომონმა

ელჩად თავისი ძმა იოსებ გენათელი დანიშნა. ერეკლესა და სოლომონის ელჩებმა 1766 წლის პოლოს სტამბულში დაიწყეს მოლაპარაკება. 1767 წელს ზაკი დაიდო. ამ ხელშეკრულებით სულთანმა იმერეთი ცნო არა ვასალურ, არამედ მფარველობაში მყოფ ქვეყნად. სოლომონს სულთანისათვის ერთგულების ნიშნად ყოველწლიურად უნდა გაეგზავნა 60 ქალი, ოღონდ საკალდებულო აღარ იყო, რომ ისინი ქართველები ყოფილიყვნენ. ზაკის ეს პირობები თვით იოსებ განათელს შეუთავაზებია თურქთათვის. თურქებმა ფაქტიურად აღიარეს „ტყვის სყიდვის" აკრძალვა, რაც სოლომონ მეფის დიდი წარმატება იყო. 1767 წელს იმერეთი მთლიანად გათავისუფლდა და თურქთაგან, რაც მრავალწლიანი ბრძოლების დამაგვირგვინებელი შედეგი იყო.

მოღალატე თეიმურაზ მამუკას ძე დროებით შეურიგდა სოლომონს, მაგრამ შემდეგ კვლავ განუდგა. 1768 წელს სოლომონმა ჩხარის მახლობლად, ცხრაწყაროსთან დაამარცხა თეიმურაზი და დაატყვევა იგი მუხურის ციხეში, სადაც აღესრულა კიდეც.

სოლომონის გამარჯვებით განაწყენებულმა სულთანმა პასან ფაშა გადააყენა და ახალციხის ფაშად იბრაჰიმი დანიშნა. სოლომონმა მოლაპარაკება გამართა მასთან, ამ მომენტში მეფეს შერიგება სთხოვა როსტომ რაჭის ერისთავმა, მაგრამ სოლომონმა ეს არ ისურვა. მან იქირავა ლეკთა ჯარი და როსტომის მამულები დაარბევინა. რაჭის ერისთავი დადიანს შეეფარა და დახმარება სთხოვა თურქებს.

1769 წლის 28 იანვარს სოლომონი თავისი ჯარით როსტომ რაჭის ერისთავის დასასჯელად გაემართა. როსტომის ძმამ, კათოლიკოსმა ბესარიონმა დახმარებისთვის მიმართა ახალციხის ფაშას, მაგრამ სოლომონთან დაზავებულმა ფაშამ არ გაუწია ელჩს დახმარება - ბესარიონ კათოლიკოსი ციხეში ჩაკეტა. მალე ბესარიონი აქედან გაიქცა და თავის ძმას ეახლა. ამ მომენტში რაჭაში მყოფმა სოლომონმა მიიღო რუსთა ელჩები. რუსეთი ამ დროს ოსმალეთს ეომებოდა (1768-1774 წწ.) და სოლომონმაც გადაწყვიტა რუსთა მხარე დაეჭირა. ამასთან დაკავშირებით სოლომონი შეურიგდა რაჭის ერისთავს როსტომს, გადააყენა კათოლიკოსობიდან მისი ძმა ბესარიონი და მის ნაცვლად საკუთარი ძმა იოსებ გენათელი და-

ნიშნა. ბესარიონი შეიკედლა მეფის ორგულმა დადიანმა და სამეგრელოს „კათოლიკოსად" გამოაცხადა.

1769 წელს სოლომონმა რაჭის ერისთავი როსტომი მხლებლებითა და შვილებითურთ ვარციხეში დაპატიჟა, მოტყუებით შეიპყრო და თვალები დასთხარა. რაჭის საერისთავო გაუქმდა, ერისთავის ყმა-მამული კი სახასოდ გამოაცხადა მეფემ. როსტომის ორი ვაჟი გიორგი და მეთოდე ციხიდან გაიპარნენ და ახალციხეს გაიქცნენ. რაჭის საერისთავოს გაუქმებით მეფემ განამტკიცა თავისი ძალაუფლებაც და ქვეყნის შიგნით ერთიანობაც.

თურქეთთან ზავის მიუხედავად, სოლომონმა გადაწყვიტა ესარგებლა რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავებით, რათა საბოლოოდ ამოეკვეთა ფეხი ოსმალთათვის იმერეთში. ამ მიზნით 1768 წელს რუსეთში საგანგებო რწმუნებით გაიგზავნა ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე აბაშიძე. სოლომონ მეფე ეკატერინე II-ს თხოვდა თავის სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებას და სამხედრო დახმარებას. თუ რუსეთი დამხმარე ჯარს გამოუგზავნიდა მეფეს, იგი კისრულობდა თურქთა წინააღმდეგ ომში ჩაბმას. რუსეთი დათანხმდა. სოლომონ მეფე ომში ჩაება რუსეთის მხარეს. იგი იმედოვნებდა რუსთა ჯარის დახმარებით დაემორჩილებინა ურჩი მთავრები, დაებრუნებინა ოსმალთა მიერ მიტაცებული ქართული მიწები და საბოლოოდ განედევნა თურქნი.

1769 წლის 21 მაისს სოლომონ I თბილისში ჩავიდა. ერეკლე II და სოლომონი ერთიან მოქმედებაზე შეთანხმდნენ და კონკრეტული წინადადებანი გაატანეს რუსთა იმპერატორთან თავიანთ ელჩებს - ა.ანდრონიკაშვილს და დ.კვინიხიძეს.

ეკატერინე II-მ გადაწყვიტა იმერეთში 400 კაციანი სამხედრო რაზმისა და ზარბაზნების გაგზავნა გრაფ ტოტლებენის სარდლობით.

1769 წლის აგვისტოში ყიზლარიდან გამოემართნენ რუსთა სამხედრო რაზმები 480 კაცის შემადგენლობით. ტოტლებენი ას კაციანი რაზმით ადრე ჩამოვიდა. მან აცნობა ერეკლეს თავისი ჩამოსვლა და რუსთა ჯარის იმერეთზე გავლის ნებართვა ითხოვა. 29 აგვისტოს ტოტლებენი სოფ.ხოდასთან შეხვდა ერეკლე II. მოლაპარაკებისას ერეკლემ თურქეთთან ომში მონაწილეობისა და სოლომონ I-ის

დახმარებაზე თანხმობა განაცხადა ერთი პირობით - თუ რუსეთის მთავრობა 5 ათასიან დამხმარე რაზმს გამოუგზავნიდა. უკიდურეს შემთხვევაში დაზამთრებამდე 1500 კაცი მაინც უნდა ჩამოსულიყო ქვემეხის მსროლელებთან ერთად. 1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინე II-მ განკარგულება გასცა, რომ საქართველოში რუსთა მხედრობა გაეგზავნათ - 3700 ჯარისკაცი. სექტემბრის ბოლოს ტოტლებენი თავისი ჯარით იმერეთს გადავიდა. 1769 წლის 3 ოქტომბერს იმერთა და რუსთა ჯარებმა ალყა შემოარტყეს შორაპნის ციხეს. ამ დროს იმერეთში თურქთა და მოღალატე დადიანის ჯარები შემოიჭრნენ. სოლომონი იძულებული შეიქნა მათ გასადევნად წასულიყო. ტოტლებენმა ოთხი დღის შემდეგ ალყა მოხსნა შორაპნის ციხეს და 13 ოქტომბერს ქართლში გადავიდა.

1770 წლის 20 აპრილს ერეკლე მეორემ ასპინძასთან უთანასწორო ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა თურქები. სოლომონმა ისარგებლა თურქთა მარცხით და ცუცხვათისა და შორაპნის ციხეები გაათავისუფლა. ამავდროულად მან ქალაქი ქუთაისი დაიკავა და მის ციხეს ალყა შემოარტყა. 2 ივლისს სოლომონმა ტოტლებენთან ერთად მცირეხნის ალყის შემდგომ გაათავისუფლა ბაღდადის ციხე. მათ ასევე ერთიანი ძალით შეუტიეს ქუთაისის ციხეს. 6 აგვისტოს ტოტლებენის წყალობით თურქები უჩუმრად გაიპარნენ ციხიდან და თავს უშველეს.

მალე ურთიერთობა გამწვავდა იმერეთის მეფესა და უნიჭო ტოტლებენს შორის. ტოტლებენმა სოლომონის თანხმობის გარეშე 1770 წლის 3 ოქტომბერს ალყა შემოარტყა ფოთის ციხეს, მაგრამ მისი აღება ვერ შეძლო. დეკემბერში თურქებმა თავი მოუყარეს ჯარებს და გადაწყვიტეს ფოთის გარნიზონის დახმარება. სოლომონმა ეს დროულად შეიტყო და ტოტლებენი გააფრთხილა, მაგრამ ტოტლებენი დაუკავშირდა სოლომონის მოწინააღმდეგე დადიანს და გურიელს, ხოლო სოლომონს არ დაუჯერა. როცა თურქები გამოჩნდნენ, რუსთა ოფიცრებმა დახმარება სთხოვეს სოლომონს. სოლომონმა ილაშქრა გურიაში, გადააყენა გიორგი გურიელი და მის მაგიერ მამია დანიშნა; ამასთან გზა მოუჭრა თურქებს და ჩაუკეტა გასასვლელი. მალე რუსეთის შემარცხვენელი ტოტლებენი უკან გაიწვიეს პეტერბურგს. 1771 წლის მაისში მის მაგიერ

გენერალი სუხოტინი ჩამოვიდა საქართველოში. რუსებმა მისი მეთაურობით ზაფხულში კვლავ განაგრძეს ფოთის ალყა. ცუდი კლიმატური პირობების გამო ორი ათასი კაცი, თვით სუხოტინიც, ციებ-ცხელებით დაავადდა. სუხოტინმა გააგრძელა ტოტლებენის მიერ დაწყებული ანტიქართული საქმიანობა, მოღალატე მთავრებთან კავშირი გააბა.

1771 წლის ოქტომბერში სუხოტინმა ფოთის ალყა შეწყვიტა, ხოლო დეკემბერში ეკატერინე II-მ მიიღო გადაწყვეტილება რუსთა ჯარის საქართველოდან გასვლის შესახებ. 1772 წლის 5 მაისს რუსებმა ქუთაისი დატოვეს. ამით ისარგებლეს თურქებმა და ქვემო გურიის დაპყრობას შეუდგნენ - მიიტაცეს ხონისა და ქობულეთის მხარე, რომლის დაბრუნებაც ველარ შეძლო სოლომონ მეფემ.

1773 წლის ივნისში ერეკლემ და სოლომონმა აღადგინეს თავიანთი კავშირი, ხოლო ხელშეკრულების ტექსტი რუსეთს გაგზავნეს. იმავე წლის ოქტომბერში ერეკლესა და სოლომონის ჯარები გორში შეიკრიბნენ და ჯავახეთს წავიდნენ სალაშქროდ. არტანაამდის მიაღწიეს, მაგრამ სოლომონი ავად გახდა და ამის გამო უკან დაბრუნდნენ.

1774 წლის დასაწყისში ახალციხის ფაშამ დადიანი და შერვაშიძე წააქეზა სოლომონზე სალაშქროდ. მან 4 ათასიანი ჯარი გამოგზავნა იმერეთში. სოლომონს დაეხმარა ერეკლე. მან ჯერ დადიანს მოთხოვა, იმერეთზე არ ელაშქრა, მერე კი სოლომონთან ერთად ამოწყვიტა თურქნი — მათგან მხოლოდ 700 კაცი გადარჩენილა ცოცხალი.

1774 წლის ნოემბერში სოლომონმა კვლავ საგანგებო ელჩობა გაგზავნა რუსეთს, მაგრამ ამას წარმატება არ მოჰყოლია.

რუსეთ-თურქეთის ომმა მნიშვნელოვნად შეასუსტა თურქები, სამაგიეროდ გაძლიერდა სოლომონის ხელისუფლება იმერეთში. ერთადერთი სამეგრელოს მთავარი ეურჩებოდა და ორგულობდა კვლავ მეფეს. 1776 წლის იანვარში სოლომონ მეფემ გურიელის ჯართან ერთად დალაშქრა სამეგრელო, რამდენიმე ციხე აიღო და დადიანი დაიმორჩილა. იმავე წელს მან გურიის ახალი მთავარი გიორგი V-ც დაიმორჩილა, მისი შვილები მძევლად აიყვანა და საჯაეახოც წაართვა.

თურქები ულტიმატუმებით ვეღარ ბედაუღნენ სოლომონის შეწუხებას. 1776 წლის ოქტომბერში მეფეს თურქთა ელჩი ეწვია და სულთანის ფირმანი და ძვირფასი საჩუქრები გადასცა. მალე სოლომონმა მაქსიმე კათოლიკოსი გურია-სამეგრელოში გაგზავნა და დასავლეთ საქართველოს საკელესიო მთლიანობაც აღადგინა.

1778 წელს სოლომონს აუჯანყდა საკუთარი ვაჟი ალექსანდრე. მას მიემხრნენ სახლთუხუცესი დავით აბაშიძე, მოურავი თამაზ მესხი, მერაბ ნიჟარაძე, სვიმონ მიქელაძე და ერთ-ერთი წერეთელი. შეთქმულებმა დაიკავეს ლოსიათხევი, ჩხერის ციხე. წულუკიძეებისა და წერეთლების დახმარებით სოლომონმა სასტიკად დაამარცხა აჯანყებულნი, ალექსანდრეს მომხრენი კი სასტიკად დასაჯა (ალექსანდრე 1780 წელს გარდაიცვალა).

1779 წლის ბოლოს აფხაზები, თურქები, ჯიქები, ჩერქეზები და სხვანი სამეგრელოს შეესიენ. სოლომონი დაეხმარა დადიანს და რუხის ციხესთან დაამარცხეს მოთარეშენი. თურქებმა ახლა ქვემო გურიიდან სცადეს დაერტყათ სოლომონისათვის. ისინი კინტრიშიდან და აჭარის სანჯაყიდან ხშირად ესხმოდნენ თავს იმერეთის სამეფოს და ზიანს აყენებდნენ. სოლომონმა გადაწყვიტა საპასუხო ლაშქრობის მოწყობა და 1781 წლის ივლისში ილაშქრა აჭარაში, მაგრამ ამჯერად უშედეგოდ.

1783 წელს რუსეთმა დიდი დარტყმა მიაყენა თურქეთს - წაართვა მას ყირიმი. ამავე წელს ერეკლემ გეორგიევსკში ხელშეკრულება დადო რუსეთთან. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ სოლომონმაც სცადა რუსეთთან ხელშეკრულების დადება, მაგრამ რუსებმა ეს ნაადრევად მიიჩნიეს. შეშფოთებულმა თურქეთის სულთანმა აბდულ-ჰამიდმა უმალვე ელჩები აახლა სოლომონს და რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტა მოსთხოვა, სოლომონმა თურქთა ელჩები უარით გაისტუმრა.

უმემკვიდრეოდ დარჩენილი მეფე საქართველოს გაერთიანებაზე ოცნებობდა. მას კარგად ესმოდა, რომ მისი გარდაცვალების შემდგომ იმერეთში ტახტისათვის ძმათა მკვლელი ბრძოლა ატყდებოდა და ქვეყანა დასუსტდებოდა. ავადმყოფობაც შესჩვევია მეფეს ბოლო ხანებში და ამიტომ საბოლოოდ გადაუწყვეტია მემკვიდრის დანიშვნა. ერეკლეს აახლა თავის კარის მოძღვარი და ამცნო, რომ

თანახმა იყო იმერეთში ერეკლეს შვილიშვილი დავით არჩილის ძე გაემეფებინა, ოღონდ ერეკლეს სოლომონის ურჩთა შეფარებაზე ხელი უნდა აეღო. ერეკლე II-მ დავითი იმერეთს გაგზავნა.

1784 წლის დასაწყისში ზემო აჭარის გამაპმადიანებული გამგებელი აბდელ-ბეგ ხიმშიაშვილი გურიის სამთავროს შეესია. აქ თავს აფარებდა თურქთა დაუძინებელი მტერი, სოლომონის სიძე მამუკა თავდგირიძე. გურულებმა სასტიკად დაამარცხეს ხიმშიაშვილის ლაშქარი და უკუაქციეს. ყოველივე ამან დააჩქარა სოლომონის ბრძოლა ქობულეთ-ბათუმის შემოერთებისათვის. მეფე საიდუმლოდ ამზადებდა ამ ლაშქრობას გურიელთან ერთად. სამწუხაროდ, ეს გაუგია დადიანს და ფოთის ფაშასთვის უცნობებია. ლაშქრობა 1784 წლის 4 მარტს დაიწყო. 6 ათასი კაცი ჰყავდა მეფეს და ამ ჯარით ქვემო გურიაში შეიჭრა. ფოთის ფაშამ ეს ამბავი სხვა თურქულ გარნიზონებს აცნობა. ამის მიუხედავად, სოლომონმა დაიკავა ქობულეთის მხარე, ქობულეთის ციხე კი დაანგრია, იქ ჩასახლებულნი გაჟლიტა. ნაქალაქარი გადახნეს და მარილი დათესეს მეფის ბრძანებით. ამის მერე სოლომონმა გვერდი აუარა ციხისძირს, შეიჭრა ჩაქვის მხარეში, იქიდან თურქები განდევნა და ბათუმამდე მიაღწია. სანამ სოლომონი ბათუმთან იბრძოდა, მანამ ქართული ლაშქრის ზურგსუკან ციხისძირში თურქები შეიკრიბნენ და მეფეს ჩაუსაფრდნენ. სოლომონმა ბათუმის მიდამოები დაარბია და უკან გამობრუნდა. 9 მარტს ნაჭიშკრევის ვიწრო გამოსასვლელთან მეფეს წინ დახვდნენ ოსმალნი, აღმოსავლეთიდან კი აჭარელები მიესივნენ და ორცეცხლს შუა მოაქციეს იგი. მოლაშქრეთა თავგანწირვამ იხსნა მეფე და მისი ამალა დატყვევებისაგან. სოლომონს 620 კაცი მოუკლეს, ხოლო 200 ტყვედ წაიყვანეს. მალე თურქებმა კვლავ დაიკავეს ქვემო გურია და 1878 წლამდე დაინარჩუნეს.

ძლიერ იმოქმედა სახელოვან მეფეზე ნაჭიშკრევის მწარე მარცხმა. ავადმყოფობაც მეტად მოეძალა თურმე. 1784 წლის 23 აპრილს მეფეს ხონში უნდოდა წასვლა გიორგობის დღესასწაულზე. ის იყო ცხენზე ამხედრებას აპირებდა, რომ უცებ გულაღმა დაცემულა თურმე და იქვე გარდაცვლილა.

სოლომონმა იმეფა 32 წელი და შთამომავლობას დაუტოვა დი-

ადი საქმენი — ქვეყანა მკვდრეთით აღადგინა. ღრმა კვალი დატოვა სოლომონ მეფემ საქართველოს ისტორიაში. დიდად გახარებიათ მეფის სიკვდილი მისგან შეწუხებულ თურქებს. ხალხური ზეპირსიტყვიერების გმირადაც იქცა უბრალო ხალხის მოყვარული და მასზე მოამაგე მეფე. მისი საბრძოლო დიდება და ნიჭიერი სარდლობა იმდროინდელ რუსულ და ევროპულ საისტორიო ლიტერატურაშიც ასახულა. დავით აღმაშენებლის გვერდით, გელათს დაკრძალეს სოლომონი.

1809 წელს შედგენილი ერთი დოკუმენტი სრულყოფილად ახასიათებს სოლომონის მოღვაწეობას: „მეფე დიდი სოლომონ, რომელმან სამეფოით თვისით განსდევნა მრავლით ჟამითგან მკვიდრნი ბილწნი მახმედიანნი და იწვადა ხრმალი მისი ძლიერი ზურგთა მათ ზედა და შეღება მიწა საძაგითა სისხლითა მათითა და გარდაადგო ტყეის სყიდვა იმერეთს სამარადისოდ, განანათლა სამეფო თვისი კეთილად, განამშვენა სამღუდელონი, აღაყუავა ეკლესიანი ყოველნი“.

ასეთი ერისკაცნი სამუდამოდ რჩებიან ხალხის ხსოვნაში, ჩემო მკითხველო!

ალექსანდრე ორბელიანი

ალექსანდრე ორბელიანისთვის კუთვნილი ღირსეული ადგილის მიჩენაში დიდი დამსახურება მიუძღვის როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანს „ალექსანდრე ორბელიანი“ (1996წ. თბ.), რომლის წაკითხვისას უნებურად კონსტანტინე გამსახურდიას ეს სიტყვები გაგვახსენდება — „მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი“ მართალია, ა. ორბელიანი არც მთლად მიჩქმალული გახლდათ, მაგრამ უსამართლოდ კი იყო მივიწყებული.

ალექსანდრე (ჯამბაკურ) ორბელიანი დაიბადა 1802 წლის 24 მაისს ტფილისში. იგი ორბელიანთა ცნობილი გვარის (იგივე ორბელიშვილები, ყაფლანიშვილები) წარმომადგენელი იყო. მისი მამა გახლდათ ვახტანგ ორბელიანი, საგარეჯოს მოურავი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ერეკლე მეორის ქალიშვილი თეკლა ბატონიშვილი.

ამრიგად, ალექსანდრე ერეკლე მეორის შვილიშვილი იყო და პაპისეული სულისკვეთების გამომხატველი, მასავით ქვეყნისთვის მებრძოლი და თავდადებული. იგი იზრდებოდა თბილისში, დარეჯანის სასახლეში.

1810 წელს ალექსანდრე თბილისის კეთილშობილთა სასწავ-

ლებელში შეიყვანეს. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1817 წლიდან იგი სამხედრო სამსახურში ჩაიგა. ალექსანდრეს მამა, ვახტანგ ორბელიანი რუსული ორიენტაციის მქონე პიროვნებათა შორის იყო, იგი ცდილობდა შვილებისთვისაც ჩაენერგა რუსთა ერთგულება, ალბათ მისი გავლენის ბრალიც იყო, რომ ახალგაზრდა, 18 წლის გამოუცდელმა ალექსანდრემ მონაწილეობა მიიღო იმერეთის აჯანყების დაშოშმინებაში 1820 წელს. ალექსანდრე მალე მიხვდა თავის შეცდომას, 1824 წელს სამხედრო სამსახურს თავი დაანება და პატრიოტთა რიგებს შეუერთდა — დედისეულმა აღზრდამ და გენმა გადასძლია. მართალია, სამხედრო სამსახურს ჩამოსცილდა, მაგრამ როცა გაიგო, რომ ირანელთა ლაშქარი აბას-მირზას სარდლობით ყაზახში შემოვიდა და ტფილისისკენ წამოსვლას აპირებდა, იგი უმალ გაეშურა მტერთან საბრძოლველად. მაშინ ქართველებმა რუსებთან ერთად განდევნა მოძალადე ირანელთა არმია.

მალე ალექსანდრე ორბელიანი დაქორწინდა დავით ბარათაშვილის ქალზე კატინაზე, მშვენიერ ქალბატონზე, რომელსაც უძღვნა თავისი პირველი ლექსები ალექსანდრემ და რომელიც ბოლომდე, ვაჟკაცურად და ერთგულად ედგა მეუღლეს მხარში (შეეძინათ ხუთი შვილი, რომელთაგან ორი ბავშვობაში დაიღუპა).

ალექსანდრე მარტო ლექსების წერით არ დაკმაყოფილებულა — იგი დრამატურგიც იყო, პუბლიცისტიც და ისტორიკოსიც (წერდა ისტორიულ-პატრიოტულ მოთხრობებს, მაგ. ერეკლე II-ზე, გივი ამილახვარზე და სხვ.) 1825 წლის 14 დეკემბერს პეტერბურგში მოეწყო რუს ახალგაზრდა პატრიოტთა ე.წ. აჯანყება, რომელიც მარცხით დამთავრდა. მისი მოთავენი ნიკოლოზ I-მა სიკვდილით დასაჯა, ზოგი კი გადაასახლა. კომუნისტურ ეპოქაში ჩვენთან დაინერგა შეხედულება, რომ თითქოს 1832 წლის ქართველ შეთქმულებზე ზეგავლენა მოეხდინოთ რუს დეკაბრისტებს და მათ ლიდერებს.

სინამდვილეში ამის მსგავსი არაფერი ყოფილა და დეკაბრისტებს ნიკოლოზ I-ზე უარესი ზრახვები ჰქონდათ საქართველოს მიმართ. დეკაბრისტთა ერთ-ერთი ლიდერის პავლე პესტელის მიერ შედგენილი „რუსული სამართლის" ერთი პარაგრაფი კავკა-

სიის ხალხებს ეხებოდა. აი, რა ეწერა იქ: „კავკასიის ხალხთა საცხოვრისი ძველთაგანვე ცნობილია, როგორც კურთხეული მხარე... დღეს იგი გაპარტახებულია და არავისთვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, რადგან ეს ყოვლადმშვენიერი ქვეყანა ნახევრად ველურ ხალხებს აქვთ დასაკუთრებული... (კავკასიის) მდებარეობას რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ აზიასთან ენერგიული და უაღრესად სარფიანი სავაჭრო ურთიერთობისათვის და, მაშასადამე, სახელმწიფოს გამდიდრებისათვის. ეს შესაძლებლობა კი სავსებით იკარგება იმის გამო, რომ კავკასიის ხალხები არა მარტო სახიფათო და მოუსვენარი მეზობლები არიან, არამედ გაუტანელი და უვარგისი მოკავშირეებიც (არადა ყველაფერი პირიქით იყო, მარტო ის რად ღირს, რომ პეტრე პირველმა ვახტანგ VI მოატყუა და დააღალატა — **ვ.შ.**).

... დროებით უმაღლეს მმართველობას ნება ეძლევა: დაყოს კავკასიის ყველა ხალხი ორ ჯგუფად: — მშვიდობიანებად და შფოთიანებად. პირველნი დატოვოს თავისსავე საცხოვრისში და დაუმყაროს მათ რუსული მმართველობა და წყობილება, ხოლო მეორენი ძალდატანებით გადაასახლოს შიდა რუსეთში და იქ დაფანტოს... შემოიყვანოს კავკასიაში რუსი მოსახლეობა და დაურიგოს აქედან გადასახლებულთა მიწები. ამ საშუალებით კავკასიაში წამალოს ყველანაირი ნიშან-წყალი ახლანდელი მკვიდრი მოსახლეობისა და გადააქციოს ეს მხარე წყნარ და კეთილმოწყობილ რუსულ ოლქად". აი, ასეთი ხალხის ზეგავლენით მოახდინეს თურმე აჯანყება 1832 წლის ქართველმა შეთქმულებმა. ცხადია, ამის მსგავსი არაფერი ყოფილა (ასეთი შავრაზმული და ფაშისტური გეგმები ჟირინოვსკისა და მისნაირებსაც კი არ გააჩნიათ დღეს).

...1866 წელს დიმიტრი ყიფიანს (1832 წლის შეთქმულების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს) პარიზში მოუხდა ყოფნა. იქ ინგლისელი ცოლ-ქმარი ურკვორტები გაუცვნია, რომელთაც მისთვის გამოუცხადებიათ — „რუსეთის დაუძინებელი მტრები ვართ და ასევე დავრჩებით მთელი ჩვენი სიცოცხლეო: რაც კი რამ სიბოროტე ხდება დედამიწის ზურგზე, ერთადერთი მიზეზი რუსეთიაო. ოღონდ ყველგან მოიპოვოს მფლობელობა და ამისათვის არაფერს დაზოგავს არც ფულით და არც ზნეობით და სხვა სახელმწიფოთა

მოწინავე პირთ იმდენად აკლიათ შორსმჭვრეტელობა ან ისე ხარ-ბდებიან რუსულ ოქროს, რომ ეყიდვინებიან რუსეთსო... რუსეთი თავის დღეში არ შეჩერდება არც უსამართლობის, არც შეუბრა-ლებლობის წინაშე, ოღონდაც გულისწადილი შეისრულოსო..." ალექსანდრე ორბელიანიც წერდა თავის მემუარებში „თუ ესეც ით-ქმის ჩემს ცოდვათ, კიდევ ეს არის, რომ მე რუსები საქართველოში არ მიყვარან... მინდა აქეთგან ისე გადაიკარგნენ, რომ საქართვე-ლოს სუნიც იმათ ველარ მიედინოს და რუსეთში კი ბედნიერად იყვნენ... ერთი ძაღლი ჰყოლია ალექსანდრეს, შაქარს აიღებდა და მოუხმობდა ხოლმე თურმე: „როზკა, აბა როგორ გაიცინებ, როცა რუსები აქედან წავლენ?" — გაწვრთნილი ძაღლი ისე დაიწკავწ-კავებდა, თითქოს იცინისო. ალექსანდრე შაქარს ჩაუდებდა პირში და თვითონაც გაიცინებდა (1918 წლის 26 მაისს შვილიშვილმა მარიამ შერვაშიძემ საფლავში ჩასძახა მას „ჩემო ძვირფასო პა-პა, აღარ არიან მტარეალები, მოგვშორდნენ, ახლა თავისუფლები ვართო...").

ალექსანდრე ორბელიანი იყო აქტიური მონაწილე და ფაქტიუ-რი ხელმძღვანელი 1832 წლის შეთქმულებისა რუსული მმართვე-ლობის წინააღმდეგ. შეთქმულების მოწყობის იდეა პეტერბურგში იშვა, სადაც ახალგაზრდა პატრიოტები დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილებისას იკრიბებოდნენ ჯერ ვითომ საგანმანათლებ-ლო საუბრებისათვის. მაგრამ შემდეგ დიმიტრის უკვე აშკარად დაუწყია ლაპარაკი საქართველოს თავისუფლებაზე და რუსების აქედან განდევნაზე. პეტერბურგში გამართულ შეკრებებს ესწრე-ბოდნენ სოლომონ დოდაშვილი, ძმები ერისთავები და სხვ. ტფი-ლისში ჩამოსულმა ოქროპირ ბატონიშვილმა თავისი დისშვილი ალექსანდრე ორბელიანიც აქტიურად ჩააბა შეთქმულებაში. იგი ფაქტობრივად შეიქნა შეთქმულების მეთაური, ვისაც ყველაფერს ეკითხებოდნენ.

შეთქმულება კონსპირაციულად მზადდებოდა საიდუმლო ვითა-რებაში. ელიზბარ ერისთავის წინადადებით თანამოაზრეებმა გა-ზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტთან" დამატების სახით ჟურნალი დააარსეს — „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი" (სულ დაიბეჭდა ხუთი ნომერი, რომელთაგან ერთ-ერთში 1832

წელს გამოქვეყნდა ალექსანდრე ორბელიანის პირველი ლექსი „მთოვარე“).

შეთქმულებაზე გარკვეული გავლენა იქონია პოლონელ პატრიოტთა აჯანყებამ რუსეთის წინააღმდეგ 1831 წელს. შეთქმულება რამდენჯერმე გადაიდო, ბოლოს კი 1832 წლის 20 დეკემბრისათვის დაიგეგმა. შეთქმულებმა შეადგინეს ამბოხების მოსალოდნელი მსვლელობა — პირველი ღამის განკარგულება, საღაც გაწერილი იყო, თუ ვის რა უნდა მოემოქმედა. კონსპირაციის მიზნით საიდუმლო ანბანი და ქარაგმა-სიმბოლოებიც კი პქონდათ შემოღებული: ვარდი მთავარმართებელ როზენს ნიშნავდა, ბულბული — ალექსანდრე ბატონიშვილს (რომელიც უნდა გაემეფებინათ გამარჯვების შემთხვევაში), ყვავი — მუხრანსკის, ბუმბულიანი ნარჩიტა — ფრანგებს, სასტიკნი — პრუსიელებს, ფილოსოფოსნი — ავსტრიელებს, ლომი — რუსეთის იმპერატორს, ლოთნი — ინგლისელებს, ბახუსი — ინგლისის მეფეს, მაპმადი — ოსმალეთს, ოპაოზნელნი — სომხებს და ა.შ.

ციხეს გიორგი და ლევან ერისთავები შეუტევდნენ 40 კაცით. ყაზარმებს — ზაქარია ჩოლოყაშვილი და დიმიტრი ორბელიანი ორი ზარბაზნითა და 200 კაცით. არსენალს, საველე-სასურსათო კომისიას, ხაზინასა და ორდონანსპაუზს — დიმიტრი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ბეჟან ამილახვარი, გიორგი თუმანიშვილი და იეანე ერისთავი — 50 კაცით. ნავთლუღის კომისიას ბიძინა და იასე ერისთავები და თეიმურაზ ამილახვარი — 20 კაცით. პურის მაღაზიას ორ-ორ სანდო კაცს მიუჩენდნენ.

შესაკრებ ადგილად თათრის მოედანი იყო შერჩეული. აქ ორ დროშას უნდა ეფრიალა: ერთს ღვთისმშობლისა და წმინდა ნინოს გამოსახულებით (ეს დროშა ალექსანდრე ორბელიანის მეუღლემ კატინამ შეკერა) და მეორეს — წმინდა გიორგისას (ალექსანდრეს ინიციატივით). აზიური მუსიკის ხმაზე თავი უნდა მოეყარა შეთქმულების ყველა წევრს, ვინც იერიშებში არ მონაწილეობდა და 500-მდე პოლონელს, რომელთაც ყველანაირად ენდობოდნენ და მოქმედების თავისუფლებას აძლევდნენ ნდობის ნიშნად.

მოქალაქენი უნდა შემოეკრიბათ, ეკლესიებში ზარების რეკვა აეტეხათ, სიონის ტაძრიდანაც გამოესვენებინათ ღვთისმშობლის

ხატი და სომეხთა ფეთხაინის ეკლესიიდანაც, იმათ მღვდლებსა და ბერებს კი ეძახათ: ჩვენც თავს ვწირავთ საქართველოს თავისუფლებასო. ქალაქში უნდა აღეკვეთათ ყოველგვარი ბოროტმოქმედება. არ დაენდოთ არავინ — თავადი, აზნაური, მოქალაქე თუ მდაბიო — ვინც შეეცდებოდა წინააღმდეგობის გაწევას. ხალხში მანამდე ხმა უნდა გაევრცელებინათ: რუსები ქართველების ჯარისკაცებად წაყვანას ცდილობდნენ, თავადები კი სიკვდილს ამჯობინებენ. ვიდრე ამ მოთხოვნაზე დათანხმებასო. ეს დარხეული ხმები უთუოდ არეულობას გამოიწვევდა მდაბიოთა შორის (მათი გამოყენება ალექსანდრემ მოიფიქრა). შეთქმულები ამბოხის ღამეს უნდა შეკრებილიყვნენ ლუარსაბ ორბელიანის სახლში წვეულებაზე, სადაც მოიწვევდნენ რუსული კორპუსის უფროსს და ყველა სამხედრო და სამოქალაქო რუს მოხელეს. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი შეთქმულები ღამის 1 საათზე, როგორც კი ნიშნად რაკეტებს გაისროდნენ, დაერეოდნენ რუსებს და მუსრს გაავლებდნენ. ასე მზადდებოდა ეს შეთქმულება ალექსანდრე ორბელიანის ხელმძღვანელობით, რომელიც ამ დროს თბილისის თავადაზნაურთა მარშალი იყო.

აჯანყებულებს გვერდში ედგნენ პატრიოტი და ვაჟკაცი ქართველი ქალები — შეთქმულთა ცოლები, დედები, დები, რძლები: ან უნდა გავწყდეთ სულერთიან ან მამული გამოვიხსნათო, — ამ განცდით იყო გამსჭვალული დიდი და მცირე, ერი და ბერი (ფილადელფოს კიკნაძის მეთურობით), ხნიერნი დედაკაცნიც და ყმაწვილქალნიც ამ სულისკვეთებას აპყვნენ და ბევრმა ისიც დაიფიცა: კაცურად ჩავიცმევთ და ისე ვიბრძოლებთ მამულის დასახსნელადო. მათი შთამაგონებელი კი თეკლა და თამარ ბატონიშვილები იყვნენ. ამბოხების გეგმა თამარმა შეადგინა 1831 წელს და მერეც უმეორებდა ქალებს, თქვენს ქმრებს არ მოეშვათ და დღედაღამ თავისუფლების მოპოვება უჩიჩინეთო, და ისიც კი განუცხადა: ჩვენ, დედაკაცებმა დავიწყოთ, თუკი მამაკაცები გაურჩდებიანო. თამარსა და კატინას მხარში ედგა მშვენიერი მაიკო ორბელიანი.

1832 წლის შეთქმულება (როგორც ყოველთვის ხდებოდა და ხდება) მოღალატემ გასცა. ეს კაცი იყო შეთქმულებაში შერეული თავადი იასე ფალავანდიშვილი. შეთქმულებს თავიდან ნიკოლოზ

I-მა სიკვდილი გადაუწყვიტა, მაგრამ ხელისუფლებაში მიხვდნენ, რომ მოწამებრივი სიკვდილი დიდ სახელს მოუხვეჭდა მეამბოხე ყმაწვილებს და მღელვარებას გამოიწვევდა საქართველოში. ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა შეთქმულების მნიშვნელობა დაეკნინებინათ და ყოველივე ისე წარმოეჩინათ, როგორც თავქარიანი ახალგაზრდების ამჩატება, რაც დიდი მზაკვრობა იყო მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან.

40-მდე შეთქმული გადასახლებულ იქნა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში სხვადასხვა ვადით. ყველაზე თავგანწირული განდგომილი და ფანატიკოსი პატრიოტი ალექსანდრე ორბელიანი 12 წლით გადაასახლეს ციმბირში, სამხედრო პოლკში, ქ. ორენბურგში. კალუგაში გადაასახლეს მისი დედა — ასევე დიდი პატრიოტი და ვაჟკაცური სულის მატარებელი თეკლა ბატონიშვილი და ალექსანდრეს ორი ძმა — ვახტანგი და დიმიტრი (ანუ, ფაქტიურად მთელი ოჯახი). შეთქმულები, ვიდრე გამოძიება და დაკითხვა წარმოებდა, თბილისის ყაზარმებში თითქმის 2 წელი ჰყავდათ გამოკეტილი. აქ ალექსანდრე ორბელიანმა დიდი სიმამაცე, გონიერება და სიმტკიცე გამოიჩინა და ბევრ რამეში მოხერხებულად აუბნია კვალი გამომძიებლებს, არ გასცა ადამიანები, რომლებიც შეთქმულებაში მონაწილეობდნენ, ასეთი საქციელით მან უდიდესი ავტორიტეტი მოიხვეჭა.

1834 წლის ივლისში ალექსანდრე რუს ოფიცერთან ერთად ორენბურგს გაემგზავრა. თუ ციმბირში გადასახლებულ რუს დეკაბრისტებს ნიკოლოზ I-მა თან ცოლების წაყვანის უფლება მისცა, ქართველებს ესეც აუკრძალა. თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ალექსანდრემ ციხეში (2 წელი) და რუსეთში (6 წელი) გაატარა. ეს წლები ძალზე უნაყოფო იყო მის ცხოვრებაში (შემოქმედებითი თვალსაზრისით).

1840 წლის 21 იანვარს ნიკოლოზ I-მა ხელი მოაწერა ნებართვას ალექსანდრე ორბელიანის სამხედრო სამსახურიდან გამოსვლისა და საქართველოში დაბრუნების შესახებ. საქართველოში შემოსული ალექსანდრე თერგის პირას ჩავიდა, ერთ ქვას მოეხვია და კოცნიდა სამშობლოს მონატრებული.

40-იან წლებში გადასახლებიდან დაბრუნებული ალექსანდრე

პასიურ ცხოვრებას ეწეოდა. ამას თან დაერთო მისი უსაყვარლესი დედის გარდაცვალება 1846 წელს. თეკლა ბატონიშვილი პატრიოტი ქართველი ქალის სიმბოლო იყო. მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილი საგანგებოდ ჩაუკვირდება დედაშვილური ურთიერთობის სიფაქიზეს, სიწმინდესა და განსაკუთრებულობას: „რა მოკრძალებით და ნაზი სიყვარულით ეპყრობა ყველაფერში დედას ალექსანდრე. თეკლა მისთვის ღმერთია; მის დაუკითხავად და რჩევის გარეშე ალექსანდრე არაფერს არ აკეთებს; ის დედასთან ყველაფერში გულახდილია, ისეთ საქმეშიაც, რომელსაც მამაკაცი დედაკაცს, თუნდაც დედასაც, იშვიათად გაუმჟღავნებს...“ დარდი ალექსანდრეს შემოქმედებითმა შრომამ გადაატანინა. ამ პერიოდში შეიქმნა ოთხ მოქმედებიანი პიესა-დრამა „დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“.

ალექსანდრე ორბელიანმა შექმნა მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრის მშვენიერ ნაწარმოებთა, მთელი ციკლი, რომელიც შემდგომ გააერთიანა ვახტანგ კოტეტიშვილმა და „საქართველოს ავადმყოფობის ისტორია“ უწოდა. ეს არის ფურცელ-ფურცელ აკინძული უბედური დღეების სურათები, დაუნდობლად გაშიშვლებული წყლულები. ზოგმა ღალატით და ზოგმაც უნიათობით ქვეყანა დაღუპვის პირამდე მიიყვანა, ალექსანდრე ამას არავის პატიობდა. „მამულის ღალატი მარჯვენა ხელმა ცოტათიც რომ იგრძნოს, უნდა მოიჭრას ის ხელი და ძაღლებს მიუგდოს, არამცთუ დაზოგოს ვინმე“ — ასეთია მისი ზნეობრივი მრწამსი, ასეთი მკაცრია და უშეღავათო პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ. „გვმართებს, რომ ჩვენი სამშობლო მამულის ხსენებაზე ჩვენი გრძნობა დაემხოს ამ ჩუენის მამულის წინაშე და ამის მტვერსა ვლოკდეთ“, — ასეთია მისი ეროვნულ-პატრიოტული მრწამსი. პიესაში „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველებისა“, ალ. ორბელიანი წარმოაჩენს ერეკლეს, როგორც დაცემული და იავარქმნილი ქვეყნის ერთ-ერთ გადამრჩენს. ალექსანდრე იმისკენ ისწრაფვოდა, რომ დავითის, თამარის, ერეკლეს სახელები სახელმწიფოებრივი მთლიანობის, თავისუფლების დაკარგული იდეალის სიმბოლოებად ექცია და მათი თავდადება და ღვაწლი დაესახა იმ წყაროდ სიმხნევისა, რასაც ერი და ბერი

კელავაც უნდა შეეკავშირებინა და გადაწურული იმედიც ხელახლა დაებრუნებინა. ალექსანდრეს საოცრად უყვარდა თავისი დიდი პაპა — ერეკლე, აღმერთებდა მას, თუმცა არ იზიარებდა რუსეთთან საქართველოს შეერთების აუცილებლობას. ალექსანდრესთვის ისტორიული სიზუსტე წმიდათაწმინდა იყო, ვერ ეგუებოდა აქეთ-იქით მისგან გადახვევას.

50-იანი წლებიდან ალექსანდრე კელავ ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში", მატერიალურადაც ეხმარებოდა მას. ამ ჟურნალით შემოვიდა ილია და თერგდალეულთა თაობა ლიტერატურულსა და საზოგადოებრივ ასპარეზზე, აქ გაშალეს მათ ფრთები და მერე თავად იწყეს ახალი ჟურნალების დაარსება. თავის პატარა წიგნში „ქართული ენისათვის" ალ. ორბელიანი ასაბუთებს საეკლესიო ენისაგან თავის დაღწევის აუცილებლობას: ენა თვითონვეა ყოვლისმომცველი, ენაა მომტანი სინათლისა და ამიტომაც ვემუდარები ღმერთს მის გადარჩენასო, არაფერი არ ღირს ამქვეყნად უფლისაგან განდგომად, საკუთარი პიროვნულობის ჩაკვლად, ერისა და ენის გაქრობადო.

„ცისკარში" დაბეჭდილ სტატიაში „უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში" (1859) ალექსანდრეს აზრით, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოში ბატონსა და ყმას შორის მამაშვილური და ლოიალური დამოკიდებულება არსებობდა. თავად იყო ამის მაგალითი, — რამდენიმე ყმის გარდა, ყველა გაათავისუფლა, თავისი ქონებისა და შემოსავლის დიდი ნაწილი გლეხებსა და გაჭირვებულებს დაურიგა (რომლებსაც იგი თავის მფარველ ანგელოზად მიაჩნდათ), მანვე დაიწყო საუბარი წოდებათა შეკავშირების აუცილებლობაზე, რაც მერე განავრცეს და გააღრმავეს ილიამ და არჩილ ჯორჯაძემ.

ალექსანდრეს ჟანრობრივად საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა თემატურად თითქმის ერთ ძირითად საკითხს ეხება — ესაა ქართველთა „დაცემული ვინაობის" გარკვევა. პატრიოტული ტენდენცია განსაზღვრავს მის ლირიკასაც („მთოვარე", „ეპიტაფია საქართველოს მეფის ირაკლისადმი"), პროზასაც („უმანკო სისხლი", „ასპინძის ომი 1770-ისა" და სხვ.) და

დრამატურგიასაც („კეთილი ბერიკაცი", „დაკით აღმაშენებელი", „ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო"). ალექსანდრე ორბელიანის ისტორიული ნაშრომებიდან აღსანიშნავია „აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში", „1829 წლის არეულობა საქართველოში", „საქართველოს მეფის ირაკლის ძე ლევან", „დაღესტნიდან ლეკების გადმოსვლა ახალციხეში" და სხვა, რომელნიც ობიექტური თხრობის ნიმუშებად და წყაროებადაც კი გამოდგება.

ალექსანდრე ორბელიანი გარდაიცვალა 1869 წლის 28 დეკემბერს თბილისში. სერგეი მესხი სამგლოვიარო სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ის იყო ძველი დროის კაცი — არ შეგვიძლია არა ვსთქვათ, რომ თავის თანამედროვეთა რიცხვში ის იყო საუკეთესო პირი... ძველ კაცებში, მგონია, მხოლოდ ეს ერთი გვყავდა, რომელიც ვით ნამდვილი შვილი, ზრუნავდა საქართველოს ბედზე, დასტიროდა იმის უბედობასა და დაპხაროდა ბედნიერებას"-ო.

ალექსანდრე იყო იდეალი, სახიერი ნიმუში ახალგაზრდებისათვის თავგამეტებული მეამბოხისა, თავის მამულს რომ ერთგულობდა და არა რუსთა ხელმწიფეებს.

სოლომონ დოდაშვილი

სოლომონ დოდაშვილმა მხოლოდ 31 წელი იცოცხლა, მაგრამ გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე ბევრმა ღრმა სიბერემდე მიღწეულმა მისი თაობის წარმომადგენელმა. მან თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით უმნიშვნელოვანესი წელილი შეიტანა ქართული ფილოსოფიური აზროვნების, ლიტერატურის, პუბლიცისტიკის, ჟურნალისტიკის, ლოგიკის, ესთეტიკისა და სხვა დარგების განვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მისი ნაშრომი დღემდე დაკარგულად ითვლება.

სოლომონ დოდაშვილი დაიბადა 1805 წლის 29 მაისს ქიზიყში, სიღნაღის მაზრის სოფელ მაღაროში. მამა იოანე დოდაშვილი ცნობილი მღვდელი იყო. პატარა სოლომონმა პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. შემდეგ იგი სწავლობდა ბოდბის მონასტერთან არსებულ სკოლაში, 1820 წლამდე კი სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი გაგზავნეს ტფილისის სამაზრო სასულიერო სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. მან წარმატებით ჩააბარა მისაღები

გამოცდები და ჩაირიცხა სემინარიაში. აქ სოლომონმა ყურადღება მიიქცია თავისი დიდი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით. იგი ბრწყინვალედ ითვისებდა ყველაფერს და მაღალი აკადემიური მოსწრება ჰქონდა. ამის გამო 1822 წლის მარტში იგი უკვე მასწავლებლად გაგზავნეს სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში. ცოდნის დაუოკებელი წყურვილით შეპყრობილი ახალგაზრდა 1824 წელს 18 მანეთით ჯიბეში პეტერბურგს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად.

1824 წლის ზაფხულში ს. დოდაშვილი პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი გახდა. იგი იყო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი ქართველი სტუდენტი, შემდგომში თერგდალეულთა გზის გამკვალავი და შთამაგონებელი.

პეტერბურგში სოლომონს მამობრივი მზრუნველობა აღმოუჩინა ბერმა იონა ხელაშვილმა — ფრიად ერუდირებულმა პიროვნებამ და გულმხურვალე პატრიოტმა, რომელიც თან ახლდა პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბაგრატიონებს და იმავდროულად, შეძლებისდაგვარად, მფარველობდა რუსეთში მოხვედრილ ნიჭიერ ქართველებს. სოლომონმა თავისი ნიჭით, შრომისმოყვარეობით და პატიოსნებით მოხიბლა იონა, რომ ცოტა ხანში მის „სულიერ ძედ“ იქცა.

სოლომონს პეტერბურგში მატერიალურად ძალიან უჭირდა, ხშირად 10-15 ვერსს გადიოდა ფეხით იმის გამო, რომ ტრანსპორტის ფული არ ჰქონდა. მისი ერთადერთი დამხმარე იონა ხელაშვილი იყო.

პეტერბურგში სოლომონ დოდაშვილი მოწმე გახდა დეკაბრისტების უმკაცრესი დასჯისა. იგი დარწმუნდა, რომ მეფის რუსეთის მთავრობა თავისიანებს არ ინდობდა და მით უმეტეს არ დაინდობდა სხვა ეროვნების ადამიანებს, ამიტომ მასთან დიდი სიფრთხილე იყო საჭირო.

1827 წელს სოლომონმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსი და იქვე წარადგინა რუსულად დაბეჭდილი წიგნი — „ფილოსოფიის კურსი. ნაწილი I. ლოგიკა“, რომელიც დაისტამბა ალექსანდრე სმირდინის გამომცემლობაში 1200 ცალად. წიგნის გამოცემის ხარჯები გაიღო

ონა ხელაშვილმა. 22 წლის ახალგაზრდა უკვე ლოგიკის სახელმძღვანელოს ავტორი შეიქნა! ამ წიგნის გამოქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ლოგიკური აზროვნების ისტორიაში. ნაშრომს მაღალი შეფასება მიეცა რუსულ სამეცნიერო წრეებში და ჟურნალ-გაზეთებში. ამ წიგნის წყალობით სოლომონ დოდაშვილი მოხვდა ფილოსოფიის ისტორიის რუსულ სახელმძღვანელოებსა და ფილოსოფიურ ლექსიკონებში, მათ შორის ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში.

სამშობლოს სამსახურის სურვილით ანთებული ახალგაზრდა ტფილისში ჩამოვიდა და ფართო სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა გააჩაღა. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ წინ წაეწია საქართველოში განათლებისა და კულტურის საქმე. ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მასწავლებლობას (1830 წელს იგი გიმნაზიად გადაკეთდა) იგი უხამებს მეცნიერულ და ჟურნალისტურ მოღვაწეობას. 1829 წელს დოდაშვილმა დაწერა და ერთი წლის მერე გამოაქვეყნა „შემოკლებული ქართული გრამატიკა", რომელიც სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა გიმნაზიაში (მისი მოწაფე იყო ნ. ბარათაშვილი). ტფილისშივე დაამუშავა მან „ლოგიკის" ახალი ვარიანტი და გაუგზავნა პეტერბურგში თავის ძმას (თუმცა დღემდე დაკარგულია), მასვე დაუწერია „პიიტიკა", რომელიც ასევე მიკელეული არაა დღემდე.

იმავდროულად სოლომონ დოდაშვილი ფართო საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა.

მან შექმნა ლიტერატურული წრე „ამხანაგობა", სადაც დადიოდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები და სხვ.

1828 წელს ტფილისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით ს. დოდაშვილი დაინიშნა გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტის" საგამომცემლო კომიტეტის წევრად. გამოდიოდა მისი ქართული ვარიანტი, რომელსაც უძღვებოდა სოლომონ დოდაშვილი. მისი რედაქციითა და აქტიური მონაწილეობით გამოვიდა აგრეთვე პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი", რომელიც გაზეთ „ტფილისის უწყებანის" ლი-

ტერატურულ დამატებას წარმოადგენდა. აღნიშნული ჟურნალის გამოცემა დაიწყო 1832 წლის იანვარში. სულ გამოვიდა ხუთი ნომერი.

ჟურნალში სოლომონ დოდაშვილი კბილებით იცავდა ქართულ ლიტერატურულ და ფილოსოფიურ მეშკვიდრეობას. სტატიაში „მოკლე განხილუა ენისა და ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, იგი მწვავედ ეკამათებოდა მათ, ვისაც მიაჩნდა, რომ ქართული ენა და ლიტერატურა სომხურის განშტოება იყო და ასაბუთებდა ქართული ლიტერატურის ორიგინალობას და ღირსებას, სოლომონი ჩამოპყვა ქართველ მწერლებსა და ფილოსოფოსებს, მიმოიხილა მათი ნაღვაწი. იგი პირველი მკვლევარი იყო, ვინც დაინტერესდა იოანე პეტრიწით და მისი ნააზრევით.

დოდაშვილს მიუძღვის დიდი როლი ძველ ქართულ განმანათლებელთა მემკვიდრეობის გამომზეურებისა და ახალი საგანმანათლებლო იდეების გავრცელებაში. სოლომონი ხაზს უსვამდა, რომ „განათლება არს უუმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა“ და დაუღალავად შრომობდა ამ მიმართულებით. ყველაფერ ამას კი საფუძვლად ედო არა პირადი გამორჩენა და ამბიცია, არამედ სამშობლოსადმი უდიდესი უანგარო სიყვარული: „ვიკრეფ სიბრძნესა მამულისათვის... არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ეჰმუშაკობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნოს ივერია საშუალებითა წერილთ სარწმუნოთა“.

დოდაშვილი საზოგადოების კლასებად დაყოფის წინააღმდეგი იყო. ბაგრატ ბატონიშვილის შვილებთან ურთიერთობაში მან გამოამჟღავნა, რომ იგი არანაირ უპირატესობას არ ანიჭებდა მათ იმ პრივილეგიის გამო, რომ ისინი მეფეთა შთამომავლები იყვნენ. ამას იგი უფრო კარგად გამოთქვამს იონა ხელაშვილისადმი მიწერილ წერილში: „თქვენ უწყით... რომელ სწავლასა შინა დიდის კაცისა და მცირისა ერთი და იგივენი არიან, ე.ი. ერთად შესარაცხ არიან მასწავლებლისა თანა“. ეს მის დემოკრატიულ განწყობაზეც მიუთითებს და ადამიანთა თანასწორობის პატივისცემაზეც. სოლომონი პირდაპირ მიუთითებდა: „არა გვარითა იქმნების კაცი, არამედ გონებითად მოქმედებითა ხელოვნად“. განსაკუთრებით სა-

ინტერესოა ამ კუთხით იონა ხელაშვილისა და სხვათადმი გაგზავნილი წერილები (1825-1832 წლები, სულ 60-მდე წერილია). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სოლომონ დოდაშვილი პირველი რესპუბლიკელი მოღვაწე იყო საქართველოში. მისი მიზანი იყო საქართველოში რესპუბლიკის დამყარება და ამ განწყობილებამ მიიყვანა იგი 1832 წლის შეთქმულებამდე.

ამ შეთქმულებაში მონაწილე სოლომონს თავისი ხალხის კეთილდღეობის და უკეთესი მომავლის სურვილი ამოძრავებდა, ამან აქცია იგი შეთქმულების იდეურ ხელმძღვანელად.

ჯერ კიდევ 26 წლის იყო ს. დოდაშვილი, როცა უდიდესი გულისტკივილით წერდა:

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თავისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, პყავდა ყოვლისა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი. და ჩვენი ხმა, სახელი და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის პქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლული იყო და დამხობილ მათგან.

ხოლო აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისას ჩვენისასა?

ჰგრძნობათა შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა?!

რაისთვის არს ესე ესრეთ?

ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი?!

ნუ უკვე ჩვენ არ ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა?!

ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესეოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?!

მაშა რაისთვის ვცოცხალვართ?!“

უაღრესად განათლებულ და პატრიოტ სოლომონ დოდაშვილს დიდი გავლენა და ავტორიტეტი ჰქონდა საქართველოში, როგორც მაღალ, ასევე დაბალ ფენებში. შეთქმულების მონაწილენი მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ იმედებსა და ოცნებებს მაშინ განხორციელება არ ეწერა — შინაგამცემელ-

თა წყალობით და სათანადო მოუმზადებლობის გამო 1832 წლის შეთქმულება ჩაიშალა.

შეთქმულთაგან სოლომონი ყველაზე მკაცრად დაისაჯა იმის გამოც, რომ იგი დაბალი ფენიდან იყო. იგი დააპატიმრეს 1832 წლის დეკემბერში. საქმის გამო ძიება დიდხანს გაგრძელდა. სოლომონმა პატიმრობაში 1,5 წელი დაჰყო. სასამართლომ თავიდან სასტიკი განაჩენი გამოიტანა: შეთქმულების მონაწილენი უნდა ნაწილ-ნაწილ დაეკუწათ და მოედანზე ხალხის დასანახად დაეყარათ. შემდეგ „მოწყალე" იმპერატორმა სასჯელი შეამსუბუქა. პირველ კატეგორიაში მოხვედრილ შეთქმულების ხელმძღვანელებს სამშობლოდან სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს, თუმცა შემდეგ დოდაშვილის გარდა ყველა უკან დაბრუნდა. დოდაშვილი გადაასახლეს ვიატკაში სამშობლოში დაბრუნების აღკვეთით.

სოლომონმა გადასახლებაში თან წაიყვანა მეუღლე ელენე და თავისი ქალ-ვაჟი. 1834 წლის ივლისში იგი ვიატკაში ჩავიდა და მუშაობა დაიწყო ჯერ გუბერნიის სამმართველოში გადამწერად, მერე კი სათემო გადასახადების მაგიდის უფროსად (აქვე მსახურობდა გადასახლებული ალექსანდრე გერცენი. დოდაშვილი და გერცენი ერთმანეთს ცნობდნენ და ერთი იდეები აკავშირებდათ). ვიატკის კანცელარიაში, გერცენის თქმით, საპყრობილეზე უარესი პირობები იყო, მოხელეები კი — მექრთამეები და გაიძვერები.

პატიმრობამ ტფილისში და გადასახლებამ ვიატკაში საბოლოოდ შეარყია დოდაშვილის ჯანმრთელობა. მას ადრევე შესჩენოდა ტუბერკულიოზი, ვიატკის მკაცრმა ჰავამ კი ეს ვერაგი დაავადება უფრო გაართულა და გააღრმავა. თხოვნის მიუხედავად იგი სხვა, უფრო თბილ გუბერნიაში არ გადაიყვანეს.

გადასახლებაში ყოფნის ორი წლის თავზე, 1836 წლის ზაფხულში იგი მიუსაფრად გარდაიცვალა ვიატკაში (9 წლის მერე განჯაში ასევე მიუსაფრად დაიღუპა მისი მოწაფე, ახალგაზრდა ნიკოლოზ ბარათაშვილი).

სოლომონ დოდაშვილმა საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო და ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ მის ფილოსოფიურ შრომებზე „ლოგიკა", „ლოგიკის მეთოდოლოგია". 1828 წელს დაწერილ ნაშრომში „რიტორიკა" იგი განიხილავს ეს-

თეტიკის ზოგად პრობლემატიკას, ეხება პროზისა და პოეზიის, მჭერმეტყველებისა და საერთოდ, ხელოვნების თეორიას. შემოქმედისათვის იგი აუცილებლად მიიჩნევდა ნიჭიერებას, განათლებას, სამართლიანობას და დიდ მგრძნობიარობას.

სოლომონ დოდაშვილი ილაშქრებდა ყოველგვარი ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, ქადაგებდა განათლების ფართოდ დანერგვას. იგი ხშირად ურჩევდა შეძლებულ თავადებს შეეგროვებინათ ფული და გამოეცათ ჟურნალ-გაზეთები, შეეძინათ ბიბლიოთეკები, უმაღლესი განათლების მისაღებად გაეგზავნათ ღარიბი, მაგრამ ნიჭიერი მოსწავლეები. მისმა იდეებმა ხელი შეუწყო და საფუძველი ჩაუყარა თერგდალეულთა ეროვნულ მოღვაწეობას. „დროების“ 10 წლისთავისადმი აღსანიშნავ შეკრებაზე ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეზღოს, თუმცა იმ დროშაზედ, რომელიც უფალმა ს. მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავის მიმართულება ზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის სოლომონ დოდაევისაგან (დოდაშვილისაგან), გიორგი ერისთავისაგან, საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში“.

დიდია მისი დამსახურება ქართული ენის გრამატიკის, ლიტერატურის, პუბლიცისტიკის განვითარების საქმეში. დოდაშვილს ეკუთვნის ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის პირველი ცდა.

თანამედროვეობაშიც მეტად აქტუალურია ს. დოდაშვილის იდეა იმის შესახებ, რომ თანამდებობაზე, სადაც ხალხთან ურთიერთობა აუცილებელია, უნდა დაინიშნოს ისეთი პირი, რომელიც ხალხს კარგად იცნობს და შეუძლია ჩასწვდეს მის ჭირ-ვარამს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ხალხის მდგომარეობის ნამდვილი და არა მოჩვენებითი გაუმჯობესება-ო.

მიუხედავად იმისა, რომ სოლომონ დოდაშვილი გადასახლებაში დაიღუპა და ქართული მიწა არ ღირსებია, მის მიერ დარგულმა ნერგმა ნაყოფი გამოიღო. დღეს უკვე მის მაღალ სახელს და ნაამაგარს დიდი სიყვარულით ეპყრობა მადლიერი შთამომავლობა — მან ხომ თავისი ერის კეთილდღეობის სამსხვერპლოზე საკუთარი სიცოცხლე მიიტანა!

დიმიტრი ყიფიანი

დიმიტრი ყიფიანის — ამ ჭეშმარიტად დიდი ქართველის, ამასთან, 1832 წლის შეთქმულების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის, ცხოვრება და მოღვაწეობა მშობლიური ერისადმი თავდადებული და უანგარო სამსახურის ბრწყინვალე მაგალითია. მისმა ვაჟკაცურმა და მოწამებრივმა სიკვდილმა დიდი გავლენა მოახდინა ქართველი ერის გამოფხიზლებასა და ეროვნული თვითშეგნების განვითარებაზე.

დიმიტრი ყიფიანი დაიბადა 1814 წლის 14 აპრილს გორის რაიონის სოფელ მერეთში. დიმიტრის მშობლები აზნაურთა წრეს ეკუთვნოდნენ: მამა — ქოჩო ყიფიანი, დედა — ბარბალე ფურცელაძე. დიმიტრის 3 უფროსი დედმამიშვილი ჰყავდა, ძმა ქაიხოსრო და ორი და.

ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა. პატარა დიმიტრის მშობლები მალე დაეღუპა და მისი აღზრდა ითავა უფროსმა ძმამ ქაიხოსრომ, რომელიც მიხაილოვოს (ხაშურის) უბანში რკინიგზაზე მუშაობდა და სურამში ცხოვრობდა. მან თავისთან გადაიყვანა დაობლებული დიმიტრი.

ნიჭიერმა და მონდომებულმა ყმაწვილმა სწრაფად ისწავლა წერა-კითხვა, ანგარიში, საღვთო წერილი, ლოცვებიც და თვით „ევფხისტყაოსანიც“

მალე დიმიტრი თავისმა სიძემ — დის ქმარმა ფიოდოროვმა, თბილისში წამოიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. ბეჯითი ჭაბუკი სულ მალე კეთილშობილთა სასწავლებელში (მერე გიმნაზიად გადაკეთდა) გადავიდა. გიმნაზიაში მასთან ერთად სწავლობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, ორივეს კი ასწავლიდა სოლომონ დოდაშვილი — ცნობილი მოაზროვნე.

1830 წელს დიმიტრიმ დაამთავრა გიმნაზია და მუშაობა დაიწყო თარჯიმნად თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში. რამდენიმე თვის შემდეგ იგი გადაიყვანეს მასწავლებლად თბილისის გიმნაზიაში. 17 წლის ახალგაზრდა გიმნაზიაში 4 საგანს ასწავლიდა — არითმეტიკას, გეოგრაფიას, ქართულ და რუსულ ენებს. პატრიოტულად განწყობილი ჭაბუკი ქართულ მამულიშვილებს დაუკავშირდა, რომლებმაც მას დიდი ნდობა აღმოუჩინეს და 1832 წლის შეთქმულებაში ჩართეს. ამ შეთქმულებას და მის მონაწილეებს რა ბედიც ეწიათ, ყველამ კარგად ვიცით — ღალატმა მაშინ ბევრ ქართველს ჩაუქრო გულში ანთებული იმედის სხივი. სხვა პატრიოტების მსგავსად „გულმოწყალე" იმპერატორმა დ. ყიფიანიც გადაასახლა 5 წლით ქალაქ ვოლოგდაში.

ხუთი წლის შემდეგ მას სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს. შეთქმულების დამარცხებამ ბევრ რამეზე დააფიქრა დიმიტრი. გონიერი ახალგაზრდა მიხვდა, რომ იმ ეტაპზე რუსეთთან სამხედრო ძალით დაპირისპირება ავანტიურა იყო. ამიტომ საჭირო იყო სახელმწიფო სამსახურში განათლებული და პატრიოტი ქართველების მომრავლება, რუსეთისადმი მოჩვენებითი „ერთგულებით" ქართული საქმის კეთება, ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური განვითარება, ხალხის გამოფხიზლება.

საქართველოს საქმეებში კარგად ჩახედული, განათლებული, პატიოსანი და გონიერი დიმიტრი ყიფიანი რუსი მთავარმართებლებისათვის შეუცვლელ ფიგურად იქცა და დიდ თანამდებობებსაც მიაღწია: ვორონცოვის დროს მთავარმართებლის საბჭოს კანცელარიის მმართველი იყო, მურავიოვის დროს — კანცელარიის დირექტორი, ბარიატინსკიმ თავისი საბჭოს წევრად დანიშნა. მას მნიშვნელოვანი დავალებებით აგზავნიდნენ საქართველოს ყველა კუთხეში და 30 წლის მანძილზე „არ მოუსვენია არც ერთი დღე, არც ერთი საათი, მაგარი და მტკიცე სულით იგი მხნედ ასრულებდა თავის მოვალე-

ობას, მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩინოვნიკი, არამედ როგორც პატიოსანი კაცი და დაუცხრომელი მოღვაწე" (ვალერიან გუნია). მიუხედავად იმ მაღალი თანამდებობებისა, რომლებიც მას ეკავა, სამსახურიდან პენსიაში გასული დიმიტრი, როგორც აღნიშნავდა ნიკო ნიკოლაძე, ისეთივე ღარიბ აზნაურად დარჩენილა, როგორიც სამსახურის დაწყებისას იყო. სხვათა შორის, დიმიტრი ყიფიანმა სპეციალურად მიატოვა სახელმწიფო სამსახური და შეუდგა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის სამემკვიდრეო და სამეურვეო საქმეების მოგვარებას. მან შეძლო „სახასო" მიწების მთავრის საკუთრებაში დატოვება და ამით ჩაუშალა მეფის რუსეთს ავი განზრახვა, რომ მიწაზე რუსი კოლონისტები ჩამოესახლებინა.

1840 წელს დიმიტრი ყიფიანმა შეადგინა და მთავარმართებელს დასამტკიცებლად წარუდგინა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის წესდება". ამის საფუძველზე ერთ-ერთი პირველი წიგნსაცავი მისი ინიციატივითა და მეცადინეობით იმავე წელს დაარსდა ტფილისში.

დიმიტრი ყიფიანი ტფილისის თავადაზნაურობამ ორჯერ აირჩია სათავადაზნაურო გიმნაზიის საპატიო მზრუნველად, როგორც ცნობილი ენერგიული და უანგარო პიროვნება და ისიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა გიმნაზიის პრობლემების გადაწყვეტაში (იოსებ უთურაშვილი). დიმიტრი ყიფიანი იყო ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე. ქართული და რუსული ენების გარდა იგი სრულყოფილად ფლობდა ინგლისურსა და ფრანგულს, ორიგინალებიდან თარგმნიდა შექსპირს („რომეო და ჯულიეტა"), მოლიერს, ჰიუგოს და სხვ. წერდა ნარკვევებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე, ადგენდა გრამატიკას, მნიშვნელოვან ნაშრომებს თარგმნიდა ქართულ ენაზე.

დიმიტრიმ აქტიური მონაწილეობა მიიღო ბატონყმობის გაუქმების საქმეში. 1864 წელს იგი აირჩიეს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად , 1876 წელს კი ქალაქის თავიც (მერი) გახდა და წარმატებით უძღვებოდა ამ საქმეს.

დიმიტრი ყიფიანი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. მან დიდი ამაგი დასდო ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის დაარსებას, დრამატული საზოგადოების ჩამოყალიბებას (თავისი მუდმივი თეატრით და დასით). 1879 წელს მან სხვა მოღვაწეებთან (ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი და სხვ.) ერთად ჩამოაყალიბა

უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის თავმჯდომარედაც იგი ერთხმად აირჩიეს. ესენი **„სულ ყიფიანის სიმხნევით, მისის სისხლით და ოფლით არიან დაარსებულნი, ფესვებმოდებული და წელში გამაგრებულნი“** (ვალერიან გუნია).

დიმიტრი ყიფიანს ძალიან კარგად ესმოდა განათლების მნიშვნელობა ერის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული წინსვლის საქმეში და ამიტომ თავს არ ზოგავდა ხალხში სწავლა-განათლების დასანერგავად, რადგანაც **„სწავლა აპატიოსნებს კაცსა, აფაქიზებს, ალონიერებს, ზეაღავლენს და ღირსჰყოფს დაუსაბამობასთან მიახლოებისა... განათლება ყველას გვაწონასწორებს“** (დ. ყიფიანი).

ეროვნული ინტერესების დაცვის და მამა-პაპათა ტრადიციების განმტკიცების, ხალხის ზნეობრივი სრულყოფის საქმეში დიმიტრი ყიფიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქრისტიანულ მართლმადიდებლობას, ღმერთის რწმენას: **„ვინც კი სარწმუნოებას შეურყევლად ადგია, ვისაც გონება ისე აქვს შეზავებული, რომ რამდენიც უნდა საკვირველება საკვირველებას დაჰჰყვეს, არ შეირყევა აღსარება მისი, რომ ღმერთი არის ყოვლის შემძლებელი, ყოვლის დამმყარებელი, ძლიერებით ყოვლად გარეშე უწერელი, ყოველ ზომასა და განსაზღვრების გარეშე მყოფი“**.

რუსეთში ალექსანდრე მეორის მკვლელობის შემდეგ (1881 წ.) გაძლიერდა რეაქცია და განაპირა მხარეების კოლონიზაცია დაიწყო. საქართველოში მეფისნაცვლობა გაუქმდა და მის ნაცვლად მთავარმართებელობა იქნა შემოღებული (ანუ ის მცირე უფლებებიც გააუქმეს, რაც მეფისნაცვალს ჰქონდა), აიკრძალა სიტყვა „საქართველოს“ ხმარებაც კი. შესაბამისად საქართველოში ისეთი მთავარმართებელი დანიშნეს, ვინც ამ მისიას — ყოველივე ქართულის წინააღმდეგ ბრძოლას — წარმატებით შეასრულებდა. ეს იყო დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც 1882 წელს გამოგზავნეს საქართველოში.

დონდუკოვ-კორსაკოვმა ქართველთმოძულე მიზანთროპები შემოიკრიბა გარშემო — რუსი ეგზარხოსი პავლე, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, სასულიერო სემინარიის რექტორი ჩუდეცკი და სხვ.

ჯერ იყო და იანოვსკიმ მოინდომა სკოლებიდან ქართული ენის

სრულიად განდევნა. ამ აშკარად ანტიქართული ნაბიჯის წინააღმ-დეგ მკაცრად გაილაშქრეს ილია ჭავჭავაძემ, დიმიტრი ყიფიანმა, სერგეი მესხმა, იაკობ გოგებაშვილმა.

დიმიტრი ყიფიანმა წერილები გაუგზავნა იანოვსკის და რუს ეგზარხოსს პაულეს: „თუ ამას ვერ დაფიქრებიხართ, რა მნიშვნ-ელობა აქვს თქვენს ქადაგებასა, ქართველობა პგმეთ და ქართული ენა დაივიწყოთო, მე გეტყვით... მერე რა ენისას ამბობენ კაცობ-რიობის მგმობელნი, უნდა გაჰქრესო იმ ენისას, რომელსაც ლაპა-რაკობდნენ ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი, რომელზედაც ქრისტიანობას გვიქადაგებდნენ ნინო მო-ციქულთ თანასწორი და ათკამეტნი სირიელნი მამანი; რომელზე-დაც მწერლობდნენ შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსნი, როგორც პეტრიწი, სჯულმდებელი, როგორც ვახტანგი... ჩინგისხანმა, ლან-გთემურმა, შაპაბაზმა, ნადირშაპმა ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხოს-ნობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსრნათ... ბ. იანოვსკის ათასწი-ლად უჯობს ისევ ამ აზრის შემუსვრა მოახერხოს...“

1885 წელს დიმიტრი ყიფიანი დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა წინამძღოლად (მარშლად) აირჩიეს. მალე საქართველოში ზღვით, ბათუმში ჩამოვიდა საქართველოს ყოფილი მეფისნაცვალი მიხეილ რომანოვი. დონდუკოვ-კორსაკოვისთვის ნიშნის მისაგებად დიმიტრი ყიფიანი და ქართველი თავადები მას ხაზგასმულად თბი-ლად დახვდნენ და მოეფერნენ, ამასთან უამბეს ყველაფერი იმ უმს-გავსობაზე, რასაც ახალი მთავარმართებელი და მისი თანამოაზრენი სჩადიოდნენ საქართველოში. ქუთაისში, ბორჯომში და ტფილისში თბილი შეხვედრების შემდეგ მიხეილ რომანოვი არც კი შეხვედრია დონდუკოვ-კორსაკოვს, ისე გაშგზავრებულა რუსეთში. დიმიტრი ყიფიანმა მასთან საუბრების შინაარსი წერილობით გაავრცელა, რი-თაც კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა უღირს მთავარმართებელს.

დონდუკოვ-კორსაკოვმა დიმიტრი ყიფიანი წერილობით დაა-ბეზღა რუსთა იმპერატორთან, რომელიც გაურისხდა დიმიტრის და გაკიცხა კიდეც სპეციალური წერილით.

დ. ყიფიანმა, რომელიც ფხიზლად იდგა ერის ინტერესების სა-დარაჯოზე, უკან არ დაიხია. რუსმა ბიუროკრატებმა კი კიდევ უფ-რო გააძლიერეს ქართულ ეროვნულ დაწესებულებათა დევნა და შევიწროება. ამ მხრივ თავი გამოიჩინა სასულიერო სემინარიის

რექტორმა, დეკანოზმა ჩუდეცკიმ, რომელიც თავისი აგენტებით სულს ხდიდა ქართველ მოსწავლეებს. მაგალითად, მან გაუთავებელი დაკითხვების და შემოწმებების შემდეგ სემინარიიდან გარიცხა სტუდენტი სოსო ლაღიაშვილი. 1886 წლის 24 მაისს ლაღიაშვილი კაბინეტში შეუვარდა ჩუდეცკის და ხანჯლით მოკლა.

სტუდენტი შეიპყრეს და ციმბირის კატორღაში გაგზავნეს, საიდანაც იგი ჯერ იაპონიაში, მერე კი ამერიკაში გაიქცა. მოკლული ჩუდეცკის დაკრძალვის დღეს ეგზარქოსმა პავლემ დასწყევლა არა მარტო ლაღიაშვილი, არამედ მისი მშობელი ქართველი ერიც.

ეგზარქოსის არაადამიანურმა და არაქრისტიანულმა ანტიქართულმა გამოხდომამ უზარმაზარი რისხვა და პროტესტი გამოიწვია მთელს საქართველოში. პირველმა სწორედ დიმიტრი ყიფიანმა აიმაღლა ხმა. 1886 წლის 8 ივნისს ხაშურიდან (მაშინ მიხაილოვო ერქვა) მან მკაცრი წერილი გაუგზავნა ეგზარქოსს და საქართველოს ხალხის შეურაცხყოფისათვის ქვეყნის დაუყოვნებლივ დატოვება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი უარესი საპროტესტო ტალღის აგორებით დაემუქრა რუსულ მმართველობას. დონდუკოვ-კორსაკოვი კინაღამ ჭკუიდან გადავიდა. მან დაუყოვნებლივ გაგზავნა წერილი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან და ყიფიანის საქართველოდან გასახლება მოითხოვა, როგორც რუსეთისთვის უაღრესად საშიში პიროვნებისა. პეტერბურგში კვლავ მხარი დაუჭირეს მთავარმართებლის მოთხოვნას და დიმიტრი ყიფიანს იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ სტავროპოლში გადასახლება მიუსაჯა.

1886 წლის ზაფხულში დიმიტრი ყიფიანი გადაასახლეს სტავროპოლს, სადაც რამდენიმე წლით ადრე ანალოგიურ სასჯელს იხდიდა ნიკო ნიკოლაძე.

დიმიტრი ყიფიანმა თავისი შეგნებული ცხოვრება გადასახლებით (ვოლოგდაში) დაიწყო და ამითვე დაამთავრა. ერთი წლის შემდეგ, სტავროპოლს გადასახლებული დიმიტრი ყიფიანი (25 ოქტომბერს ღამით) ვერაგულად მოაკვლევინა რუსთა მთავრობამ.

დიმიტრი ყიფიანის მკვლელობამ საქართველოში უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. მთელი ერი ფეხზე დადგა. მისი დაკრძალვა მთავრობის საწინააღმდეგო უზარმაზარ დემონსტრაციად იქცა. სამგლოვიარო ცერემონიალს მიჰყვებოდნენ ილია და აკაკი და სხვა

გამოჩენილი მოღვაწეები, ძვირფასი კუბო ყიფიანის ცხედრით მთაწ-მინდის პანთეონთან დაასვენეს. ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა აკაკიმ და ყიფიანს მეორე დიმიტრი თავდადებული უწოდა.

მთაწმინდის მიწას მიაბარეს კაცი, ვინც უკანასკნელ ამოსუნ-თქვამდე თავისი ხალხისა და ქვეყნის ინტერესების დასაცავად იბრძოდა და რომელიც მხოლოდ ფიზიკურად გაანადგურეს, სხვა კი ვერაფერი დააკლეს.

1899 წელს მის საფლავზე გაიხსნა ძეგლი (თავადაზნაურთა ბანკის სახსრებით). ძეგლის მოდელი შექმნა სკულპტორმა ხო-დოროვიჩმა, ხოლო თეთრი მარმარილოს ბიუსტი იტალიაში იქნა დამზადებული. დ. ყიფიანის მეუღლე ნინო ჭილაშვილი დიმიტრის გარდაცვალების შემდეგ ქვიშხეთში გადავიდა საცხოვრებლად და იქ მოღვაწეობდა. დღესდღეისობით, ქვიშხეთის ყიფიანისეულ სახლში მისი სახელობის სახლ-მუზეუმია გახსნილი, რომელიც საკმაოდ სავალალო მდგომარეობაშია და სასწრაფო აღდგენას მოითხოვს. ეს კი არ ეკადრება ასეთი უდიდესი ქართველის ხსოვ-ნას, რომელსაც 1892 წელს აკაკი წერეთელმა ქართული პოეზიის შედევრი „განთიადი“ მიუძღვნა:

„მთაწმინდა ჩაფიქრებულა, შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს, თავდადებულის საფლავსა.
დადუმებულა მთაწმინდა, ისმენს დუდუნსა მტკვრისასა,
მდინარე ნანას უმღერის, რაინდსა, ურჩსა მტრისასა,
მთაწმინდა გულში იხუტებს, საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს, აბარებს ქვეყნის მოყვარეს...“

დაბოლოს, უმთავრესი — ჩვენს საზოგადოებაში უკვე დიდი ხნის წინ იყო მომწიფებული აზრი, რომ თხოვნით მიემართათ უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრი-არქის ილია მეორესთვის იმის თაობაზე, რომ ქართულ მართლმა-დიდებლურ ეკლესიას, ერის „მამის“ ილია ჭავჭავაძის მსგავსად, სამართლიანად შეერაცხა წმინდანად დიმიტრი ყიფიანი.

და აი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სინო-დის 2007 წლის 26 აპრილის დადგენილებით, დიმიტრი ყიფიანი ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად იქნა შერაცხული.

ასე აღსრულდა ისტორიული სამართლიანობა მისი დაღუპვი-დან 120 წლის შემდეგ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

საქართველომ ვერც თავის მეორე გენიალურ შვილს — ნიკოლოზ ბარათაშვილს უპატრონა სათანადოდ მისსავე სიცოცხლეში. სულ 28 წლის იყო ეს უდიდესი პოეტი, როცა საბოლოოდ გამოემშვიდობა წუთისოფელს, მაგრამ ეს მცირე დროც კი საკმარისი აღმოჩნდა უკვდავების მოსაპოვებლად. თუმცა თავად, არათუ აღიარებას, არამედ საკუთარი ლექსების პატარა კრებულის დაბეჭდვასაც ვერ მოესწრო.

რუსთველის შემდეგ დავით გურამიშვილი და, განსაკუთრებით, ნიკოლოზ ბარათაშვილი იყვნენ ქართული პოეზიის უდიდესი ნოვატორები. ცამდე მართალი იყო პავლე ინგოროყვა, როცა წერდა: „ბარათაშვილი საბოლოოდ არღვევს ტრადიციულ პოეტურ ფორმებს, იგი პოულობს სრულიად ახალ ხმას ახალი შინაარსის გადმოსაცემად. ბარათშვილმა განდევნა ეპიგონური პოეზიის მოძველებული პოეტური ინვენტარი“.

ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი დაიბადა 1817 წლის 28 დეკემბერს თბილისში, პაპის, დიმიტრი ორბელიანის ოჯახში. ერეკლე მეორის შვილიშვილი იყო პოეტის დედა, მამა კი — ხელმოკლე თავადი. ტატოს (ასე ეძახდნენ შინაურები ნიკოლოზს) დედა ეფემია, ცნობილი პოეტის და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ

ორბელიანის და, ფრიად განათლებული და განვითარებული ქალი იყო. მან შეასწავლა პატარა ნიკოლოზს წერა-კითხვა, გაუღვივა ლიტერატურისადმი მისწრაფება. მამა, მელიტონ ბარათაშვილი კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატურას, იცოდა რუსული და სომხური. თავის დროზე იგი ჩართული ყოფილა სხვადასხვა სამხედრო ექსპედიციებში, იყო განჯის ოლქის უფროსი. სამსახურის დამთავრების შემდეგ იგი აირჩიეს თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა მარშლად (ხელმძღვანელად). უყვარდა დროსტარება და ხელგაშლილი ცხოვრება, რამაც ფრიად გააღარიბა მისი ოჯახი. ამ მიზეზით ნიკოლოზ ბარათაშვილმა ვერ შეძლო უმაღლესი განათლების მიღება. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მას არც თავისი ბიძა გრიგოლ ორბელიანი დაეხმარა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მატერიალურ გაჭირვებას ნამდვილად განიცდიდა.

1826 წელს ტატო კალოუბნის სამრევლო სასწავლებელში მიაბარეს, ერთი წლის შემდეგ კი იგი გადაუყვანიათ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. სასწავლებელში ნიკოლოზს ქართულ ენას ასწავლიდა სოლომონ დოდაშვილი, რომელმაც მომავალ პოეტს თავისუფლების სული შთაბერა. ტატო ნიჭიერებით, კეთილშობილებით და მკვირცხლი ხასიათით გამოირჩეოდა. 15 წლის ყმაწვილს დიდი უბედურება შეემთხვა. იგი გიმნაზიის კიბიდან გადმოვარდა, ფეხი მოიტეხა და სამუდამოდ დაკოჭლდა. ტატო არც ფიზიკური გარეგნობით გამოირჩეოდა. ორივე ამ ფაქტორმა დიდი გავლენა იქონია ბარათაშვილის ცხოვრებაზე და მისი სულიერი ობლობა კიდევ უფრო გააღრმავა.

ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ბარათაშვილმა სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო და იძულებული გახდა კავკასიის უზენაეს სასამართლოში რიგით მოხელედ დაეწყო მუშაობა.

ლექსების წერა გიმნაზიაში დაიწყო. 16 წლის ასაკში მას უკვე ისეთი შედევრი ჰქონდა დაწერილი, როგორიცაა „შემოღამება მთაწმინდაზე“. მაშინდელი განათლებული საზოგადოება სალონებში იკრიბებოდა და იქ უზიარებდა ერთმანეთს ლიტერატურულ თუ სხვა სახის სიახლეებს. ერთ-ერთი ასეთი განთქმული სალონი

იყო ცნობილი პოეტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში, სადაც ხშირად დადიოდა ჭაბუკი ბარათაშვილი. აქ გაიცნო მან პოეტის ქალიშვილი ეკატერინე, ლამაზი, მაგრამ ციური არსება. ტატოს თავდავიწყებით შეუყვარდა იგი და მრავალი ლექსი უძღვნა მას. სწორედ მისდამი უსაზღვრო სიყვარულმა შეაქმნევინა ტატოს თავისი შედევრები, ამ სიყვარულმა ჩაიყვანა იგი სამარეში.

ეკატერინეს მოსწონდა ახალგაზრდა გენიოსის ლექსები და მისი იდუმალი მიჯნურობა, მაგრამ არ თანაუგრძნობდა ტატოს. მალე იგი ცოლად გაჰყვა სამეგრელოს მთავრის ვაჟს და საცხოვრებლად ზუგდიდს გადავიდა, დადიანების სასახლეში.

უბედურია სიყვარულში უარყოფილი ადამიანი, ძალზე ძნელია ცალმხრივი სიყვარული, მარტოობისა და მიუსაფრობის განცდა. პოეტს დაემსხვრა მეორე ოცნებაც — ფართო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისა. მხოლოდ ლექსების წერით იქარვებდა მოძალებულ დარდსა და ნაღველს.

ხელის გამმართავიც აღარავინ ეგულებოდა უკვე. მრავალგზის ამუნათებდა ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, რომ დახმარება გაეწია მისთვის, მაგრამ ამაოდ. 1843 წელს იგი წერდა გრიგოლს: „ეცადე რომა რენენკამპთან დამანიშვნინო, ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის. ვიცი დაგავიწყდა, მაგრამ არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება“ (სულო ცოდვილო! იქნებ ტატოზე ოთხი წლით უფროს პოეტ ბიძას შურდა კიდეც ახალგაზრდა გენიოსისა?).

ისევ თვითონ ცდილობდა რაიმე ეღონა.

ეს უთუოდ ამ ცხოვრების უსამართლობა და დიდი ტრაგედიაა, როცა ასეთი შედევრების შემქმნელი ვიღაც მაზრის უფროსის თანაშემწის ადგილს თხოვდა თავის ნაცნობებს.

იგი მცირე ხნით ნახჭევანში მუშაობდა მაზრის უფროსის თანაშემწედ. 1845 წლის მარტში ტფილისში მობრუნდა, ივნისში კი კვლავ მაზრის უფროსის თანაშემწედ დაინიშნა თელავში.

ბედისწერას კი სხვაგვარად სურდა! ნათესავმა მამუკა ორბელიანმა, რომელიც ის იყო დაენიშნათ განჯის მაზრის უფროსად, თავის თანაშემწეობა შესთავაზა ტატოს და განჯას წაიყვანა.

განჯაში მას, როგორც ჩანს, სხვადასხვა დავალებების შეს-

რულება უხდებოდა. 1845 წლის ოქტომბერში ყაჩაღების დევნის დროს ნიკოლოზ ბარათაშვილი (!) სასტიკად გაცივდა და ფილტვების ანთებით გახდა ავად. მომველელიც კი არავინ პყოლია ტატოს! ისედაც დასუსტებულმა სხეულმა ვეღარ გაუძლო ამ მძიმე სენს და იგი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

პოეტს მართლაც აუხდა თავის ლექსში ნაწინასწარმეტყველევი:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ
საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს
ცრემლი მწუხარის...“

ნიკოლოზ ბარათშვილი განჯის ციხის მართლმადიდებლური ეკლესიის გალავანში დაკრძალეს.

აღიარება მხოლოდ სიკვდილის შემდეგ პპოვა ბარათაშვილმა. 1860-იან წლებში დიდმა ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგში, ეკატერინე ჭავჭავაძის სალონში ნახა ტატოს ლექსების რვეული (იგი სათუთად შეენახა ეკატერინეს). იგი იმდენად აღაფრთოვანა გენიალური პოეტის შემოქმედებამ, რომ გადაწყვიტა გაეცნო ეს შედევრები ფართო საზოგადობისათვის. აი, რას წერდა ილია:

„ვაი, ჩვენ, თვარემ შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენა“.

ილიასავე თაოსნობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1893 წლის აპრილში ბარათაშვილის ნეშთი განჯიდან ტფილისში გადმოასვენა და დიდუბის ეკლესიასთან დაკრძალა. საფლავთან სიტყვები წარმოთქვეს აკაკიმ, ილიამ, გიორგი წერეთელმა, ნინო ორბელიანმა და სხვ.

1900 და 1905 წლებში პოეტის საფლავზე დადგეს ჯერ დეკორატიული ქანდაკება, მერე კი გაიხსნა მგოსნის ძეგლი (მოქანდაკე — ვილი და რიჩი, იტალია).

1938 წლის 15 ოქტომბერს უკვე მთელი საქართველოს საყვარელი მგოსანი დიდუბიდან მის შესაფერის ადგილას — მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.

ბარათაშვილმა მხოლოდ 37 ლექსი და ერთი პოემა დაგვიტოვა, მაგრამ თითოეული მისი ნაწარმოები ქართული პოეზი-

ისთვის უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს. რად ღირს, თუნდაც „მერანი“! სხვა რომ არაფერი დაეწერა ტატოს, მარტო ამ ლექსით ეზიარებოდა უკვდავებას. „მერანი“ გამსჭვალულია ბედისადმი დაუმორჩილებლობისა და თავისუფლების იდეით. მასში საოცარი პოეტური ოსტატობით არის ნათქვამი, რომ ჭეშმარიტი ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავზე კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ იღვწოდეს:

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“

ნ. ბარათაშვილის ეს შეგონება განსაკუთრებით დღევანდელმა ზნეობაშერყეულმა და საშოვარს გადაგებულმა ქართველობამ უნდა შეისმინოს და გაითვალისწინოს.

გაბრიელ ეპისკოპოსი

გაბრიელი (ერისკაცობაში გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე), ნიკო ნიკოლაძის თქმით, „ეს ერთი ყველაზე უფრო ღირსეული და სრულყოფილი ფიგურა მაშინდელი დროისა“, დაიბადა 1825 წლის 25 ნოემბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში. დედა — მარიამი ადრე გარდაეცვალა. წერა-კითხვა ოჯახში უსწავლია მღვდელი მამის დახმარებით. პატარა გაბრიელი მალე თბილისის სამაზრო სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, რომელიც 1839 წელს დამთავრება, ხოლო შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

1842 წლიდან იგი სწავლობდა ფსკოვის, 1844 წლიდან კი პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1845 წელს. ამის შემდეგ ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა ჩაირიცხა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1849 წელს სამშობლოში დაბრუნდა. სასულიერო საგნებთან ერთად გაბრიელმა რუსული, ფრანგული და გერმანული ენებიც ისწავლა.

1849-58 წლებში იგი მსახურობდა თბილისის სასულიერო სე-

მინარიაში ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ, ასწავლიდა ფიზიკასა და მათემატიკას. პარალელურად მუშაობდა თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში საღმრთო სჯულის მასწავლებლად.

სასულიერო სემინარიაში გაბრიელი ასწავლიდა იაკობ გოგებაშვილს, რომელმაც ძალზე ბევრი რამ შეითვისა და გადმოიღო თავისი დიდი მასწავლებლისაგან.

„შეუდგა თუ არა ინსპექტორის თანამდებობას, — იგონებდა ი. გოგებაშვილი, — მან გააუქმა დისციპლინის ყველა წვრილმანი წესი. უფრო ნათლად, მკვეთრად და კატეგორიულად განსაზღვრა კეთილგონივრული ყოფაქცევის მნიშვნელობა და არსებითი წესები". ამ წესებში იგულისხმებოდა გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან მონაცვლეობა, რაც აუცილებელი პირობაა ადამიანის ჯანსაღი და ზნეობრივი ცხოვრებისათვის. ამ წესს თავადაც მკაცრად იცავდა და მოწაფეებიც მას ბაძავდნენ. გარდა ამისა, თუ ადრე სემინარიელებს აკრძალული ჰქონდათ თამაში, გაბრიელ ქიქოძის დროს „ყოველდღე, ნასადილევს, რამდენიმე საათის განმავლობაში სემინარიის ეზო წარმოადგენდა ფრიად მნიშვნელოვან, სავსებით წესიერ თამაშობათა ასპარეზს... მას შემდეგ აშკარად შემცირდა ბავშვთა საიდუმლო ბიწიერებანი, რაც ასე გავრცელებული იყო დახურულ სასწავლებლებში. შემცირდა დაავადებათა რიცხვი, ბავშვები უფრო ჯანმრთელად გამოიყურებოდნენ".

გაბრიელმა მასწავლებლები და მოსწავლეები შეაჩვია ჟურნალ-გაზეთების, წიგნების კითხვას, გონივრულ სჯა-ბაასს — „ყოველ საღამოს სემინარიის აივანი წარმოადგენდა გაცხოველებული დავის ასპარეზს".

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ნაცვლად სასწავლებლებსა და სემინარიებში მაშინ გამეფებული ზუთხვისა და მექანიკურად გაზეპირებისა, ის „გაკვეთილებს ხსნიდა მთელი სიმარტივით, ზედმეტი სიტყვებისა და გამოთქმების გარეშე. გაიმეორებდა მას რამდენჯერ და შემდეგ კი იმასვე გაამეორებინებდა მოსწავლეებს... ამიტომ ისინი სმენად და ყურადღებად იქცეოდნენ კლასში... ცოცხალი სწავლების ეს ხერხი გადაიღო ზოგმა სხვა ახალგაზრდა მასწავლებელმაც და ძველი მკვდარი ზუთხვაც გაუქმდა".

მან სწავლების პროცესი მეცნიერულ საფუძველზე დაამყარა და თავადაც ეწეოდა სერიოზულ მეცნიერულ მუშაობას. 1858 წელს პეტერბურგში რუსულად გამოქვეყნდა გაბრიელ ქიქოძის ბრწყინვალე ნაშრომი **„ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“**, რომელსაც უმაღლესი შეფასება მისცეს და წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სახელმძღვანელოდ რუსეთის სემინარიებში.

1851 წელს გაბრიელს მიენიჭა მაგისტრის წოდება. მალე კი უდიდესი ტრაგედია დაატყდა თავს — მოკლე დროში გარდაეცვალა მეუღლე და ხუთი შვილი. ცხოვრებამ თითქოს აზრი დაკარგა მისთვის, მაგრამ თავის მოკვლაზე, როგორც ქრისტიანს, არც უფიქრია, „ჭირსა შიგან გამაგრდა“ და მღვდელ-მონაზვნად ეკურთხა. რამდენიმე წელიწადში იგი დიდი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე შეიქნა, რომელსაც მთელი საქართველო ეთაყვანებოდა და უჯერებდა.

1858 წელს გაბრიელი დაინიშნა დავით გარეჯის არქიმანდრიტად, 1858-60 წლებში იგი გორის ეპისკოპოსი იყო, ხოლო 1860 წლიდან გარდაცვალებამდე — იმერეთის ეპისკოპოსი. მან უდიდესი ამაგი დასდო ამ კუთხეს და იქ მცხოვრებთ. იგი თავისი ქადაგებებით ქრისტიანული მოძღვრების ნათელს ჰფენდა და დღესაც ჰფენს ადამიანებს. გაბრიელმა უამრავი ადამიანი შემოაბრუნა ზნეობისკენ, რწმენისკენ, ჩააყენა თავისი ქვეყნის და მოყვასის სამსახურში, შეაყვარა თავისი ბედკრული სამშობლო და ჭეშმარიტ პატრიოტად აქცია. მისი ზეპირად წარმოთქმული სიტყვები და ქადაგებანი ორ ტომად დაიბეჭდა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (1865-86 წ.წ.), ამ რამდენიმე წლის წინ კი ხელახლა გამოიცა.

გაბრიელ ეპისკოპოსი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დამფუძნებელთაგანი და საპატიო წევრი. მან საკუთარი სახსრებით გახსნა რამდენიმე სახალხო სკოლა. 1890 წელს ქუთაისში დააარსდა ქალთა ეპარქიული სასწავლებელი და 1894 წელს კი — სასულიერო სემინარია, ასზე მეტი სამრევლო სკოლა და ბიბლიოთეკა, აგრეთვე ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი და სხვ.

გაბრიელ ეპისკოპოსი იყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი

მოძრაობის აქტიური მონაწილე, უდიდესი პატრიოტი და მამულიშვილი. იგი მთელი პრინციპულობით ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას განათლების სფეროში, წინ აღუდგა იანოვსკისა და ლევიცკის მუნჯური მეთოდით სწავლებას, რომლის მიზანი იყო ქართული ენის სრული განდევნა სკოლებიდან. 1872 წელს იგი დაუპირისპირდა ქართველ ნიპილისტს გ. მუხრან-ბატონს (მუხრანსკის), რომელიც ამტკიცებდა დიდი ერის (რუსების) მიერ პატარა ერების და მათი ენის გაქრობის გარდუვალობას.

ყველასაგან დიდად პატივცემული და საყვარელი მოღვაწე, გამოჩენილი მამულიშვილი გაბრიელ ეპისკოპოსი გარდაიცვალა 1896 წლის ზამთარში. ეს ზამთარი ყოფილა მეტად მკაცრი და დიდთოვლიანი, რის გამოც გადაადგილება ვერ ხერხდებოდა. გაბრიელი კარგა ხანს ესვენა თურმე ქუთაისის ერთ-ერთ ეკლესიაში, სანამ გზები არ გაიხსნებოდა. თვენახევრის შემდეგ იგი წაასვენეს გელათში, სადაც ზღვა ხალხი შეკრებილიყო ძვირფას ცხედართან გამოსამშვიდობებლად. თბილისიდან წინა დღით ჩამოსულიყვნენ ილია ჭავჭავაძე, ვანო მაჩაბელი, აკაკი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა ცნობილი მოღვაწეები. ილიამ აქ წარმოთქვა თავისი ცნობილი გამოსამშვიდობებელი სიტყვა.

გაბრიელ ეპისკოპოსი გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში დაკრძალეს.

აი, რას წერდა მამა გაბრიელის შესახებ ერთ-ერთ თავის მოგონებაში დავით კლდიაშვილი: „იგი იყო ნამდვილი გულწრფელი საზოგადოებრივი მოღვაწე, მებრძოლი ბერი, რომელსაც არა ერთ თავის ქადაგებებში ეშმაკი არ უხსენებია, რომელიც თავის მიმართვაში ხალხისადმი არკვევდა ცხოვრების პირობებს და ქადაგებდა მაღალი ზნეობის პრინციპებს. გაბრიელი იყო რომ ქუთაისის მთავარანგელოზის ტაძარში ქადაგებდა მხურვალე სიტყვებით ბატონყმობის წინააღმდეგ. ამ ქადაგებამ გამოიწვია განრისხება ერთი მდიდარი აზნაურისა, გვარად კანდელაკის, რომელმაც წამოიძახა:

— ამ ლეკურით გავათავებ აქვე ამ ჩვენს დამღუპველს! და გავარდა ეკლესიიდან და ხმალზე ხელწავლებული უდარაჯებდა ეპისკოპოსის გამოსვლას. გაბრიელს უთხრეს ეკლესიაში მოეთ-

მინა. არ გამოსულიყო — კანდელაკი მოკელას გიპირებსო; ამის გაგონებაზე იგი გაიდა ეკლესიიდან და გაბედულად, უშიშრად ჩაუარა კანდელაკს. გაბრიელის მოსაკლავად გამზადებული კანდელაკი სახტად დარჩა, ხელი ხმალზე შერჩა.

ხალხს ღრმად უყვარდა გაბრიელი. ტკბილი მოუბარი, უბრალო, თავმდაბალი, მისი კეთილისმყოფელი, მისი დამცველი და ქომაგი. ყველამ ზედმიწევნით იცოდა, რა სასტიკი პასუხი გასცა მან საოლქო განათლების მზრუნველს ცნობილ იანოვსკის, რა გაბედულად გადმოუშალა მისი ანტიპედაგოგიური მიმართულება, რომელიც მას შემოპქონდა ჩვენს სასწავლებელში ერის გადაგვარების წადილით. ყველამ კარგად იცოდა, რა წინააღმდეგობას უწევდა გაბრიელი უმაღლეს სასულიერო მთავრობას, რომელიც რყვნიდა ქართველ ეკლესიას და მის მსახურებას. ამიტომ იყო, რომ მთელი საქართველო შეიძრა მისი სიკვდილის გაგონებაზე და განსხვავეული გრძნობით მიაბარა მიწას"

ილიას შეფასებით „იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა... მისის ბაგით თვით ღმერთი მეტყველებდა და ვაი, რომ დადუმდნენ იგი ბაგენი და ვინ იცის, როდისღა გვაღირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, რომელიც დღეს წაგვართვა."

ილია

ილია ჭავჭავაძე მხოლოდ დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე როდია, იგი ყოველთვის ამაზე გაცილებით უფრო მეტს ნიშნავდა საქართველოსთვის, რადგან ერის მამად მოგვევლინა ეს ბუმბერაზი პიროვნება. მისი მთელი ცხოვრება სამშობლოსათვის ზრუნვა და თავდადებული ბრძოლა იყო (არა ხმლით, არამედ კალმით!), რასაც შეეწირა კიდეც და მოწამებრივად აღესრულა საქართველოს მტრების ხელით.

მხოლოდ ილიას შეეძლო ეთქვა თავისი ქვეყნისთვის:

„მარად და ყველგან, საქართველოვ მე ვარ შენთანა“
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული“.

ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 27 ოქტომბერს ყვარელში. მამა გრიგოლი ღარიბი თავადი იყო, ოფიცრად ნამსახურევი რუსულ არმიაში, დედა — მარიამი კი ბებურიშვილის ქალი. ილიას სამი და და ორი ძმა ჰყავდა. ბავშვები ადრე დაობლდნენ, როცა დედა 30 წლის იყო, მამა კი 41 წლის. ოჯახზე მზრუნველობა ითავა ილიას ქვრივმა მამიდამ მაკრინემ. პირველდაწყებითი განათლება ილიამ სოფლის მთავარდიაკონთან მიიღო. 1848 წელს ილია ტფილისში ჩამოიყვანეს და რაევსკის კერძო პანსიონში მიაბარეს.

1851 წელს იგი შევიდა გიმნაზიაში, სადაც მასწავლებლად მუშაობდნენ დიმიტრი ყიფიანი და ივანე კერესელიძე.

ახალგაზრდა ილია 1857 წელს ნათესავების დახმარებით პეტერბურგში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. მან ოთხი წელი ისწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ ვერ დაამთავრა, რადგან რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებისთვის უნივერსიტეტიდან გარიცხეს. მალე აქ ჩამოვიდნენ სასწავლებლად აკაკი და პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთა ლიდერად მაშინვე იქცა ილია. მათ შემდგომში „თერგდალეულები" უწოდეს.

1861 წელს ილია ჭავჭავაძე საქართველოში ბრუნდება უკვე კარგად მოფიქრებული ეროვნული პროგრამით, რომელიც ითვალისწინებდა მოწინავე გუნდის მრავალმხრივ მოღვაწეობას. 1861 წელი ახალი ერის დასაწყისია საქართველოს ცხოვრებაში (ამ წელს დაიბადა გენიოსი ვაჟა-ფშაველაც). ასპარეზზე გამოდის ილიას თაობა, რომელიც მზად არის მონომახის ქუდის სატარებლად და ეროვნული იდეალების განსახორციელებლად.

ჯერ კიდევ პეტერბურგში მიხვდა ჭაბუკი ილია, რომ წარსულზე ტირილითა და მოთქმით ქვეყანას არაფერი ეშველებოდა, რომ ახლა სულ სხვანაირი ქმედება იყო საჭირო

„მას ნულარ ვტირით, რაც დაკარგულა,
რაც უწყალო დროს ხელით დანთქმულა:
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს".

(„ქართველის დედა")

სტუდენტობის ოთხი წელი ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ილიას მოაზროვნე პიროვნებად და მწერლად ჩამოყალიბებისთვის.

იგი იმთავითვე საფუძვლიანად სწავლობდა საქართველოს ისტორიასა და მწერლობას, რუს და ევროპელ მწერალთა და მეცნიერთა მემკვიდრეობას. ამ პერიოდში შექმნა ილიამ აგრეთვე ინდივიდუალობითა და მძლავრი ეროვნული პათოსით გამსჭვალული ნაწარმოებები, „აჩრდილი", „ქართველის დედა", „სცენა მომავალ ცხოვრებიდან", „კაკო ყაჩაღი" — „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზო-

დი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“. ამავე პერიოდს განეკუთვნება ილიას პოეტური თარგმანები (შილერი, ჰაინე, რიუკერტი, ბაირონი, სკოტი, შენიე, პუშკინი, ლერმონტოვი), აგრეთვე ლექსები „ხმა სამარიდამ“, „გუთნის დედა“, „ქართვლის დედას“, „ჩემო თარიარალი“, „ნანა“, „ელეგია“, „მესმის, მესმის“, „გაზაფხული“, „პოეტი“ და სხვ., რომლებიც პატრიოტული ლირიკის ჭეშმარიტ ნიმუშებს წარმოადგენენ.

იმავე წლებშია შექმნილი ბრწყინვალე მოთხრობები „გლახის ნაამბობი“ და „კაცია-ადამიანი“ (ესკიზები). ილიას პირველმა ლიტერატურულ-კრიტიკულმა წერილმა „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას-ძე ერისთავის მიერ კაზლოვითგან “შეშლილის“ თარგმნაზედა“ აგრეთვე მისმა „მგზავრის წერილებმა“ ახალი თაობის ლიტერატურული და ეროვნული მანიფესტის მნიშვნელობა შეიძინეს და საფუძველი ჩაუყარეს „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის დასაწყისს მაშინდელ საქართველოში. ილიას ნაწარმოებებში ღიად არის გამოთქმული მთელი ქართველი ერის სატკივარი და მისი სასიცოცხლო მოთხოვნები, მათში დასახულია ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის იდეალები და გამსჭვალულნი არიან მიზანდასახული მოქმედებისა და ბრძოლის წყურვილით.

1863 წელს ილია ჭავჭავაძემ დააარსა ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელიც მძიმე ცენზურის მიუხედავად ეროვნულ-განმანთავისუფლებელი იდეალების გამომხატველ ორგანოდ და ახალი თაობის ჭეშმარიტ მედროშედ იქცა.

ამავე წელს ილია დაქორწინდა ოლღა გურამიშვილზე.

1864 წელს მან მუშაობა დაიწყო ჯერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ, ხოლო შემდეგ 1868-1873 წლებში — დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ. ამ პერიოდში შექმნა მან „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“, გადაამუშავა „ქართვლის დედა“ „აჩრდილი“ „მგზავრის წერილები“ და „გლახის ნაამბობი“. ამავე ხანებში დაიწერა ეროვნული წყლულების ტკივილით გამსჭვალული სატირული ლექსები „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნის“ და „ბედნიერი ერი“. 1872 წელს შეიქმნა, გენიალური „ჩემო კარგო ქეყანავ“, სატირულ-პუბლიცისტური ლექსები „გამოცანები“, „კიდევ გამო-

ცანები“ და „პასუხის პასუხი“.

ქართველ თერგდალეულთა დაჟინებული მოთხოვნით ილია 1873 წელს ღუშეთიდან ტფილისს დაბრუნდა და აქტიურად ჩაება ყველა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ წამოწყებაში, რაც მაშინ იქნა განხორციელებული საქართველოში. ამ დროიდან იგი უკვე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ლიდერი და ბელადი ხდება.

1875 წელს ილია ჭავჭავაძე აირჩიეს სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარედ, რომელიც მან ფაქტობრივად ქართულ ეროვნულ ბანკად გადააქცია და მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევდა ყველა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებას საქართველოში. 1881 წლიდან ილია იყო მისივე ინიციატივით დაარსებული ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე, 1885 წლიდან კი (დ. ყიფიანის შემდეგ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ თავმჯდომარე.

1877 წელს ილია ჭავჭავაძემ დააარსა გაზეთი „ივერია“, რომელიც მის გარდაცვალებამდე საქართველოს ეროვნული, სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი იყო.

1873 წელს ილიამ ივანე მაჩაბელთან ერთად თარგმნა შექსპირის „მეფე ლირი“. 1878-1887 წლებში შეიქმნა ისტორიული პოემა „დიმიტრი თავდადებული“, რომელიც სამშობლოსთვის თავგანწირვის იდეის გააქტიურებას ისახავდა მიზნად. ამ დროს დაიწერა: „განდეგილი“, „ბაზალეთის ტბა“, „ოთარაანთ ქვრივი“ (რომელშიც ქართველი დედის შთამბეჭდავი სახე მშობელი ხალხის სულიერი ძლიერების, მისი შეუპოვრობისა და ქედუხრელობის სიმბოლოდ არის გამოყვანილი).

ამავე პერიოდს განეკუთვნება ილიას უდიდესი ინტელექტით, ენციკლოპედიური ცოდნით, ფაქტებისა და მოვლენების განსჯისა და განზოგადების იშვიათი უნარით აღბეჭდილი მრავალრიცხოვანი ნაშრომები და წერილები „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“, „წერილები XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“ „აი, ისტორია“ „ქვათა ღაღადი“ „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, „ხიზნების საქმე“, აგრეთვე წერილები ბანკისა

და ფინანსების, მევენახეობა-მეღვინეობის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მელიორაციის, მრეწველობის, მესაქონლეობის საკითხებზე, წერილები უცხო ქვეყნებზე და მათ პოლიტიკაზე.

სწორედ ილიამ წამოაყენა მარად უკვდავი ლოზუნგი — „ენა, მამული, სარწმუნოება". დღესაც ძალზე აქტუალურია ილიას იდეები ისეთი საჭირბოროტო საკითხების შესახებ, როგორებიცაა: სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობა; ენის დაცვა უცხო გავლენისაგან; ესთეტიკური, გონებრივი, ზნეობრივი, შრომითი და ფიზიკური აღზრდის ერთმანეთთან შეხამება; მასწავლებლის (აღმზრდელის) როლის განსაკუთრებულობა; ოჯახში ბავშვის სათანადოდ აღზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობის მინიჭება (ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა ილიას ფუნდამენტური ნაშრომი „პედაგოგიკის საფუძვლები").

ილია იყო არა მარტო დიდებული მწერალი, არა მარტო სალიტერატურო ენის რეფორმატორი და კანონმდებელი, ქართული რეალისტური კრიტიკისა და მებრძოლი პუბლიცისტიკის ფუძემდებელი, არამედ ფართო მასშტაბისა და დიაპაზონის მეცნიერ-მკვლევარიც, რომელიც მეცნიერების მრავალ დარგს შეეხო და დააჩნია ხელი. ის მართლაც ყველგან იყო და თავის საფუძვლიან სიტყვას ამბობდა ყველაფერში.

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ემსახურებოდა უდიდესი ეროვნული მიზნის განხორციელებას — ქართველი ერის კონსოლიდაციას, ეროვნული და სოციალური თვითშეგნების ამაღლებას, ქვეყნის თავისუფლებისთვის საძირკველის ჩაყრას და მის მოახლოებას.

ილია ადამიანისა და, ზოგადად, ერის დანიშნულებაზე მსჯელობისას, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისთვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი", ანუ იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას ადამიანის სულიერებას ანიჭებდა.

შესაბამისად ილია ცალკეულ ადამიანებსა თუ მთლიანად ერებს მხოლოდ იმის მიხედვით კი არ აფასებდა, ვინ უფრო ადრე წარმოიშვა და რა გზა გაიარა, არამედ „ამ სიარულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამდენად აღფრთოვანებული აქვს სული-

თაწრაფცა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, — აი, საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელი ერისა“

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობის საფუძვლად სამართლიანად თელიდა კერძო საკუთრებას და მისი დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებდა ქართველობას: „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედათ უდევს არამცთუ მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებრივ წყობას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებული ქვეყნებისას მთელ დედამიწას ზურგზე... კერძო საკუთრება სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდ პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდა იყოს, იაფად არ დაუჯდება“.

ძალზე საინტერესო და ტევადია ერის და მისი დამახასიათებელი ნიშნების ილიასეული თვალთახედვა. მისი აზრით, ერი ესაა ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობის ერთობლიობისა და ერთმანეთთან სულითა და ხორცით მონათესავე (ფსიქიკა, კულტურა და ა.შ.) ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირი. ხალხების ერებად ჩამოყალიბება წარმოუდგენელია ერთიანი ენის არსებობის გარეშე:

„არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“ — წერდა ილია. ენასთან ერთად იგი აუცილებლად მიიჩნევდა ერის მჭიდრო კავშირს თავის ისტორიასთან: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თვისის ყოფილ ცხოვრებისა“. ასეთი ერი უბედურია, რადგან მას „რა იყო — ის დავიწყებული აქვს და მაშასადამე, რა არის — არც ის იცის... შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა“

ილიას ღრმა რწმენით, სანამ ერი მთლიანი და ერთიანია, იგი უძლეველია, როცა ერში იწყება „განთვითოეულობა“, იგი გარდუვალი დაღუპვის წინაშე აღმოჩნდება: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის, თითოში — ყველა, საცა თითოეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა — თითოეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, „ჩვენ“ იშვიათი. იქ, სადაც

საზოგადოება ურთიერთდაპირისპირებულ წოდებებადაა დანაწევრებული, სადაც გაბატონებულია ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, ადამიანთა ასეთ ერთობას ერი არ პქვია: „მხოლოდ ის ერია უძლეველი, მხოლოდ იმ ერს გადაუტანია გმირულად განსაცდელი, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერის რომელსამე წოდებას წინ წაწევა არაფრის მაქნისი თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დახევა მოჰყოლია. ვერც ერთი ცალკე წოდება ერისა ვერ დაიქადებს, რომ თუ მე კარგად ვარ, სხვანიც კარგად იქნებიანო...ყველამ ერთად და თითოეულმა ცალკე უნდა იცოდეს, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელი ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე“.

ამ საფუძველდამდებ დებულებაზე დაყრდნობით აყალიბებს ილია „საერთო ნიადაგის“ საყოველთაოდ ცნობილი თეორიის ქვაკუთხედს (ფორმულას): „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანობის მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს. წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ“.

ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა, რომ ერის, საზოგადოების პრობლემების მოგვარება ძირითადად ადგილობრივი ძალებით უნდა მოხდეს: „მინამ ჩვენს საკუთარ ჭირს სხვისაგან ნაცად წამალს შეკურჩევდეთ, ჯერ თვითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ — რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს. მისი სიმძიმე აწონილი, ერთის სიტყვით ის ჭირი თავიდან ფეხებამდე ჩვენს მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყოს, თორემ ქარისგან შეშინებული დოს დავუწყებთ ბერვასა“. ამასთან, ილია მიუთითებდა, რომ „ყოველივე ცვლილება, საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური, მაშინ არის მარგებელი და მკვიდრი, როცა ცვლილების საგანი ყოველმხრივ გასინჯულია და შუქმოფენილი.“

ილია არ უარყოფდა სხვისი დახმარების მნიშვნელობას, მაგ-

რამ დაუშვებლად და გაუმართლებლად მიაჩნდა საკუთარი საქმეების სხვაზე მინდობა და მინებება, მათხოვარიკით ხელის გაწვდენა: „სხვაზედ მინდობა — ქვიშაზედ აშენებული შენობა ყოფილა და იქნება კიდეც ამ ქვეყნიერებაში. წამოუვლის ნიაღვარი „შემთხვევისა“ და იმ იმედს, იმ მინდობას აღგვის ხოლმე დედამიწის ზურგიდამ და იმედევნეულს, სხვაზედ დანდობილს, ერთს უბედურ ტინზედ გარიყავს, შენს თავს შენვე მოუარეო. ეს კანონი — ისტორიული კანონია, იქნება ზოგიერთისათვის ფრიად არმოსაწონი, მაგრამ აუცილებელი კი.

ილია, როგორც ერის ღირსეული და გონიერი წინამძღოლი, ზემოთქმულიდან შესაბამის დასკვნას აკეთებდა და ხაზს უსვამდა, რომ ჩვენი თავის პატრონი მხოლოდ ჩვენვე — ქართველობა უნდა გავხდეთ: „გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი.

ილია ჭავჭავაძე აანალიზებდა იმ მთავარ მიზეზებს, რაც უზრუნველყოფს ერებისა და სახელმწიფოების სიმტკიცეს და იმ ფაქტორებსაც, რომელთა ამოქმედების შედეგად იწყება ერების პოლიტიკური დაკნინება და გაქრობა. იგი იკვლევდა, თუ რამ განაპირობა ჩვენი ხალხის სიცოცხლისუნარიანობა მძიმე ქარტეხილებში (მაშინ როცა ირგვლივ მრავალი სახელმწიფო გაქრა) და რამ განსაზღვრა ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისი და მისი რუსეთთან ძალით შეერთება: „საქართველო დღედაღამ იარაღით ხელში იდგა. მტერი ყოველი მხრიდან მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ათასი წელი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვახში და ვალი არ დასდებია.“

საქართველოს ფიზიკურ გადარჩენას ილია შემდეგ ფაქტორებს მიაწერდა: **„პირველი, ეს არის ის, რომ დროთა შესაფერისი ხერხი, დროთა შესაფერისი ცოდნა გვქონდა; ვიცოდით, იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხესიმაგრე, მისი ფარ-ხმალი: ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით — აი,**

რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!" ქვეყნის არსებობის შენარჩუნების მეორე და უმთავრეს მიზეზად ილია ჩვენს გონივრულ ეკონომიკურ წყობას მიიჩნევდა: **„უეჭველია, ჩვენი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში".**

ილია ჭავჭავაძის აზრით, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოს ეკონომიკური წყობილების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ უძველესი დროიდან ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებული იყო „სასოფლო" საკუთრება მიწაზე, რომელსაც ხალხი და სახელმწიფო უფრთხილდებოდა და იცავდა. როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო ცალკეულ სამთავროებად დაიშალა, „ამ უკეთეს მხარეს ჩვენი ეკონომიკური წყობისას ყური აღარ ათხოვეს, გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდებოდა უსწორმასწორობა მიწის მფლობელობაში, არამცთუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც", რამაც საბოლოო ჯამში დაასუსტა საქართველოს ერთ დროს ძლიერი და მდიდარი, ახლა კი პოლიტიკურად დაქუცმაცებული სახელმწიფო.

ილია საქართველოს რუსეთთან შეერთებას ისტორიული კანონზომიერებით განპირობებულ მოვლენად თვლიდა, მაგრამ ამასთან იგი კარგად ხედავდა იმ დიდ პრობლემებს და საშიშროებას, რომელიც ამ ნაბიჯს მოჰყვა: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა... ხმლით მოსულმა ვერ დაგვაკლო-რა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვები დაეპატრონებიან" (დღეს განსაკუთრებით იგრძნობა ამის საშიშროება — **ვ.შ.**). ამ უბედურებისაგან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად ილიას ქართველთა თავდაუზოგავი შრომა და გარჯა მიაჩნდა: „ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი... ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა — პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონინებელი, თავგამოსაჩენი, როგორც უწინ თოფის და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ

არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე“.

ერის გაძღოლის და დარაზმვის, მისი ფეხზე დაყენების საქმეში ილია დიდ როლს ანიჭებდა ქვეყნის ხელისუფლებას, მთავრობას, მის ზნეობას, გამოცდილებას და კომპეტენტურობას, მის ზრუნვას ხალხისათვის. „ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მიმართულ სახელმწიფოსათვის და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც შეადგენს სახელმწიფოს ძალას და ღონეს, იმიტომ, რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში. რაც კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულდამთბარ ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის. საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვაა და იმის გადამსხვრევა ერთია“.

მაგრამ ილიას კარგად ესმოდა, რომ მარტო მთავრობის და მის მოხელეთა იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა, იგი ასევე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა ქვეყნის ინტელექტუალურ ელიტას და იქვე დიდ სინანულს გამოთქვამდა საზოგადოების ამ განათლებული და ზნეობრივი ნაწილის პასიურობის გამო: „ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ღონე აქვს წინ გაუძღვეს თავის საკუთარ ქვეყნის ცხოვრებას, განზედა დგას. იქნება ამის მიზეზი ჩვენი ცხოვრებაც არის, მით უფრო ბევრ სიამოვნებას და ხელის შეწყობას არ უქადდეს, მაგრამ ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი. ამ შემთხვევაში დგომა — ცდომაა“.

ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ქართველობამ მეტ სულიერებაზე უნდა იზრუნოს („ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედებს, ვიდრე თვალი სულისა“). იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ერის ზნეობრივი გაჯანსაღების საქმეში ქრისტიანულ მართლმადიდებლობას, რომლის გულისთვისაც ქართველობა ჯვარს ეცვა, რამაც გამოიწვია ქართველის გაიგივება ქრისტიანთან.

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური იდეალი იყო ადგილობრივი თვითმმართველობით განმტკიცებული პარლამენტური რესპუბლი-

კა უნიტარული მოწყობით. შესაბამისად ილია წინააღმდეგი იყო დიქტატურის და ავტორიტარული მმართველობის, რომელიც სპობს ყოველგვარ თვითმმართველობას და ადგილობრივი საქმეების გამგებლობასაც კი ცენტრს უმორჩილებს.

ილია ჭავჭავაძე, საქართველოს თავისუფლებაზე ოცნებობდა, მაგრამ როგორც რეალისტი კარგად ხედავდა, რომ ჯერ საჭირო იყო ქართველი ხალხის გამოფხიზლება, ხოლო შემდეგ მისი სათანადოდ შემზადება დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად (სწორედ ამას მიუძღვნა მან თავისი ცხოვრება).

XIX საუკუნის 80-იან წლებში ილია დასახლდა საგურამოში, ზედაზნის მთის კალთაზე, დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ნამოსახლარზე, მეუღლის — ოლღა გურამიშვილის მამულში. აქ ჯერ დაიდგა ხის სახლი, ხოლო 1895 წელს ილიამ ააშენა ქვის სამსართულიანი შენობა. ამ სახლში იგი ქართველი ერის სახელით უმასპინძლდებოდა უცხოელ სტუმრებს, მათ შორის ოქსფორდისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორებს, გერმანელ მწერალს არტურ ლაისტს, ინგლისელ პოეტს, ქალბატონ მარჯორი უორდოპს, რომელმაც თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ და ილიას არაერთი ნაწარმოებები. ამიტომაც ეს სახლი წარმოადგენდა ქართული კულტურის ერთგვარ კერას, აქვე ყოველწლიურად იმართებოდა „ილიაობა“.

1906 წელს ილია ჭავჭავაძე რუსეთის სახელმწიფო საბჭოს (ზედა პალატის) წევრად აირჩიეს. საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე ილიამ პრინციპულად გაილაშქრა ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რამაც ხელისუფლების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მთავრობამ მასზე ფარული კონტროლი დააწესა, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირზე.

მალე რუსულმა სპეცსამსახურებმა მისი ლიკვიდაციაც დაგეგმეს, რაც უღირსი ქართველების ხელით განახორციელეს. ესენი იყვნენ ქართველი ბოლშევიკები და მათი მიმდევრები, რომელთათვის ილია ერის ლიდერი და წარმმართველი ძალა იყო, არამედ „მკაცრი მებატონე და გლეხების მჩაგვრელი“ (!)

1907 წლის 30 აგვისტოს ფილიპე მახარაძის, სერგო ორჯონიკიძის და ძმათა მისთა მიერ შეგულიანებულმა და ოხრანკის მიერ დაქირავებულმა აგენტებმა და მკვლელებმა წიწამურთან, საგურა-

მოში მიმავალი ილია ტყვიებით დაცხრილეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. ასე ტრაგიკულად აღესრულა ეს უდიდესი ქართველი მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, ნიჭი და უნარი საქართველოს მოახმარა და შესწირა. მართლაც რა ზუსტი შეფასება მისცა მაშინ ამ საზარელ ფაქტს ვაჟა-ფშაველამ: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ"-ო.

ილიას ცხედარს საგურამოდან თბილისამდე ზღვა ხალხი მიაცილებდა. პროცესიას წინ მიუძღოდა შავებში ჩაცმული 15 ცხენოსანი და ჯავშანასხმული 20 ხეესური. მთელმა საქართველომ დაიტირა „ერის ფარ-მუზარადი" (გალაკტიონი). საფლავთან ძალზე მგრძნობიარედ გამოემშვიდობა ილიას დიდი აკაკი: „ამიერიდან შენ ეკუთვნი ისტორიას, შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღაღადებენ... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები... ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს!"

1907 წლის 9 სექტემბერს ილია ჭავჭავაძე მთაწმინდაზე დაკრძალეს. ქართველმა საზოგადოებამ ილიას ძეგლის გაკეთება დაავალა ცნობილ ქართველ მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს, ხოლო საფლავის არქიტექტურული გაფორმება კი — პეტრე მამრაძეს. 1913 წლის 5 მაისს გაიხსნა ბრწყინვალე ძეგლი — ქალის მგლოვიარე ფიგურა — „მწუხარე საქართველო"

1937 წელს, ილიას მკვლელობიდან 30 წლის შემდეგ წიწამურთან აღიმართა 15 მეტრიანი ობელისკი, რომელსაც ამშვენებს ილიასვე სიტყვები:

„დაე, თუნდ, მოვკვდე არ მეშინია, მაგრამ კი ისე,
რომ ჩემი კვალი,
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან, თქვან: აღასრულა
მან თვისი ვალი".

1987 წელს ქართულმა მართლმადიდებლურმა სამოციქულო ეკლესიამ ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა და უწოდა „წმინდა ილია მართალი".

აკაკი

ეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთელი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქართველი პოეტია საქართველოში. იგი სიცოცხლეშივე ეზიარა მშობელი ხალხის უდიდეს სიყვარულს — ქართველობამ აკაკი ქართული პოეზიის უგვირგვინო მეფედ აღიარა.

აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წლის 22 ივნისს საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში. ეს ულამაზესი სოფელი მდინარის პირადაა გაშენებული. პოეტს ბავშვობა გაუტარებია სოფელ სავანეში, სადაც იგი გააძიძეს მანო სადუნიშვილის ღარიბულ, მაგრამ სიკეთით სავსე ოჯახში. აკაკი დიდად აფასებდა აქ გატარებულ წლებს და წერდა, რომ „...თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“

1848 წელს აკაკი ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს, რომელშიც მას ბოლომდე არ უსწავლია იქ გამეფებული მკაცრი რეჟიმის გამო. 18 წლის აკაკი სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგს გაემგზავრა. აქ შეხვდა და დაუმეგობრდა იგი ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს, გაეცნო დიდ უკრაინელ პოეტს ტარას შევჩენკოს. აკა-

კიმ დიდი მონდომება გამოიჩინა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ის წარმატებით ეუფლებოდა არაბულ, სპარსულ, თურქულ და სომხურ ენებს. პეტერბურგში დაიწერა პირველი ლექსები და თარგმანები. რუსეთის დედაქალაქში მაშინ ხშირი იყო სხვადასხვა რევოლუციურ დაჯგუფებათა გამოსვლები. მათ შორის განსაკუთრებულ როლს სტუდენტობა თამაშობდა. სტუდენტთა გამოსვლებში ქართველებიც მონაწილეობდნენ. აკაკის ამ გამოსვლებში მონაწილეობა არ მიუღია. ამას პოეტი ძალზე გონივრულად ხსნის: „იმ ხანებში მოხდა არეულობა უნივერსიტეტში. ჩვენებმა მიიღეს მონაწილეობა და კიდევაც იგემეს ციხე. მე მათში არ ვრეულვარ!... არა იმიტომ რომ ციხის შემშინებოდეს!.. მაშინაც ის რწმუნება მქონდა, რასაც დღეს ვადგავარ და ვერ ვუღალატე: მოსწავლემ ჯერ უნდა ისწავლოს, დაასრულოს სწავლა და მერე კი აღარ დაერიდოს არავითარ მსხვერპლს. ჩვენში კი უკუღმა ხდება ეს !...“

პეტერბურგის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ აკაკი მცირე ხნით მოსკოვში ჩავიდა, სადაც მოულოდნელად დაქორწინდა კიდეც. ერთ-ერთ არისტოკრატიულ ოჯახში მოხვედრილმა აკაკიმ გაიცნო ნაადრევად დაობლებული, ჯერ კიდევ სრულ ასაკს მიუღწეველი დები. ამ დებიდან უფროსს, ნატალია ბაზილევსკაიას, რომელიც, თავისი ნების საწინააღმდგოდ, დანიშნული ყოფილა ტვერის გუბერნატორზე, ძლიერ შეუყვარდა აკაკი. ქალმა გაუმეღავნა პოეტს თავისი დიდი გრძნობა და ისიც მიანიშნა, რომ თუ შენ არ შემირთავ, ტვერის გუბერნატორთან ქორწინების ღამეს თავს ჩამოვიხრჩობო. კეთილშობილ და გამოუცდელ ახალგაზრდა კაცზე ამ მშვენიერ გოგონას ტრაგიკულმა ბედმა და აღსარებამ იმდენად იმოქმედა, რომ გაუთვალისწინებელი ნაბიჯი გადადგა. პოეტი დაქორწინდა ნატალიაზე. მალე მათ ვაჟი შეეძინათ და აკაკის ცოლშვილთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. დაბრუნებული აკაკი თავისი ქვეყნის უანგარო სამსახურში ჩადგა და მთელი 50 წლის მანძილზე არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიეღოს ან არ გამოხმაურებოდეს. პოეტი აქტიურად მონაწილეობდა ქართული თეატრის ხელახლა აღორძინებაში, ქართველთა შორის წერა-

კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში და სხვ. აკაკის თაოსნობით დაიწყო ისეთი მნიშვნელოვანი საქმეს, როგორიც იყო ჭიათურის მარგანეცის მოძიება- მოპოვება.

სამშობლოს სამსახურს შეალია ამ ბრწყინვალე პოეტმა და მამულიშვილმა მთელი თავისი ნიჭი, უნარი და სიცოცხლე.

მართებულად წერდა ეშხარ კვიტაიშვილი, რომ „საქართველოში პოეტის სახელს ვერავინ ვერ შესძინა იმდენი მომხიბლაობა და შარავანდედი, რამდენიც აკაკიმ. იგი თვით იქცა პოეტის ხატად და იდეალად".

ცხადია, აკაკის რომ მხოლოდ „ტკბილ ხმათათვის" მიეგდო ყური („არა მარტო ტკბილ ხმათათვის, გამომგზავნა ქვეყნად ცამა"), მარტოოდენ მშვენიერებისა და „წმინდა ხელოვნების" სამსახურს დასჯერებოდა და ქვეყნის სატკივარი ისე ახლოს არ მიეტანა გულთან, მისი შედევრების რიცხვი, ბევრად მეტი იქნებოდა, მაგრამ აკაკისნაირი დამწვარი ჭირისუფალი და გულმხურვალე მამულიშვილი, ამის უფლებას არასოდეს მისცემდა თავს. მან ტრფობის ერთადერთ საგნად თავისი სამშობლო გაიხადა. ამიტომ ამბობდა გურამ ასათიანი, რომ „აკაკის ლექსი, მთელი მისი პოეზია თითქოს ერთი ლოცვაა — სამშობლოს სადიდებლად აღვლენილი ოსანა... ის ჩვენს მეხსიერებაში რჩება საქართველოს მარად მიჯნურად, მასზე შეყვარებულ უერთგულეს პალადინად. ეს მარადიული სიყვარული ახლაც თან გვდევს და ჩვენ ყოველდღიურად ეგრძნობთ მის სითბოს, მამაშვილურ ალერსს...

ნუ მოკლებოდეს საქართველოს მისი მადლი და კურთხევა".

თავად დიდი გალაკტიონი აღნიშნავდა, რომ „მისმა ენამ მიაღწია ჯერ არ სმენილ სიმსუბუქესა, მხატვრულობას, პლასტიურობას და ხმოვანებას... მისი გულიდან აღმოხეთქს ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი, ძალდაუტანებელი ხმები" მისი შემოქმედება უაღრესად ახლობელია თითოეული ჩვენგანისთვის. აკაკი თავის პოეზიაში უხვად იყენებდა ხალხურ მოტივებს, მისი მსუბუქი და ნატიფი ლექსები ყოველთვის საოცარ ზემოქმედებას ახდენდნენ მკითხველზე. ხალხური ლექსებისა და ლეგენდების შესაგროვებლად და გადასარჩენად აკაკიმ თითქმის მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება და ლიტერატურული მემკვიდრეობის

შემოსავალი უანდერძა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, რომელსაც სათავეში ედგა დიდი ექვთიმე თაყაიშვილი.

ილიასთან და სხვა თერგდალეულებთან ერთად აკაკიმ უაღრესად დიდი როლი შეასრულა რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს გამოღვიძებაში. საინტერესოა ამ მიმართულებით მის მიერ ფუტკრის სახე-სიმბოლოს გამოყენება. აკაკის იგი ღვთაებრივ მწერად, პოეტის უბადლო ხატად ჰქონდა წარმოდგენილი. პოეტიც, ფუტკრის მსგავსად, ნესტარს — მწარე სიტყვას მოიმარჯვებს ხოლმე, როცა მტრის დასამარება სწადია და ასევე თაფლის მომცემი ფუტკარივით შეუძლია სმენის დამატკბობელი ლექსები დაუტოვოს ხალხს.

ანალოგიური დატვირთვა აქვს პოეტისათვის ჩანგურს, რომლის მთავარი დანიშნულებაა სიმართლის სამსახური, რაც სამშობლოს სამსახურის ტოლფასია. აკაკის თავისი სატკივარი და უბედურება არაფრად მიაჩნდა, მუდამ ერის ერთიანობის რღვევას და გადაგვარებას დასტიროდა, იგი ყველანაირად ცდილობდა გზააბნეული თანამემამულენი გონს მოეყვანა:

„რას მიქვიან პირადი მწუხარება?
მოკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება“.

ყველა ქართველმა პატარაობიდანვე იცის, რომ აკაკის „ავადმყოფი“ ალეგორიული ხასიათის ლექსია და ის სნეული, დაუძლურებული საქართველოს ძალზე მეტყველი სახეა, მაგრამ

„არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს!...
ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს!“

პოეტის ეს მგზნებარე სიტყვები ყოველ ჭეშმარიტ ქართველს გულის ფიცარზე აქვს აღბეჭდილი.

აკაკის თავის შესანიშნავ ლექსში „ღამურა“, მკაცრად პყავს გაკიცხული მშობელი ქვეყნისა და ხალხის უარმყოფელი ადამიანი. მისი ღრმა რწმენით თავისი ერის მოღალატეს ღმერთისგან სასტიკი სასჯელი არ ასცდება:

„გადაგვარების მოსურნე, ბუნებისაგან კრულია“.

(დღეს, გლობალიზაციის რთული პროცესების და ზნეობის შესუსტების გამო ასეთი ხალხი კვლავ მომრავლდა უმაღლეს ეშ-

ელონებშიც და დაბალ ფენებშიც. მათ წინააღმდეგ დიდი ბრძოლაა საჭირო — ვ.შ.)

სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირულ დიდ პატრიოტს დიმიტრი ყიფიანს მიუძღვნა აკაკიმ თავისი უბრწყინვალესი ლექსი „განთიადი", რომელშიც საოცარი ოსტატობით ჩააქსოვა ყველა ჭეშმარიტი პატრიოტის ფიქრი და ოცნება:

„ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო, სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენზედვე მგლოვიარეო...
ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს, ზე კალთა დამფარეო,
....დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო".

თავის წერილში („ჩანგური") აკაკი ძალზე საინტერესოდ მსჯელობს საქართველოს ყოველი კუთხის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე: „ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი საქართველო, ეს არის ჩანგური, რომლის სიმებსაც შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლაზისტანი და სხვ. თითოეულს ამათგანს თავისი საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ კერძოდ, თავის თავად არც ერთს არა აქვს ძალა, თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდნენ, და შეთანხმებით კი გაკეთილხმიანდებიან. ჩვენ კი ხშირად ვსცდებით და ვამბობთ, რომ ერთი მეორისაგან უკუმდგარი ვართ და გადასხვაფერებული დროთა ვითარებისგანო. არა, მართალია, ამ მხარეებს თავისი ფერი აქვთ, თავისი კილო და თავისი კერძო მიმოხვრა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სულის მოძრაობა, გულის თქმა და ერთხმობა კი მომავალ-გვარობის შეთანხმებით უფრო დიდებული და უფრო მჭიდროა". ამიტომ

„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველაო".

აკაკის პოეზია საოცრად მუსიკალურია. რად ღირს, თუნდაც „სულიკო" და „ციცინათელა", რომელთა წაკითხვისას შეუძლებელია უნებლიეთ არ ჩაიღიღინო!

ამიტომაც არის შექმნილი აკაკის ლექსებზე უამრავი სიმღერა და, მათ შორის, თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

ცნობილია, რომ ხშირად დიდ ტალანტებს ერთმანეთი არ უყვართ და მათ შორის მტრობაც კი იჩენს ხოლმე თავს. უნდა ითქვას,

რომ აკაკისა და ილიას — ამ ორი ბუმბერაზის — ურთიერთობა მართლაც სანიმუშო იყო. ისინი ერთად ეწეოდნენ სამშობლო ქვეყნის უღელს, სანამ პირში სული ედგათ. აკაკიმ ძალზე განიცადა ილიას მუხანათური მკვლელობა. მას მშვენივრად ესმოდა, თუ რა დაკარგა ილიას სახით საქართველომ და ამიტომაც წარმოთქვა ეს სიტყვები:

„ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!... ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა, საქართველოს ბედისწერა“.

1909 წელს მოხუცი პოეტი რამდენიმე დღით პარიზში ჩავიდა, სადაც იგი, სხვათა შორის, შეხვდა იქ სასწავლებლად ჩასულ ქართველი ახალგაზრდების ჯგუფს და ბრძნული შეგონებით მიმართა მათ. აკაკის ეს მიმართვა დღესაც ძალზე აქტუალურია და კარგად უნდა ახსოვდეს უცხოეთში სასწავლებლად წასულ ყველა ქართველს:

„თქვენ იზრდებით აქ, ამ თავისუფლების ქვეყანაში, სადაც სხვა რომ არა იყოს რა, ხელს მაინც ვერაფერი შეუშლის თქვენს გრძნობა-გონების გადიდებას! აი, ამიტომაც თქვენგან მეტს თხოულობს სამშობლო და ჩვენი ნაკლი თქვენ უნდა შეავსოთ! ნურვინ იტყვის იმას, რომ არის კაცობრიობა და არა ნაციაო, ეროვნებაო, და მეც მინდა, რომ პირდაპირ კაცობრიობას ვემსახურო!.. ფერადოვანი კაცობრიობა სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრიო ზღვა! თვითოეულ კაცს, თავის ნაციასთან თანშეზრდილს, უფრო ნაყოფიერად შეუძლია იმუშაოს სამშობლოში, ვიდრე გარეთ და მართლაც, ვისაც თავისი მშობელი არ უყვარს, იმას შეუძლია მშობლად სხვა შეიყვაროს? ვინც სამშობლოს არ ემსახურება, იმას შეუძლია, რომ უკეთ სადმე გარეთ იმსახუროს? ... ყოველგვარი გასაჭირი და განსაცდელი უნდა აიტანოთ, უეჭველად მიაღწიოთ მიზანს და მომზადებული დაუბრუნდეთ სამშობლოს“.

აკაკი ჭეშმარიტი პოეტი იყო. ის არ ჰგავდა იმ „ძალად პოეტებს“, რომლებიც შეკვეთით, პოეტური შთაგონების გარეშე წერენ ლექსებს (ასეთები დღესაც მრავლად არიან — **ვ.შ.**). თვითმხილველთა გადმოცემით: როცა აკაკის ლექსი მოეძალებოდა თურ-

მე, სტუმრადაც რომ ყოფილიყო, განმარტოვდებოდა, რომელიმე ოთახში ჩაიკეტებოდა და იქიდან მხოლოდ მაშინღა გამოდიოდა, როცა ლექსის წერას მორჩებოდა. აკაკიმ დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში ახალი ეპითეტები: „სულმნათი", „სხივნართი", „მოკაშკაშ-მოელვარეო", „მოსხივეცისკარე" და სხვ.

აკაკის მიაჩნდა, რომ პოეტი თავისუფალი უნდა იყოს, არ ჩაჯდეს ხელმწიფის ეტლში, რათა მიუკერძოებლად და ძალდაუტანებლად გამოხატოს თავისი აზრები. ამიტომ აკაკი არასოდეს შესულა სახელმწიფო სამსახურში. მართალია ღარიბულად ცხოვრობდა, მაგრამ ჩიტივით თავისუფალი იყო.

1904 წლის 2 ოქტომბერს, ღამით აკაკის დამბლა დაეცა. პოეტი ავადმყოფობას არ შეეპუა და მალე წამოდგა ფეხზე, მაგრამ თვალის ქუთუთოების დამბლა მაინც დარჩა, ამიტომ იყო, რომ მუდამ თავაწეული დადიოდა, რაც ბიბლიურ წინასწარმეტყველს ამსგავსებდა მას.

ყოველ მნახველს ხიბლავდა აკაკის თანდაყოლილი სითბო და უზომო სიკეთე. მის ბუნებაში არასოდეს დაბუდებულა ამპარტავნება.

1908 წელს აკაკის პოეტური შემოქმედების 50 წლის იუბილე აღნიშნა მისმა საფიცარმა ქართველობამ.

ჭეშმარიტად ამაღლებული და გრანდიოზული იყო აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, რომელიც კინოფირზეცაა აღბეჭდილი. პოეტს იმდენი სითბო და სიყვარული აგრძნობინეს უბრალო ადამიანებმა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ეყო ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ ამ უდიდეს პატრიოტს.

1914 წელს ძალაგამოცლილი და დასუსტებული პოეტი ხშირად დადიოდა თბილისის სამხედრო ლაზარეთში, პირველი მსოფლიო ომის დროს დაჭრილების მოსანახულებლად და სანუგეშებლად. როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი და სათნო პიროვნება, ყველა ეროვნების ადამიანს ეალერსებოდა თურმე, ხან ერთ — ხან მეორე საწოლზე ჩამომჯდარი, ყველას თავის ენაზე ესაუბრებოდა.

1915 წლის 8 თებერვალს (დავით აღმაშენებელის ხსენების დღეს) დიდი აკაკი სოფელ სხვიტორში გარდაიცვალა. დიდი პოეტის თბილისში გადმოსასვენებლად სპეციალური დელეგაცია გა-

იგზავნა. როდესაც აკაკის ცხედარი ეზოში ჩამოასვენეს, ყველა პირქვე დაეშხო და აქვითინდა თურმე. უამრავი ხალხი თვალცრემლიანი მიაცილებდა სამგლოვიარო მატარებელს და ძვირფას ცხედარს.

აკაკი დაკრძალეს მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მის საფლავზე აღმართულია დავით კაკაბაძის მიერ შესრულებული სიმბოლური და მრავლისმთქმელი ძეგლი.

აკაკიმ უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული კულტურის, ენისა და პოეზიის განვითარებაზე. მან ჭეშმარიტად დაიმსახურა ქართველი ხალხის გულწრფელი სიყვარული და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი დიდი ილიას გვერდით..

იაკობ გოგებაშვილი

Იაკობ გოგებაშვილის სახელი ერთი ციდა ბავშვმაც კი იცის საქართველოში მის მიერ შექმნილი „დედა-ენის“ წყალობით. იგი იყო XIX საუკუნის ცნობილი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, დიდი პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი. იაკობი სამართლიანად არის მიჩნეული ჩვენს ქვეყანაში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლად.

ი. გოგებაშვილი დიდი ილიას ერთგული თანამებრძოლი იყო. აი, რას წერს თავის მოგონებებში იმდროინდელი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია: „ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი — აი, ეს ორი სახელოვანი ადამიანი იყო იმ დროის ქართველი საზოგადოების ნამდვილი პატრონი, მოამაგე და ჭირისუფალი. თუ რაიმე პოლიტიკის შესახებ წამოიჭრებოდა საკითხი და გაზეთში მტრისთვის პასუხის გაცემა იქნებოდა საჭირო, მაშინ ყველა ილია ჭავჭავაძეს მიაპყრობდა თვალს, ენახოთ რას იტყვის ილია, მარტო იმას შეუძლია მტერს პირი დააღებინოსო, ჩვენს თავს აბუჩად არავის ააგდებინებსო. მეორე მხრივ, როცა სწავლა-აღზრდის შესახებ საკითხი წამოიჭრებოდა, როცა სკოლაში ქართული ენის სწავლების აუცილებლობის საქმე იყო გასარჩევი, თუ გადასაწყვეტი, — იაკობ გოგებაშვილს დავუწყებდით ცქერას. ეს იყო ქართველთა საურავი. მისგან მოელოდნენ ხსნას“. ყველაფერი ნათლადაა ნათქვამი.

ი. გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 15 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ ვარიანში, ღარიბი მღვდლის სიმონ გოგებაშვილის ოჯახში. 8 წლის იაკობი მამამ გორის სასულიერო სემინარიაში მიაბარა, საიდანაც იგი მალე გადავიდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. 1855 წლიდან იაკობმა სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ ინსპექტორად მუშაობდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, შემდგომში ცნობილი სასულიერო მოღვაწე და მოძღვარი გერასიმე (გაბრიელ) ქიქოძე, ანუ გაბრიელ ეპისკოპოსი. ნიკო ნიკოლაძის თქმით, „ეს ერთი ყველაზე უფრო ღირსეული და სრულყოფილი ფიგურა მაშინდელი დროისა". გაბრიელმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა იაკობზე როგორც თავისი სულიერებით, ისე განსწავლულობით და რამდენადმე განსაზღვრა კიდეც მისი ბედი.

1861 წელს იაკობი გაემგზავრა კიევში და შევიდა იქაურ სასულიერო სემინარიაში. პარალელურად ლექციებს ისმენდა კიევის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო საგნებში. მაგრამ იაკობი ვერ შეეგუა იქაურ ჰავას, დაავადდა და იძულებული გახდა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. 1864 წელს ი. გოგებაშვილმა მუშაობა დაიწყო თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად (ასწავლიდა მათემატიკას და გეოგრაფიას), ხოლო 1868 წლიდან იგი ამავე სასწავლებლის ინსპეტორად (ზედამხედველად) დაინიშნა, სადაც 6 წელი იმუშავა.

კიევში სწავლის პერიოდში იაკობი საფუძვლიანად გაეცნო ცნობილ მოაზროვნეთა და პედაგოგიკის კლასიკოსთა ნაშრომებს, თვითონაც ბევრი რამ დაამატა და ამ სასწავლებლის პრაქტიკაში დანერგა. მან მეცნიერულ საფუძველზე შეადგინა სასულიერო სასწავლებელთა გარდაქმნის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას, და თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას წარუდგინა. რუსმა ხელმძღვანელებმა პროექტი დაიწუნეს (მათ ხელს არ აძლევდათ გაბრიელისა და იაკობის ჰუმანური და ეროვნული პედაგოგიური იდეების დანერგვა სკოლებში). იაკობს მთავრობის საწინააღმდეგო ქმედება დააბრალეს და როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, სამსახურიდან გაათავისუფლეს. ამის მერე სახელმ-

წიფო საშსახურში აღარც შესულა და მთელი სიცოცხლე თავისი ქვეყნის უანგარო სამსახურში გაატარა.

მხოლოდ 25 წლის იყო იაკობ გოგებაშვილი, როცა თავისი პირველი სასკოლო სახელმძღვანელო „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის" გამოსცა 1865 წელს. ეს სახელმძღვანელო 20 წლის განმავლობაში უცვლელად იბეჭდებოდა, ხოლო 1885 წლიდან გამოვიდა „კოკორის" სახელწოდებით. 1868 წელს უკვე მეორე სახელმძღვანელო მოაყოლა იაკობმა იმ წიგნს. ეს იყო სახელგანთქმული „ბუნების კარი", რომელიც 27-ჯერ დაიბეჭდა, 169 ათასი ტირაჟით.

მასწავლებლებსაც სჭირდებოდათ სახელმძღვანელო მითითებანი და აი, 1872 წელს იაკობმა მათთვის დაწერა — „დარიგება მასწავლებელთათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერა-კითხვისა ქართულ ანბანში". მისი მთავარი წიგნი „დედა-ენა" — ეს საოცარი სახელწოდებისა და გენიალური სიმარტივით შედგენილი სახელმძღვანელო — 1876 წელს გამოვიდა. ეს იყო პირველი ნაწილი. სწორედ ამ სახელმძღვანელოზე აღიზარდა ქართველთა მრავალი თაობა. იგი 45-ჯერ გამოიცა მილიონ სამასი ათასი ტირაჟით, ხოლო მეორე ნაწილი 36-ჯერ — 670 ათასი ცალის ოდენობით. საინტერესოა ისიც, რომ იაკობი სახელმძღვანელოებს წერდა ყაყაჩოს ფოთლების ნაჟურისაგან დაყენებული არომატული ნაყენით. „დედა ენის" შექმნასთან დაკავშირებით იაკობი წერდა: „როდესაც ხუთი წლის წინათ ჩვენ ვადგენდით „დედა-ენას", არც ერთი ნემეცური (ანუ გერმანული — ᲗᲨ.) სახელმძღვანელო თვალითაც არ გვენახა, ჩვენ მივსდევდით საკუთარ მოსაზრებას, საკუთარ გზას. როდესაც ამ ერთი წლის წინათ ერთმა ჩვენმა ახალგაზრდამ გერმანიიდან მოიტანა ნემეცური რამდენიმე საუკეთესო სახელმძღვანელო წიგნი და ჩვენ ისინი გადავსინჯეთ, განცვიფრებულნი დავრჩით. ჩვენ წიგნსა და სახელმძღვანელოებს შორის ვპოვეთ სრული მსგავსება". აქვე იაკობი მათ შორის არსებულ განსხვავებაზეც მიუთითებს, იაკობმა „დედა-ენის" შესაქმნელად მოიძია მეცნიერული მეთოდი და შეუხამა იგი ქართულ ბუნებას, რომელიც ნათლად ჩანს ქართულ ხალხურ შემოქმედებაში. ეს კი იაკობს ყმაწვილობიდან ჰქონდა შესისხლხორცებული. შვიდი

წლის ყოფილა იგი, როცა ვარიანში „ღვთისმშობლის დღესასწაულის ჟამს“ მოუსმენია სხვა სოფლიდან ჩამოსული ბერიკაციისაგან „მოდი, ენახოთ ვენახი“. „ამ ლექსის გაცნობა ჩემთვის შეიქნა ნამდვილ დღესასწაულად“, — იგონებდა იგი. მაშინვე დაუმახსოვრებია მთელი ლექსი და ჰანგი. აი, როგორ აღმოჩნდა დღეს უკვე ყველასათვის ცნობილი ეს ლექსი სახელმძღვანელოში.

იაკობი ქართული ენის ხმალამოღებული დამცველი იყო. იგი დიდის მოწიწებით და მზრუნველობით ექცეოდა მშობლიურ ენას. წერდა კიდეც: „დედა-ენის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს სულიერის ღონით და მხნეობით... დედა ენა გარეგნობით როდია არსებასთან შეკავშირებული: იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება, მას აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში: იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზედ, მის ფსიქოლოგიურს და ფიზიოლოგიურს აგებულებაზედ... ამასთან დედა ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულის, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა“.

დღესაც უდიდესი ეროვნული და პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს იაკობის რჩევას და მოთხოვნას მშობელთა მიმართ, რომ ბავშვმა სწავლა აუცილებლად დედა-ენაზე უნდა დაიწყოს (ჩვენთან მრავლად იყვნენ და ახლაც არიან ისეთი მოდასაყოლილი მეტიჩარა მშობლები, რომლებიც რუსულად აწყებინებდნენ სწავლას შვილებს, ახლა კი — ინგლისურად). იაკობი პირდაპირ აფრთხილებდა ყველას, რომ მშობელი, რომელიც ბავშვს დედაენის მაგივრად უცხო ენით აწყებინებს სწავლას, რბილად რომ ვთქვათ, სასტიკად ცდება, ფაქტობრივად ღუპავს თავის შვილს: „იგი ხელიდან ართმევს თავის შვილს ერთადერთს ძლიერ ღონისძიებას გონების სწორი გახსნისათვის სიპატარავის დროსა, მის ბუნების შესაბამის იარაღსა, რომლის ხმარება და გამოყენება ბავშვს ძლიერ ეადვილება და ძალად აჩეჩებს ხელში იმისათანა შეუსაბამო იარაღს,

რომლის მოხმარების შეთვისება ძლიერ ძნელია და რომელიც არასდროს გაუწევს ბუნებითის იარაღის სამსახურსა“. ამასთან, იაკობს შესანიშნავად ესმოდა უცხო ენების ცოდნის მნიშვნელობა მოზრდილ ასაკში: **„მხოლოდ მტერს შეუძლია ურჩიოს ქართველებს, შეაქციეთ ზურგი უცხო ენებსა და დარჩით მარტო დედა ენის ამარაო... მისი მიუცილებელი შედეგი იქნებოდა სიღარიბე ქართული აზრისა, სიღატაკე ქართული მეცნიერებისა, სივიწროვე გონების ჰორიზონტისა, შეჩერება პროგრესისა, წარმატებისა, დამყარება უძრავი ცხოვრებისა“.**

1887 წელს მან თვითონ შექმნა რუსული ენის სახელძღვანელო ქართველი ბავშვებისათვის — „რუსსკოე სლოვო“, რომელშიც მშობლიური ენის, გარემოს გათვალისწინებით მოკლეულია სწავლების ისეთი მეთოდი, რომელიც ამ უცხო ენას ბავშვისთვის კარგად გასაგებს ხდის და გამორიცხავს გაუგებარ ენაზე ძველებურად ზუთხვას.

თავისი პედაგოგიური პრინციპებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა ი. გოგებაშვილმა თბილისის სასულიერო სასწავლებელში დაიწყო, სადაც, როგორც ზემოთ ითქვა, ჯერ მასწავლებლად მუშაობდა, მერე კი — ინსპექტორად. ნიკო ლომოურის მოგონებით „მთელი ცხოვრება უბედური სასწავლებლისა გონებითი და ზნეობითი წყვდიადით იყო მოცული და ამ წყვდიადში უცებ აინთო ბრწყინვალე ლამპარი განათლებისა, ქველობისა და კაცთმოყვარეობისა. ეს იყო მაღალი აზრებით ნათელმოსილი პიროვნება იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილისა... კაჭკაჭური ზეპირობა გაკვეთილებისა, ცემა-ტყეპა, ლანძღვა-გინება მოსწავლეებისა სამუდამოდ განიდევნა სასწავლებლიდან... მათ ნაცვლად დამყარდა მამაშვილური, კაცთმოყვარული დამოკიდებულება უფროს-უმცროსებს შორის... სასწავლებლის წიგნთსაცავი აიავსო შესაფერ წიგნებითა...“

ბრწყინვალე რომანისტი, მწერალი ვასილ ბარნოვი ასევე სიამოვნებით იხსენებდა: „ვინ იცის, იქნებ ბედგამწარებულს მრავალთა მსგავსად მეც დეზი მეკრა სასწავლებლისათვის, რომ ამ დროს ზედამხედველად არ დაენიშნათ იაკობ გოგებაშვილი... დალოცვილი გახდა მისი შემოსვლის დღე. თვითონ კარგი მასწავლებელი გამოდგა. იქამდე ზეპირად ვსწავლობდით და მასწავლებელსაც

წინ გადაშლილი სახელმძღვანელო ედო, რომ მოწაფის პასუხის დროს არაფერი აერივნა, არ შეეშალნა. ეხლა გაკვეთილის მიცემის დროსაც და მოსმენის დროსაც თვითოეულ სიტყვას გვიხსნიდა თვითონ. მასწავლებლებსაც ასე სთხოვდა". ასე დააფუძნა მეცნიერულ სისტემით სწავლება დიდმა იაკობმა.

ილიას და სხვა თერგდალეულებს ი. გოგებაშვილი უკვე 60-იანი წლებიდან ედგა მხარში და მათგანაც ყოველთვის ანალოგიურ თანადგომას გრძნობდა თავის მიერ წამოწყებულ უდიდეს ეროვნულ საქმეში.

ილია ხონელი (ბახტაძე) იგონებდა, რომ ერთ თავყრილობაზე იაკობი უქიათ და უდიდებიათ, მას კი პირდაპირ განუცხადებია, რომ თუ მართლა რამე გავუკეთე ქართველ ხალხს, მე ეს გავაკეთე ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ხელშეწყობით... ჩემი იმედი, მფარველი და ნუგეშის მომცემი ილია ჭავჭავაძე იყო... თუ დღეს ჩემს მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს: „დედა ენას", „ბუნების კარს" და „რუსსკოე სლოვო"-ს საქართველოს სკოლებში ფართო გასავალი მიეცა, ეს უმთავრესად ილია ჭავჭავაძის მეშვეობითო. აკაკი წერეთელიც მოუხსენებია. ჩემი სახელმძღვანელოების შექმნაში დიდი ამაგი აქვს საქართველოს ბულბულს, იგი მოწინააღმდეგეთაც ხშირად მიგერიებდაო (ლ. გოგოხია).

ი. გოგებაშვილი ასევე მთელი ცხოვრება ემადლიერებოდა დიდ პატრიოტს ნიკო ცხვედაძეს, რომელიც სასწავლებლის ინსპექტორობიდან გათავისუფლებულ, უბინაოდ და უსახსროდ დარჩენილ, სასოწარკვეთილ იაკობს მეგობრულად მხარში ამოუდგა და თავის სახლში შეიფარა.

ამის შემდეგ თვითონაც მთელი ცხოვრება ნიჭიერ და ღარიბ მოსწავლეთა, სტუდენტთა, მწერალთა პირველი დამხმარე იყო როგორც მატერიალურად, ასევე მორალურად. თავად იაკობი სადად და უბრალოდ ცხოვრობდა. მის სახლში მართალია, დიასახლისი არ ტრიალებდა (ტუბერკულოზით დაავადების შემდეგ საერთოდ უარი თქვა ცოლის შერთვაზე), მაგრამ ყველა ნივთს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. მისი ბინა ლიტერატურულ სალონად იყო გადაქცეული. სისტემატურად, თვეში ერთხელ, მართავდა სადილს, რომელზეც იწვევდა ყველაზე ახლო მეგობრებს: ილიას,

აკაკის, ნიკო ცხვედაძეს, პეტრე უმიკაშვილს, ნიკოლოზ ღოღობერიძეს, ფილიპე გოგიჩაიშვილს, ექიმ ვახტანგ ღამბაშიძეს და სხვ. (მ. ჩორგოლაშვილი).

1875 წლიდან იაკობი გვერდით ედგა დიმიტრი ყიფიანს და ილიას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ჩამოყალიბებისათვის ბრძოლაში (დაარსდა 1879 წელს); რომელმაც რუსეთის მიერ დაპყრობილ უუფლებო საქართველოში ფაქტიურად განათლების სამინისტროს ფუნქცია შეასრულა.

პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა იაკობი ფართო და დაუღალავ საზოგადოებრივ და პუბლიცისტურ-ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა, ხშირად ბეჭდავდა სტატიებს და გამოკვლევებს ცნობილ ქართველ მწერლებზე და მოაზროვნეებზე როგორც ქართულ, ასევე რუსულ პერიოდულ გამოცემებში. იგი იყო „ვეფხისტყაოსანის" ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი. ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ იაკობი იყო საქართველოს გეოგრაფიის ნაბეჭდი სახელმძღვანელოს პირველი ავტორი. მისი „ბუნების კარი"-ს გეოგრაფიული განყოფილება ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოსწავლეთათვის იყო ერთადერთი წყარო საქართველოს გეოგრაფიის შესასწავლად. ჩვენი და მომავალი თაობისთვისაც დიდად მისაბაძია მისი თავმდაბლობა და ღირსების გრძნობა. ქართველი საზოგადოების ერთ ჯგუფს განუზრახავს იაკობის ლიტერატურული და პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავის აღნიშვნა სადილით. ეს ცნობა გაზეთ „ივერიას" დაუბეჭდავს 1900 წლის 19 აპრილს. ცნობას იაკობი გაუნაწყენებია და რედაქციისათვის უმალვე მიუწერია: „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან სჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინია გამიმართოს საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოვახსენებ და ვთხოვ დიდი თხოვნით ხელი აიღონ ამ თავის წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩაივლის. ჯერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარი მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიათ და ჩემზე უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუზსა და მყინვარს (ილიასა და აკაკის — **ვ.შ.**) ღირსეული იუბილეები გაუმართონ და მერმე გაუწიონ თავაზიანობა სხვებსაც, თუ არ

დაუშლიათ...“ აქედან კარგად ჩანს, რომ თავმდაბლობასთან ერთად იაკობმა თავისი ადგილი იცოდა, იგი ილიასა და აკაკის არც ედრებოდა.

ილიასთან, აკაკისთან, ვაჟასთან ერთად იაკობი საქართველოს ერთიანობის, ერის კონსოლიდაციის, ეროვნული ინტერესების ერთ-ერთი უდიდესი დამცველი იყო. მას სახელმძღვანელოებში საგანგებოდ შეპქონდა ისტორიული მოთხრობები, რომლის მეშვეობითაც, მისი თქმით, „ჩვენ ვხსნით, ვარკვევთ, თუ რა ასუსტებდა წარსულში ჩვენს ერსა და რა აყენებდა მას აყვავების გზაზე. მაგალითად, განცალკევება საქართველოს კუთხეებისა ნამდვილი შხამი იყო ჩვენი ერისათვის, ერთობა კი უებარი წამალი“.

ამასთან ი. გოგებაშვილი მტკიცედ უპირისპირდებოდა ეროვნული ინტერესების არამართებულ გაგებას, პროვინციალიზმს და კუთხურობას. მან კარგად იცოდა ნიჭიერების ფასი, ეხმარებოდა კიდეც მოსწავლეებს მატერიალურად, მაგრამ ღრმად სწამდა, რომ ნაკლებად ნიჭიერ ახალგაზრდასაც შეეძლო ქვეყნისათვის დიდი სარგებლობა მოეტანა, თუ საღ და ნაყოფიერ სულიერი საზრდოს მიიღებდა.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების მთავარი პრინციპი იყო ხალხურობა, რაც გულისხმობს ერის ინტერესების შესაბამის სახალხო განათლებას, ეროვნული კულტურის აღორძინებას და მშობლიურ ენაზე სწავლებას. მან ჩვენში პირველმა წამოაყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა, ხოლო პედაგოგიურ პრინციპებად გამოჰყო — შეგნებულობა და აქტიურობა, სისტემატურობა და თანამიმდევრობა, მისაწვდომობა და ინდივიდუალიზაცია. თავისი შეხედულებანი იაკობმა გადმოსცა წერილებში „ბურჯი ეროვნებისა“, „ხე ნაყოფით იცნობება“, „ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში“, „ახალი სამოსწავლო გეგმის შესახებ“, „სახალხო მასწავლებლის ღვაწლი და უკიდურესი გაჭირვება მისი“, „განათლების მდგომარეობა საქართველოში“, „მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები“ და ა.შ.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ იაკობ გოგებაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელია. მისი შემოქმედების ძირითადი წყარო კი ქართული ფოლკლორია.

დღესაც თითქმის ყველამ ზეპირად იცის ისტორიულ თემაზე დაწერილი იაკობ გოგებაშვილის შესანიშნავი მოთხრობები — „ასპინძის ომი“, „იოთამ ზედგენიძე“, „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „ცოტნე დადიანი“, „თავდადებული მღვდელი თევდორე“, „სამასი თავდადებული გლეხი“, „სხივი წარსულისა“ და სხვ., რომლებიც მოზარდებს სამშობლოსათვის თავდადებასა და სიყვარულს შთააგონებს. მისი ბრწყინვალე მოთხრობა „იაენანამ რა ჰქმნა“ (1890 წ.), ქადაგებს ჰუმანიზმს, პატრიოტიზმსა და ხალხთა ჭეშმარიტ მეგობრობას.

თავისი საბავშვო მოთხრობებით და კრიტიკული მიმოხილვებით იაკობმა დიდი ამაგი დასდო საყმაწვილო ჟურნალებს „ნობათს“, „ჯეჯილსა“ და „ნაკადულს“.

იაკობ გოგებაშვილი საეკლესიო ღვთისმსახურების ქართულ ენაზე წარმოების თავგამოდებული დამცველი იყო. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ უცხო ენაზე წირვა-ლოცვა, ქადაგება, გალობა ფუჭია, იგი ადამიანის სულსა და გულს არ ეკარება, არ იწვევს ღვთიურ ზემოქმედებას. ამის დასადასტურებლად მას მოჰყავს ერთი ამბავი: კიევის სასულიერო სემინარიიდან ახალდაბრუნებული იაკობი შესულა თბილისის სემინარიის ეკლესიაში მაშინ, როცა მამა გრიგოლ კარბელაშვილის მიერ შედგენილი გუნდი გალობდა: „ეს ხორო, წერდა იგი, — რასაკვირველია ნაცრადაც არ მოვიდოდა კიევის ხოროებთან. მე კი, მომესმა თუ არა ქართული გალობა, სწორედ ნეტარების ჟრუანტელმა დამიარა და ვიგრძენი ისეთი ღრმა სიამოვნება, ისეთი ლმობიერება, რომელთანაც შედარებით კიეური სიამოვნება აჩრდილიც არ იყო“ ამ განცდის მიზეზსაც თავად განმარტავს: „ეროვნული გალობა საესებით შეესაბამებოდა ჩემს ეროვნულ აგებულებას, სლავური გალობა კი მოკლებული იყო ამ შესაბამისობას“.

მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად იაკობმა 72 წელი იცოცხლა. იგი გარდაიცვალა 1912 წლის 14 ივნისს თბილისში. მას ადრევე დაუწერია ანდერძი, წაუკითხავს ძმისშვილისათვის და უთქვამს — ყველაფერი ხალხმა მომცა და ხალხსავე უნდა დავუბრუნოო. სიკვდილის წინ მან მთელი თავისი ქონება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადასცა, არ და-

ივიწყა სხვადასხვა ფონდები, ჟურნალები, თბილისის მომავალი უნივერსიტეტიც კი, რომელიც 6 წლის შემდეგ შეიქმნა (მარტო სახელმძღვანელოების წლიური შემოსავალი 9000 მანეთს აღემატებოდა).

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა აკაკი წერეთელმა, რომელიც ქართველი ერის სახელით გამოეთხოვა დიდ პატრიოტს და ქართველთა უდიდეს განმანათლებელს. მისი ცხედარი დიდუბის ეკლესიაში დაკრძალეს, 1940 წელს კი მთაწმინდის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს.

მის საფლავზე აღიმართა მარმარილოს ლამაზი ძეგლი, რომლის წინ „გადაშლილია" მარმარილოში გამოკვეთილი მარად უკვდავი „დედა-ენა" დაწესებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალი და პრემია, მისი სახელი მიენიჭა პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და უმაღლეს სასწავლებლებს, სკოლებს. მისი მოთხრობის მიხედვით გადაიღეს შესანიშნავი ფილმი „იავნანამ რა ჰქმნა" 1976 წელს ჩატარდა „დედა-ენის" 100 წლის იუბილე.

ნიკო ნიკოლაძე

ნიკო ნიკოლაძე ერთ-ერთი გრანდიოზული ფიგურაა საქართველოს ისტორიაში, იგი იყო ბრწყინვალე მოაზროვნე, მეცნიერი, პუბლიცისტი, დაუღალავი საზოგადო მოღვაწე და თავის ქვეყნის უერთგულესი ჭირისუფალი.

ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძე დაიბადა 1843 წლის 9 ოქტომბერს ქუთაისში. თავის ავტობიოგრაფიაში იგი იგონებს, რომ „ჩემი თავი მახსოვს ოთხი წლიდან, როცა ბებიაჩემი ტასო ჩემმა წაქცევამ და ტახტის ყურეზე წარბის ჩაჩეხვამ გაამწარა... დედაჩემი შვენიერი წიგნობარი იყო: „მთელი ვეფხისტყაოსანი" ზეპირად იცოდა, ნაბეჭდ წიგნებს მუდამ დღე, ნასადილევს უკითხავდა მამაჩემს. ჩვენ ბავშვობიდანვე გვიყვარდა მისი ყურისგდება... ბავშვობიდანვე კითხვას ნაჩვევს, ამ ჩვეულების მიტოვება არ შემეძლო. უნდა გარდამეკითხა, რაც კი ჩამივარდებოდა ხელში. კითხვა ჩემთვის საჭიროებას შეადგენდა, იმისთანა საჭიროებას, ურომლისოდაც გაძლება არ შემეძლო" 1860 წელს ნიკომ დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. ამავე წელს ჟურნალ „ცისკარში" გამოაქვეყნა თავისი

პირველი წერილები. 1861 წელს იგი გაემგზავრა პეტერბურგში და მოეწყო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მან მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა 1861 წლის ცნობილ გამოსვლებში, რის გამოც დააპატიმრეს და უნივერსიტეტიდან გარიცხეს. ნ. ნიკოლაძეს პეტერბურგში ცხოვრება აუკრძალეს, მაგრამ მან ეს არაფრად ჩაგდო, არალეგალურად ცხოვრობდა აკაკი წერეთლის ბინაში და ეროვნული ტანისამოსით — ჩოხა-ახალუხით დადიოდა ქალაქის ქუჩებში. აქ იგი გაეცნო ცნობილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის ნ. ჩერნიშევსკის მეუღლეს და შემდგომ მისი მეშვეობით, თავად ჩერნიშევსკისაც.

1862 წელს ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა და მონაწილეობდა ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე ძველ და ახალ თაობას შორის გამართულ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლაში. მალე იგი კვლავ პეტერბურგს გაემგზავრა და გაზეთ „ნაროდნოე ბოგატსტვოს" რედაქტორი გახდა, სტატიებს აქვეყნებდა „სოვრემენნიკშიც". 1864 წელს ნიკომ პარიზს მიაშურა სწავლის გასაგრძელებლად. შემდეგ იგი შვეიცარიაში გადავიდა და ციურიპის უნივერსიტეტი დაამთავრდა. 1866 წელს ნიკოლაძემ შვეიცარიაში ფრანგულ ენაზე გამოსცა თავისი პირველი წიგნი „მთავრობა და ახალი თაობა". 1868 წელს მან დაიცვა დისერტაცია თემაზე — „განიარაღება და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები" (მისი ეს ნაშრომი შემდეგ ჟენევაში ფრანგულ ენაზე გამოიცა წიგნად), რისთვისაც ნ. ნიკოლაძეს მიენიჭა ციურიპის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. იმავე წელს ლ. მეჩნიკოვთან ერთად დააარსა ჟურნალი „სოვრემენნოსტი", სადაც დაიბეჭდა ნიკოლაძის ცნობილი სტატიები („რუსული ემიგრაცია", „ორი თაობა", „ევროპის ცხოვრება", „ნაროდნოე დელო", „რევოლუციონერის როლი").

1870 წელს ნიკო ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს გაზეთ „დროების" თანამშრომლად. 1871 წლიდან სათაეში ჩაუდგა ჟურნალ „კრებულს", რომელშიც გამოაქვეყნა ბევრი საპროგრამო ხასიათის სტატია პოლიტიკისა და ლიტერატურის საკითხებზე.

1872 წელს ნ. ნიკოლაძემ იმოგზაურა საფრანგეთში და თავისი

შთაბეჭდილებანი სათაურით „სხვათა შორის“ გამოაქვეყნა ჟურნალ „კრებულში“. 1873 წელს ნიკო კვლავ პარიზშია ტყიბულის ქვანახშირის საქმეების მოსაგვარებლად. აქვე დაიწყო მან პექტოგრაფიულად ნაბეჭდი გაზეთ „დროშის“ გამოცემა (გამოვიდა 10 ნომერი). სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნიკოლაძემ დაიწყო დიდი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1878 წლიდან იგი შეუდგა გაზეთ „ობზორის“ გამოცემას, რომელიც არ მოეწონა ხელისუფლებას. 1880 წელს გაზეთი დახურეს და ნიკოლაძე კი სტავროპოლში გადაასახლეს. 1881 წლიდან ნიკო გადადის პეტერბურგში, სადაც თანამშრომლობს ჟურნალში „ატეჩესტვენნიე ზაპისკი“, აქტიურად მონაწილეობს ნ. ჩერნიშევსკის ციხიდან გათავისუფლებაში. 1887-1891 წლებში თბილისში იგი რედაქტორობდა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ს, თანამშრომლობდა ჟურნალ „მოამბეში“. ოცი წლის განმავლობაში, 1894 წლიდან იგი არჩეული იყო ფოთის ქალაქის თავად. ნიკო ნიკოლაძემ ძალზე აქტიური მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის საქმეში, იყო პარლამენტის წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. 1920 წელს იგი საზღვარგარეთ გაემგზავრა, როგორც ჭიათურის მანგანუმის საექსპორტო საზოგადოების დელეგაციის მეთაური. 1924 წელს ნიკო დაბრუნდა საქართველოში და განაგრძო აქტიური საზოგადოებრივი და ლიტერატურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა.

ნ. ნიკოლაძე 1928 წლის 1 აპრილს, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქართველმა ხალხმა გულწრფელი ცრემლით დაიტირა ეს უკანასკნელი დიდი თერგდალეული, ევროპული რანგის მოაზროვნე და მრავალმხრივი მოღვაწე. იგი დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში.

ნიკო ნიკოლაძე მომავალი თაობებისათვის სამაგალითოა იმითაც, რომ ერთი წუთითაც არ ივიწყებდა ქართველობას და თავის ბედკრულ სამშობლოს. ყველგან და ყოველთვის, სადაც უნდა ყოფილიყო, იგი მშობლიური ქვეყნის სამსახურში იდგა და მისი სიყვარულით სულდგმულობდა: „მე დამივლია მთელი ევროპა, — წერდა იგი — ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილ-

ვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა“ — ასე მიმართავდა იგი თავის ქვეყანას.

და მართლაც, ნიკო ნიკოლაძის, როგორც ქართული პოლიტიკური რეალიზმისა და პრაგმატიზმის უდიდესი წარმომადგენლის, მრწამსი ორ მთავარ საყრდენს ემყარებოდა:

1. პრაგმატული — რა სჭირდება და გამოადგება საქართველოს;

2. რეალისტური — რომ საჭიროა არამეტაფიზიკური აზროვნება, რომელიც სინამდვილის მოთხოვნებს უპასუხებს. უშედეგო და არაფრისმომტანია აბსტრაქტული აზროვნება და მსჯელობა, რომანტიკული ჭვრეტა და ოხვრა — „დროა ჩვენც ავიხილოთ თვალი სინამდვილეზე, სიზმრის თვალთმაქცობისაგან თავი ვიხსნათ, იმის გარჩევა ვისწავლოთ, ჩვენს გარშემო რა ამბავია, რა ნამდვილი წამალი უშველის ჩვენს ჭირს? თვალუწვდენელ ოცნებას ეს მცირე ამაგი სჯობია“ — მიუთითებდა ის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღესაც უაღრესად აქტუალურია ნიკო ნიკოლაძის მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა გზა უნდა აირჩიოს კრიზისში მყოფმა ერმა სამომავლო ცხოვრებისათვის — სწორ არჩევანს ხომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ყოველი ხალხისა და ქვეყნისათვის:

„როგორც ჭკვიანი ირჩევს ტანსაცმელს — მას რა მოერგება და რა მოუხდება საკუთარი სხეულის აღნაგობის გათვალისწინებით, ასევე უნდა მოიქცეს ერი ამა თუ იმ მოძღვრების არჩევისას. ჯერ ერთი, თუ შეუძლია ის მოძღვრება, რაც მას სჭირდება, მან თვითონვე უნდა შექმნას. მეორეც, თუ ამისათვის ჭკუა-გონება არ ყოფნის და აუცილებლად სხვას უნდა დაესესხოს, მაშინ ის უნდა აიღოს, რაც მას უეჭველად გამოადგება, თუმცა ამასაც დიდი გონიერება სჭირდება. ამას თუ ვერ მიხვდა, ისე მოუვა, როგორც იმ ადამიანს, ვინც მოდას აჰყვება, შეუფერებლად მოირთვება, მოიკაზმება და ხალხის თვალში სასაცილო გახდება. ერიც ასევე შეიძლება მასხარა გახდეს კაცობრიობის თვალში“, — წერდა იგი.

ნიკოლაძე მაინც განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას უჭერდა მხარს უცხოური დადებითი გამოცდილების გამოყენების გათვალისწინებით და სწორად მიიჩნევდა, რომ შეუძლებელი იყო

უცხოელს, თუნდაც გენიოსს, ქართული სპეციფიკის და რეალობის არმცოდნეს, ქვეყნისათვის ზუსტად მისადაგებული განვითარების რეცეპტი მოენახა: „ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარებავართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას. უცხოელი ძიძა, რაგინდ საღი იყოს, შენს დედ-ენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს".

ნიკო ნიკოლაძე პრიორიტეტს ანიჭებდა ქვეყნის საშინაო საქმეების პირველ რიგში მოგვარებას და წერდა, რომ „მხოლოდ შინაგანი საქმეების გონიერულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება, — უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ საშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენ ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შევუქმნით ჩვენს თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდაოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს".

ნიკოს მიაჩნდა, რომ „ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიწევნება" და რომ გადაჭარბებული რადიკალიზმი და უკიდურესობანი, რაც ხშირად გვახასიათებს ქართველებს, დამღუპველია ჩვენი ქვეყნისათვის. თავის სტატიაში „კოშუთი და დეაკი" მან ერთმანეთს შეადარა ეს ორი ცნობილი უნგრელი პოლიტიკური მოღვაწე და მათი ტაქტიკა უნგრეთის ეროვნული სუვერენიტეტისათვის რთულ და ძნელ ბრძოლაში.

კოშუთი აჯანყების გზით, იარაღითა და სისხლისღვრით ცდილობდა სამშობლოს განთავისუფლებას. უფრო რეალური და წარმატებული გამოდგა დეაკის საპირისპირო ტაქტიკა — რეფორმების გზით მშვიდობიანი ბრძოლის გზა, რამაც უნგრეთს ნაბიჯ-ნაბიჯ ეროვნული სუვერენიტეტი მოაპოვებინა.

ნიკო ნიკოლაძე მხარს უჭერდა დეაკის ტაქტიკას, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „გონიერი კაცი და ერი თვისუფლებას თუ ავტონომიას მით იძენს, რომ ანგარიშიანი მართვით ჯერ თავის შინაურ,

მერე სამრეწველო, შემდეგ საზოგადო, ბოლოს პოლიტიკური საქმეების საშუალებით იგროვებს უმაღლესი სახელმწიფო საკითხის გადასაწყვეტად."

ნიკოლაძე სამართლიანად მიუთითებდა, რომ ერმა ყველა დაბრკოლება, გაჭირვება და სიძნელე დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე და მის შემდეგაც შეიძლება გადალახოს მხოლოდ ეროვნული ერთიანობისა და საერთო ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების შემთხვევაში. ეროვნული ერთობისა და ძმობის გრძნობა არის ერის თავისუფლებისა და აღორძინების უმთავრესი პირობა: „არაფერი სიკეთე, არ უნდა მოელოდეს იმ ერს, რომლის თითოეულ ნაწილებს არავითარი ეროვნული ძმობისა და ერთობის გრძნობა არა აქვთ... მართლადა, რა უბედურება იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის, რომ ქართელმა, კახელმა და იმერელმა ოდესმე ქართველობა ითაკილონ და თავიანთი თავი ქართლელობით, კახელობით, იმერლობით მოიწონონ. ხალხის ამგვარ ხასიათს მამულის ნამდვილი სიკვდილი და მიწასთან გასწორება მოსდევს".

ნიკო იმასაც მიუთითებდა, რომ ერთიანი ეროვნული შეგნების აღზრდა და ჩამოყალიბება რთული, ხანგრძლივი პროცესია, რასაც მრავალი დაბრკოლება ეღობება წინ. მათ შორის ძირითადია ეროვნული ნიჰილიზმი, არასრულფასოვნების კომპლექსი, გულგრილობა, თაობათა დაპირისპირება და ამდენად მემკვიდრეობითობის ნაკლებად დაცულობა, აზიურობისაკენ მისწრაფება. მისი აზრით, „ევროპული წესის თვისება ის არის, რომ ყოველი თაობა განძად სთვლის წინაპრებისაგან გადმოცემულ საუნჯეს და ზედ თვითონაც ბევრს ამატებს, ართავს, აშენებს. აზიაში და ჩვენთანაც, სადაც ყველას დედა აზრი ის არის, რომ „მე ვარ და სხვა არავინო", ყოველი ახალი თაობა, ყოვლად უაზრო, უზრდელი, უტრადიციო, უეცრად სპობს და ლეწს წინანდელი თაობის ნაშრომს".

ნ. ნიკოლაძე აანალიზებდა ჩვენი ქვეყნის რთულ და მძიმე ისტორიულ წარსულს და ასკვნიდა, რომ „უცხოელების შემოსევის გარდა ჩვენი ხალხი მისმა შინაგანმა განწყობილებამ და მდგომარეობამ დაასუსტა, დააუძლურა" — ერთმანეთის მტრობამ და შულლმა, წინდაუხედაობამ, უაზრო მეოცნებეობამ და სხვათა

ბრმა წაბაძვამ. ქართული მენტალიტეტის, ტრადიციების და ცხოვრების წესის უკუგდება უცხოურის უკრიტიკოდ და უნიადაგოდ მიღების ხარჯზე ნიკოს მიუღებლად მიაჩნდა და მწვავედ აკრიტიკებდა კიდეც: „რასაც პეტრე პირველმა — გენიოსმა — რუსეთი ძალით ვერ შეაჩვია, ჩვენში ერმოლოვმა — დიდმა და ჭკუიანმა ერმოლოვმა ვერ მოახერხა, — ის რუსებს ეკატერინემ და ქართველებს ვორონცოვმა ალერსით თუ ოსტატობით შეაპარა, შეაპარა ბრმა, მაიმუნური გარეგანი წაბაძვა უცხო ქვეყნების ზნისა და ცხოვრებისა“.

ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლი ძალების შეკვრას ერთ გუნდად, საერთო ეროვნული პროგრამით, ღირსეული ლიდერის ხელმძღვანელობით. ასევე მნიშვნელოვნად თვლიდა იგი გუნდის წევრთა შორის ურთიერთგაგებას, სამართლიანობას, პირუთვნელ კრიტიკას და აუცილებელ დისციპლინას ამ ბრძოლაში: „დისციპლინა, — წერდა ის, — იმას კი არ თხოულობს, რომ ყველა ამხანაგის გონება და აზრი ნიადაგ დახშული და დამალული იყოს: იმას თხოულობს, რომ ბრძოლის დღეს, რაკი ამხანაგობა ერთ აზრს დაადგება, ერთ გზას აირჩევს და ერთ მოთავეს გაპყვება, ყველა ამ აზრს დაეხმაროს, ამ გზას დაადგეს და მოთავეს მხარი გაუმაგრდეს“.

ნიკო ნიკოლაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტიკურ ლიდერთა პიროვნებას და მიაჩნდა, რომ იქ, „სადაც ყველაფერი მარტო ერთ კაცზე ტრიალებს და არა დაწესებულებაზე, ის კაციც ნელ-ნელა იმ შეხედულებას იღებს, რომ მე ვარ, სხვა არავინო, ყველა მე უნდა მემსახუროს და არა ქვეყანასო. ქვეყნის, ერის, იდეალის ხსენება თანდათან ქრება დიდში და პატარაში. დესპოტის სამსახური და ქვეყნის ან იდეალის სამსახური დიდად განსხვავდებიან ერთი-ერთმანეთისაგან“.

ნიკოლაძე, აანალიზებდა რა ქართულ რეალობას, სწორად აღნიშნავდა, რომ „საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მომზადებული ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობისათვის საჭირო ცოდნითა და ნიჭით იყვნენ აღჭურვილნი, ჩვენში ძლიერ ცოტაა, სამაგიეროდ უფრო დიდი რაოდენობით გვყვანან სავსებით მოუმზადებელნი პირნი, რომლებსაც ბრწყინვალე საზოგადოებრივი

მდგომარეობის უზომო მადა აქვთ, მაგრამ სრულებითაც არ გააჩნიათ არც მშვიდი ანგარიშიანობა, არც გაძძლეობა, არც უნარი, რომ საკუთარი ძალ-ღონით და მეტ-ნაკლებად რიგიანი უწყინარი საშუალებებით მიაღწიონ თავიანთ მიზანს... კიდევ უფრო ნაკლებად გვყვანან ფანატიკოსები, რომლებიც იკისრებდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა რკინის ბორკილების ტარებას... და რაკი სხვა ტიპის მოღვაწენი ჩვენ არ გაგვაჩნია, ამიტომ ბურთი და მოედანი რჩება ხოლმე... სათნო აზიზ-მაზიზებს ერთი მხრივ, და არაკეთილსინდისიერ ინტრიგანებსა და მოანგარეებს".

შესაბამისად, ეს განაპირობებდა ხოლმე იმას, რომ ეს ვითომპოლიტიკოსები „ეროვნული საქმეების და იდეალების, რევოლუციის" საბაბით სასაკლაოზე წაიყვანდნენ ხოლმე ხალხს. ამიტომაც ხაზს უსვამს ნიკოლაძე ამ უნივერსალურ დებულებას, რომ „მოდიოდნენ ჩვენში მეთავურად ვიღაც სრულიად უცნობი და უზრდელი კინტოები. არავინ იცოდა, თუ ვინ იყვნენ, საიდან მოსული, რა ჯულის ან აზრის, სახელი რა ერქვათ, გვარი მათი რა იყო, როგორი წარსული ჰქონდათ. „ამბოხება დავიწყოთო" — დაიძახებდა და ყველა მათ გაჰყვებოდა, თითქოს თხას — ცხვრის ფარა. ჭკუაში არავის მოსვლია, მოეთხოვა მათგან ან ახსნა, ან ცოდნა, ან სიმტკიცე. იფარფაშებდნენ, სანამ გასაჭირი არ მოახლოვდებოდა და მაშინ კი მოქუსლავდნენ და გაპქრებოდნენ. გინახავთ სადმე სხვა ერი, ასე მჩატედ რომ გაჰყოლოდეს პროვოკატორს".

ასეთი „ლიდერების და მოღვაწეების" ჩამოყალიბებაში ნეგატიურ როლს ჩვენი საზოგადოებაც ასრულებდა მისთვის დამახასიათებელი ისეთი თვისებებით, როგორიცაა, მლიქვნელობა, სერვილიზმი, უდარდელობა, პანეგირიკი (ანუ „ყიზილბაშობა", როგორც ამათ ილია უწოდებდა). „გასაგებია ისეთი საზოგადოების მავნებლობა, — აღნიშნავდა ნიკოლაძე, — სადაც თქვენს აზრებს ბრმად იმეორებენ და სადაც კრიტიკული დამოკიდებულების ნაცვლად ხოტბას გასხამენ. ასეთ ვითარებაში ადამიანის გონებას ეუფლება ძილი და იგი სულ უფრო ნაკლებს მუშაობს საკუთარ თავზე".

საინტერესოა ნიკო ნიკოლაძის შეხედულებანი განვითარების რევოლუციური და ევოლუციური გზების შესახებ. ნიკო ნიკოლაძე რევოლუციის მომხრეც იყო და ევოლუციისაც, ოღონდ გააჩნია

ქვეყანას, ხალხს და ვითარებას: „რევოლუციაც — ქინაქინის არ იყოს, ზოგან რგებს, ზოგჯერ ენებს. საფრანგეთში გამოდგა, ოსმალეთში — არა. ეს არ გამოდგა ამიტომ, რომ ხალხი გაუმზადებელი ყოფილა ცვლილებებისათვის, მორიგ საქმეებზე ერთი აზრი, ერთი რწმენა მას არ ჰქონია".

რა შემთხვევაში მოაქვს როვოლუციას დადებითი შედეგი? ნიკოლაძის გონიერული მოსაზრებით „ფიქრი იმაზე, რომ რევოლუცია შეიძლება უწოდო მხოლოდ ნგრევას (როგორც ეს ჩვენ კარგად მოვახერხეთ საქართველოში — ᲗᲨ.) და არა შეცვლას არსებული პოლიტიკური ორგანიზაციისას, ნიშნავს უდიდეს შეცდომას. ნგრევა ახლის შემქნის გარეშე არ არის რევოლუცია. ანარქიას ყოველთვის მივყავართ რეგრესიამდე და არა პროგრესამდე. ერთი რეჟიმის შეცვლა მეორეთი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა სათანადოდ მომზადებული იქნება პროგრამა და გეგმა, აგრეთვე კადრები ახალი ხელისუფლებისათვის".

ნიკო ნიკოლაძე მაინც ევოლუციური განვითარების გზას ანიჭებდა უპირატესობას. რევოლუციისა და სისხლისღვრის გარეშე ერის სწრაფი აღორძინების მაგალითად მას იაპონია მიაჩნდა. ნიკოლაძემ კარგად შეისწავლა და ქართულ საზოგადოებას გაუანალიზა (სტატიაში „იაპონიის ბრძოლა ჩინეთთან") იაპონიის ე.წ. „მეიძის რევოლუციის" პერიოდი (XIX ს-ის II ნახევარი), როდესაც ქვეყანამ შეძლო უზარმაზარი ნახტომის გაკეთება ყველა სფეროში.

კარგად გააცნობიერა რა საკუთარი პასუხისმგებლობა თავისი ხალხის წინაშე, იაპონიის ეროვნულმა მთავრობამ, მმართველმა ელიტამ და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა დასახეს ქვეყნის მომავალი პოლიტიკური და სოციალური მოწყობის კომპლექსური მეცნიერული გეგმა, რომელშიც ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების საწყისად აღებული იყო საკუთარი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი, იაპონური ცხოვრების წესის მდიდარი ეროვნული შინაარსი. ნიკოლაძეს სამაგალითოდ მიაჩნდა მოკლე დროში ქვეყნის ასეთი აღორძინება და წინსვლა და ქართველებს ამაზე საგანგებოდ მიანიშნებდა: „იაპონია ერთობ დიდ და ნათელ მაგალითს წარმოადგენს იმისას, თუ რა

ადვილი ყოფილა თითქმის სრულიად ველური და უკან ჩამორჩენილი ხალხისათვის სწავლით და რიგიანი წესით წელში გამართვა და ძალის შეძენა, როცა მას გონიერი მთავრობა ჰყავს და ბეჯითი სურვილი აქვს რიგიანი ადგილი დაიკავოს სხვა ერთა და სამეფოებს შუა". ნედლეულითა და სხვა სახის რესურსების სიმწირის მიუხედავად იაპონიის ასე გაძლიერება, ნიკოლაძის სწორი მოსაზრებით, შრომის ჭკვიანურმა ორგანიზაციამ და საშემსრულებლო დისციპლინამაც განაპირობა, რაც მას ასევე სანიმუშოდ მიაჩნდა და იაპონიის მსგავსად საქართველოს დაწინაურებაზეც ოცნებობდა. ამასთან დაკავშირებით იგი ხაზს უსვამს, რომ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა როდი ჰქონდა ქვეყნის სიდიდეს და მოსახლეობის მრავალრიცხოვნობას, არამედ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, ახალი ტექნოლოგიების სწრაფ დანერგვას: „ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, ცოდნას, ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს და დისციპლინას" — წერდა იგი და მართლაც დღეს, უზარმაზარი და ნედლეულით უმდიდრეს რუსეთზე გაცილებით წინ არიან საქართველოზე პატარა ქვეყნები — შვეიცარია, ჰოლანდია, ბელგია და სხვ., რომლებმაც გონივრულად განავითარეს საწარმოო ძალები, ტექნიკა და ცოდნა.

ამასთან, ნიკო ნიკოლაძე, როგორც რეალისტი, აფრთხილებდა ქართველ საზოგადოებას, რომ ამ განვითარებული ქვეყნების უცბად დაწევა, მონდომების მიუხედავად, ასე იოლი არ იქნებოდა და მას საკმაო დრო დასჭირდებოდა: „რა გზაც ხუთს, ექვს ან ოც ხალხს ოთხი ნაბიჯით გაუვლია, მას ვერც ერთი ხალხი ერთის გადახტომით ვერ გაივლის".

საქართველოს აღორძინების უმთავრეს პირობად ნიკო ნიკოლაძე მის ეკონომიკურ განვითარებას მიიჩნევდა, ამის მისაღწევად კი, მისი თქმით, აუცილებელი იყო სწავლა, მუხლჩაუხრელი შრომა, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება და თვითგანვითარება; ამასთან იგი აღნიშნავდა, რომ „სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება".

ქვეყნის ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე ნ. ნიკოლაძე მკაცრად აკრიტიკებდა სხვისი მოიმედეობის და იოლი გამდიდრების განწყობილებას, რომელიც გამეფებული იყო მაშინდელ ქართველობაში და დაჟინებით მოითხოვდა ამ ილუზიებისაგან და აზიური ინერტულობისაგან დროზე გათავისუფლებას: „ჩვენს საზოგადოებაში, — მიუთითებდა იგი, — ყველა დარწმუნებულია, რომ შველა ჩვენ ერთ მშვენიერს დილას ჩამოგვიფრინდება, ისე, რომ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის“. იგი აქცენტს აკეთებდა უმთავრესად საკუთარი ძალებით ქვეყნის განვითარების აუცილებლობაზე და არა მხოლოდ უცხოელთა მხრიდან ფინანსური და ეკონომიკური დახმარებით, რაც არსოდეს არის უანგარო.

ნიკო ნიკოლაძე კარგად ხედავდა, რომ ქართველობა მრავალრიცხოვანი და ძლიერი მტრებით გარშემორტყმული, ეული და უნათესაო მცირერიცხოვანი ერია და ამიტომაც შესაბამის დასკვნას აკეთებდა: „ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ... მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ძალას მივენდოთ, მარტო გაძლიერებაზე და განათლებაზე ვიმუშაოთ, — მაშინ მეგობარიც გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც“; ხოლო თუ ჩვენ კვლავ სხვის იმედსა და დახმარების იმედზე დავრჩებით, მაშინ კაპიტალიზმის ულმობელი კანონებიდან გამომდინარე ჩვენი მომავალი პერსპექტივა ძალზე არასახარბიელო იქნება: „ევროპის სახელმწიფოები საქართველოს ან ალჟირიკით დაიმონებენ, ან ინდო-ჩინეთივით ძარცვას დაუწყებენ“.

ნიკოს მიაჩნდა, რომ ქვეყნის სიყვარული პრაქტიკული საქმეებით უნდა განვამტკიცოთ და არა ცარიელი ლაპარაკით და მკერდზე მჯიღის ცემით (იგი თავად იყო ამის საუკეთესო მაგალითი): „თუ ნამდვილად გვიყვარს ჩვენი მამული, ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ როგორც მატერიალურის მხრით — სამართლიანად ეკონომიკური განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით — მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით“. იგი აქვე შენიშნავდა, რომ ყოველივე უნდა გაკეთდეს ღიად, გულწრფელად, პირდაპირ და არა ფარისევლურად და მალვა-ჩქმალვით.

ეროვნული იდეალების განხორციელების პროცესში ნიკოლაძე

დაჟინებით მოითხოვდა, ილიასავით, კერძოსა და საზოგადოს (ანუ „ჩემი“-სა და „ჩვენი“-ს) თანაფარდობის დარეგულირებას და მიუთითებდა, რომ „ერთი კერძო კაცის პიროვნება, ჩემის აზრით, გზას უნდა უთმობდეს საზოგადო სარგებლობას“.

ნიკო ნიკოლაძე სავსებით სწორად ფიქრობდა, რომ ყოველი ქვეყნის და ხალხის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილება ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ფსიქიკის, ზნეჩვეულებებისა და გეოგრაფიული მდგომარეობის შესატყვისად უნდა მოეწყოს: „ყველა ხალხს საკუთარი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს, რომ რუსს ვერვინ გაანემეცებს, ქართველს ვერა კაცი გაარუსებს. შესაძლებელია ქართველს ჩოხის მაგიერ ზიპუნი ჩააცვა, ბოხოხის მაგიერ შაპკა დაახურო, ქალამნის მაგიერ — წაღა მისცე, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც ქართველის დარჩება. და როცა ამ ბუნებას ძალას დაატან, როცა მოინდომებ, რომ რუსმა ფრანცუზსავით იხტუნოს, ან ნემეცივით იშრომოს ან ქართველმა რუსსავით გეყმოს, მაშინ ხიფათს შეეყრები, საქმეს წაიხდენ, ქვეყანას ავნებ“ — აცხადებდა იგი შინაურის თუ გარეულის გასაგონად.

ნიკო ნიკოლაძე თავის სამშობლოს ემსახურებოდა არა მხოლოდ ბრწყინვალე ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილებით, არამედ დაუღალავი და მრავალმხრივი პრაქტიკულ-სამეურნეო საქმიანობით. მისი ცხოვრების უმთავრესი აზრი იყო საქმე და ამიტომაც უწოდა მას არჩილ ჯორჯაძემ „ულმობელი საქმის კაცი“.

ნიკომ, ერთ-ერთმა პირველმა ქართველ მოღვაწეთაგან, წინა პლანზე პრაქტიკული და პრაგმატული საკითხები წამოსწია, რაც მთლიანად შეესაბამებოდა ქვეყნის განვითარების მოთხოვნებს. „საჭიროდ ვთვლიდი, — წერდა იგი, — შემეძრა ის ცხოველისმყოფელი ძალები, რომლის მოქმედება და ურთიერთობა ერს ზრდის, ამაღლებს, აძლიერებს. შევეხე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწის-მფლობელობას და თვითმმართველობას... რამდენჯერ დაგვჭირდა დუშეთს ასვლა... ჭავჭავაძისათვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვეღო, ბანკი განახლების ბანაკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებინა. ტფილისის ქალა-

ქის თავად სომხებს დიმიტრი ყიფიანი ავარჩევინეთ. ქუთაისს გრ. ლევაშოვთან აუწერელი ბრძოლის შემდეგ თვითმმართველობა შემოვაღებინეთ. — ქართველობის ასპარეზი ხუთიოდე წელიწადში უცნობად გავაფართოვეთ".

ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ ყოველი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება სამ მთავარ ბურჯს ეყრდნობოდა — თავისუფალი მეწარმეობისა და მრეწველობის განვითარებას, სოფლის მეურნეობას და ცივილიზებულ ვაჭრობას. იგი მართებულად აღნიშნავდა, რომ „ყოველი ერის საფუძველი, ძალა და მომავალი, უფრო მის მეურნეობაზეა დამყარებული, მის მწარმოებლობაზე. სხვა ყველაფერი თითქმის უმნიშვნელოა ამასთან შედარებით. ერი, რომლის წარმოებაც შეფერხდა და სხვა ქვეყნების წარმოებასთან შედარებით ხეირიანად ვეღარ აჯილდოვებს მწარმოებელს, სხვის მსხვერპლადაა გამზადებული. იმან თუ სწრაფად ვერ მოახერხა თავისი წარმოების გაუმჯობესება, გაიაფება, გაადვილება და გახვაევიანება, მისი საქმე წასული და დაღუპულია".

ნიკო ნიკოლაძე მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისს და პირველი დღეებიდანვე ქვეყნის სამსახურში ჩადგა, როგორც ევროპაში ცნობილი უდიდესი ქართველი, გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე და პარლამენტის წევრი. ჭეშმარიტად ბრძნული იყო მისი შეგონება, მიმართული ხელისუფლებაში მყოფი გამოუცდელი სოციალ-დემოკრატებისადმი: „როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი. წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა; უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოელს ვთხოვთ საქონელს. სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვინემ გასაზიდი, მონობას ვერ ავცილდებით".

ნიკო პირველია ქართველ მოაზროვნეებში, ვინც ცივილიზებული ვაჭრობის პროპაგანდა დაიწყო დავისაც კარგად ესმოდა მისი მნიშვნელობა: „ვიდრე ჩვენი საზოგაოების უმრავლესობას სისხლსა და ხორცში ის რწმენა არ გაუჯდება, რომ საზიზღარი, სამარცხვინო და სათაკილო ქვეყანაზე მარტო უსაქმურობა და მუქთა პურის ჭამაა, მანამდე ნუ გწამთ, ვითომ განათლების ანუ წარმატე-

ბის მირონი მოგვეცხოს. ეაჭრობა შრომაა და ისეთივე პატივსაცემია, როგორც ყოველნაირი შრომა".

ნიკო ნიკოლაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქ. ფოთის აღმშენებლობაში, პორტის ელექტროფიკაციასა და მექანიზაციაში. მანვე შეადგინა ქალაქის მშენებლობის და განვითარების ორიგინალური გეგმა და ამასთან ქალაქს განუსაზღვრა მუდმივი პროფილი (ფოთის პორტის ამოქმედება ჩვენი ქვეყნისათვის ევროპაში ფანჯრის გაჭრას ნიშნავდა). 1894 წელს, როცა იგი ფოთის ქალაქის თავად აირჩიეს, ფოთის ბიუჯეტი 75 ათას მანეთს შეადგენდა. 20 წლის განმავლობაში მან ქალაქის ბიუჯეტი 10-ჯერ გაზარდა.

უდიდესი შრომა გასწია ნიკო ნიკოლაძემ ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ასათვისებლად და ჭიათურის მანგანუმის წარმოების გასაფართოებლად. მან მოახერხა დიდი ბრიტანეთის სამეფო ბანკიდან კრედიტის აღება (დღეს ქვეყნებს აღარ ანდობენ კრედიტებს!), გაიყვანა შორაპან-ჭიათურის სარკინიგზო ხაზი და ამით მანგანუმის გადაზიდვის საქმეც მოაგვარა და გააიაფა (არსებობდა პლატფორმაც კი „ნიკო ნიკოლაძე" მანვე დაამკვიდრა ქართულში ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ორთქმავალი", „ლიანდაგი" და სხვ.).

ნიკო აქტიურად მონაწილეობდა თბილისის წყალსადენის მშენებლობაში, კახეთის რკინიგზისა და სურამის გვირაბის გაყვანაში, ქუთაისის აღმშენებლობაში, ტრანსკიმბირის რკინიგზის მშენებლობაშიც კი. მანვე ჩამოიყვანა ფრანგი ებრაელი, მილიონერი როტშილდი ამიერკავკასიაში, პრინციპულად დაუპირისპირდა ნობელს (პრემიის დამაარსებელს) და დიმიტრი მენდელეევს, რომელთაც არაფერი დაუთმო. (სხვათა შორის, ნიკო ნიკოლაძე მსოფლიოს ბევრ გამოჩენილ ადამიანს იცნობდა და მათთან კონტაქტი ჰქონდა, მაგ. ვიქტორ ჰიუგოს, კარლ მარქსს, ლუი ბლანს, პოლ ლაფაგს, გამბეტას, გერცენს და სხვ.).

ნიკო ნიკოლაძემ ფოთის ქალაქის თავად ყოფნის პერიოდში დააარსა თანამედროვე ბანკი. ქართულ სინამდვილეში პირველმა მან დაბეჭდა ობლიგაციები და ლატარიის ბილეთები და მთელი შემოსავალი არა პირად, არამედ ფოთის კეთილმოწყობას მოახმარა, რაც მაშინ უპრეცედენტო ნოვატორული ნაბიჯი იყო.

ნიკო ნიკოლაძემ გერმანელ დიპლომატებთან ოფიციალურ საუბარში წამოაყენა იდეა ევროპის შორეულ აღმოსავლეთთან სავაჭრო გზის ფოთზე გატარების თაობაზე (ბერლინი-ფოთი-პეკინი), რაც დღეს ხორციელდება კიდეც ევრაზიული დერეფნის და აბრეშუმის გზის სახელწოდებით.

და ბოლოს, კიდევ ერთი გენიალური შეგონება (რომელსაც შეიძლება ნიკოს პოლიტიკური ანდერძი ვუწოდოთ), რომელიც მან დაუტოვა თავის სათაყვანებელ სამშობლოს: „ერთი იარაღი გვაქვს ჩვენ, მარტო ერთი — აზრის სისწორე, სინდისის სიმართლე, გონიერება, საქმის სიწმინდე. მარტო ამით შეგვიძლია ჩვენ გავიმარჯვოთ შემდეგში, მომავალში, როდესმე. მაშ, ჩვენ უმანკოდ და გაუსვრელად უნდა შევინახოთ ეს ჩვენი მხოლოდ იარაღი, თორემ იმ დღეს, როცა ჩვენი მტრები, რიცხვით და ძალით ძლიერნი, ჩვენს წინააღმდეგ სიმართლესაც მოიპოვებენ, ჩვენი საქმე ფიზიკურად და ზნეობრივადაც დაღუპული იქნება“.

ალექსანდრე ცაგარელი

ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილმა, ალექსანდრე ცაგარელმა არა მარტო საქართველოში გაითქვა სახელი, როგორც უაღრესად ერუდირებულმა მეცნიერმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ, არამედ მთელ რუსეთსა და ევროპაში. ამ დიდი მამულიშვილის მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობა მთლიანად სამშობლოს სიყვარულით იყო შთაგონებული.

„საქმე ის კი არაა, პატარა კაცი იყო და დიდ სამშობლოს ეძებდე, საქმე ის არის დიდი კაცი იყო და პატარა სამშობლო გიყვარდეს“ — წერდა ალექსანდრე ცაგარელი.

ალ. ცაგარელი დაიბადა 1844 წლის 27 ნოემბერს კასპში, ღარიბი მღვდლის ანტონ ცაგარელის ოჯახში. წერა-კითხვა ოჯახში შეისწავლა, ბავშვობიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა ჰუმანიტარული დისციპლინებისადმი.

1859 წელს ალექსანდრე შეიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში. ნიჭიერი ჭაბუკი ადვილად ითვისებდა საგნებს, დაინტერესებული იყო ქართული მწერლობის და ისტორიის შესწავლით. (სხვათა შორის, სემინარიაში მას ასწავლიდა ცნობილი ქართველი მწერალი, „სურამის ციხის“ ავტორი დანიელ ჭონქაძე). 1865 წელს სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში.

1867 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ალ. ცაგარელი თავის მეგობარ დავით სარაჯიშვილთან ერთად პეტერბურგს გაემგზავრა. იგი შედის ჯერ პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში მოეწყო, საიდანაც მალე გადავიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ალექსანდრემ ვერ აიტანა პეტერბურგის მძიმე პავა და იძულებული გახდა სწავლა გაეგრძელებინა საზღვარგარეთ, გერმანიაში, ჯერ მიუნპენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ფილოლოგიურ განყოფილებაზე, მერე კი ქალაქ ტიუბინგენის უნივერსიტეტში, სადაც ეუფლებოდა სანსკრიტულსა და შედარებით ენათმეცნიერებას, აქვე სწავლობდა იგი არაბულსა და სპარსულს, ადგენდა სომხურ-ინგლისურ, ინგლისურ-არაბულ და თურქულ-რუსულ მოკლე ლექსიკონებს. ცოდნის სრულყოფის მიზნით ცოტა ხანი მან ავსტრიაშიც დაჰყო და პეტერბურგში დაბრუნდა. აქ ალ. ცაგარელმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წარუდგინა საკანდიდატო ნაშრომი „ამორძალები ისტორიასა და პოეზიაში“, რისთვისაც მიენიჭა კანდიდატის ხარისხი ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით.

1871 წლიდან ალექსანდრე ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო და განაგებდა ქართული ენის კათედრას. 1874-75 წლებში იგი აქვე კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიაში, 1886 წლიდან კი ამავე უნივერსიტეტის პროფესორი და პირველი ქართველი დოქტორი გახდა ენათმეცნიერების დარგში. მალე მას მიენიჭა ორდინალური პროფესორის წოდება და მივლინებულ იქნა საზღვარგარეთ. რამდენიმე თვის განმავლობაში იგი არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა თურქეთში, საბერძნეთში, პალესტინაში, ეგვიპტესა და სინაიში. იმავდროულად იგი ქართული ხელნაწერებით, რომლებსაც მოიძიებდა და ეცნობოდა რომის, ვენეციის, ლონდონისა და კრაკოვის არქივებში.

ალექსანდრე ცაგარელი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან აქვეყნებდა სამეცნიერო წერილებს ქართული მწერლობის საკითხებზე როგორც ქართულ, ასევე რუსულ პრესაში.

1870 წელს გაზეთ „დროებაში“ ცაგარელმა გამოაქვეყნა წერილების ციკლი „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“. მან არქივებში გამოავლინა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა ამსახველი მასალები, აგრეთვე და-

იწყო ქართულ ხელნაწერთა მოძიება, აღწერა და შესწავლა. ამისათვის ალ. ცაგარელმა საგანგებოდ შემოიარა მთელი საქართველო. 1883 წელს იგი ეწვია პალესტინის, ათონის მთის, სინის მთის ქართული კულტურის კერებს და მიღებული კვლევის შედეგები სამ ნაწილად გამოაქვეყნა 1880-94 წლებში რუსულ ენაზე სათაურით „ცნობები საქართველოს მწიგნობრობის ძეგლებზე".

1888 წელს გამოიცა მისი „ქართველ სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწასა და სინაზე".

ალექსანდრე ცაგარელის მიერ წარმოდგენილი მასალა თითქმის უცნობი იყო მკვლევართათვის. მისი მეშვეობით გაეცნო მკითხველი პირველად X საუკუნის ჰიმნოგრაფის იოანე-ზოსიმეს თხზულებას „ქებაი ქართულისა ენისაი". პირველად ალ. ცაგარელმა აღწერა 864 წლით დათარიღებული უძველესი ქართული ხელნაწერი ე.წ. სინური მრავალთავი.

დიდი მამულიშვილი და თავისი ქვეყნის პატრიოტი ამ მასალის შესწავლით მიზნად ისახავდა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ევროპულ დონეზე აყვანას. მისმა შრომებმა და გამოკვლევებმა ევროპელებს დაანახა ძველი ქართული კულტურისა და მწიგნობრობის მნიშვნელობა ევროპის კულტურულ ისტორიაში.

ალექსანდრე ცაგარელის ნაშრომთა დიდი ნაწილი ქართული ენათმეცნიერების დარგს განეკუთვნება, რომელიც მის მიერ მეცნიერულ საფუძველზე იყო დამყარებული. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართველურ ენათა შედარებით შესწავლას. ალ. ცაგარელი იცავდა კავკასიური ენების მიმართ ადრე გამოთქმულ დებულებას, რომ ეს ენები არ ენათესავებიან არც ერთ ცნობილ ენათა ოჯახს. იგი აკრიტიკებდა თეორიებს, რომლებიც ქართულ ენას აკუთვნებდნენ ინდოევროპულ და ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახებს. მანვე გამოაქვეყნა ქართულისა და ქართველური ენების შესახებ შესწავლის ვრცელი ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა.

მისი ინიციატივით 1901 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ცალკე გამოიყო ქართული სიტყვიერების კათედრა. ალ. ცაგარელმა სამჯერ სპეციალურად შემოიარა სამეგრელო, შეისწავლა მეგრული ენა და დაწერა კაპიტალური გამოკვლევა „მეგრული ენის ფონეტიკა". მისი ნაშრომებიდან ასევე აღსანიშნავია „კავკასიური ენების იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილ-

ცა“, „ქართული დამწერლობის ისტორიული ძეგლები“, „ქართული ენის ნათესაობა ინდო-ევროპულ და თურქულ ენებთან“, „მეთვრამეტე საუკუნის სიგელები და სხვა ისტორიული დოკუმენტები საქართველოს შესახებ“, „მეთვრამეტე საუკუნეში ქართველი მეფეებისა და მთავრების მიმოწერა რუსეთის ხელმწიფეებთან“ და მრავალი სხვა.

ალექსანდრე ცაგარელის სახელი, როგორც ერუდირებული მეცნიერისა, ფართოდაა ცნობილი ევროპაში. მისი ბიოგრაფია შესულია გერმანულ ენაზე შედგენილი ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ კრებულში. იგი იყო მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრი როგორც რუსეთში, ასევე შვეიცარიაში, ნორვეგიაში, იტალიაში, საფრანგეთში. მისი ნაშრომების დიდი ნაწილი ითარგმნა ევროპულ ენებზე.

როგორც კი სამშობლოს დასჭირდა, დიდმა მეცნიერმა დაუყოვნებლივ მოაშურა საქართველოს და საპატიო მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში და ქართული სამეცნიერო კადრების აღზრდაში. უნივერსიტეტს უანდერძა მან თავისი მდიდარი ბიბლიოთეკაც.

ალექსანდრე ცაგარელი თერგდალეულებთან ერთად აქტიური მონაწილე იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. იგი ილიას გვერდით იბრძოდა კატკოვის ცილისმწამებლური გამოსვლების წინააღმდეგ. აქტიურად უჭერდა მხარს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის დაწყებულ ბრძოლას (კრებული „სტატიები და შენიშვნები ქართული საეკლესიო საკითხისათვის“, რუსულ ენაზე, პეტერბურგი, 1912), მანვე 1878 წელს რუსულ ენაზე თარგმნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“.

ევროპული მასშტაბის დიდ ქართველ მეცნიერს 1922 წელს საქართველომ სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის იუბილე გადაუხადა. ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით იგი აყვანილ იქნა მუდმივ სახელმწიფო კმაყოფაზე — დაენიშნა პენსია და მომვლელი. მისი ღვაწლი ასახულია აკაკი შანიძის ნაშრომში „პროფესორი ალ. ცაგარელი“.

ალექსანდრე ცაგარელი გარდაიცვალა 1929 წელს თბილისში. იგი დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში ვაჟა-ფშაველას გვერდით.

ალექსანდრე ყაზბეგი

ბრწყინვალე ქართველი მწერალი და პუბლიცისტი ალექსანდრე ყაზბეგი თაერგდალელულთა ტრადიციების გამგრძელებელი დიდი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე იყო. ამ უნიჭიერესმა და საოცრად ნაიელმა პიროვნებამ მეტად რთული და კონტრასტული ცხოვრების გზა განვლო და ტრაგიკულადაც აღესრულა, ძაგრამ საშშიბლოს, თავისი შემოქმედების სახით, დიდი განძი დაუტოვა.

ალექსანდრე ყაზბეგი დაიბადა 1848 წლის 8(20) იანვარს სტეფანწმინდაში ხევის ზვიადი მებატონისა და ძმართველის მიხეილ ჩოფიკაშვილისა (ყაზბეგის) და ელისაბედ თარხნიშვილის ოჯახში. იგი ეკუთვნოდა მაშინდელ უმაღლეს არისტოკრატიულ წრეს. დედის მხრიდან გიორგი სააკაძისა და მეფე ერეკლე II-ის სისხლი ერია ძარღვებში. ეშობლები ფუფუნებაში ზრდიდნენ და ანებივრებდნენ. მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა გაშზრდელმა ძიძამ ნინომ.

ალ. ყაზბეგის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „მე ვარ აღზრდილი ხალხში, შობილი იქ, სადაც ყმა და მონობა ძველთაგანვე სამარცხვინოდ ყოფილა, სადაც სიტყვას „ბატონ-ყმობა“

ადგილი არასოდეს ჰქონია და სადაც კაცს პატივისცემა მხოლოდ პირადის ღირსებით შესძლებია. დიახ, ჩემო მკითხველო! იქ გავჩნდი, ამ ხალხში აღვიზარდე, აქვე ვსწოვდი მთიელის დედაკაცის რძეს, რომელიც მთლად იყო შემდგარი მთის დიდებულებით აღსავსე ბუნების ნაწილებისაგან... ვიზრდებოდი მათ შორის და სანეტარო ნიავთან ერთად, სმენასა მწვდებოდა ნანა ჩემის მშობლისა, რომელიც იძახდა: ვინც თვისას ვერ თვისობს, გამზრდელის რძე ცხვირიდან წამოუვაო. და შემდეგ, თუმცა ყოველმა შემთხვევამ, ავიღოთ თუნდა თბილისის ესრეთ წოდებული მოწინავე-მოთავე ხალხში ტრიალმა, ვერ დაიმორჩილა ჩემი შემადგენელი ნაწილები, ვერ შეიპყრო და ვერ გარყვნა მათი ძალა და დღემდის ჩემის სისხლის შემადგენელნი არიან მთის ნაკადულში შერეული რკინა და კლდეთა შორის ნაჩეჩქვი წვეთები. მათგან აღზრდილი, დღემდის თეთრსა ჰხადის თეთრად და შავსა შავად, თვისას ჰგრძნობს თვისად და უცხოს უცხოდ“

მშობლებმა სახლში მიიწვიეს მასწავლებლები სანდროს აღსაზრდელად, მერე კი ტფილისში წამოიყვანეს და 1859 წელს ჯერ პაკეს პანსიონში მიაბარეს, ხოლო 1862 წელს — კანონიჩის პანსიონში. 1863 წელს იგი შევიდა ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც მშობლების კაპრიზის გამო მიატოვა და სტეფანწმინდაში დაბრუნდა.

1865 წელს სანდროს მამა გარდაიცვალა. გენერლის შვილმა ზიზღით უარყო სამხედრო კარიერის პერსპექტივა და სრულიად გამოუცდელმა და უატესტატომ, მოსკოვში სასწავლებლად წასვლა გადაწყვიტა, მას საკუთარი თავიც უნდოდა გამოეცადა და ცოდნის შეძენასაც ელტვოდა.

1867 წელს იგი მოსკოვში გაემგზავრა და სამეურნეო აკადემიაში დაიწყო სწავლა. ამ ქალაქში ყოფნის პერიოდი საკმაოდ რთული და ძნელი აღმოჩნდა სანდროსათვის. იგი სერიოზულად მოეკიდა სწავლას, ბევრს მეცადინეობდა, მაგრამ მატერიალურად ძალიან უჭირდა, რაც ხელ-ფეხს უბორკავდა ჭაბუკს. აქვე გამოსცადა რომანტიკოსმა ახალგზარდამ სიყვარულის ცაებ-ცხელება. სამწუხაროდ, მისი რომანი ნინა ჩერნიშოვა-კრუგლოვასთან მარცხით დასრულდა. რაც სანდრომ ძალიან მტკივნეულად განიცადა. ალბათ, ესეც გახდა

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მან მოსკოვიდან შინ დაბრუნებისთანავე მწყემსობა დაიწყო (ეიდრე ა. ყაზბეგი მოსკოვს იმყოფებოდა, მათმა სიძემ, ავანტიურისტმა ფურმანმა ერთ დროს შეძლებული ოჯახი თითქმის სულ გააჩანაგა. სანდრომ მანამდე გაუგონარი რამ ჩაიდინა — მან მთელი თავისი მიწები და ქონება გლეხებს დაურიგა, თავისთვის კი თითქმის აღარაფერი დაიტოვა).

მოგვიანებით ალ. ყაზბეგი წერდა: „მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემს თავზე გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს“.

ამას სამოქალაქო სიმამაცე და გმირობა ჰქვია. აქამდე მსგავსი რამ არც ერთ ქართველ მოღვაწეს არ გაუკეთებია. ალექსანდრე ყაზბეგი ამიტომაც იყო გამორჩეული პიროვნება. იგი 7 წლის განმავლობაში მეცხვარის რთული ცხოვრებით ცხოვრობდა — სციოდა, შიოდა, წყუროდა, მაგრამ არ დაუჩიენია. ღამღამობით კარტოფილის სანთლის შუქზე წერდა.

მეცხვარეებთან გატარებულმა წლებმა უდიდესი როლი ითამაშეს ყაზბეგის, როგორც რეალისტი მწერლის ჩამოყალიბებაზე. ყოველივე ეს თავადაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული: „ეს წუთები იყო წმინდა, პატიოსანი, რომელსაც კაცი, ისიც ზოგიერთი, ერთხელ შეხვდება ცხოვრებაში და ეს სანატრელი წუთები აღარ განმეორდება“. ცხვარში გატარებულმა წლებმა მოგვიანებით ასახვა ჰპოვა მის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ნამწყემსარის მოგონებანი“(1883 წ.).

1879 წლიდან ალ. ყაზბეგი საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მწერლობა. თავიდან დრამატურგიაში სცადა ბედი, მსახიობობაც დაიწყო და ამ საქმემ მეტად გაიტაცა და მაშინაც კი ვერ შეელია, როცა დიდ ბელეტრისტად აღიარეს. მას ეკუთვნის ორიგინალური პიესები — „ერთი უბედურთაგანი“ — 1879 წ. (დაიდგა 1880 წ.), „არსენა“ (დაიდგა 1882 წ.), „წამება ქეთევან დედოფლისა“ (დაიწერა 1883 წ., დაიდგა 1889წ.), გადმოკეთებული პიესები „დილა ქორწილის შემდეგ (1882 წ.), „ცხოვრების თანამგზავრი“ (დაიწერა 1879 წ., დაიდგა 1883 წ. და ა.შ.).

1880 წლიდან ყაზბეგი მთელი არსებით გადაეშვა ქართულ მწერლობაში და ზედიზედ გამოაქვეყნა ორიგინალური მოთხრობები და რომანები. პირველი მოთხრობა „ციცკა“ მან 1880 წელს დაწერა.

თავის ნაწარმოებებს აქვეყნებდა გაზეთ „დროებაში“ და ჟურნალ „ივერიაში“, ი. ჭავჭავაძესთან.

ტრიუმფი დაიწყო 1881 წლიდან, როცა „დროებაში“ გამოაქვეყნა თავისი „ელგუჯა“. მან ქართველ მკითხველს სრულიად ახალი სამყარო გადაუშალა ხევში მცხოვრები პატრიოტი და ვაჟკაცი ხალხის სახით.

ყაზბეგმა „ელგუჯა“ გამოაქვეყნა „მოჩხუბარიძის“ ფსევდონიმით. მისმა ამ რომანმა ყველა, მათ შორის, ქართველი მწერლებიც აღტაცებაში მოიყვანა. გრიგოლ ორბელიანმა სანდროს ქართველთა „ომირუსი“ (ჰომეროსი) უწოდა და ოსტატობა შეუქო; ასევე მოიქცა ილია ჭავჭავაძეც. ქართველობა ანკარა წყაროსავით დაეწაფა ყაზბეგის ნაწარმოებებს და სულმოუთქმელად კითხულობდა.

საქართველოში კაცი რომ წარმატებას მიაღწევს, მაშინვე უამრავ მტერსაც გაიჩენს ხოლმე. სანდროსაც, ამ უკეთილშობილეს პიროვნებას, რომელიც არავისთვის არაფერს იშურებდა, მტრები და მეშურნენი გაუჩნდა, რომლებიც უამრავ უზნეობას ჩადიოდნენ და ჩირქს სცხებდნენ მის ვაჟკაცურ სახელს. მათი ასეთი საქციელი სამარცხვინო ლაქად დარჩება ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის სახელზე. უფრო ხშირად უერცელებდნენ ჭორებს, რომ ამ ნაწარმოებთა ავტორი არ შეიძლებოდა ყოფილიყო სანდრო — ეს დარდიმანდი მსახიობი და ხანჯლებით მოცეკვავე, ყოფილი მწყემსი.

1880-85 წლები უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა ყაზბეგისათვის — როგორც მწერლისათვის. 1882 წელს გამოქვეყნდა მისი „ელისო“ და „მამის მკვლელი“ (რომელზეც ილიას სარეცენზიო წერილიც დაუწერია), 1883 წელს — „ციკო“, 1884 წელს — „განკიცხული“, „ხევისბერი გოჩა“, 1885 წელს — „მოძღვარი“. ამის მერე მნიშვნელოვანი აღარაფერი შეუქმნია.

1886 წლიდან ალ. ყაზბეგს საგრძნობლად შეერყა ჯანმრთელობა. მძიმე ცხოვრებამ, არაადამიანურმა, დაძაბულმა შრომამ,

გაჭირვებამ, ინტრიგებმა, გატეხა და გაანადგურა ეს ერთ დროს ლომივით კაცი. იგი გახდა, ბეჭებში მოიხარა, სიტყვაძვირი და უხალისო შეიქნა, ტანჯვა დაეუფლა მის სულს და გამოხვრა დაუწყო. მუშაობასაც ველარ ახერხებდა, იწყებდა წერას და ველარ ამთავრებდა, დახეული ჩოხა-ახალუხით ქალაქში უგზო-უკვლოდ დადიოდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა... ღამის გასათევიც კი აღარ ებადა. თითქმის ყველა განუდგა, პირს და თვალს არიდებდნენ, თითო-ოროლა კაცის გარდა. 1890 წელს ტფილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს. მალე ცნობიერებაც წაერთვა — ვეღარავის ცნობდა, სიძემაც — ფურმანმა — ხელი პკრა, აღარ პატრონობდა. 1893 წლის დეკემბერში ეს დიდებული, მრავალტანჯული ქართველი კაცი ტფილისში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების ამბავი სწრაფად გავრცელდა, ისევ გაახსენდათ! დიდი ზარზეიმით გამოემშვიდობნენ და სტეფანწმინდას წაასვენეს. იქვე დაკრძალეს კიდეც (ალბათ, თბილისში მისი დაკრძალვა ზედმეტად მიიჩნიეს!).

„ორჯერ დაბადებულს ერთი სიკვდილი ვერას უზამს, ყაზბეგი კი მეორედ მაშინ დაიბადა, როცა თავისი დიდებული კალამი შესძღვნა თავის ქვეყანას“ — ასე გამოემშვიდობა „ივერია“ მწერალს.

ალ. ყაზბეგის ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულია მხატვრული ფილმები: „ხევსიბერი გოჩა“, „ელისო“, „მამის მკვლელი“. მან სულ 45 წელი იცოცხლა, მაგრამ ღრმა კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის და ხალხის ცხოვრებაში თავისი უაღრესად თვითმყოფადი და ორიგინალური შემოქმედებით.

სწორად აღნიშნავს თეიმურაზ მაღლაფერიძე, რომ ქართულ ლიტერატურაში არ არსებობს შემოქმედი, რომელსაც ყაზბეგზე მეტი ტრაგიზმითა და მაღალმხატვრულობით გამოეხატოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული დიდი უბედურება. ეროვნული თავისუფლების იდეა ყაზბეგს ლამის რელიგიის დონემდე ჰყავდა აყვანილი და, როცა ამ საკითხებზე მსჯელობდა, თითქოს გააფთრებულ ლომს ემსგავსებოდა. მისი მხატვრული რადიკალიზმი მწვერვალია ეროვნულ-განმათავისუფლებელ თემაზე შექმნილი ლიტერატურისა. იგი თერგდალეულთა ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელი იყო. ყაზბეგმა რეალისტური ხედვით

და დიდი მხატვრული ოსტატობით წარმოგვიდგინა ქართველი ადამიანის ცხოვრება, მთის ხალხის ტრადიციები, ადათ-წესები, პიროვნებისა და თემის საუკუნეობით შემუშავებული უფლება-მოვალეობანი: სამშობლოსათვის თავგანწირვა, ძმური თანადგომა, პიროვნების პატივისცემა, ძალმომრეობის წინააღმდეგ ვაჟკაცური დაპირისპირება, ქალის მანდილის სიწმინდის დაცვა. მისი შემოქმედება ემყარებოდა ხალხურ ეპოსს, მთაში გაბნეულ ლეგენდებს, თქმულებებს, ნამდვილ ამბებს. იგი გულისტკივილით აღწერდა არა მარტო ქართველთა, არამედ სხვა ჩაგრული ერების ყოფასაც („ელისო“).

ყაზბეგის ნაწარმოებთა სიუჟეტი ყოველთვის დინამიკურია, კონფლიქტების ხასიათი, წინააღმდეგობათა განვითარება და კულმინაცია — მეტად ეფექტურია, რის გამოც მისი თხზულებები მძაფრი ინტერესით იკითხება. უთანასწორო ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ხშირად ყაზბეგის გმირების დამარცხებით მთავრდება. მაგრამ ისინი იღუპებიან ვაჟკაცურად, თავს დებენ სამშობლოს, სიკეთისა და ადამიანურ ღირსებათა დაცვის სამსხვერპლოზე. დაღუპული გმირები ტოვებენ ნათელ კვალს, რომელიც ამაღლებულ, პეროიკულ-ოპტიმისტურ ჟღერადობას სძენს ნაწარმოებს, ამასთან, მწერალი დაურიდებლად ააშკარავებს მეფის რუსეთის ძალადობას.

ალექსანდრე ყაზბეგმა ვაჟა-ფშაველასთან ერთად ახალ ქართულ მწერლობაში დაამკვიდრა მთის თემა, შექმნა მთის განუმეორებელი პეიზაჟები, რომანტიკულად ამაღლებულ გმირთა სახეები, დაგვიხატა წინააღმდეგობებით აღსავსე თანამედროვეობა და იქადაგა სამშობლოს მიწიერების შენარჩუნება-დაცვის პატრიოტული იდეები. სამშობლოს თავგანწირული სიყვარულია ასევე ყაზბეგის წარსულის ამსახველი თხზულებების მთავარი თემა („ხევისბერი გოჩა“, „წამება ქეთევან დედოფლისა“). მას ეკუთვნის მრავალი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილი, დაუმთავრებელი მოთხრობები („ცხოვრების ჩარხი“, „შიოლა ღუდუშაური“), ლექსები და პოემები. ყაზბეგმა XIX საუკუნის ქართულ მწერლობას მასშტაბურობა შესძინა და ახალი წახნაგებით გაამდიდრა იგი.

დავით სარაჯიშვილი

ცნობილი ქართველი ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე, დიდი ქველმოქმედი და პატრიოტი დავით სარაჯიშვილი დაიბადა 1848 წლის 28 ოქტომბერს თბილისში. მამა — ზაქარია სარაჯიშვილი ცნობილი კომერსანტი იყო. პატარა დავითი საშინაო განათლების მიღების შემდეგ თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში შეიყვანეს, რომელიც 1866 წელს დაამთავრა.

ამავე წელს იგი მიემგზავრება რუსეთში და სწავლას აგრძელებს პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. მალე იგი გერმანიაში მიდის და ერთი წელი სწავლობს მიუნჰენის უნივერსიტეტში, შემდეგ კი სწავლას განაგრძობს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, რომელსაც ამთავრებს 1871 წელს და ღებულობს ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს.

სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა ამითაც არ კმაყოფილდება და 1872-78 წლებში ჰოიენჰაიმისა და ჰალეს უნივერსიტეტებში ეუფლება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას. მოწადინებულ ჭაბუკს ოჯახიც ხელს უწყობდა და 1878 წელს დავითი საფრანგეთში მიემგზავრება მევენახეობისა და მეღვინეობის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შესასწავლად.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ დავით სარაჯიშვილი 1880

წელს ქორწინდება ეკატერინე ფორაქიშვილზე, რომელიც სიკვდილამდე მისი ერთგული თანამეცხედრე და თანამოაზრე იყო.

საფრანგეთში ყოფნისას სარაჯიშვილი დაინტერესდა კონიაკის წარმოებით, რომელიც შედარებით ახალი დარგი იყო მეღვინეობაში. იქ შეძენილმა გამოცდილებამ და ქართული რეალობის ცოდნამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური გარემო და ვაზის მრავალი ჯიში კარგ პირობებს შექმნიდა კონიაკის წარმოებისათვის.

1885 წელს დავითი თბილისში აშენებს კონიაკის ცენტრალურ საწყობს, სადაც ხდებოდა საკონიაკე სპირტის დაძველება. ამ დროისათვის რუსეთის სამრეწველო ბაზარზე ბატონობდა უცხოური, ძირითადად ფრანგული კონიაკი, ამიტომ ადგილობრივი პროდუქცია ვერ უძლებდა საქვეყნოდ ცნობილი კონიაკების კონკურენციას და მათი წარმოება ან კოტრდებოდა, ან ჩერდებოდა.

1888 წელს თბილისში შეიქმნა სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანა, რომელშიც სამამულო ნედლეულის ბაზაზე მუშაობდა შეეიცარიული სპირტსახდელი აპარატი, იმავე წელს დავითის ინიციატივით მწყობრში ღგება ლიქიორის ქარხანაც.

1889 წელს სარაჯიშვილის ხელმძღვანელობით ყიზლარში ამუშავდა კონიაკის სპირტსახდელი ქარხანა, სადაც ყოველწლიურად 100-150 ათასი დეკალიტრი კონიაკის სპირტი იხდებოდა. შემდეგ მწყობრში ჩადგა მოლდავეთისა და აზერბაიჯანის კონიაკის სპირტსახდელი ქარხნები. სამარკო კონიაკის დასამზადებლად სპირტი ძირითადად შემოპქონდათ საფრანგეთიდან, ხოლო პროდუქცია გამოდიოდა კავკასიის ნატურალური კონიაკების სახელწოდებით.

1895 წლიდან დავით სარაჯიშვილის 1, 2, 3, 4 ვარსკვლავიანი „რუსული კონიაკი" დიდი წარმატებით სარგებლობდა მოსკოვში, პეტერბურგში და რუსეთის დიდ ქალაქებში და უცხოურზე იაფიც ღირდა.

1898 წლიდან სარაჯიშვილს ნება დართეს 50-მდე დასახელების ალკოჰოლური სასმელი — კონიაკი, არაყი, რომი, ლიქიორი და სხვ. გაეტანა რუსეთის ბაზრებზე, მისი კონკურენტებიდან სოლომონოვსა და ხუბლაროვს აეკრძალათ პროდუქციის ბაზარზე გატანა დაბალი ხარისხის გამო.

სარაჯიშვილის ქარხნები აღჭურვილი იყო იმ დროის საუკეთესო ტექნოლოგიით, ყოველწლიურად უმჯობესდებოდა წარმოების ორგანიზაცია და ტექნიკა, იზრდებოდა პროდუქციის რაოდენობა.

თუ 1891 წელს სარაჯიშვილის ფირმის მიერ გამოშვებული იყო 107 ათასი ბოთლი კონიაკი, 1900 წლისათვის ის გაორმაგდა და 218 ათას ბოთლს მიაღწია. პროდუქციის ნაწილი იგზავნებოდა საზღვარგარეთაც: პარიზში, ლონდონში, ბერლინში, ვენაში, ჟენევაში, თავრიზში, სტამბულში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, სადაც იგი კონკურენტუნარიანობით გამოირჩეოდა.

დავით სარაჯიშვილის ფირმა აერთიანებდა 5 სარექტიფიკაციო, 1 არყის, 1 ლიქიორისა და 7 კონიაკის ქარხანას, აგრეთვე მრავალ საწყობს თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში და იმპერიის სხვა ქალაქებში.

1889-1913 წლებში სარაჯიშვილის ფირმის კონიაკმა (განსაკუთრებით პოპულარულმა „ძალიან ძველმა") და ლიქიორმა რუსეთისა და საერთაშორისო დეგუსტაციებსა და გამოფენებზე მიიღო 9 ოქროს, 5 ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი თბილისში, ნიჟნინოვგოროდში, ოდესაში, კიევში, პარიზში, პეტერბურგსა და ჩიკაგოში.

1902 წელს სპირტიანი სასმელების წარმოების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის დავით სარაჯიშვილს მიანიჭეს „კომერციის მრჩევლის" წოდება, 1913 წლიდან კი მის ფირმას მიენიჭა ოფიციალური სახელწოდება: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ოჯახის მიმწოდებელი".

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ სარაჯიშვილის ფირმა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა — შეწყდა პროდუქციის გაგზავნა რუსეთში.

1920 წელს სარაჯიშვილის ფირმა დროებით დაიხურა. რამდენიმე წლის შემდეგ მის ბაზაზე შეიქმნა თბილისის კონიაკის ქარხანა, რომელიც დღესაც წარმატებით მუშაობს.

დავით სარაჯიშვილმა ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში მოიხვეჭა დიდი სახელი და სიყვარული. ის იყო ევროპული მასშტაბის ქართველი მეწარმე და მოაზროვნე.

მან გაუკვალავ გზაზე იარა და საქართველოსა და მთელი რუსე-

თის მასშტაბით შექმნა კონიაკის, ლიქიორისა და არყის თანამედროვე წარმოება.

საქართველოს ეროვნული მთავრობის (1918-21წ.წ.) თავმჯდომარე ნოე ჟორდანია თავის მოგონებებში ხაზგასმით აღნიშნავდა დავით სარაჯიშვილზე, რომ „ის იყო პირველი ქართველი მრეწველი ევროპული ტიპისა. ერთხელ მან მითხრა: ძნელია ჩვენში ეკონომიურად წინ წაწევა, როგორც კი ერთი ცოტაოდენ ქონებას შეიძენს, ასი მშიერი უკან დასდევს და სანამ არ გახრავენ თავს არ დაანებებენო. ასეთ პირობებში მართლაც დიდი პრაქტიკული ნიჭია საჭირო, რომ ამ შემოსეულ ხროვას გაუძლო და შეძლება გონიერად მოიხმარო. დავითი რომ წმინდა ქართველი მრეწველი ყოფილიყო, კაი ხანია ქართველურად დაამთავრებდა — მისი შეძლებისაგან არაფერი დარჩებოდა. მხოლოდ ევროპიელ კაცს შეეძლო ყველა მადლიერი ჰყოლოდა და თანაც შეძლება არ გაეფლანგა. შეაერთეთ ქართული გულკეთილობა და პურ-მარილი ევროპულ საქმიანობასთან და მიიღებთ დ. სარაჯიშვილს. ამ პიროვნებაში სამაგალითოდ შეზავდა საქები ქართველობა და საქები ევროპიელობა. და მე მგონია ქართველის გაევროპელება სწორედ ამ გზით უნდა მოხდეს. როცა თითოეული ჩვენგანი ისწავლის ევროპიულ მუშაობას, ევროპიულ საქმიანობას — და თან ნაციონალურ ხასიათს არ დავკარგავთ — ჩვენი გაევროპიელება ფაქტი იქნება. დ. სარაჯიშვილი ქართველი ევროპიელი იყო“.

დავით სარაჯიშვილმა თავი დაამახსოვრა ყველას არა მარტო თავისი დიდი წარმოებით და ქონებით, არამედ დიდი პატრიოტობით და ქველმოქმედებით. მისი ფინანსური დახმარებით ედგა სული ბევრ ეროვნულ დაწესებულებას, მაგ: „ქართველი გლეხობის აღმდგენელ კომიტეტს“, სამუსიკო სასწავლებელს და სხვ.

დავითი მატერიალურად გვერდში ედგა ილია ჭავჭავაძეს და მის გუნდს ყველა დიდი ეროვნული საქმის დაგვირგვინებაში, განსაკუთრებით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

დ. სარაჯიშვილი იყო „მფარველი ანგელოზი“ ყველა ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდისა, რომელთაც სწავლის დიდი სურვილი და შრომისმოყვარეობა ჰქონდათ. თავად მას შვილი არა ჰყავდა, მაგ-

რამ ხშირად ამბობდა თურმე ეს დიდი კაცი, რომ „რას მიქვიან უშვილობა, განა ყველა ბავშვი მომავლის იმედად აღსაზრდელი, ქვეყნის საკეთილდღეოდ განსაწრთვნელი ჩემი შვილები არ არიანო".

მან დააარსა სპეციალური კომიტეტი, რომელიც ავლენდა ნიჭიერ ახალგაზრდობას და მათ ყოველმხრივ უმართავდა ხელს რუსეთსა თუ საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად. მისი სტიპენდიანტები იყვნენ: კომპოზიტორები: ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი, მხატვრები: მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, გრიგოლ მესხი, მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, პროფესორები ფილიპე გოგიჩაიშვილი, სოლომონ ჩოლოყაშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე და სხვ.

დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1911 წელს. მის სიკვდილს გულწრფელად გლოვობდა მთელი ქართველი საზოგადოება. გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა, რომელიც ყველა ქართველის სახელით გამოეშვიდობა დიდ მამულიშვილს. დაკრძალეს იგი დიდუბის პანთეონში.

დავით სარაჯიშვილმა ანდერძით დაუტოვა მთელი თავისი ქონება საქართველოს შემდეგ ეროვნულ დაწესებულებებს:

1. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას — 300 ათასი მანეთი შემდეგი პირობით: ამ ფულის ნახევარი უნდა მოხმარდეს ქართული ეროვნული მუზეუმის აგებას, მეორე ნახევარი კი სტუდენტთა სტიპენდიებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, რუსეთში თუ საზღვარგარეთ. თვით ეს თანხა უნდა იყოს ხელუხლებელი, სტიპენდიებისათვის კი უნდა იხარჯებოდეს მარტო სარგებელი.

2. გარდაცვალების შემდეგ 3 წლის განმავლობაში უნდა ეძლეოდეს ყოველწლიური შემწეობა ყველა იმ სკოლას, რომლებსაც ეძლეოდათ მანამდე.

3. თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიას, სადაც მან სწავლა დაამთავრა — 10 ათასი მანეთი.

4. თბილისის მართლმადიდებელთა სემინარიას — 5 ათასი მანეთი.

განსვენებულს გამოუცხადებია სურვილი, რომ მისი სახლი სერგიევის ქუჩაზე (ამჟამად ივ. მაჩაბლის ქუჩა, მწერალთა კავშირის შენობა), სადაც ის მუდამ ცხოვრობდა, გადაეცეს ქალაქის თვითმმართველობას თავისი მშვენიერი მოწყობილობით იმ პირობით, რომ ამ სახლში ქალაქმა მოაწყოს ან სამხატვრო გალერეა ანდა შინამრეწველობისა და ხელოვნების მუზეუმი, ანდა ორივე დაწესებულება ერთად. ადგილი და სახლი შეფასებულია 300 ათას მანეთად, მოწყობილობა კი 100 ათასზე მეტად.

თავისი ქარხნების მუშები და მოსამსახურეებიც არ დაივიწყა — ყველა იმ მუშასა და ოსტატს, რომლებსაც უმსახურნიათ არანაკლებ ორი წლისა და რომლებიც პატრონის გარდაცვალების დროს სამსახურში იქნებიან, მათ უანდერძა 25 ათასი მანეთი, დანარჩენ მოსამსახურეებს — 100 ათასი მანეთი...

„საუკუნოდ იყოს სახსენებელი შენი, ძმაო დათიკო რომ ვერ დაგივიწყებთ, ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ არ დაგივიწყებს შენ ჩვენი ჩამომავლობაც და ყოველი ეროვნულ საქმის დროს, შენც, როგორც თანამოაზრე, ოცნებით გვერდით ეყოლები წარმოდგენილი...“ (აკაკი წერეთელი).

დავით სარაჯიშვილის მიერ დაწყებული ქართული ბიზნესის დაფუძნების საქმე წარმატებით გააგრძელეს აკაკი ხოშტარიამ და მიტროფანე ლაღიძემ, დღეს კი სრულიად ახალ სიმაღლეზე აჰყავთ გოგი თოფაძეს და ბიძინა ივანიშვილს.



პეტრე მელიქიშვილი

პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი იყო უდიდესი ქართველი ქიმიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი რექტორი (1918-19 წ.წ.).

იგი დაიბადა 1850 წლის 11 ივლისს თბილისში. შშობლებმა პეტრე თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში შეიყვანეს, რომელიც 1868 წელს დაამთავრა. იმავე წელს იგი ჩაირიცხა ნოვოროსიის (დღევანდელი ოდესის) უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. უნივერსიტეტის დამთავრებიდან ერთი წლის მერე, 1873 წელს, პეტრე მიემგზავრება საზღვარგარეთ, სადაც გაეცნო ლ. მაიერის და ი. ვისლიცენუსის ლაბორატორიებს.

1876 წელს მელიქიშვილმა მუშაობა დაიწყო ნოვოროსიის უნივერსიტეტის ქიმიურ ლაბორატორიაში. 1881 წელს ქიმიის მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „აკრილმჟავას ნაწარმთა შესახებ“, ხოლო 1885 წელს — სადოქტორო დისერტაცია თემაზე „იზომერული კროტონმჟავების ნაწარმთა შესახებ“ 1884 წლიდან იგი იყო ამ უნივერსიტეტის ქიმიის კათედრის დოცენტი, 1885 წლიდან კი — პროფესორი.

პეტრე მელიქიშვილმა ვასილ პეტრიაშვილთან ერთად საფუძვე-

ლი ჩაუყარა ქართულ ქიმიურ სკოლას. მან შეისწავლა ორგანულ მჟავათა ზოგიერთი წარმომადგენლისა და მათი წარმოებულების სინთეზის საკითხები, ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. ამ საკითხებზე დაწერილმა მისმა შრომებმა დიდად შეუწყო ხელი ნივთიერებათა აღნაგობის თეორიის განვითარებას, მელიქიშვილმა პირველმა მიიღო ორგანულნაერთთა კლასი, რომლებსაც გლიციდმჟავები უწოდა.

მისი გამოკვლევების მეორე დიდი ციკლი არაორგანული ქიმიის საკითხებს მოიცავს. ამ შრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზოგიერთი ელემენტის ზემჟავების სინთეზი, რომლებიც პეტრემ შექმნა თავის მოწაფე პისარჟევსკისთან ერთად (1897-1917წწ.). მელიქიშვილმა პირველმა მიიღო ამონიუმის ზეჟანგი და ნატრიუმის პერბონატი. 1899 წელს ცალკე მონოგრაფიად რუსულად გამოიცა მისი გამოკვლევები, რომელიც ეხებოდა ზემჟავებს და ზეჟანგებს.

1900 წელს მელიქიშვილსა და პისარჟევსკის დიდი სამეცნიერო დამსახურებისათვის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ლომონოსოვის სახელობის პრემია და დიდი ოქროს მედალი მიაკუთვნა.

დიმიტრი მენდელეევი მაღალ შეფასებას აძლევდა ამ შრომას და მიიჩნევდა, რომ ის განამტკიცებდა ელემენტთა პერიოდულ სისტემას.

პეტრე მელიქიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი უკავია ანალიზური ქიმიის საკითხებსაც. მან დაადგინა თვისებითი რეაქციები ნიობიუმზე, ტანტალსა და მოლიბდენზე.

პეტრე მელიქიშვილი საქართველოს ისტორიაში შეეიდა როგორც ტფილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი რექტორი.

შალვა ნუცუბიძის მოგონებით, „როდესაც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ წამოვედით საქართველოს უნიეერსიტეტის დასაარსებლად, პეტრე მელიქიშვილი უკვე საქართველოში დაგვხვდა და მაშინვე ჩაება იმ ფერხულში, რომელიც დაუკავშირდა უნიეერსიტეტის გახსნის საკითხს. როდესაც დადგა საკითხი რექტორის არჩევისა, თვითონ ივანე ჯავახიშვილმა დაასახელა მელიქიშვილი. პეტრე მელიქიშვილმა განაცხადა: „მე, ორიოდე დღის წინ აქ მოსული კაცი ავდგე და თქვენს მიერ გაკეთებულ საქმეს სათავეში ჩავუდგე, ეს ყოვლად დაუშვებელია“.

დიდხანს გაგრძელდა კამათი ამ საკითხის ირგვლივ. სხდომები იწყებოდა და იხურებოდა ამ საკითხით, მაგრამ იგი გადაუწყვეტელი რჩებოდა. ბოლოს ივანე ჯავახიშვილმა განაცხადა: „ვისაც სურს გამარჯვება საქართველოს უნივერსიტეტისა, ვისაც სურს, რომ დაინტერესდეს ფართო საზოგადოება არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთში, ვისაც სურს, რომ საქართველოს უნივერსიტეტის სახელი შარავანდედით იყო მოსილი, ის აუცილებლად უნდა მიემხროს ისეთი კაცის რექტორობას, როგორიც არის პეტრე მელიქიშვილი" (პეტრე მელიქიშვილი იყო ნოვოროსიის უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პრორექტორი, რექტორი. მთელი რუსეთი მას იცნობდა როგორც დიდ მეცნიერს, ადმინისტრატორს, კულტურულ მოღვაწეს და მისი სახელი არავითარ ყოყმანს არ იწვევდა).

ამრიგად, იგი გახდა პირველი რექტორი ახალდაარსებული ქართული უნივერსიტეტისა. პეტრე მელიქიშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართული ქიმიური ტერმინოლოგიის საქმეს. მისი ინიციატივით უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა 4 ქიმიურ ლაბორატორიას, შეიქმნა არაორგანული, ორგანული და აგროქიმიის კათედრები. პეტრე მელიქიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის — წიაღისეულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესწავლას.

1918-27 წლებში პეტრე მელიქიშვილი უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრის გამგე იყო, 1921 წლის 30 ივლისს კი უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს.

შ. ნუცუბიძის თქმით, „უნივერსიტეტი იზრდებოდა ჩვენს თვალწინ, როგორც მეცნიერული ორგანიზმი, ბარტყებივით იზრდებოდნენ მის მიერ შექმნილი სხვა სამეცნიერო დაწესებულებები და ინსტიტუტები. ერთი ასეთი იყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. მელიქიშვილს ძალიან უნდოდა სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით ემოღვაწა, მაგრამ დიდხანს არ დასცალდა მას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მუშაობა. ახალი წიგნის გაჭრის დროს დანა გამოიყენა და თითი გაიჭრა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. საქმე ისაა, რომ იგი შაქრიანი დიაბეტით იყო დაავადებული და ამიტომ უბრალო ჭრილობა მალე განგრენაში გადაიზარდა. მას ხელი მოჰკვეთეს, მაგრამ ამანაც ვეღარ უშველა.

გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, 1927 წელს პეტრე

მელიქიშვილი აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. იგი დაკრძალეს 1927 წლის 23 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში (დამაარსებელთა ხეივანი მისი ინიციატივით გაიხსნა უნივერსიტეტის ეზოში).

პეტრე მელიქიშვილმა ღრმა კვალი დატოვა ქართული უნივერსიტეტის და მეცნიერების ისტორიაში. მან განამტკიცა ქართველ ქიმიკოსთა საერთაშორისო ავტორიტეტი, აღამაღლა უნივერსიტეტის სახელი. მას ბრწყინვალე გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა მას შალვა ნუცუბიძემ: „...შენ გვიანდერძე სხივოსანი სიტყვები: ერთგულება, სიყვარული, პატივისცემა — აი, რას მოითხოვს მეცნიერება. ჩვენი ვალია ამ ანდერძის განუხრელი შესრულება.

მეგობარო! მახსოვს შენი სიტყვები: ისე შევეჩვიე უნივერსიტეტს, თავი რომ მომჭრან, ფეხები მაინც იქ მიმიყვანენო და აი, აღსრულდა შენი სიტყვები. დღეს მიგიყვანენ შენს საყვარელ უნივერსიტეტში, რომელიც მშობლიურის სიყვარულით ჩაგიკრავს მკერდში".

პეტრე მელიქიშვილი იყო უაღრესად ნიჭიერი, განათლებული, კეთილშობილი და ამაგდარი ადამიანი. ის იყო ქართული მეცნიერების და უნივერსიტეტის დროშა. მის პატიოსნებაზე, წესიერებაზე და პრინციპულობაზე ლეგენდები დადიოდა. იყო თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, თავდადებული და, ამავე დროს, უაღრესად თავმდაბალი ადამიანი.

ერთხელ მისთვის უკითხავთ, რა არის გენიალობაო? მას კი უპასუხია: „გენიალობა არის შალვა ნუცუბიძის ნიჭი და ჩემი შრომისმოყვარეობაო".

პეტრე მელიქიშვილმა დატოვა უამრავი მიწაფე როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში, უკრაინასა და ევროპაში (აკადემიკოსები ზელინსკი, კოვალევსკი, ფერსმანი, როზენტალი, პარიზში პასტერის ინსტიტუტში ბეზრედკო და სხვ.).

ქართული მეცნიერების პირველ ქურუმს ქართველობამ დიდი სიყვარული და პატივისცემა მიაგო. დაიდგა მისი ბიუსტი უნივერსიტეტის ბაღში, დააარსა მისი სახელობის პრემიები მეცნიერებათა აკადემიასა და უნივერსიტეტში, მისი სახელი ეწოდა ინსტიტუტს, ქუჩას, სკოლას...

ივანე მაჩაბელი

ივანე მაჩაბელმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, ბევრი ძალზე სასარგებლო საქმის გაკეთება მოასწრო საქართველოსთვის — იგი იყო სახელგანთქმული საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი და პუბლიცისტი. ამასთან, ი. მაჩაბელი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელიც გახლდათ.

ი. მაჩაბელი დაიბადა 1854 წლის 28 იანვარს ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენში. მისი მამა გიორგი მაჩაბელთა ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, თუმცა იმ დროისათვის საკმაოდ გაღარიბებული.

პატარა ვანომ პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. იგი საფუძვლიანად გაეცნო ქართულ ფოლკლორსა და კლასიკურ მწერლობას.

1863 წლიდან ვანო თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ქართული ენა იდევნებოდა რუსი მოხელეების მიერ, ცნობილი მწერალი და პედაგოგი პეტრე უმიკაშვილი მოსწავლეებს, მათ შორის ვანო მაჩაბელს, უღვივებდა ქართული კულტურისა და მწერლობის, ისტორიის სიყვარულს,

აგროვებინებდა მათ ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, აკარჯიშებდა მხატვრულ თარგმანში. ჩვენამდე მოაღწია ვანო მაჩაბლის გიმნაზიაში სწავლის დროს შესრულებულმა თარგმანმა ანტიკური ლიტერატურიდან, რომელიც საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული.

1870 წელს ვანო მაჩაბელი წარჩინებით ამთავრებს გიმნაზიას.

1871-1874 წლებში იგი სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. აქ ვანო დაუახლოვდა დემოკრატიულად და პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდებს, რამაც დიდი როლი ითამაშა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. პეტერბურგში ი. მაჩაბელმა საფუძვლიანად შეისწავლა უცხო ენები, განსაკუთრებით — ინგლისური ენა. იგი იყო პეტერბურგის დრამატული წრის ერთ-ერთი დამაარსებელი, ქართველ „სამოციანელთა" წარმომადგენელი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი. 1873 წელს ვანო მაჩაბელი გაეცნო და დაუახლოვდა ქართული სათავადაზნაურო ბანკის საქმეებზე პეტერბურგში ჩასულ ილია ჭავჭავაძეს. 1874 წელს მათ ერთობლივად თარგმნეს შექსპირის „მეფე ლირი", რამაც ქართველი საზოგადოებრიობის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ივანე მაჩაბელი არ დაკმაყოფილდა მიღებული განათლებით და ცოდნის გასაღრმავებლად უცხოეთს გაემგზავრა. 1874-77 წლებში იგი სწავლობდა ჯერ გერმანიაში, ჰოპენჰაიმის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. მერე კი პარიზის სორბონის უნიეერსიტეტში.

1879 წელს ი. მაჩაბელი საქართველოში ბრუნდება და ძალზე ნაყოფიერ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას იწყებს. ამ დროიდან ქართულ პრესაში იბეჭდებოდა მისი ლექსები, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები და თარგმანები.

ვანო აქტიური მონაწილე იყო ყველა იმ საზოგადოებრივი წამოწყებისა, რომელსაც ილია ხელმძღვანელობდა — იქნებოდა ეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", ქართული დრამატული საზოგადოება, სასკოლო კომიტეტი თუ სათავადაზნაურო ბანკი, „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისია და სხვ.

ვანო მაჩაბლის რექტორობით 1888 წელს გამოვიდა რუსთვე-

ლის „ვეფხისტყაოსანი“ მან უდიდესი დახმარება აღმოუჩინა პოემის ილუსტრატორს, ცნობილ უნგრელ მხატვარს მიხაი ზიჩის, ვეფხისტყაოსნის ინგლისურად მთარგმნელს მარჯორი უორდროპს და პოემის სხვა უცხოელ მთარგმნელებს.

საინტერესოა ისიც, რომ ი. მაჩაბელმა რუსი კომპოზიტორის თხოვნით დაწერა ლიბრეტო ოპერისათვის „ვეფხისტყაოსანი“.

1879 წლიდან ვანო ი. ჭავჭავაძის „ივერიის“ აქტიური თანამშრომელი იყო. შემდეგ ილიამ მას რედაქტორობაც ანდო (1882-83 წ.წ.). მისი პუბლიცისტური წერილები თეატრის, ლიტერატურისა და ხელოვნების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, სოფლის მეურნეობის, ბუნების დაცვისა და სხვა აქტიურ საკითხებზე გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით და მკაფიო ეროვნული პოზიციით. 1883-1885 წლებში ივანე მაჩაბელი რედაქტორობდა გაზეთ „დროებას“, სადაც ასევე აქვეყნებდა წერილებს პრობლემატურ საკითხებზე.

ვანო მაჩაბელს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული თეატრის რეპერტუარის გამდიდრებაში. მისი თარგმნილია მოლიერის „ეჭვით ავადმყოფი“, სხვადასხვა ენებიდან გადმოთარგმნა პიესები „ადვოკატი მელაძე“, „ფრუ-ფრუ ანუ ცქრიალა საძაგელი“, „ორ ცეცხლ შუა“ და სხვ.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი მისი მოღვაწეობიდან, ეს იყო გენიალური უილიამ შექსპირის ტრაგედიების კონგენიალური თარგმანების შექმნა, რამაც ივანე მაჩაბელს ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ეს ახალი სიტყვა და საფეხური იყო ქართულ მხატვრულ-მთარგმნელობით ლიტერატურაში. ვანო მაჩაბლის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“ (1886), „ოტელო“ (1888), „მაკბეტი“ (1892), „რიჩარდ III“ (1893), „იულიუს კეისარი“ (1896), „ანტონიოს და კლეოპატრა“ (1898) და „კორიოლანოსი“ (1898) გამოირჩევა ორიგინალთან სიახლოვით, შექსპირის მხატვრული ენისა და დიალოგის ვირტუოზული გადმოცემით, აზრის სინათლითა და დინამიკურობით, დედნის პროზის ლაკონურობის შენარჩუნებითა და შექსპირისეული თეთრი ლექსის ოსტატური გადმოღებით.

ქართული საზოგადოების ისტორიაში მეტად საინტერესო

ეპიზოდია ე.წ. „ბანკობიადა“, ანუ ილია ჭავჭავაძისა და ვანო მაჩაბლის დაპირისპირება ბანკის საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი ერთგულად ეწეოდა ეროვნულ ჭაპანს, იყვნენ თანამოაზრენი და დიდი მამულიშვილები, მაგრამ ერთმანეთს ყველაფერში მაინც არ ეთანხმებოდნენ.

თავის მოგონებებში („რაც გამახსენდა“) შალვა დადიანი საინტერესოდ გადმოგვცემს მათი დაპირისპირების ერთ-ერთ ეპიზოდს: „მაჩაბელი ფიცხი ორატორი იყო, ტემპერამენტიანი, სწრაფი მოლაპარაკე. გამიგონია, ფრანგი საზოგადო მოღვაწე გამბეტა, ერთ წუთში რამდენიმე ასეულ სიტყვას წარმოსთქვამდა, მაგრამ ისე მკაფიოდ, რომ ყველასთვის გასაგები იყოო. მე მგონი ასეთი იყო მაჩაბელიც. ილია კი პირიქით: აუჩქარებელი, დინჯი, ტემპერამენტი თითქმის სულ არ ეტყობოდა, თუმცა შინაგან აუცილებლად ბობოქარი, თითქოს მტკვარსავით მდორედ, მაგრამ მძლავრად, წამლეკავად მიმდინარე.

დაუვიწყარია ჩემთვის მაჩაბლის მაშინდელი პირველი გამოსვლა ილიას წინააღმდეგ: სახე — გაფითრებული, მღელვარე ხმით იწყებს იგი, რომ იძულებულია გამოვიდეს იმ კაცის წინააღმდეგ, რომელსაც მთელი საქართველო აფასებს და რომელსაც, როგორც უებრო მწერალს, თვით იგი თაყვანს სცემს, შემდეგ კი გადადის ბანკის საქმეებზე და მოჰყავს საბუთები ილიას თითქოს სიზარმაცისა, დაუდევრობისა, განსაკუთრებით „კონვერსიის“ საქმეში. მე ამ „კონვერსიის“, საბანკო ოპერაციებისა და ბალანსის ვერა გავიგე რა, მაგრამ ჩემი ჭაბუკური გული დაატყვევა მაჩაბელმა. ეს დამმართა უფრო მისმა წინასიტყვაობამ, რადგან ვიწამე მისი გულწრფელობა.

მაგრამ აგერ გამობრძანდა ილია. საოცარია!

ხუმრობს, თითქოს არაფერი საბუთი. ხალხი ხარხარებს, მაგრამ თანდათან გრძნობთ, რა გამანადგურებელია ეს ხუმრობა.

სხვათა შორის, ილია ამბობს: ჩვენ ასეთი დამფასებელიცა გვყავს, რომელიც მამულის შესაფასებლად ასეთ ცნობებს გვაძლევდა: ამა და ამ ალაგას ერთი შენობა დგას, რომელსაც ოთხი კედელი აქვს და ოთხივე ერთიმეორეს შეპყურებხო.

ხარხარი.

თურმე ეს დამფასებელი ერთ დროს ვანო მაჩაბელი ყოფილა,

ილიას თქმით; თუმცა, ცხადია, ეფექტისათვის იყო ეს დახასიათება ილიას მიერ მოყვანილი.

ანდა თავის სიზარმაცეზე, სამსახურში გვიან მოდისო, რომ ამტყუნებდნენ:

— ზოგი კაცი შეიძლება გვიანაც მოვიდეს და მხოლოდ ერთი საათი დაჰყოს სამსახურში, სამაგიეროდ იმდენი შეიძლება გააკეთოს, რასაც მეორე მთელი ერთი კვირის განმავლობაში ვერ გააკეთებს, რაგინდ ადრეც მოდიოდეს სამსახურში და სულ შიგაც ტრიალებდესო. დაახლოებით ასე, ახლა ილიამ მომხიბლა საერთოდ მთელი თავისი ნათქვამებით ამ კრებაზე, თავისი შეუვალი ლოგიკით და გამანადგურებელი ჰუმორით.

და ასე მერყეობდა ჩემი სიმპატია ამ ორ კაცს შუა და განა მარტო ჩემი, გამოუცდელის, ახლადშეღერებული ჭაბუკის, არამედ ბევრად ჩემზე გამოცდილებისა, თან დიდად სწყინდათ, რომ ილიასა და მაჩაბელს შორის ასეთი დავა ატყდა და თანდათან მწვავე ხასიათს იღებდა“.

1898 წლის 26 ივნისი საბედისწერო აღმოჩნდა ივანე მაჩაბლისათვის — ყოველთვის მხნე და შემართებული ახალგაზრდა (44 წლის) კაცი, რომელიც ჭკუითა და გონებით გამოირჩეოდა, ამ დღეს, მორალურად და ფიზიკურად გატეხილი, დილით გავიდა სახლიდან და მას მერე აღარავის უნახავს. ი. მაჩაბლის დაკარგვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში, დაირხა ჭორები, თითქოს იგი დუხობორებს გაჰყვა ამერიკაში. იმასაც ამბობდნენ, რომ მაჩაბელი მისმა ულამაზესმა ცოლმა, საყვარლის დახმარებით მოკლა და საკირეში დაწვა. სინამდვილეში კი რა მოხდა, დღესაც არავინ იცის.

ძალზე სამწუხაროა, რომ ისეთი მამულიშვილი და ქვეყნის მოამაგე, როგორიც იყო ივანე მაჩაბელი, საქართველომ ასე უგზოუკვლოდ დაკარგა და მადლიერ შთამომავლობას მისი საფლავიც არ დარჩა პატივის მისაგებად.

ვასო აბაშიძე

ვასო აბაშიძის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული თეატრის აღორძინებასთან. იგი იყო ქართული რეალისტური სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ნიშანსვეტი.

ვასო აბაშიძე დაიბადა 1854 წლის 22 ნოემბერს დუშეთში. მისი შობლები ალექსი აბაშიძე და ანასტასია შიტკოვსკაია (უკრაინელი ქალბატონი, რომელიც ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ ენას) 1858 წელს თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად.

პატარა ვასო შეიყვანეს თბილისის გიმნაზიაში, სადაც იგი დაუმეგობრდა შემდგომ რუსეთში ცნობილ თეატრალურ მოღვაწეებსა და რეჟისორებს ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინსა და ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს. 1869 წელს ვასოს მამა სამსახურებრივი მოვალეობის გამო გადაიყვანეს ქუთაისში. მან ოჯახიც თან წაიყვანა. ვასომ სწავლა განაგრძო ქუთაისის გიმნაზიაში, რომელიც 1872 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა. ამავე წელს მან მუშაობა დაიწყო ქუთაისის კათოლიკეთა სასწავლებელში მასწავლებლად, სადაც 1877 წლამდე მუშაობდა. 1877-79 წლებში ვასო ასევე მასწავლებლად მუშაობდა შუშასა და ყაზახში (აზერბაიჯანს ეკუთვნის).

თეატრი ვ. აბაშიძეს ბავშვობიდანვე იზიდავდა და მონაწილეობდა კიდეც საოჯახო წარმოდგენებში ზემოთ მოხსენიებულ პირებთან ერთად, შემდეგ კი ქუთაისის სცენისმოყვარეთა სპექტაკლებშიც იყო ჩართული.

ვასო აბაშიძე სცენაზე პირველად 1872 წელს გამოვიდა, ხოლო როგორც პროფესიონალმა მსახიობმა 1877 წელს ითამაშა გაბრიელ სუნდუკიანის „ხათაბალაში“.

1879 წელს ილიას, აკაკის და კოტე მესხის დიდი მეცადინეობით კვლავ აღდგა მუდმივი ქართული თეატრი, 1881 წელს კი დაარსდა ქართული დრამატული საზოგადოება. ამის შემდეგ ვასო აბაშიძე პროფესიონალი მსახიობი გახდა და თავის მეუღლესთან — მაკო საფაროვასა და ქალიშვილთან ტასო აბაშიძესთან — ამ შესანიშნავ მსახიობებთან ერთად უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული თეატრის განვითარებაში.

ვასო აბაშიძეს ესთეტიკური მრწამსი ის იყო, რომ „სცენა სარკეა ცხოვრებისა და ამიტომ უმთავრესი კანონი, რომელზედაც დამყარებულია ხელოვნება, არის სინამდვილე, ჭეშმარიტება“. ამ პრინციპს იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იცავდა.

ვ. აბაშიძე თერგდალეულთა იდეალების გამზიარებელი და მათი მრწამსის მიმდევარი იყო. მისი აზრით, მსახიობი მოწინავე საზოგადოებრივი იდეების გამომხატველი უნდა ყოფილიყო, თეატრს კი რეალიზმისა და „განცდის ხელოვნების“ გზით უნდა ევლო. ამ საკითხზე მან გაზეთ „ივერიაში“ სტატიაც კი გამოაქვეყნა სათაურით „მოკლე ცნობები დრამატული ხელოვნების შესახებ“ (გაზეთი „ივერია“, თბ., 1894, №171-172). განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ვასო აბაშიძემ კომედიური როლების შესრულებით. „სიცილის ჯადოქრის“ შემოქმედება ყველას ხიბლავდა. დიდი ილია პირდაპირ წერდა, რომ აბაშიძემ „დაჰღალა მაყურებელი სიცილით. არ გაგონილა ამისთანა კომიკი, როგორც ბატონი აბაშიძეა, როცა თავის როლშია და გუნებაზედაც არის. ნამდვილი არტისტია... ყოველს მოქმედ პირს, თუკი მისი შესაფერისი როლისაა, იგი განსახოვნებს ხოლმე და „ტიპად“ გადააქცევს... უყურებთ ბ-ნ აბაშიძეს სცენაზედ და ჰფიქრობთ, რა ვქნა, ამისთანა კაცი სადღაც მინახავსო და არ მაგონდება კი, სადა და ვინ არისო“.

1885 წელს ვასო აბაშიძემ დააარსა გაზეთი „თეატრი“ მანვე შეადგინა და გამოსცა პიესათა და საესტრადო მასალათა კრებულები („ჩანგი“, თბ., 1888, 1892; ოზურგეთი, 1892; ფოთი, 1893, ბათუმი, 1900). ასევე მისი დაარსებულია ჟურნალი „პანთეონი“.

ვასო აბაშიძემ, ამ დიდად ნიჭიერმა და მრავალფეროვანმა ქართველმა, დრამატურგიაშიც სცადა ბედი და სათანადო კვალიც დატოვა. მან ქართულ თეატრს დაუტოვა 40-მდე ორიგინალური, ნათარგმნი და გადმოკეთებული დრამატული ნაწარმოები, ეოდევილი, ოპერეტა და პიესა. ვასო აბაშიძემ, როგორც რეჟისორმა, ქართულ სცენაზე დადგა შექსპირის „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“, „ვენეციელი ვაჭარი“, დავით ერისთავის „სამშობლო“ (რომელიც უკეთილშობილეს და ამაღლებულ პატრიოტულ გრძნობებს აღვივებდა ქართველ მაყურებელში და საზოგადოებაში), ა. ცაგარელის „ხანუმა“ და სხვ.

ვასო აბაშიძე ასევე გადაიღეს კინოფილმში „ხანუმა“. სულ სცენაზე დიდმა მსახიობმა 400-მდე სხვადასხვა როლი განასახიერა.

მას სიცოცხლეში 3-ჯერ გადაუხადეს იუბილე. 1922 წლის 15 იანვარს მას, პირველს, მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება და აყვანილ იქნა სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე.

უდიდესი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე ვასო აბაშიძე გარდაიცვალა 1926 წლის 9 ოქტომბერს. მისმა სიკვდილმა უდიდესი გულისტკივილი გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. შალვა დადიანმა აღნიშნა კიდეც, რომ ამ დღეს „დაიკეცა დიდი წიგნი მეცხრამეტე საუკუნის ქართული თეატრისა“.

ქართველობამ თავისი უსაყვარლესი ხელოვანის ნეშტი მთაწმინდის წმინდა მიწას მიაბარა დიდი მამულიშვილების გვერდით.

ვასო აბაშიძემ ქართული თეატრის სცენაზე შექმნა მრავალი კოლორიტული და დაუვიწყარი სახე. იგი გაბედულად ამხელდა ადამიანთა მანკიერ მხარეებს, შთააგონებდა ქართველობას ეროვნული სულისკვეთებით. მისი ნათამაშევი როლებიდან აღსანიშნავია: კუმუხტოვი, ტრატოვი, დაბაღოვი (გ. ერისთავის „დავა“, „გაყრა“, „ძუნწი“), გეურქა (ანტონოვის „ზზის დაბნელება საქართველოში“), ავეტიკა, აკოფა, მაზუთიანი, გასპარა, ოსეფა, გრიქულა (ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ხანუმა“,

„ციმბირელი“, „ბაიყუში“, „მათიკო“, „ჭკუისა მჭირს“), საქო (გედევანიშვილის „მსხვერპლი“), ზიმზიმოვი, ისაია (სუნდუკიანის „პეპო“, „ხათაბალა“), ბესო (სუმბათაშვილის „ღალატი“), გრუშნევსკი (რამიშვილის „მეზობლები“).

კლასიკური რეპერტუარიდან ვასო აბაშიძემ ოსტატურად განასახიერა ფამუსოვის (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“), ხლესტაკოვის, გოროდნიჩის (გოგოლის „რევიზორი“), ბელგუბოვის, შმაგას (ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“, „უდანაშაულო დამნაშავენი“), სკაპენისა და ორგონის (მოლიერის „სკაპენის ოინები“, „ტარტიუფი“), ფიგაროს (ბომარშეს „სევილიელი დალაქი“) როლები.

ვ. აბაშიძე ასევე დიდი წარმატებით მონაწილეობდა ოპერეტებში: ლეკოკის „რაინდი უშიშარი და გულმართალი“ (ლარგი), ჰაჯიბეკოვის „არშინ-მალ-ალან“ (ასკარი) და სხვა.

ცნობილმა ქართველმა პოეტმა შალვა ამირეჯიბმა 1922 წელს გამოსცა წიგნი „ვასილ აბაშიძე“, რომელშიც იგი ასე აფასებდა მსახიობს: „აბაშიძის ცხოველმა ნიჭმა უცბად იჩინა თავი. ეს იყო კომიკური ნიჭი, დიდი და მრავალფეროვანი. მასზე შეიძლება ითქვას, რომ ის ერთი დღეც არ ყოფილა სცენის მოყვარე და, ლეგენდარული მოვლენის მსგავსად, უცბად, უცბად გახდა ბუმბერაზი. მას დიდი დამსახურება მიუძღვის არა მარტო ქართული თეატრის, არამედ ქართული ლიტერატურის წინაშეც, რადგანაც თუ არ მისი ნიჭი, თუ არ მისი თამაში, რომელიც ყველამ მის მიერ ნათამაშევ ქართულ პიესაში მსახიობის ერთობას ჰქმნიდა.... გიორგი ერისთავი მან განმარტა იმავე გენიალობით, როგორც ბორბეჯმა შექსპირი“...

ქართული თეატრის ეს ლეგენდა ცხოვრებაში ფრიად თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანი ყოფილა, იგი თურმე მუდამ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. როცა 25 წლის იუბილეს უხდიდნენ, საყვარელი მსახიობისთვის საზეიმოდ მორთული ლანდო მიუყვანიათ, მაგრამ ვასო უკანა კარით გასულა სახლიდან, ფეხით უვლია და ასევე უკანა კარით შესულა თეატრში. როცა იუბილეს ორგანიზატორებმა მას უსაყვედურეს — ხალხი გელოდებოდა ქუჩაში, ლანდოც გამოგიგზავნეთ და შენ კი ჩუმად შემოიპარე თე-

ატრშიო, ვასოს უთქვამს: — თუ ჩემს იუბილეს მართავთ, მე აქ გახლავართო, თან სიცილით დაუმატებია, — თუ ცხენების დღესასწაულია, უჩემოდაც შეგიძლიათ გამართოთო.

ვასო აბაშიძე ქართული თეატრის სცენაზე ისეთ კაშკაშა ვარსკვლავად ამობრწყინდა, რომ მისი სხივი კიდევ დიდხანს გაუნათებს გზას ხელოვნების ამ დარგის მიმდევართ. მისი სახელი აქვს მინიჭებული თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრს, რომელშიც არაერთხელ გაფურჩქნულა ქართული გენი და ნიჭი!

კირიონ II

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე და მეცნიერი კირიონ მეორე (ერისკაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი) დაიბადა 1855 წლის 10 ნოემბერს გორის რაიონის სოფ. ქვემო ნიქოზში. იგი ბავშვობიდანვე ყოფილა გატაცებული რელიგიით.

1876 წელს კირიონმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. იმავე წელს მან სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1880 წელს წარმატებით დაასრულა.

1880 წლიდან იგი ინიშნება ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 წელს კირიონი საქართველოში ბრუნდება და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა გორის, ქუთაისის და თბილისის სასულიერო სასწავლებლებში.

1896 წელს კირიონს დიდი უბედურება დაატყდა თავს — გარდაეცვალა მეუღლე და შვილები. იგი ბერად აღიკვეცა და ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი გახდა.

1898 წელს კირიონი აკურთხეს ალავერდის ეპისკოპოსად, ხოლო 1901 წელს — გორის ეპისკოპოსად.

დიდი პატრიოტი და მამულიშვილი ახალგაზრდობიდანვე უან-

გაროდ ჩადგა ერის სამსახურში. იგი აქტიურად იბრძოდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად, რის გამოც რუსი სასულიერო და საერო ხელისუფალნი სასტიკად დევნიდნენ და ავიწროვებდნენ. 1902 წელს კირიონი გადაიყვანეს კამენეც-პოდოლსკში, 1903 წელს კი — კოვნოში. 1908 წელს მას ჩამოართვეს ეპარქია და გაგზავნეს ჯერ კურიაჟში, შემდეგ კი — სანაქსარის მონასტერში და თითქმის შინაპატიმრობაში ამყოფებდნენ.

1912 წელს კირიონი ხერსონში გადაიყვანეს. 1915 წელს მას დაუბრუნეს ეპარქიის მართვის უფლება და ჩააბარეს ვიტებსკის ეპარქია. ვიდრე კირიონი რუსეთში იმყოფებოდა, საქართველოში მოვლენები სწრაფად განვითარდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთში გზა გაუხსნა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებს. 1917 წლის 8 მარტს დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძესთან შეიკრიბნენ ნ. ჟორდანია (შემდეგში დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე), ალ. ლომთათიძე, ს. მერკვილაძე და ეპისკოპოსი ანტონ გიორგაძე. ნოე ჟორდანიამ მოუწოდა სასულიერო პირებს, დაეჩქარებინათ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. შეკრებაზე მიიღეს ისტორიული გადაწყვეტილება, რომ 12 (25) მარტს გამოეცხადებინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, რაც ზუსტად განხორციელდა კიდეც. დამთავრდა საქართველოს ეკლესიის 106 წლიანი (1811-1917წ.წ.) საეკლესიო მონობა და ტყვეობა, რუსეთის სინოდის მიერ დანიშნულ ეგზარქოსთა თვითნებობა და ქართული ეკლესიის ნგრევა, ძარცვა და დამცირება. მცხეთაში გამართულმა საეკლესიო კრებამ ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად დროებით, კათოლიკოსის არჩევამდე ეკლესიის გამგედ დანიშნა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე).

შეიქმნა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა ეპისკოპოს ლეონიდეს ხელმძღვანელობით.

ქართველ მორწმუნეთა ჯგუფი ქრისტეფორე კაპანაძის მეთაურობით რუსეთში ჩავიდა, ინახულა კირიონი და მოუწოდა სამშობლოში დაბრუნება: „კირიონმა ყურადღებისათვის მადლობა გადაიხადა, მაგრამ მტკიცე უარი შემოთვალა კათოლიკოს-პატრიარქის

არჩევნებში მონაწილეობაზე. ლეონიდი და მისი მომხრენი მოსვენებას არ მომცემენო“ (ს. ვარდოსანიძე).

ქართველი საზოგადოების დაჟინებული მოთხოვნით კირიონი მაინც დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება საეკლესიო კრების მოსამზადებელ საქმიანობაში.

1917 წლის 8 სექტემბერს თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში გაიხსნა საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც 430-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. 17 სექტემბერს კრებას უნდა აერჩია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. გამოიკვეთა ორი კანდიდატურა — ეპისკოპოსი ლეონიდი და ეპისკოპოსი კირიონი. 11 ხმის უპირატესობით გაიმარჯვა ღირსეულმა პიროვნებამ კირიონმა, რომელიც გახდა აღდგენილი დამოუკიდებელი საქართველოს ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II. მისი აღსაყდრება შედგა 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის ტაძარში.

კირიონმა მთელი რიგი რეფორმები ჩაატარა ქართულ ეკლესიაში, შეიქმნა საკათოლიკოსო საბჭო, გახსნა 13 ახალი ეპარქია, დაიწყო ჟურნალ „სვეტიცხოველის“ გამოცემა, მოწესრიგდა საეკლესიო ცხოვრება. კირიონმა ქართული ეკლესია დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ჩააყენა ერის სამსახურში. დაგეგმილი ჰქონდა ბევრი ეროვნული მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტა, მაგრამ დიდ მამულიშვილს არ დასცალდა: — 1918 წლის 27 ივნისს იგი მიგზავნილი მკვლელის ტყვიით განგმირული იპოვეს მარტყოფში, საკუთარ საწოლ ოთახში. ამ ბოროტ საქმეში, როგორც ჩანდა, ზოგიერთი ქართველი სამღვდელო პირიც იყო გარეული, მაგრამ სრულყოფილი გამოძიება არ ჩატარებულა და ყველაფერი დავიწყებას მისცეს. სამარცხვინო მკვლელობის საქმე ჩაიფარცხა.

უწმინდესი და უნეტარესი კირიონ მეორე დაკრძალეს 1918 წლის 7 ივლისს სიონის საპატრიარქო ტაძარში. მისმა სიკვდილმა ფრიად დაამწუხრა მთელი საქართველო. განმეორდა ილია ჭავჭავაძის მუხანათური მკვლელობის მსგავსი ტრაგედია.

კირიონ მეორემ წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არა მარტო როგორც ერის სულიერმა მოძღვარმა, არამედ როგორც მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემაც.

კირიონი ავტორია ისტორიული, არქეოლოგიური და ფილო-

ლოგიური ხასიათის მრავალი გამოკვლევისა. მისი, როგორც ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის, პირველი ნათლობა შედგა გაზეთების „ივერიისა“ და „დროების“ ფურცლებზე, სადაც იგი „ნიქოზელის“, „ივერიელის“ და „საძაგელოვის“ ფსევდონიმებით ბეჭდავდა წერილებს. კირიონი თანამშრომლობდა მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებასთან და მათი თხოვნით დაწერა ნაშრომი ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლების შესახებ. კირიონის ღვაწლი ქართულ ისტორიოგრაფიაში ძალიან მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია მისი ნაშრომები: „წმინდა მოციქულთა სწორი ნინო ქართველთა განმანათლებლის შესახებ“, რომელშიც ნაჩვენებია წმ. ნინოს ცხოვრების გზა, მისი მისიონერული საქმიანობა საქართველოში. მან ასევე საგანგებო ნაშრომი უძღვნა პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის მოღვაწეობას.

კირიონსვე ეკუთვნის ნაშრომები „მეფე დავით აღმაშენებელი“ (ქართულ და რუსულ ენებზე), „წმ. თამარ დიდი და მისი სახელწოდება“, „ვახტანგ გორგასალი“ და სხვ. მისი აზრით, დაპყრობილ ქვეყანას მუდამ თან სდევს გადაგვარებულ ადამიანთა მხრიდან მკრეხელობა, შური, მექრთამეობა, ერთმანეთის გაუტანლობა, ღალატი და, აქედან გამომდინარე, ყოველგვარი უკანონობა, ბიწიერება, რაც აუცილებლად იწვევს კი ქვეყნის დაცემასა და დაკნინებას. ამადაც წარმოაჩენდა იგი საქართველოს დიდ მეფეთა ღვაწლს, რომელთა თავდადება მამულისათვის მაგალითის მიმცემი უნდა ყოფილიყო დამონებულ მდგომარეობაში მყოფი თავისუფლებაწართმეული ქართველი ერისათვის.

კირიონს ბრწყინვალედ ესმოდა ისტორიული წყაროების და საარქივო მასალის მნიშვნელობა ერის ისტორიის კვლევის საქმეში:„ არქივი, — მიუთითებდა იგი, — არის მართალი მატიანე მოღვაწეებზედ და მათ მოქმედებაზედ, მისი პირით ღაღადებს თვით ჭეშმარიტება... არქივის თვალით გვიცქერიან ჩვენ ჩვენი წინაპარნი და მისი შემწეობით შეგვიძლიან თვალი გადავაველოთ ჩვენ მათ მოქმედებასა და ღვაწლს“. კირიონი კარგად იცნობდა მოსკოვის, პეტერბურგის, თბილისის, კიევის, ხერსონის, ორიოლის, კოვნოს არქივებს და იქ დაცულ დოკუმენტებს. მან ძალიან მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავ-

რცელებელი საზოგადოების“ სიძველეთა მუზეუმის ისტორიული საბუთებით გამდიდრების საქმეში. იგი მიტოვებული ეკლესია-მონასტრების ნესტიანი სენაკებიდან, საოჯახო კოლექციებიდან მოპოვებულ მასალებს ყოველწლიურად უანგაროდ სწირავდა აღნიშნულ საზოგადოებას. მარტო 1891 წელს კირიონს საზოგადოებისათვის გადაუცია: მარხვანი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარისა ანდრია სალოსისა, მსოფლიო ისტორია, ხუცური ასოებით ნაწერი სადღესასწაულ ღვთისმშვენიერი თხრობით სულისა ფრიად სასარგებლო, რომელსაც ეწოდების „გვირგვინი“, ძველი საეკლესიო წიგნი ხუცურ ეტრატზე ნაწერი, აპოკრიფი ყოველად წმინდისა მარიამის სახარებისა და იოსებზე, XVIII საუკუნის ხელნაწერი ლიტურგია ოქროპირისა, რუსული ასამაღლებელი ქართული ასოებით, სხვადასხვა ხელნაწერი წიგნების ფურცლები.

კირიონი იყო ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოს საეკლესიო მუზეუმისა, რომელსაც 68 ხელნაწრი გადასცა. ამას გარდა იგი საკუთარი სახსრებით იძენდა ძველ ხელნაწერებს, რითაც დაღუპვას გადაარჩინა არაერთი ისტორიული თუ ლიტერატურული ძეგლი. კირიონმა ექვთიმე თაყაიშვილთან, თედო ჟორდანიასთან, მოსე ჯანაშვილთან და ზაქარია ჭიჭინაძესთან ერთად საპატიო წვლილი შეიტანა ქართულ სიძველეთა გადარჩენის საქმეში. იგი ითხოვდა რუსეთის სინოდისაგან ნებართვას წმ. ათონის მონასტერში გაშვებაზე, რათა დაწვრილებით შეესწავლა იქ არსებული ქართული ხელნაწერები.

კირიონმა ასევე დიდი ამაგი დასდო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, რომლის თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი იგონებდა: „ეპისკოპოსმა კირიონმა ჯერ კიდევ ექსორიაში ყოფნის დროს (1911 წ.) შემოსწირა საზოგადოებას თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნებისა, მრავალი საარქეოლოგო ნივთი, ალბომები, სურათები და დიდი ნუმიზმატიკური კოლექცია. წელიწადი არ გავიდოდა ისე, რომ რაიმე ნივთი, ხელნაწერი თუ ფული არ გამოეგზავნა ახალი საზოგადოებისათვის“. ამ საზოგადოების სახელით ე. თაყაიშვილის რედაქციით დაიბეჭდა სამი წიგნი „ძველი საქართველო“. ერთ-ერთ-

ში წარმოდგენილი იყო ქართული ლექსიკური მასალა, რომელიც შეადგინა კირიონმა.

1913 წელს ამ საზოგადოების კრებამ იგი საპატიო წევრად აირჩია. მან საისტორიო საზოგადოებას შესწირა უნიკალური, მის მიერ მიკვლეული პავლე მოციქულის ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანი, „„„კორიდეთის ოთხთავი“, „ევფხისტყაოსნის“ მანამდე უცნობი ხელნაწერი და სხვა. საბუთები.

მისი ინიციატივით პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში დაარსდა აღმოსავლურ ეკლესიათა ისტორიის კათედრა, რომელიც ქართული ეკლესიის ისტორიასაც ასწავლიდა სტუდენტებს.

ეპისკოპოს კირიონ II-ის ღვაწლით არაერთი ეკლესია-მონასტრის რესტავრაცია იქნა ჩატარებული. ამ მხრივ აღსანიშნავია ალავერდის, შუამთის, ქვათახევის, რუისის, სვეტიცხოვლის ეკლესიათა შეკეთება.

მას ეკუთვნის საოცარი სიტყვები: „ვინც სათანადოდ ვერ შეიგნებს თავის მშობლიურ სიძველეებს და სიყვარულით არ მოუფრთხილდება თავის წინაპრების კულტურულ მემკვიდრეობას, ის მათი არა ღირსეული მემკვიდრეა, შემთხვევითი რგოლია ცოცხალ არსებათა ჯაჭვში, ცუდი მეგზურია. მშობლიური სიძველის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ჩასწვდე წარსულს, გაიგო აწმყო და შეგნებულად იმუშაო მომავალი დიდი ნაციონალურ-კულტურული საქმისათვის“.

კირიონი აგროვებდა ხალხური პოეზიის ნიმუშებს, ფშავ-ხევსურეთის ხალხური პოეზიის საკითხებზე ხშირად კონსულტაციებისათვის მიმართავდა ვაჟა-ფშაველას. მისი აზრით, ლაშარის ჯვარი წარმომდგარია არა ლაშასაგან, არამედ „ლაშქრიდან“. ეს იყო ლაშარის ანუ ლაშქრის ჯვარი, რომელიც ომიანობის დროს ლაშქარის წინ მიჰქონდათ და მშვიდობიანობისას კი იმ სალოცავში ესვენა, რომელსაც ხალხი უწოდებს ლაშარის ჯვარსო.

ასევე საინტერესოა მის მიერ შედგენილი „ბრძნული აზრები“, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროს ეხებოდა. მან ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი სასკოლო პროგრამები შეადგინა კავკასიაში ქრისტიანული საზოგადოების აღმდგენელი საზოგადოების (იგი აქ ერთხანს ინსპექტორად მუშაობდა) სკოლებისათვის

და მატერიალურადაც ეხმარებოდა კახის, ქვემო ნიქოზის, ვანათის, აწეფის ხევის სკოლებს და მოსწავლეებს. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ენის კარგად ცოდნას და მის მოფრთხილებას: „დედა-ენა, — წერდა ის, — არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი, დანგრევა მისი ადვილია, აღდგენა — ფრიად ძნელი... მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზედ ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნესა და ჩვევას“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კირიონის ღვაწლი შიდა ქართლში მცხოვრები ოსების კულტურის, ხალხური სიტყვიერების, ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში. მან შეკრიბა და ჟურნალ „მწყემსში“ გამოაქვეყნა ოსური ლეგენდები, დასვა საკითხი ოსურ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღების თაობაზე.

კირიონმა გრიგოლ ყიფშიძესთან ერთად შეადგინა „ქართული სიტყვიერების თეორია“, რომელსაც განძს უწოდებდა აკაკი წერეთელი. კირიონმა უდიდესი ღვაწლი დასდო ასევე ქართული ნუმიზმატიკის (მონეტების და ფულის) შეგროვებისა და შესწავლის საქმეს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ნუმიზმატიკური კოლექციის დიდი ნაწილი მის მიერაა შეგროვებული.

იგი წინ აღუდგა სომხური ეკლესიის მიერ ქართული ეკლესიების მიტაცებას თბილისში, გორში, თელავში და დუშეთში. როცა სომხურმა გაზეთმა „ნორდარმა“ გამოაქვეყნა წერილები, სადაც ქართველები მოიხსენია უსაქმურ, მკვეხარა ხალხად, რომელიც სომეხთა მოსამსახურეებად გამოდგებიანო, ილიასთან და დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად მას საკადრისი პასუხი გასცა კირიონმა. მან შეისწავლა სომხური წყაროები და სომხების ასეთი სურათი დახატა: „ერი ზავაეი, გაუგონარი, უსამართლონი, ტრაბახანი, ზარმაცნი, მძარცველნი, მატყუარანი, ცრუმედიდურნი“.

1910 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა კირიონის უნიკალური წიგნი „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“, სადაც აურაცხელი დოკუმენტების მოშველიებით (რითაც ძალზე განცვიფრდნენ რუსები) ნაჩვენებია ის ზეგავლენა, რაც საქართველომ

მოახდინა რუსეთის კულტურის განვითარებაზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კირიონის ღვაწლი საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში. მასთან მეგობრობდა იმ დროის ყველა დიდი ქართველი ილიას მეთაურობით.

კირიონი იყო ქართველი სტუდენტების მფარველ-მეცენატი. იგი მატერიალურად ეხმარებოდა ნიჭიერ, მაგრამ ღარიბ სტუდენტებს. მისი დახმარებით 400-მა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო უმაღლესი განათლება, ამასთან უწევდა მათ სულიერ და მამობრივ მზრუნველობასაც. მანვე უდიდესი შრომა გასწია ყოფილი საეგზარქოსო სკოლების ქართული ეროვნულ ნიადაგზე გარდაქმნისათვის. 1918 წლის 26 იანვარს, უნივერსიტეტის გახსნის დღეს, აქ არსებულ ეკლესიაში წირვა-ლოცვა ჩაატარა სწორედ კირიონ მეორემ, რომელმაც წირვის შემდეგ ყველას მიულოცა ეს ისტორიული მოვლენა.

აი, როგორი კათოლიკოს-პატრიარქი მოუკლეს საქართველოს!



მიხეილ თამარაშვილი

„თუ ველარ განახე ტურფა ედემო და უცხო ცის ქვეშ ამომხდა სული, შენ დამიტირე, სიცოცხლეე ჩემო, და მიისვენე შენი ერთგული“

მ. თამარაშვილი. 1910წ.

მიხეილ თამარაშვილი იმ მცირერიცხოვან მკვლევარ-თაგანია, რომლებსაც მოღვაწეობა უხდებოდათ მუდმივი წინააღმდეგობების გადალახვის პირობებში, მაგრამ თავიანთი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, დიდი ნიჭიერების, მაღალი ზნეობისა და გაუტეხელი ნებისყოფის წყალობით მაინც ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეძლეს საკუთარი ქვეყნისა და ხალხისათვის.

მართებულად აღნიშნავდა მ. თამარაშვილის შესახებ შოთა ლომსაძე (მისი შემოქმედების მკვლევარი), რომ „მისი ძალა, უპირველს ყოვლისა, მის სიმართლესა და სულის სიწმინდეში მდგომარეობს. ამ ძალამ მოიყვანა იგი ჩვენამდე შეურცხვენელი, პირნათელი და ხელხვავიანი“

მიხეილ თამარაშვილი (ერისკაცობაში ალექსანდრე) დაიბადა 1858 წლის სექტემბერში ახალციხეში. თამარაშვილის მკვიდრი სამყოფი სამკვიდრო თავიდანვე მესხეთი იყო. ეს გვარი აქ ორნაი-

რი სახით გვხვდება: თამარაძე და თამარაშვილი. გადმოცემით, რაბათელი თამარაშვილები ჯავახეთის სოფელ თოკიდან (თამარაძეებიდან) გადმოსულან და ახალციხის ერთ-ერთ უბანში — რაბათში დასახლებულან, სადაც მისიონერ პატრებს მათთვის კათოლიკობა მიუღებინებიათ და მთელი ოჯახი სომხურ კათოლიკურ რიტზე მიუქცევიათ. სომხურ კათოლიკურ ეკლესიას თამარაშვილებისათვის გვარის შეცვლაც უცდია და საეკლესიო წიგნში ისინი ბაინდუროვებად დაუწერია. ამაზე თამარაშვილები განაწყენებულან და ეკლესიისთვის წინააღმდეგობა გაუწევიათ, რის შედეგადაც ახირებულ მოძღვრებს თავიანთ განზრახვაზე ხელი აუღიათ.

ახალციხეში გადმოსულმა თამარაშვილების ოჯახმა რუმბების მოკუპვრა-დამზადებით გაითქვა სახელი. ამავე დროს ისინი ვაჭრობდნენ, რისთვისაც ბაღდადში ჩადიოდნენ. მიხეილის მამა — პეტრეც ამ საქმიანობას მისდევდა. დედამისი გაიანე ბათმანაშეილების ქალი იყო. გამორჩეული ყოფილა თავისი გულისხმიერებით, ჭკუითა და გამჭრიახობით. კარგად ცოდნია წერა-კითხვა, კატეხიზმო, ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ და ზოგიერთი საერო თუ სასულიერო ლიტერატურა, ეს ღირსეული ქალბატონი თავის შვილებს სამშობლო ქვეყნისა და მშობლიური ენის სიყვარულსა და ერთგულებას უნერგავდა.

მიხეილის მშობლებს ათი შვილი ჰყავდათ — ორი ქალი და რვა ვაჟი. მიხეილი მეცხრე შვილი გახლდათ.

უფროს ვაჟებს პეტრემ თავისი ხელობა ასწავლა, ნიჭიერი მიხეილი კი ახალციხეში ცნობილი პატრიოტის ივანე გვარამაძისათვის („ვინმე მესხის“ ფსევდონიმით ცნობილი პიროვნება) მიუბარებია იოანე ნათლისმცემლის ე.წ. „ქვემო ეკლესიის“ სამრევლო სკოლაში. აქ პატარა მიხეილმა წერა-კითხვასთან ერთად თავისი მოძღვრისაგან „ღრუბელსავით შეისვა მამულის სიყვარული და მისთვის თავდადების აუცილებლობა“. დიდ მამულიშვილს ივანე გვარამაძეს როგორც პუბლიცისტს, ისტორიკოსს, მწერალს, პოეტს, თეოლოგსა და მოძღვარს იმ დროს რაღაც ეროვნულ-ანდამატური ძალა და შემკრელობითი უნარი ჰქონია. მისი ხმა ყველა ქართველ კათოლიკეს სწვდებოდა და ყველგან დამაკანონებელ ძალას იძენდა (შ. ლომსაძე).

გამოცდილმა ივანე გვარამაძემ მალე შენიშნა მიხეილის დიდი ტალანტი და მისწრაფება და „საგანგებო წერთნა დაუწყო მას, ვითარცა დიდი საქმისათვის მოვლენილ კაცსა". მიხეილი სასწავლებელში დიდად დაწინაურდა, წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, მაგრამ 1872 წელს 14 წლის ყმაწვილს მამა გარდაეცვალა და მისი ბედიც სხვაგვარად შეტრიალდა.

მან სკოლას თავი მიანება, ხარაზს მიებარა და ფეხსაცმელების კერვა შეისწავლა. 1874 წელს მიხეილი თავის უფროს ძმასთან (28 წლით იყო უფროსი) სოლომონთან გადავიდა ქუთაისში. ერთხანს ის ძმის დუქანში იჯდა და წუღებს კერავდა, თავისუფალ დროს კი კათოლიკეთა ეკლესიაში დადიოდა და ქართულ ასომთავრულსა და ხუცურ წერა-კითხვას სწავლობდა, ბიბლიას ჩაპკირკიტებდა.

1876 წელს ძმები ქუთაისიდან ხაშურში გადმოვიდნენ და ფეხსაცმელების სახელოსნო გახსნეს, თუმცა ხეირი ვერ ნახეს, მალე გაკორტდნენ და ახალციხეში დაბრუნდნენ. ივანე გვარამაძეს ძალიან გაუხარდა მიხეილის დაბრუნება, რომელსაც უკვე შეეძლო ძველი ქართული ძეგლების წაკითხვა.

1878 წელს გვარამაძის დაჟინებული რჩევით მიხეილი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა კონსტანტინეპოლში დიდი პატრიოტის, კათოლიკე მოძღვრის პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ სასწავლებელში. უფროსი ძმა გრიგოლი უშლიდა წასვლას და იქ ბერად აღკვეცას, მაგრამ მიხეილმა არ დაიშალა. ივ. გვარამაძის რეკომენდაციით ჩასულმა ახალგაზრდამ პეტრე ხარისჭირაშვილზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და ეკლესიის ხარჯით ჩარიცხა იგი სასწავლებელში. სწავლა მიმდინარეობდა ქართულად, საფუძვლიანად ისწავლებოდა ფრანგული და ლათინური ენები, რომელთაც მიხეილი თავისუფლად დაეუფლა სამი წლის თავაღებული მუშაობის შემდეგ.

მიხეილმა იქ ისეთი გულმოდგინება და სწავლის წყურვილი გამოამჟღავნა, რომ ქართველ კათოლიკეთა ძმობამ გადაწყვიტა იგი სასწავლებლის ხარჯით ესპანეთში გაეგზავნა კონკურსში გამარჯვებულ სხვა მოსწავლეებთან ერთად. სკოლის მასწავლებელმა იოანე გიორგაძემ მიხეილი ესპანეთში ჩაიყვანა, სასულიერო სემინარიაში ბავშვთა ჩარიცხვას დაესწრო და უკან დაბრუნდა. 1883

წელს მიხეილი სხვებთან ერთად ისევ კონსტანტინეპოლში ჩავიდა. სემინარიაგავლილი მოსწავლეები „ხმის გაღების“ უფლებით აღჭურვეს და მღვდლებად აკურთხეს. მიხეილმა ძმობას განუცხადა, რომ მიღებული განათლება არ აკმაყოფილებდა და სწავლის გაგრძელება სურდა. ხარისჭირაშვილმა მას განზრახვა მოუწონა და ძმობის ხარჯით გაისტუმრა პარიზში სწავლის გასაგრძელებლად. პარიზმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდაზე. მის მუზეუმებში, არქივებსა და წიგნსაცავებში მიიღო მან მეცნიერული კვლევა-ძიების ჩვევები და პირველი ნათლობა.

1888 წელს მიხეილ თამარაშვილი და მასთან ერთად სასწავლებლად მყოფი მერაბიშვილი, პარიზის წმინდა ლაზარეს სასულიერო სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, კვლავ კონსტანტინეპოლის ქართველთა ძმობაში მიიწვიეს. მიხეილი იქ დიდხანს აღარ გაჩერდა და საქართველოში დაბრუნდა. ამ დროს აქ რუსული რეაქცია მძვინვარებდა, ებრძოდნენ ყოველივე ქართულსა და ახშობდნენ ყოველგვარ პატრიოტულ წამოწყებას. ყოველივე ეს საკუთარ თავზე გამოსცადა თბილისში მობრუნებულმა თამარაშვილმა, რომელიც წერდა, რომ „წარსული საქართველოდგან 1879-ს მოვბრუნდი თბილისში 1888-ს იმედით და დიდის მოწადინებით, რომ მეც ჩემი შეძლებისდაგვარად მეშრომა თუ სულიერს და თუ ხორციელს საგანში, მაგრამ ქართველი კათოლიკების მტერმა არლოვსკიმ კაის თვალით ვერ შემომხედა, რადგან ჩემში შენიშნა ერთგულება და მამულის მოყვარულობა“. თბილისში ჩამოსვლისთანავე იგი ქართველ კათოლიკეთა „მიძინების ეკლესიის“ მოძღვრად იქნა განწესებული, სადაც მიხეილმა თავისებური განაწესი შემოიღო. წირვა-ლოცვის დროს ეკლესიის კათედრიდან იგი მრევლს ჩვენი ერის ისტორიის პატრიოტულ ფურცლებს ახსენებდა და სიმტკიცისა და ერთიანობისაკენ მოუწოდება. ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში მრევლმა იმატა, მოდიოდნენ მართლმადიდებლებიც და სხვებიც. წირავდა ქართულად. ეს მაშინდელ პირობებში, როცა იდევნებოდა ყოველივე მშობლიური და პატრიოტული, გმირობის ტოლფასი ქმედება იყო. ამიტომაც მას მრავალი მტერიც გაუჩნდა — დაბეზღება დაუწყეს ქართველებმა და სომხებმა, ქრთამიც მისცეს პრელატ მაქსიმე ორლოვსკის,

რომლის წარდგინებით თამარაშვილს აეკრძალა საქართველოში მღვდელმსახურება. შემდეგ კი მთავარმართებლის, დონდუკოვ-კორსაკოვის ხელის მოწერით მ. თამარაშვილს, როგორც „უცხო იდეებით" გამსჭვალულ პიროვნებას და „არაკეთილი" აზრების მქონე მოძღვარს, ნაციონალისტური პროპაგანდისათვის საქართველოდან გაძევება მიუსაჯეს. მიხეილი 1889 წლის დეკემბერში ჯერ გორში ეწვია თავის ნათესავს, ცნობილ მათემატიკოს ნიკო ჯულაბაშვილს, მერე კი ახალციხეში ჩავიდა მამისეულ სახლში, სადაც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ რამდენიმე ხანს დარჩა. აქ იგი ივანე გვარამაძის რჩევებს იღებდა. მან გადაწყვიტა იტალიაში, რომში წასვლა, მაგრამ ვიზას არ აძლევდნენ. მამის ოჯახიც უმძიმეს მდგომარეობაში დახვდა — გაჭირვებული და ვალებში ჩავარდნილი, ახალციხე თანდათან იცლებოდა ქართველებისაგან, რასაც ხელს უწყობდა რუსეთის მთავრობა, რომელიც მათ ადგილას მრავლად ასახლებდა სომხებს. 1889 წლის ბოლოს მიხეილ თამარაშვილი ყოველგვარი მოწმობების გარეშე სტამბოლს ჩავიდა და იქიდან 1890 წლის ზაფხულში რომის გზას დაადგა. მას სწავლის გაგრძელებასთან ერთად დასახული სამეცნიერო მიზნების განხორციელებაც უნდოდა.

კონსტანტინეპოლიდან კათოლიკე ეპისკოპოსის დაუკითხავად რომში წასვლამ მიხეილს ახალი მტერი გაუჩინა კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსოს სახით, რომლის ხელთ იყო აღმოსავლეთის კათოლიკეთა „სულიჭრი სადაევები".

დევნილმა მიხეილმა იმდენი მაინც მოახერხა, რომ იმავე წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები რომის სასულიერო აკადემიაში და სწავლა განაგრძო. მისი მფარველი მისივე ნიჭიერება გახდა.

მიხეილის დიდი მონდომება წარმატებით დაგვირგვინდა. 1894 წელს მან წარჩინებით დაამთავრა რომის სასულიერო აკადემია და ღვთისმეტყველების დოქტორის წოდებაც მოიპოვა.

იმ დროიდან იგი მთლიანად ჩაეფლო სამეცნიერო მუშაობაში. იგი ფრანგულ და იტალიურ პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

რეაქციონერთა წაქეზებით XIX საუკუნის 80-90-იან წლებში კათოლიკე მღვდლების ერთმა ნაწილმა გაზეთ „მშაკის" ფურც-

ლებზე წამოიწყო წერილების შეთითხნა იმის თაობაზე, თითქოს ისტორიულად არ არსებობდნენ ქართველი კათოლიკენი, თითქოს ქართული კათოლიკური მოსახლეობა მესხეთში სხვა მოდგმის იყო. 1886 წლიდან გამოვიდა მთავრობის უმაღლესი ბრძანება კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. ამ ბრძანების გატარებისათვის ახალციხის მხარეში თავგამოდებით იბრძოდნენ კათოლიკე სომეხი მღვდლები, განსაკუთრებით ვინმე ტერ-შაანოვი, რომელსაც ადგილობრივმა მოსახლეობამ უჩივლა და მისი გასახლება მოითხოვა. ქართველ კათოლიკეთა თხოვნას რომის პაპმა ლეონ XIII-მაც წაუყრუა და ქართული რიტის დამტკიცების საქმე შეაფერხა. 1893 წლიდან თბილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია სომხურ ეკლესიად გამოაცხადეს, ერთი სიტყვით, ქართველ კათოლიკებზე დაიწყო დიდი შეტევა.

რომში მყოფ მიხეილ თამარაშვილს გულს სტკენდა ქართველ კათოლიკეთა უარყოფა და დევნა, რის გამოც გადაწყვიტა მასალების შეკრება მათ მდიდარ წარსულზე, საქართველოსა და კათოლიკური სამყაროს ფართო ურთიერთობებზე. ამასთან 1892 წელს თამარაშვილს თბილისის კათოლიკურმა ეკლესიამ დაავალა ემუშავა ვატიკანის სხვადასხვა წიგნსაცავებში და შეეკრიბა თბილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ისტორიის საკითხებზე საჭირო დოკუმენტები, რაც მიხეილმა სიამოვნებით მიიღო და მუშაობას შეუდგა.

მან ჩაატარა კოლოსალური მოცულობის სამუშაო ვატიკანის, იტალიის, საფრანგეთის, თურქეთის, ალექსანდრიის, მოსკოვისა და ლონდონის არქივებში და გამოაელინა საქართველოს ისტორიის ამსახველი დიდძალი დოკუმენტური მასალა. 1898 წელს იგი ივანე გვარამაძეს რომიდან წერდა: „წიგნებს დღიდან დღეზე ვპოულობ, ძებნაზე დიდ შრომასა ვდებ, ყოველდღე ვატიკანის არქივებში მივდივარ, ვეძებ... ამისთანა წერილების საძიებელი არაფერი არ არის. ხშირად 40-60 ტომს და ათასობით ფურცლებს ვფურცლავ და ზოგჯერ სრულებით ვერაფერს ვპოულობ და ზოგჯერ უცბად და მოულოდნელად შესანიშნავსა და სასიამოვნო ქაღალდებს შევხვდები. კიდევ დრო ბევრი უნდა, რომ ამისთანა დოკუმენტები ყველა შევკრიბო“.

იგი საოცარი გულმოდგინებით მუშაობდა და მოწამებრივი მოთმინებით იტანდა მძიმე საარქივო სამუშაოს, ახალ-ახალი ცნობებით ამდიდრებდა თავისი მშობლიური ქვეყნის ისტორიას. მიხეილი ძალიან ღარიბულად ცხოვრობდა, თბილისიდან გამოგზავნილი შემწეობა არ ჰყოფნიდა და მისთვის არც მუშაობდა. ყველაფრის მიუხედავად მან უმძიმესი შრომის შედეგად შეძლო მოეპოვებინა და დაემუშავებინა საქართველო-ევროპის ურთიერთობის და კერძოდ, საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებასთან დაკავშირებული მასალები და გამოეცა ისინი. ეს არის ცნობილი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" (1902). ამ საქმეს დიდად შეეწია ცნობილი ქველმოქმედი და კომერსანტი სტეფანე ზუბალაშვილი, რომელმაც წიგნის გამოცემაზე 2000 მანეთზე მეტი დახარჯა და ამასთან, გარკვეული დახმარება გაუგზავნა მ. თამარაშვილსაც. 1904 წელს გამოქვეყნდა თამარაშვილის წერილი „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას", სადაც საკადრისი პასუხი გაეცა ისტორიის გამყალბებლებს.

1910 წელს ფრანგულ ენაზე გამოვიდა მიხეილ თამარაშვილის ფუნდამენტური ნაშრომი „საქართველოს ეკლესიის ისტორია" (რომი), რომელსაც დიდი გამოხმაურება მოპყვა ევროპის სამეცნიერო წრეებში. ამ გამოცემას ვატიკანის სპეციალური პრემია მიენიჭა.

მიხეილ თამარაშვილმა სიცილიაში აღმოაჩინა ქრისტეფორო დე კასტელის სურათების ალბომი. მას დიდი წვლილი მიუძღვის სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის შესახებ მასალების მოძიებაში — „საბას შესახებ აქ კაი ცნობები შევკრიბე. მას ორი ცოლი ჰყოლია. მეორე ცოლი კათოლიკედ მოქცეულა. საბა მეორე ცოლის სიცოცხლეშივე შემონაზვნებულა", — წერდა იგი.

მიხეილ თამარაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, მათ შორის, ვინც აზიარა ევროპელი მკითხველი საქართველოს ისტორიასა და კულტურას. მაგრამ შესანიშნავ მკვლევარს და მამულიშვილს აღარ დასცალდა ამ საქმის დამთავრება — 1911 წლის 15 სექტემბერს, იტალიაში, სოფელ მარინელასთან მიხეილ თამარაშვილი

პროფესორ ავგუსტოსთან ერთად ზღვის პირას სეირნობდა. უეცრად ზღვა აღელდა და იქიდან ვიღაცის განწირული კივილი მოისმა. მიხეილი და მისი მეგობარი ვიღაც მუშის გადასარჩენად ზღვაში შეცურდნენ, იხსნეს იგი, მაგრამ თავად ვეღარ გამოაღწიეს და წყალში დაიხრჩვნენ. ასე ვაჟკაცურად დაასრულა სიცოცხლე ამ ღვაწლმოსილმა მამულიშვილმა. მისმა დაღუპვამ უდიდესი გლოვა გამოიწვია მთელს საქართველოში. ყველა განიცდიდა და წუხდა დიდი მეცნიერისა და პატრიოტის დაკარგვას. იტალიაში მ. თამარაშვილი დიდი პატივით დაკრძალეს სოფ. ჩივიტა-ვეკიაში. მის საფლავზე აღიმართა დიდებული ძეგლი. საგულისხმოა, რომ ამ ამბის შეტყობისთანავე ლოგინად ჩავარდა და 1912 წელს გარდაიცვალა კიდეც მიხეილის დიდი მოძღვარი ივანე გვარამაძე.

1978 წლის ნოემბერში ასევე დიდი ქართველის რეზო თაბუკაშვილის დაუღალავი მეცადინეობის წყალობით მ. თამარაშვილის ნეშტი ჩივიტა-ვეკიადან თბილისში გადმოასვენეს. პანაშვიდები გაიმართა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ვესტიბიულში, რის შემდეგაც ამაგდარი მამულიშვილი, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

ვაჟა-ფშაველა

ბენიოსი იყო ვაჟა-ფშაველა, მაგრამ როცა მის გენიალობაზე ვსაუბრობთ, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებიც არ უნდა დავივიწყოთ: „მუზები დიახაც ელტვიან ულრან ტყეებსა და კლდე-ღრეებს, მაგრამ უკეთუ მათი შთაგონების საგანი სატახტო ქალაქს ვერ მისწვდა, ვერცერთი ოსტატი გაითქვამს სახელს“.

მართლაც, რა მოხდებოდა, რომ ვაჟა ფშაეში ჩარჩენილიყო? მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ხშირად ვერ ჩამოდიოდა, უსახსრობის გამო, დიდ პოეტად და მოაზროვნედ მის ჩამოყალიბებაში მაინც ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დედაქალაქმა, აქაურმა კულტურულმა გარემომ და თერგდალეულებთან ურთიერთობამ. უკიდურესი სიღარიბე, რომელიც ვაჟა-ფშაველას მთელი ცხოვრების თანამგზავრი იყო, ვერაფერს გახდა მის უდიდეს ნიჭთან და მაღალ სულიერებასთან. აი, რას წერდა დიდი პოეტი:

„მადლობელი ვარ დამბადებელო,
ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა,
როგორიც ამ დღეს საჭირო არი,
სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა,

ეკლებზე ვწევარ, არაფერს ვიმჩნევ
მაინც ღმერთს ვმადლობ — ეშმაკს შეშურდა".

ვაჟას განსაკუთრებულ ფენომენს თანამედროვეთაგან ყველაზე მეტად ჩასწვდა ილია, რომელიც მას, ექვთიმე თაყაიშვილის თქმით, რუსთაველის შემდეგ ყველაზე მაღლა აყენებდა და ასევე გრიგოლ რობაქიძე — მან 1909 წლიდან პოეტზე წაკითხული ლექციების სერიალით და გამოქვეყნებული სტატიებით ბრწყინვალედ აჩვენა ქართველ საზოგადოებას ვაჟას მთელი სიდიადე.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის დარად, ვაჟაც მსოფლიო მნიშვნელობის პოეტია.

თავის დაუმთავრებელ ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ჩემი წუთისოფელი" ვაჟა ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის თავისი მშობლებისა და ბავშვობის წლების შესახებ.

ვაჟა-ფშაველა (ნამდვილი სახელი და გვარია ლუკა რაზიკაშვილი) დაბადებულა 1861 წლის 14 ივლისს დუშეთის რაიონის სოფელ ჩარგალში. მამას, პავლე რაზიკაშვილს, თვითნასწავლ სოფლის მღვდელს და დედას ბარბალე (გულქან) ფხიკელაშვილს, ვაჟას გარდა კიდევ 5 შვილი ჰყავდათ (მათ შორის, ბაჩანა და თედო, რომლებიც შემდგომში ცნობილი მწერლები გახდნენ). ვაჟას პაპა დედის მხრიდან — პარასკევა პირველი მოლექსე ყოფილა ფშავში, მიუხედავად იმისა, რომ წერა-კითხვა საერთოდ არა სცოდნია. როგორც ჩანს, სწორედ მისი პოეტური ნიჭი და გულგაშლილობა დაპყვა ვაჟას. პოეტის თქმით, მისი მამა, სიპ ქვაზე წერა-კითხვა ნასწაული „ეს პატარა კაცი განხორციელებული მხნეობა, ენერგია იყო, ამასთანავე იშვიათი ნიჭის პატრონი, ორატორი, ცნობისმოყვარე და მწიგნობარი". სწორედ მან ჩაუნერგა საყვარელ შვილებს, წიგნის სიყვარული. პავლე უამბობდა მათ დიდ პიროვნებებსა და მამულიშვილებზე, აყვარებდა „ვეფხისტყაოსანს". მანვე აზიარა ლუკა, ძველ საღმრთო ისტორიას. დედა გულქანი შვილებს მოუთხრობდა ქართველ ვაჟკაცთა საგმირო ამბებს, ფშაურ თქმულებებსა და ლექსებს, ძველ ლეგენდებს.

რვა წლის ლუკა თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, საიდანაც დაიწყო მისი სულიერი ტანჯვა და ვაება. ამის მიზეზი იყო სწავლების უვარგისი რუსული სისტემა, რომელიც

ბავშვს საკუთარ მეობას, ეროვნებას და მშობლიურ ენას ავიწყებდა: „მაშინ რაზიკოვად ვიწერებოდი და არა რაზიკაშვილად (ბევრი ცნობილი ქართველი მოღვაწე იძულებული იყო ასე მოქცეულიყო და თავისი გვარი რუსული დაბოლოებით შეეცვალა. მაგ: ივანე ჯავახიშვილი რუსეთში ჯავახოვად იწოდებოდა — Ვ.Შ.). იქნებ შეურაცხყოფადაც კი მიმელო, თუ ვინმე რაზიკაშვილს დამიძახებდა, ასე ძვირფასად მიმაჩნდა ჩემი გვარის დაბოლოება — მწარედ შენიშნავს ვაჟა და ამნაირ სკოლას საპყრობილეს ადარებს. თავისი ცნობისწადილი რომ დაეკმაყოფილებინა, იგი სხვადასხვა წიგნებს კითხულობდა განურჩევლად, რასაც თითქმის არანაირი შედეგი არ მოჰქონდა და ვაჟაც კრივზე და ჭიდაობაზე იყო გადართული.

1877-79 წლებში ვაჟა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებული ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობდა, მაგრამ რუსული ენის სათანადოდ შესწავლა ვერ შეძლო და 1879 წელს გორის საოსტატო სემინარიაში შევიდა. აქ უკვე მთელი მონდომებით მოეკიდა სწავლას. მას აქ სტიპენდია დაუნიშნა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ". ამ პერიოდს ემთხვევა ვაჟას პოეტური მომწიფების ხანა. თავიდან პოლიტიკით ყოფილა გატაცებული, მაგრამ შემდგომ ინტერესი პოლიტიკისადმი დაეკარგა და მისი ადგილი ლიტერატურამ დაიკავა. გორში იგი სემინარიელთა ხელნაწერი ჟურნალის „რიჟრაჟის" აქტიური თანამშრომელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. მის საქმიანობას თვალს ადევნებდნენ და აქეზებდნენ ლიტერატურული შრომისათვის აგულიანებდნენ ანტონ ფურცელაძე, სერგეი მესხი და სოფრომ მგალობლიშვილი. ვაჟა თარგმნიდა რუს მწერალთა ნაწარმოებებს, წერდა რეფერატებს დავით აღმაშენებელზე და თამარზე, ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ი. დავითაშვილზე. იმავდროულად ბეჭდავდა კორესპონდენციებს და ლექსებს გაზეთ „დროებასა" და ჟურნალ „იმედში". სწორედ აქედან დაიწყო მისი ახალი ცხოვრება.

სემინარიის დამთავრების შემდეგ ერთხანს სოფ. ერწოში მასწავლებლობდა, შემდეგ კი, 1883 წლის აგვისტოში, პეტერბურგს გაემგზავრა და თავისუფალ მსმენელად შევიდა უნივერსიტეტის

იურიდიულ ფაკულტეტზე. ექვთიმე თაყაიშვილი იგონებდა, რომ პეტერბურგში ვაჟა „ესწრებოდა ქართველი სტუდენტების სხდომებს სათვისტომოს საკითხების შესახებ. ფშავ-ხევსურეთის სახალხო პოეზიიდან აუარებელი ლექსები იცოდა ზეპირად.... და ყველანი განცვიფრებული ვიყავით, როგორ შეეძლო ამდენი ლექსების ზეპირად დამახსოვრება". მაგრამ მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო მან სწავლის გაგრძელება ვეღარ შეძლო, თან სამშობლოც ძალზე ენატრებოდა... 1884 წლის შემოდგომაზე ნასესხები ფულით, ჩარგალში დაბრუნდა. ამ პერიოდიდან იწყება მისი მშფოთვარე, ყოფითი საზრუნავითა და მძაფრი სულიერი ჭიდილით აღსავსე ცხოვრება. ჯერ თავად ამილახვრის ოჯახში შინაურ მასწავლებლად მუშაობდა სოფ. ოთარაშენში, 1886 წლის ოქტომბრიდან კი სოფელ დიდ თონეთში დაიწყო მასწავლებლობა. მას თვეში 25 მანეთს უხდიდნენ. ამ დროს იგი უკვე ცნობილი შედევრების ავტორი იყო. ამაყი და სიმართლის მოყვარული ვაჟა ვერ ურიგდება უსამართლობას, წვრილმანობას, იგი დაუპირისპირდა ადგილობრივ „ბობოლებს", სოფლის მამასახლისს და მის დამქაშებს. დაიწყო განუწყვეტელი ცილისმწამებლური საჩივრები ვაჟაზე: მის შესამოწმებლად ერთმანეთს ცვლიდნენ რევიზორები და „კომისიები". ალალმართალ ვაჟას, ქართველების სათაყვანებელ ნიჭიერ პოეტს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომებზე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი თავმჯდომარეობდნენ, უწევდა ახსნა-განმარტებითი ბარათების წარდგენა. ჩვენი დიდი მოღვაწეებიც ხედავდნენ ვაჟას სიმართლეს, მაგრამ უფრთხილდებოდნენ მის სიცოცხლეს, ეშინიათ, რაიმე არ შემთხვეოდა დიდი მომავლის მქონე პოეტს და ამიტომაც 1887 წლის 11 ივნისს იგი მასწავლებლობიდან გაათავისუფლეს.

ვაჟამ ძლიერ განიცადა ყოველივე ეს, მაგრამ ახალშერთულმა მეუღლემ ეკატერინე (კეკე) ნებიერიძემ და შემოქმედებითმა მუშაობამ გადაატანინეს ეს უსიამოვნება. 1886 წლის გაზაფხულზე ვაჟას ამილახვართა ოჯახში შეუყვარდა ეკატერინე, რომელიც გამორჩეული ყოფილა მაღალი სულიერი თვისებებითა და მშვენიერი გარეგნობით და მალე იქორწინა კიდეც იმ დროს დაქვრივე-

ბულ 20 წლის ქალბატონზე.

ქალისადმი ტრფობამ და ოჯახურმა პარმონიამ ძალზე შეუწყო ხელი ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას. ამ პერიოდში შექმნა მან ისეთი შედევრები, როგორიცაა პოემები: „მოხუცის ნათქვამი", „გიგლია" (1886), „გოგოთურ და აფშინა" (1887), „ალუდა ქეთელაური" (1888), „ბახტრიონი" (1892), „სტუმარ-მასპინძელი" (1893), „ივანე კოტორაშვილის ამბავი" (1896), „სისხლის ძიება" (1897), „გველის მჭამელი" (1901).

1888 წლიდან ვაჟა კვლავ ჩარგალში დაბრუნდა და სხვა გლეხებივით დაიწყო მიწის დამუშავება, საქონლის მოვლა და ნადირობა. ის დიდი გავლენით სარგებლობდა მთის ხალხში. იშვიათად ჩამოდიოდა ბარად. არც ამის მერე გაუნებივრებია ბედს ეს გენიოსი. 1890 წელს მას დიდი უბედურება დაატყდა თავს — ერთი თვის განმავლობაში გარდაეცვალა მშობლები (56 წლის დედა და 59 წლის მამა), რომლებიც ბურჯებივით ედგნენ მხარში მას და ხელს უწყობდნენ შემოქმედებით მუშაობაში. ამის მერე ძმები გაიყარნენ. ვაჟა ჩარგალში დარჩა და აქ გაატარა თავისი სიცოცხლე.

ამ დროიდან იგი ფიზიკურად ბევრს მუშაობდა, მაგრამ სამეურნეო საქმეში დიდი ნიჭი ვერ გამოუვლენია. კარგად წერს იუზა ევგენიძე — „სხვაგან ჰქრის მისი გონება" — პოეტური ცხოვრებაა მისი არსებობის ფორმა და არა გლეხკაცური ჭიდილი მთის მწირ მიწასთან"

გენიოსები პრაქტიკული ცხოვრებისათვის არ იბადებიან და არც გამოსდით იგი. ამ დროს ქვეყანამ და ხალხმა უნდა უპატრონოს დიდ ტალანტს და ხელისგულზე თუ არ აჩარეცხს, უკიდურესი მატერიალური სიდუხჭირისა და წამებისთვის ძაინც არ უნდა გაწიროს იგი. ჩვენი ქვეყანა მაშინ თავად იყო საპატრონებელი, სამწუხაროდ, ქართველებმა ძალზე გვიან გაიგეს მისი ფასი.

1892 წელს ციმბირის წყლული შეეყარა ვაჟას და მარჯვენა თვალი დაუზიანა, რის გამოც მძიმე ოპერაციის გადატანა მოუხდა ამ სულიერი და მატერიალური გაჭირვების ჟამს.

მაინც შრომობდა და ბედს არ ეპუებოდა:

„არც-რა ტანთ მცვია, არც ფეხთა,
დავდივარ დედიშობილა,

მეც იმათ ჯოგიდამა ვარ,
ვინც სიღარიბით ცნობილა...
...ჩემს გარდა ასეთ ყოფაში,
მრავალი სხვაცა ყოფილა...“

საკუთარი თავი აღარც ასხოვდა, სულ თავის სათაყვანებელ სამშობლოზე ფიქრობდა მარტოსული:

„ხარს ვგავარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!
მძინარიც იმას ვდუდუნებ...“

მძიმე ყოფამ, სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობამ როდი გააბოროტა იგი, ვაჟა სიცოცხლის ბოლომდე თავისი პრინციპების ერთგული დარჩა:

„ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები,
ბეჩავთაც გავუზიარებ,
სიკეთისათვის სიკეთეს
არავის დავუგვიანებ,
ავის თქმით, ავის ქცევითა
გულს არვის დავუზიანებ“.

1902 წელს კვლავ დიდი დარტყმა მიაყენა მას ცხოვრებამ — 36 წლის ასაკში დაეღუპა საყვარელი მეუღლე კეკე, რომელიც, თანამედროვეთა დახასიათებით „მეტად ლამაზი, გულკეთილი და ადამიანების მოსიყვარულე ქალი“ ყოფილა. ამან კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ოთხი შვილის მამა. ვაჟამ 1904 წელს მეორე ცოლი ითხოვა — ნინო (თამარ) დიდებაშვილი, რომელთანაც მეხუთე შვილი შეეძინა 1905 წელს.

ვაჟას კიდევ უფრო მეტად გაუჭირდა. წელებზე ფეხს იდგამდა, ფიზიკურად შრომობდა, ლექსებს და პუბლიცისტურ წერილებს წერდა, მაგრამ რედაქციები და გამომცემლობები უსულგულოდ ექცეოდნენ და ხშირად უგვიანებდნენ ჰონორარს, ედავებოდნენ კიდეც ამ დიდ მამულიშვილს.

ყოფით წვრილმანებს ველარ უძლეოდა და სიფიცხე ეუფლებოდა. ღარიბი იყო, მაგრამ სიღარიბეზე არ წუწუნებდა ამაყი მთიელი. დაძაბულმა ცხოვრებამ და ნერვიულობამ, მძიმე ფიზიკურმა და შემოქ-

მედუბითმა ჯაფამ, ჭეშმარიტი პოეტისათვის ნიშანდობლივმა დიდმა სულიერმა მღელვარებამ ნაადრევად გატეხა ამ ბუმბერაზის ჯანმრთელობა. სიცოცხლის ბოლო წლებში ხშირად ავადმყოფობდა, რის გამოც აკაკის დაკრძალვასაც კი ვერ დაესწრო, თუმცა გენიალური ლექსი უძღვნა მას 1908 წელს შემოქმედების 50 წლის იუბილეზე.

1915 წლის გაზაფხულზე ჯანგატეხილი, გაჭირვებით ჩამოვიდა თბილისში სამკურნალოდ. ცოტა რომ მოიკეთა, 23 მაისს ქართული სიტყვაკაზმული საზოგადოების სახელით ვაჟას გაუმართეს ლიტერატურული საღამო და მიართვეს დაფნის გვირგვინი წარწერით „ქართული პოეზიის არწივს". მერე დიდებული სუფრა გაუშალეს ორთაჭალის ბაღში, ბევრიც ეფერენ, მაგრამ დაგვიანებული იყო ყველაფერი. ისევ ლოგინად ჩაწვა. ვაჟას მკურნალობდა ცნობილი ექიმი და კრიტიკოსი ივანე გომართელი, რომელმაც პლევრიტი დაუდგინა პოეტს. მისი რჩევით ექიმმა გ. მუხაძემ ოპერაციაც გაუკეთა ვაჟას და ფილტვიდან წყალი გამოუშვა. ცოტა რომ მოიკეთა, 14 ივნისს გადაიყვანეს წმინდა ნინოს სახელობის ქართულ ლაზარეთში, ახლანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში (სადაც შესაბამისი წარწერაც შემორჩა დღემდე). ვაჟას კვლავ ძალზე შემოუტია ავადმყოფობამ. სიკვდილის წინ მთის წყალი მოისურვილა. შიო მღვიმელმა და სანდრო რაზიკაშვილმა შეუსრულეს უკანასკნელი თხოვნა.

27 ივლისს ვაჟა გარდაიცვალა. ბედის ირონია ის იყო, რომ „მაშინდელმა მესვეურებმა ღირსად არ სცნეს ვაჟა მთაწმინდაზე დაეკრძალათ" (ს. შანშიაშვილი). ამითაც გამოჩნდა, რომ მაშინდელი ქართველობა ვერ ჩასწვდა მის სიდიადეს და გენიას. ვაჟა დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. მხოლო 20 წლის შემდეგ, 1935 წლის 16 ოქტომბერს გადაასვენეს მისი ნეშთი მთაწმინდაზე. ბევრმა ამის მერეც ვერ გაიგო მისი ფასი და კრიტიკაც დაუწყეს თავისი ჭკუით (სტალინი, კ. ჩარკვიანი და მათი ამფსონები), მაგრამ მარმარილოზე ნასროლი ტალახი მარმარილოს ვერაფერს უზამს, მსროლელს კი უკან უბრუნდება ყოველთვის. დრომ დაადასტურა, რომ ვაჟა-ფშაველა — ეს დიდი პოეტი-ფილოსოფოსი, მსოფლიო რანგის მწერალია; მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია მისი სრულყოფილად თარგმნა უცხო ენებზე (მისი ნაწარმოები თარგ-

მნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე), მაგრამ თემატური და შინაარსობრივი თვალსაზრისით, მაინც ყველა ნიჭიერი უცხოელი კარგად ხვდება მის გენიალობას და სიმაღლეს. ამიტომ იყო, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით 1961 წელს მთელმა მსოფლიომ აღნიშნა მისი დაბადების 100 წლისთავი.

ვაჟა-ფშაველამ სულ 54 წელი იცოცხლა, მაგრამ მეტად მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. მძიმე ცხოვრების პირობებშიც კი მან შექმნა 37 პოემა, 400-ზე მეტი ლირიკული ლექსი. ამ ლექსთაგან 200-ზე მეტს „სიმღერა" ჰქვია, ორიგინალურია და გალაკტიონის თქმით, მათგან „გამოკრთის უმაღლესი სული". ვაჟას ეკუთვნის 115 მოთხრობა, 5 პიესა, 140 კრიტიკულ-ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილი, რომელთაც ღრმა ინტელექტუალიზმის ბეჭედი აზის. მანვე თარგმნა ექვსი ლექსი (მათ შორის ედგარ პოს „შავი ყორანი"), ორი პოემა და მოთხრობა, ერთი დრამატული ნაწარმოები.

ვაჟა-ფშაველამ ქართული საზოგადოება დააინტერესა მთაში, კერძოდ, ფშავსა და ხევსურეთში მცხოვრები ხალხის წარსულითა და აწმყოთი, მათი ვაჟკაცური ადათებითა და წეს-ჩვეულებებით. იგი მხარს უჭერდა ილიას მიერ წამოყენებულ „საერთო ნიადაგის" ლოზუნგს და ქადაგებდა მთისა და ბარის ერთიანობას. ვაჟამ საოცარი სიღრმითა და სიფაქიზით გადმოსცა მთიელ ვაჟკაცთა შეუპოვარი ხასიათი, მათი რაინდობა და ქვეყნისთვის თავდადება.

აქვე უნდა აღინიშნოს ვაჟა-ფშაველას განსაკუთრებული დამოკიდებულება მთის ბუნებისადმი — მან ადამიანის ენაზე აამეტყველა კლდის ლოდები და ყვავილები, ხმელი წიფელი და ნაკადული, შელის ნუკრი და მგელი... ეირტუოზული მხატვრული ოსტატობით გადმოგვცა მათი ფიქრები და განცდები.

ვაჟა უდიდეს პატივს სცემდა და ეთაყვანებოდა იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრების მანძილზე სამშობლოსათვის იღვწოდნენ.

...ვინც ქვეყნის წყლულით წყლულ-ქმნილა,
მხოლოდ იგი მყავს ხატადა,
ვკვდებოდე, მაინც მოვიცლი, მე იმათ დასახატადა".

თავადაც ქვეყნის ჭირ-ვარამის მატარებელი ვაჟას მრწამსი თავიდანვე ნათელი და პრინციპული იყო:

„არ მიბობღია დაბლა ქვემძრომად,
მაღლა დავფრინავ როგორც გავაზი...
...რაც უნდა ჭირი მომკერძოთ,
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა...“

ვაჟა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე კარგად იცოდა საკუთარი თავის ფასი, მაინც მეტად თავმდაბალი გახლდათ. დავით კლდიაშვილის თქმით, „საოცარი იყო ეს ადამიანი, იმდენი ქებადიდება, მოწონება ესმოდა, მაგრამ იგი ისევ უბრალო, თავმდაბალი ვაჟა იყო, საყვარელი ვაჟა, გაჭირვებაში მყოფი, ვაჟკაცურად მებრძოლი ამ გაჭირვებასთან“. პოეტი მოკრძალებით უძვირფასეს წინამორბედს უწოდებდა დავით გურამიშვილს და საკუთარ თავს „ლაბა ხარად“ თვლიდა:„ ჩემისთანები ბაგეზე ასი ათასი, აბაო“. ასეთივე მოწიწებით უყურებდა იგი რუსთველის, ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის ღვაწლს და თავი მათ ღირსად არ მიაჩნდა. ვაჟას სახით საქართველოს ჰყავდა დიდი პატრიოტი, უკომპრომისო ხასიათისა და შეუვალი მოქალაქეობრივი პრინციპების მქონე პიროვნება, რომლის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მძლავრ ინტელექტს ეფუძნებოდა. ვაჟა ეროვნული ღირსების დაუღალავი დამცველი და ყოველივე ქართულის, ლამაზის, თავგამოდებული ქომაგი იყო არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. „ევროპის მზის ჩასვენების“ (შპენგლერი), „ყოველგვარ ადამიანურ ღირებულებათა გადაფასების და ღმერთის სიკვდილის“ (ნიცშე), კულტურული კრიზისის ეპოქაში, როცა მთელ მსოფლიოში ხელოვნებისა და აზროვნების სფეროები წალეკა ნაირ-ნაირმა ინდივიდუალისტურმა და ინტუიტურმა თეორიებმა, ვაჟა-ფშაველამ სიცოცხლის დიად ღირებულებათა რწმენის პოზიციიდან, ჯანსაღი თვალით შეხედა უაღრესად მწვავე პრობლემებს და თავისი ომახიანი სიტყვა თქვა.

ამიტომაც არის იგი გენიალური ხელოვანი და უდიდესი ქართველი.

ფიროსმანი



ფიროსმანი მოვლენა იყო ქართულ მხატვრობაში. მისმა გენიალურმა ქმნილებებმა დიდი აღიარება პოვა არა მარტო საშშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მაგრამ იგი ამ აღიარებას, არაერთი დიდი ხელოვანის მსგავსად, თავის სიცოცხლეში ვერ მოესწრო.

ნიკო ფიროსმანმა (ფიროსმანაშვილმა), ღვთისგან ნიჭიერებით უხვად დაჯილდოებულმა ამ თვითნასწავლმა გენიოსმა, რომელმაც თავისი მხატვრული ტილოების სახით შეუფასებელი სიმდიდრე დაუტოვა კაცობრიობას, უკიდურეს სიდუხჭირეში დალია სული.

მხატვრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობების შეგროვება მოხერხდა მის თანამედროვეთა მონათხრობის მიხედვით. ფიროსმანის ბიოგრაფიიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი დაბადებულა კახეთში, სოფ. მირზაანში, გლეხის, ასლან ფიროსმანაშვილის ოჯახში, 1862 წელს. მალე მისი ოჯახი შულავერში გადასახლებულა.

წერა-კითხვა, როგორც ჩანს, სოფლად ისწავლა. კლასიკური განათლება არ მიუღია, არც სპეციალური სამხატვრო სასწავლებელი დაუმთავრებია.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ (ისინი ნაადრევად გა-

ძომშვიდობებიან ამ წუთისოფელს), ნიკალა (ასე ეძახდნენ მას ახლობლები და მეგობრები) თბილისში გადმოსულა საცხოვრებლად, თუმცა ბინა არ ჰქონია.

XIX საუკუნის 80-იან წლებში თვითნასწავლ მხატვართან გ. ზაზიაშვილთან ერთად გახსნა ფერწერის სახელოსნო, სადაც ღებულობდა აბრების შეკვეთებს.

1890-94 წლებში ფიროსმანს კონდუქტორად უმუშავია ამიერკავკასიის რკინიგზაზე, შემდეგ ვაჭრობაშიც უცდია ბედი, მაგრამ ამ საქმისგან იგი ძალზე შორს იყო.

უსახლკარო გენიოსი თბილისელ მედუქნეებთან და მიკიტნებთან აფარებდა თავს, მათი შეკვეთით ხატავდა აბრებს, ასევე ქმნიდა პორტრეტებსა და ულამაზეს სურათებს, რომელთა უმეტესობას ჩალის ფასად ჰყიდდა, ან უბრალოდ საჩუქრად უტოვებდა მედუქნეებს. ბევრს შრომობდა, მაგრამ გაჭირვებას თავი მაინც ვერ დააღწია.

ქართველმა მხატვრებმა სცადეს მისი ხვედრის შემსუბუქება, მაგრამ რეალურად ვერაფრით დაეხმარნენ. უმძიმესი ცხოვრებით დაღლილი და გატანჯული ფიროსმანი მარტოობაში გარდაიცვალა კიბის ქვეშ შემოფარგალულ და ცივ ადგილას. ისიც კი არავინ იცის დანამდვილებით, თუ სად დაასაფლავეს ეს უდიდესი მხატვარი.

ფიროსმანის, როგორც მხატვრის, აღმოჩენაში, მისი სურათების შეგროვებასა და ორიგინალური შემოქმედების პროპაგანდაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ძმებ ზდანევიჩებს — მხატვარ კირილ ზდანევიჩს და პოეტ ილია ზდანევიჩს, აგრეთვე მხატვრებს — მ. ლე დანტიუს, დიმიტრი შევარდნაძეს, ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს და სხვ. მოგვიანებით ფიროსმანის ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვა გოგლა ლეონიძემ, რომელიც მხატვრის დიდი გულშემატკივარი იყო.

1918 წელს თბილისში გაიმართა ქართველ მხატვართა პირველი დიდი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ფიროსმანის ნამუშევრებიც. XX საუკუნის 20-იან წლებში გამოიცა მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი კრებული, იბეჭდებოდა სტატიები მის შესახებ.

ფიროსმანის მიმართ ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა 50-იან წლებში. მასზე გამოიცა წიგნები საქართველოში, რუსეთში, უცხოეთში, შეიქმნა ბიოგრაფიული ფილმი „ფიროსმანი" (ნიკალას როლს ასრულებდა მხატვარი ავთო ვარაზი), დაიწერა მისდამი მიძღვნილი პიესები, მუსიკალური ნაწარმოებები. მოეწყო ფიროსმანის ნახატების გამოფენა ევროპის მრავალ ქვეყანაში. ცხადი გახდა, რომ საქმე გვქონდა გენიალურ მხატვართან. თბილისში დაიდგა ფიროსმანის ძეგლი, მხატვრის მშობლიურ სოფელში მირზაანში გაიხსნა ფიროსმანის სახლ-მუზეუმი.

მხატვრის ნამუშევართა დიდი ნაწილი ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, აგრეთვე უცხოეთის მუზეუმებში, თბილისისა და უცხოეთის კერძო კოლექციებში.

სურათების შექმნის ქრონოლოგია დღემდე დაუდგენელია.

ფიროსმანი პრიმიტივისტ მხატვართა ჯგუფის წარმომადგენელია. იგი წერდა მუშამბაზე. მის სურათებში შეიმჩნევა, რომ ავტორს სპეციალური განათლება არ მიუღია, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს მის მიერ შექმნილი სამყაროს მთლიანობას, პირიქით, ერთგვარად წარმოაჩენს კიდეც მათ თავისებურებასა და ორიგინალობას. ნიკალას სურათების უპირველეს ღირსებას და ძალას შეადგენს მათი შინაგანი სიმართლე, უშუალობა, დიდი ექსპრესიულობა, ხასიათის მკაფიო გამოხატვა. მას შესწევს ყველაფერში არსებითის, ტიპიურის დანახვისა და განზოგადების უნარი. მისი სურათების კოლორიტი მკაცრია, ზოგჯერ თითქმის მონოქრომული. მათში იგრძნობა ავტორის მახვილი კომპოზიციური ალღო. განურჩევლად ზომისა, ფიროსმანის ნახატებს შინაგანი მნიშვნელობა და მონუმენტურობა ახასიათებს, რითაც იგი ძველ ქართულ კედლის მხატვრობას ენათესავება.

ფიროსმანის მემკვიდრეობის გაცნობისას ნათელი ხდება მხატვრის ინტერესთა მრავალფეროვნება, ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობაა და შეგნებული თანმიმდევრობა.

ფიროსმანის შემოქმედებამ XX საუკუნის 10-20-იანი წლების მიჯნაზე, როდესაც ხელოვნებაში მწვავედ დაისვა ქართული ეროვნული ფორმის ძიების საკითხი, დიდი გამოძახილი პოვა ქართველ მხატვართა ახალი თაობის წარმომადგენლებში, რომლებსაც მიაჩ-

ნდათ, რომ ფიროსმანი ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული მხატვარია.

ფიროსმანის თემატიკა აღბეჭდილია იმ გარემოთი, რომელშიც უხდებოდა მას ცხოვრება. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ქეიფის სცენებს, რომლებიც არსებითად თბილისელ ვაჭარ-ხელოსანთა, მიკიტნების, ზოგჯერ თავადების ჯგუფურ პორტრეტებს წარმოადგენენ („ბეგოს კამპანია", „ქეიფი მეარღნე დათიკო ზემელთან", „თავადების ქეიფი მინდვრად", „ხუთი თავადის ქეიფი", 1906, თბ., საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). ზოგჯერ ქეიფის სცენები გაშლილია პეიზაჟის ფონზე („სვირი", საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) ან ჩართულია მრავალფიგურიან „პანორამულ" კომპოზიციებში („ვერის ხიდი", „კახეთის ეპოსი", „ქეიფი რთველში"). თემატიკურად სცენებს ენათესავება ნატურმორტები და აბრები. ნიკალას იზიდავდა სოფლის ბუნება და ცხოვრება („რთველი", „დღეობა ბოლნისში", „გლეხის ქალი ვაჟით", „გლეხკაცი ვაჟით", „წყალზე მიმავალი ბავშვებიანი დედაკაცი", „კალოობა" — საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). მხატვარს იშვიათად იზიდავდა ქალაქური პეიზაჟები („ბათუმი", „ფუნიკულიორი" — საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

განსაკუთრებული პოეტური შთაგონებით არის აღბეჭდილი ფიროსმანის მიერ დახატული ღამის სცენები („არსენალის გორა ღამით", — მოსკოვი, კერძო კოლექცია, „ყაჩაღმა ცხენი ძოიპარა", „დათვი მთვარიან ღამით" — საქართველოს ხელოვნების მუზეუმი). მკვეთრი სოციალური დახასიათებებით გამოირჩევა ფიროსმანის მიერ თბილისელი ხელოსნების, მედუქნეების, კინტოების, ბოჰემის წარმომადგენელთა, აგრეთვე მუშების პორტრეტები („გოგონა საპაერო ბუშტით" — მოსკოვი, კერძო კოლექცია; „მდიდარი კინტოს შვილი", „მეეზოვე", „ორი მუშა", „აქტრისა მარგარიტა", „ორთაჭალის ტურფები", „მუშა სოსო", „მებადური" — ყველა საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) სოციალური კონტრასტი ბრწყინვალედ არის წარმოჩენილი სურათში „უშვილო მილიონერი და ღარიბი ქალი შვილებით" (საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

ფიროსმანი პირველი ქართველი ანიმალისტია. იგი ცხოველ-

თა გამოსახულებებში ხშირად გარკვეულ სიმბოლურ-მორალურ აზრს აქსოვდა. განსაკუთრებულად შთამბეჭდავად აღიქმება მისი „ირემი“, „ჟირაფი“, „თეთრი ღორი გოჭებით“, „შავი ტახი“, „თეთრი დათვი“, „არწივს კურდღელი დაუჭერია“ და სხვ. (საქართველოს ხელოვნების მუზეუმი).

ფიროსმანს ძლიერ იზიდავდა ისტორიული თემები და პერსონაჟები („რუსთაველი“, „თამარ მეფე“, „ერეკლე II“, „გიორგი სააკაძე“, „შეთე გზას უჩვენებს თავად ბარიატინსკის შამილის დასაჭერად“ და სხვ.). ნიკალას ზოგიერთი სურათი ქართული თეატრის სპექტაკლებით არის შთაგონებული (დ. ერისთავის „სამშობლო“, ვ. გუნიას „და-ძმა“).

ფიროსმანის შემოქმედება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა უცხოელ მხატვართა წრეებში, მისით აღტაცებული ყოფილა დიდი **პაბლო პიკასო**. რაც დრო გადის, ამ გენიალური მხატვრის პოპულარობა უფრო და უფრო მატულობს და ეს სავსებით კანონზომიერია.

დავით ყლდიაშვილი

დავით კლდიაშვილს მისი თანამედროვენი „ქართველ სერვანტესს“ უწოდებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისიც ისეთივე პოპულარული იყო თავის სამშობლოში, როგორც „დონ-კიხოტის“ ავტორი — ესპანეთში. ცრემლნარევი იუმორით შეზავებული მისი ნაწარმოებები, რომლებიც ბრწყინვალედ ასახავენ მაშინდელი ეპოქის ქართულ სინამდვილეს, დღესაც ძალზე საინტერესოდ იკითხება, რადგან ადამიანის სულში, მის ხასიათში წედომის საოცარი უნარის წყალობით დ. კლდიაშვილის მიერ დახატული ტიპაჟები ჩვენს საუკუნეშიც მეტად აქტუალურნი არიან.

დავით კლდიაშვილი დაიბადა 1862 წლის 11 სექტემბერს თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში. მამამისი, სამსონ კლდიაშვილი, გაღარიბებული აზნაური იყო. ბავშვობა დავითმა გაატარა სიმონეთში და დედულეთში — სოფ. ხომულში (წყალტუბოს რაიონი), ბაბუამისის — აზნაურ ნიკო ღოღობერიძის მაშინ ჯერ კიდევ შეძლებულ ოჯახში. სოფლად გატარებულმა ყრმობის შთა-

ბეჭდილებებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს მომავალი დიდი მწერლის შემოქმედებითი არეალი და თემატიკა.

წერა-კითხვა დავითს დედამ — კესარიამ შეასწავლა. შვიდი წლისა იგი ქუთაისის ერთ-ერთ დაწყებით სასწავლებელში მიაბარეს, ხოლო რუსული ენის შესწავლის მიზნით, ვიღაც რუსი ექიმის ოჯახში დააბინავეს.

1871 წელს მშობლებმა დავითი სამხედრო განათლების მისაღებად კიევის სამხედრო გიმნაზიაში შეიყვანეს (სახელმწიფო ხარჯზე). ბავშვს ქართულად დამლაპარაკებელი თითქმის არავინ ჰყოლია და რუსული ენის შესწავლასთან ერთად კიევში თითქმის დაავიწყდა მშობლიური — ქართული ენა. აქ ყოფნისას იგი დაუახლოვდა ქართველ სტუდენტობას და მათი დახმარებით მშობლიური ენის და ლიტერატურის შესწავლა დაიწყო დიდი მონდომებით.

1880 წელს დ. კლდიაშვილმა წარჩინებით დაამთავრა კიევის ე.წ. „მილიუტინის" სამხედრო გიმნაზია და სწავლა განაგრძო მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში! სასწავლებელში მას ისტორიას უკითხავდა ცნობილი ისტორიკოსი კლიუჩევსკი, მათემატიკას — პრჟევალსკი. ორი წლის შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა და სამხედრო სამსახური დაიწყო ბათუმში, თოფ-იარაღის შემკეთებელი სახელოსნოს უფროსად. აქ გ. ეოლსკისთან და ი. მესხთან ერთად დავითი სათავეში ჩაუდგა საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობას და თანამშრომლობა დაიწყო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. უკომპრომისო, გულმხურვალე მამულიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ლარიბი ბავშვებისათვის უფასო სკოლის მოწყობაში, მუშათა საკვირაო სკოლებისა და ურთიერთდამხმარე საკრედიტო ამხანაგობის დაარსებაში. 1905 წლის რევოლუციის დროს ძეფის არმიის ოფიცერი მონაწილეობდა მეფის საწინააღმდეგო დემონსტრაციებში, ხელს უწყობდა მასზე დაქვემდებარებულ ჯარის ნაწილებში რევოლუციური წრეების ჩამოყალიბებას, საომარი მასალებით რევოლუციონერთა უზრუნველყოფას.

ეს ყველაფერი შეუმჩნეველი არ დარჩა ხელისუფლებას და გენერალ გრიაზნოვის ბრძანებით იგი ჯერ დაღესტანში გადაასახლეს, 1907 წელს კი პოდპოლკოვნიკის ჩინით აიძულეს სამსახურის დატოვება.

დავით კლდიაშვილი საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდა. აქ იგი ერთხანს ქალაქის თვითმმართველობაში მუშაობდა, მერე კი — ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სამმართველოში.

პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს დავითი მობილიზაციით გაიწვიეს ოსმალეთის ფრონტზე თურქთა წინააღმდეგ. გადასახლებული ჭანების გამოსარჩლებისათვის მას სამხედროსაველე სასამართლო ელოდა, მაგრამ, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მოუსწრო და ცოცხალი, მაგრამ ჯანგატეხილი და დაავადებული (სკლეროზით) დაუბრუნდა თავის სიმონეთს.

დავით კლდიაშვილმა 1885 წელს თავისი თარგმანები გამოაქვეყნა ჟურნალ „თეატრში". მისი სამწერლო მოღვაწეობა კი 1893 წლიდან დაიწყო, როცა „დროებაში" დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „შერისხვა".

ეროვნული და სოციალური ჩაგვრით, უმეცრებითა და ცრურწმენით მოცული ქართული სოფლის ფონზე კლდიაშვილი მძაფრი ტრაგიზმით ხატავს გაუნათლებლობისა და სიხარბის მსხვერპლს გლეხ კაცია საგუნაშვილს. ცრურწმენასა და მავნე ტრადიციებს ეწირებიან აგრეთვე მარინე და ფეფენა (მოთხრობა „მსხვერპლი", 1894). მოგვიანებით დავითი უბრუნდება ამ თემას და მოთხრობაში „მიქელა" (1904) ასახავს ოჯახის გადაშენების ფანატიკური შიშით შეპყრობილი მორწმუნე კაცის უსიხარულო ყოფას.

მწერლის პირველივე მოთხრობებში გამოჩნდა, რომ იგი ქართული კლასიკური რეალიზმის უმდიდრესი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი იყო.

დავით კლდიაშვილი უაღრესად დაკვირვებული, ცხოვრების კარგად მცოდნე და დახელოვნებული, მწერალი იყო. ამიტომ ძნელია დაეთანხმო კრიტიკოსთა უმრავლესობას, თითქოს მისი შემოქმედების მთავარი თემა მხოლოდ იმერეთის გაღარიბებული, ე.წ. „შემოდგომის აზნაურების" ცხოვრების მწუხრის ასახვა ყოფილიყოს. მან შექმნა ზოგადად ქართული ცხოვრებისეული ტიპები, რომელთა მსგავსნი ახლაც მრავლად არიან ჩვენს გვერდით და იქნებიან მომავალშიც. ამიტომაა მისი შემოქმედება დღესაც უაღრესად თანამედროვე.

მოთხრობაში „სოლომან მორბელაძე" (1894წ.) ნაჩვენებია, თუ

როგორ გამოაცალა ეკონომიკური ნიადაგი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების დამკვიდრებამ თავად-აზნაურთა წოდებრივ პრივილეგიებს. გაღატაკებულ აზნაურთა კუდაბზიკობა და თავმომწონეობა, რასაც ისინი ჯიუტად არ იშლიდნენ, სრულიად აღარ შეეფერებოდა რეალურ ვითარებას და სასაცილო მდგომარეობაში აყენებდა მათ.

დავით კლდიაშვილმა განწირული აზნაურების შინაგანი ტრაგიკული ბუნება კომიკური ფორმით გამოხატა, რამაც მის სამწერლო სტილს განუმეორებელი, მხოლოდ კლდიაშვილისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალობა მიანიჭა. გაღატაკებული, ზნეობრივად დაკნინებული აზნაური სოლომანი („სოლომან მორბელაძე") სასარგებლო შრომას თაკილობს და მაჭანკლობით შოულობს მათხოვრულ კაპიკებს. იგი თავად ებმება საკუთარი ტყუილების მახეში. ჯორზე ამხედრებული ხელმოცარული მაჭანკალი თავის გაძაღლებულ ყოფის წყევლის და ამით იჯერებს გულს.

ახალ ვითარებას ალღო ვერ აუღო ბეკინა სამანიშვილმაც, რომელიც კელავ ძველი წარმოდგენებით ცხოვრობს („სამანიშვილის დედინაცვალი"). მისი ვაჟი პლატონი წელებზე ფეხს იდგამს, უბრალო მიწის მუშადაა ქცეული. დაქვრივებული ბეკინას სურვილი მეორე ცოლის შერთვისა, რაც ქონების მოზიარის საშიშროებას უქმნის პლატონს, აიძულებს მას საკუთარი სადედინაცვლოს — ორნაქმარევის, უშვილო ქალის მაძიებლის დამამცირებელი და კომიკური როლი იკისროს. მოზიარის გაჩენა ადამიანურ სახეს უკარგავს გაცოფებულ პლატონს. წარსულის მოგონებით და ილუზიებით სულდგმულობს მოხუცი ეკვირინეც („ქამუშაძის გაჭირვება"). ერთ დროს წარჩინებული საგვარეულოს მანველიძეების ნაშიერი, სულიერად დაცემული როსტომი უკიდურეს სიღატაკეში ელის თავისი ცხოვრების დასასრულს („როსტომ მანველიძე").

ცხოვრებისეული „უტყუარი მასალა", რომელსაც დ. კლდიაშვილი იყენებს, უნუგეშოა და უსასოო. მწერალი ძალზე განიცდის ყოველივეს და ეძიებს ამ კრიზისული ვითარებიდან თავის დაღწევის გზებს. ახალი ცხოვრებისგან განწირულ აზნაურებს იგი წარმოადგენს დიდი ჰუმანიზმით გამთბარი ტრაგიკული ინტონაციებითა და იუმორით. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ტრაგიკულისა

და კომიკურის მონაცვლეობა კლდიაშვილის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, რაც კათარზისისათვის არის მოწოდებული. მხოლოდ იშვიათად თუ მიმართავს მწერალი მძაფრ, დაუნდობელ მამხილებელ სატირას („ბაკულას ღორები").

დავით კლდიაშვილმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ქართული დრამატურგიის განვითარებაში. გულისმომკველელი და სევდიანი სინამდვილე ასახა მან პიესებში „ირინეს ბედნიერება" (1897), „დარისპანის გასაჭირი" (1903), „უბედურება" (1914), რომლებიც ასევე უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი აზნაურების ტრაგიკულ სულისკვეთებას გადმოსცემენ..

დავით კლდიაშვილის შემოქმედებამ დროს გაუძლო. მისი ნაწარმოებები დღესაც დიდი ინტერესით იკითხება. მწერლის შემოქმედებითი სტილისათვის დამახასიათებელია სისადავე და უბრალოება, რაც დიდი ოსტატობით არის მიღწეული. უნუგეშო, დეგრადირებული ყოფის რეალისტურად აღწერით მწერალი აფხიზლებს მკითხველს, ზნეობრივ განწმენდისაკენ მოუწოდებს მას და ამასთან უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაშიც ეხმარება.

1924-26 წლებში დაიბეჭდა კლდიაშვილის ახალი მოთხრობები „შუა ცეცხლის პირას" და „კიმოთე მეშველიძე" 1925 წელს მწერალმა გამოაქვეყნა ქართული მემუარული ლიტერატურის ნამდვილი მშვენება „ჩემი ცხოვრების გზაზე".

დავით კლდიაშვილს 1930 წელს გადაუხადეს მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. მას მიენიჭა საქართველოს სახალხო მწერლის საპატიო წოდება.

1931 წლის აპრილში იგი გარდაიცვალა სიმონეთში. მისი ცხედარი საგანგებო მატარებლით წამოასვენეს და თბილისში მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს.

დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა მიხედვით გადაღებულია ფილმები „სამანიშვილის დედინაცვალი", „დაკარგული სამოთხე", მისი პიესები დღესაც დიდი წარმატებით იდგმება ქართული თეატრის სცენაზე.

ექვთიმე თაყაიშვილი

უდიდეს ქართველ მოაზროვნეს და ამაგდარ მოღვაწეს ექვთიმე თაყაიშვილს „საქართველოს მეჯურჭლეთუხუცესი“ უწოდა რეზო თაბუკაშვილმა, რადგან იგი თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე გრაალის მცველივით დარაჯობდა და ელოლიავებოდა ქართულ ეროვნულ საგანძურს და უმნიშვნელოვანეს სამუზეუმო ექსპონატებს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ე. თაყაიშვილი დაიბადა 1863 წლის 5 იანვარს ოზურგეთის რაიონის სოფ. ლიხაურში, აზნაურ სვიმონ თაყაიშვილის ოჯახში. 5 წლის დაობლდა — ჯერ მამა გარდაეცვალა და მერე კი — დედა. ბედმა ესეც არ აკმარა და სამი წლის ასაკში ფეხი მოიტეხა, რომელიც არასწორად შეუხორცდა და დაკოჭლდა.

7 წლის ექვთიმე ოზურგეთის ორკლასიან სასწავლებელში შეიყვანეს, იქიდან კი ფოთში გადავიდა სასწავლებლად. 1876 წელს უფროსმა ძმამ ნიკომ ქუთაისში ჩაიყვანა და პროგიმნაზიაში (გიმნაზიის წინა საფეხურია) ჩაარიცხინა. მატერიალური გაჭირვების მიუხედავად, 1879 წელს ექვთიმემ პროგიმნაზია წარმატებით დაასრულა და კლასიკური გიმნაზიის მეხუთე კლასში განაგრძო სწავლა.

ისტორიით, არქეოლოგიით და ძველი ხელნაწერებით ადრიდანვე დაინტერესდა. 16 წლისამ რაჭის ისტორიული ძეგლების შესწავლა დაიწყო და 1880-81 წლებში ჟურნალ „ბედში“ დაიწყო

სათაურით — „ქუთაისიდან უწერამდე“.

გიმნაზიაში ექვთიმე დაახლოებია ნიკო მარს, რომელსაც კონსტანტინე გამსახურდია გენიალურ ფილოლოგს უწოდებდა.

1883 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა წარმატებით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და შეიყარა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე (ერთი წლის შემდეგ ნიკო მარიც ჩამოვიდა აქ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სასწავლებლად). პეტერბურგში გაიცნო მან ილია, მოგვიანებით კი — ვაჟა-ფშაველა და კიდევ უფრო განიმსჭვალა ეროვნული იდეალებით. 1887 წელს ექვთიმემ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და თბილისში დაბრუნდა. მალე მან მუშაობა დაიწყო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ლათინურისა და ბერძნულის მასწავლებლად. ამას გარდა, ექვთიმე აქტიურად ჩაება ეროვნულ და საზოგადოებრივ საქმეებში. 1888 წელს იგი შეიყვანეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრად (თავმჯდომარე ამ დროს იყო ილია ჭავჭავაძე, რომელმაც დიდი ნდობა აღმოუჩინა 25 წლის ახალგაზრდას და ხელნაწერებისა და არქივების, სამუზეუმო ექსპონატების შეგროვება და აღრიცხვა-პატრონობა ჩააბარა). ცნობილი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის თანადგომით და წაქეზებით ექვთიმე მთელი გატაცებით და პასუხისმგებლობით შეუდგა გაფანტული ეროვნული საგანძურის მოძიებას და შეკრებას: **„საზოგადოების წევრი რომ გავხდი, მივიხედ-მოვიხედ: შევიტყვე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუნებურად მოეკიდე ხელი, დავუწყე პატრონობა. მერე თანდათან გამიტაცა, შემიყვარდა და ვიწყე ზრუნვა დალუპვისაგან მათ გადარჩენაზე. თან ახალ-ახალსაც ვაგროვებდი, შემოწირულთ აღარ ვჯერდებოდი. საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე“** — წერდა იგი.

1888 წლიდან იწყება მისი სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომელიც 60 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა და უაღრესად დიდი შედეგები და ნაყოფი მოიტანა საქართველოსთვის. ამ წელს შეისწავლა და გამოიკვლია ჯერ „პარხლის სახარება“, მერე კი ამას მოაყოლა „მოქცევაი ქართლისაი“-ს ახლებური წაკითხვა, რითაც აღაფრთოვანა ილია და მისი თანამოაზრენი. 1890 წელს ექვთიმემ გამოაქვეყნა „სამი ისტორიული ქრონიკა“ („მოქცევაი

ქართლისაი“, „სუმბატის ქრონიკა“ და „მესხური მატიანე“), რითაც საზოგადოების აღიარება მოიხვეჭა. მას უკვე ილიას, ნიკო ნიკოლაძისა და იაკობ გოგებაშვილის დარად გაზეთებში პატივისცემით მოიხსენიებდნენ და ლექსებს უძღვნიდნენ. მაგრამ ამან ექვთიმეს თავბრუ როდი დაახვია. იგი იშვიათი გულმოდგინებით და თავმდაბლობით აგრძელებდა საპატიო მისიის აღსრულებას. მალე არქეოლოგიურ ძიებებსაც შეუდგა. პირველად მან დაიწყო გათხრები მცხეთის მიდამოებში, ბაგინეთთან, კარგი შედეგსაც მიაღწია, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული გახდა შეწყვიტა. 1891 წელს ექვთიმემ ქართულ საზოგადოებას წარუდგინა ნაშრომი „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

1892 წელს იგი გვერდში ედგა ილიას ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან ტფილისს გადმოსვენების საქმეში. იმავე წელს, მისი და დავით კარიჭაშვილის რედაქტორობით გამოიცა ბარათაშვილის თხზულებათა პირველი სრული კრებული.

1893 წელს ექვთიმემ ცოლად შეირთო ილია ჭავჭავაძის გიმნაზიის მეგობრის ივანე პოლტორაცკის (დედით ქართველის) ქალიშვილი ნინო, რომელიც ამ დიდებულ მამულიშვილს ბოლომდე შერჩა ცხოვრების თანამგზავრად და ერთგულ მეუღლედ.

1894 წლიდან იგი დანიშნეს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორად (მაშინ გამგე ერქვა). მანამდე უკვე ისტორიასა და გეოგრაფიასაც ასწავლიდა და პატრიოტულ სულისკვეთებას უღვივებდა მოსწავლეებს. 1895 წელს ექვთიმემ გამოაქვეყნა „სიბრძნე ბალავარისა“ სარედაქციო ვარიანტებით და მეცნიერული კომენტარებით. იმავე წელს, გამოსცა კიდევ ერთი ხელნაწერი, XVIII საუკუნის „კათოლიკოს-ბაქარიანი მღვდლის იესე ტლაშაძისა, მოთხრობა ლექსად“.

1896 წელს ექვთიმე ილია ჭავჭავაძეს ახლდა თან გელათში ცნობილი სულიერი მოძღვრის, გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე.

1899 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა დააარსა უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო სერია — „საქართველოს ძეგლები“, რომლის პირველ ტომში შევიდა 431 სხვადასხვა დასახელების და შინაარსის დოკუმენტი, საბუთი, აქტი, სიგელი, გუჯარი და ა.შ.

1900 წლის 14 ნოემბერს საფუძველი ჩაეყარა მომავალი ქართული

საუნივერსიტეტო შენობის (იმჟამად გიმნაზიის) საძირკველს. მასში ილიასთან, ნიკო ცხვედაძესთან, იაკობ გოგებაშვილსა და სვიმონ კლდიაშვილთან ერთად მონაწილეობდა ექვთიმე თაყაიშვილიც.

1902 რუსულ ენაზე გამოვიდა ექვთიმეს ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი „აღწერილობა „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ხელნაწერებისა", რომელსაც უმაღლესი შეფასება მისცეს იკანე ჯავახიშვილმა და ნიკო მარმა.

ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ექვთიმე თაყაიშვილმა „ქართლის ცხოვრების" შესწავლას და მისი ხელნაწერების გამოცემას მეცნიერული კომენტარებით. მანვე გამოაქვეყნა ლიტერატურული ძეგლები — „თიმსარიანი", „იოსებ ზილიხანიანი", „ქილილა და დამანა".

1904 წელს მან თავი დაანება გიმნაზიის დირექტორობას და მთლიანად გადაერთო საქართველოს ეროვნული რელიქვიების მოძებნის, შესწავლის და გამოცემის საქმეზე.

1907 წელს ექვთიმემ დააარსა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება", რომლის თავმჯდომარედაც ერთხმად აირჩიეს იგი. საზოგადოების მიზანი იყო ქართული კულტურის სიძველეთა შეგროვება და შესწავლა, ექსპედიციების მოწყობა და ხალხში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება:

„საქართველო დავიარე და დაკინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისათვის. პირდაპირ ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მითუმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს... რამდენს ვცდილობდი, რას არ ვკიდებდი ხელს, მაგრამ რამდენი რამ მაინც ვერ მოვასწარი... არ იყო ხალხი, თითო-ოროლა კაცის მეტი არ ეკარებოდა ასეთ საქმეს; არ ესმოდათ ამის მნიშვნელობა და გემო!.. რუსთაველის გაშხირზე სეირნობასა და პოპულარული სტატია-წიგნების კითხვას, ან ლიტერატურულ კამათს იქით აღარ მიდიოდა მათი მონდომება..."

სერვილიზმმა და მონურმა ქედდადრეკამ ყოველი უცხოელისა და უცხოურის მიმართ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ხშირად ჩვენი რეგვენი თანამემამულენი უცხოელებს ჩუქნიდნენ (და ახლაც ჩუქნიან) ეროვნულ რელიქვიებს, რასაც ხმალამოღებული ებრძოდა ექვთიმე თაყაიშვილი, თუმცა მარტო რას გააწყობდა. ამიტომ მან საზოგადოების წევრებიც ჩართო ამ პატრიოტულ საქმეში.

1902, 1907 და 1917 წლებში ექვთიმემ თანამოაზრეებთან ერთად მოაწყო ექსპედიციები სამხრეთ საქართველოში, აღწერა ახალციხე-ახალქალაქის, არტაან-ოლთისის, ბანას, ტაოსკარის, დადაშენის, ტახტორკანის, ჯიჯორის, ქუმურლუხის, კალმახის, ვაჩეძორის, ხახულის, ოშკის, იშხანის და სხვ. ეკლესია-მონასტრები, ციხეები, ნანგრევები და ა.შ.

1908 წელს გამოიცა ე. თაყაიშვილის „აღწერილობების" მეორე და მესამე ტომები, (მეხუთე ტომი 1912 წელს გამოვიდა), ასევე მოიძია „ვეფხისტყაოსნის" მანამდე უცნობი ხელნაწერები; ერთ-ერთი თავადის ოჯახში სტუმრობისას მან სანაგვიდან(!) ამოიღო გიორგი ბრწყინვალის დროის უმნიშვნელოვანესი ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება", რომელიც მოგვიანებით (1920 წ.) გამოაქვეყნა კიდეც; საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მისი რედაქტორობით დაიწყო კრებულ „ძველი საქართველო"-ს (სულ გამოვიდა 4 ტომი) გამოცემა; ექვთიმემ აგრეთვე გააგრძელა „საქართველოს სიძველენი"-ს გამოცემა (სულ გამოვიდა 3 ტომი).

1910 წელს ექვთიმეს ხელმძღვანელობით მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია ლეჩხუმსა და სვანეთში.

ექვთიმე თაყაიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში 1918 წლის 26 იანვარს. იგი დიდი ივანე ჯავახიშვილის თანამებრძოლი იყო ამ საშვილიშვილო საქმეში. ივანეს წარდგინებით იგი იყო უნივერსიტეტის პირველი ლექტორი არქეოლოგიაში და კათედრის გამგეც; მისივე წარდგინებით უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ექვთიმეს დაუცველად („პონორის კაუზა") მიანიჭა არქეოლოგიის დოქტორის და მერე პროფესორის ხარისხი.

ექვთიმემ აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და სუვერენული ქვეყნის მშენებლობის საქმეში. იგი იყო მაშინდელი პარლამენტის — დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე (ამხანაგი). სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღმშენებლობა შეაჩერა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ. 1921 წლის თებერვალში მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ სწორედ ექვთიმეს — ამ საქმის უდიდეს სპეციალისტს დააკალა საქართველოს ეროვნული საგანძურის შეგროვება და მისი გაყო-

ლა საზღვარგარეთ, რათა ბოლშევიკებს არ ჩავარდნოდა ხელში (20-იან წლებში ბოლშევიკებმა ეკლესია-მონასტრებში და მუზეუმებში დარჩენილი ოქრო-ვერცხლის ხატები და სხვა რელიქვიები წაართვეს პატრონებს და გადაადნეს).

39 დიდ ყუთში ჩალაგებული ქართული ეროვნული საგანძური ექვთიმემ დიდი წვალებით საფრანგეთში ჩაიტანა და მარსელის ბანკში დააბინავა დაცვის მიზნით. თავად ექვთიმე და მისი მეუღლე პარიზიდან 20 კმ-ში მდებარე სოფ. ლევილში დასახლდნენ, რომლის ერთ-ერთი მამული შეიძინა ემიგრანტულმა მთავრობამ იქ მყოფი ქართველებისათვის.

ექვთიმეს აქაც, მეტად მძიმე პირობებში უწევდა ამ რელიკვიაზე მზრუნველობა და მისი დაცვა განძის შეძენის უცხოელი მსურველებისაგან თუ შინაურებისაგან.

პარალელურად იგი აგრძელებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. იგი 1922 წელს აირჩიეს პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების (ნუმიზმატიკა სწავლობს ძველ ფულს და მონეტებს). წევრად, აგრეთვე პარიზის საზაო საზოგადოების წევრად (1925 წ.). აქტიურად თანამშრომლობდა სამეცნიერო ჟურნალებში („ბიზანტიონი", „გეორგიკა"), აქვეყნებდა გამოკვლევებს საქართველოს ისტორიასა და წყაროთმცოდნეობაში, რომლებშიც ბევრი ფაქტისა თუ მოვლენის ახლებური ახსნაა მოცემული (მაგ: „მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში" (1939), „სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები", ნაწ. 1 (1929), პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი საიდუმლო დამწერლობის ნიშანი" (1933), „ქართული სიძველენი ევროპულ ანტიკვარებთან" (1929) და სხვ.).

1931 წელს ექვთიმეს გარდაეცვალა მეუღლე, ნინო პოლტორაცკაია, რომლისგანაც შვილი არ ჰყავდა. დარჩა მარტოხელა, უდიდეს გაჭირვებაში (მიწას ამუშავებდა და მოსავალი მოჰყავდა ლევილში, მერე ერთი თხა იყიდა და მისი რძით საზრდოობდა ეს უდიდესი პატრიოტი თავისი ქვეყნისა). მაინც არ ეპუებოდა ბედს და დაფოფინებდა საქართველოს ეროვნულ საუნჯეს, რომელიც სასამართლოს პარიზში გადაატანინა. მან დაუსაბუთა საფრანგეთის მთავრობას, რომ ეს განძი ეკუთვნოდა არა ხელისუფლებას, არამედ ქართულ სახელმწიფო თუ კერძო მუზეუმებს (კერძოს ხომ

დასავლეთში დიდ პატივს მიაგებენ, ჩვენგან განსხვავებით) და ეს განძი უნდა დაუბრუნდეს თავის კანონიერ პატრონს, ქართველ ხალხს და მის მუზეუმებს.

განსაკუთრებულად გაჭირდა განძის დაცვა მას შემდეგ, რაც გერმანიამ დაამარცხა საფრანგეთი 1940 წელს. და ფაშისტები პარიზში შეეიდნენ. გერმანელებმა გაიგეს ქართული განძის ამბავი, მაგრამ ექვთიმემ და ფრანგმა განძის ზედამხედველმა პიერ ჟოდონმა (ჩვენ მისი მადლიერიც უნდა ვიყოთ) ქართული განძი ბანკიდან გააპარეს და ვერსალის სასახლის ერთ ბნელ სარდაფში შეინახეს, ზემოდან კი ნაფოტები, ნაგავი და სამშენებლო მასალები დააყარეს. განძი გადარჩა.

1944 წლის დეკემბერში საფრანგეთიდან მოსკოვში ჩამოვიდა გენერალი დე გოლი. მან მოლაპარაკება გამართა სტალინთან და განძის თემასაც შეეხო. მხარეები შეთანხმდნენ, რომ განძს საქართველოში დააბრუნებდნენ.

1945 წლის 11 აპრილს პარიზიდან თბილისში გამოფრინდა სპეციალური თვითმფრინავი, რომელმაც ჩამოიტანა ძვირფასი ეროვნული რელიკვია და ჩამოიყვანა მისი მცველი და უდიდესი გულშემატკივარი ექვთიმე თაყაიშვილი. მას მაინც ელირსა ბედნიერება სამშობლოში დაბრუნებისა. იგი ძირს დაემხო და ქართულ მიწას აკოცა თბილისის აეროპორტში და შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „ახლა შემიძლია ვთქვა, რომ შევასრულე ჩემი ვალი სამშობლოს და ხალხის წინაშე“.

1945 წელს ექვთიმე კვლავ აირჩიეს თსუ პროფესორად, 1946 წელს კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ხალხი მას უყურებდა როგორც ეროვნულ გმირს. თუმცა კომუნისტური ხელისუფლება მას არ სწყალობდა და უშიშროება ფაქტიურად შინაპატიმრობაში ამყოფებდა. ხალხს, ახალგაზრდობას და მეცნიერებს მასთან ურთიერთობას უშლიდნენ და უთვალთვალებდნენ კიდეც. დიდხანს აღარც უცოცხლია. 1953 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა 90 წლის ასაკში. მის დაკრძალვას მხოლოდ ორმოცდაათამდე კაცი ესწრებოდა (არც არის გასაკვირი, ეშინოდა ხალხს!).

დიახაც რომ მთაწმინდაზე დაკრძალვის ღირსი იყო ექვთიმე თაყაიშვილი, მაგრამ ხელისუფლებამ მაშინ ეს არ ისურვა... თუმცა უკვდავებისთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს!

ზაქარია ფალიაშვილი

ზაქარია ფალიაშვილი — ქართული ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი და კლასიკოსი — იმ მარად დაუვიწყარი ქართველების რიგს მიეკუთვნება, რომლებმაც განუზომელი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის განვითარებაში.

ზაქარია ფალიაშვილი დაიბადა 1871 წლის 4(16) აგვისტოს ქუთაისში. მამა პეტრე ფალიაშვილი ეკლესიის გუნდის მომღერალი იყო, რამაც დიდი გავლენა მოახდინა შვილების მომავალზე. — ზაქარიას და-ძმებიც, მათ შორის ივანე (დაკრძალულია მთაწმინდაზე) და ლევანი (აგრეთვე მისი შვილი ვახტანგი) გამოჩენილი მუსიკოსები, კომპოზიტორები და დირიჟორები იყვნენ.

პატარა ზაქარია სწორედ უფროსი ძმის — ივანეს დახმარებით ეზიარა მუსიკას ქუთაისში, იგი სწავლობდა ფორტეპიანოზე და ორგანზე დაკვრას, მღეროდა ეკლესიის გუნდში.

1887 წლიდან ზაქარია თბილისში ჩამოვიდა და ლადო აღნიშვილის გუნდში დაიწყო სიმღერა, ხოლო 1891 წლიდან სწავლობდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში და ეუფლებოდა ვალტორნაზე დაკვრას, 1895-99 წლებში იგი მუსიკის თეორიულ დისციპლინებში მეცადინეობდა ნ. კლენოვსკის ხელმძღვანელობით.

1896 წლიდან ზაქარიამ დაიწყო ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერა და დამუშავება, შექმნა თავისი პირველი მუსიკალური ნაწარმოებები.

1900-1903 წლებში ზაქარია ფალიაშვილი სწავლობდა მოსკოვის კონსერვატორიაში, სადაც უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღო ს. ტანეევის ხელმძღვანელობით. აქვე მან ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა გუნდი და შართავდა ქართული ხალხური მუსიკის საღამოებს.

1903 წელს ზაქარია საქართველოში დაბრუნდა და დაიწყო ინტენსიური შემოქმედებითი, პედაგოგიური და საშემსრულებლო (ორგანისტი და დირიჟორი) მოღვაწეობა. იგი ასწავლიდა სამუსიკო სასწავლებელსა და ქართულ გიმნაზიაში, აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ფილარმონიული საზოგადოების" დაფუძნებაში (1905 წ.), ეაარსა გუნდი და ორკესტრი.

1908-17 წლებში ზაქარია სათავეში ედგა ამ საზოგადოების სამუსიკო სკოლას. ზაქარია ასევე აქტიური წევრი იყო „ქართულ ენაზე ოპერების გამმართველი საზოგადოებისა", დირიჟორობდა სპექტაკლებს.

1905 წელს მოსკოვში დაიბეჭდა ფალიაშვილის პირველი რომანსები „ახალ აღნაგო სულო", „ნანა, შვილო", რომელიც მიუძღვნა თავის ძვირფას მეგობარს იავნე ჯავახიშვილს.

ამავე პერიოდში შექმნა მან „მრავალჟამიერი" (1908), „ქართული ლიტურგია" (1910).

ფალიაშვილი განაგრძობდა ქართული ხალხური სიმღერების შეგროვებას მან თავი მოუყარა 300-მდე სიმღერას, დაამუშავა ისინი და გამოსცა 2 კრებული — „40 ქართული ხალხური სიმღერა" და „8 ქართული ხალხური სიმღერა" (1910წ.).

1910 წელს ზ. ფალიაშვილმა მუშაობა დაიწყო თავის უკვდავ ოპერაზე „აბესალომ და ეთერი", რომლის ნაწყვეტები შესრულდა 1913 წელს და ხალხის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

1919 წლის 21 თებერვალს დამოუკიდებელ საქართველოში ავტორის დირიჟორობით გაიმართა ამ ოპერის პრემიერა, რომელსაც არნახული წარმატება ხვდა წილად. ზაქარია აგრძელებდა აქტიურ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი

იყო თბილისის კონსერვატორიის პროფესორი (1919 წლიდან) და დირექტორი (1919, 1923, 1929-32 წ.წ.).

20-იან წლებში შექმნა მან ოპერები — „დაისი", რომლის პრემიერა გაიმართა 1923 წლის 19 დეკემბერს და „ლატავრა" (1927 წ., პრემიერა 1928 წლის 16 მარტს), „საზეიმო კანტატა" (1927წ.) და სხვ.

ზაქარია ფალიაშვილი გარდაიცვალა 1933 წლის 6 ოქტომბერს თბილისში. იგი დაკრძალულია მისივე სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის (მის სახელს ატარებს 1937 წლიდან) სკვერში.

თავისი ბრწყინვალე შემოქმედებით ზაქარია ფალიაშვილმა დაამსხვრია ჩვენი ქვეყნის ავისმოსურნეთა მიერ მაშინ გავრცელებული მითი, თითქოს ქართველ კაცს არ შეეძლოს ოპერის შექმნა. მისი შემოქმედება ქართული ეროვნული კულტურის უდიდესი განძი და მონაპოვარია. ზაქარია ფალიაშვილმა ფუძემდებლური როლი შეასრულა ქართული საკომპოზიტორო სკოლის ჩამოყალიბებაში, მისი ესთეტიკური პრინციპებისა და სტილური თავისებურებების ფორმირებაში. ფალიაშვილის საუკეთესო ქმნილებებით ქართველმა ერმა თავისი საპატიო წვლილი შეიტანა მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძურში. მისი შემოქმედება მაღალი იდეურობის, ეროვნულობისა და ხალხურობის ნიმუშია. ფალიაშვილი პირველი ქართველი კომპოზიტორი იყო, რომელმაც თავის ნაწარმოებებში განასახიერა მშობელი ხალხის სულიერი ძალა და მუსიკალური გენია. მან თავისი შემოქმედება ააგო ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის მხატვრული განზოგადებისა და მსოფლიო კლასიკური მუსიკის საუკეთესო ტრადიციებთან მისი შერწყმის საფუძველზე.

ზაქარია ფალიაშვილი ნოვატორი კომპოზიტორი იყო, რომელმაც გადაწყვიტა იმ დროის ქართული მუსიკის წინაშე მდგარი უმთავრესი პრობლემები, მოახდინა მისი პროფესიონალიზაცია.

იგი პირველი დაეუფლა მონუმენტურ მუსიკალურ ფორმას, შექმნა ეროვნული სტილის კლასიკური ნიმუშები.

ფალიაშვილის დიდ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოპერებს, რომლებიც ცოცხლად წარმოგვისა-

ხავს ისტორიული წარსულის ჰეროიკას, ხალხის ცხოვრების სურათებს, ეროვნული ეპოსის დიად სახეებს. მან შექმნა ქართული ოპერის 3 განსხვავებული ტიპი: მონუმენტური ოპერა-ტრაგედია „აბესალომ და ეთერი", ლირიკულ-დრამატული — „დაისი", გმირულ-პატრიოტული — „ლატავრა".

„აბესალომ და ეთერი" და „დაისი" მთელმა მუსიკალურმა მსოფლიომ აღიარა. „აბესალომ და ეთერი" გენიალური ოპერა და ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი მწვერვალია (მისი ლიბრეტო ხალხური თქმულების „ეთერიანის" საფუძველზე შეადგინა ა. მირიანაშვილმა).

ღრმა სოციალურ-ეთიკურმა იდეამ (სიყვარულის დიადი და ამაღლებული ძალა გადალახავს სოციალური უთანასწორობის ზღუდეს და ამარცხებს თვით სიკვდილს) განსაზღვრა ამ ოპერის მუსიკის ამაღლებულობა და მონუმენტურობა, მხატვრული სახეებისა და დრამატურგიის ეპიკური ხასიათი ხაზგასმულია საგუნდო მასობრივი სცენების სიჭარბითა და მოქმედების დინჯი განვითარებით. ოპერის მუსიკა გამსჭვალულია უდიდესი შინაგანი ექსპრესიითა და დინამიზმით. „აბესალომ და ეთერით" იხსნება ყოველი ახალი სეზონი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ეს ოპერა დაიდგა ხარკოვში (1931წ.), მოსკოვის დიდ თეატრში (1939, 1946 წ.წ.), პეტერბურგში (1972წ.), კიევში (1972წ.), ქუთაისში (1969წ.), პოლონეთში, ლოძში (1972წ.), გერმანიაში, საარბრუკენში (1974წ.), გამოცემულია ოპერის კლავირი და პარტიტურა, ოპერა ჩაწერილია გრამფირფიტაზე, გადაღებულია ფილმი.

მაღალმხატვრული მუსიკალური თვისებებით, მკაფიო ეროვნული ნიშნებით არის აღჭურვილი ზაქარია ფალიაშვილის მეორე ბრწყინვალე ოპერა „დაისი" (ლიბრეტო დაწერა ვალერიან გუნიამ), რომელმაც დასაბამი დაუდო ლირიკულ-დრამატულ ჟანრს ქართულ საოპერო მუსიკაში. მხატვრულ სახეთა სიმდიდრემ და ფერადოვნებამ, მუსიკის იშვიათმა პოეტურობამ და გამომსახველობამ, ნათელმა მელოდიურობამ განაპირობა ოპერის ისტორიული მნიშვნელობა და პოპულარობა. ამ ოპერაში შეხამებულია ლირიკულ-სატრფიალო და გმირულ-პატრიოტული მოტივები. „დაისი" დღემდე ასევე დიდი წარმატებით იდგმება თბილისის სა-

ოპერო თეატრის სცენაზე, დადგმულია მოსკოვში (1937წ.), კიევში (1938წ.), ალმა-ატაში (1943წ.), ბაქოში (1956წ.), სარატოვში, ოდესაში ნოვოსიბირსკში, ერევანში, საარბრიუკენში (1974წ.), პლზენში (ჩეხეთი, 1975წ.). გამოცემულია „დაისის" კლავირი და პარტიტურა, ოპერა ჩაწერილია გრამფირფიტაზე.

ზაქარია ფალიაშვილმა უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული მუსიკის განვითარებაზე. მის ოპერებზე აღიზარდა ქართველ მომღერალთა და მუსიკოსთა მთელი თაობები. 1971 წელს დაწესდა მისი სახელობის პრემია მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. ოპერისა და ბალეტის თეატრის გარდა, მისი სახელი ეწოდა სამუსიკო სასწავლებლებს, ქუჩებს თბილისში, მოსკოვსა და ქუთაისში. თბილისში და ქუთაისში გახსნილია მისი სახელობის სახლ-მუზეუმები.

არჩილ ჯორჯაძე

არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობა დღესაც უდიდეს ინტერესს იწვევს ქართველ საზოგადოებაში. იგი იყო ჩვენი ქვეყნის დიდი პატრიოტი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, მოაზროვნე, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი და სოციოლოგი. ა. ჯორჯაძე ძალზე ღრმად ჩასწვდა ქართულ სინამდვილეს. აი, რას სწერდა მას ივანე ჯავახიშვილი:

„თქვენ ეხებით ისეთს საყურადღებო და საგულისხმო საკითხებს, რომლის გათვალისწინება და ცოდნა ყოველ ქართველისათვის არის საჭირო და სახელმძღვანელოდ ექნება თანამედროვე საზოგადოებას.

თქვენის ნაწერებისა მე გულწრფელობა და პირუთვნელობა მომწონს, მიუდგომელი, ნამდვილის მეცნიერული მსჯელობა, მაგრამ ცივი და გულგრილი კი არა, არამედ მხურვალეს, შემატკივარ და თანამგრძნობ გულით დაწერილი. თქვენს გარდა, ჩვენში არავინ იკვლევს ჩვენი ერის საზოგადოებრივ და ეროვნულ მოძრაობის ისტორიას და თქვენი თხზულებები ამ მხრივ პირდაპირ დაუფასებელია.

სწორედ საჭირო იყო ამ საკითხს შეეხებოდნენ ჩვენ მწერლო-

ბაში, რომ ჩვენს თანამედროვე აზროვნებას და მსჯელობას მუდამ ღრმა საფუძვლიანობა ჰქონდეს და ხეალ არ დავიწყოთ ის, რაც გუშინ და გუშინწინ ნათქვამი და გაკეთებული იყო".

არჩილ ჯორჯაძე შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ მაინც ძალზე ბევრის გაკეთება მოასწრო თავისი ქვეყნისთვის.

იგი დაიბადა თბილისში 1872 წლის 10 იანვარს. მის მშობლებს მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰქონდათ — არჩილს ჰყავდა 4 და და ერთი ძმა. მამა კონსტანტინე ჯორჯაძე სახელმწიფო მოხელე იყო და 1870-იანი წლების დასაწყისში ოჯახით ქუთაისს გადავიდა სამუშაოდ და საცხოვრებლად.

1881-85 წლებში არჩილი სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. სწორედ მაშინ მის ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს: არჩილის ორი უფროსი და მოწამეთის მონასტრის ახლოს, წყალწითელაში ბანაობის დროს დაიხრჩვნენ. მალე არჩილს დაეღუპა მესამე დაც. ამის შემდეგ მის მშობლებს დიდხანს აღარ უცოცხლიათ. ბედმა ესეც არ აკმარა არჩილს და ის ერთი ძმაც მოუკლეს თბილისში ვიღაც მოხელესთან შეტაკების დროს.

1885 წლიდან ა. ჯორჯაძემ სწავლა განაგრძო თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. ობლად დარჩენილმა ახალგაზრდამ სწავლის დიდი წყურვილი და ნიჭი გამოავლინა და წარმატებით დაამთავრა გიმნაზია. იმავე 1892 წელს იგი უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგს გაემგზავრა და უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. არჩილის სუსტი ორგანიზმი ვერ შეეგუა პეტერბურგის მძიმე ჰავას (მას ჭლექი აღმოაჩნდა) და ცხოვრების რთულ პირობებს და ვარშავის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გადავიდა. როგორც კი გამოკეთდა, იგი კვლავ დაუბრუნდა პეტერბურგის უნივერსიტეტს, ოღონდ სწავლა განაგრძო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. აქ იგი ფილოსოფიის შესწავლას შეუდგა ცნობილ ვოლინსკის ფილოსოფიურ წრეში, სადაც მისი გიმნაზიელი მეგობრებიც (ზურაბ ავალიშვილი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი) იყვნენ გაერთიანებულნი. წელიწადნახევრის შემდეგ არჩილი კვლავ ავად გახდა და თავი დაანება უნივერსიტეტში სწავლას, გაემგზავრა საზღვარგარეთ და სწავლა განაგრძო პარიზ-

სა და ლონდონში. იქ იგი ტოლსტოის მიმდევართა კოლონიაშიც ცხოვრობდა, რადგან ამ დროს იგი გატაცებული იყო ტოლსტოის მოძღვრებით. არჩილი ახლოს გაეცნო აღორძინებულ კეაკერების მოძრაობასა და მოძღვრებას, აღწერა ყოველივე და დაბეჭდა რუსულ ჟურნალში „სევერნი ვესტნიკ“. ამ სტატიას დიდი ყურადღება მიაქცია ლევ ტოლსტოიმ და არჩილს დაავალა შეხვედროდა დუხობორებს უცხოეთში და ხელი შეეწყო ამერიკაში გადასახლებისათვის.

1900 წელს არჩილ ჯორჯაძე საქართველოში დაბრუნდა და 1901 წლიდან ახალდაარსებული გაზეთის „ცნობის ფურცელის“ თანამშრომელი და რედკოლეგიის წევრი გახდა. აქედან მოყოლებული გარდაცვალებამდე არჩილი შეუსვენებლივ იღწვოდა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

პოლიტიკური მოღვაწეობისადმი მიდრეკილება მან ჯერ კიდევ 1892-93 წლებში გამოამჟღავნა, როცა ნოე ჟორდანიასთან და სხვებთან ერთად ვარშავაში ჩამოაყალიბა იატაკქვეშა ორგანიზაცია „საქართველოს თავისუფლების ლიგა“, რომელიც მეფის ოხრანკამ დაშალა. 1900-იანი წლების დასაწყისში იგი გახდა საქართველოს სოციალისტურ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და ორგანიზატორი. 1901 წელს არჩილი აირჩიეს სოც-ფედერალისტული პარტიისა და მისი ბეჭდვითი ორგანოს გამოსაცემად შექმნილი კომიტეტის წევრად.

1902 წელს არჩილ ჯორჯაძე კვლავ საზღვარგარეთ ინგლისში მიდის. ინგლისიდან ა. ჯორჯაძე გაემგზავრა შვეიცარიაში და იქ განაგრძო სწავლა პოლიტიკურ და სოციოლოგიურ დისციპლინებში. იმავდროულად იგი პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა. მისი წინადადებით საფრანგეთში გამოდიოდა გაზეთი „საქართველო“ ქართულ და ფრანგულ ენებზე („ლა ჟეორჟი“)

1903-1905 წლებში ამ გაზეთს არჩილ ჯორჯაძე რედაქტორობდა გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად. გაზეთმა და მისმა ფრანგულმა დამატებამ ქართულ ეროვნულ მოძრაობას ევროპაში ბევრი თანამგრძნობი და გავლენიანი სახე შესძინა. არჩილ ჯორჯაძე იყო ქართველ რევოლუციონერთა I კონფერენციის მოწვევის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მომხსენებელი. კონფერენცია გაიმართა

1904 წელს ჟენევაში. მას ესწრებოდნენ: ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, სანდრო გაბუნია და კომანდო გოგელია.

არჩილ ჯორჯაძემ თავის თანამოაზრეებთან ერთად მოითხოვა მეფის რუსეთის პოლიტიკური ძალაუფლების დეცენტრალიზაცია, რუსეთის ფედერაციული მოწყობა და მიწის სოციალიზაციის დემოკრატიული პროგრამის განხორციელება. ამ ჯგუფმა არჩილის ინიციატივით პირველმა დააყენა საქართველოს ავტონომიის შექმნის მოთხოვნა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერის კონსოლიდაციისათვის.

ავადმყოფი არჩილ ჯორჯაძე 1905 წელს კვლავ სამშობლოში დაბრუნდა, რამაც კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მის ჯანმრთელობაზე. იგი კვლავ მძიმე პირობებში აგრძელებდა თავდადებულ შრომას. მას არასოდეს უმუშავია სახელმწიფო სამსახურში. იგი ჯერ კიდევ 1895 წელს წერდა თავის დას: „უნივერსიტეტი მე საკუთარი ხელებით შეგნებულად მივატოვე, ჩემივე ნებით, რადგან პრინციპული წინააღმდეგი ვარ სახელმწიფო სამსახურისა... რადგან არ მინდა ვიცხოვრო ბიუროკრატიული და ბურჟუაზიული ცხოვრებით, რომ არც მომიწიოს ჩემი სურვილების განხორციელება, მე მაინც ვამჯობინებ ცუდ ნივთიერ პირობებს, ვიდრე უზრუნველყოფილს, თუკი ეს უზრუნველყოფა საკუთარ სინდისთან კომპრომისისაკენ მომიწოდებდა“.

საქართველოში დაბრუნებული არჩილი მოღვაწეობდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელ კომიტეტში, თანამშრომლობდა გაზეთებში „ისარი“, „ამირანი“, „დროება“ და სხვ., სადაც აქვეყნებდა ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილებს. მალე გამოვიდა მისი სანიმუშო ნაშრომები „საშშობლო და მამულიშვილობა“, „მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“ (1909 წ.) და სხვ. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ფაქტიურად მომაკვდავმა არჩილ ჯორჯაძემ თავისი თხზულებების ოთხი ტომი გამოსცა (რომელიც უმალ გაიყიდა), მეხუთე კი მოამზადა (გამოვიდა მისი გარდაცვალების შემდეგ). ასევე სიკვდილის წინ დაწერა მონოგრაფია დიმიტრი ყიფიანზე, ჩაიფიქრებული ჰქონია ილია ჭავჭავაძეზეც, მაგრამ ვეღარ მოასწრო.

სიცოცხლის ბოლო თვეები მან ბათუმში, სასტუმრო „ფრანციაში“ გაატარა, სადაც იწვა სიკვდილშეყრილი მამულიშვილი. ბოლო წუთამდე არ მოშორებიან მისი მეგობრები. 1913 წლის 21 მარტს გარდაიცვალა ეს ნატანჯი და სამშობლოს სიყვარულში ჩაფერფლილი დიდი ქართველი. მისი ცხედარი სპეციალური მატარებლით წამოასვენეს ბათუმიდან და 25 მარტს თბილისში, დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. მის დასაფლავებას აუარებელი ხალხი ესწრებოდა ქვეყნის ყველა კუთხიდან. ცნობილი სოც.-ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილი იგონებდა, რომ „საოცარი იყო ამ ადამიანის ცხოვრება. მე ის გავიცანი 1901 წელს, მაშინ იყო 27-28 წლისა; მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ დაამთავრა სწავლა და ის იყო გამოვიდა სამწერლო და საპოლიტიკო ასპარეზზე, უკვე მაშინ იყო საშინელი სენით შეპყრობილი და 12 წლის განმავლობაში ჩემ თვალწინ იწვოდა, როგორც ლამპარი, საოცარი ძლიერი სულით ებრძოდა დავრდომილ სხეულს და ერთ წუთსაც არ გაუგდია კალამი ხელიდან, დიდი ნიჭის პატრონს, იშვიათი კეთილშობილებით აღვსილს“.

ტიციან ტაბიძე თავის ინტერმეცოში („პანაშვიდი“) წერდა, რომ „ჩემთვის სამახსოვროა ეს გაზაფხული... თავის სიცოცხლეში გულში საქართველოს ატარებდა, გარდაიცვალა და უსულო გვამმა საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეზე შუა გადაჭრა გზა, რომ საფლავთან ჩაეტანა გაცოცხლებული მიდამოს სუნი, ყვავილების საგაზაფხულო გაზმორება... ეს დღე იყო დღე ჩემი სისხლით ნათლიღებისა...“ არჩილის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ „ილია ჭავჭავაძის კულტურულ წრეში“ მოხსენება სათაურით „არჩილ ჯორჯაძის ფილოსოფიური შეხედულებანი“ გააკეთა გრიგოლ ვეშაპელმა. მან ორ პერიოდად დაპყო ჯორჯაძის ფილოსოფიურ შეხედულებათა ევოლუცია: 1901-1908 წ.წ., როცა მას ყოფიერების საზრისის რწმენა ჰქონდა და 1908-1911 წ.წ., როცა მისი ცნობიერება პესიმიზმმა და კაეშანმა მოიცვა.

კარგად თქვა ილია ნაკაშიძემ, რომ ჯორჯაძის ცხოვრება — ეს იყო ბრძოლა სიკვდილთან, როგორც ფიზიკურად, ასევე ფილოსოფიურადო.

არჩილ ჯორჯაძის დროსაც (დღევანდელივით) ქართველობა ახალი ცხოვრების დაწყების ხანაში იმყოფებოდა. არჩილი წერდა, რომ „ის, რითაც გვიცხოვრია, დაძველდა, გაცვდა და ახალი გზის ახალი იდეალის ძიებაში ვართ... ჩვენ დულილის ხანაში ვართ. ეს ჩვენი სინორჩე, გამოურკვევლობა, „დულილი", უნდა გვახარებდეს, გვამხნევებდეს, რადგან ყოველივე ეს სიცოცხლის მომასწავებელია; რადგან სიცოცხლე მოლოდინია, მოლოდინი და რწმენა კი დიდი ბედნიერებაა, მაგრამ მარტო მოლოდინით ვერ დავკმაყოფილდებით, ვითარება და ჩვენი მოლოდინი საქმეს გვავალებს, ეს საქმე უნდა იყოს ცოცხალი, ცხოვრებისეული, მსჯელობას მოქმედება მოჰყვეს, ცოცხალი, მარტივი მოქმედება, მაგრამ რას უნდა მივაქციოთ პირველ რიგში ყურადღება, რა უნდა იყოს ჩვენი პირველი საქმე? ამის გადაწყვეტა ძნელია, რადგან ჩვენში ბევრი რამაა გასაკეთებელი". ჯორჯაძე აუცილებლად მიიჩნევდა თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის შეთავსებას, რადგან ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელია. ის ასევე აუცილებლობად მიიჩნევდა აზროვნებისა და მოქმედების ახალი სტილის დანერგვას ქართულ მენტალიტეტში. იგი, ილიასაეით, „მოყვარეს პირში უხრახეო"-ს პრინციპს იყენებდა, როცა წერდა, რომ ქართველები „ზარმაცები ხართ, არამუყაითნი, დაუდევარნი, არამტკიცე, აპილპილდებით მოკლე ხნით და გამუდმებული შრომა კი გეზარებათ. გატაცებით მოკიდებთ საქმეს ხელს, ხოლო მალე დატოვებთ დაუმთავრებელს. ოცნებობთ, განყენებულის თეორიებით ცხოვრობთ და გავიწყდებათ, რომ ოცნება, თეორია და პრაქტიკული ცხოვრება ერთი არაა, გიყვართ პოლიტიკაზე ბაასი, მაღალი, დიდი საქმეები და არ ფიქრობთ, რომ სინამდვილე უფრო პატარა საქმეებისაგან შედგება და დიდი საქმე იმსხვრევა, როცა ნიადაგი არა აქვს მომზადებული პატარა, ყოველდღიური მუშაობით. ყველას მაღალი თანამდებობა, დიპლომი, ჩინი, სამსახური გინდათ მაშინ, როცა საჭიროა პატიოსანი, ბეჯითი, მხნე, უბრალო მუშაკი, შემომქმედი ქვეყნის სიმდიდრისა, ახალი კულტურის გამავრცელებელი, ცხოვრების გამაუმჯობესებელი".

ა. ჯორჯაძე, საკუთრივ სამართლიანად, მხარს უჭერდა საზოგა-

დოების თანდათანობითი ევოლუციის და სრულყოფის გზას. მისი აზრით ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება ქართულმა სახელმწიფომ (სამეფომ) შექმნა. დასუსტებული სახელმწიფოებრიობის პირობებში ქართული პოლიტიკა ცნიერებისა და დაუნდობლობის სფერო ხდება და ჩვენი ეროვნული თვითშემეცნებაც მის მსგავსად ძალადობისა და ამორალური პოლიტიკის დიდი დაღითაა აღბეჭდილი. თუმცა ღალატსა და ურთიერთდაპირისპირებას ერის ნიშან-თვისების სახე არ მიულია, რადგან მას ყოველთვის უპირისპირდება სამშობლოსადმი თავდადებისა და თავშეწირულობის ფენომენი, რომელსაც ღრმად პქონდა გამჯდარი ფესვები ერის პოლიტიკურ ცნობიერებაში და გაბზარულსა და დარღვეულ თვითშეგნებას აძლევდა გაძლიერებისა და აღორძინების საშუალებას.

არჩილ ჯორჯაძე ქართული ეროვნული იდეალების შემუშავების და განხორციელების საქმეში ცენტრალურ როლს აკისრებდა ინტელიგენციას. ერისადმი თავის სამსახურში ინტელიგენტი „სინდისიერი, სამართლიანი ცოდნით უნდა ეცადოს მის გაგონიერებას შესათვისებლად ცხოვრების „ევროპული ფორმირებისა".

ასევე ინტელიგენციას აკისრებდა მთავარ როლს ჯორჯაძე მის მიერ შემუშავებულ „საერთო მოქმედების ნიადაგის" თეორიის განხორციელების საქმეში (1901 წლის 21 მარტი. გაზეთი „ცნობის ფურცელი").

არჩილის აზრით, უდავოა, რომ ევროპაში მოკამათე დასები სხვადასხვა ქვეყანაში დგანან საერთო მოქმედების ნიადაგზე. დემოკრატიულ დაწესებულებათა შექმნისათვის საჭიროა ყველა პროგრესული პარტიის შეერთებული ძალა და ამ მიზნით საჭიროა კლასთა ბრძოლის სიმწვავის შესუსტება. ჯორჯაძე აკონკრეტებს, რომ საერთო ნიადაგზე დგომა არ ნიშნავს პარტიათა და სოციალურ ჯგუფთა შორის ყოველგვარ წინააღმდეგობათა მოხსნას. იგი გამოყოფს „სამ უმთავრესს საკითხს ჩვენი ცხოვრებისა, რომლის გარკვევაში ჩვენს მოპირისპირე დასებს საერთო მოქმედება შეუძლიათ: ა) ქართული ენის დაცვა, ბ) ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ) ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში დარჩენა" (ეს საკითხები დღესაც ისევე აქტუალურია საქართველოში — **ვ.შ.**).

მოგვიანებით იგი ამ პირობებს კიდევ ორს ამატებს: „1. ქართველი ინტელიგენცია უნდა განაგებდეს და აწარმოებდეს სახალხო-კულტურულ მოღვაწეობას. მან უნდა შეძლოს დააარსოს საკვირაო სკოლები, სახალხო ბიბლიოთეკები, თეატრები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, უხელმძღვანელოს შესაბამის ღონისძიებებს და 2. ქართული ინტელიგენცია აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ქალაქის თვითმმართველობაში“ 900-იანი წლების დასაწყისისათვის მას საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მძიმედ და უნუგეშოდ ეჩვენებოდა, იგი პესიმისტურად იყო განწყობილი, თუმცა სიმართლეს კი წერდა: „ქართველი ერი დაავადებულია, ქართველი საზოგადოების სახით საქმე გვაქვს „ავადმყოფ საზოგადოებასთან“. წერილებში „ჩვენი სატკივარი“, „გარდამავალი ხანა“ არჩილ ჯორჯაძე მიუთითებს, რომ ქართული საზოგადოება (დღევანდელივით — **ვ.შ.**) მომხმარებლური გახდა. მათ არაფერი აინტერესებთ პირადი ცხოვრების მოწყობისა და სენსაციების გარდა. ქვეყნის სატკივარზე ფიქრისთვის არ სცალიათ. სამაგიეროდ თვალი „ველო, იპო და ავროდრომებისაკენ“ უჭირავთ. ქართველები მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობენ — როგორ გაზარდონ საკუთარი შვილები ისე, რომ უზრუნველყოფილი იყვნენ კარგი ცხოვრებით, მთავრობის სამსახურით და ჯილდოებით... ეროვნული საქმე მივიწყებულია, მისდამი ინტერესი დაკარგულია... ყველას უნდა ცხოვრების სუფრაზე უდარდელად წამოსკუპება“.

არჩილ ჯორჯაძის აზრით ქართველ ერს თავისი თავი დიდი იდეალების განმახორციელებლად ჰქონდა წარმოდგენილი, საქართველო კი — დიდ მოვლენათა ასპარეზად. სინამდვილეში იდეალები ჩაკვდა და შეგვრჩა გაძარცვული, უსაზრისოდ გარინდებული ქართული სინამდვილე. „საქართველო სოციოლოგიური და სოციალისტური პრობლემების გასარკვევი ლაბორატორია გვეგონა, გამოირკვა, რომ ჩვენ პატარა ხალხი ვართ, შემდგარი მეცხვარეების, მევენახეებისა და მიწათმოქმედთაგან. აღმოჩნდა, რომ ქართველ ხალხს არც საძოვარი აქვს ცხვრისათვის და არც სახნავ-სათესები. ყველაფერი დაიკარგა, სხვა ერებმა მიითვისეს... დაღონებული და დასევდიანებული ვგრძნობთ, რომ ის, რასაც ვაკეთებთ,

ნამდვილი საქმე არაა და ის, რითაც ეცხოვრობთ, აზრს და მიზანს მოკლებულია... რომ საქართველო გახდა ოსების, სომხების და რუსების მიგრაციის სფერო, რის შედეგად განახევრდა ქართველი მოსახლეობა, რომ საქართველომ ვერაფერი დაუპირისპირა სომეხ ბურჟუაზიას, რომ ქართულ ენას აბუჩად იგდებენ თვით ქართველები და ცდილობენ თავიანთ შვილებს რუსულ (დღეს ამერიკულ — ვ.შ.) გიმნაზიებში ასწავლიან... როდესაც ერის განადგურების მოწმე ხდები, — პირველი აზრი, რომელიც უნდა დაიბადოს ამ ხალხის გულის სიღრმეში თავისი ვინაობის დასაცავად და შესანარჩუნებლად, არის საერთო აღორძინების და საერთო მოქმედების იდეა". ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში ინტელიგენციასთან ერთად არჩილ ჯორჯაძე უდიდეს როლს აკისრებდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას „რომელიც ისტორიულად იყო ძალა, რომელსაც შეეძლო ერი ეხსნა გადაგვარებისაგან და რომელიც მუდამ ჟამს მისი ინტერესების დაცვის სადარაჯოზე იდგა".

კოტე მარჯანიშვილი

ზოტე მარჯანიშვილი — ქართული თეატრის ჭეშმარიტი ბურჯი იყო. ამ უდიდესმა რეჟისორმა შორს გაუთქვა სახელი ჩვენს თეატრალურ ხელოვნებას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა ჩვენი ეროვნული სცენის ვარსკვლავთა მთელი პლეადა.

კოტე (კონსტანტინე) მარჯანიშვილი დაიბადა 1872 წლის 9 ივნისს კახეთში, სოფელ ყვარელში, ალექსანდრე მარჯანიშვილის ოჯახში.

პატარა კოტე მშობლებს თბილისის პირველ გიმნაზიაში შეუყვანიათ. თეატრით იგი სკოლის ასაკშივე დაინტერესებულა და მონაწილეობაც მიუღია სასკოლო წარმოდგენებში.

სცენაზე მოღვაწეობა მას მსახიობობით დაუწყია. აკაკი წერეთლის რეკომენდაციით იგი ჩაურიცხავთ ქუთაისის დრამატულ თეატრალურ დასში, რომელსაც კოტე მესხი ხელმძღვანელობდა.

1894 წლის 27 ნოემბერს შედგა მისი სამსახიობო დებიუტი თბილისის სცენაზე, სადაც შეასრულა ერეკლეს როლი აკაკი წერეთლის დრამატულ პოემაში „პატარა კახი“. დებიუტი არც ისე წარმატებული გამოდგა.

1897 წელს მარჯანიშვილი გაემგზავრა რუსეთში. მსახიობობდა ელიზავეტგრადში, ქერჩში, ბაქოში, ტაშკენტში, აშხაბადში, ტულაში, ლუგანსკსა და ვიატკაში (სადაც 1901 წელს დადგა ჩეხოვის „ძია ვანია“).

1904 წლიდან კოტე უკვე მოღვაწეობს როგორც მხოლოდ რეჟისორი და ამ სფეროში უდიდეს წარმატებებს აღწევს. მისი დებიუტი რეჟისურაში დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა: „გამარჯვებამ რეჟისურაში, თავმოწონებამ ოცდაათი წლის ახალგაზრდისა, რომელიც სრული ბატონ-პატრონია დიდი თეატრისა, საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემი სვე-ბედი. ამიერიდან მე მხოლოდ რეჟისორი ვარ“, — წერდა მარჯანიშვილი თავის მემუარებში.

1904-1906 წლებში იგი მიწვევით მუშაობდა რიგაში, კ. ნეზლობინის დრამატული დასის რეჟისორად. აქ მან დადგა მაქსიმ გორკის პიესა „მოაგარაკენი“. 1905 წელს რიგის თეატრი ამ სპექტაკლით მოსკოვში ჩავიდა გასტროლებზე. სპექტაკლს გრანდიოზული წარმატება ხვდა წილად და ყველამ აღიარა მარჯანიშვილის დიდი ტალანტი და ოსტატობა: „...ანტრაქტია — არაფერი მახსოვს — იგონებდა კოტე, — გამოწვევა, ოვაცია, ხელის ჩამორთმევა, კოცნა. გონს მოვედი მხოლოდ კაბინეტში, სადაც მოვიდნენ ჩემთან გასაცნობად სტანისლავსკი, ნემიროვიჩი, იუჟინი, აუარებელი მსახიობები, კრიტიკოსები... მოლოცვები, ქება და განცვიფრება, რომ პროვინციულმა თეატრმა შეძლო ეჩვენებინა მოსკოვისათვის ასეთი წარმოდგენა... წარმოდგენის შემდეგ მოულოდნელად ბანკეტი მოეწყო „პრალაში“... სწორედ ერთი წლის წინათ ყველასათვის უცნობი, ნახევრადმშიერი მსახიობი და დამწყები რეჟისორი დღეს იმავე მოსკოვში ვისმენდი პროფესორების, კრიტიკოსების, არტისტებისა და თეატრის ფასმდებელთაგან სადღეგრძელოებს და ქათინაურებს. არის ადამიანის ცხოვრებაში დიდებული დღეები! მოსკოვმა თითქოს მაღიარა მე!“

მოსკოვშივე გაეცნო იგი მაქსიმ გორკის, თავისებური მონაწილეობა მიიღო 1905 წლის რევოლუციაში: „მე გამალებით დავრბოდი მიტინგიდან მიტინგზე, — იგონებდა რეჟისორი, — გრიმსგრიმზე ვიცვლიდი და ყველგან მხურვალე სიტყვებით თვითმპყრობელობის ჩამოგდებისათვის მოვუწოდებდი ხალხს“.

კოტე მარჯანიშვილი რეჟისორად მუშაობდა ხარკოვის (1906-07წ.წ.), კიევის (1907-08წ.წ.), ოდესის (1908-09წ.წ.) დრამატულ დასებში. 1909 წლიდან იგი მოსკოვის კ. ნეზლობინის თეატრის რეჟისორი იყო.

ამ პერიოდში კოტე მარჯანიშვილი ალექსანდრე სუმბათაშვილთან ერთად აქტიურ დახმარებას უწევდა ქართველ დამწყებ რეჟისორებს ვ. შალიკაშვილს, ა. წუწუნავას და ვ. მჭედლიშვილს, რომლებიც მაშინ მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიაში სწავლობდნენ. მოსკოვში იგი მონაწილეობდა ქართული დრამატული სტუდიის შექმნაში.

1910-1913 წლებში კოტე მარჯანიშვილი მოღვაწეობდა მოსკოვის ცნობილ სამხატვრო თეატრში, სადაც დადგა სპექტაკლები: კნუტ ჰამსუნის „ცხოვრების ბრჭყალებში" (1911), ჰენრიკ იბსენის „პერ გიუნტი" (1912). მან ასევე მონაწილეობა მიიღო თეოდორე დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვებისა" და ჰ. კრეგის „ჰამლეტი"-ის დადგმაში (1910)

1913 წელს კ. მარჯანიშვილმა მოსკოვში დააარსა საკუთარი — „თავისუფალი თეატრი", სადაც მან თეატრალურ რუტინას დაუპირისპირა სინთეზური თეატრის პრინციპი. იგი ცდილობდა აღეზარდა ყოველმხრივ განვითარებული და უნივერსალური მსახიობი, რომელიც გამოვიდოდა ოპერაშიც, ოპერეტაშიც, დრამაშიც, პანტომიმაშიც. კ. მარჯანიშვილის აზრით თეატრი, როგორც მასებში ახალი იდეების გამავრცელებელი, შეიძლება იყოს „რეალისტური, რომანტიკული, სიმბოლური, ლირიკული, მხოლოდ მომაჯადოებელი, მხოლოდ დამათრობელი... მეცნიერების დედააზრი ისაა, რომ ადამიანს გაუადვილოს შრომა, ხალისიანი გახადოს იგი. ხელოვნების დედააზრი კი ისაა, რომ გაალამაზოს მისი დასვენება, დღესასწაული შეუქმნას მას. ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა — მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა".

ამიტომაცაა, რომ მარჯანიშვილის სპექტაკლები მეტწილად პოეტურ-რომანტიკული და ჰეროიკულია. ის იყო ადამიანის ცოცხალი სახეების დიდი მოქანდაკე. მან ცოტა მოგვიანებით ქართულ თეატრში დანერგა სპექტაკლების მუსიკალური და ქორეოგრაფიული გაფორმება.

„თავისუფალმა თეატრმა“ მხოლოდ ერთი წელი იარსება. კოტემ აქ დადგა მ. მუსორგსკის ოპერა „სოროჩინცის ბაზრობა“, ჟაკ ოფენბახის ოპერეტა „მშვენიერი ელენე“, შნიცლერ-დონანის პანტომიმა „პიერეტას საბურველი“ და სხვ.

1914-1918 წლებში იგი ხელმძღვანელობდა თეატრებს დონის როსტოვსა და პეტროგრადში.

1919 წელს კიევში, სოლოვცოვის თეატრში კოტე მარჯანიშვილმა დადგა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ (ფუენტო ოვეხუნა), რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

1920 წელს კ. მარჯანიშვილმა პეტროგრადში დააარსა ოპერის თეატრი, სადაც განახორციელა ძალზე საინტერესო დადგმები.

1922 წელს კოტე მარჯანიშვილი საქართველოში დაბრუნდა და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ თეატრს. მან სათუთად შემოინახა ძველი ქართული თეატრის დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციები, გაამდიდრა ისინი ახალი იდეებით და დადგმებით. კოტემ მოახდინა თეატრის რეორგანიზაცია და უკვე 1922 წლის 25 ნოემბერს დადგა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“. სპექტაკლმა უდიდესი წარმატება მოიპოვა, საზოგადოება აღფრთოვანებას ვერ მალავდა.

1922-26 წლებში მარჯანიშვილი სათავეში ედგა რუსთაველის თეატრს, სადაც მან დადგა მთელი რიგი სპექტაკლებისა: ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“ (1923), გ. ერისთავის „გაყრა“ (1923), ჟ. მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“ (1924წ., მ. ქორელთან ერთად), უ. შექსპირის „უინძორელი ცელქი ქალები“ (1924), „ჰამლეტი“ (1925) და სხვ.

კოტე მარჯანიშვილი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი კინორეჟისორიც. 1924-1928 წლებში ის მოღვაწეობდა ქართულ კინოში და გადაიღო ფილმები: „ქარიშხლის წინ“ (1924), „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1924), „ამოკი“ (1927), „კრაზანა“ (1928), „კომუნარის ჩიბუხი“ (1929), „გოგი რატიანი“ და ა.შ.

1928 წელს მარჯანიშვილი სამუშაოდ გადავიდა ქუთაისში, სადაც დაარსება ახალი დრამატული თეატრი (მას ერქვა მეორე სახელმწიფო თეატრი), რომელიც მალე დიდების მწვერვალზე აიყვანა. ამ თეატრს იგი სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობ-

და (გარდაცვალების შემდეგ თეატრს მისი სახელი მიენიჭა და ატარებს დღემდე). ორი წლის შემდეგ თბილისში, ხარკოვში და მოსკოვში დიდი წარმატებით ჩატარებული გასტროლების შემდეგ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დადგენილებით, თეატრი თბილისში გადმოვიდა და აქ დაფუძნდა. ამ თეატრში კ. მარჯანიშვილმა დადგა: ე. ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ (1928), ბ. შოუს „წმინდა ქალწული“ (1928), ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“ (1928), შ. დადიანის „კაკალ გულში“ (1928), კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ (1929), პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ (1929), გ. ბუხნიკაშვილის „კი მაგრამ...“ (1930), პ. შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“ (1930), ი. ოლეშას „სამი ბღენძი“ (1931), კ. კალაძის „სახლი მტკვრის პირას“ (1931), ა. აფინოგენოვის „შიში (1932), უ. შექსპირის „ოტელო“ (1932), ზ. ანტონოვის „შხის დაბნელება საქართველოში“ (1933) და სხვ.

ათი წლის განმავლობაში კოტე მარჯანიშვილმა ააღორძინა და ფეხზე დააყენა ახალი ქართული თეატრი. მისი, როგორც რეჟისორის, უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდნენ ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავები: უშანგი ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, თამარ ჭავჭავაძე, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, შალვა ღამბაშიძე, სერგო ზაქარიაძე, სესილია თაყაიშვილი, გიორგი შავგულიძე, აკაკი კვანტალიანი, ვასო გოძიაშვილი, პიერ კობახიძე და სხვები.

კ. მარჯანიშვილმა მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ქართულ საოპერო ხელოვნებასაც. მან თბილისის საოპერო სცენაზე დადგა სპექტაკლები: რ. ვაგნერის „ლოენგრინი“ (1924), დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (1923), ზაქარია ფალიაშვილის „დაისი“ (1924), ჯ. როსინის „ვილპელმ ტელი“ (1931).

პარალელურად მან მოსკოვში, მიწვევით, მცირე თეატრის სცენაზე დადგა ფ. შილერის „დონ-კარლოსი“ (1933), მოსკოვის ოპერეტის თეატრში კი — ი. შტრაუსის ოპერა „ღამურა“ (1933).

თბილისში დაბრუნება ვეღარც მოასწრო — მოსკოვში გარდაიცვალა 1933 წლის 17 აპრილს. აქვე მოხდა მისი ნეშტის კრემაცია. თბილისში ჩამოასვენეს ურნა მისი ფერფლით და 29 აპრილს თბილისში, ჯერ ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში დაკრძა-

ლეს, მოგვიანებით კი — 1964 წლის 24 ნოემბერს მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს.

(კოტე მარჯანიშვილის ვაჟი, კონსტანტინე მარჯანიშვილი იყო ცნობილი მათემატიკოსი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში (1981 წ.).

კოტე მარჯანიშვილმა მართლაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული თეატრის ისტორიაში. მის მიერ დაარსებული თეატრი (მისივე სახელობის) დღესაც ქართული თეატრალური ხელოვნების ავანგარდში დგას.

თეატრალურმა საზოგადოებამ დააწესა კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია, რომელიც ენიჭებათ გამოჩენილ მსახიობებს, რეჟისორებსა და თეატრმცოდნეებს.



შალვა დადიანი

შალვა დადიანი იყო გამოჩენილი ქართველი მწერალი, მთარგმნელი, დრამატურგი, მსახიობი, რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე. პოეტი ი. გრიშაშვილი ამ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის შესახებ წერდა: „ქართული კულტურის რომელი დარგიც არ უნდა დავასახელოთ, შალვა დადიანი, როგორც სამფერა ძაფი, ნაზად ექსოვება ჩვენს ეროვნულ ხალიჩას“.

შ. დადიანი დაიბადა 1874 წლის 9 მაისს დაბა ზესტაფონში, დედისეულ ოჯახში. მამა — ცნობილი მწერალი, ისტორიკოსი, ასტრონომი და ექიმი ნიკო დადიანი XIX საუკუნის თვალსაჩინო პიროვნება გახლდათ. მისი ლექსები, წერილები და თარგმანები იბეჭდებოდა XIX საუკუნის 60-90 წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „მოამბე“ და სხვ.). იგი თერგდალეულთა თანამოაზრე იყო. 1881 წელს იგი ი. ჭავჭავაძესთან, ი. მაჩაბელთან, გ. ორბელიანთან და სხვებთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი პირველი კომისიის წევრი იყო. მის „არჩილურ შვიდთავში“ (გამოვიდა სათაურით „საამდროო გამოცანები“, 1897წ.) ლექსად დახასიათებულნი არიან XIX საუკუნის ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მას

ეკუთვნის ბელეტრისტული, დრამატული და ისტორიული თხზულებები, აგრეთვე შექსპირის, ხოსე მარია ერედიას, თ. სოლოგუბისა და სხვათა თარგმანები.

პატარა შალვამ ბავშვობის წლები გატარა სოფლებში — ბერთემსა და რგანში, აგრეთვე ხაშურის რაიონის სოფ. ცხრამუხაში, სადაც ხშირად ჩაპყავდათ ნათესავ აბაშიძეებთან.

4 წლის იყო შალვა, დედა რომ გარდაეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ როგორც თავადიშვილს, მას პყავდა ძიძა და მორდუ, ბავშვის აღზრდა მამამ იკისრა. ისინი ერთხანს სოფ. ბერთემში (სენაკის რაიონშია) მდინარე ტეხურის პირას ცხოვრობდნენ, სადაც პატარა შალვამ შეითვისა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, მიწაზე მუშაობა, ხვნა-თესვა.

შალვა დადიანს კლასიკური განათლება არ მიუღია, იგი ოჯახში, შინგანსწავლული კაცი იყო. მოგვიანებით, თავის მოგონებათა წიგნში „რაც გამახსენდა“ იგი წერდა: „სრულიად უსწავლელი კაცი ვარ! ე.ი. არ მიმიღია არავითარი სისტემატური სწავლა-განათლება და არც არასოდეს სკოლაში არ ვყოფილვარ... 4 წლის ვიყავ, რომ წიგნიერი გავხდი და ისიც შინაობაში... რატომ დავრჩი უსწავლელი, ანუ უკეთ, რატომ დამტოვა მამაჩემმა უსწავლელი? მამა ზოგჯერ თავის ხარჯითაც კი საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში აგზავნიდა სხვა ყმაწვილებს, შორეულებს თუ ახლობლებს, მეგობრები უძრახავდნენ — შენს შვილს რად არ ასწავლიო. მამა კი იმას იმიზეზებდა, რომ დღეინდელი ჩვენი სკოლა (ცარიზმის დროის) ტვინს ულაყებს ბავშვებს, განსაკუთრებით ბერძნულისა და ლათინურის ენის გაკვეთილებით და საერთოდაც ეს სკოლები დღეს უფრო რუსიფიკატორულია, რათა ახალგაზრდობისაგან კარგი მოხელეები, ჩინოვნიკები გამოიყვანონო.

რაც თავი მახსოვს, მამა სულ ევროპისაკენ მიისწრაფოდა. უნდა ემოგზაურა ევროპაში და ჩვენც, თავისი შვილები, და-ძმანი თან წავეყვანეთ, რომ გავცნობოდით იქაური კულტურის დონეს და შემდეგ, სამშობლოში დაბრუნებულებს, ჩვენი მოწოდებისამებრ აგვერჩია რომელიმე დარგი სამუშაოდ და ხალხის საკეთილდღეოდ“.

შალვა დადიანის გადმოცემით, მამის სახლში ილიას და აკა-

კის კულტი იყო გამეფებული. ბანძაში, მამიდა ნინოსთან ყოფნის დროს იგი პირველად შეხვდა დიდ ილიას, რომელიც პირველად იყო ჩამოსული სამეგრელოში — „და, აი, აქ იყო, რომ პირველ დაირხა ილიას შესამჩნევი ფრაზა: სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავო“ — იგონებს შალვა დადიანი.

მეორედ თხუთმეტი წლის იყო შალვა, ილიას შინ რომ ესტუმრა მამის დავალებით. მესამედ კი თბილისში, ბანკის კრებაზე უნახავს, როცა ილია და ვანო მაჩაბელი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

1892 წელს დადიანების ოჯახი საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდა. მათი სახლი კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად იქცა. 1896 წელს შალვამ გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე მეოთხედ ნახა ილია ჭავჭავაძე, სადაც მან ბრწყინვალე ორატორული სიტყვა წარმოთქვა.

პატარა შალვას და მის დას მაშოს მამამ ბავშვობიდანვე შეაყვარა მუსიკა, ცეკვა, თეატრი. იგი ასევე გატაცებული იყო მწერლობით, თარგმნით. 1892 წელს შ. დადიანმა გამოსცა ლექსების პირველი კრებული „ნაპერწკალი“.

1893 წლის 3 მარტს 19 წლის შალვა დადიანმა მონაწილეობა მიიღო კოტე მესხის რეჟისორობით დადგმულ სპექტაკლში „მარგარიტა გოტიე“, რომელიც მანვე თაგრმნა. „ქუჯის“ ფსევდონიმით ნათამაშევ მის პირველ როლს მაინცდამაინც დიდი მოწონება არ დაუმსახურებია.

1896 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა შალვა დადიანის მოთხრობა „წმინდა ცრემლები“. ამავე წელს შალვას მამა გარდაეცვალა, რამაც აიძულა დამოუკიდებელი ცხოვრება დაეწყო. 1903 წელს ახლად დაოჯახებული შალვა (მან ცოლად შეირთო მსახიობი ელ. ანდრონიკაშვილი), ქუთაისის თეატრის მსახიობი, უმაღლესი განათლების მისაღებად რუსეთს გაემგზავრა და მოსკოვში ჩავიდა. აქ იგი შეხვდა ქართველ სტუდენტებს და ქართული სათვისტომოს წევრიც გახდა, გაეცნო მოსკოვის თეატრალურ ცხოვრებას, ცნობილ თეატრალურ მოღვაწეს ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინს, მოსკოვის სამხატვრო თეატრს. მან ვერ შეძლო უმაღლესში ჩაბარება ატესტატის უქონლობის გამო და კვლავ ქუთაისში დაბრუნდა. შალვამ მოღვაწეობა გააგრძელა ქუთაისის თე-

ატრში, ლადო მესხიშვილის დასში. „ქართულმა თეატრმა გამიწია უნივერსიტეტის მაგივრობა. ჩემი საზოგადო აზროვნებაც აქ, ამ ატმოსფეროში მომწიფდა. ბევრი რამ შემძინა დრამატულმა რეპერტუარმა და სასცენო ოსტატობამ. ცხოვრება კი კარგად გამაცნო ადამიანების ერთი-მეორესთან დამოკიდებულებამ და ქართული თეატრის ყოველდღიურმა ჭირ-ვარამმა. ბევრი რამ შევიძინე როგორც ჩვენი კორიფეებისაგან, ისე დასის რიგითი წევრებიდანაც“ — წერდა იგი.

1908 წელს შალვა დადიანმა ჩამოაყალიბა მოგზაური დასი და შემოიარა საქართველო, იყო ბაქოში, ნოვოროსიისკში. მოგვიანებით მან დააარსა თეატრები ბათუმსა და სოხუმში.

მაშინდელი ქართული თეატრის რეპერტუარი საკმაოდ ღარიბი იყო, ქართველი დრამატურგები თითებზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. შალვამ ბედი სცადა დრამატურგიაში და წარმატებას მიაღწია. მის კალამს ეკუთვნის 20-მდე ორიგინალური და გადმოქეთებული დრამატული ნაწარმოები, მათ შორის „მღვიმეში“, „როს ნადიმობდნენ“, „შენი ჭირი მე“, „გუშინდელნი“, „კაკალ გულში“, „ნაპერწკლიდან“, „თეთნულდი“ და სხვა. იგი თავის ნაწარმოებებს ბეჭდავდა გაზეთებში „ცნობის ფურცელი“, „საქართველო“, „კავკასიონი“ და სხვ.

შალვა დადიანი კომედიური ჟანრის ფუძემდებელია ქართულ დრამატურგიაში. იგი ასევე ავტორია პირველი ქართული ისტორიული რომანისა „სვეუბედური რუსი“ (1916-26 წ.წ.). მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე დიდი ეპიკური ტილოები „ურდუმი“, რომანი „გვირგვლიანების ოჯახი“ (1954წ.წ.), აგრეთვე მოგონებათა წიგნი „რაც გამახსენდა“, უამრავი მოთხრობა, ნოველა, ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილი.

შალვა დადიანმა თარგმნა შექსპირის, შილერის, ბაირონის, პაუტმანის, პოფმან-სტალის, ლ. ანდრეევისა და სხვ. პიესები. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მსახიობთა კავშირს, იყო საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე (1950-59წ.წ.), ქართული კულტურის სახლის ხელმძღვანელი მოსკოვში, ქართული დრამატული სტუდიის თავმჯდომარე.

შალვა დადიანი მოღვაწეობდა ასევე ქართულ კინოხელოვნებაში. მან დაწერა კინოსცენარები: „ვეფხისტყაოსანი“, „მოძღვარი“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“, „ნიკო და ნიკორა“.

ქართულ თეატრში და კინოში დადიანმა 200-მდე როლი შეასრულა.

1923 წელს შალვა დადიანს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი რეჟისორული მოღვაწეობა და მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობა.

1959 წლის მაისში უნდა აღენიშნათ შალვა დადიანის 85 წლის იუბილე, მაგრამ მხცოვანი მწერალი ამას ველარ მოესწრო — იგი გარდაიცვალა 1959 წლის 15 მარტს — გალაკტიონის სიკვდილამდე ორი დღით ადრე. შ. დადიანი დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ივანე ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილს — ამ უდიდეს ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, თუნდაც რომ სხვა არაფერი გაეკეთებინა თავისი ქვეყნისთვის, მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებით მოიპოვებდა უკვდავებას.

ი. ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 (23) აპრილს თბილისში, პედაგოგ ალექსანდრე ჯავახიშვილისა და თამარ ვახვახიშვილის ოჯახში. ჰყავდა ერთი და და ოთხი ძმა, წარმოშობით იყვნენ ხოვლედან (კასპის რ-ნი).

ჯავახიშვილების ფეოდალური საგვარეულო წარმოდგება თორელთა ძირითადი განშტოებიდან (თორელთა ერთ შტოს ეკუთვნოდა შოთა რუსთაველიც), რომელიც XII საუკუნეში დამკვიდრდა შიდა ქართლში და შექმნა იქ თავისი საფეოდალო (XV საუკუნიდან სათავადო) საჯავახიანო. გვარის დამფუძნებელი იყო XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე ჯავახ თორელი (შემდგომში აღიკვეცა ბერად სვიმონის სახელით იერუსალიმის ჯვრის მონასტერში).

10 წლის ივანე თბილისის მესამე გიმნაზიაში შეიყვანეს, საიდანაც შემდეგ გადავიდა პირველ გიმნაზიაში. ყმაწვილს განსაკუთრებული ინტერესი და მონდომება გამოუჩენია ჰუმანიტარული საგნების შესწავლისას. ასევე გამორჩეული ნიჭი ჰქონია მუსიკასა და მხატვრობაში. არდადეგებს ყოველთვის სოფ. ხოვლეში ატარებდა, მეგობრებთან ერთად აწყობდა დისკუსიებს, არქეოლოგიურ

ექსპედიციებს, საქველმოქმედო წარმოდგენებს, სხეულსაც იკაჟებდა და ფიზიკურადაც მუშაობდა.

1895 წელს წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია და ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი.

1898 წელს ივანე გერმანიაში გაემგზავრა და მთელი ზაფხული იქ დაჰყო. სწავლობდა გერმანულ ენას და იმავდროულად ეწეოდა მეცნიერულ კვლევას. გერმანიიდან დაბრუნებულმა ივანე ჯავახიშვილმა მონაწილეობა მიიღო კონკურსში და ოქროს მედალიც დაიმსახურა გამოკვლევისათვის „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ 1899 წელს რუსულად თარგმნა და დაბეჭდა „სიბრძნე ბალავარისა“.

1899 წელს ივანე ჯავახიშვილმა პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ ენათაგანყოფილება და იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ივანეს სტუდენტობიდანვე დაუწყია ფიქრი საქართველოში უმაღლესი განათლების კერის უნივერსიტეტის დაარსებაზე (1900 წლის 14 ოქტომბერს დიდი ქართველის, ნიკო ცხვედაძის ინიციატივით საძირკველი ჩაეყარა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობას. დაიწერა კიდეც მაშინდელ „ივერიაში“: ეს შენობა „ისეთი დიადი რამ იქნება, რომ უნივერსიტეტსაც კი დაიტევს ღვთით!“. იგი 1906 წლის 30 ოქტომბერს გაიხსნა).

ზაფხულში არდადეგებზე თბილისში ჩამოსული ივანე მოიწამლა ფუნთუშით და ძლივს გადარჩა. ამის გამო მთელი ცხოვრება მკაცრ დიეტაზე მოუწია ყოფნა.

1901 წლის 27 იანვარს წარმატებით ჩაბარებული გამოცდების შემდეგ, მას მიენიჭა „ქართული სიტყვიერების მაგისტრის“ წოდება. ამავე წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის წარდგინებით მიავლინეს ბერლინის უნივერსიტეტში ცნობილ პროფესორთან პარნაკთან, რომელთანაც ახლო მეგობრული და სამეცნიერო ურთიერთობანი ჩამოუყალიბდა. ივანემ მას გერმანულად უთარგმნა „ევსტათი მცხეთელის ცხოვრება“, გამოკვლევაც დაურთო პარნაკთან ერთად და გამოაქვეყნა კიდეც. შემდეგ კარლ შულცემ ივა-

ნეს დახმარებით ქართულიდან თარგმნა „აბო ტფილელის წამება“, რომელიც ასევე დაიბეჭდა ჰარნაკის სერიაში „ტექსტები და გამოკვლევები“.

1902 წლის აპრილში ივანე ჯავახიშვილი გერმანიიდან დაბრუნდა და იმავე თვეში თავის მასწავლებელთან ნიკო მართან ერთად გაემგზავრა სინას მთაზე. სამი თვის თავაუღებელი მუშაობის შემდეგ მათ მოიძიეს ქართული ხელნაწერები, დაალაგეს და აღრიცხეს ისინი, კატალოგები შეადგინეს და ცალკე პირებიც გადაიღეს მომავალი კვლევა-ძიებისათვის.

1903 წლის 1 იანვრიდან ივანე ჯავახიშვილს პრივატ-დოცენტის წოდება მიანიჭეს. იგი ლექციებს კითხულობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, ხოლო ზაფხულობით საქართველოში ჩამოდიოდა და საჯარო ლექციებს ატარებდა თბილისში ამა თუ იმ აქტუალურ საისტორიო საკითხებზე.

1906 წელს პეტერბურგში ივანემ ცოლად მოიყვანა ანასტასია ნიკოლოზის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი, რომლისგანაც შეეძინა სამი შვილი - ნათელა, კახაბერი და ალექსანდრე.

1905-1906 წლებში ი.ჯავახიშვილი აქვეყნებს თავის ორ ნაშრომს „სახელმწიფოებრივი წყობილება ძველ საქართველოსა და ძველ სომხეთში“ და „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XX საუკუნის საქართველოში“.

1907 წლის 13 მაისს წარმატებით დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია პეტერბურგის უნივერსიტეტში თემაზე: „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“.

ამავე წელს, ივანე აყალიბებს პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართულ სამეცნიერო წრეს, რომელშიც გაერთიანდა მომავალ „უნივერსიტეტელთა“ დიდი უმრავლესობა. 1907 წლიდან ექვთიმე თაყაიშვილის თხოვნით ივანე ხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი (1921 წლიდან კი თავმჯდომარე).

ივანე ჯავახიშვილი წინააღმდეგი იყო ე.წ. „ურა-პატრიოტიზმისა“ და თავის გამოკვლევებს წერდა მხოლოდ რეალურ-ფაქტობრივ მასალებსა და წყაროებზე დაყრდნობით. იგი გადაჭრით ებრძოდა მშობლიური ისტორიის „ადვოკატურ გამოსარჩლებას“ და ამ მიმართებით არ დაერიდა ისეთ დიდ აუტორიტეტსაც კი, რო-

გორიც იაკობ გოგებაშვილი გახლდათ.

1906 წლიდან „იკერიაში“ დაიწყო ბეჭდვა, ხოლო 1907 წელს ცალკე წიგნად გამოსცა პირველი დიდი მონოგრაფია „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“.

1908 წლიდან ი. ჯავახიშვილმა გამოსცა თავისი მთავარი სამეცნიერო ნაშრომის „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომი (სულ გამოვიდა 5 ტომი). ამასთან, იგი ბევრს ზრუნავდა ქართული მუსიკალური ხელოვნების შესწავლასა და მოვლა-განვითარებაზე. თავის უახლოეს მეგობარ ზაქარია ფალიაშვილთან და მომღერალ კავსაძეებთან ერთად იწერდა ქართლის ტრადიციულ, მრავალხმიან ხალხურ სიმღერებს (მაგ. ზაქარიამ ხოვლეში ჩაიწერა სახელგანთქმული ცეკვა „ქართული“).

1916 წელს ი.ჯავახიშვილი აქვეყნებს ახალ დიდმნიშვნელოვან მონოგრაფიას „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა“, რომელიც გახდა ქართული წყაროთმცოდნეობის ფუძემდებლური ნაშრომი. იგი გამოიცა ოთხ წიგნად: 1. V-XVIII საუკუნეების ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (1916წ.); 2. ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია (1925წ.); 3. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია (1926წ.); 4. ქართული სიგელთმცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა (1925წ.).

ივანე ჯავახიშვილმა პირველმა შეაფასა სწორად და კრიტიკულად ქართული ისტორიული წყაროები, ღრმა, მეცნიერული შესწავლის საფუძველზე ნათელყო, თუ რა იყო მისაღები და რა - უარსაყოფი. ეს მან დაადგინა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ნახევრად ოფიციალური კრებულია და მისი ავტორები ხშირად მეფეთა ინტერესებს გამოხატავდნენ. ივანემ აუცილებლად მიიჩნია საქართველოს ისტორიის შესწავლა სხვა ქვეყნებისა და ხალხების ისტორიასთან მიმართებაში. მანვე აღმოაჩინა და შეაფასა მანამდე უცნობი წყაროები („ქართლის ცხოვრების“ ანასეული და ჭალაშვილისეული ნუსხები და სხვ.) ქართული სიგელმცოდნეობის შესწავლით ი. ჯავახიშვილმა შექმნა ისტორიის დამხმარე ახალი დარგი - ქართული დიპლომატიკა.

ივანემ საგანგებოდ შეისწავლა ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, პირველი წიგნი გამოიცა 1935 წელს), რითაც მნიშვნე-

ლოვანი ღვაწლი დასდო სომხურ ისტორიოგრაფიასაც.

1919 წელს ი.ჯავახიშვილმა გამოსცა ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით", სადაც საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ამომწურავადაა გაშუქებული.

დიდია ივანეს ღვაწლი და ამაგი ქართული სამართლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც. მან საგანგებოდ შეისწავლა მეფის უფლებების ისტორია საქართველოში, ძველი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობა, ვაზირთა უფლებამოვალეობანი, შექმნა კაპიტალური ნაშრომი „ქართული სამართლის ისტორია" (I წიგნი გამოქვეყნდა 1919 წელს) 4 წიგნად. მანვე საფუძვლიანად გამოიკვლია მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, შექმნა „ქართული მუსიკის ისტორია". მისი გარდაცვალების შემდეგ 1943 წელს ს.ჯანაშიასთან ერთად გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, რომელსაც 1947 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა და რომლითაც აღიზარდნენ მთელი თაობები საქართველოში.

ივანეს ინიციატივითა და ხელმძღვანელობით იქნა შეკრებილი ქართული შინამრეწველობის მდიდარი ლექსიკური მასალა, რომელიც 3 წიგნად გამოიცა 1976-86 წლებში. მან უდიდესი ამაგი დასდო ქართული კულტურის ძეგლების დაცვის საქმეს, ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას, სხვადასხვა ტაძრებში დაცული ფრესკების გადმოღებას. მისი თაოსნობით დაარსდა საქართველოს მუზეუმში საისტორიო განყოფილება, მისივე უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო „ეფეხისტყაოსნის" 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა.

ივანე ჯავახიშვილმა, ქართველ მკვლევართაგან პირველმა, გამოიყენა არქეოლოგიური შემკვიდრეობა მეცნიერულად. მისი თაოსნობითა და ხელმძღვანელობით გაითხარა არაერთი ისტორიული ძეგლი (მაგ. არმაზი და სხვ.). ივანემ პირველმა დაასაბუთა ქართველური ენების მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან როგორც სტრუქტურული, ისე თვისებრივი ერთიანობა ძირითადი გრამატიკული კატეგორიისა და ლექსიკის მიხედვით, მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია ამ ენათა შესწავლაში და ნიადაგი შეუმზადა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ჩამოყალიბებას. მანვე 3

წიგნად დაწერილ „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში“ საგანგებოდ გამოიკვლია სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა-ხელოსნობის ზოგიერთი დარგი ძველ საქართველოში, სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობა და შემოსავალი და ა.შ. ერთი სიტყვით, რომელ სფეროსაც შეეხო, ყველგან თავისი მაღლიანი სიტყვა თქვა ამ დიდმა ადამიანმა.

მაგრამ მთავარი მაინც უნივერსიტეტის საქმე იყო და ისიც ბოლომდე მიიყვანა.

1917 წელს პეტერბურგში მომხდარმა თებერვლის რევოლუციამ შესაძლებლობა მისცა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებს, ეზრუნათ თავიანთ კულტურულ განვითარებაზე. უკვე 1 მარტს პეტერბურგში, ივ.ჯავახიშვილის ბინაში თავი მოიყარეს ი.ყიფშიძემ, შ.ნუცუბიძემ, ა.შანიძემ, ს.ლომიძემ, ს.ყაუხჩიშვილმა და სხვებმა. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ საქართველოში დაწყებულიყო სახალხო მოძრაობა უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების კერის მოთხოვნით. პარალელურად მოთხოვნა რუსეთის დროებითი მთავრობის წინაშე უნდა დასმულიყო უნივერსიტეტის დაარსების ნებართვის მიღების საკითხი. კინოთეატრ „ელიტაში“ შეკრებილ პეტერბურგელი ქართველების წინაშე მოხსენებით გამოვიდა ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც დაასაბუთა უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა და ჩამოაყალიბა ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭირო ორგანიზაციული თუ სამეცნიერო მეთოდები.

12 მაისს უკვე თბილისში შეკრებილი ქართული საზოგადოების წინაშე გამოვიდა ივანე ჯავახიშვილი და თანადგომა სთხოვა ქართველობას ამ დიდი ეროვნული საქმის განხორციელებაში. კრებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ექვთიმე თაყაიშვილი, ერთხმად მიიღო მისი წინადადება ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის დაარსების თაობაზე, სადაც უნდა გახსნილიყო ჯერ მხოლოდ სიბრძნისმეტყველების განყოფილება (ფილოსოფიური და ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი). კრებამ შექმნა ქართული უნივერსიტეტის განსაკუთრებული საზოგადოება, რომელსაც უნდა ეზრუნა უნივერსიტეტის დაარსებაზე. 17 მაისს ივანე ჯავახიშვილმა ასეთივე კრება ჩაატარა ქუთაისში, სადაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი უნივერსიტეტის გახსნას. თავად შეად-

გინა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წესდება და უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი. ამიერკავკასიის მაშინდელმა მთავრობამ (ოზაკომმა) დებულებანიც დაამტკიცა წესდებაც და ნებართვაც გასცა. დაიწყო შესაწირავების შეგროვება საქართველოს ყველა კუთხიდან.

1917 წლის 19-22 ნოემბერს გამართულ საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია, მოხსენებით გამოვიდა ივანე ჯავახიშვილი. ყრილობამ დაადგინა, რომ მხარი დაეჭირა ამ დიდი ეროვნული საქმისათვის და გარკვეული ორგანიზაციულ-ფინანსური ღონისძიებანიც განახორციელა. დათქმულ იქნა, რომ უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო 1918 წლის იანვარში.

1917 წლის 26 ნოემბერს ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე შეიკრიბა მომავალი უნივერსიტეტის პროფესორთა პირველი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი და კორნელი კეკელიძე. თავმჯდომარეობდა ივანე ჯავახიშვილი. მდივანი იყო აკაკი შანიძე. აქ გადაწყდა, რომ „გაიხსნას ერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი შემდეგი განყოფილებებით: 1) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა 2) სამათემატიკო და 3) საბუნებისმეტყველო. მხოლოდ ამთავითვე გაიხსნას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყოფილება". იქვე პირველად დასახელდა უნივერსიტეტის პირველი ლექტორები და მეცნიერები: ს.ავალიანი, გ.ახვლედიანი, ფ.გოგიჩაიშვილი, კ.კეკელიძე, შ.ნუცუბიძე, დ.უზნაძე, ი.ყიფშიძე, ა.შანიძე, ი.ჯავახიშვილი. მეცნიერ-ხელმძღვანელებად დასახელდნენ. იუსტ. აბულაძე, ე.თაყაიშვილი და მ.წერეთელი.

1918 წლის 10 იანვარს პროფესორთა საბჭოს მორიგ სხდომაზე გადაწყდა, რომ უნივერსიტეტი გახსნილიყო 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს.

13 იანვრის სხდომაზე მანამდე არსებულ პროფესორთა კოლეგია ოფიციალურად ეწოდა პროფესორთა საბჭოს, დაიწერა ოქმი N1, აირჩიეს გამგეობა და უნივერსიტეტის პირველი რექტორი.

აქ კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა დიდი ივანეს თავმდაბლობა და კეთილშობილება. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ ის დაასახელა რექტორად, თავად უარი განაცხადა და პირველ რექტორად დაასა-

ხელა პეტრე მელიქიშვილი: — იგი „ცნობილი მეცნიერია, რუსეთშიც და საზღვარგარეთაც, და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსო“. ასეც მოხდა. ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი უნივერსიტეტის პირველი რექტორი გახდა. ივანე კი - ჰუმანიტარული განყოფილების დეკანი. სწავლულ მდივნად აირჩიეს იოსებ ყიფშიძე, ხოლო ხაზინადარად - ფილიპე გოგიჩაიშვილი. 1919 წლის დეკემბერში პეტრე მელიქიშვილი რექტორობიდან გადადგა. ივანე ძლივს დაითანხმეს გამხდარიყო მისივე დაარსებული უნივერსიტეტის რექტორი. ამ საპატიო თანამდებობაზე იგი იმყოფებოდა 1926 წლამდე.

კომუნისტებს ეროვნული მოღვაწენი გულზე არ ეხატებოდათ (სანამ ისინი ცოცხლები იყვნენ). ამიტომაც ივანე ჯავახიშვილი ჯერ რექტორობიდან გაათავისუფლეს, მერე კი საერთოდ გააძევეს უნივერსიტეტიდან. 1931 წლიდან იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტი იყო, 1936 წლიდან კი ამ მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგე და კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი. 1937 წლიდან „დაწინაურეს“ და რუსთაველის სახელობის მუზეუმის დირექტორად დანიშნეს.

ჭარმაგ მეცნიერს და დიდ პატრიოტს ბევრჯერ ატკინეს გული (იგი სასწაულით გადაურჩა რეპრესიებსა და დახვრეტებს), მაგრამ ხალხის სიყვარული და პატივისცემა ვერავინ წაართვა. მათგან ფსიქოლოგიურად განადგურებული ეს უდიდესი მეცნიერი მაშინ გაახსენდათ, როცა უნივერსიტეტის 20 წლის იუბილე მოახლოვდა, დიდი ზარ-ზეიმით შეეგებნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დააჯილდოვეს კიდეც, აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მაგრამ ამას პირადად ივანე ჯავახიშვილისთვის უკვე არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მთავარი ის არის, რომ მან იმ დროს ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საქმის აღსრულება — თბილისის უნივერსიტეტის დაარსება შეძლო, რამაც ქვეყანა განახლებისაკენ შემოაბრუნა.

ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1940 წლის 18 ნოემბერს ლექციის კითხვის დროს. იგი დაკრძალეს მისივე დაარსებული უნივერსიტეტის ბაღში.

იაკობ ნიკოლაძე

Იაკობ ნიკოლაძე იყო ქანდაკების დიდოსტატი და საქართველოში ხელოვნების ამ დარგის ფუძემდებელი. მისი ბრწყინვალე ნამუშევრების ხილვა დღესაც საოცარ სიხარულსა და სიამაყეს განაცდევინებს თითოეულ ჩვენგანს.

იაკობ ნიკოლაძე დაიბადა 1876 წლის 16 მაისს ქუთაისში. 10 წლის იყო იაკობი, როცა მამამ, ივანე ნიკოლაძემ ქუთაისის გიმნაზიაში შეიყვანა, თუმცა იქ დიდხანს არ უსწავლია — მალე გადავიდა ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში. 1892 წლიდან იაკობი ძოსკოვს გაემგზავრა და სტროგანოვის ცენტრალურ სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელში მოეწყო. ნიჭიერი და მაძიებელი მხატვარი აქაც არ გაჩერდა და ჯერ ოდესის სამხატვრო სკოლაში განაგრძო სწავლა (1894-95 და 1897-98წ.წ.), ხოლო შემდეგ პარიზის ხელოვნების უმაღლეს სკოლაში (1899-1901წ.წ.).

იაკობი თავიდანვე ცდილობდა, რომ თავის ქმნილებებში რაც შეიძლება რეალისტურად გადმოეცა ადამიანის შინაგანი სამყარო. მისი ეს მისწრაფება კარგად გამოჩნდა უკვე მის პირველ სერიოზულ ნამუშევარში ,,იმერელი გლეხი" (გაკეთებული იყო თიხისგან, დღეს დაკარგულად ითვლება).

1897 წელს მან შექმნა ორი პორტრეტი - შოთა რუსთაველის და

ლადო ალექსი-მესხიშვილის. ამავე წელს გამართულ კავკასიის მხატვართა მეხუთე გამოფენაზე დიდების ტაძარში (დღევანდელი სურათების გალერეა) წარადგინა შოთა რუსთაველის სკულპტურული ფიგურა და პრემიაც დაიმსახურა (ეს იყო მის მიერ მოპოვებული პირველი პრემია).

1901 წელს მცირე ხნით პარიზიდან დაბრუნებულმა ი. ნიკოლაძემ მონაწილეობა მიიღო თბილისში გამართულ გამოფენაზე და ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

1902 წელს მას მასწავლებლად იწვევენ ამიერკავკასიის ხელოვნების წამახალისებელი საზოგადოების სამხატვრო სკოლაში. 1902-1903 წლებში ნიკოლაძე ქმნის ქართული კულტურის მოღვაწეთა პორტრეტების სერიას (შიო არაგვისპირელი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, ტასო აბაშიძე და სხვ.) და დეკორაციულ რელიეფს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ცენტრალური პავილიონისათვის. აქ უკვე მკაფიოდ გამოჩნდა მისი ნიჭი და პროფესიონალიზმი.

1904-1910 წლებში იაკობ ნიკოლაძე პარიზში ცხოვრობდა. 1906-07 წლებში იგი იყო სახელგანთქმული ფრანგი მოქანდაკის ოგიუსტ როდენის მოწაფე (ამის შესახებ მას მოგონებათა წიგნიც აქვს დაწერილი - „ერთი წელი როდენთან"). პარალელურად პარიზში იგი აგრძელებდა მუშაობას. ამ პერიოდის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია „ქარი" (ქვა, 1905წ.), „ჩრდილოეთის ასული" (მარმარილო, 1906წ.), „მოცეკვავე" (ბრინჯაო, 1906წ.), „სალომე" (მარმარილო, 1906წ.). როდენთან მუშაობამ არაჩვეულებრივად დადებითი კვალი დააჩნია ნიკოლაძის შემოქმედებას (მასალის ზედაპირის ზედმიწევნით დამუშავება, კრიალა და მქრქალი ზედაპირის ერთმანეთთან დაპირისპირება, ფორმების დანაწევრება).

1907 წელს, როცა ვერაგულად მოჰკლეს დიდი ილია, იაკობ ნიკოლაძე პარიზში იმყოფებოდა. ქართულმა საზოგადოებამ გადაწყვიტა ილიასთვის შესაფერისი ძეგლის დადგმა მთაწმინდაზე. ეს შეკვეთა კი მიანდეს ყველაზე ღირსეულს - იაკობ ნიკოლაძეს 1908 წელს. იაკობმა პარიზშივე შექმნა და ჩამოასხა მგლოვიარე ქალის მთლიანი ფიგურა (დაიდგა მთაწმინდის პანთეონში 1913 წ.). ნიკოლაძის ამ პირველ მონუმენტურ ნამუშევარს ჰქვია „მწუხარე საქართველო", იგი ძალზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

მაშინდელ საქართველოში ხელოვნების ამ დარგს ღიდად არც შემკვეთი ჰყავდა და არც დამფასებელი. ამის გამო იაკობი წერდა: „მე ერთი ვარ საქართველოში როგორც კათოლიკოსი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კათოლიკოსის სიკვდილის შემდეგ კიდევ აირჩევენ მალე მეორეს, მე კი უმემკვიდროდ გადავეარდები". საბედნიეროდ, ნიკოლაძეს მალე მიმდევრები გამოუჩნდნენ, იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი გახდა, აირჩიეს პრორექტორად და ქანდაკების ფაკულტეტის დეკანად, პირველ პროფესორად.

1922 წელს ი.ნიკოლაძეს მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გადაუხადეს, მას მიანიჭეს რესპუბლიკის სახალხო მხატვრის წოდება და აუშენეს საქართველოში პირველი სახელოსნო-ატელიე. გაზეთი „ლომისი" იმხანად წერდა, რომ „იგი ევროპიელი „აკადემიკია", რომელიც იძლევა დასრულებულ სახეებს თავის შემოქმედებაში... იაკობ ნიკოლაძე ჩვენს ცხოვრებაში პირველად შემოიჭრა ევროპული ცოდნით აღჭურვილი... იაკობ ნიკოლაძე მეოთხედი საუკუნეა თილისმებით დატვირთული იწვის ჩვენი ცხოვრების სამსხვერპლოზე. მას სიყრმიდანვე აღუმართავს ხელოვნების ტრაპეზი და შიშველი ფეხებით უზიდავს იქ მსხვერპლი დიდი იდეისათვის".

იაკობ ნიკოლაძემ 200-ზე მეტი სკულპტურული ნაწარმოები შექმნა, რომელთა უმრავლესობა უმაღლეს პროფესიულ და მხატვრულ დონეზეა შესრულებული (იგი იძულებული იყო კომუნისტურ პერიოდში ლენინის, სტალინის, მარქსის და ზოგიერთ სხვა რევოლუციონერთა სურათებიც ეხატა და ექანდაკებინა, მაგრამ მისი ნიჭიერება აქაც მშვენივრად წარმოჩინდა).

განსაკუთრებული ღირსებებით გამოირჩევა მისი ქმნილებები „აკაკი წერეთელი" და „ჩახრუხაძე". ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგმული აკაკის ძეგლი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია. ნიკოლაძემ აკაკის ბიუსტს ოლიმპიური იერიც მისცა და ბიბლიურიც. აღფრთოვანებული გალაკტიონი წერდა: „ჯადოსნური ქვის ქვედა ნაწილი დაუმუშავებელია და თავისი უხეშობით კლდის იმ ნაგლეჯს მოგაგონებთ, რომელიც ათასი წლობით გდია სადღაც მთების ფერდობში. მასში არც აზრია, არც ფორმა და არც შინაარსი. მაგრამ აიხედეთ ცოტათი ზემოთ: ქვას შემოქმედის ხელი შეხებია და ის ათასნაირი ნიუანსებით ალაპარაკებულა. თქვენ

წინ სასწაული იშლება: უსულო ქვას სული ჩასდგომია, უფორმოს - ფორმა მისცემია, უშინაარსოს — შინაარსი, - მგოსნის ტიტველი ტანის ზედა ნაწილი ქვის ლოდზეა დაყრდნობილი და თითქოს იმავე ლოდიდან შუბლი ზევით აზიდულა... მგოსნის დიდებულ სურათს ასრულებს რომაელ პატრიციუსის მსგავსად მარჯვენა მხარეზე გადაგდებული ტოგის ნაოჭი".

ყოველივე ეს ბიუსტმა თავად უთხრა გალაკტიონს, აკი ამბობდა ი. ნიკოლაძე, რომ „ხელოვნების ნაწარმთან რომ მიდიხარ, შენ უნდა გაჩუმდე და თვით ნაწარმოებმა უნდა დაიწყოს ლაპარაკი"-ო.

ნიკოლაძის შემოქმედებას ახასიათებს სტატიკურობა, კამერულობა, ცხოველხატულობა, პოეტურობა, შეკრული ფორმა, ჩაკეტილი კომპოზიცია. შემოქმედი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათებას (მისთვის შუქი მოდელირების არსებითი საშუალება იყო). მისი ნამუშევრები საესეა შინაგანი დინამიკით, პორტრეტები კი გამოირჩევა ღრმა ფსიქოლოგიზმით. 1944-48 წლებში ნიკოლაძემ შექმნა XII საუკუნის ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ჩახრუხაძის პორტრეტი, რისთვისაც მას სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

იაკობ ნიკოლაძის სხვა ნამუშევრებიდან აღსანიშნავია:„ ილია ჭავჭავაძე" (ქვა, 1938, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი), „შალვა ამირანაშვილი" (თაბაშირი, 1940, ი.ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი), „ივანე ბერიტაშვილი" (ბრინჯაო, 1943, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი), „ივანე ჯავახიშვილი" (ბრინჯაო, 1946, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), გენერალ კონსტანტინე ლესელიძის ძეგლი (მარმარილო, 1947, თბილისი) და სხვ.

1922-28 წლებში იაკობ ნიკოლაძემ ენით აუწერელი ტრაგედია განიცადა - მას დაეღუპა ვაჟიშვილი, მეუღლე და ორი ქალიშვილი. მიუხედავად ამ უდიდესი სულიერი ტრამვისა, მან შეძლო ძალის მოკრეფა, წუთისოფელთან შეჭიდება და ახალი შედევრების შექმნა. უთქვამს კიდეც სიკვდილის წინ: „ყველაზე დიდი სილამაზე და სიხარული სიცოცხლეში ყოფილა, ალბათ მეც ამიტომ დავეძებდი მას უსიცოცხლო თიხასა და ქვის ცივ ლოდებში".

1951 წლის 10 მარტს იაკობ ნიკოლაძე თბილისში გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს მთაწმინდაზე. ამ ქვეყნიდან წავიდა დიდი ხელოვანი, რომლის შემოქმედებასთან დრო უძლურია.

მიხაკო წერეთელი



მიხაკო წერეთელმა თავისი სისხლსავსე ცხოვრების უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ მოშორებია ქართულ ეროვნულ ნიადაგს. ეს დიდი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე მთელი თავისი შესაძლებლობებით უპირველესად საკუთარ სამშობლოს და ხალხს ედგა გვერდით.

მ. წერეთელი დაიბადა 1878 წლის 23 დეკემბერს ჭიათურის რაიონის სოფ. ცხრუკვეთში გიორგი წერეთლის ოჯახში. მისი უფროსი ძმა ვასილი იყო ცნობილი ქართველი ექიმი, პუბლიცისტი, პოლიტიკოსი (ჯერ ფედერალისტური, მერე კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რედაქტორობდა გაზეთ „საქართველოს", იყო საქართველოს 1918-21 წლების პარლამენტის, დამფუძნებელი კრების წევრი). მან დიდი გავლენა მოახდინა თავის უმცროს ძმაზე, მის შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე.

ცნობილი ქართველი ემიგრანტი მეცნიერის კალისტრატე სალიას გადმოცემით, მიხეილის ოჯახში „ქართველობისა და ქარ-

თული მწიგნობრობის დიდი ტრადიცია იყო დაცული, „ვეფხისტყაოსანი“ იქ კაცმა და ქალმა ზეპირად იცოდა, და პატარა მიხეილს, ჯერ კიდევ წერა-კითხვის არმცოდნეს, ადგილები მოჰყავდა „ვეფხისტყაოსნიდან“ სტუმრების შესაქცევად.“

მიხეილი მშობლებმა ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავლე ჩაება რუსეთის მეფის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში. 1899 წლიდან იგი სწავლობდა კიევის უნივერსიტეტის ბუნების მეტყველების ფაკულტეტზე, საიდანაც გამორიცხეს 1900 წელს პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობის მიღებისთვის. 1901 წელს მიხაკო წერეთელი შედის პარიზის უნივერსიტეტში, მაგრამ მალე (კვლავ ერთ-ერთ საჯარო დემონსტრაციაში მონაწილეობის შედეგად) იძულებული გახდა ლონდონში გადასულიყო. ამის მერე მან სწავლა განაგრძო ჟენევის უნივერსიტეტში. აქ იგი შეუერთდა გიორგი დეკანოზიშვილის ჯგუფს და 1904 წელს ჟენევაში დაესწრო საქართველოს ფედერალისტთა პარტიის კონგრესს. ამავე წელს, მიხეილი სპეციალური დავალებით გამოემგზავრა საქართველოში და მისი შესრულების შემდეგ ისევ უკან დაბრუნდა. 1905 წელს ის კვლავ საქართველოში ჩამოვიდა და ქართველ ფედერალისტებს ამოუდგა მხარში.

ევროპაში ყოფნის დროს მიხეილი სერიოზულად დაინტერესდა ანარქიზმით, სოციალური მოძრაობის საკითხებით. იგი თავის შრომებს სხვადასხვა ფსევდონიმებით ბეჭდავდა: „სანგალა“, „ალაროიდელი“, „Bატონი“.

1904 წელს გამოქვეყნდა მისი წერილი „საზოგადოება და არსებობისათვის ბრძოლა“, შემდეგ „რევოლუცია და რეაქცია“, „სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლუცია“. მალე სანგალას ფსევდონიმით ცალკე წიგნად გამოვიდა მისი „მუშათა მოძრაობა საფრანგეთში 1789 წლამდე“.

ლონდონში მიხეილი გაეცნო ცნობილ ქართველ ნაციონალისტსა და ანარქისტს ვარლამ ჩერქეზიშვილს, რომელიც მერე მისი უფროსი მეგობარი და მასწავლებელი შეიქნა, ცნობილ რუს ანარქისტს კროპოტკინს, რეკლიუს და სხვ.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ბავშვობიდან გადახვეწილა ევროპაში, მოწყვეტილა თავის სათაყვანებელ სამშობლოს. მას შეუსწავლია

რუსული, ინგლისური და ფრანგული ენები, მაგრამ ამასობაში დავიწყნია ქართული ენა, თუმცა არ დავიწყებია თავისი საქართველო ყოველთვის ახსოვდა. იგი დასავლეთის ქვეყნებში თავისი სამშობლოს უფლებებისათვის იბრძოდა, სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებზე გამოდიოდა საქართველოს წართმეული უფლების აღსადგენად. გრიგოლ რობაქიძე მას სიყვარულით კარდუს დონ-კიხოტს უწოდებდა და წერდა: „მაოცებს ვარლამის მოვლინება, მსოფლიო ისტორიაში იგი ერთადერთია როგორც ანარქიზმისა და ნაციონალიზმის შემზავებელი". მისივე გადმოცემით, სიკვდილის წინ ვ. ჩერქეზიშვილს ყველა უცხო ენა დავიწყნია და მხოლოდ ქართულად ლუღლუღებდა (ეს ფაქტი შემდგომ გამოყენებულ იქნა კინოფილმში „ფესვები").

მიხაკო წერეთლისა და მისი თანამოაზრეებისათვის უდიდესი დარტყმა იყო ილია ჭავჭავაძის მუხანათური მკვლელობა. მან ილიას დაკრძალვაზე ბრწყინვალე პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა, რომელმაც მთელი საქართველო ააფორიაქა.

მიხაკო ვარლამ ჩერქეზიშვილის გზას გაჰყვა. თავის საპროგრამო პრინციპი მან ასე წარმოაჩინა: „მე ქართველი ანარქისტი ვარ. ჩემთვის ეროვნული საკითხი ყოფნა არყოფნის საკითხია, რომლის გარეშე ანარქიზმიც არაა. მე ჩემი ერის უფლებას ვამტკიცებ და ამისთვის დამჭირდა ერის, კაცობრიობის და ინტერნაციონალიზმის განსაზღვრა".

მ. წერეთელმა ეროვნულ ფესვებში უფრო ღრმად ჩაწვდომის მიზნით განიზრახა ფილოლოგიის მეცნიერულად შესწავლაც, რის გამოც იგი კვლავ ევროპაში გაემგზავრა. ამ საქმისკენ მას ჯერ ექვთიმე თაყაიშვილმა უბიძგა, შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილმა, რომელთანაც მიმოწერას აწარმოებდა. კარგად წერს გრიგოლ რობაქიძე: „ყველას უკვირს: პოლიტიკური მებრძოლი და ფილოლოგია? ირკვევა შემდეგ: თურმე მოწაღინებულია იკვლიოს ძირები ქართულისა. წლების სვლაში ჩემთვის სხვა რამეც ირკვევა: რამდენად იფესვები ქართულში, იმდენად ეზიარები კარდუს არსს. ცხადი ხდება: მიხეილის ფილოლოგად ქცევა მის მამულიშვილობას წარმოეშვა".

1908 წელს მიხეილი მუშაობდა სტამბოლში ადგილობრივ გაე-

ლენიან მაპმადიან ქართველებთან, რომელთაგან ბევრმა სერიოზული დახმარება აღმოუჩინა ოსმალეთში პირველი მსოფლიო ომის დროს მოქმედ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს. იმავე წელს იგი დაბრუნდა თბილისში და პეტრე სურგულაძესთან, ვალერიან გუნიასთან და სხვებთან ერთად დააარსა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საიდუმლო ჯგუფი, რომლის ბეჭდვითი ორგანო იყო გაზეთი „ერი".

1910 წელს მ. წერეთელი გაემგზავრა ლონდონში, სადაც დაიწყო აღმოსავლეთის მეცნიერების შესწავლა. ეს საქმე მან განაგრძო ჯერ ლაიპციგში, მერე კი ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტში. აქ გაეცნო იგი ასირიოლოგიას, სემიტურ ფილოლოგიას, ეგვიპტოლოგიას, აღმოსავლეთის ისტორიას და კულტურას, სწავლის დამთავრების შემდეგ კი მიიღო დოქტორის ხარისხი.

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე „დამოუკიდებლობის ჯგუფი" ძალზე აქტიურ მუშაობას შეუდგა. დაარსდა ზემოთ ნახსენები „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომელშიც ლიდერობდა მიხაკო წერეთელი. მასთან ერთად გერმანიაში მოღვაწეობდნენ გ.კერესელიძე და გ. მაჩაბელი (რომელიც 1921 წლის ანექსიის შემდეგ ამერიკაში წავიდა, პარფიუმერული ბიზნესი დაიწყო და უშვებდა სუნამოს „პრინცი მაჩაბელი"), კომიტეტის დანარჩენი წევრები თურქეთში მუშაობდნენ.

1916 წელს ლოზანაში გამართულ „ეროვნებათა კონგრესზე" მიხეილი გამოვიდა საქართველოს სახელით და მისი უფლებების აღიარება მოითხოვა.

1917-18 წლებში მიხაკო წერეთელი ორჯერ ჩამოვიდა საქართველოში წყალქვეშა ნავით სხვადასხვა საპასუხისმგებლო დავალებათა შესასრულებლად, მათ შორის იარაღის ჩამოტანის მიზნით.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. მიხეილი საქართველოში ჩამოვიდა და ქვეყნის სამსახურში ჩადგა. 1918-19 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს წარმომადგენლად სკანდინავიაში.

1920 წელს დიდმა ივანე ჯავახიშვილმა მიხაკო წერეთელი მოიწვია ახალდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში ასირიოლოგიისა და აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგედ.

რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ მ. წერეთელი კვლავ უცხოეთში გაემგზავრა. 1933 წლამდე იგი მუშაობდა ბრიუსელის უნივერსიტეტში ასირიოლოგიისა და ქართული ენის კათედრის გამგედ, 1933-დან 1943 წლამდე კი ბერლინის უნივერსიტეტში ქართული ენისა და მწერლობის კათედრას განაგებდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს (1939-45), მეგობრების დაჟინებული თხოვნით, მ.წერეთელი გერმანიაში ქართულ ეროვნულ კომიტეტს თავმჯდომარეობდა (ამ კომიტეტში სხვებთან ერთად იყვნენ ზურაბ ავალიშვილი და სპირიდონ კედია). კომიტეტი ღირსეულად და უკომპრომისოდ იცავდა საქართველოს უფლებებს, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. მიხეილის გადაწყვეტილებით კომიტეტი დაიშალა და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა გერმანიის ხელისუფლებასთან.

სიცოცხლის ბოლო 40 წელი მიხაკო წერეთელმა მთლიანად მეცნიერულ კვლევა-ძიებას დაუთმო. საამისო ნიადაგი მას უკვე შემზადებული ჰქონდა. 1910 წელს მან „Bატონ"-ის ფსევდონიმით დაბეჭდა პირველი სოციოლოგიური მონოგრაფია საქართველოში „ერი და კაცობრიობა". ეს ნაშრომი მან ვარლამ ჩერქეზიშვილს მიუძღვნა წარწერით: „ძვირფას მასწავლებელს და მეგობარს ვარლამ ჩერქეზიშვილს, რომელმაც კაცობრიობის ოლიმპზე თავისი პატარა საქართველოც ცნო ღირსად თავისუფალი ცხოვრებისა". როგორც კ.სალია წერდა, ეს წიგნი „უდიდესი ყუმბარა იყო, რომელიც მან ეროვნული იდეის უარმყოფელთ ესროლა. დიდი ილიას მიმდევარმა ერთადერთ რეალობად ერი აღიარა და ეროვნული პრობლემა მჭევრმეტყველურად დაასაბუთა. „ერი და კაცობრიობა" გადაიქცა მებრძოლი თაობის სახელმძღვანელო წიგნად, მის გამწვრთნელად და აღმზრდელად". მ. წერეთლის ძირითადი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ „კაცობრიობა როგორც სოციალური არსი, არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ ნაწილები, რომელთაც აქვთ სოციალური ცხოვრება და წარმოადგენენ სუპერორგანიზმებს"... ამიტომ „ერი რჩება უმაღლეს, უდიდეს და უბუნებრივეს და დღეს თითქმის ერთადერთ დიდ ჭურჭლად საზოგადოებრიობისა მთელ კულტურულ კაცობრიობაში", „საშშობლო ერის იგი-

ვეობრივი არაა, მაგრამ მისგან განუყოფელია", სამშობლო ერის საცხოვრებელია, მისი ბინაა.

მიხეილ წერეთლის ამ თვალსაზრისს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში, როცა მიმდინარეობს მცირე ერების სერიოზული ასიმილაცია (განსაკუთრებით, კულტურულ-ეკონომიკური), ილახება ეროვნულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტი და ზოგიერთი მეცნიერი (მაგ. ბენედიქტ ანდერსონი) ერებს უკვე ,,წარმოსახვით საზოგადოებებად" მიიჩნევს. ,,ყველა ერი უნდა იყოს სუვერენული", წერდა მ.წერეთელი. მისი აზრით, მომავალში ერები კი არ შეერწყმიან ერთმანეთს, არამედ ახალი ერები წარმოიშობა სხვადასხვა ერთა გარკვეული ელემენტების შეერთების გზით (XX საუკუნის ისტორიამ მისი ეს თვალსაზრისი დაადასტურა). მიხეილი ამ ნაშრომში გვთავაზობს ქართველი ერის საინტერესო ანალიზს. მისი ძირითადი მახასიათებელი ქართული ენაა, რომელიც ,,სამი შტოსაგან შედგება: ქართლურისაგან, რომელზედაც ლაპარაკობენ ქართლ-კახელები, იმერლები, გურულები, მესხები, მთიულნი და სხვანი, მეგრულისაგან, რომელზედაც ლაპარაკობენ მეგრელები და ჭანები, და სვანურისაგან, რომელზედაც ლაპარაკობენ სვანები. მიუხედავად ამისა, ქართული ენა ერთია, ერთისა და იმავე აგებულებისა, ერთისა და იმავე ძირისა". მიხაკო წერეთელი აანალიზებს ,,ქართველის" წარმოშობას და აღნიშნავს: მეგრულ-ლაზურ ტომს ერქვა ,,კარდუხი", რაც ,,ქართუხს" უდრის. ამ ,,ქართუ"-დან (მეგრული ,,ქორთუ") წარმოდგა სიტყვა ,,ქართველი", რომელიც შემდეგ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელს ეწოდა. მისი აზრით, ესეც ერთ-ერთი არგუმენტია ჭან-მეგრელთა და ქართველთა ერთობისა. სიტყვა ,,ქართველი" სადაურობას ნიშნავს, ,,ქართუ-ელი", ქართუ კი ნიშნავს ქალდეას. სვანეთში ახლაც არის სოფელი ქალდე. როგორც ჩანს, ჩვენი სამშობლო ქალდეა ყოფილა. მიხეილის მტკიცებით, იქ, სადაც ამჟამად იმერლები და გურულები ცხოვრობენ, მეგრელების საცხოვრებელი იყო, ხოლო სამეგრელოს ამჟამინდელი ტერიტორია სვანებით იყო დასახლებული, რომ საქრისტიანო ისტორიის დასაწყისიდან ეროვნულ-სოციალური ერთობა ყოველთვის იყო ჩვენში, პოლიტიკური კი - არა. საბოლოოდ იგი

იდეალად სახავს ერის სუვერენობას და ამ იდეალისათვის არასოდეს უღალატია. მიხაკო წერეთელს სამშობლოს თავისუფლება და მისი წარმატება უპირველეს მიზნად მიაჩნდა და სალი კლდესავით იდგა ეროვნული აზროვნების სადარაჯოზე.

მიხეილი საქართველოს სიდიადეს წარსულში ეძებდა. მისი იდეალი იყო არა მარტო დამოუკიდებლობის მოპოვება, არამედ საქართველოს ძველი დიდების აღდგენა ტერიტორიული თვალსაზრისითაც.

ის იყო უაღრესად კულტურული, ფაქიზი და სპეტაკი სულის პიროვნება, ეკლიანი და სიმწარით აღსავსე იყო მისი ცხოვრება, მაგრამ საქართველოს ღირსებას გუშაგად ედგა მუდამ. მიხეილმა პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად უცხოეთში ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა, თუმცა უპირველესი საზრუნავი მისთვის მაინც თავისი სამშობლო იყო, რომლის ნახვასაც ველარ ეღირსა — მიუნჰენში გარდაიცვალა 1965 წელს, ქართველებს კი ანდერძივით დაგვიბარა: **„არიან მოვალეობანი ადამიანისა უმაღლესნი ყოველმეცნიერულ და მსგავს მოვალეობათა, მოვალეობანი მოქალაქისა საზოგადოების წინაშე, მოყვასისა მოყვასის წინაშე და ცხოვრების გზას იგი განვლის სრულის ღირსებით, ვისაც ძალუძს განსაზღვრულ დროს შესაფერი მოვალეობა აღასრულოს, თუ გინდ ეს მოვალეობის აღსრულება მისი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვასაც მოითხოვდეს“.**

ვანო სარაჯიშვილი

ვანო სარაჯიშვილს **„საქართველოს ბულბული“** უწოდა ხალხმა. იგი იყო თანამედროვე ქართული პროფესიული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი. ვანო თავის სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა, რაც განაპირობა მისმა იშვიათი სილამაზის ხმამ და უდიდესმა ნიჭიერებამ.

ვანო (ივანე) სარაჯიშვილი დაიბადა 1879 წლის 1 მაისს კახეთში, სიღნაღში პეტრე სარაჯიშვილის ოჯახში.

8 წლის ვანო მშობლებმა შეიყვანეს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. სიმღერის ნიჭი ჯერ კიდევ გიმნაზიაში აღმოაჩნდა და მღეროდა კიდეც მოსწავლეთა გუნდში. 1898 წელს ვანო შევიდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში (ჩელოს კლასი).

1898-1900 წლებში ვანო სარაჯიშვილი სანდრო კავსაძის მიერ დაარსებული გუნდის მომღერალი და სოლისტი იყო.

1903 წელს ვანო გაემგზავრა პეტერბურგს. იგი სიმღერას სწავლობდა ჯერ ი. პრიანიშნიკოვთან, შემდეგ კი - ა.პანაევა-კარცევასთან. პარალელურად იტალიაში კასტელანოს ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ბელკანტოს ხელოვნებას (1906-08წ.წ.). ვანო სარაჯიშვილი გამოდიოდა იტალიის სხვადასხვა ქალაქის თეატრებში

და თანდათანობით აღიარებაც მოიპოვა. ამ დიდ საქმეში მას დაეხმარა თავისი დიდი მოგვარე, ქართველი მეწარმე დავით სარაჯიშვილი, რომელმაც სპეციალური სტიპენდია დაუნიშნა ნიჭიერ ახალგაზრდას.

ვანო სარაჯიშვილის დებიუტი შედგა 1907 წელს პეტერბურგში, სადაც მან ალფრედის არია შეასრულა ჯუზეპე ვერდის „ტრავიატაში"

იტალიიდან ვანო კვლავ პეტერბურგში დაბრუნდა და მუშაობა გააგრძელა იტალიურ დასში.

1908 წლიდან ვანო სარაჯიშვილი თბილისში ჩამოვიდა. იგი გამოდიდა თბილისის საოპერო სცენაზე ევროპელი და რუსი კომპოზიტორების ოპერებში, ასრულებდა ქართველი კომპოზიტორების (მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არაყიშვილი და სხვ.) რომანსებს.

1913 წლის 28 მაისს ვანო სარაჯიშვილმა მონაწილეობა მიიღო ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის" ახლადშექმნილი ფრაგმენტების შესრულებაში (აბესალომის პარტია).

1916-17 წლებში ვ.სარაჯიშვილი მღეროდა ბაქოში, ასრულებდა სხვადასხვა არიებს და რომანსებს. მისი ტალანტი სრულყოფილად გაიფურჩქნა ბოლო 10 წლის განმავლობაში. იგი მონაწილეობდა ზ.ფალიაშვილის ოპერების დადგმებში, მღეროდა აბესალომისა („აბესალომ და ეთერი"), და მალხაზის („დაისი") პარტიებს.

ცნობილია, რომ მალხაზის არია „თავო ჩემო" ფალიაშვილმა დაწერა და „დაისში" შეიტანა ვანოს თხოვნით. ვ. სარაჯიშვილი სისტემატურად მართავდა კონცერტებს, ასრულებდა ქართველი და რუსი კომპოზიტორების რომანსებს, ქართულ ხალხურ და ნეაპოლურ სიმღერებს.

ვ.სარაჯიშვილის რეპერტუარი ფართო და მრავალფეროვანი იყო. იგი თანაბარი წარმატებით ასრულებდა როგორც ლირიკულ, ისე დრამატულ პარტიებს: შოთა (არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე"), კოტე (ვ.დოლიძის „ქეთო და კოტე"), რადამესი (ვერდის „აიდა"), ხოზე (ბიზეს „კარმენი"), ფაუსტი (გუნოს „ფაუსტი"), პერცოგი, ადკრედი (ვერდის „რიგოლეტო", „ტრავიატა"), ნადირი (ბიზეს „მარგალიტის მაძიებელნი"), ლოენგრინი

(ვაგნერის „ლოენგრინი"), ლენსკი, გერმანი (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი", „პიკის ქალი"), სინოდალი (რუბინშტეინის „დემონი") და სხვ.

1923 წელს იგი გადაიღეს კინოფილმში „მამის მკვლელი". ამავე წელს მას მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. ვანო სარაჯიშვილის ხმა აღბეჭდილია გრამფირფიტებზე.

ვანო სარაჯიშვილი სრულიად ახალგაზრდა 45 წლის ასაკში გარდაიცვალა, 1924 წლის 11 ნოემბერს. ქართველმა ხალხმა უდიდესი და გულწრფელი ცრემლით დაიტირა ეს ბრწყინვალე მომღერალი. იგი დაკრძალულია თბილისის ოპერის თეატრის ბაღში.

1947 წელს ვანო სარაჯიშვილის სახელი მიენიჭა თბილისის კონსერვატორიას, აგრეთვე ერთ-ერთ ქუჩას. ქ.სიღნაღში ყოველწლიურად მაისის თვეში ეწყობა მომღერლისადმი მიძღვნილი ზეიმი „ვანობა". მისი შემოქმედებისადმია მიძღვნილი შ.კაშმაძის წიგნები: „ვანო სარაჯიშვილი" (1962წ.), და „გადატეხილი სალამური" (1957წ.).

მიხეილ ჯავახიშვილი

ქართული პროზის დიდოსტატი, ჭეშმარიტი მწერალი და მოაზროვნე, მიხეილ ჯავახიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ღრმად გაუკვალა გზა XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში სოციალურ, ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ, სათავგადასავლო ჟანრს, განსაკუთრებით კი რომანს.

მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი (ნამდვილი გვარი ადამაშვილი) დაიბადა 1880 წლის 8 ნოემბერს მარნეულის რაიონის სოფ. წერაქეში. დაწყებითი განათლებაც აქვე მიიღო.

პატარა მიხეილი მშობლებმა ჯერ წინამძღვრიანთკარის სასწავლებელში მიაბარეს (რომელიც ილიას თანადგომით დაარსდა), შემდეგ კი ყირიმის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში გადაიყვანეს, რომლის დამთავრებაც ვეღარ შეძლო, რადგან მის ოჯახში დიდი ტრაგედია დატრიალდა: ავაზაკებმა მოუკლეს დაც და დედაც. მამამ ვეღარ გაუძლო მწუხარებას და დარდით გარდაიცვალა.

1901 წელს მიხეილი საქართველოში დაბრუნდა. ობლად დარჩენილმა ახალგაზრდამ შეძლო ძალების და ნებისყოფის მოკრება, არ შეეპუა ბედს და ცხოვრების ფერხულში ჩაება.

1903 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“. მიხეილი ეწეოდა აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას. ილიას რეკომენდაციით 1904 წელს იგი გაზეთ „ივერიის“ რედაქტორი გახდა, 1906 წელს კი გაზეთ „გლეხს“ ჩაუდგა სათავეში.

მიხეილი მწვავედ ილაშქრებდა რუსეთის ხელისუფლების სისხლიანი რეპრესიების წინააღმდეგ („გლეხის წერილები“). მისი ადრინდელი, 1903-1908 წლებში გამოქვეყნებული მოთხრობები („ჩანჩურა“, „მეჩექმე გაბო“, „კურკას ქორწილი“ და სხვ.) გულწრფელ თანაგრძნობას უღვიძებდა მკითხველს უბრალო, მშრომელი ადამიანებისადმი. თემატური სიახლით, მამხილებლური და ჰუმანისტური პათოსით, უაღრესად ცხოვრებისეული კოლორიტით აღბეჭდილი ეს მოთხრობები ახალი სიტყვა იყო ქართულ მწერლობაში.

მ. ჯავახიშვილმა თავიდანვე აირჩია წერის მკაცრი რეალისტური სტილი. მისი აზრით, რეალიზმი, ამ ცნების „უუღრმესი და უუფართოესი მნიშვნელობით“, ყოველთვის იყო ლიტერატურის მახასიათებელი თვისება. იგი ხაზს უსვამდა, რომ „ცუდია, როდესაც მარტივ და ნათელ ჭეშმარიტებას ბურუსში ვახვევთ. ჭეშმარიტება კი იმაში მდგომარეობს, რომ რეალიზმი ლიტერატურული ფორმაა. ის ნატურალიზმსა და რომანტიზმს შორის იმყოფება. ის არის ვოლგა ან ამაზონკა ლიტერატურაში, დანარჩენი ყველაფერი - მისი შენაკადებია, ან განშტოებები, ამ დედა-მდინარისაგან დაბადებული. ლაპარაკი შეიძლება იყოს ნიუანსებზე, პროპორციებზე, ამა თუ იმ ელემენტების შენადნობზე. ყველა უდიდესი მწერალი რეალისტი იყო“. მიხეილ ჯავახიშვილი მახვილი თვალით ხედავდა სოციალურ მანკიერებებს, ყოფით სცენებშიც საზოგადოებრივი ცხოვრების მოურჩენელ წყლულებს წარმოსახავდა.

1907 წელს, რეაქციის პერიოდში, მწერალი გაერიდა ხელისუფალთაგან დევნას და ევროპაში სამოგზაუროდ წავიდა. ერთხანს პარიზის უნივერსიტეტშიც სწავლობდა, მაგრამ უსახსრობის გამო ვეღარ დაამთავრა.

1909 წელს მიხეილი სხვისი პასპორტით დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ 1910 წელს მაინც დააპატიმრეს და 3 წლით დონისროსტოვში გადაასახლეს. 1913 წელს იგი სამშობლოში დაბრუნ-

და და პოლიტიკურ-პუბლიცისტური მუშაობა განაგრძო (თავის მოთხრობებს იგი შეგნებულად აღარ აქვეყნებდა).

მწერალზე ძალზე მძიმედ იმოქმედა დამოუკიდებელი საქართველოს ანექსიამ (1921წ.) ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან, ამ პერიოდში მასში დიდი შემოქმედებითი დულილი დაიწყო. 1923 წელს მოთხრობა „ტყის კაცით" დაირღვა მისი 15 წლიანი ლიტერატურული დუმილი და დასაბამი მიეცა მისი მძლავრი შემოქმედების მეორე, მეტად ნაყოფიერ პერიოდს.

მან ზედიზედ გამოაქვეყნა მოთხრობები და რომანები, რომლებშიც ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციების ერთგული დარჩა. ამასთან, იგი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა, იდეურად ვერ ეგუებოდა ბოლშევიკთა დიქტატურას და ლიტერატურული თუ სხვა ხერხებით უპირისპირდებოდა მას. 1924 წლის აგვისტოს ცნობილი აჯანყების დროს ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ, იგი სხვა მოწინავე ადამიანებთან ერთად დააპატიმრეს და დახვრეტას უპირებდნენ (ამ პერიოდში უამრავი ადამიანი დახვრიტეს აჯანყების მხარდაჭერისათვის), მაგრამ მიხეილი ქართველი მწერლების და საზოგადო მოღვაწეთა შუამდგომლობით გაათავისუფლეს და იმჯერად გადარჩა.

მიხეილ ჯავახიშვილის მრავალფეროვანი შემოქმედება დიდი მოქალაქეობრივი და ეროვნული შეგნებითაა გამსჭვალული. მწერლის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ადამიანის მოვალეობა სამშობლოს, ხალხის, ოჯახის წინაშე (მოთხრობები „ლამბალო და ყაშა", „მუსუსი", „ყბაჩამ დაიგვიანა", „მართალი აბდულაპ", „ორი განაჩენი", „მიწის ყივილი", „ხუთის ამბავი" და სხვ.).

მიხეილმა ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ რეალისტურ რომანს, შექმნა მაღალმხატვრული ავანტიურული („კვაჭი კვაჭანტირაძე", 1924), სოციალური („ჯაყოს ხიზნები", 1925), ფილოსოფიური („თეთრი საყელო", 1926), სათავგადასავლო („გივი შადური", 1928), ისტორიული („არსენა მარაბდელი", 1933-36), ისტორიულ-რევოლუციური („ქალის ტვირთი", 1936) რომანები, რომლებმაც კუთვნილი ადგილი დაუმკვიდრეს მას ქართულ ლიტერატურაში.

1933 წელს დაწერილ წერილში „როგორ ვმუშაობ", მწერალი

აცხადებდა: „იშვიათად მიგვრძნია ისეთი ძძაფრი სიხარული, რომელიც ვიგრძენი ზოგი ჩემი მოთხრობისა და რომანის დასრულების გამო („ჩანჩურა, „თაკდავიწყება“, „მეჩექმე გაბო“, „ტყის კაცი“, „აბდულაპ“, „თეთრი საყელო“, „არსენა მარაბდელი“). უცნაურია: ყველაზე მეტი დავა „ჯაყოს ხიზნებმა“ გამოიწვია, მაგრამ ყველაზე მეტი სიხარულიც ამ რომანის დასრულებამ მაგრძნობინა“. „ჯაყოს ხიზნებში“ მწერალმა გვიჩვენა ერის ცოცხალი ორგანიზმის ორი წყლული - ფეოდალური არისტოკრატიის უკანასკნელი ნაშიერი, რევოლუციური ეპოქის მიერ გარიყული, უსუსური დაუხერხემლო მოინტელიგენტო პიროვნება (თეიმურაზ ხევისთავი), რომელსაც არათუ სამშობლოს, საკუთარი ცოლის დაცვაც არ ძალუძს და ბნელი სულისა და მოზღვავებული მტაცებლური ინსტინქტის მქონე ოსი ჯაყო. მწერალმა განათლებულ უმოქმედობას გაუნათლებელი მოქმედება (თავხედობა და უტიფრობა) დაუპირისპირა და ოსტატურად დაგვინახა, თუ რა საშიშია ორივე მათგანი საზოგადოებისათვის ნებისმიერ ეპოქაში.

კვაჭი კვაჭანტირაძის გროტესკულ სახეში მიხეილ ჯავახიშვილმა ამხილა ის სოციალური წყობა და სინამდვილე, რომელმაც წარმოშვა ასეთი უნივერსალური „გმირი“ და დიდი მხატვრული დამაჯერებლობით წარმოსახა (რუსეთის) მმართველი წრეების ზნეობრივი დაცემა, უმეცრება და დეგენერაცია.

მ.ჯავახიშვილს ეკუთვნის ენობრივი და მხატვრული თვალსაზრისით ბრწყინვალე ისტორიული რომანი „არსენა მარაბდელი“, რომლის წერა ავტორმა 1925 წელს დაიწყო და 8 წელი მოანდომა. მიუხედავად ამისა, მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მათმა დაქირავებულმა კრიტიკოსებმა დიდი რისხვა დაატეხეს მწერალს ამ რომანის გამო, დააბრალეს მას „ნაციონალისტობა“, ისტორიის გაყალბება, ისტორიზმით გატაცება და თანამედროვეობის უარყოფა და მიუღებლობა და ა.შ.

მწერალს საკუთარი შემოქმედებითი პოზიციის დაცვა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მას „არსენა მარაბდელი“ ტრილოგიად ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ რომანისადმი ამგვარმა მტრულმა დამოკიდებულებამ ხელი ააღებინა ამ განზრახვაზე.

მიხეილ ჯავახიშვილი შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში, 57

წლის ასაკში დააპატიმრეს ვითარცა „ხალხის მტერი“ (იმ ნაძირალებს არც ესმოდათ მისი ფასი და მნიშვნელობა), სასტიკად აწამეს და მოკლეს 1937 წლის დიდი რეპრესიების დროს.

მისი ნაწარმოებიც და თავად მისი ხსენებაც აკრძალეს მტარვალებმა, მაგრამ სიმართლემ მაინც გაიმარჯვა, ბოლოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მოხდა მისი რეაბილიტაცია, თუმცა უკვე ძალიან გვიან იყო...

მიხეილ ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტური, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი და ნარკვევი, ავტობიოგრაფიული ჩანაწერი. მწერალმა თარგმნა გი დე მოპასანის, ჰ.სენკევიჩის, ა. ჩეხოვის, პ.ისტრატის და სხვათა თხზულებანი. 1933-34 წლებში გამოვიდა მისი რჩეული თხზულებების ოთხი ტომი. რეაბილიტაციის შემდეგ, 1958-64 წლებში გამოვიდა რჩეულ ნაწარმოებთა ექვსტომეული, რომელიც ხელმეორედ გამოიცა 70-იან წლებშიც. მისი ნაწარმოებები ითარგმნა მრავალ უცხო ენაზე, მოხდა მისი სრულფასოვანი და სათანადო აღიარება.

მიხეილ ჯავახიშვილი წერდა დიდებული ქართულით, მოწიწებით და ფრთხილად ეპყრობოდა ქართულ ენას. მისი აზრით „უმეცარს, უდიპლომო ექიმს და მკითხავს აკრძალული აქვთ ხალხის სხეულის მოწამვლა. დროა, უმეცარ ჟურნალისტებს და მწერლებსაც ავაღებინოთ ხელი ხალხის მეტყველების წაბილწვაზე“. იგი ხმალამოღებული იბრძოდა (კ.გამსახურდიასთან ერთად) ქართული ენის ლიტერატურული და გრამატიკული ნორმების დაცვისათვის, უცხოური სიტყვების ძოძალების წინააღმდეგ (რაც დღესაც ძალზე აქტუალურია): „ზოგჯერ უცხოს უფრო უჯერებენ, - წერდა იგი, - და მეც მხოლოდ ერთ უცხოელს დავასახელებ. ამასვე გვეუბნება გერმანელი პროფესორი რიხარდ მეკელაინი, ავტორი ქართულ-გერმანული ლექსიკონისა, ენათმეცნიერი და ორიენტალისტი:

ჩვენ 50 000 სიტყვა გვაქვს - ევროპელებზე მეტი - და ისეთი ჯადოსნური ფორმები ზმნისა, რომელთა მსგავსი არც ერთ ენას არ მოეპოვება. და ასეთი განძის პატრონი წარამარად უნდა სესხულობდეს უფრო ღარიბებისაგან სიტყვებსა და ფორმებსაც?! დიდი რამ არის ცოდნა და კულტურა, მაგრამ სამი რამ არის მათზე უფ-

რო მჭრელი და ძლიერი: ცრუმორწმუნება, უეიცობა და საკუთარი თავის უნდობლობა".

უდიდესი პატრიოტი და მამულიშვილი სასტიკად ებრძოდა ქართველებში მომძლავრებულ საკუთარი თავის უნდობლობის, ურწმუნოებისა და ნიჰილიზმის სულის გამომხვრელ და დამანგრეველ გრძნობას. მის კალამს ეკუთვნის პუბლიცისტური შედეგრი „მასალები ლექციისათვის" (თხზულებანი, ტ.VI, თბ., 1980, გვ.51-70), რომელიც უნდა წაიკითხოს ყველა ქართველმა და პატრიოტმა. ეს ნარკვევი დაიწერა 1927 წელს და მიმართულია ყველა ქართველის, განსაკუთრებით კი წარსულის მიმართ ნიჰილისტურად განწყობილთა მიმართ. აქ იგი ეკამათება მწერალ ნიკოლოზ მიწიშვილს, რომელიც წერდა: „მე საქართველოს ვერ ვხედავ, ვერ ვნახულობ და მეშინია: ნუთუ საქართველო მარტო ეთნოგრაფიული მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული?.. ჩვენი წარსულიც სრული უბადრუკობაა... იქ, ღვთის ხელს ვერ ვნახულობ"...

მიხეილ ჯავახიშვილი ამის საპასუხოდ წერს: „მიწიშვილი მარტო არ არის. ურწმუნოებით მრავალია შეპყრობილი და ასეთი სულიერი მოდუნება გადამდებ სენივით ედება ჩვენი ხალხის მჩატე ნაწილს...

...უდავოა, რომ ქართველები ანთროპოლოგიის კლასიფიკაციაში პირველ რიგში სდგანან. ბლუმენბახი რომ ჰქმნიდა თავის თეორიას, ინდო-ევროპიული მოდგმა უუმაღლეს ნიმუშად წამოაყენა და მას „კავკასიური რასა" უწოდა. მრავალი ათას ჩონჩხიდან, რომელიც მან გასინჯა არჩეული ნიმუში - საუკეთესო, იდეალური, მიუღწეველი - ქართველი ქალისა აღმოჩნდა. იშვიათია ქვეყანაზე ჩვენისთანა მოსრული, ნატიფი, ჯიშიანი ხალხი. ეს არ არის კვეხნა - ამას ამბობენ უცხოელები... დახვეწილი ჯიშიც დიდი კულტურის შედეგია... ჩვენს ფიზიკურ აღნაგობაში განუყრელად ჩაღვრილია ბიოლოგიური გამძლეობაც... ხალხთა ულეველ ჭიდილში ქართველ ხალხს ებრაელთა უკვდავება და ჯიანჭველას ძალა აღმოაჩნდა. ვინც ჩვენი შეჭმა დააპირა, ჩვენი შხამით მოიწამლა.

...ძველი ბერძნები პამირის მთიანეთზე ვერ შეჰქმნიდნენ ბრწყინვალე ელინურ კულტურას. სამაგიეროდ ვერც მონგოლები გასწევდნენ ინგლისელობას... გაიხსენეთ მსოფლიო კულტურის მთავარი

გზა. ყოველივე აღმოსავლეთიდან წამოვიდა - მეცნიერება, ხელოვნება, რელიგიები და სოციალურ-სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები და სისტემებიც. ეს დიდი მდინარე ჩინეთ-ინდოეთ-შუა აზიიდან ჯერ მცირე აზიაში ჩამოვიდა, შემდეგ ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს მოედო, შემდეგ ლათინთა ქვეყნები ააყვავა და დასასრულ ევროპის ჩრდილო-დასავლეთსა და ჩრდილოეთისკენ შეუხვია. ეს მდინარე საქართველოს ასცდა. ჩვენ გვერგო მხოლოდ სანაპირო ტალღები. ამ წინწკლებითაც კი უხვად ვისარგებლეთ. და თუ ჩვენი კულტურის ტაძარი ზეცას ვერ მივაბჯინეთ, არც ეს არის ჩვენი ბრალი: მუდამ გვინგრევდნენ, გვმუსრავდნენ, გვახრჩობდნენ...

მსოფლიო კულტურის მდინარე მუდამ ზღვის ნაპირებს მისდევს. რამდენადაც უფრო გრძელია რომელიმე ქვეყნის საზღვაო ხაზი, იმდენად უფრო ძლიერია ამ ხალხის საერთო კულტურა ან წარსულში, ან ეხლაც, ან მომავალში... შავი ზღვის სანაპიროზე არ გაშლილა და ვერც გაიშლებოდა მსოფლიო მასშტაბის ცივილიზაცია... ჯერ ერთი: ეს ზღვა მიკუნჭულია თაგვის სოროსავით, მოწყვეტილია მსოფლიო გზებს. მეორე, მისი გასაღები მუდამ სხვის ჯიბეში იდო. მესამე: საქართველოს აქ მხოლოდ ერთი მტკაველი ალაგი პქონდა, და მეოთხეც - ჩვენდა საუბედუროდ, ქართველსაც ებრაელივით ეშინოდა წყლისა. ასე აეცდით მსოფლიო კულტურის გზებს, რადგან თვითონ ეს გზებიც ასცდნენ საქართველოს... სამაგიეროდ და ჩვენდა საბედისწეროდ - დიდი პოლიტიკურ-სტრატეგიული გზები არ აგვცდენია, და ჩვენც მუდამ ამის გამო ვიღუპებოდით, ვინგრეოდით იმ სოფელივით, რომლის თავზე და გარშემო განუწყვეტლივ იბრძვიან ძლიერი მეზობლები. ვინ არ მოპყავდა ჩვენსკენ ამ გზებს, ვინ არ გადაიარა ჩვენს ზურგზე?!... სორბონის პროფესორმა კოლინიონმა - განთქმულმა არქეოლოგმა და აღმოსავლეთის მცოდნემ - ერთხელ მითხრა ბაასის დროს: „ქართველი ხალხი სხვაგან სადმე რომ ყოფილიყო დასახლებული და ნორმალურად განვითარებულიყო, ეხლა ას მილიონზე მეტი იქნებოდა. ამ პატარა კუნძულს მეტად დიდი ზღვები სჭამდნენო“. და კინაღამ შესჭამეს. მიუვალმა რუსეთმა მხოლოდ ხუთიოდეჯერ თუ განიცადა უცხოთა ფეხი, ჩვენ კი ხიდზე ვიჯექით და მუდამ ვითელებოდით. ამიტომ არც საკვირველია, რომ შედეგებიც სხვანაირი

მოგვყვა...

...ევროპამ ერთხელ იხილა პუნების საშინელება, ჩვენთვის კი რკინისა და ცეცხლის სეტყვა შეჩვეული ჭირი იყო. ევროპას დღესაც აჟრჟოლებს ატილლას და ალარიხის გახსენებაზე, ზოგმა ქართველმა კი მალე დაივიწყა ათჯერ მეტიც და უარესიც... დედაქალაქი ტფილისი 36-ჯერ წაგვართვეს და დაიბრუნეთ... ჩვენ მუდამ ცეცხლში ვცხოვრობდით და ჩვენი კულტურის ტაძარს უფრო მახვილით ვაშენებდით, ვიდრე ჩაქუჩით და წერაქვით... ჩვენი წარსული ზოგჯერ მართლა საზარელია. იგი სავსეა შავი ფურცლებით, საზღაპრო საზიზღრობით - ურთიერთის ჭამა და მუხანათობა, ღალატი და მზაკვრობა, „ყიყვი და ეშმაკი". მაგრამ ამის გამო საღი მსჯელობის უნარს ნუ დავკარგავთ და უკიდურესობაში ნუ გადავარდებით. გავიხსენოთ და დავიმახსოვროთ ბუნების ერთი კანონი, რომელსაც ვერავინ გაექცევა: დავრდომილის, დამარცხებულის სხეულში და ტანზედაც მუდამ ჩნდება ათასნაირი შხამიანი ბაცილა, მუწუკი და ჭირი. ჩვენი შინაური რღვევა და აღრევაც, მზაკვრობა და მუხანათობაც, „ყიყვი და ეშმაკიც", მუდამ შედეგი იყო ჩვენი დამარცხებისა გარეშე მტრისაგან. ძარღვგადაჭრილი, იმედდაკარგული და გამწარებული ორგანიზმი იწყებს საკუთარივე თავის ღრღნას და ჭამას. ამიტომ მოსდევდა ხოლმე ჩვენს დამარცხებას ანარქია, სიმშილი, ეპიდემია, ზნეობრივი გახრწნა, განდგომა, კონდოტიერობა და დაშლა პროვინციებად. გამარჯვებული მუდამ ხელს უწყობს ამას... ჩვენ, ქართველები, ანგელოზები არა ვართ. ამქვეყნად მარტო ანგელოზები და ეშმაკები არ ცხოვრობენ. ჩვენც ისეთივე ადამიანები ვართ, როგორც სხვები - ყველანი... როცა ევროპა-ბიზანტია შავმა ფანატიკოსობამ მოიცვა, ჩვენში დიდი პუმანისტური ეპოქა დაიწყო... ჩვენ ქართველებმა ევროპას დავასწარით პუმანისტურ ეპოქის შექმნაში. ...ყვავილის აცრა ინგლისელმა ჯენერმა მოიგონა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ბერძენი ემანუელ ტიმონი კი სწერს 1713 წელს, რომ ქართველები დიდი ხანია ყვავილს აცრით მკურნალობენო... ფუგა ევროპიელებზე ადრე ქართულ მუსიკაში მოიძებნებოდა. აქაც დავასწარით ევროპას... რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვყავს კარუზო, პიტი, შალიაპინები, ბეტპოვენები და ვაგნერები, მაგრამ ასეთი დიდი

არტისტები და კომპოზიტორები ოთხიოდე ერს თუ ჰყავს. ინგლისელებს კი ამ დარგში მცირერიცხოვანი ხელოვანიც არა ჰყავთ... გერმანელმა მეცნიერმა კოხმა თქვა და დასწერა: აღმოსავლეთში ორი უუდიდესი ნაშთია არქიტექტურის - აია სოფია და ბანას ტაძარიო.... ინგლისს უმდიდრესი ლიტერატურის გარდა თითქმის ვერაფერი შეუქმნია, რუსებმა სახელი მოიხვეჭეს მუსიკით და ლიტერატურით, გერმანელებმა მუსიკით და ფილოსოფიით, იტალიელებმა მხატვრობით და ქანდაკებით, ჩვენ კი - ლიტერატურით და ხუროთმოძღვრებით"...

მაინც ბედნიერია საქართველო, ხომ მიხეილ ჯავახიშვილისნაირი მამულიშვილები გამოხარდა, რომელთა სიტყვა და საქმე დღესაც უხილავი ფარიკით იცავს ჩვენს ჯიშსა და გენს გადაგვარებისაგან.

ფრიად სამწუხაროა, რომ ამ დიდი ადამიანის საფლავი არ გვაქვს ქართველებს, რათა მუხლი მოვიყაროთ და პატივი მივაგოთ მის ხსოვნას.

გრიგოლ რობაქიძე

„გრიგოლ რობაქიძე ფლობდა გოლიათურ ენერგიას, მაგრამ წლების განმავლობაში მას ჰკლავდა და სულს უფერფლავდა ჯავრი და ღვენთავდა ვარამი სამშობლოსი“ - წერდა ცნობილი გერმანელი კრიტიკოსი რუდოლფ კარმანი დიდ ქართველ მწერალზე.

საქართველომ დაიბრუნა ერთ დროს კომუნისტების მიერ აკრძალული და უარყოფილი გრიგოლ რობაქიძე, თუმცა მისი არქივი და გერმანულად დაწერილი რამდენიმე ბრწყინვალე ნაწარმოები ჯერაც არ არის გადმოთარგმნილი მშობლიურ ენაზე.

ქართული სიტყვის მოგვი და დიდოსტატი გრიგოლ ტიტეს ძე რობაქიძე დაიბადა 1881 წლის 1 ნოემბერს ზესტაფონის რაიონის სოფ. სვირში. მამა - ტიტე რობაქიძე იყო თერჯოლის ღვთისმშობლის ეკლესიის მედავითნე, დედა - ქეთევან ბოჭორიშვილი - ოჯახის დიასახლისი. გრიგოლს ჰყავდა სამი და - ნინო, აგრაფინა და ლიდა.

გრიგოლი სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ 1895 წელს სწავლა გა-

ნაგრძო ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის სრული კურსი რომ დაამთავრა, 1901 წელს პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით იგი მიაკუთვნეს პირველთანრიგოსან აღზრდილთა რიცხვს და მიანიჭეს სემინარიის სტუდენტის წოდება. აქედან გამომდინარე, ყველა უპირატესობით, მათ შორის სამხედრო სამსახურის მოხდისას განკუთვნილი შეღავათებით.

1901 წლის 23 აგვისტოდან იგი ჩაირიცხა იურიევის (ამჟამად, ესტონეთის ქ.ტარტუ) საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე, სადაც სწავლობდა იმავე წლის 13 დეკემბრამდე. 1902 წელს იგი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში.

რამდენიმე თვეში გრიგოლ რობაქიძე საზღვარგარეთ გაემგზავრა და ჩაირიცხა გერმანიის. ქ. ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1906 წელს. 1907-1908 წლებში გრიგოლი ისმენდა ლექციებს გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. გერმანიიდან იგი საქართველოში დაბრუნდა და შეუდგა აქტიურ საზოგადოებრივ და სამწერლო მოღვაწეობას, კითხულობდა ლექციებს, ბეჭდავდა წერილებს სხვადასხვა საკითხებზე.

1910 წლის ოქტომბერში დაწერილი თხოვნის საფუძველზე იგი აღადგინეს იურიევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტად. 1912 წლის ზაფხულში გრიგოლი მალარიით მძიმედ დაავადდა და შკურნალობდა ჯერ ბორჯომში, მერე კი თბილისში ცნობილ ექიმთან და საზოგადო მოღვაწესთან ივანე გომართელთან.

1912-13 წლებში გრიგოლ რობაქიძემ ჩააბარა გამოცდები საავალდებულო საგნებში იურიევის უნივერსიტეტში. მეოთხეკურსელმა გრიგოლმა 1913 წლის დეკემბერში გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება ყაზანის უნივერსიტეტში, თუმცა მაშინ ამის ნება არ დართეს. ახალი თხოვნის დაწერის შემდეგ იურიევის უნივერსიტეტის რექტორმა მას მისცა გამოსაშვები ცნობა ყაზანის საიმპერატორო უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად.

მწერლის ბავშვობის მეგობარი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე იგონებდა რაჟდენ არსენიძე იგონებდა „გრიგოლ რობაქიძე და მე ერთად ვსწავლობდით სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ სემინარიაში, ქუთაისში. მეზობელ ოჯახებში ვიდექით და ყოველ-

დღე ერთმანეთს ვხვდებოდით. გიმნაზია (როგორც ზოგს უთქვამს) თვალით არ უნახავს. გიმნაზიელებს ჩვენ ეეჯიბრებოდით (ორივე) რუსული ენის ცოდნაში. მას, გრიგოლს, განსაკუთრებით დიდი მარაგი ჰქონდა რუსული სიტყვებისა და ხშირად ამარცხებდა იგი მოწინააღმდეგეთ. ჩვენ ერთად დავამთავრეთ სემინარია და ერთად წავედით უნივერსიტეტში იურიევში (დერპტი). მალე იგი იქიდან წავიდა, რადგან არ ჰქონდა სახსარი იქ დარჩენილიყო და სწავლა განეგრძო. თბილისს მისვლისას შეეიდა გაზეთ „კვალის" რედაქციაში. იქ გაიცვნეს იგი, ნახეს, რომ დიდად ნიჭიერი იყო და მოუხერხეს უცხოეთს წასვლა სწავლის დასამთავრებლად. პირველი წერილები მან გაზეთ „კვალში" დაბეჭდა. მგონი ეს იყო წერილი „პიროვნების როლი ისტორიაში". საზღვარგარეთიდან გრიგოლ რობაქიძე დაბრუნდა განსწავლული და ქართულ საზოგადოებაში მას დიდი პატივი ჰქონდა დამსახურებული" (გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი I, თბ., 1991).

1907 წლის წიწამურის ტრაგედიამ - ილიას მკვლელობამ მთელი არსებით შეძრა გრიგოლ რობაქიძე. 1908 წელს ევროპიდან დროებით დაბრუნებული გრიგოლი აცხადებდა, რომ ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მკვლელობამ მაიძულა მიმეტოვებინა ევროპა და სამშობლოში დაბრუნებულიყავიო. მისი პირველივე ლექცია ილია ჭავჭავაძეს მიეძღვნა. უნდა ითქვას, რომ გრიგოლმა საოცრად ჩაატარა ეს ლექცია და ქართული აუდიტორია დაიპყრო მსჯელობის ორიგინალობით და გაბედულებით. ილიას თემას იგი შემდგომშიც მრავალჯერ მიუბრუნდა. 1949 წელს პარიზში გამოქვეყნებულ წერილში „სათავენი ჩემი შემოქმედებისა", იგი მოგვითხრობს 1913 წელს პეტერბურგის ქართველთა სათვისტომოში გამართულ ილიას ხსოვნის საღამოზე, სადაც ისიც გამოვიდა სიტყვით „საქართველოს ტრაგედია": „მოვათავე სიტყვა - აღტაცება ექსტაზად იქცა. შინაარსმა გამოიწვია ეს ჩემი სიტყვისა? არა: ურიგო არ იყო, მეტი არა. ეგებ ფორმამ სიტყვისა? არა: ჩემი საშინელი აქცენტი რუსულში ცნობილია. მაშ რა იყო? ეს იყო „ის" ცეცხლი, რომელიც სიტყვის წარმოთქმისას ჩემში იწვოდა: იწვოდა ილიას ირგვლივ... გადის ორი-სამი დღე. ერთი სტუდენტი, რუსი, უგზავნის პეტერბურგიდან ბარათს თავისს მეგობარს ხარკოვში, სტუდენტს, რუსს. სწერს სიტყვა-სიტყვით: გრიგოლ რობაქიძის სიტყვის შემდგომ სა-

ქართველო რომ თავისუფალი მხარე იყვეს, მე მისი ქვეშევრდომი გავხდებოდიო. ეს ამბავი გადმომცა ჩემმა მეგობარმა პროფ. დიტო (დიმიტრი) უზნაძემ - გადამდებელი სიხარულით აყვანილმა (ასეთი სათუთი, ფარული ცეცხლით ანთებული ადამიანი მე მეორე არ მინახავს; მოგახარებს რამეს - თრთის, თითქო ჩვილი ბავშვიაო). ეს მოხდა 1913 წელს".

ლექციებს გრიგოლი თავიდან, მაშინ გაბატონებული წესის თანახმად, რუსულად კითხულობდა, მაგრამ დიდი ძალისხმევის შემდეგ მან მოკლე დროში შეძლო ბრწყინვალე ქართულით მათი გადმოცემა. შეუდარებელი ორატორი და მგზნებარე პატრიოტი, დიდი განათლების და მაღალი გემოვნების მქონე გრიგოლ რობაქიძე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ქართულ საზოგადოებაზე, რასაც სიამოვნებით იგონებენ დავით კლდიაშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე. აი, რას წერდა დავით კლდიაშვილი: „...თამამად ვამბობ, რომ გრიგოლ რობაქიძემ გამოაცოცხლა მაშინდელი ქართველობა; თავის საჯარო ლექციებით ნათლად დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ქართული ენა მშვენებით სავსეა, რომ მისით მშვენიერად გამოითქმება ადამიანის ყოველნაირი სულისკვეთება, გამოიხატება მისი აზროვნება. გრიგოლმა დაანახვა ქართველ საზოგადოებას, გადაგვარების გზაზე შემდგარს, ქართულის სიმშვენიერე, სიმძლავრე დაანახა და გაიტაცა. მან დიდად დაავალა ქართული საზოგადოება, მას ვერ დაუვიწყებს ქართველობა ამ დიდ ნამოღვაწარს". 1908-1909 წლებში მან ჩაატარა ლექციების ციკლი თბილისსა და ქუთაისში. თავისი მახვილგონივრული მიგნებებით მან ხელახლა აღმოუჩინა ქართველობას ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა, აკაკი (თავად რობაქიძე მიუთითებდა, რომ ყოველი მისი ლექცია განსაკუთრებული მანერით იყო შეთხზული, რასაც დიდ ყურადღებას აქცევდა მას შემდგომ, რაც ფრიდრიხ ნიცშემ, ოსკარ უაილდმა და დიმიტრი მერეჟკოვსკიმ გაანდეს ლექციის შეთხზვის მრავალი საიდუმლოება). აღფრთოვანებული არჩილ ჯორჯაძე წერდა, რომ გრიგოლის ლექციები იქცა „ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად ახალ და თითქმის უცნობ იდეურ მოვლენად. ...ადამიანი, ნიჭით დაჯილდოებული, ...ამასთან იმგვარი ტიპისა, რომელიც დღემდე გამოუცნობელი რჩება ქართველი საზოგადოებისათვის, გამოუცნობელი მისტიკური ფილოსოფიის

წყალობით, რომელსაც აღიარებს იგი... სასიამოვნოა, რომ გამოჩნდა კაცი, რომელიც კარგის, მკაფიო გამოსახულის ენით ესაუბრება საზოგადოებას პოეზიის და ხელოვნების შესახებ".

1923 წელს ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში" გამოქვეყნებულ წერილში „დადაიზმი და ცისფერი ყანწები" ტიციან ტაბიძე იგონებს 1919 წლის 7 ივნისს თბილისის კაფე „იმედში" გამართულ რუსი ფუტურისტების საღამოს, სადაც, სხვებთან ერთად, სიტყვით გამოსულა გ.რობაქიძე. „...მისი გამოსვლა ქარიშხლის მოვარდნას ჰგავდა... ამ ღამეს გრიგოლ რობაქიძემ გახსნა თავისი მასკა: ამ ღამეს ის არ იყო მთაწმინდელი, ღვაწლით შემოსილი, მასში დასძლია პოეტის უკიდურესობამ".

გრიგოლ რობაქიძის გამაოგნებელი გამოსვლით მიღებული შთაბეჭდილება იმავე ღამეს უკვდავყო ლადო გუდიაშვილმა, რომელიც, ტიციანის თქმით „ჩაიკეტა თავის სახლში და დახატა გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი: ეს არის უდიდესი, რაც შეუქმნია ლადო გუდიაშვილს: გრიგოლ რობაქიძე არწივის თავით, რომელსაც გადმოდის ტვინი ბალღამივით და შუბლი შედრეკილი ისე, თითქო მაცხოვარს ჩასცეს ლახვარი".

ლექციების გარდა, გრიგოლ რობაქიძე სამწერლო მოღვაწეობითაც აქტიურად იყო დაკავებული წერდა ლექსებს, ესსეებს, დრამებს, რომანებს და თანდათანობით აქვეყნებდა. იგი იყო ცისფერყანწელთა იდეური ბელადი და მეტრი, დამხმარე და წამახალისებელი, მეგობრობდა მათთან, თუმცა იდეური დაპირისპირება ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიასთან, რომელსაც არ მოსწონდა რომ თავიდან ცისფერყანწელები მიესალმენ ბოლშევიკთა შემოსვლას (მაშინ გრიგოლ რობაქიძე დაინიშნა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ხელოვნების კომიტეტის თავმჯდომარედ).

განსაკუთრებულად აფასებდა გრიგოლ რობაქიძეს პაველ ინგოროყვა. 1923 წლის გაზეთ „რუბიკონის" ერთ-ერთი ნომერი (N5) მთლიანად მიეძღვნა გრიგოლ რობაქიძის პიესას „ლონდას". პაველ ინგოროყვა წერდა: „გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის ჩემი დიდი სიყვარული; მაგრამ გრიგოლ რობაქიძის შესახებ არ არის საჭირო მიკერძოება, რადგან მისი სახელით ლაპარაკობს თვითონ პოეზია... იგი თავისი ხედვით ზომავს საუკუნეებს. ხოლო თანამედრო-

ვე პოეზიამ იგი აღიარა როგორც თავისი მეტრი... ახალ ქართულ პოეზიაში არ არის მეორე, რომელსაც ჰქონდეს ასეთი მძაფრი, და ამავე დროს ასეთი უცთომელი გზნება ქართული სიტყვის. გრიგოლ რობაქიძის სიტყვაში თითქოს გაიხსნა პირველი სათავე, პირვანდელი წყაროსთვალი ქართული მეტყველების. მასში განახლდა ბებერი თესლი ქართული სიტყვის. გრიგოლ რობაქიძის ქართული არის აღსავსე პირვანდელი სიქალწულით. გრიგოლ რობაქიძე არ მიდის სიტყვასთან როგორც არტისტი, არამედ იგი თვით გამოდის სიტყვიდან როგორც რიტმი, და როგორც პოეტი".

1910 წლის აგვისტოში გრიგოლ რობაქიძეს წერილი გაუგზავნია ცნობილი კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძისათვის, სადაც გადმოცემულია მისი სულიერი განცდები: „... გწერ კიდევ მისთვის, რომ ჩემი თავის მეშინია: ვაი თუ ჩემივე ხელით უფსკრულში გადავიჩეხო! ხომ იცი, მე პირადი ცხოვრება სრულებით არა მაქვს: ჩემი თანამგზავრია საშინელი მარტოობა, ყოვლის მომშორებელი ეულობა... გარშემო კი სიბნელე და სიცივე... მაქვს ერთგვარი შემოქმედებითი ნიჭი, მაგრამ ჩემი მარმარილო გაბზარული გამოდის. მიზეზი: სამშობლოს სნეულება და თან ჩემი „ავადმყოფი" სიყვარული (იჭვიანი, შორეული, გაბზარული)"...

გრიგოლ რობაქიძეს გაგიჟებით პყვარებია იულია (ლუდმილა) მაჭავარიანი, რომლის მშობლებსაც არ მოსწონდათ სასიძო. ზეინაბ ლომჯარიას თქმით „მშობლებმა ქალიშვილს გრიგოლთან შეხვედრები აუკრძალეს; რომ ვერაფერს გახდნენ, მამიდის ოჯახში, ხარაგაულის რაიონის სოფელ ვარძიაში მოტყუებით ჩაიყვანეს და რამდენიმე თვის განმავლობაში შინაპატიმრობაში ჰყავდათ. იულიას ბიძებმა კი გრიგოლს წერილი მისწერეს - იულიამ თავი მოიკლაო". გრიგოლ რობაქიძეს ურწმუნია ეს ცნობა და აზრადაც აღარ მოსვლია მისი გადამოწმება (იულია მალე გათხოვილა შშობლების ძალდატანებით, შესძენია 6 შვილი, გარდაცვლილა 1965 წელს, გრიგოლი სიკვდილამდე ხსომებია და მის წერილებსაც ინახავდა თურმე).

გრიგოლმა ჩაიფიქრა, რომ რომანში „ჩაექსოვა" სატრფოს თვითმკვლელობით გამოწვეული „აუწერელი ტანჯვა", რაც რეალიზებულ იქნა უბრწყინვალეს რომანში „გველის პერანგი". ამ

რომანზე მწერალი მიუთითებს, რომ „გველი“ შთამესახა ზაფხულში 1917 წლის ჰამადანში - დავწერე იგი 1924 წელს ბორჯომში, შემოდგომის ბოლოს“. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ თეიმურაზ ხევისთავის „სატანურ ცუდმედიდობას“ ემსხვერპლა მარგო - „ქართული დედული“.

ამ წიგნის საზრისზე განსჯისას შეძრწუნებული გრიგოლ რობაქიძე კითხულობს: „დანებდა ქართული დედული ბოლშევიზმს და სხეულის სიუხვით გადაეშალა მას? შეურიგდა ბედს ქართული მამული დაბეჩავებული?“ რობაქიძისათვის უმთავრესია დედაწიაღის გადარჩენის პრობლემა. ამიტომ შემოდის მის ტექსტებში ქალღმერთების ნეითისა და იშთარის სახეები: **„მე ვარ ის, რაც არის და რაც იყო და რაც იქნება და არც ერთ მოკვდავს და არც ერთ ღმერთს არ აუხდია ჩემი სახურავი“**. ქალი კოსმიურად უფრო ძლიერია, ვიდრე ვაჟი. მას ძალუძს მრავალს ეკუთვნოდეს, მაგრამ შინაგანად უბიწო დარჩეს. გველის მიერ პერანგის გაძრობა ნეითის კომპლექსის ანალოგიური მოვლენაა: „ისე უნდა უცქერდე საკუთარ წარსულს, როგორც გველი უცქერს საკუთარ პერანგს: გახდილსა და დაგდებულს“. წარსულის გადალახვა „შინაგან“, ანუ „ცვალება ქერქის“ ნიშნავს მარადიულ განახლებას ინტროსპექციით, სწრაფვას ფესვებისა და „ძირა ფენებისაკენ“, ნეითისეული აუხდელი საბურველისაკენ (ლელა წიქარიშვილი).

რობაქიძის „გველის პერანგი“ 1926 წელს დაიბეჭდა თბილისში. მალე მან თავად დაიწყო ამ წიგნის თარგმნა გერმანულ ენაზე. 1928 წელს „გველის პერანგი“ გამოიცა გერმანიაში ქ. იენაში, დიდი მწერლის სტეფან ცვაიგის წინასიტყვაობით (გამოცემასთან დაკავშირებით გრიგოლი წასული იყო გერმანიაში, დაბრუნდა 1928 წელს და კონსერვატორიის დარბაზში წაიკითხა მოხსენება „რვა თვე გერმანიაში“, რომელსაც უამრავი ადამიანი დაესწრო. ამავე პერიოდში მიიღო გადაწყვეტილება, სამუდამოდ დარჩენილიყო გერმანიაში, რაც განახორციელა კიდეც 1931 წელს).

აღფრთოვანებული სტეფან ცვაიგი მიუთითებს, რომ „თაგორმა და განდიმ გაგვიხსნეს ჩვენ თანამედროვე, მეტად ცხოველმყოფელი ინდოეთი და ახლა ჰორიზონტზე ჩნდება ერთი ახალი ერი, მე ვფიქრობ, პირველად, გრიგოლ რობაქიძის - ქართველის ამ რომანით... საქართველო რომ მდიდარია მითიური ძალებით, რაინდული გონით

და ამავე დროს, თანამედროვეობისაკენ სწრაფვით, ეს პირველად ამ ახალგაზრდა მწერლის ამ წიგნიდან გავიგე, რაც მისი სამშობლოსი და ამით ჩვენიც დიდი სამსახურია, ვინაიდან ჩვენს წინ, მისი გამოსახვითი ძალის წყალობით, იშლება ჩვენი ცნობისმოყვარეობისათვის ახალი და უჩვეულო მსოფლიოს ერთი ქვეყანა, ერთი მიმზიდველი სულიერი წრის ზონა... ყოველ ფურცელს გააჩნია ცეცხლოვანი, ბალადური მომენტები სრულიად უცხო სახის სიმშვენიერისა; და მიუხედავად იმისა, რომ გრძნობას ნათლად არ შეუძლია გაარჩიოს, სინამდვილეში ვის უნდა უმადლოდეს ვარდის ზეთისა და აშიშის ამ დამაბრუებელ სურნელებას, მწერალ რობაქიძეს თუ თვით საქართველოს; ასე სიამოვნებით ხდები ტყვე ახლისა" გრიგოლ რობაქიძის აღმოჩენით ევროპამ კვლავ დაიბრუნა საქართველო, რომელსაც ოდესღაც იცნობდა კულტურული მსოფლიო, მწერლის ნიჭიერებამ კვლავ აღუძრა ინტერესი ევროპას და ქართული გენის უნიკალურობაში და მშვენიერებაში დარწმუნებულმა თავის გვერდით მიუჩინა ადგილი... რობაქიძე გენიალურია, თქვეს მათ, ე.ი.გენიალურია ის კულტურა, რომელმაც შვა რობაქიძე (შარლოტა კანტალიანი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ რობაქიძეს სტეფან ცვაიგი პირადად გაუცვნია მოსკოვში, 1928 წლის სექტემბერში, ლევ ტოლსტოის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო დღეებზე.

1931-1962 წლები გრიგოლ რობაქიძემ ემიგრაციაში გაატარა და ველარც ეღირსა თავისი საყვარელი სამშობლოს ხილვას. მწერალმა გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები:

1. „მეგი - ქართველი ასული" - რომანი, ტიუბინგენი, 1932 წ. (ითარგმნა იტალიურადაც სათაურით „მედეას ნაწნავები").
2. „ჩაკლული სული" - რომანი, იენა, 1933 წ.
3. „ქალღმერთის ძახილი" - რომანი, იენა, 1934 წ.
4. „წმინდა გრალის მცველნი" - რომანი, იენა 1937 წ.
5. „დემონი და მითოსი" - იენა, 1935 წ.
6. „კავკასიური ნოველები", ლაიპციგი, 1932 წ. (აქ შესულია სამი ნოველა: „ჯადოსნური წყაროები") 2. „წმინდა ხარის მოკვლა"; 3. „იმამ შამილი". ნოველები ითარგმნა ორი გერმანელი მთარგმნელის რიჰარდ მეკელანის და კეთე როზენბერგის მონაწილეობით).

„მეგი - ქართველი ასული“ ასახავს კოლხეთს და მედეას, იგივე მეგის. აქ მწერალი ხორცს ასხამს მედეას მითოსს. რომანში „წმინდა გრალის მცველნი“ გატარებულია აზრი, რომ ჟამთა უკულმართობისას ვაზის ლერწმისაგან გამოჭრილ ჯვარს, - რომელიც წმინდა ნინო კაპადოკიელმა თავისი თმით შეკრა, გამოულია მტევნები, რომლის წვენი რაინდებს შეუნახავთ თასით. ეს თასია „გრალი“ საქართველოს გული. რობაქიძის გრაალი - საქართველოს მარადიულობის სიმბოლოა, რომელსაც თავისი რაინდთა ორდენი იცავს, მისი თავისუფლებისათვის თავდადებული და თაეგანწირული, რომ „საქართველოს გული სამსხვერპლო თასია“. წმინდა ნინო ერთადერთი მოციქულია ქალებს შორის. თასის ღვინით ავსება - ქრისტესთან კვლავ და კვლავ ზიარებაა, რაც სულიერად აძლიერებს მორწმუნეს, სიმბოლურია ისიც, რომ უფსკრულის პირად მდგომ რაინდებს, სასიკვდილოდ განწირულთ, რომელნიც მზად არიან უფსკრულში დაინთქან, ოღონდ მტერს არ ჩაუვარდნენ ხელთ, ლოცვა აღარ შველით... ეს სიმბოლური მინიშნებაა, რომ რწმენა შეირყა და ლოცვა ზეცამდე ვეღარ აღწევს (დღევანდელივით - **ვ.შ.**), საჭიროა ახალი ზენარული ძალა, რათა რწმენა კვლავ გაძლიერდეს, ერი განიწმინდოს და კვლავ ეზიაროს უზენაესს. ამ მისიას თამარი - საქართველოს ძლიერების სიმბოლო - ასრულებს (მარიამ კარბელაშვილი).

„ქალღმერთის ძახილში“ ასახულია სვანეთი და ტყის დედოფალი დალი, რომელიც მითიური ქალღმერთიცაა და რეალური ქალიც. ამ რომანში მოცემულია ქრისტიანული სარწმუნოებისა და უძველესი კერპთაყვანისმცემლობის ბრწყინვალე შერწყმა-შეერთება. „დემონსა და მითოსში“ რობაქიძე იძლევა ცხოვრების რთული არსის აზრობრივ-მეტაფიზიკურ განმარტებას აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ის წარმოგვიდგენს გოეთეს, როგორც უპირველესს, რომელიც მითიურად უმზერს ჩვენი დროის ევროპას. გარდა ამისა, მწერალი აკრიტიკებს ევროპულ-ამერიკული ცხოვრების სულს, როგორც გაუღმერთებელი სამყაროს შედეგს (რ.კარმანი).

ცნობილმა გერმანულმა ჟურნალმა „ეხო დერ ცაიტ“ 1933 წლის თებერვლის ნომერში გამოაქვეყნა წერილი „გრიგოლ რობაქიძე - ერთი ნამდვილი პოეტი“, სადაც ვკითხულობთ: „წესი არაა

გენიოსად გამოცხადებულ იქნას მწერალი, რომლის შემოქმედება მხოლო ორი ნაწარმოებით („გველის პერანგი“ და „მეგი“) არის ცნობილი გერმანელი მკითხველისათვის. გრიგოლ რობაქიძის შემთხვევაში ეს გამონაკლისი დასაშვებია... რობაქიძის სახელი დღეს სიმბოლოდ არის გადაქცეული. იგი არის სიმბოლო გამოღვიძებული აღმოსავლური მწერლობისა, რომელიც უკვე შემდგარია გზაზე, რომელმაც მას მსოფლიო ლიტერატურაში შესაფერი ადგილი კვლავ უნდა მოუპოვოს. ...რობაქიძე ოსტატია შემოქმედების უღრმესი საიდუმლოებისა: იგი არის მოგვი სიტყვისა.

სიტყვას, ბგერას მასთან აქვს სიმძაფრე შემლოცველისა; იგი არის შემლოცველი გველისა (მსახვრალი); მან უცბად გამოპკვეთა ლიტერატურულად თავისი ჯადო ფორმულები. მისი წიგნების შინაგანი ჯადო მკითხველს შებოჭავს ისე, ვითარცა გრძნების შინაგანი ჯადო ძველი მოგვისა გველებს გააშეშებს... გრიგოლ რობაქიძე არის სუვერენი სულისა“...

გერმანელი მწერალი ფ. პოენტში წერდა: „გრიგოლ რობაქიძე არის სულით არისტოკრატი, სულიერი მეთაური თავისი ხალხისა. იგი ქართველი ერის სახალხო პოეტია, ისევე როგორც იყვნენ ესქილე, სოფოკლე, პინდარე და ჰომეროსი ელადისათვის, დოსტოევსკი და ლესკოვი რუსეთისათვის, გოეთე, ჰოლდერლინი და კლაისტი გერმანიისათვის“

რობაქიძის „დემონის და მითოსის“ წაკითხვის შემდეგ ცნობილი გერმანელი მწერალი ვილპელმ შეფერი წერდა: „განსაკუთრებით აღმაფრთოვანა რობაქიძის ნიჭმა გერმანულ ენაში. აქ იგრძნობა წყაროები, რომელიც ჩვენთვის მიუწვდომელია“.

ცნობილმა კრიტიკოსმა, საფრანგეთის აკადემიის წევრმა მარსელ ბრიონმა დაწერა ვრცელი შესავალი წერილი რობაქიძის „მეგის“ ფრანგული თარგმანისათვის: „ამ არაჩვეულებრივი ხარისხის რომანისტის დიდ ნიჭს შეუძლია შექმნას მხოლოდ ასეთი დიდი მეტამორფოზები“ - წერს იგი.

გრიგოლ რობაქიძის კალამს ეკუთვნის ხუთი დრამა-მისტერია: „ლონდა“, „მალშტრემ“, „ლამარა“, „კარდუ“ და „უდეგა“. ამ დრამებით გრიგოლ რობაქიძემ ქართულ დრამატურგიაში პირველმა შემოიტანა მანამდე სრულიად უცნობი დიონისური საწყისები - მისტერიული აღქმა ცხოვრებისა და მოვლენებისა. ეს დრამები

დაიწერა 1917-29 წლებში და თვისებრივად ახლის მაუწყებელია XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

დიდი ფრანგი მწერალი რომენ როლანი გრიგოლ რობაქიძის მისტერიაზე „ლონდა“ და „მალშტრემი“ (ფრანგული თარგმანი ელისაბედ ორბელიანის) აღფრთოვანებული წერდა: „...მე მიმაჩნია, რომ ეს ნაწარმოები, განსაკუთრებით, მისი პირველი და უკანასკნელი ნაწილი, უფრო ახლოს დგას ჩვენს დიდ მუსიკოსებთან, ვიდრე პოეტებთან. მისმა მუსიკალურმა არქიტექტურამ გამაოცა“.

გერმანელი კრიტიკოსი რუდოლფ კარმანი წერდა: სამშობლოს - საქართველოს სიყვარული გრიგოლ რობაქიძისა დაუცხრომელი სულის მარადიული ღელვა იყო. სამშობლო მან დასტოვა ბავშვივით ატირებულმა და ამ ქვეყნიდან განვიდა მარადისობაში, საქართველოსთან განშორების ლამაზი სევდით. გრიგოლ რობაქიძის ღვთისგან მონიჭებული მშვენიერი შემოქმედება... გადაიქცა ვითარცა სიმბოლო ქართული ლიტერატურისა, რომელმაც სათანადო და ჯეროვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო ლიტერატურაში. რაბინდრანატ თაგორის სახელი იყო პირველი სახელი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოშუქდა. მას მოსდევდა გრიგოლ რობაქიძე, უფრო პირველქმნილი, უფრო დაკავშირებული ბუნებასთან, ვიდრე ნობელის პრემიის მქონე ინდოელი.

ჩვენ, დასავლეთ ევროპელებს, გრიგოლ რობაქიძემ გადაგვიშალა ქართული მიწა, მისი მადლი, მისი სისხლი, სუნთქვა ქართული მიწისა, მისი შორეთიდან მომდინარე ზღაპრული ფერები“. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე თავისი მაღალი შეხედულება გამოუთქვამს ასევედიდ მწერალს თომას მანს.

გერმანელი პოეტი ფრანკ მარაუნი თურმე სწერდა გრიგოლს 1944 წლის 16 სექტემბერს: „განცვიფრებული ვდგევარ გასაოცარი ათვისების წინაშე, რომლითაც თქვენ გერმანული ენა და მისი პოეტური გამოთქმის შესაძლებლობანი სხვა ენათა შორის ჯერ მიუღწეველ არნახულ დონეზე აიყვანეთ. ჩემი გულწრფელი რწმენაა, რომ რილკეს შემდეგ ასე სრულყოფილი არაფერი შექმნილა გერმანულ ენაზე“.

გრიგოლ რობაქიძე უცხოეთშიც არ წყვეტდა ლიტერატურულ-ესსეისტური და მეცნიერული ნარკვევების წერას ქართულ ენაზე.

აი ზოგიერთი მათგანის დასახელება: „ბარათები ბოდენის ტბიდან“, „საქართველოს სათავენი“, „წყარის თვალი“, „ქართული მითოლოგიიდან - პრომეთე, ღალი“, „საქართველო - მსოფლიო თვალთახედვით“, „პოეზიის სამყაროდან“, „საქართველო ჯვაროსანთა ეპოქაში“, „ქართული გენია როკვით განფენილი“ (ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ანსამბლის ჟენევაში გამოსვლის გამო); „ივანე ზურაბაშვილის წიგნის გამო“, „ვაჟას ენგადი“, „საუბარი კარდუსთან“, „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“, „ექსპრესიონიზმი“, „ჟამსა ხუმრობისა (მოგონილი და გაგონილი)“, „მიხეილ ჯავახიშვილი - ნიკო ფიროსმანი“, „ლამარა (მოკლე ბიოგრაფია)“, „ფოთლები (კ.გამსახურდია, ალ.აბაშელი, ილო მოსაშვილი)“, „სხვადასხვა (ქართული ლიტერატურიდან)“, „ივანე ჯავახიშვილი“, „გალაკტიონ ტაბიძე და „ქებაია ქება ნიკორწმინდას“ („შედევრია ეს შაირი, ნამდვილი შედევრი. სხვა რომ არაფერი შეექმნა გალაკტიონს, ეს შაირიც საკმარისი იქნებოდა, რომ იგი შესულიყო ქართულ პოეზიაში როგორც დიდი ოსტატი“ - წერდა რობაქიძე).

გრიგოლ რობაქიძე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იწვოდა თავისი ქვეყნის სიყვარულით და ნოსტალგიით, იგი ბოლომდე დარჩა თავისი ღვთაებრივი სამშობლოს დიდ პატრიორტად, საქართველოსა და ქართული ენის მაღმერთებლად. 1952 წლის აპრილში ჟენევაში (სადაც ის ცხოვრობდა ძლიერ ხელმოკლედ 1945 წლიდან) დაწერილ წერილში „რა უნდა აგონდებოდეს ქართველს“, იგი მიუთითებს: „ქართველი თავმოწონეა. აქვს კიდეც უფლება თავმოწონებისათვის. ენა ქართველთა უგენიალურესი ქმნილებაა ენათა შორის. მისი ფესვევული დენა აცნაურებს უთვალავ საიდუმლოთ მსოფლიოისა... გასაოცარია და საცნაური ქართველთა „ჯვარი ვაზისა“: ასეთი ღრმა სიმბოლო რეალური მთელს საქრისტიანოში არ მოიპოვება. გავიხსენოთ ღარუსის სიტყვა ქართველებზე - „ალბათ ეს არის ყველაზე ლამაზი რასა ქვეყანაზე“. გრიგოლ რობაქიძე აღტაცებული იყო ქართული ენის პოეტური სიდიადით. ამ მხრივ მას მრავალი გამონათქვამი ეკუთვნის: „თვალი ჩასულა მტევანში“ -ეს თქვა ხშირად მომიყვანია როგორც გასაშტერებელი ნაყოფი ქართული გენიისა. თვალი მზეა, ფიქრობს ქართველი. „თვალი ჩასულა მტევანში“ - ეს ნამდვილი პოემაა, პოემასთან ერთად „ირმის ნახტომი“.

„ღვთის მიმართ ჩვენ ვხმარობთ „უფალი!“ და საოცარი „უფ-

ლება“ ქართულში „ბატონისაგან“ კი არ გამოდის, არამედ „უფ-ლისაგან; „სიმართლე“ („მართვა“ აქედან მოდის) და ა.შ.

სამშობლოს მოწყვეტილი კელავ და კელავ სამშობლოთი საზრ-დოობდა: „თუ რამ კარგი ნაყოფი გამოდის ჩემგან, ეს მადლი არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მიწისა... საქართველოს არ იცნობენ არც იქ და არც აქ. იგი უნივერსალური მოვლენაა: პატარა ერი, რომელშიაც ცოცხლობს ტომურად, ერთსხეულად, საერთო სული: აღმოსავლური საშო, საცა მიწა „დედაა“ წმინდა, ისტორია უძველესი, რომელიც თავის ათასწლებიან სიგრძეზე აგ-როვებს ქმედით ცოცხალ ხსოვნას (ანამნაზისს). აქაა საქართვე-ლოს არსი. ეს ცხადდება: ქართულ ხასიათში, ქართულ სიტყვა-ში, ქართულ სილაღეში, ქართულ ერქვანში, ქართულ ხმალში, ქართულ სიმღერაში (რომელიც ღმერთკაცებისაა)...“, წერდა გრი-გოლ რობაქიძე 1933 წელს.

საქართველოს მონატრებული გრიგოლ რობაქიძე ოთხჯერ დასწრებია ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ქართული ცეკვის ანსამბლის გამოსვლას ჟენევაში 1962 წელს და თვალზე სიხარულის ცრემლით დაწერა ბრწყინვალე სტატია „ქართული გენია როკვით განფენილი“, რომელიც პარიზში გამოქვეყნდა მი-სი გარდაცვალების შემდეგ 1964 წელს: „...ქალთა კადრი დასში. თვითეული: კენარი. ჯავარი. სინაზით ტვიფრული. მწყაზარი. მორცხვი. კდემული. ნელი. წყნარი. ნარნარი. ქალწულური სრუ-ლიად - მიმოხვრაშიაც: როკვა-გოგმანი. გოგმანი-სრიალი. სრია-ლი-ცორვა. ცორვა-ცურვილი: გედის ცურვილი. ყველანი ერთად: გედები, გედები, თეთრი გედები. ხან ფრონტალურ გამწკრიეებულ-ნი პაეროვნებით. ხან მარაოდ გაშლილნი, რომელიც არეს ცისარ-ტყელად ეფინება (რა გოგონებია! დაილოცოს ჩვენი დედული!).

ახლა ვაჟები. თვითეული: ყოფის შუაგულიდგან გამოსხმული. კერივი. ნაკვთიერი. ყოველ ნაკეთში - მზის ჯავლი ხალასი. ასხე-პილი ვით ასკილი. დახვეწილი, დაწმენდილი. ხალისით ალესილი. შმაგი, ხანდახან შლეგი. ძალაყრილი. აცეცხლებული, რადგან თვითონ სიცოცხლე: „ცეცხლი“, „ცოცხალი“ ხლტომა „ელან ვიტალ“. ავარდნა. გავარდნა. მოვარდნა. შევარდნა. ხედვაში თვალციალი შევარდენის. როკვა: რიტმული დენის ელვარი. ცქა-ფი წამახულ ფერხთა: წარმოუსახავი: ითქმის ზებუნებური (მინდა

შევამოკლო - ვერაფერს ვუხერხებ, საოცარია - **ვ.შ.**), ამავე დროს მთელი ტანი: თითქო უძრავი, ურხევი. „თითქო“: რადგან ლხენით ავსილი; ისე, რომ ამის ერთი ცვარიც არ დაიქცეს (მთავარი ხტილი როკვებში). მოშვიდული. ყოველი სხლეტი - ხვედრა თვითონ (რა ბიჭებია! დაილოცოს ჩვენი მამული)... ამაზე შორს ოსტატობა - საერთოდ ხელოვნება - ვერ წავა... ახლა ვამბობ: საქართველო დაჭრილი მზეა! „დაჭრილი მზე“ - მაგრამ მაინც მზე!“

გრიგოლ რობაქიძე გარდაიცვალა მარტოობაში, უშვილძიროდ 1962 წლის 19 ნოემბერს. 20 ნოემბერს ჟენევის პოლიციამ აღმოაჩინა მისი გვამი მისსავე ბინაში. გარდაცვალებამდე მას გაუკეთებია ანდერძის ტიპის წერილი „მეტს არას ვთხოვ საქართველოს“, რომელიც არ შეიძლება უცრემლოდ წაიკითხო. იგი ითხოვდა მისი გარდაცვალების შემდეგ მწიფობის თვეში სანთელი დაენთო ვინმე ქართველს სვეტიცხოველში მისი სულის საცხონებლად. ამის მეტს იგი არაფერს თხოვდა საქართველოს (ეს ანდერძი მას აუსრულა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელიც გარდაცვალებამდე ყოველ წელიწადს უნთებდა სანთელს სვეტიცხოველში).

თავიდან იგი დაკრძალეს ჟენევის სასაფლაოზე მეუღლის - ლენას გვერდით, შემდეგ კი კალისტრატე და ნინო სალიების მცდელობით გადაასვენეს ლევილის ქართულ სასაფლაოზე საფრანგეთში, პარიზთან ახლოს, სადაც განისვენებს დღემდე.

ასე ტრაგიკულად აღესრულა დიდი ქართველი მწერალი და მამულიშვილი გრიგოლ რობაქიძე, რომელიც სულის ამოსვლის წინაც, ალბათ, საქართველოზე ლოცულობდა და მას ემშვიდობებოდა. ბრწყინვალედ თქვა ცნობილმა ფილოსოფოსმა მოსე გოგიბერიძემ: „ეს მეტაფიზიკური სიყვარული წარმომშობი მიწისა და მამულისადმი დასაბამიდან თან ახლავს ქართველ კაცს; იგი მას განიცდის, როგორც ბუნების შვილი, და მეცნიერება ნიუტონისა და კანტის, ფილოსოფია პეგელისა და მარქსის ამავე კაცისათვის თავისი რომ გახდება, იგი მაინც ყველაზე ღრმად განიცდის სიყვარულს ქართული მიწისა და წარმომშობი კერისადმი; მანვე რაოდენი კოსმოპოლიტიზმი არ უნდა იქადაგოს, საბოლოო ანგარიშში მაინც ამქვეყნიური ბედნიერების იმქვეყნიურ მარადისობასთან დამაკავშირებელი არის ის ერთი პეშვი ქართული მიწა, რომელსაც მას კეთილი ადამიანები გულზე დააყრიან“.

ივანე ბერიტაშვილი

ივანე ბერიტაშვილი დიდი ქართველი მეცნიერი იყო. მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ფიზიოლოგიურ სკოლას და მსოფლიოში გაუთქვა მას სახელი.

ივანე სოლომონის ძე ბერიტაშვილი დაიბადა 1884 წლის 29 დეკემბერს გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში. დაწყებითი განათლების მიღებისა და თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც სწავლას განაგრძო ადგილობრივ უნივერსიტეტში.

1910 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა, მაგრამ ამავე უნივერსიტეტში დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად. მან მუშაობა დაიწყო ნ.ვეედენსკის ხელმძღვანელობით (1910-15 წწ.).

1912 წელს ივანე ბერიტაშვილი სამეცნიერო მივლინებით გააგზავნეს ყაზანში, სადაც იგი მუშაობდა ა.სამოილოვის ლაბორატორიაში, შემდეგ კი ჰოლანდიის ქ-უტრეხტში რ.მაგნუსის ლაბორატორიაში (1914-15წ.წ.).

1915-19 წლებში ივანე ბერიტაშვილი ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო.

1919 წლიდან ივანე ბერიტაშვილს იწვევენ ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტში. აქ იგი აარსებს ადამიანთა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრას, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი იყო გარდაცვალებამდე.

1935 წელს ამ კათედრის ბაზაზე ივანე ბერიტაშვილმა დააარსა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც იყო 1951 წლამდე, ხოლო შემდეგ აქვე მუშაობდა მეცნიერ-ხელმძღვანელად.

ივანე ბერიტაშვილი ავტორია მრავალი ფუნდამენტური ნაშრომისა მედიცინის და ფიზიოლოგიის სფეროში: კუნთოვანი და ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის, უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ქცევის მექანიზმებისა და მათი სივრცითი ორიენტაციის შესახებ, ხერხემლიან ცხოველთა მეხსიერების მახასიათებლების და წარმოშობის შესახებ. ივანე ბერიტაშვილს ეკუთვნის მრავალი აღმოჩენა ფიზიოლოგიის დარგში. მან დაადგინა: ზურგის ტვინის პროპრიოცეპტული, მოტორული ელემენტებისა და ჟელატინოზური სუბსტანციის როლი კიდურთა ფაზურ კოორდინირებულ მოძრაობებში (1909-14), ჩონჩხის კუნთების რეციპროკული შეკავების რიტმული ბუნება (1912-14), კისრისა და ლაბირინთული ტონური რეფლექსების გამომუშავების დროს ორმხრივი დროებითი ნერვული კავშირების წარმოშობა (პირდაპირი და უკუქცევითი დროებითი ნერვული კავშირები (1916-22), პირობითი რეფლექსების წარმოშობა გაღიზიანებათა უკუშეულლებისას (1917), ნეირონთა გარკვეული კომპლექსის აგზნების ზოგადი შეკავების ერთდროული აღმოცენება ქცევითი აქტის დროს (1927-35), ინდივიდუალურად შეძენილი კვებიიი ან თავდაცვითი ქცევის განხორციელება საკვების ან დამაზიანებელი აგენტის და მათი ადგილმდებარეობის ერთჯერადი აღქმისას და ქცევის რეგულირება საკვების ან ცხოველის მტრის ადგილმდებარეობის რეპროდუქციით (1932-35), ხატური ფსიქონერვული მოქმედების არსებობა უმაღლეს ხერხემლიან ცხოველებში და ამ მოქმედებაში ტვინის ქერქული და ქერქ ქვეშა ელემენტების როლი (1935, 1947, 1961, 1969), პირობითი რეფლექსის ავტომატური უნებლიე ხასიათი (1961-69), სივრცეში ადამია-

ნისა და ცხოველის ორიენტაციის ნერვულ-ფსიქიკური მექანიზმი (1959), ხატური და ემოციური მეხსიერება, მისი დახასიათება და წარმოშობა (1967) და სხვა.

ივანე ბერიტაშვილის სამეცნიერო ნაშრომებს დიდი აღიარება ხვდა წილად. მას მინიჭებული ჰქონდა ი.პავლოვის (1938) და ი.სეჩენოვის (1963) პრემიები, შრომის გმირობა (1964), საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია (1941), არჩეული იყო საბჭოთა კავშირისა (1939) და საქართველოს (1941) მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრად, ი.პაელოვის სახელობის ფიზიოლოგთა საკავშირო საზოგადოების (1970), ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის (1959), ტვინის გამოკვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის (1960), ამერიკის ელექტრო ენცეფალოგრაფიული საზოგადოების (1947), უმაღლესი ნერვული მოქმედების საერთაშორისო კოლეგიის (1969), ამერიკის ბიოლოგიური ფსიქიატრიის საზოგადოების (1969) საპატიო წევრად.

ივანე ბერიტაშვილი იყო თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი, გამოირჩეოდა დიდი ერუდიციითა და თავმდაბლობით, კეთილშობილებითა და მაღალი ზნეობით. მისი სამოქალაქო სიმამაცის დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ მან ერთადერთმა აღიმაღლა ხმა შალვა ნუცუბიძის მეცნიერებათა აკადემიიდან გაშვების წინააღმდეგ. მთელი თავისი ენერგია და ნიჭი მან თავის მშობელ ქვეყანას და უნივერსიტეტს, ქართული მეცნიერების წინსვლას მოახმარა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი გარდაიცვალა 1974 წელს, თავისი დაბადების 90-ე წლისთავზე, 29 დეკემბერს. იგი დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში, უნივერსიტეტის თსუ-ის დამაარსებელთა გვერდით.

დიმიტრი უზნაძე

დიმიტრი უზნაძე ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი და დიდი მოამაგე იყო. ამ ბრწყინვალე მეცნიერისა და მამულიშვილის სახელი მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძე დაიბადა 1886 წლის 20 დეკემბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი გაემგზავრა გერმანიაში და შევიდა ლაიფციგის უნიეერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1909 წელს.

იმავე წელს დიმიტრი უზნაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ქ. ჰალეს უნიეერსიტეტში ვლადიმერ სოლოვიოვის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შესახებ, რისთვისაც მიანიჭეს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი (სხვათა შორის, ეს იყო რუსული ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე პირველი დისერტაცია უცხოეთის უნიეერსიტეტში დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად).

1909 წელს დიმიტრი უზნაძე სამშობლოში დაბრუნდა. 1918 წლამდე იგი მუშაობდა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლად, საზოგადოება „სინათლის“ პირველი ქართული ქალთა

სკოლის დირექტორად. ამ წლებში შექმნა მან პირველი ქართული სახელმძღვანელოები მსოფლიო ისტორიაში.

1913 წელს დ. უზნაძემ ექსტერნის წესით დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტი და კვლავ ქუთაისს დაუბრუნდა.

დიმიტრი უზნაძე 1910 წლიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად აქვეყნებდა თავის შრომებს ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის პრობლემატურ საკითხებზე, რითაც დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა ქართულ საზოგადოებაში.

დიმიტრი უზნაძე მიეკუთვნება იმ სახელოვან ქართველ მეცნიერთა და პატრიოტთა პლეადას, რომლებმაც დააარსეს თბილისის უნივერსიტეტი დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

უნივერსიტეტის გახსნის დღიდან დიმიტრი უზნაძე განაგებდა ფსიქოლოგიის კათედრას, მანვე 1918 წელს უნივერსიტეტში დააარსა ფსიქოლოგიური ლაბორატორია, რომლის ბაზაზე ჩამოყალიბდა ჯერ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიური სექტორი - ფსიქოლოგიის დარგში პირველი სამეცნიერო ცენტრი საქართველოში, მერე კი - 1943 წელს ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე (ამ ინსტიტუტს შემდეგ მისი სახელი მიენიჭა).

1931 წელს იგი აირჩიეს უნივერსიტეტის პროფესორად, 1935 წელს კი მან დაიცვა მეორე სადოქტორო დისერტაცია - ამჯერად პედაგოგიკაში.

დიმიტრი უზნაძემ დიდი სამუშაო გასწია საქართველოში ფსიქოლოგიური და პედაგოგიკური სკოლის შესაქმნელად და სამეცნიერო კადრების აღსაზრდელად.

1933 წელს მან დააარსა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრა, რომლის გამგეც იყო 1942 წლამდე.

დიმიტრი უზნაძე იყო შრომის ფსიქოლოგიის, ფსიქოტექნიკის, ბავშვის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. იგი გახლდათ ზოგად ფსიქოლოგიაში ქართულ ენაზე გამოქვეყნებული პირველი სახელმძღვანელოს ავტორიც (1940 წ.).

დიმიტრი უზნაძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი წევრი დაარსების ღღიდან (1941 წ.).

დიმიტრი უზნაძეს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო გამოკვლევა აღზრდის თეორიის, განსაკუთრებით კი პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიურ საკითხებზე. 1912 წელს მან გამოსცა წიგნი „ექსპერიმენტული პედაგოგიკის შესავალი". თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ იგი ამავე საგანში კითხულობდა სალექციო კურსს 1928 წლამდე.

დიმიტრი უზნაძე ავტორია ათობით ნაშრომისა ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და ფილოსოფიის საკითხებზე ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. მის გამოკვლევებში პრობლემა სუბიექტისა (პიროვნების), როგორც მთლიანობისა, დასაბუთებულ იქნა, როგორც კონკრეტული ფსიქოლოგიის ამოსავალი პრობლემა. ამას „უშუალობის პოსტულატი" პქვია. მის თანახმად, ობიექტური სინამდვილე უშუალოდ ახდენს გავლენას ცნობიერ ფსიქიკაზე ღა ასევე უშუალოდ იწვევს ქცევას. ამავე პრინციპის მიხედვით, ცნობიერების მოვლენების ურთიერთზემოქმედება უშუალოა და სინამდვილესთან ურთიერთობას თვითონ ფსიქიკა ამყარებს თავისთავად. „უშუალობის პოსტულატის" (ტერმინი შემოიღო დ.უზნაძემ) საპირისპიროდ უზნაძემ ფსიქოლოგიის ამოსავალ პრინციპად აღიარა მთლიანი სუბიექტი, რომელიც აშუალებს გარემოსა და ორგანიზმის ურთიერთზემოქმედებას. გარემოსთან ურთიერთობას ამყარებს არა ფსიქიკა, არამედ მისი მატარებელი ცოცხალი, რეალური, ისტორიულად განსაზღვრული სუბიექტი, რომლის არსებობის მოდუსს ყოველ კონკრეტულ ქცევაში განწყობა წარმოადგენს. განწყობის ცნების საფუძველზე გაშუქებულია მთლიანობითი სუბიექტის აქტივობის ფსიქოლოგიური საფუძვლები, მისი ფორმები და კანონზომიერებანი (განწყობის ფსიქოლოგია).

დიმიტრი უზნაძემ მეცნიერებაში შემოიტანა განწყობის ერთიანი ბუნების კვლევის ექსპერიმენტული მეთოდი - ფიქსირებული განწყობის მეთოდი. ის ფენომენი, რომლის საფუძველზეც მან განწყობის ექსპერიმენტული შესწავლის მეთოდი დაამუშავა, რომელიც მეცნიერებაში ცნობილია, როგორც „უზნაძის ეფექტი"

(აშან შეცნიერს მსოფლიო აღიარება მოუპოვა). მის გამოკვლევებში არაცნობიერი ფსიქიკის პრობლემა განწყობის ცნების საფუძველზეა გაშუქებული. დიმიტრი უზნაძის გამოკვლევები ეხება აგრეთვე ენისა და მეტყველების, ცნებითი აზროვნების განვითარების, სახელდების, მნიშვნელობის წვდომის, მოძრაობის აღქმის, ტექნიკური აზროვნების განვითარების, ქცევის ფორმების პრობლემებს.

დიმიტრი უზნაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის განათლების სისტემისა და პედაგოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში. მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც შემდგომ თბილისის უნივერსიტეტის შემადგენლობაში შევიდა.

დიმიტრი უზნაძე, რომელმაც მსოფლიოში გაითქვა სახელი თავისი ბრწყინვალე ნაშრომებით, ამავდროულად თავმდაბლობისა და კეთილშობილების განსახიერება იყო. მთელ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული ასაზრდოებდა და სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მასზე ზრუნავდა.

დ. უზნაძე გარდაიცვალა 1950 წლის 9 ოქტომბერს 64 წლის ასაკში. იგი დაკრძალეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში, უნივერსიტეტის დამაარსებელთა გვერდით.

ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში იქცა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ. მასზე ლეგენდები იქმნებოდა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, ქართველ ემიგრანტთა წრეებში.

ქაიხოსრო (მეტსახელად ქაქუცა) ჩოლოყაშვილი პირდაპირი ჩამომავალი იყო სახელოვანი ბიძინა ჩოლოყაშვილისა, 1660 წლის ბახტრიონის აჯანყების ხელმძღვანელისა.

იგი დაიბადა 1888 წლის 14 იელისს, კახეთში, მამა-პაპეულ სოფელ მატანში. მისი მშობლები იყვნენ იოსებ და დარია ჩოლოყაშვილები.

პატარა ქაქუცა სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში. გიმნაზიისა და სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაწვეულ იქნა რუსულ ჯარში (1909 წლიდან). იგი მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში და სამშობლოში ოფიცრის ჩინით დაბრუნდა.

1913 წელს ქაქუცა დაოჯახდა - ცოლად მოიყვანა ნინო მელვინეთუხუცესი, რომელთანაც შეეძინა ორი ასული - თამარი (ციცნა) და ქეთევანი, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალნენ.

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ქაქუცა მეფის რუსეთის ხელისუფლებამ ჯარში გაიწვია, სადაც მან სახელი გაითქვა როგორც მამაცმა, ძლიერმა და ნიჭიერმა მეთაურმა.

მისი თანამებრძოლის ალექსანდრე სულხანიშვილის თქმით „ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო განსახიერება ქართველი რაინდისა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: დინჯი, დარბაისელი და უაღრესად კეთილი გულის პატრონი. ასეთი თვისებებით დაეჯილდოებინა იგი ბუნებას, ათას კაცში რომ აგერიათ, სრულიად უცნობი ადამიანიც კი მიაქცევდა მას ყურადღებას. ის ძალიან უყვარდათ ჯარისკაცებს და მათი საერთო პატივისცემით სარგებლობდა კიდეც. როგორი მხდალიც არ უნდა ყოფილიყო ჯარისკაცი, საუკეთესო ვაჟკაცად იქცეოდა ქაქუცას ხელში. უდავოდ, მხედრად იყო დაბადებული“.

შალვა ამირეჯიბის გადმოცემით ქაქუცა 1914 წელს დაჭრილა ავსტრიის ფრონტზე, საიდანაც იგი კავკასიაში გადაიყვანეს. დაჭრილმა ქაქუცამ ოსმალეთის ფრონტზე არნახული სიმამაცე გამოიჩინა - მისმა ასეულმა ოსმალებისაგან უკან დაიბრუნა სტრატეგიული სიმაღლე „მთის არწივი“, ბრძოლის დროს იგი მკერდში დაიჭრა, თუმცა მაინც მოახერხა ამ სიმაგრის შენარჩუნება. მძიმედ დაჭრილმა ქაქუცამ წმინდა ნინოს ქართულ ლაზარეთში მოიშუშა იარა და როდესაც ქართული ცხენოსანი რაზმი ჩამოყალიბდა, მან სპარსეთის ფრონტს მიაშურა. ქაქუცამ აქ შეასრულა შესანიშნავი რეიდი - თავისი ასეულით გაიარა მესოპოტამიის უდაბნო და ინგლისელებს შეუერთდა.

სარაყამიშის დაცვისათვის ქაქუცა ჩოლოყაშვილი ოქროს ხმლით იქნა დაჯილდოვებული.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ქაქუცა ქართულ სამხედრო სამსახურში ჩადგა და გააფთრებით იცავდა სამშობლოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას იმ დროს წარმოებულ ბრძოლებში.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ იყო. თავის მოწოდებას იგი სამშობლოსადმი უანგარო სამსახურში ხედავდა.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს

ოკუპაციისა და ნოე ჟორდანიას მთავრობის ემიგრაციაში წასვლის ჟამს ქაქუცა გენერალ დავით ჭავჭავაძესთან ერთად სამეგრელოში იმყოფებოდა, სადაც ისინი მთავრობამ გაგზავნა ცხენოსანთა ნაწილების ჩამოსაყალიბებლად.

ქაქუცა სამშობლოში დარჩა და დაიწყო თავდადებული ბრძოლა რუსი ბოლშევიკი ოკუპანტებისა და მათი ხელისუფლების წინააღმდეგ.

ქაქუცა ჯერ თბილისში დაბრუნდა, ქართულ ათასეულში. შემდეგ იგი შეხვდა გენერალ კოტე აფხაზს (ილია ჭავჭავაძის დისშვილს), მაშინდელი წინააღმდეგობის მოძრაობის კომიტეტის ერთ-ერთ მეთაურს. მათ მოილაპარაკეს მომავალი ბრძოლების თაობაზე. ქაქუცა კახეთს გადავიდა, შეადგინა პატრიოტთა მცირე ჯგუფი „საქართველოს შეფიცულები", რომელმაც პარტიზანული ბრძოლის დაწყების ორგანიზება მოახდინა მთელ საქართველოში, შექმნა ფარული რაზმები მის სხვადასხვა კუთხეში.

1922 წლის 12 მარტს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქიზიყიდან თავის შეფიცულთა რაზმით ტყეში გავიდა. მასთან ერთად იყვნენ მიხა ბალიაშვილი, ვასო თამაზაშვილი, სოსო ლოსაბერიძე, მინა ნაცვლიშვილი, სიმონ ჩითინაშვილი და ქიზიყელი ბიჭი ქარუმა. შემდეგ მათ შეემატნენ ალექსანდრე სულხანიშვილი, სვიმონ (სიკო) ჩოლოყაშვილი (ქაქუცას ძმა, რომელიც მალე მტერთან შეტაკებაში დაიღუპა), ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ მაყაშვილი, ალექსანდრე კარგარეთელი, სერგო მაისურაძე, დიმიტრი ჭინჭარაული, მიხა ხელაშვილი, ალექსანდრე ბადურაშვილი, ილია ქარუმიძე, ალექსანდრე ცხვედაძე, გოლა პავლიაშვილი, მერაბ ჯორჯაძე, შალვა ნებიერიძე, მიხეილ შაქარაშვილი, ალექსი ფეიქრიშვილი, შალვა და ლევან ჯავრიშვილები და სხვები.

პირველი სერიოზული შეტაკება ქაქუცას რაზმს ბოლშევიკთა წითელარმიელებთან 1922 წლის იენისში ჰქონდა და უცხოეთში წასვლამდე ეს ბრძოლა არ შენელებულა - ეს იყო მართლაც თავგანწირული ბრძოლა მტრის ჭარბ და კარგად შეიარაღებულ რაზმებთან.

პარტიზანული ბრძოლის დროს დიდი რაზმის შეიარაღება და

შენახვა ძალზე რთული საქმეა, ამიტომაც ქაქუცას დიდი რაზმი არ ჰყავდა, მაგრამ ჰყავდა უამრავი მხარდამჭერი და დამხმარე პატრიოტი. ქაქუცას რაზმი ადგილს მოულოდნელად იცვლიდა - ხან ქართლში იყო, ხან კახეთში. 1922 წელს მათ მოაწყეს ხევსურეთის აჯანყება, მაგრამ ძალთა უთანაბრობის გამო იგი დამარცხდა. ქაქუცა ჩეჩნეთში გადავიდა, თუმცა შემოდგომაზე კვლავ უკან დაბრუნდა.

1924 წლის 17 აგვისტოს დაინიშნა მთელი საქართველოს აჯანყება ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ შეუთანხმებლობის გამო გადაიდო 29 აგვისტოს ღამის 2 საათისათვის. მანამდე 1923 წლის დეკემბერში ქაქუცა თავისი ორი შეფიცულით საიდუმლოდ ჩამოვიდა თბილისში დამოუკიდებლობის კომიტეტთან პირისპირ მოსალაპარაკებლად და აჯანყების საერთო გეგმის შესამუშავებლად. ქაქუცას მხრიდან ეს ძალზე გაუფრთხილებელი ნაბიჯი იყო, რადგან მას ყველგან მოსაკლავად დასდევდნენ ბოლშევიკები. ქაქუცა თავისი რაზმით მანგლისში დაბანაკდა და თბილისთან მუდმივი კავშირი ჰქონდა. 24 აგვისტოს ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" და გენერალი ჭავჭავაძე ქაქუცას ბანაკს შეუერთდნენ. 28 აგვისტოს, ბედენის მთაზე, კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა კ.ანდრონიკაშვილმა ქაქუცას აჯანყების დროშა გადასცა და ღამით აჯანყებაც დაიწყო.

ეს იყო ქართველი ხალხის პატრიოტული ნაწილის უთანასწორო ბრძოლა კბილებამდე შეიარაღებულ ბოლშევიკ მტარვალებთან. ხელისუფლებამ აჯანყებამდე იცოდა პატრიოტთა გეგმები და სათანადოდ მოემზადა სისხლიანი სასაკლაოს მოსაწყობად.

ქაქუცას რაზმი 29 აგვისტოს ღამით თავს დაესხა მანგლისის სამხედრო ყაზარმებს და მანგლისი აიღო, შემდეგ იგი გადავიდა ქართლში, 3 სექტემბერს დუშეთიც აიღო. აქედან იგი ერწოში გადავიდა, სადაც 6 სექტემბერს დიდი ბრძოლა გადაიხადა. დამოუკიდებლობის კომიტეტის დაპატიმრების შემდეგ ქაქუცამ კვლავ სცადა აჯანყების გაგრძელება, კახეთში გადაიხადა ხევ-გრძელას ცნობილი ბრძოლა, იბრძოლა ბორჩალოსა და თეთრიწყაროშიც, მაგრამ ძალები მეტად არათანაბარი იყო...

ბოლშევიკებმა უამრავი ხალხი დააპატიმრეს და დახვრიტეს,

ციხეში გამოამწყვდიეს ქაქუცას ცოლ-შვილიც, რომლებსაც მთელი ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციეს.

როცა საბოლოოდ დარწმუნდა რომ ამბოხების გაგძელება სრული უაზრობა იყო, ქაქუცამ და მისმა რაზმელებმა გადაწყვიტეს საქართველოდან წასვლა. 1924 წლის სექტემბერში ქაქუცა ჩოლოყაშვილი 26 შეფიცულთან ერთად ჯერ თურქეთში გადავიდა, იქიდან კი საფრანგეთს, სადაც დუხჭირი ცხოვრება ელოდა.

სამშობლოზე სევდით გატანჯულ ქაქუცას ძველი ჭრილობა გაეხსნა და გაუმიზეზდა, რაც მოურჩენელ ჭლექად ექცა და ეს ლომივით ვაჟკაცი და პატრიოტი ქართველი იმსხვერპლა კიდეც — 42 წლის ასაკში გამოასალმა წუთისოფელს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაასაფლავეს პარიზთან ახლოს სენტ-უანის სასაფლაოზე. 10 კილომეტრის მანძილზე მისი ცხედარი ხელით ატარეს. მოგვიანებით მისი ნეშტი გადაასვენეს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, საიდანაც 2006 წელს ჩამოაბრძანეს თბილისში და დაკრძალეს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

შალვა ნუცუბიძე

დიდმა ქართველმა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ თავისი კვლევა-ძიებით დაამტკიცა და გადასძახა ევროპელებს, რომ აღმოსავლური რენესანსი წინ უსწრებდა დასავლურს, რომ ქართველმა მოაზროვნეებმა (პეტრე იბერმა, იოანე ლაზმა, იოანე პეტრიწმა, შოთა რუსთაველმა, ჩახრუხაძემ, ეფრემ მცირემ და ა.შ.) რამდენიმე საუკუნით დაასწრეს ევროპას.

ჯერ კიდევ 1920 წელს წერდა შალვა ნუცუბიძე, რომ „დასავლეთის ინტელექტუალურ დამონებას ბოლო უნდა მოეღოს და ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა შიგნიდან დავძლევთ აზროვნებას. უნდა დამტკიცდეს, რომ საამისო არა მარტო ისტორიული, არამედ ფაქტობრივი საბუთებიც არსებობს". შ. ნუცუბიძემ თავად შესძლო ამის დამტკიცება, რითაც ქართველობას საკუთარი თავის რწმენა შემატა და დასავლეთსაც დაუმტკიცა, რომ ქართველი არავისზე ნაკლები არის, თუ მას სხვებთან თანაბარ პირობებში ჩააყენებ. ეს მისი უდიდესი დამსახურებაა ქართველი ერის წინაშე.

შალვა ისაკის ძე ნუცუბიძე დაიბადა 1888 წლის 14 დეკემბერს წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევში, პედაგოგის ოჯახ-

ში (ნათლობის სახელი ყოფილა ვარლამი, მაგრამ შემდეგ შალვა დაურქმევიათ). დედა რებეკა დათიაშვილი განათლებული ქალი ყოფილა. ორივე პაპა მშობლების მხრიდან - იესე ნუცუბიძე და ფილიპე დათიაშვილი მღდვლები იყვნენ. შალვას მშობლებს მის გარდა ოთხი ქალიშვილიც ჰყავდათ.

1903 წლამდე შალვა ხონში ცხოვრობდა მშობლებთან ერთად. ხონი მაშინ ქუთაისის კულტურული დასაყრდენი იყო. შალვა თავიდან სწავლობდა ხონის დაწყებით სკოლაში, რომლის ხელმძღვანელი ყოფილა ნიჭიერი კაცი ილია ამაღლობელი და რომლის ხსოვნა მას ბავშვობიდანვე ჩარჩენია გულში. შემდეგ კი ხონის საშუალო სკოლაში და ქუთაისის საოსტატო სემინარიაში, რომელიც ხონში იყო განთავსებული. ახალგაზრდა შალვას აქ უნახავს პირველად აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ნიკოლაძე, ივანე გომართელი, დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი, პედაგოგი ბარბარე ყიფიანი, ცნობილი პუბლიცისტი ილია ხონელი. ჭაბუკი შალვა დასწრებია ხონში ი. ხონელის (უფროსის) დაკრძალვას, სადაც სიტყვა წარმოუთქვამს აკაკი წერეთელს. ეს სიტყვა მას თურმე მთელი ცხოვრების განმავლობაში შეგონებასავით ახსოვდა: „ცხოვრებაში ორი გზაა, - უთქვამს აკაკის, - ერთი მათგანი ია-ვარდითაა მოფენილი და სავლელად საამოა, მეორე კი ნარ-ეკლიანია და სავლელად წამება.. პირველი - პირადი ბედნიერებისა და ფუფუნების ძიების გზაა, ის ბევრს იზიდავს, მეორე ერის სამსახურის გზაა და ტანჯვაც გამართლებულია. ილია ხონელმა ეს მეორე გზა აირჩია. მან კარგად იცოდა, რომ ეკლიანი გვირგვინი ძაინც გვირგვინია პატიოსნებით მოპოვებულიო“

1906-1910 წლებში შალვა ნუცუბიძე სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ფილოსოფიის განხრით. აქ მას ლექციებს უკითხავდნენ ცნობილი პროფესორები ა. ვედენსკი, ნ. ლოსკი და ი. ლაფშინი. 19 წლის იყო შალვა, როცა ჯერ კიდევ პირველკურსელმა საჯარო მოხსენება წაიკითხა ფილოსოფიაში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი დანიშნეს მასწავლებლად ყუბანის ოლქის ერთ-ერთი სტანიცაში ახალდაარსებულ გიმნაზიაში. აქ იგი ასწავლიდა ისტორიას, ფსიქოლოგიას, ლათინურს, ამასთან გამუდმებით მუშაობდა ფილოსოფიაში.

ყოველი წლის მაის-აგვისტოში (1911 წლიდან) იგი დადიოდა გერმანიის უნივერსიტეტებში, სადაც ე.წ. საზაფხულო სემინარები მიმდინარეობდა. ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სემინარებში მუშაობდა ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე. ლაიფციგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში მას ლექციებს უკითხავდნენ ცნობილი ფილოსოფოსები - ვუნდტი, ფოლკელტი, ბართი. შ. ნუცუბიძე აქვეყნებდა მეცნიერულ გამოკვლევებს ბოლცანოს ფილოსოფიის შესახებ („ბოლცანო და მეცნიერების თეორია"), რომელიც 1913 წელს დაიბეჭდა მოსკოვის ცნობილ სამეცნიერო ჟურნალში, მის ამ ნაშრომს საკმაოდ აქტიურად გამოეხმაურნენ საზღვარგარეთ.

„ფილოსოფია არ იყო ჩემთვის ერთი საქმეთაგანი, ფილოსოფია ჩემი სასიცოცხლო ამოცანა იყო მუდამ. ფილოსოფია იყო ჩემთვის სიბრძნისა და სიკეთის წვდომის წყარო" - წერდა შ.ნუცუბიძე.

ბოლცანოს მოძღვრებამ მისცა მას საწყისი საკუთარი ნააზრევის განვითარებისა და ჩამოაყალიბა კიდეც ალეთოლოგიური რეალიზმი, ჭეშმარიტების თეორია. 1911 წლის ზაფხულში 23 წლის შალვა ლაიფციგის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციას ალეთოლოგიის პრინციპების შესახებ გერმანულ ენაზე. მთავარი მიზანი, რასაც ალეთოლოგიური რეალიზმი ისახავს, არის შემეცნების გათავისუფლება ფსიქოლოგიზმისაგან და ანთროპოლოგიზმისაგან. ნუცუბიძე ამოდის დებულებიდან, რომ დასავლეთის ფილოსოფიაში ამ მიმართულებით წარმოებულმა კვლევა-ძიებამ (ჰუსერლი, რიკერტი, ინტუიტივიზმი და სხვ.) ვერ მიაღწია მიზანს.

შალვამ ორი წელი დაჰყო მასწავლებლად ყუბანში. მან მიიღო ვედენსკისაგან სამაგისტრო გამოცდების პროგრამა. ვედენსკიმ თავად იშუამდგომლა განათლების მინისტრთან მის პეტერბურგში დასაბრუნებლად და შალვა გადაიყვანეს პეტერბურგის მეორე გიმნაზიის მასწავლებლად. სულ მალე მან სახელი გაითქვა როგორც ერუდირებულმა მასწავლებელმა. აქვე გაიცნო მან გამოჩენილი მეცნიერი, პაპიროლოგი გრიგოლ წერეთელი, რომელიც შემდეგ მისი უახლოესი მეგობარი გახდა.

ორი სანიმუშო ლექციის წაკითხვის შემდეგ, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურეს, 1917 წელს შალვა ნუცუბიძეს მიენიჭა პრივატ-დოცენტის წოდება.

1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებს შალვა ნუცუბიძე პეტერბურგში შეხვდა. იგი ამ დროს უკვე ახლოს იცნობდა ივანე ჯავახიშვილს და ვაჟკაცურად დაუდგა მხარში უნივერსიტეტის დაარსების რთულ საქმეში. 1917 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში, კინოთეატრ „ელიტას" შენობაში შედგა ქართველთა ყრილობა, რომელსაც თავმჯდომარეობდა პროფესორი ზურაბ ავალიშვილი. მოხსენება გააკეთა ივანე ჯავახიშვილმა. მან ბრწყინვალედ დაასაბუთა ქართული უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობა. კრების დამთავრების შემდეგ ივ.ჯავახიშვილი და მისი უახლოესი თანამოაზრენი გამოემგზავრნენ საქართველოში საორგანიზაციო სამუშაოების ჩასატარებლად, რომელთა დასრულების შემდგომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე. ზურაბ ავალიშვილი, ნინო გელოვანი და შალვა ნუცუბიძე ზამთრის სასახლეში შეხვდნენ დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს კერენსკის, რომელმაც არ გაიზიარა მათი ენთუზიაზმი და ურჩია ქალთა კურსების გაღაკეთება თბილისში ამიერკავკასიის რუსულ უნივერსიტეტად. მალე კერენსკის მთავრობა დაემხო, ქართველმა პატრიოტებმა კი მაინც განახორციელეს თავიანთი ჩანაფიქრი.

ივანე ჯავახიშვილმა შალვა ნუცუბიძეს დაავალა რუსეთის უნივერსიტეტებში გაფანტულ მეცნიერთა თავმოყრა და თბილისში ჩამოყვანა. ამ ძალზე რთულ ამოცანას მან წარმატებით გაართვა თავი.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ შალვა ნუცუბიძე აქტიურად ჩაება ქვეყნის აღმშენებლობაში. იგი აირჩიეს საქართველოს პარლამენტის - დამფუძნებელი კრების წევრად ფედერალისტების პარტიიდან, ხელმძღვანელობდა საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებას, დააარსა „საერთო განათლების კურსები", რაზეც უნივერსიტეტის გახსნამდე დაიწყო ზრუნვა მომავალი უნივერსიტეტის როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ასევე სტუდენტთა კონტიგენტის შესარჩევად.

ივანე ჯავახიშვილთან ერთად თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი შ.ნუცუბიძე საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ (1921 წ. თებერვალი) მთლიანად მეცნიერულ-კელე-

ვით და პედაგოგიურ მუშაობაზე გადაერთო. შალვა ნუცუბიძე იყო უნივერსიტეტის პრორექტორი, დეკანი, კათედრის გამგე, უნივერსიტეტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკის დირექტორი. მან დაარსა ეკონომიკური, იურიდიული, დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტები. კითხულობდა ლექციებს ლოგიკასა და ფილოსოფიაში, ისტორიულ მატერიალიზმში, მტკიცებით სამართალში, დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორიაში. დაწერა სახელმძღვანელოები: „ლოღიკა" ელემენტალური და პროპედევტიკული კურსი; „ფილოსოფიის შესავალი", გამოაქვეყნა შრომები: „ალეთოლოგიის საფუძვლები", „ბუნებისათვის ცნებისა", „შემეცნება, როგორც ფილოსოფიური პრობლემა", „ხელოვნების თეორია", „კანტი კაცობრიობის აზროვნების პერსპექტივებში" და სხვ.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, მან დააარსა „პეტრიწის სახელობის საფილოსოფოსო საზოგადოება", რომლის მთავარი ამოცანა იყო ქართული ფილოსოფიური ძეგლების შეგროვება და გამოცემა, ფილოსოფიური ცოდნის გავრცელება. ეს მუშაობა შალვა ნუცუბიძემ გააგრძელა მის მიერ დაარსებულ სემინარებში (20-იან წლებში), რომელიც იქცა ფილოსოფიური აზროვნების კერად, სადაც აღიზარდნენ ცნობილი ქართველი მოაზროვნეები მოსე გოგიბერიძე. კიტა მეგრელიძე, საელე წერეთელი, კოტე ბაქრაძე, ანგია ბოჭორიშვილი.

1930 წლამდე ყოველწლიურად შალვა ნუცუბიძე საშეცნიერო მივლინებით მოემგზავრებოდა ხოლმე ბერლინის უნივერსიტეტში. 1926 წელს ბერლინში გერმანულ ენაზე გამოიცა მისი გამოკვლევა „ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა" (არტურ ლიბერტისა და ბუპენაუს რეცენზიით). ამ შრომაში მიიღო მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. 1931 წელს კვლავ ბერლინში გამოვიდა მისი მეორე მონოგრაფია „ფილოსოფია და სიბრძნე", რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს ევროპის წამყვან ქვეყნებში.

ცნობილი მოაზროვნე, ესპანელი ხოსე ორტეგა ი გასეტი („მასების ამბოხის" ავტორი) ფილოსოფოსთა შეკრებაზე, რომელსაც

ანრი ბერგსონი თავმჯდომარეობდა, თავის მოხსენებაში შეეხო შალვა ნუცუბიძის შრომებს და განაცხადა, რომ „გნოსეოლოგიაში მე მიმდევარი ვარ პატარა საქართველოს დიდი მოაზროვნისა, რომლის წიგნიც ყველა მოაზროვნეს სამუშაო მაგიდაზე უნდა ედოსო“. ამ აზრს ბერგსონიც დაეთანხმა.

შალვამ პრორექტორად ყოფნის დროს დიდი კომერციული ნიჭიც გამოავლინა. მან დააარსა უნივერსიტეტის სტამბა, აღჭურვა იგი საჭირო დანადგარებით, ქაღალდის რთული პრობლემაც წარმატებით მოაგვარა (საქართველოდან გერმანიაში გაპქონდა ნოხები და სამაგიეროდ შემოპქონდა ქაღალდი).

1930 წელს შალვა ნუცუბიძე გაემგზავრა გერმანიაში ხელოვნების ძეგლების გამოფენასთან დაკავშირებით, რომელსაც აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილი ხელმძღვანელობდა. იქ მას ერთ-ერთ შეხვედრაზე წარმოუთქვამს ბრწყინვალე სიტყვა, რომელიც ასე დაუწყია: „ათასხუთასი წლის განმავლობაში ხმლითა და ჯვრით იდგა საქართველო აღმოსავლეთის მიჯნაზე მოზღვავებულ დამპყრობთა წინააღმდეგ და სხვებთან ერთად თქვენს, დასავლეთის კულტურას იცავდა“. გერმანიაში შალვას ყოფნით ისარგებლეს მისმა მტრებმა და იქიდან დაბრუნებულს ბრძოლა დაუწყეს, მაგრამ შალვა მათ შემოტევებს ირონიით პასუხობდა:

- როდის დადექი შენ ჩვენს პლატფორმაზე - ჰკითხეს ბოლშევიკების დამქაშებმა.

- როდესაც რევოლუციის მატარებელი ოქტომბრის პლატფორმაზე ჩამოდგა, „უბაგაჟო“ ხალხი უმალ გადმოხტა და პლატფორმაზე დადგა. ნურას უკაცრავად, თუ „ბაგაჟიან“ ხალხს ცოტა დაგვაგვიანდაო, ღიმილით უთქვამს მას. სხდომას ხელმძღვანელი მუშაკებიც ესწრებოდნენ. შესვენებაზე ხალხით გარშემორტყმული შალვა თავის გერმანულ შთაბეჭდილებებს ჰყვებოდა. ერთმა ახალმოსულმა შორიდან დაუძახა: - როგორ ბრძანდებით, ბატონო შალვა, როგორ? - მეხიკით, მეხიკით! - ხმამაღლა გასძახა შალვამ.

- გამოიწვიეთ, თავში არ დაგვეცესო - უხუმრია ერთ-ერთ მინისტრს.

- ნუ გეშინიათ, მეხი ცარიელ ადგილზე არ ეცემაო, - მიუგებია შალვასაც.

შალვა ნუცუბიძეს მალე ფილოსოფიაში ლექციების კითხვა აუკრძალეს. 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მან დაიწყო ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის ინტენსიური კვლევა. ახლოვდებოდა რუსთაველის 750 წლის იუბილე და შალვაც ძალზე აქტიურად ჩაება ამ დიდ საქმეში უდიდესი აღმაფრენით. 1936 წელს რუსთაველის ინსტიტუტის სხდომაზე მან წაიკითხა მოხსენება „რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის". 1937 წლისათვის კი „ვეფხისტყაოსნის" შესახებ რუსულად დაიწყო წიგნის წერა, მაგრამ წააწყდა დაბრკოლებას შეუძლებელი იყო არსებული თარგმანების გამოყენება პოემის ციტირებისათვის. შალვამ სცადა თავად ეთარგმნა მისთვის საჭირო სტროფები, რაც მშვენიერად გამოუვიდა და ყველას დიდი მოწონება დაიმსახურა. მაშინ გადაწყვიტა, რომ მთლიანად ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანი" რუსულ ენაზე. იგი თბილისიდან ტაშისკარში წავიდა და გატაცებით დაიწყო თარგმნა, მაგრამ მალე დააპატიმრეს და თბილისის ციხეში მოათავსეს, შემდეგ კი მოსკოვში, ლუბიანკის ციხეში გადაიყვანეს, ერთ დღესაც, დაკითხვებითა და აუტანელი პირობებით განაწამებ შ. ნუცუბიძეს, მოულოდნელად, მთელი დასტა საწერი ქაღალდი და ქართული „ვეფხისტყაოსანი" შეუტანეს საკანში, საგანგებო ულუფაც მიართვეს და უთხრეს:

- განაგრძეთ „ვეფხისტყაოსნის" რუსულად თარგმნა!

თვეების განმავლობაში თარგმანი ნაწილ-ნაწილ სტალინთან მიჰქონდათ თურმე და რამდენიმე დღეში ოდნავ ნასწორები ბრუნდებოდა. როდესაც თარგმნას მორჩა, შ. ნუცუბიძე ციხიდან გაათავისუფლეს, მოსკოვში ბინა და სამუშაო მისცეს და კვლევითი მუშაობის გაგრძელება შესთავაზეს. რამდენიმე თვის შემდეგ, 1940 წლის ოქტომბერში პირადად შეხვდა სტალინს. მათ უსაუბრიათ „ვეფხისტყაოსნის" თარგმანზე, აღმოსავლური რენესანსის საკითხებზე, გაუხსენებიათ რევოლუციამდელი მოვლენები.

მალე შ. ნუცუბიძის მიერ რუსულად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი" 150 ათასი ტირაჟით დაიბეჭდა და დიდი რეზონანსიც გამოიწვია.

შალვა ნუცუბიძის უმთავრესი მეცნიერული მიღწევაა ქართველოლოგიის ახალი დარგის, ქართული ფილოსოფიის ისტორიის

ჩამოყალიბება ფუნდამენტურ ორტომეულში. რასაც საფუძვლად დაედო მისი ორი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩენა: მან ფარდა ახადა 15 საუკუნოვან საიდუმლოს და დაამტკიცა, რომ ცნობილი არეოპაგიტული წიგნების კორპუსის ავტორია არა დიონისე არეოპაგელი, არამედ V საუკუნის ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი; ასევე დაასაბუთა, რომ პეტრე იბერის შეხედულებები იყო ერთ-ერთი წყარო შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა, უკვდავი „ვეფხისტყაოსანი" კი არის აღმოსავლური რენესანსის მთავარი ნიშანსვეტი და მოვლენა. თავიდან მის ამ აღმოჩენას დიდი სკეპტიციზმით შეხვდნენ, მაგრამ ათი წლის შემდეგ, 1952 წელს შალვასგან დამოუკიდებლად ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ პონიგმანმაც დაამტკიცა, რომ არეოპაგიტული კორპუსის შემქმნელია პეტრე იბერი. 70-იან წლებში ნუცუბიძე-პონიგმანის თეორიას უკვე მრავალი მიმდევარი გაუჩნდა, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ცნობილი რუსი მოაზროვნის ალ.ლოსევის მხარდამჭერი გამოკვლევები. ყოველივე ამით დადასტურდა ქართული აზროვნების უშუალო კავშირი საკაცობრიო მაგისტრალურ სააზროვნო-შემოქმედებით პროცესთან, აღიარებულ იქნა პეტრე იბერის ნაშრომების გავლენა შუა საუკუნეებისა და თვით რენესანსის დროის ევროპელ დიდ მოაზროვნეებზე.

შალვა ნუცუბიძემ გაარკვია „ვეფხისტყაოსნის" ავტორის პუმანისტური მსოფლმხედველობა, ახლებურად გადაწყვიტა პოემის ეროვნულ-ფილოსოფიური წყაროების შესწავლის საკითხი, განსაზღვრა რუსთაველის ადგილი რენესანსში. შ. ნუცუბიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანი" მოწინავე აღმოსავლეთის ქვეყნების საერთო კულტურული ცხოვრების პოეტურ გამოსახვას და ქართული რენესანსის მწვერვალს წარმოადგენს. მისი დასაბუთებით პოემის ფილოსოფიური წყარო ქართული ნეოპლატონიზმია, რომლის ძირითადი იდეა - სიკეთის ბორიტებაზე გამარჯვება - პოემაში მხატვრულად არის განსახიერებული.

ქართული ფილოსოფიის, ლიტერატურის, სოციალურ-კულტურულ და ისტორიულ საკითხებს შალვა ნუცუბიძემ 40-ზე მეტი გამოკვლევა უძღვნა. „ვეფხისტყაოსნის" ლიტერატურულ-იდეოლოგიური წყაროების ძიებაში მას დიდად ეხმარებოდა ქართული

სასულიერო და საერო მწერლობის, აგრეთვე ფილოსოფიის ზედმიწევნით ცოდნა („ვეფხისტყაოსნის“ გარდა რუსულად თარგმნა „თამარიანი“, „აბდულმესიანი“, ხალხური „ამირანიანი“). ცნობილია ასევე მისი „საშუალო საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია“, გამოკვლევები ესთეტიკის, ქართული კულტურის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე, ბერძნული „ბალავარიანის“ ქართული წარმომავლობის შესახებ და სხვ.

1943 წელს შალვა ნუცუბიძემ ამირანზე თქმულების 400-მდე შემორჩენილი სტრიქონი პოეტურად აღადგინა და 4 ათასამდე აიყვანა. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ამირანის მითი პრომეთეს მითზე ადრე იშვა საქართველოში და მხოლოდ შემდეგ გადავიდა საბერძნეთში. თავის მოხსენებაში იგი აღნიშნავდა, რომ შორს არაა ის დრო, როცა მეცნიერება დარწმუნდება, რომ ქართული „ამირანის“ გარეშე კულტურის ისტორიის ჯეროვანი შესწავლა შეუძლებელიაო.

1944 წელს შალვა ნუცუბიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს, მაგრამ ამან ძალზე ცოტა ხანს გასტანა - მავანთა და მავანთა უკულმართი მოქმედების წყალობით იგი სტალინის გარდაცვალებისთანავე, როგორც „გერმანიის ჯაშუში“(?!), აკადემიიდან გარიცხეს და ფილოსოფიის ინსტიტუტიდანაც დაითხოვეს. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1953 წელს სამარცხვინო დადგენილება მიიღო, რომ შალვა ნუცუბიძეს ჩამორთმეოდა სამეცნიერო ხარისხი და პროფესორის წოდება, მაგრამ, საბედნიეროდ, იგი მოსკოვში არ დაამტკიცეს.

ამაზე უხუმრია შალვას ივანე ბერიტაშვილთან, რომ მსოფლიოში კვანტური ფიზიკა ვითარდება, საქართველოში კი - ფიზიკური კვანტიო. მართალია, 1960 წელს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად კვლავ აღადგინეს, მაგრამ ყოველივე ეს სამარცხვინო ლაქად დარჩა აკადემიის ისტორიაში. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი მუშაობდა „დიალექტიკურ ლოგიკაზე“ და მოკლე ხანში რუსულად შექმნა 700 გვერდიანი წიგნი, აშზადებდა ნაშრომებს „ჰაიდეგერის ჭეშმარიტების თეორია“, „სარტრის ჭეშმარიტების თეორია“, „ეგზისტენციალიზმის ონტოლოგიური თეორია“ და ა.შ.

შალვა ნუცუბიძე მეტად ორიგინალური და გამორჩეული პი-

როვნება იყო. იბერისა და პეტრიწის შემდეგ საქართველოს ასეთი დიდი ერუდიციისა და ფართო განათლების ფილოსოფოსი არ ჰყოლია. იგი გახლდათ პოლიგლოტი (იცოდა 6 ენა) და ბრწყინვალე ორატორი. უდიდესი ნიჭის და ფენომენალური მეხსიერების მქონე ადამიანი, ჰქონდა იუმორის საოცარი გრძნობა. შ. ნუცუბიძე, როგორც პატრიოტი ქართველი სამშობლოს იცავდა და ემსახურებოდა თავისი უდიდესი ცოდნით. იგი განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა უნივერსიტეტს და მასთან მიახლოებისთანავე ქუდს იხდიდა.

საოცრად პრინციპული, მოწესრიგებული და პუნქტუალური პიროვნება, უაღრესად კეთილი და ბოღმისგან თავისუფალი, დიდი ხალისით მუშაობდა თურმე ფიზიკურად თავის გლდანის მამულში (სადაც ახლა მისი სახლ-მუზეუმია), ყოფილა კარგი მონადირე და ბრწყინვალე თამადა. თუმცა მთვრალი არავის უნახავს. ახალგაზრდობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ცხოვრების მაგალითს, მის შეგონებებს, რომ „იმდენი საქმე უნდა გქონდეს, უმნიშვნელო რამეებზე საფიქრელად არ გეცალოს... ადამიანის ყოველგვარი მოშლის წყარო არის უსაქმობა, ზედმეტი, გამოუყენებელი დრო... ადამიანს ერთი პერიოდი აქვს ცხოვრებაში, როცა თვითონ უნდა გაებას იმ ეტლში, რომლითაც მიდის. ძნელია, მაგრამ ეს ხომ მთელი ცხოვრებისთვისაა საჭირო... კაცს ცხოვრების ხალისი და აზრის სინათლე მანამ გაქვს, ვიდრე ქალის სიახლოვე გაღელვებსო...“ და ა.შ.

შალვას ძალზე ჰყვარებია შ. შარაშიძის („თაგუნა“) ლენინისადმი მიძღვნილი სტროფის გახსენება:

„ერების თვით გამორკვევა, პროგრამად ჰქონდა ქცეული,
მაგრამ თვით მოსრნა ყოველი, ვინც ნახა გამორკვეული“.

როცა შ. ნუცუბიძე მეცნიერებათა აკადემიიდან გამორიცხეს, ქალიშვილს თამარს უკითხავს მამისთვის:

- მაინც რისთვის გამოგრიცხეს აკადემიიდან?

- ჯობია გეკითხებოდნენ რისთვის გამოგრიცხეს, ვიდრე იმას — რისთვის მიგიღესო - უპასუხია მას.

ერთი თავმომწონე პროფესორი ქუდის წმენდით შესულა საპროფესოროში: - ჩიტმა დამისვარაო.

ეგ ჩიტი შენი თავიდან ამოფრინდებოდა, გაუცინია შალვას.

შალვა ნუცუბიძე ორჯერ იყო დაქორწინებული: პირველი ცოლი აგნესა ფილიპოვა 1937 წელს გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შედეგად (მისგან დარჩა ქალიშვილი კიწი). მეორე მეუღლესთან ქეთევან კლიმიაშვილთან (შალვას შესახებ ცნობილი წიგნის ავტორი) მას შეეძინა სამი შვილი: შალი (გარდაიცვალა ბავშვობაში), თამარი და თამაზი.

შალვა ნუცუბიძე გარდაიცვალა 1969 წლის იანვარში. იგი დაკრძალეს უნივერსიტეტის ბაღში.

უაღრესად საინტერესო და უნიკალურია შალვას ცხოვრებისეული დაკვირვებანი ხელისუფლების შესახებ, რაც მეუღლისათვის საუბარში გაუზიარებია: „არ იფიქრო, რისიმე ან ვისიმე ბრალი იყოს, რაცა გვჭირს; ეს ყველაფერი „უსტაკში" უწერიათ: შერჩევა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოხდეს არაკომპეტენტურობითა და დაბალი განათლების მიხედვით, დაწინაურდნენ უსიტყვოდ მორჩილნი, დანაშაულისათვის თანამდებობის პირნი კი არ დასაჯონ - უკეთ უზრუნველყოფილ ადგილზე გადაიყვანონ, აპარატის მუშაკები მეცნიერებად, აკადემიკოსებად მონათლონ (რაზეც იტყოდა აკადემია „შტრაფნოი ბატალიონად" იქცაო). ვინც ხალხში ავტორიტეტით სარგებლობს, აქვს საკუთარი აზრები, შეუძლიათ ინიციატივა გამოჩინონ, ისინი ან იზოლირებულნი უნდა იყვნენ საზოგადოებიდან, ან უბედური შემთხვევის საშუალებით მოისპონ, دააპატიმრონ არა დანაშაულის მიხედვით, არამედ ვინც არ უნდა იყოს, ოღონდ ყველა სფეროდან, რომ ყველა ფრთხილობდეს, არამცთუ რაიმე მოიმოქმედოს, სიტყვიერადაც კი ვერ გაბედოს რაიმეს თქმა. საჭიროების მიხედვით რაღაცის საშიშროება შექმნან ხელოვნურად, ეპიდემიაც კი მოიგონონ და ხალხი სასოწარკვეთას რომ მიეცემა, უეცრად ჩააქროს, მხსნელად მოევლინოს და ამით ხალხის ნდობა და მორჩილება დაიმსახუროს. ქართველი კაცი ოდითგანვე გამრჯეა, მაგრამ ეს სიღარიბე და უნიათობაც ხელოვნურად იქმნება - ხელფასი უნდა მინიმალური გქონდეს, მუდამ რაღაც უნდა გვაკლდეს, გვშიოდეს კიდეც, რომ გარდა საარსებო საშუალებისა ადამიანმა ვერაფერზე იფიქროს.

საქართველო მდიდარია და აქვს ყველა მონაცემი - როგორც ინტელექტუალური, ისე ბუნებრივი წიაღისეული და გეოპოლიტიკური მდებარეობითაც კი შეუძლია, რომ დამოუკიდებლად იარსებოს და ყველა მეზობელ ქვეყანასთან თანაბარი, თანასწორი ურთიერთობა ჰქონდეს, მაგრამ რუსეთი მას თავისი ნებით ვერასოდეს ვერ დასთმობს სწორედ ამ სიმდიდრისათვის. მართალია, დღეს მათი დამანგრეველი ძალა არ არსებობს, მაგრამ მათი მომავალი მაინც განწირულია, ცნობიერად და შეუცნობლად ისინი ერთმანეთს დაერევიან და თვითონვე მოსპობენ ამ წყობას. რამდენ ხანს შეიძლება აკრობატი იდგას თავდაყირა? დიდხანს ვერ გასძლებს, ასეა ეს თავდაყირა მდგარი ქვეყანაც. მოვესწრებით მე და შენ ამ დროს, ამით მიდგია სული. მაშინ საქართველო ისევ დამოუკიდებელი გახდება, და თუ დღეს შორიდან ველოლიაკებით კახსა და სოჩას, მაშინ მათ გულში ჩავიკრავთ". შ. ნუცუბიძის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები ნაწილობრივ უკვე ახდა. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენ მაინც მოვესწროთ მისი ოცნების ბოლომდე ასრულებას.

ანდრია რაზმაძე

ანდრია რაზმაძე თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და ქართული მათემატიკური სკოლის ფუძემდებელი იყო. მან თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად (40 წლის გარდაიცვალა) უდიდესი ეროვნული საქმეების გაკეთება შეძლო. იგი გახლდათ პირველი ქართველი დოქტორი მათემატიკის დარგში.

ა. რაზმაძე დაიბადა 1889 წლის 30 ივლისს სამტრედიის რაიონის სოფ.ჩხენიშში, მიხეილ რაზმაძის ოჯახში. იგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭიერებით. ანდრია შეუყვანიათ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგაც, 1906 წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელიც 1910 წელს დაამთავრა.

1914 წელს მოსკოვის უნივერსიტეტიდან დასავლეთ ევროპაში სამეცნიერო მივლინების დროს იგი დაუკავშირდა ევროპელ კოლეგებს და ცნობილ გერმანულ ჟურნალში „მათემატიკური ანალები" გამოაქვეყნა თავისი პირველი შრომა. სამაგისტრო დისერტაციის დაცვის შემდეგ მას მიანიჭეს მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის წოდება და იქვე მუშაობდა 1917-18 წლებში.

ივანე ჯაჯანიშვილთან და სხვა ქართველ მეცნიერებთან ერთად, ანდრია აქტიურად მონაწილეობდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში. იგი იყო უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პირველი დეკანი, შეადგინა მისი სასწავლო გეგმა და მათემატიკურ დისციპლინათა პროგრამები. 1918 წელს ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტში ანდრია რაზმაძემ პირველმა წაიკითხა ქართულ ენაზე ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, ფიზიკასა და მექანიკაში, ამასთან შექმნა მათი სალექციო კურსები.

ანდრია რაზმაძე იყო ქართულ ენაზე დაწერილი პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს ავტორი მათემატიკაში, საფუძველი ჩაუყარა ქართულ მათემატიკურ ტერმინოლოგიას, 1920 წლიდან იყო წევრი ,,ქართული სალიტერატურო ნორმების დამდგენი კომისიისა"

როგორც თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ა. რაზმაძე მონაწილეობდა მათემატიკოსთა სხვადასხვა კონგრესებსა და შეკრებებში. 1924 წელს იგი იყო მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე ტორონტოში (კანადა), სადაც საქართველო გახდა საერთაშორისო მათემატიკური კავშირის წევრი. ანდრიას კარგად პქონდა გაცნობიერებული. ამის მნიშვნელობა და კონგრესზე შიმავალი იწერებოდა: ,,ჩემს მოგზაურობას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ჩემი პატარა ქეყნისათვის. აქ, ამ გემზე, მე გავეცანი მთელ მსოფლიოს მრავალ ცნობილ მეცნიერთ, ჩემთან საუბარში ისინი საქართველოს სამეცნიერო ცხოვრებით დაინტერესდნენ და გამოთქვამდნენ გაკვირვებას, რომ პატარა საქართველომ საკუთარი ძალებით პროგრესისა და ცოდნის მძლავრი კერა შექმნა".

1925 წელს ანდრია რაზმაძემ დაიცვა დისერტაცია პარიზის სორბონის უნივერსიტეტში და პირველი ქართველი დოქტორი გახდა მათემატიკის დარგში.

იგი პარიზში მოხსენების წასაკითხად მიიწვია ცნობილმა მათემატიკოსმა ადამარმა. ამას მოჰყვა პოლ ლევის, საფრანგეთის მათემატიკური საზოგადოების მაშინდელი მოხსენება რაზმაძის შრომების თაობაზე. ადამარიდა ლევი სთავაზობდნენ ანდრია რაზმაძეს პარიზში სამუშაოდ დარჩენას, მაგრამ მან არ მიიღო ეს წი-

ნადადება და ისევ თავის საქართველოს ძიაშურა.

ანდრია რაზმაძემ 1924 წელს პირველმა დაწერა და გამოაქვეყნა ქართულ ენაზე სამეცნიერო პოპულარული ნაშრომი ფიზიკაში „რელატივობის მოძღვრება ეინშტეინისა". ეს ნაშრომი მას ჟურნალ „კავკასიონის" (რედაქტორი პავლე ინგოროყვა) მესვეურთა დაჟინებული თხოვნით შეუქმნია.

თავის სადოქტორო დისერტაციაში ანდრიამ, ასევე პირველმა გამოიკვლია ვარიაციათა აღრიცხვის ამოცანები წყვეტილ წირთა კლასში, დაადგინა მინიმუმის როგორც აუცილებელი, ისე საკმარისი პირობები და ამით საფუძველი ჩაუყარა ვარიაციათა აღრიცხვის ახალ მიმართულებას. თავის ერთ-ერთ შრომაში მან განიხილა პერიოდული ამონახსნები და შეკრული ექსტრემალები. ა. პუანკარეს (ცნობილი ფრანგი მათემატიკოსი) მიერ დასმული ასეთი ექსტრემალების მინიმუმის ამოცანა სიბრტყეზე ამ შრომით დასრულებულ მდგომარეობამდე იქნა მიყვანილი და მიღებულ თეორიას ადამარ-რაზმაძის სახელი ეწოდა. ანდრია რაზმაძეს ეკუთვნის აგრეთვე სიბრტყეზე ვარიაციათა აღრიცხვის ძირითადი ლემის მნიშვნელოვანი განზოგადება, მინიმალური ზედაპირების ფართობთა თეორიის გამარტივება და სხვ. (აკად. გიორგი ჭოღოშვილი).

ანდრია სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა 1929 წელს. მწვავე ინფექციით (მუცლის ტიფი) ორგანიზმი მოეწამლა და მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

ანდრია რაზმაძემ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული უნივერსიტეტის და ჩვენი ქვეყნის ახალ ისტორიაში. ძისი უახლოესი მეგობარი და უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი შალვა ნუცუბიძე ასე იგონებდა მას:

„ანდრია რაზმაძე ის ბერკეტი იყო, რომლის მეოხებითაც ჩვენ ავწიეთ საქართველოს უნივერსიტეტის ყველაზე მძიმე ტვირთი, მისი როლი უნივერსიტეტის დაარსებაში განსაკუთრებულია... შემდეგაც ბურჯად ედგა მას. მრავალი დაწესებულება სჭირდებოდა ახლად დაარსებულ უნივერსიტეტს. ასეთი იყო თბილისის ობსერვატორია, რომელსაც გეომაგნიტური განყოფილება ჰქონდა კარსანში. ობსერვატორიას სათავეში ედგა ფრიად მოქნილი მოხელე,

ვინმე ლეიმლანი, ანტიქართულად განწყობილი პიროვნება. მის დასამარცხებლად საჭირო შეიქნა გამოვლენა მეცნიერული უვარგისობისა, რაც ობსერვატორიის მუშაობას იმხანად ახასიათებდა. შელგა კომისია: მელიქიშვილის, ბენაშვილის, რაზმაძისა და ჩემი შემადგენლობით. მთელი იმედი ანდრია რაზმაძეზე იყო. თავისი მეცნიერული უკომპრომისობით, შეუდრეკელობით და პრინციპულობით ანდრია არავის არაფერს შეაწევდა, თუკი საქმე მამულიშვილობასა და მეცნიერებაზე მიდგებოდა. ანდრია ღელავდა, მაგრამ მალე ყველა დარწმუნდა. რომ ობსერვატორია მოუველია, რომ მისი წარმატება მეცნიერულ ხელს მოითხოვს. ანდრიამ დაწერა დასკვნა და ობსერვატორიაც უნივერსიტეტის სამეცნიერო დამხმარე დაწესებულებად იქცა.

„მეცნიერება არსად არ არის პროვინციული", - ამბობდა ანდრია და ისწრაფვოდა, რომ ჩვენს უნივერსიტეტს მხარი გაესწორებინა მსოფლიოს საუკეთესო უნიეერსიტეტებისათვის. ძალზე მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, ანდრია მკაცრი იყო ყველას მიმართ. ამასთან, მთელი არსებით შეიყვარებდა ხოლმე მოწაფეს, რომელსაც ნიჭსა და სწავლის წყურვილს შეამჩნევდა (მან აღზარდა ქაროველ მათემატიკოსთა მთელი თაობა, მაგ.: პროფესორები ვიქტორ კუპრაძე, ლევან გოკიელი, გიორგი ნიკოლაძე და სხვ. ვ.შ.)... ანდრია არ იყო ფილოსოფოსად ცნობილი, მაგრამ მასაც ბოლცანოსავით შეეძლო ეთქვა: „მე ვაფასებ მათემატიკაში მხოლოდ მას, რაც იმავე დროს არის ფილოსოფია". ეს ფილოსოფია კი ანდრიას საზოგადო მოღვაწეობაში, მის პრინციპულობაში ულინდებოდა... ადამიანების ცნობის უნართან ერთად ანდრიას პირუთვნებლობა ახასიათებდა. ამ ნიადაგზე მას ხშირად უსიამოვნება და ხიფათიც შემოხვევია. მისი ხერხემალი ლერწამივით არ იხრებოდა ქარის შემოპერკაზე. იგი როგორც დიდი ბუნების ადამიანი, ხიფათსაც ადვილად ეღევდა და გამარჯვებაც თავბრუს არ ახვევდა. თავის ამ უბადლო ღირსებების წყალობით იგი უბედურიც კი იყო პირად ცხოვრებაში (ის ვერ დაოჯახდა. გატაცებული ყოფილა გათხოვილი ქალით, რომელიც მაშინ ძალიან ცნობილი ხელოვანის საყვარელიც ყოფილა, საზოგადოება ამ ქალს ლამის ხელოვნების წყაროდ აღიარებდა)... იმდენად დიდი იყო ანდრია

და როგორც დიდი ნაგებობის უკეთ დასანახად დიდი მანძილია საჭირო, ისე ანდრია რაზმაძის სრულად წარმოსაჩენად დიდი დროა საჭირო, რომელიც გამოავლენს მის ჭეშმარიტ სიდიადეს... ანდრია იყო ჩვენი დროის უნიჭიერესი და უბადლო მათემატიკოსი და ბუნებას რომ ეცლია, იგი პრეზიდენტობითაც დაამშვენებდა მეცნიერებას. რაზმაძემ თავისი მეცნიერების დეეგმირული ამბავი მთელი სისრულით აჩვენა ამერიკაში, მთელი სისრულით გაშალა საფრანგეთში, რომელიც მან საქართველოში დააფუძნა და გაშლიდა კიდეკ უფრო დიდ ამბავად, რომ ჩვენდა საუბედუროდ ულმობელ ბედს ხელიდან არ გამოეცალა. „თავდადებულ პატრიოტს საქართველო უყვარდა ისე, როგორც მეცნიერება და მეცნიერება ისე, როგორც საქართველო. იგი მზად იყო თავისი ქვეყნისა და ქართული მეცნიერებისათვის სარგებლობა მოეტანა ყველაფრით და ყველგან, სადაც ხმა მიუწვდებოდა და მარჯვენა გაუწვდებოდა. სამშობლოს სიკეთე აღაფრთოვანებდა და მისი ჭირი გულზე ცეცხლად ედებოდა. მთელ თავის მეცნიერებასაც საქართველოს სახელისა და ღირსების განდიდების თვალსაზრისით უყურებდა“ (შ. ნუცუბიძე).

ძნელია რაიმე დაუმატო ამ სიტყვებს, მხოლოდ ერთს ვიტყვით: — ღვთის დიდი წყალობაა, როცა ქვეყანას ასეთი შვილები უჩნდება!

ნიკოლოზ მუსხელიშვილი

ნიკოლოზ მუსხელიშვილი იყო ქართული მათემატიკური და მექანიკის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი.

ნ. მუსხელიშვილი დაიბადა 1891 წელს 4 თებერვალს თბილისში, სამხედრო ინჟინრის ივანე მუსხელიშვილის ოჯახში. პატარა ნიკო თავიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭიერებით დედის დახმარებით სწრაფად შეუსწავლია დედა-ენა და ფრანგული, მამას კი მათემატიკა შეუყვარებია მისთვის.

თბილისის კლასიკური გიმნაზიის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1909 წელს იგი შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. აქ მან არაჩვეულებრივი ტალანტი გამოავლინა და 1914 წელს პროფესორ გ. კოლოსოვთან ერთად გამოსცა სამეცნიერო ნაშრომი „დრეკადი წრიული დისკოების წონასწორობის შესახებ“, რომელმაც აღიარება მოუტანა მათემატიკოსთა წრეებში. 1917 წლიდან იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის მექანიკის კათედრის ასისტენტი გახდა, ხოლო შემდეგ - მასწავლებელი.

1920 წელს ნიკო თბილისში დაბრუნდა და მხარში ამოუდგა ანდრია რაზმაძეს ქართული მათემატიკური კადრების აღზრდის და მათემატიკური სკოლის შექმნის საქმეში.

1922 წელს მას მიენიჭა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის წოდება 31 წლის ასაკში. 1926 წლიდან ნ. მუსხელიშვილი იყო

ჯერ უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის, შემდეგ კი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი.

1928-30 წლებში იგი გახლდათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი და თეორიული მექანიკის კათედრის გამგე.

1933 წელს ნ. მუსხელიშვილის ინიციატივით თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა მათემატიკის ინსტიტუტი, რომელიც 1941 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტად გადაკეთდა და მიენიჭა ანდრია რაზმაძის სახელი. ნიკო 1933-35 და 1941-76 წლებში ამ ინსტიტუტის დირექტორი და სულისჩამდგმელი იყო.

იგი თავის მეტად ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

1935-1941 წლებში ნ. მუსხელიშვილი იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ კი - თავმჯდომარე. იმავდროულად იგი აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად (1933 წ.), ხოლო 1939 წლიდან ამ აკადემიის ნამდვილი წევრი - აკადემიკოსი გახდა.

მას წილად ხვდა უდიდესი პატივი - ყოფილიყო 1941 წელს შექმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი. ამ თანამდებობაზე მან იმუშავა 1972 წლამდე (ამის შემდეგ კი, გარდაცვალებამდე, საპატიო პრეზიდენტი იყო).

ნიკოლოზ მუსხელიშვილი ავტორია ფუძემდებლური გამოკვლევებისა დრეკადობის თეორიასა და ინტეგრალურ განტოლებებში, ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანებში და სხვ.

მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენება დრეკადობის თეორიის ამოცანებისათვის, შემოიღო მრავალი მეთოდი, რომლებსაც წარმატებით იყენებენ მათემატიკის სხვა დარგებშიც, თეორიულ ფიზიკასა და მექანიკაში. მუსხელიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ანალიზური ფუნქციების წრფივი სასაზღვრო ამოცანებისა და ერთგანზომილებიანი განსაკუთრებული ბირთვების მქონე ინტეგრალური განტოლებების თეორიაში. მან აღმოაჩინა არეთა ფართო კლასი, რომელთათვისაც ბრტყელი ამოცანა რედუცირდება ალგებრულ განტოლებათა სასრულ წრფივ სისტემაზე. ნ. მუსხელიშვილს ეკუთვნის ინდექსის მნიშვნელოვანი ფორმულა სინგურალურ ინტეგრალურ

განტოლებათა სისტემისათვის.

ნიკო მუსხელიშვილი ავტორია ფუნდამენტური სახელმძღვანელოებისა ანალიზურ გეომეტრიასა და თეორიულ მექანიკაში. მისი მონოგრაფია „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა" მთელი მსოფლიოს მათემატიკოსთა სამაგიდო წიგნად იქცა.

მისმა მეცნიერულმა შრომებმა უდიდესი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

ნიკო მუსხელიშვილი იყო საბჭოთა კავშირის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე (1957 წლიდან გარდაცვალებამდე), თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის ბიუროს წევრი (1960 წლიდან), სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (1961 წლიდან), აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის (1972 წლიდან), ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის (1952 წლიდან), პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის (1960 წლიდან), გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის (1967 წლიდან) საპატიო წევრი. მას ორჯერ მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია (1941, 1947), ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედალი (1972 წ.), ტურინის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო პრემია და ოქროს მედალი „მოდესტო პანეტი" (1969), სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედალი (1970 წ.).

ნ. მუსხელიშვილი დაჯილდოვებული იყო შრომის გმირის (1945 წ.) წოდებით, ბულგარეთის პირველი ხარისხისა და კირილესა და მეთოდეს ორდენებით.

იგი ზედიზედ ცხრაჯერ იყო არჩეული საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ნიკო მუსხელიშვილი იყო უაღრესად განათლებული და ზნეობრივად სპეტაკი პიროვნება, მრავალმხრივ ნიჭიერებასთან ერთად მას ახასიათებდა თავმდაბლობა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. თავისი ქვეყნის ამ დიდმა პატრიოტმა საქართველოს შორს გაუთქვა სახელი.

ნ. მუსხელიშვილი გარდაიცვალა 85 წლის ასაკში. იგი დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში, დიდ ქართველ მამულიშვილთა გვერდით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დააწესა ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პრემია მათემატიკის, მექანიკისა და ფიზიკის დარგში, რომელსაც ანიჭებენ გამოჩენილ მეცნიერებს.

კონსტანტინე გამსახურდია

კონსტანტინე გამსახურდია მართლაც განსაკუთრებული მოვლენა იყო ქართულ მწერლობაში. ეს მეტად საინტერესო და არაორდინალური პიროვნება გამოირჩეოდა თავისი დიდი ერუდიციითა და გამოცდილებით. მისი ბრწყინვალე შემოქმედება ხასიათდება წერის სრულიად განსხვავებული, ორიგინალური მანერით, მებრძოლი სულისკვეთებითა და საოცარი მხატვრული ფანტაზიით, ქართველ მკითხველს ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა მისი ნაწარმოებები. კ. გამსახურდიამ თავის სიცოცხლეშივე დიდი აღიარება პოვა არა მარტო საკუთარ სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

კარგად წერს სოსო სიგუა, რომ ბოლშევიკური ტირანიის ეპოქაში კონსტანტინე ჰგავდა კეთილშობილ დონ-კიხოტს, რომელიც ქარის წისქვილებს ებრძოდა, და მარტოსულ ჰამლეტს, რომელსაც უძირო სევდა გულს უხრავდა.

კონსტანტინეს მწერლობაში ძირითადად ერთმანეთს შეენაცვლა ორი ასპექტი ერთი არის საკუთარი თვალით დანახული მკაცრი რეალობა („დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „ვაზის ყვავილობა“) და მეორე ისტორიაში დაბრუნებით გაცოცხლებული მარად თანმდევი ოცნება („დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“), რაც მომავლის სამოქმედო გეგ-

მასაც წარმოადგენს მასში, გამოელენილი ნაციონალური (საქართველოს და თბილისის გათავისუფლება, პარტიკულარიზმის აღკვეთა) და კულტურული აღორძინების იდეებით (სვეტიცხოველის და გელათის აშენება), ხოლო ,,ვაზის ყვავილობაში" ასახულია შესვენების, ძალთა მოკრების პერიოდი, რათა დამარცხებული სამშობლო აღდგეს ფიზიკური და ინტელექტუალური შრომით, მოემზადოს ახალი ბრძოლებისათვის, შექმნას საარსებო ბაზისი და მომავალში წინსვლის პერსპექტივა.

ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში ,,ლანდებთან ლაციცი" კონსტანტინე გამსახურდია საინტერესოდ და მიმზიდველად გადმოგვცემს თავისი ბიოგრაფიის მნიშვნელოვან ეპიზოდებს.

იგი დაბადებულა 1891 წლის 6 მაისს, სოფელ ძველ აბაშაში ,,მსოფლიოში უუმცირესი მდინარის" ზანას ნაპირზე, აზნაურ სიმონ გამსახურდიას ოჯახში, ყოფილა დედ-მამის ნაბოლარა შვილი (სიმონს ორივე ცოლთან 9 შვილი პყოლია, სწორედ მეცხრე იყო კონსტანტინე). დედა ელისაბედ თოფურიძე - მორწმუნე და სათნო ქალი მწერალს განსაკუთრებით პყვარებია. ამიტომაც დაამკვიდრა მან ქართულ მწერლობაში დედის კულტი, როგორც ღვთისმშობლის სახის ვარიაცია.

ისლის ძველი სახლი, რომელშიც დაიბადა და აღიზარდა კონსტანტინე, ჩვენამდე არ მოღწეულა. სახლი დედამ გაყიდა 1915 წელს და ფული უცხოეთში სასწავლებლად მყოფ შვილს გაუგზავნა.

ბავშვობაში კონსტანტინეს გადია (აღშზრდელი) ყოფილა მამამისის ნათლული ეკაია. სწორედ მისგან შეუთვისებია ბავშვს წარმართული ამბები, ლეგენდები, ზღაპრები, თქმულებები, ლოცვები.

ანბანი დიაკონ ევგენი ქოიავას უსწავლებია სოფლის სამრევლო სკოლაში. მანვე შეაყვარა თურმე ბიბლია, სახარება, ეკლესია და განსაკუთრებით, წმინდა გიორგი.

ჭაბუკი კონსტანტინე ხან დიაკვნობაზე ოცნებობდა, ხანაც კი გენერლობაზე, რათა თავისი სამშობლო მტერთაგან დაეხსნა. თამარ მეფის თაყვანისმცემელი მის სპასალარობაზე ოცნებობდა იდუმალ.

მამამ, კონსტანტინე და მისი ძმა ვანო ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში მიაბარა. მათ ქართულს ასწავლიდა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მამა ნიკო ჯანაშია. ეს სკოლა კონსტანტინემ 1904 წელს დაამთავრა წარჩინებით და რეკომენდაცია მიეცა სწავლის გასაგრძელებლად. 1904 წლის 10 სექტემბერს ქუთაისის გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით კონსტანტინე ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლე გახდა.

გიმნაზიაში კონსტანტინეს ასწავლიდნენ დირექტორი იოსებ ოცხელი (ცნობილი პატრიორტი და პედაგოგი), სილოვან ხუნდაძე, გერასიმე ცაგარეიშვილი, სამსონ ყიფიანი, იასონ ნიკოლაიშვილი, სიმონ ქვარიანი და სხვ. იოსებ ოცხელმა მამობრივი მზრუნველობა გამოიჩინა კონსტანტინეს მიმართ, როცა მას მამა გარდაეცვალა. გაჭირვების მიუხედვად, იგი კარგად სწავლობდა, მეგობრებს ძალიან უყვარდათ და პატივს სცემდნენ.

1906 წლის ზაფხულის არდადეგებზე პირველად ჩავიდა ტფილისში ილია ჭავჭავაძის სანახავად, მაგრამ იგი პეტრებურგს დახვდა წასული. როცა ილია მოკლეს, კონსტანტინე სოფელში იმყოფებოდა, მაშინ დაუფიცია თურმე სულშეძრულ ყმაწვილს, რომ ბოლომდე იბრძოდა ილიას მკვლელების წინააღმდეგ.

სიმწიფის ატესტატის მისაღებად ზეპირი და წერითი გამოცდები წარმატებით ჩაუბარებია. მისი სადიპლომო თემა ყოფილა „ტურგენევის ზედმეტი ადამიანები", რომელსაც დიდი მოწონება დაუმსახურებია.

1912 წლის 22 ივნისს კონსტანტინე გამსახურდიამ დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებით.

1909 წლიდან კონსტანტინე „კ. აბაშისპირელის." ფსევდონიმით უკვე იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. 1911 წლის 22 სექტემბერს ბედმა გაუღიმა - ის აკაკისთან ერთად გამოსულა პოეზიის საღამოზე.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი გაემგზავრა გერმანიაში. სწავლობდა ლაიპციგის, მიუნპენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში, რომელიც 1919 წელს დაამთავრა ფილოსოფიის სპეციალობით და ამავე წელს დაბრუნდა საქართველოში.

კონსტანტინეს უზარმაზარი მწერლური ნიჭი საკმაოდ გვიან გამოვლინდა. მას დასჭირდა დიდი ხნის ლიტერატურული ვარჯიშობანი, რათა შემდგომში თავისი ცნობილი ნაწარმოებები დაეწერა.

„დიონისოს ღიმილი"-ს შექმნამდე (1925წ.) კონსტანტინეს სერიოზულ მწერლად არ აღიქვამდნენ, რაც მის გაღიზიანებას იწვევდა. კონსტანტინემ რამდენიმე უცხო ენა იცოდა, კარგად იცნობდა ევროპის კულტურას, წერდა ჩინებულ ესსეებს, იყო ესთეტი, ფანატიკური დამცველი საქართველოს თავისუფლების და განახლების მრწამსისა, მაგრამ თავისი დიდი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებას ჯერ კიდევ ვერ ახდენდა.

სწორად მიუთითებს სოსო სიგუა, რომ „დიონისოს ღიმილმა" გაფანტა მოჯადოებული წრე და ყველა დაარწმუნა, რომ ქართველ ლიტერატურას მოევლინა დიდი კულტურის მქონე თვალსაჩინო ხელოვანი.

„დიონისოს ღიმილი" ღრმა ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი რომანია. მწერალმა კონსტანტინე სავარსამიძის სახით აჩვენა ზნეობრივი ტრაგიზმი XX საუკუნის 10-იანი წლების ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტისა, რომელმაც ეროვნული იდეალები მშობლიურ წიაღში კი არ განავითარა, არამედ დასავლეთ ევროპის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში და ამ იდეალებსა და მაშინდელი საქართველოს სინამდვილეს შორის წარმოჩენილი უფსკრულის პირისპირ აღმოჩნდა. მითოსური დიონისეს სახე რომანში სავარსამიძის ესთეტურ-ზნეობრივი ნიღაბია. რომანისათვის არსებითია განმაზოგადებელი ხასიათის სიმბოლიკა და პარაბოლური მოტივები; თხრობის ეგზალტირებული სტილით, „დროის მიერ გაშიშვლებული ადამიანის" ადამიანური პირდაპირობით, სიყვარულის გამარტივებული კონცეფციით, ანტიფსიქოლოგიზმითა თუ მხატვრული ხილვის ექსტაზური მანერით ეს რომანი ექსპრესიონისტული პროზის ნიმუშია.

კონსტანტინეს ცნობიერებაში ერთმანეთს ენაცვლებოდა წარმართობა და ქრისტიანობა, დიონისოს კულტი, ძალაუფლების ნება, მარადიული წრებრუნვა, ქართული მითოსი, ქართული სულის რენესანსი, ენის მისტერია, მისტიციზმი, ბოლშევიზმი, სამშობლოს ბედი, იტალიური აღორძინება, ჯვაროსანთა ლაშქრობები,

თანამედროვე აღმშენებლობა, თაობათა გადაშენება, ბუდიზმი და ისლამი...

სულიერი ოდისეის გზაზე მისი მარადიული თანამგზავრები იყვნენ რუსიაველი და სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა, გოეთე და თომას მანი, ნიცშე და შოპენჰაუერი, ვაგნერი და ბეთჰოვენი, ბალზაკი და ჰამსუნი, შექსპირი და ბაირონი, ჰომეროსი და დანტე, დავით აღმაშენებელი და ნაპოლეონი, თამარი და ერეკლე, ლეონარდო და რემბრანტი (ს.სიგუა).

1912-1923 წლებში კონსტანტინემ მოიარა ევროპის ქვეყნები, შეისწავლა 5 უცხო ენა, შეიძინა დიდი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება, ეზიარა აზროვნებისა და ცხოვრების ევროპულ წესს.

1914 წელს კონსტანტინე დაქორწინდა ჭიათურელი მღვდლის ისაია ვაშაძის ქალიშვილზე რებეკაზე, რომელიც ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში სწავლობდა. მისგან შეეძინა ქალიშვილი ნათელა. 1919 წლიდან, როცა კონსტანტინე ხშირად მიდი-მოდიოდა ევროპაში, ისინი ფაქტობრივად ერთმანეთს დაშორდნენ, თუმცა კონსტანტინე მის გარდაცვალებამდე (1933წ.) მეორედ აღარ დაქორწინებულა.

1908 წლიდან კონსტანტინე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო, რომლის ლიდერები გიორგი ზდანოვიჩი და კიტა აბაშიძე ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ხელმძღვანელობდნენ. ისინი მატერიალურად ეხმარებოდნენ მას (სტიპენდიას აძლევდნენ ევროპაში სწავლის პერიოდში და მერეც).

1917 წლის 19-22 ნოემბერს კონსტანტინე ამ პარტიის სახელით ესწრებოდა საქართველოს ეროვნულ ყრილობას, რომელმაც მოახდინა ქვეყნის პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია (ბოლშევიკთა გარდა), განსაზღვრა ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია და საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია იმ დროს გაელენიანი ნოე ჟორდანია.

1918 წლიდან კ. გამსახურდია ხელმძღვანელობდა ჟურნალებს „პრომეთე", „შვიდი მნათობი", „ცისარტყელა", „ხომალდი", „ილიონი", „კავკასიონი", „ახალი კავკასიონი", 1922 წლიდან კი „აკადემიური მწერლობის კავშირის" ჟურნალებს („ლომისი", „სა-

ქართველოს სამრეკლო").

ერთი პერიოდი, 1919-20 წლებში, კონსტანტინე მუშაობდა ატაშედ ბერლინის საქართველოს საელჩოში. იგი შეაძრწუნა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიამ და ძალით დამხობამ. 1921 წლის 25 თებერვალს, როცა ბოლშევიკებმა თბილისი აიღეს, იგი ცხენით ბეთანიაში ავიდა, სასოწარკვეთილი თამარის აჩრდილს მიეახლა და ასეთი წარწერა დატოვა: „ვიყავ ბეთანიას. თაყვანი ეეც თამარს. კონსტანტინე გამსახურდია. 1921 წელი, 25 თებერვალი".

კონსტანტინე პირველ ხანებში ლოიალობას იჩენდა მოძალადე ბოლშევიკების მიმართ სამშობლოს როგორ დააქცევენო. მაგრამ როცა მათ ქართული ტერიტორიების ნაწილი მეზობლებს დაურიგეს, ავტონომიები შექმნეს და ხალხის დახვრეტა დაიწყეს, მას ილუზია გაეფანტა და მებრძოლი განწყობილება დაეუფლა. „ცისფერყანწელებისაგან" განსხვავებით, იგი ყველაზე მკაფიოდ და მძაფრად გამოხატავდა ეროვნულ, ანტისაბჭოთა სულისკვეთებას" (მან ღია წერილი მისწერა ვ. ლენინს, გამოაქვეყნა სტატიები, მათ შორის, „სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს", რომელიც დღესაც ღრმა აზროვნების და მოქალაქეობრივი სიმამაცის ნიმუშს წარმოადგენს). კონსტანტინე რამდენჯერმე დააპატიმრეს ბოლშევიკებმა, სოლოვკის არქიპელაგზე გადაასახლეს, დახვრეტითაც დაემუქრნენ, მაგრამ მისი ეროვნული სულისკვეთება და მებრძოლი ხასიათი ვერ გატეხეს. მართალია, კონსტანტინეს იდეალი იყო ევროპის ინტელექტუალური სამყარო, მაგრამ მისი მთავარი მიზანი, სიცოცხლის არსი გახდა ქართული სულისა და ქართული სიტყვის განახლება.

კონსტანტინემ გადმოისროლა „კულტურის დიქტატურის" ცნება. ის ქადაგებდა, რომ როცა ერი კარგავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მან კულტურის დიქტატურა უნდა გამოაცხადოს, კულტურის საალყო წესები შემოიღოს, ნაციონალური ენის ჰეგემონია იქადაგოს, რათა ასე იხსნას თავი დაცემისა და გადაშენებისაგან. ეროვნული გლოვის ნიშნად შეიდმა კაცმა - კონსტანტინე გამსახურდიამ, ალექსანდრე აბაშელმა, პავლე ინგოროყვამ, ვახტანგ კოტეტიშვილმა, გიორგი ნიკოლაძემ და სხვებმა შავი ჩოხა-

ახალუხი შეიკერეს და იმით დადიოდნენ ქალაქში.

ერთი პერიოდი იგი გერმანულს ასწავლიდა სკოლაში, ლექციებს კითხულობდა უნივერსიტეტში, მაგრამ წმინდა მეცნიერულ, კულეეით მუშაობას არ შესდგომია.

ახალმა დრომ, ბოლშევიკების მსახვრალმა ხელმა, დიპლომატიასა და პოლიტიკაზე, ჩვენდა საბედნიეროდ, უარი ათქმევინა.

დარჩა შემოქმედების ნარ-ეკლიანი გზა, რაშიც სიცოცხლის უმაღლეს აზრს ხედავდა იგი.

სტალინის მმართველობის პერიოდში მწერლისა და ხელოვანის თავზე, თუ მას სამშობლოს ბედი და სატკივარი აწუხებდა, დამოკლეს მახვილი ეკიდა და იგი ყოველ ჟამს სიკვდილს ელოდა.

ცხადია, კონსტანტინე უფრო დიდი შთაგონებით წერდა „მთვარის მოტაცებას“ და „დიდოსტატის მარჯვენას“, ვიდრე „ბელადს“ ან „ვაზის ყვავილობას“, მაგრამ ასე იყო საჭირო, რათა გადაერჩინა თავისი სიცოცხლე და შემოქმედება. სასტიკი ბომონი მსხვერპლს მოითხოვდა. კონსტანტინეს რომ მაშინ თავი გაეწირა, აღარ გვექნებოდა მისი შესანიშნავი რომანები და ნოველები.

1928 წელს სოლოვკის არქიპელაგზე გადასახლებიდან დაბრუნებულმა კონსტანტინემ ოთხი წიგნი გამოსცა - „ტაბუ“, „გოეტე“, გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“-ს ქართული თარგმანი და „ახალი ევროპა“.

1932 წელს კონსტანტინემ განცხადებით მიმართ კინოფაბრიკას, რათა მისი სცენარის მიხედვით გადაეღოთ ფილმი „ვარძიის საიდუმლო“, წარადგინა სცენარი და გააფორმა ხელშეკრულება, თუმცა ფილმი მაინც არ გადაიღეს. 1934 წელს გამოიცა კონსტანტინე გამსახურდიას მიერ დაწერილი ბრწყინვალე ბიოგრაფიული ნაწარმოები „გოეთეს ცხოვრების რომანი“, მანამდე კი დანტეს „ჯოჯოხეთი“ თარგმნა კ.ჭიჭინაძესთან ერთად.

1933-35 წლებში კონსტანტინემ შექმნა „მთვარის მოტაცება“ - მხატვრული ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუში, რომელმაც მთელ თაობებზე მოახდინა გავლენა. ამ რომანმა მას უდიდესი აღიარება და პოპულარობა მოუტანა, იგი სულმოუთქმელად იკითხება, ცალკეული პასაჟები („ლირიკული ინტერმეცო“, მესამე კარი და სხვ.) კი ხალხმა ზეპირად იცოდა. რომანის მთავარი გმირია თარაშ ემ-

ხვარი. იგი გამოხატავს თანამედროვე ეროვნულ ნიადაგს მოწყვეტილი გმირის, ძველი საქართველოს სახეს, რომლის დაღუპვა ავტორმა მთვარის (უძველესი ქართული წარმართული ღვთაება) მოტაცებას შეუდარა. თარაში არ თანაუგრძნობს ახალ, ბოლშევიკურ ცხოვრებას, ეს ინდივიდუალისტი კოლექტივიზმთან ბრძოლაში თავის გზას ვერ პოულობს და ენგურის ტალღებში იღუპება. თარაში ინტელიგენტია, მეცნიერ და მეზვერეტელი, ფიზიკურად ჯანმრთელი, მაგრამ მელანქოლიიით შეპყრობილი, „უდროობის გმირი". მისი სული ეტრფის წმინდა გიორგის, რომლის სახელქვეშ ძველქართული მთვარის ღვთაება იგულისხმება. მთვარის მოტაცება იმასაც ნიშნავს, რომ ენგურმა (რევოლუციამ) ჩანთქა მთვარე - წმინდა გიორგი, ე.ი. თარაშმა დაკარგა დამოუკიდებელი საქართველო, წარმართულ-ქრისტიანული წარმოდგენებით აღსავსე - სიცოცხლის მთავარი არსი და მიზანი. თარაშს უსაზღვროდ უყვარს ქართველი ხალხი, ძველი საქართველო, მისი წმინდა და მძლავრი ძირები. მრავალი ენისა და კულტურის მცოდნე, 1921 წელს ევროპაში გადახვეწილი, დამარცხებულ სამშობლოზე დარდით გულმოკლული თარაშ ემხვარი მარცხდება. იმარჯვებს მისი ანტიპოდი არზაყან ზვამბაია, რომელიც მაუზერით ამკვიდრებს ახალ ცხოვრებას, უარყოფს მრავალსაუკუნოვან ადათ-წესებს, მორალს, ზნეობას, სამშობლოს გრძნობას, ვისთვისაც მთავარია ძალაუფლება, განათლებას ხომ მერეც „მოასწრებს"? კულტურასა და ეროვნულ შეგნებას სპობს მოძალადე და ბარბაროსული კომუნისტური, კოსმოპოლიტური იდეოლოგია. ესა არის რომანის მთავარი იდეა.

1935 წელს კონსტანტინე მეორედ დაქორწინდა თავის ყოფილ ბოსწავლეზე მირანდა (მათიკო) ფალავანდიშვილზე, რომელიც მასზე 23 წლით უმცროსი იყო. ძირანდასგან შეეძინა კონსტანტინეს თამარი და ზვიადი, საქართველოს მომავალი პირველი პრეზიდენტი. ქართველი თავადების შთამომავალი მირანდა იყო საოცრად დიდბუნებოვანი, სათნო და კეთილშობილი ქალბატონი, რომელიც ბოლომდე მხარში ედგა მეუღლეს.

1939 წელს კონსტანტინე გამსახურდიამ დაწერა მართლაც შესანიშნავი ისტორიული რომანი „დიდოსტატის კონსტანტინეს

მარჯვენა". იგი 1938 წლის ზაფხულიდან იწერებოდა როგორც ნოველა, მაგრამ მუშაობის პროცესში დიდ და ბრწყინვალე რომანად იქცა.

კონსტანტინეს მაშინდელი ვითარება სულს უხუთავდა, ოცნებობდა თავისუფალ და ძლიერ საქართველოზე, ყოველივე ამის გამოთქმა კი მას მხოლოდ ისტორიულ რომანში შეეძლო. ამიტომაც გადაწყვიტა მისი შექმნა.

რომანში ეროვნული იდეალების მატარებელი და მეაბჯრეა გიორგი მეფე, „რომელსაც „ქართლის ცხოვრების" ქრონიკებში სულ ორიოდე გვერდი აქვს მიძღვნილი. მე შემძრა ამ უსამართლობამ და ამ მიჩქმალული გმირის აპოლოგიას ვუძღვენი დიდი მდულარება ჩემი სულისა" - წერდა კონსტანტინე. გიორგი ეომება ერთი მხრივ განდგომილ ფეოდალებს, ხოლო მეორე მხრივ უზარმაზარ ბიზანტიას და სარკინოზებს.

გიორგი ბავშვობაგაუხარელი, აქტიური, მებრძოლი სულის პიროვნებაა, იგი გაორებულია - ბოროტიცაა და კეთილიც, დაუნდობელი როგორც გარეშე მტერთა, ასევე შინაურთა მიმართ. საცარია მისი სიკვდილისწინა აღსარება პიპასადმი, რაც ქართული პოეტური პროზის საცარი ნიმუშია. მართებულად აღნიშნავს სოსო სიგუა, რომ გიორგი გულმხეცია და ცოდვილი როგორც ადამიანი, მაგრამ გმირი და ალამდარი, როგორც ერის წინამძღოლი. მელანქოლიით შეპყრობილი მეფე პირად სურვილთა აღსრულებას ვერ ახერხებს, რასაც ტრაგიკულად განიცდის. ცდილობს სიყვარულში მაინც იყოს გამარჯვებული, ჩამოიცილებს მეტოქეებს, მაგრამ შორენას სიყვარულს მაინც ვერ ეღირსება და საბოლოოდ იღუპება კიდეც.

საცარი ექსპრესიითა და მძაფრი შტრიხებით არის გამოკვეთილი რომანში არსაკიძისა და შორენას, ფარსმან სპარსის სახეები. სვეტიცხოველი არსაკიძისთვის ხელოვნების ძეგლია, ღმერთთან ბრძოლაში მოპოვებული, გიორგი მეფისათვის საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობის სიმბოლო, მელქისედეკ კათოლიკოსისათვის - ქრისტიანული რწმენის ტაძარი, შორენასათვის - ქვის უბრალო კედელი, ფარსმან სპარსისათვის კი - შურის, ღვარძლისა და მტრობის საგანი.

1941 წელს გამოიცა კონსტანტინე გამსახურდიას მიერ თარგმნილი დანტე ალიგიერის „ღვთაებრიული კომედია“ და მონოგრაფია დანტეზე, რასაც მრავალი წელი მოანდომა.

„დიდოსტატის მარჯვენის“ შემდეგ კონსტანტინემ მუშაობა დაიწყო ახალ ისტორიულ რომანზე „დავით აღმაშენებელი“. ეს ნაწარმოები 25 წლის განმავლობაში იწერებოდა და ოთხ წიგნად გამოიცა სხვადასხვა წლებში. მეფე დავითის ბრძოლა როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების მოსაპოვებლად, ასევე ტერიტორიული გამთლიანებისათვის, ძალუმად ეხმიანებოდა მწერლის ოცნებას, რომ საქართველოს როგორმე დაებრუნებინა თურქთაგან მიტაცებული ტაოკლარჯეთი.

დავით მეფე, რომელსაც აღმაშენებელი მხოლოდ XV საუკუნეში უწოდა შთამომავლობამ, გიორგი მეფესავით გაუხარელი პირად ცხოვრებაში, მახვილით აღასრულებს ქართველთა მრავალსაუკუნოვან ოცნებას და დამოუკიდებლობას აღუდგენს საქართველოს, ერთ სხეულად შეკრავს ქვეყანას. **დამოუკიდებლობა ერის სასიცოცხლო ნიშან-თვისებაა. ის ვინც უცხო ძალის მორჩილია, განწირულია დასაღუპავად. დამოუკიდებლობა ტერიტორიული მთლიანობის გარეშე კი ფიქციაა.** ამიტომ დავითმა ორივე მოიპოვა უდიდესი ძალისხმევის შედეგად.

„დავით აღმაშენებელი“ ისეთივე ეპოქალური ისტორიული რომანია, როგორც „დიდოსტატის მარჯვენა“. მასში კარგად გამოჩნდა კონსტანტინეს დიდი მხატვრული ნიჭი, საოცარი ფანტაზია და ერუდიცია.

1946 წლიდან კონსტანტინეს ვერის აღმართზე ფართი გამოუყვეს და სწორედ აქ დაიწყო მან სახელგანთქმული „კოლხური კოშკის“ შენება, რაც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა (მანამდე კონსტანტინე 1921 წლიდან ჯერ დედასთან, მისი გარდაცვალების შემდეგ კი, მარტო ცხოვრობდა ჯაფარიძის - დღეს პაოლო იაშვილის ქუჩაზე №13-ში, პირველ სართულზე ერთოთახიან ბინაში, ხოლო 1934 წლიდან — მეორე სართულზე, სამოთახიანში).

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში სჭარბობს მელანქოლიური, მწუხარე ფერები, ტრაგიკული სიუჟეტები, ჰეროიკული მასალა. უჩვეულო, განსაკუთრებული ბედი და ბუნება აქვთ

პერსონაჟებს. ისინი მწერლის ფანტაზიიდან იშვნენ, მისი სულის სიღრმიდან ამოვიდნენ და გამოიყოლეს აკტორის პიროვნული ხატი.

თავად კონსტანტინე ყოფილა გამხდარი, ასთენიკური აგებულების, საშუალო ტანისა, ოდნავ შემელოტებული, ჰქონდა ენერგიული გამომეტყველება, მკაცრი პროფილი. იყო კარგი ცხენოსანი და მონადირე. შავგვრემანი, შავთმიანი და შავთვალა მუდამ თეთრ, ცისფერთვალა, ქერათმიან, პერსონაჟ ქალებს ეტრფოდა თურმე.

მის სულში ორი საწყისი ერწყმოდა ერთმანეთს - აღმოსავლური და დასავლური, აპოლონური და დიონისური. ატარებდა ხან კავკასიურ ჩოხა-ახალუხს, ხან ევროპულ კოსტუმს, ხან ცილინდრსა და ხელჯოხს, ხან - ბოხოხსა და ხანჯალს. უყვარდა როგორც ცხენი, ისე - ავტომანქანა, როგორც თანამედროვე ტექნიკა, ისე ძველი ხუროთმოძღვრება. ხან აღმაფრენა ეწვეოდა, ხანაც - დეპრესია. იყო ურჩიც და მორჩილიც, გულღიაც და გულჩახვეულიც, მაგრამ ზომიერების დაცვას მუდამ ცდილობდა.

სიგარეტს სიჭაბუკის წლებიდან ეწეოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. არ უყვარდა გადაჭარბებული სმა, წრეგადასული ქეიფი, დიონისური ვაკხანალია, თუმცა ღვინის კულტს დიდი ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობოდა. არაყს არ ეკარებოდა, ვისკისა და კონიაკს არჩევდა. სვამდა ცოტ-ცოტას, მაგრამ ხშირად. უყვარდა ქართული სადღეგრძელოები, სიმღერები. სიმთვრალე დიდ სირცხვილად მიაჩნდა, მთვრალი კაცი საზოგადოებაში არ უნდა გამოჩნდესო. ყოველთვის წეერგაპარსული, კოხტად ჩაცმული დადიოდა. მფლანგველობა არ უყვარდა. სტუმარს გულღიად ხვდებოდა. საქართველოს ყოველი კუთხე, ფეხით, ცხენით თუ მანქანით, მრავალგზის პქონდა მოვლილი. ცნობილი თამადა არ ყოფილა, არც ნაირფერი საჭმელების მოყვარული. სუფრაზე ტაქტსა და ტრადიციულ წესებს იცავდა. დაბადების დღეების გადახდა არ უყვარდა და მას რუსეთიდან შემოსულ ჩვეულებად თვლიდა. მანქანის საჭესთან არ ჯდებოდა - აზროვნებას აქვეითებსო!

ჰქონდა ძლიერი, უჩვეულო ნებისყოფა, შეეძლო დეპრესიის დაძლევა. შველოდა ზეკაცური იდეალებისაკენ სწრაფვა, ცხოვრების წარმავლობის შემეცნება და სულის ძალმოსილების განცდა, საკუ-

თარი პერსონის გამითება (ს.სიგუა) კონსტანტინე ადამიანებთან ურთიერთობისას ყოველთვის იცავდა დისტანციას. მასთან ჭირდა ღაახლოება. გარეგნულად ზვიადი და ქედმაღალი, უკარება და უხეში ჩანდა. მისი პუნქტუალობა და გერმანული წესრიგი, სიზუსტე და დისციპლინა ქართული გარემოსავის უცხო და უცნაური ჩანდა. ხალხის დიდ ნაწილს იგი ძალიან უყვარდა და სიცოცხლეშივე მოესწრო უდიდეს აღიარებას, მაგრამ მტრებიც მრავლად ჰყავდა. იყო რუსთაველის პრემიის პირველი ლაურეატი (1965 წ.).

მთელმა საქართველომ უდიდესი სიყვარულით აღნიშნა მწერლის 70 და 80 წლის იუბილეები. მას პირდაპირ აღმერთებდნენ. იგი დიდების ზენიტში იყო. კ. გამსახურდიას წიგნები ითარგმნებოდა და უცხოეთში გამოიცემოდა, მაგ. „დიდოსტატის მარჯვენა“ 1957 წელს გამოვიდა საფრანგეთში, ითარგმნა აგრეთვე ინგლისურ, გერმანულ, ბენგალურ, რუმინულ, საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე.

60-იანი წლების მეორე ნახევარში კონსტანტინემ დაიწყო ისტორიული რომანის წერა თამარ მეფეზე, მაგრამ ვერ დაასრულა. უკვე საკმაოდ მოხუცებულიყო, ცხოვრების გრიგალებმა მაინც გატეხეს ეს უდრეკი პიროვნება.

კონსტანტინე გამსახურდია 1975 წლის 17 ივლისს გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს კოლხურ კოშკში, მისი ანდერძის თანახმად. მთაწმინდაზე დასაფლავებაზე ადრევე უარი თქვა. სანამ ფილიპე მახარაძე და მისი ამფსონები იქ ასაფლავია, ბუ მანდ არაფერი შესაქმეაო. ახლა, როცა მისი ვაჟი ზვიად გამსახურდია მთაწმინდაზე იქნა დასაფლავებული, ვგონებ, დადგა დრო, რომ კონსტანტინეს ნეშტიც მთაწმინდაზე იქნას გადასვენებული. „კოლხურ კოშკში“ მოგვიანებით მისი სახლ-მუზეუმი გაიხსნა, დაიდგა მისი ძეგლიც.

გალაკტიონი

გალაკტიონი როგორც პოეტი და პიროვნება მართლაც ამოუწურავი თემაა, იგი განსაკუთრებული ფენომენია ქართულ პოეზიაში. ამ მარტოსული გენიოსის როგორც ამქვეყნიური ცხოვრება, ისე გარდაცვალებაც ტრაგიკული იდუმალებით არის მოცული. შეუძლებელია ბოლომდე ჩაწვდეს ვინმე მისი სულის სიღრმეს და ახსნას, რატომ გადაწყვიტა თავად გადაედგა ნაბიჯი უსასრულობაში.

თითქოს თავის თავზე თქვაო ბიბლიური წინასწარმეტყველივით:

„მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალება,
თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე,
ვინა თქვა შენი გარდაცვალება?
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე“.

„ხანდახან ასე მგონია, რომ ვერც რუსთაველი, ვერც ეაჟა გალაკტიონის უფაქიზეს ლირიკულ შედევრებს ვერ დაწერდნენ. მე პირადად, ასე თუ ისე, ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა მოგახსენოთ: გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება... გალაკტიონზე სიჭაბუკეში განსაზღვრული ზეგავლენა მოახდინეს ვერლენმა და ედგარ პომ, მაგრამ სრულიად მოუდგომლად ვამბობ: გალაკტიონ-

მა გადააჭარბა თავის მასწავლებლებს. მე ვიტყოდი: შორს გადააჭარბა“ (კონსტანტინე გამსახურდია).

„XX საუკუნის მსოფლიოში არ არსებობს გალაკტიონზე დიდი პოეტი“ (მუხრან მაჭავარიანი).

„მოვა დრო, როცა კაცობრიობა გალაკტიონ ტაბიძეს გენიალურ პოეტად აღიარებს“ (გურამ ასათიანი).

და მართლაც, სანამ კაცობრიობა იარსებებს, გალაკტიონი მას ყოველთვის აღტაცებაში მოიყვანს თავისი უნიკალური პოეზიით.

გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა 1891 წლის (ზოგიერთი ვერსიით 1892 წლის) 5 ნოემბერს ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში, დიდი კულტურული ტრადიციების მქონე სოფლის მასწავლებლის ვასილ ტაბიძის ოჯახში. ექვსი წლის ყმაწვილი სოფლის მღვდლის კერძო სკოლაში მიუბარებიათ. 1900-1908 წლებში გალაკტიონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, ხოლო 1908 წლიდან - თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქედან დაიწყო მისი პოეტური შემოქმედებაც. 1910-11 წლებში იგი მასწავლებლად მუშაობდა, 1912 წლიდან კი ქუთაისში დასახლდა. მისი ლექსები იბეჭდებოდა ქუთაისისა და თბილისის ჟურნალ-გაზეთებში.

1917-18 წლებში გალაკტიონი მოსკოვსა და პეტროგრადში იმყოფებოდა, სადაც მომსწრე გახდა ორი რევოლუციისა. 1918 წელს იგი დაბრუნდა დამოუკიდებელ საქართველოში და თბილისში დამკვიდრდა.

1922-23 წლებში იგი გამოსცემდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალს“ (სულ გამოვიდა 9 ნომერი).

1921 წელს ქართველი პოეტების ერთ ჯგუფს გაუმართავს კონკურსი „პოეტების მეფის“ ტიტულის მოსაპოვებლად. ამ კონკურსზე გალაკტიონს წარუდგენია თავისი ბრწყინვალე ლექსი „პოეზია - უპირველეს ყოვლისა“. გაუმარჯვია და უღიარებიათ პოეტების უგვირგვინო მეფედ.

ამ დროისათვის გალაკტიონს უკვე შექმნილი ჰქონდა თავისი შედევრების საკმაოდ დიდი ნაწილი.

1919 წელს თბილისში მან გამოსცა თავისი რჩეული ლექსების კრებული „არტისტული ყვავილები“ (1993 წელს პოეტ სოსო მაჭარაშვილის ფინანსური დახმარებით და ჩემი რედაქტორობით ხელმეორედ გამოიცა ეს კრებული უცვლელი სახით და მიეძღვნა გალაკტიონის 100 წლის იუბილეს, რომელიც არ აღნიშნულა).

„არტისტული ყვავილები“ საეტაპო მოვლენად იქცა ქართულ პოეზიაში, მან გალაკტიონს საყოველთაო აღიარება მოუტანა.

ამ დრომდე ქართულ ლირიკაში განუყოფლად ბატონობდა აკაკის ავტორიტეტი. პოეტიკა უკვე განახლებას ითხოვდა და ეს დიდი მისია სწორედ გალაკტიონმა შეასრულა. მან ახალ რეგისტრში აიყვანა ქართული ლექსი და მას უაღრესად თანამედროვე ჟღერადობა შესძინა. „არტისტულ ყვავილებში“ ორიგინალურად გამჟღავნდა გალაკტიონის პოეტური მრწამსი, იგი მნიშვნელოვნად გაემიჯნა ბევრ სახელოვან წინაპარს: ლიტერატურის, როგორც გამორჩეული ფენომენის ღრმა შეცნობა-გააზრების საკითხი დასვა და ლირიკის საზღვრებიც თავისებურად მოხაზა... „არტისტულმა ყვავილებმა“ ახალი თემატიკა მოიტანა, უფრო ზუსტად, ძველი პრობლემატიკა შორს გადასწია. ადამიანის სულის სირთულის სიღრმისეული შრეების ჩვენების ასეთი მასშტაბი და ოსტატობა უცხო იყო ქართული ლირიკისათვის. რაც მთავარია, გალაკტიონმა ჩვენს მიკროსამყაროში დაასახლა ორიგინალური ტიპი არისტოკრატისა - გულწრფელი და კეთილშობილი: პიროვნება დაუცხრომელი და მაძიებელი, მეოცნებე და მებრძოლი, უფაქიზესი და მოყვარული, რომლის უკმაყოფილება აწმყოთი და სწრაფვა უკეთესობისაკენ შორსაა მანერულობისაგან. ლირიკული გმირის ქმედება არსებითად სამყაროს განახლების ფილოსოფიურ ტენდენციებს ეფუძნება. „არტისტულ ყვავილებში“ თვალნათლივ გამოჩნდა ქართული ლექსის რეფორმა, პოლიტიკური ნოვაციები, ახლებური რიტმი, რითმა, ბგერწერა და ა.შ.“ (ნ.ტაბიძე).

ამ კრებულში შევიდა გალაკტიონის ისეთი შედევრები, როგორიცაა: „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „მერი“, „ცამეტი წლის ხარ“, „შენი სადღეგრძელო“, „ედგარი მესამედ“, „მას გახელილი დარჩა თვალები“, „მგლოვიარე სერაფიმები“, „ვერხვები“, „თოვლი“, „მარიამ ანტუანეტა“, „ანგელოზს ეჯირა გრძელი პერგამენტი“, „მამული“, „შენ ერთი მაინც“, „გზაში“ და ა.შ., რომლებმაც მკითხველს წარმოუდგინა სრულიად ახლებური პოეტური სამყარო, ქართული ბგერის დიდებული კეთილხმოვანება, სიტყვის მოქნილობა და საოცარი უნარი რიტმის, ფერის, ტონისა თუ ნახევარტონის გადმოცემისა. ეს იყო რომანტიკული სამყარო, სადაც პოეტმა მინიშნებების,

ნიუანსებისა და ასოციაციების საშუალებით იშვიათი უშუალობითა და სილამაზით აამეტყველა თავისი დროის (და არა მარტო თავისი დროის - ვ.შ.) ადამიანის ყველაზე ფაქიზი განცდები (რ.თვარაძე). გალაკტიონის ადრინდელ პოეზიაში მკვეთრად გამოიხატა სიმარტოვის, სულით ობლობის, ტანჯვის მოტივები, რაც მას ძალზე ანათესავებს ბარათაშვილის პოეზიასთან. ამ შედეგრებშიც კი გამოირჩევა გალაკტიონის პოეზიის მარგალიტი, ლექსი „მერი“:

„...იწვოდა ტაძრის გუმბათი, კალთა!
ვარდთა დიოდა ნელი სურნელი,!
მაგრამ ლოდინით დაღალულ ქალთა
სხვა არის ლოცვა განუკურნელი.
მესმოდა შენი უგონო ფიცი...
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი:
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა...“

მაინც ვინ იყო ავტორის შთაგონების წყარო? ამაზე დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა. მე ღრმად მწამს, რომ შეუძლებელია ასეთი შედეგრის შექმნა დიდი სიყვარულისა და ღრმა შთაგონების გარეშე. ამ ლექსს მოხუცი გალაკტიონი ვერ დაწერდა. მას ახალგაზრდული, მგზნებარე გული სჭირდებოდა გამიჯნურებული პოეტისა. პროფესორ ინესა მერაბიშვილის აზრით, გალაკტიონის „მერის“ მიღმა კონკრეტული პიროვნება კი არ დგას. არამედ შექმნილია ლერმონტოვის ან პუშკინის მიბაძვით, რომელთაც ამავე სახელწოდების მუზა პყავდათ და რომლებიც თავის დროზე ბაირონის გავლენას განიცდიდნენ („გალაკტიონის ენიგმები“). ამ მოსაზრებას იგი ამყარებს იმ ფაქტით, რომ გ. ტაბიძის მეზობლად მცხოვრები ულამაზესი ქალბატონი მერი შერვაშიძე, რომელსაც მის მუზად მიიჩნევდნენ, არც კი იცნობდა გალაკტიონს (მერი შერვაშიძემ ეს თავად დაადასტურა რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტურ ფილმში, რომელიც 1980-იან წლებშია გადაღებული ვ.შ.). პროფესორი აკაკი ხინთიბიძე სამართლიანად შენიშნავდა, რომ სულაც არაა საჭირო, პოეტი თავის მუზას პირადად იცნობდეს. საკმარისია მხოლოდ დანახვა, მისი მშვენიერების აღქმა და ტკბობა, რომ შთაგონებამ გაშალოს ფრთები. თუმცა არაა გამორიცხული ბაირონის გავლენაც შემდეგი ფაქტის გამო: მერი შერვაშიძემ 1918 წელს

დაიწერა ჯვარი საფრანგეთში, ხოლო გალაკტიონის „მერი“ 1915 წელს დაიწერა. ა. ხინთიბიძის აზრით, ჯვრისწერის სცენის წინასწარი აღწერა პოეტური ფანტაზიის შედეგია.

თავად გალაკტიონი თავის მოგონებებში აღნიშნავდა, რომ „სახელი „მერი“ მე არ გამომიგონებია; თუმცა ლექსის ობიექტად პირველია ეს სახელი საქართველოში, მერი ხშირი სახელია ბაირონის ლირიკაში, მერი - ასულდგმულებს შელლის, მერის აღტაცებაში მოჰყავს პუშკინი, მერი - ერთ-ერთი საუკეთესო ტიპია ლერმონტოვის და ათასი ინგლისური და ფრანგული რომანების გმირი ქალია. ჩამოთვლილი პოეტების არც ერთი მერი ერთმანეთს არ ჰგავს. ასე, ალექსანდრ ბლოკის მერი - სიმბოლური სახეებაა, ჩემი მერი - რომანტიული, მაგრამ რეალური და ცხადია. კრიტიკოსებს კი სურთ, რომ ამ ლექსით გააბან არარსებული კავშირი ჩემსა და ბლოკს შორის. ეს ლექსი დამოუკიდებელი ლექსია“.

გალაკტიონის პოეზია საოცრად მუსიკალურია. ამბობდა კიდეც: „მუსიკაა მთავარი, ძამიკო, მუსიკა!“ (ეს ფრაზა ჩვეულებრივ რეპლიკად ისმოდა გალაკტიონის საუბარში, თუ იგი საკუთრივ პოეზიას შეეხებოდა. „ძამიკოს“ კი ყველა თანამოასაკესა და უმცროს მეგობარს ეძახდა). გალაკტიონი სიტყვის მუსიკოსი იყო, იგი ეკუთვნოდა იმ პოეტთა რიცხვს, რომელთა შემოქმედებაში უწინარესია უნებური სულიერი მუსიკა, რაც წინ უსწრებს ხოლმე ლექსის ჩასახვას. მისი პოეტური ენის სიახლე იმაშიც მდგომარეობდა, რომ მან სიტყვის მუსიკალური ექსპრესია შესანიშნავად შეუხამა მის ფერადოვნებას. თავად გალაკტიონიუალრესად მგრძნობიარე პიროვნება იყო, მხოლოდ ზოგიერთები ვერ ამჩნევდნენ მისი ირონიული ბუნების მიღმა პოეტის უალრესად ფაქიზ და მთრთოლვარე სულს, რომელიც მუდამ სუფთა მუსიკას გამოსცემდა...

მხოლოდ ქართული რითმის ამ ჯადოქარს შეეძლო დაეწერა:

ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?...

ან

მე გადვიარე დღეს ჩვენი მთები,
ჩვენი მაისის წკრიალა წყარო.

შენი ნაზი ხმა და ოქროს თმები...
დაუვიწყარო, დაუვიწყარო!

უნაზეს მელოდიად ჩაძესმოდა ჭაბუკ შეყვარებულს ეს გენიალური სტროფები:

„...მე აღტაცებით ვმღეროდი მაშინ
და სიყმაწვილე თრთოდა ჩემს გულში,
მე ვივიწყებდი მთელს დედამიწას,
შენს ნაზ ალერსში, შენს ტკბილ ჩურჩულში...
წარვიდა, გაჰქრა ჟამი ნეტარი...
ეხლა სიყვარულს გული აღარ გთხოვს,
არ გთხოვს არაფერს, ოღონდ მითხარი,
ეს ყველაფერი ხომ ისევ გახსოვს?“

ან კიდევ:

„...დაიწვას გული უცნაურ ტრფობით,
ცრემლით აივსოს ზღვა - საწყაული,
ოღონდ მჯეროდეს მე ჩემი ბოდვა
და სიყვარულის დღესასწაული...

აკაკი გაწერელია გალაკტიონის შესახებ წერდა: „იჭირვეულა. იუცხოვა. იხმაურა. სძულდა. უყვარდა. ფათურობდა. მთვრალობდა. ფხიზლობდა. ყელამდე აივსო მოწყენით, ყელამდე აივსო სიხარულით. ფართოდ გაუღო თავისი სული შთაბეჭდილებებს. იცოდა დუმილი. სცოდავდა. არ სცოდავდა. უცნაური იყო. ჭკუის კოლოფიც იყო. სიმღერად იცლებოდა. ხანდახან კი სულ ყრუდ, ყრუდ ჟღერდა ერთადერთი ობოლი სიმი მისი სულის სიღრმეში... არაფრის ეშინოდა. ზოგჯერ თითქოს ყველაფერი აფრთხობდა. არაჩვეულებრივი იყო. და აღარაა. გ.ტაბიძის ტრაგიკული ნაბიჯის მიზეზი მისსავე მთრთოლვარე არსებაში იყო, კონკრეტული მიზეზი ამ ნაბიჯს არ ჰქონია. ეს მხოლოდ მისი დემონის ბიძგი იყო.

„არის დღე ჩემთვის ნაზი ნუგეში,
ვიყო უმშვიდეს წარსულის მტერი,
შევიდე უცხო სიმსუბუქეში
გამომყვეს ლურჯი ცხენების მტვერი“.

ვახტანგ ჯავახაძის თქმით, გალაკტიონი იმდენად მარტოსული იყო, იმდენად თავისებური და განსხვავებული, - მასთან დაახლოება და გაშინაურება, მისი გაცნობა და შეცნობა შეუძლებელი იყო.

ჩაუწერია კიდეც: თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარო.

...სიყმაწვილიდანვე მარტო დარჩა. ყველგან და ყოველთვის მარტო იყო. ვეება მხრებით დაატარებდა თავის მარტოობას. უბრალოდ ჩაცმული - ყველასგან გამოირჩეოდა, შიგნიდან ანათებდა და ამდიდრებდა გარემოს, და არა მარტო ფიზიკურად იდგა მთელი თავით მაღლა.

ერთი შეხედვითაც შეატყობდით: სხვა კაცი იყო. როდესაც გესაუბრებოდათ, თითქოს სხვაგან იმყოფებოდა და ეს „სხვაგან" იყო მისი მთავარი სავანე. უმეგობროდ იცხოვრა. მეგობრობა გულისხმობს მსგავსი გემოვნებისა და ტემპერამენტის (ალბათ, მსგავსივე ნიჭის) პარტნიორთა ურთიერთობას. ამდენად, უხერხულია თავი გამოიდო გალაკტიონის მეგობრობაზე.

მას არ გააჩნდა პრაქტიკული ცხოვრების ელემენტარული უნარი, უჭირდა სხვასთან დაკავშირება და დაახლოება. თვითონაც გრძნობდა და წუხდა. - „მე ხომ სრულიად ლაპარაკი არ ვიცი... მე იმდენად არ ვიცი ლაპარაკი, რომ კაცს ხშირად ვერ ვაგებინებ... - ეს ფუსფუსი პატარ-პატარა ხალხის ჩემთვის სრულიად გაუგებარია... მეც ვიცნობდი... ბევრჯერ შეეხვედრივარ და აედევნებივარ, როგორც პატარა ბავშვი ვეებერთელა მონასტერს, ისე ვუელი გარშემო, და რაკი მონასტერს კარი ვერ ვუპოვნე, ფეხისწვერებზე ვდგებოდი, რათა მაღალი სარკმლიდან მაინც მომეკრა თვალი, რა ხდებოდა კედლებს იქით...

ერთ მშვენიერ დღეს კი ამ ტაძარში აღმოვჩნდი და ეკლესიაში პირველად შესული ბიჭივით დავიბენი. როდესაც დავმშვიდდი და თვალი კედლებსა და თაღებს შევაჩვიე, გავოცდი: კვლავ ტაძრის წინ ვიდექი, ტაძარში ტაძარი დამხვდა. და ეს ტაძარი მეტი იდუმალებით იყო მოცული, რადგან არც კარი გააჩნდა, არც სარკმელი და შიგ ფეხი არავის დაედგა... (ვახტანგ ჯავახაძე „უცნობი").

აკაკი გაწერელიას მოგონებით „გრანდიოზული სამგლოვიარო კორტეჟი მიაცილებდა მის კუბოს. თითქო მთელი ქალაქი ტორტმანობდა. ქართველი მწერლები კოცნიდნენ მის ცხედარს (კარგი იქნებოდა სიცოცხლეში მეტად მოფერებოდნენ - **ვ.შ.**). არავის წილად არ ხვდომია ამდენი ამბორი გარდაცვალების შემდეგ. სამი დაკრძალვა მახსოვს ასეთი დიადი:

როცა სარაჯიშვილს ასაფლავებდნენ, ყველამ იცოდა, რომ ეთხოვებოდნენ სიმღერას.

როცა ნატო ვაჩნაძის ფერფლმა ჩაიარა მოედანზე (ის ავიაკატასტროფაში დაიღუპა - **ვ.შ.**), ვიღაც უცხომ იკითხა - ვის ასაფლავებენო. მას ერთხმად უპასუხეს: - სილამაზეს!

გალაკტიონ ტაბიძის დასაფლავება კი სიტყვის მუსიკის გამოტირება იყო".

მურმან ლებანიძემ (რომელმაც მთელი ციკლი უძღვნა გალაკტიონის ხსოვნას სათაურით „ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ") საოცარი ექსპრესიით ასახა ეს მომენტი:

„ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა,
იწვა გალაკტიონი და თავისას ფიქრობდა...
იწვა, პათეტიკური მას სიკვდილშიც დაჰკრავდა:
იწვა, როგორც ყოველთვის, ახლაც არვის არ ჰგავდა".

საქართველომ ვერ აღნიშნა გალაკტიონის 100 წლის იუბილე (სიცოცხლეშიც ვერ ვეცით სათანადო პატივი და ეს გენიოსი ლამის სიღატაკეში ვამყოფეთ). ეს სამარცხვინო ფაქტი შემთხვევითი არ ყოფილა. ეპოქაში, როცა უზნეობამ, ულმერთობამ, მედროვეობამ, მეშურნეობამ და არაკაცობამ თავის აპოგეას მიაღწია, გალაკტიონი „ამა ქვეყნის ძლიერთაგან" მივიწყებული აღმოჩნდა, თუმცა იგი არ დავიწყებიათ ჭეშმარიტი პოეზიის მოყვარულებს. მისი განუმეორებელი შემოქმედება ქართველი კაცის თანამგზავრი იქნება ჯირში და ლხინში.

გალაკტიონის პოეზია, მკვლევართა აღიარებით, დღესაც რჩება ნორმისა და მიუწვდომლობის ნიმუშად. იგი თითქმის უკვე საუკუნეა, ვადაულახავ მწვერვალად დგას ქართულ პოეზიაში, მისი ავტორიტეტი განუყოყელად ბატონობს და, ალბათ საუკუნეები გაივლის, ვიდრე მისი სადარი პოეტი დაიბადება ჩვენთან... მიუხედავად იმისა, რომ ბევრ უცხო ენაზეა თარგმნილი, მისი სრულყოფილი თარგმნა დღემდე მაინც ვერ ხერხდება... გალაკტიონისთვის იმთავითვე ნათელი იყო, რას იტყოდა მასზე შთამომავლობა, რომ იგი სიონივით ერთადერთი და განუმეორებელი იყო...

მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.

ვიქტორ ნოზაძე

ვიქტორ ნოზაძე იმ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც თითქმის მთელი ცხოვრება სამშობლოს მოშორებულებმა ემიგრაციაში გაატარეს, მაგრამ ერთი წუთითაც არ დავიწყნიათ თავიანთი ქვეყანა და რაც კი გააჩნდათ - სულიერი და მატერიალური - მის სამსახურს მოახმარეს.

ნოზაძე დაიბადა 1893 წლის 17 სექტემბერს საჩხერის მახლობლად სოფელ წირქვალში. მის მშობლებს - ივანე ნოზაძესა და აღათი გაფრინდაშვილს კიდევ სამი შვილი პყავდათ: მარო, პალიკო და გიორგი (რომელიც ასევე ძმასთან ერთად ემიგრაციაში ცხოვრობდა საფრანგეთში).

პატარა ვიქტორმა თავიდან საჩხერის ორკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა, რის შემდეგაც მშობლებმა შეიყვანეს ჯერ ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელში, აქედან კი ქუთაისში, სადაც ვიქტორმა ჩააბარა გამოცდები მეექვსე კლასში (1910 წ.). ამ გიმნაზიის დირექტორი იყო დიდი ქართველი პატრიოტი და პედაგოგი იოსებ ოცხელი, რომელმაც აღზარდა მომავალ დიდ მოღვაწეთა

და მეცნიერთა მთელი პლეადა. ვიქტორი აქტიურად ჩაება ლიტერატურულ წრეში, თარგმნიდა, წერდა, დადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამშობლოს კარგად გასაცნობად (მან შემდგომში მოგონებებიც დაწერა გიმნაზიაში გატარებული წლების შესახებ. სადაც, სხვათა შორის, ერთი მეტად საინტერესო ფაქტიც არის გადმოცემული, რომელიც ალბათ განსაკუთრებით ქართველ მოსწავლეებს და პედაგოგებს დაინტერესებს: რომ სამასწავლებლო საბჭოს უარი უთქვამს გიმნაზიაში მიღებაზე დავით ბაგრატიონისთვის, რომელიც წერით გამოცდაში ჩაიჭრა). ვიქტორი გიმნაზიაში ბრწყინვალედ სწავლობდა და 1913 წელს იგი ოქროს მედლით დაამთავრა, რის შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. სწავლასთან ერთად იგი არალეგალურ რევოლუციურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, იყო სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), (თუმცა ემიგრაციაში ყოფნისას თავისი შეხედულებანი გადააფასა და წმინდა ეროვნულ მოღვაწედ ჩამოყალიბდა).

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იგი დაბრუნდა საქართველოში და გაზეთ „ერთობაში" გამოაქვეყნა თავისი სტატია, რომელიც ეხებოდა თებერვლის რევოლუციას. მალე იგი ნოე ჟორდანიას დავალებით ჩავიდა ქუთაისში პარტიული პრესის ხელმძღვანელად (გაზეთი „სოციალ-დემოკრატი"). ქუთაისიდან დაბრუნებული ვიქტორი სამთავრობო გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქტორიც იყო.

1919 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ევროპაში განათლების მისაღებად და ცოდნის გასაღრმავებლად გაეგზავნა ნიჭიერი ახალგაზრდების ჯგუფი 70 კაცის შემადგენლობით. ეს ჯგუფი გაემგზავრა 1920 წლის დასაწყისში და განაწილდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, თუმცა უმეტესობამ მაინც გერმანია არჩია.

ამ ნიჭიერ ახალგაზრდათა შორის იყო ვიქტორ ნოზაძეც, რომელიც ჯერ ლონდონში ჩავიდა,ხოლო შემდეგ - გერმანიაში. უნივერსიტეტი დაამთავრა 1928 წელს და საცხოვრებლად გადავიდა პარიზში. ვიქტორი აქ შეუდგა ჟურნალისტურ და რედაქტორულ საქმიანობას, ჯერ გამოსცემდა ჟურნალ „ორნატს", მერე კი დიდ-

ფორმატიან ლიტერატურულ-მეცნიერულ და პოლიტიკურ ჟურნალს „კავკასიონი“. (ისიდორე მანწკავასთან და ედუარდ პაპავასთან ერთად) ეს ჟურნალი მის გარდაცვალებამდე გამოდიოდა და უნდა ითქვას, რომ ვიქტორი თავად გახლდათ მისი გამომცემელიც, რედაქტორიც, კორექტორიც, ასოთამწყობიც და ექსპედიტორიც. მან ფაქტიურად ასკეტივით იცხოვრა, უარყო პირადი ბედნიერება და მთელი თავისი ნიჭი და შესაძლებლობა სამშობლოსათვის სასარგებლო საქმეს შესწირა. ვ. ნოზაძემ დაგვიტოვა უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობა - ათობით ნაშრომი, სტატია და წიგნი ქართველოლოგიის ფრიად აქტუალურ საკითხებზე, ასევე ქართულად მის მიერ ნათარგმნი რამდენიმე წიგნი.

განსაკუთრებით ფასეულია ვიქტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური გამოკვლევების მთელი ციკლი. მან „ვეფხისტყაოსნის“ „ჩხრეკანი“ (ასე ეძახდა იგი თავის კვლევით მუშაობას) ბერლინში დაიწყო 1940-იანი წლების დასაწყისში. მას ხელში ჩაუვარდა მარჯორი უორდროპის მიერ ინგლისურ ენაზე ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე და დაიწყო თარგმანის ორიგინალთან შედარება.

გულდასმით მუშაობის დროს მან შენიშნა, რომ ვეფხისტყაოსანში ფერებს დიდი ამნიშვნელობა ენიჭება და ამას „ფერთა მეტყველება“ უწოდა, რაც მოგვიანებით მისი წიგნის სათაურად იქცა (მ. ქავთარაძე). ომის შემდეგ ვიქტორმა თავისებური „ოდისეა“ გამოიარა იგი ხანგამოშვებით ცხოვრობდა გერმანიაში, ავსტრიაში, არგენტინაში, ჩილეში, ბრაზილიაში, საიდანაც 1960 წელს ჯერ ესპანეთში დაბრუნდა, ხოლო 1963 წელს საფრანგეთში დაფუძნდა თავის ძმასთან გიორგისთან, ლევილის ქართულ მამულში. აქვე მდებარეობდა ქართული სტამბაც და ვიქტორის სამუშაო ოთახებიც. 30 წლის განმავლობაში მან მეტად ძძიმე პირობებში მარტოდმარტომ, ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე, დიდი ნიჭისა და ნებისყოფის წყალობით შექმნა და ქართველ ერს დაუტოვა ექვსი შესანიშნავი წიგნი, რომელსაც იგი წლების განმავლობაში თავისი ხელით აწყობდა და ბეჭდავდა კიდეც. ეს გამოკვლევებია:

1. „ვეფხისტყაოსნის“ ფერთა მეტყველება, ბუენოს-აირესი, 1953;

2. „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957;

3. „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1959;

4. „ვეხისტყაოსნის“ საზოგადოებათმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1959;

5. „ვეფხისტყაოსნის“ ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963;

6. „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურთმეტყველება, პარიზი, 1975.

(თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1937 წელს ვიქტორ ნოზაძემ „ვეფხისტყაოსნის“ 750-ე წლისთავს მიუძღვნა ჟურნალ „ქართლოსის“ საგანგებო მე-11-12 ნომრები. აქ სხვა ცნობილი ავტორების გვერდით დაბეჭდილია მისი სტატიაც „ვეფხისტყაოსანი“ - ეროვნობის კავშირი“).

უკანასკნელი მე-6 წიგნის გამოსვლას ვიქტორი ველარ მოესწრო - სამი ნაწილი დაბეჭდილი პქონდა, მეოთხეს აწყობდა, როცა ავად გახდა და გარდაიცვალა. ეს საქმე ბოლომდე მიიყვანა ვიქტორის ძმამ გიორგიმ.

ვიქტორ ნოზაძემ დაგვიტოვა აგრეთვე სანახევროდ დამუშავებული მასალები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ესენია:

„ვეფხისტყაოსნის“ სიბრძნისმეტყველება
„ვეფხისტყაოსნის“ გონებათმეტყველება
„ვეფხისტყაოსნის“ სულთმეტყველება
„ვეფხისტყაოსნის“ მჭევრმეტყველება
„ვეფხისტყაოსნის“ ფსიქოლოგიის მეტყველება
„ვეფხისტყაოსნის“ ნებათმეტყველება
„ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოების ცნებანი
„ვეფხისტყაოსნის“ ცნება-ცნობა
„ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკა
„ვეფხისტყაოსნის“ ტანთმეტყველება
„ვეფხისტყაოსნის“ გულთამეტყველება

ამ ნაშრომების დასრულებას ვიქტორ ნოზაძე ალბათ შეძლებდა, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც მეგობრისადმი მის უსაზღვრო ერთგულებაზე მეტყველებს: 1963 წელს ციურიხში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და ლექსი-

კოგრაფი კიტა ჩხენკელი. 1958 წელს კიტამ ციურიხში დაბეჭდა 1500 გვერდიანი მონუმენტური ორტომეული გერმანულად ,,ქართული ენის შესავალი", შექმნა ქართული გამომცემლობა ,,ამირანი" ქართული შრიფტით და 1960 წელს დაიწყო 2500 გვერდიანი წიგნის ქართულ-გერმანული ლექსიკონის ნაწილ-ნაწილ ბეჭდვა (1961 წელს მას ციურიპის უნივერსიტეტმა დაუცველად მიანიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი). მეშვიდე ნაწილზე მუშაობის დროს კიტა ჩხენკელი გარდაიცვალა. ეს საქმე ბრწყინვალე ქართველოლოგ ქალებთან, კიტას მოწაფეებთან - იოლანდა მარშევთან, ლეა ფლურთან და რუთ ნოიკომთან ერთად განაგრძო და დიდი შრომის შემდეგ 1974 წელს განასრულა სწორედ კიტას ბავშვობის და სტუდენტობის მეგობარმა ვიქტორ ნოზაძემ, ამავე წელს, მისი უშუალო მონაწილეობით, ეს ლექსიკონი დაიბეჭდა 26 ნაწილად და უმაღლესი შეფასება მიიღო მსოფლიოში აღიარებული უცხოელი სპეციალისტებისაგან (გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი I.).

საქართველოში ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობენ ღრმა ცოდნითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით შექმნილ ვიქტორ ნოზაძის ქართველოლოგიურ ნაშრომებს - ,,გამოგებანი ვეფხისტყაოსნისა" (1971), ,,კაცი ვარ, ადამიანი, ვეფხისტყაოსნის მიხედვით" (1981), ,,ილია ჭავჭავაძე" (1937), ,,საქართველო კავკასიაში და მისი გეზი" (1939), ,,პარიზის ,,ადამიანის მუზეუმში" (1939), ,,ბრძოლა მესხეთის გამო" (1939), ,,ნაპოლეონი და საქართველო". დაუბეჭდავია მისი თხზულებები: ,,გარდასულ ჟამთა საქმენი და ამბავნი" (1958), ,,ვაჟა ფშაველა" (მცირე მოგონება, 1962), ,,იოსებ ოცხელი" (მოგონება, 1967), ,,ლტოლვილთა საძვალენი" (1971). ზემოთ დასახელებულ ,,ორნატთან" და ,,კავკასიონთან" ერთად იგი უშვებდა სხვა ჟურნალებსაც - ,,თეთრი გიორგი", ,,ქართლოსი", ,,მამული" და სხვ.

1966 წელს პარიზში, ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით გამოიცა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ,,კავკასიონის" საგანგებო ტომი, რომელშიც, სხვა ავტორთა ძალზე მნიშვნელოვან ნაშრომებთან ერთად შევიდა ვ.ნოზაძის 10-ზე მეტი რუსთველოლოგიური ხასიათის გამოკვლევა, რომლებშიც განმარტებული

იყო „ვეფხისტყაოსნის“ ესა თუ ის ძნელად გასაგები ადგილები. მათ შორის ძალზე საინტერესოა „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს“, „ლეოპარდუს, პანთერა, ტიგრ, ვეფხი“, „მოლი რამე წამოისხა“, „ვით კატასა ვხოცდი ლომსა“, „ძოწეულითა მოსილი“, „შხე მაბრუნვებს, არ გამიშვებს“, „მისთვის გულს-ლახვარ სობილი“. აქვეა დაბეჭდილი ვიქტორ ნოზაძის ბრწყინვალე გამოკვლევა „დანტე-რუსთაველი“ და სხვ.

მეცნიერულ კვლევას ეწეოდა ვიქტორის ძმაც - გიორგი ნოზაძე, რომელსაც ეკუთვნის მრავალი სტატია ქართულ მხატვრობასა და სხვა. საკითხებზე. 1963 წელს მან იმოგზაურა ათონის ქართულ მონასტერში ალექსანდრე კინწურაშვილთან ერთად. გიორგი ნოზაძის ცნობით, ათონის ქართული მონასტრის უკანასკნელი ქართველი ბერი იყო ტიხონ ფაღავა, რომელიც აღესრულა 1956 წელს 90 წლის ასაკში.

ვიქტორ ნოზაძე 1975 წლის 24 აპრილს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, იგი დაკრძალეს ლევილის ქართულ მამულში, პარიზის მახლობლად.

თავის დროზე, 1943 წელს, როცა პარიზში გარდაიცვალა ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტი შალვა ამირეჯიბი, მისი ნეკროლოგი ვ. ნოზაძეს დაუწერია. საოცარია, თითქოს საკუთარ თავზე ამბობდაო ამ სიტყვებს: „კიდევ ერთი, საქართველოში დაბრუნებას მოწყურებული, სამშობლოს ხილვით მშიერი, მძიმე, რთული განცდებით შეპყრობილი ქართველი კაცი გარდაიცვალა უცხოეთში“...

ძალზე მძიმე წარმოსადგენია, რა მტკივნეული იქნებოდა თავისი სამშობლოსაგან მუდმივად შორს ყოფნა მასზე მთელი არსებით შეყვარებული ისეთი მამულიშვილისთვის, როგორიც იყო ვიქტორ ნოზაძე. სანუგეშოდ მხოლოდ ერთს თუ ვიტყვით — ეს დიდი ადამიანი მართლაც ვალმოხდილი წავიდა იმქვეყნად.

პავლე ინგოროყვა

პავლე ინგოროყვა საქართველოს ახალ ისტორიაში შევიდა, როგორც უნიკალური პიროვნება, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მეცნიერი და მკვლევარი, ძლიერი სულის ადამიანი, დიდი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე.

პავლე იესეს ძე ინგოროყვა დაიბადა 1893 წლის 1 ნოემბერს ფოთში, ღარიბ ოჯახში.

პირველდაწყებითი განათლება მან ფოთშივე მიიღო. მერე კი გარემოებათა გამო ვლადიკავკაზში მოუწია სწავლის გაგრძელება. იპოლიტე ვართაგავას მოგონებით ,,კავკავის ჩვენი სკოლის (ლაპარაკია ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაზე — **ვ.შ.**) მასწავლებლებიდან, მგონი, დავით კარიჭაშვილს მოუვიდა წერილი, რომელშიაც ის აღწერდა ერთი ქართველი ღარიბი, მაგრამ შესანიშნავად ნიჭიერი ახალგაზრდის თავგადასავალს. ეს ახალგაზრდა ხელზე მოსამსახურედ ყოფილა ვიღაც რუსთან. როგორც უაღრესად ნიჭიერი ბავშვი, სახლის პატრონს ის შეუყვანია გიმნაზიაში. გიმნაზიაში მან თურმე გააკვირვა ყველა მასწავლებელი თავისი საუცხოო და უმაგალითო ნიჭით. ეს ბავშვი იყო პავლე ინგოროყვა, გურიიდან ჩამოსული". ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე-

ლებელმა საზოგადოებამ „ბავშვს დაუნიშნა სტიპენდია არა ერთი, არამედ ორმაგი და მისწერა კავკავის მასწავლებელს, - ინგოროყვა გამოეყვანა სხვისი ოჯახიდან, მოეწყო კარგად, რათა არაფერს ხელი არ შეეშალა მის მეცადინეობისათვის“ (ფრაგმენტი ამოღებულია როსტომ ჩხეიძის წიგნიდან „ბედი პავლე ინგოროყვასი“).

ვლადიკავკაზიდან კვლავ ფოთში მობრუნებულმა პავლემ წარმატებით ჩააბარა გამოცდები სიმწიფის მოწმობის მისაღებად (გიორგი ჩიტაიასთან, მომავალ დიდ ქართველ ეთნოლოგთან ერთად) და გიმნაზია დაამთავრა.

ნიჭიერი ახალგაზრდა 1912 წელს გერმანიაში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში აპირებდა სწავლის გაგრძელებას, მაგრამ ავადმყოფობის გამო ეს ველარ მოახერხა. იგი დაავადებული იყო ტუბერკულოზით. პ. ინგოროყვამ ასევე ვერ შეძლო პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრება, სადაც ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა 1913-15 წლებში.

20 წლის იყო პავლე ინგოროყვა, როცა 1913 წელს დიდი მეცნიერული ჯაფის და კვლევის შედეგად გამოსცა „ძველქართული სასულიერო პოეზიის (VIII-XI.ს.)“ პირველი ტომი. მალე გააშზადა მეორე ტომიც (XI-XIII საუკუნეები), რომლის დაბეჭდვა ძალზე გაჭიანურდა და შემდეგ საერთოდ ველარ მოხერხდა.

პავლე ინგოროყვას ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მას ექვთიმე თაყაიშვილი უწევდა იმჟამად მატერიალურ დახმარებას, ამასთან აქეზებდა სერიოზული და თავდაუზოგავი საქმიანობისათვის.

პავლე ინგოროყვა 1916 წელს დაბრუნდა პეტერბურგიდან თბილისში და მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობებშიც ჩაერთო.

მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში, იყო საეკლესიო კრების დელეგატი, რომელმაც 1917 წლის 17 სექტემბერს კირიონ II აირჩია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. იგი არჩეულ იქნა საკათოლიკოსო საბჭოში.

1917 წელს საქართველოს საისტორიო საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე პავლე ინგოროყვამ წაიკითხა მოხსენება „რა ტერიტო-

რიულ საზღვრებში უნდა განხორციელდეს თვითმმართველობა საქართველოსი, სომხეთის, ადერბეჯანის და კავკასიის მთეულებისა". მან პოლიტიკურ ლიტერატურაში პირველად ახსენა ტერმინი „ადერბეჯანი", რომელიც მალე გავრცელდა ჩვენთანაც და მთელ მსოფლიოში (დღევანდელი აზერბაიჯანის მნიშვნელობით. ამის გამო აზერბაიჯანელები თავიანთ „ნათლიას" ეძახდნენ პავლე ინგოროყვას).

ახალგაზრდა პავლემ დიდი შრომა გასწია საქართველოს ისტორიული საზღვრების შესასწავლად და დასადგენად, როგორც მკვლევარმა და როგორც ეროვნულმა მოღვაწემ. 1918 წელს მან გამოსცა პატარა ბროშურა (დაიბეჭდა კონსტანტინეპოლში 1918 წელს) „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ", რომელსაც დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისა და საზღვრების გამყალბებელთა წინააღმდეგ.

1918 წელს, ბრესტის ზავის დადების შემდეგ, როცა საქართველო მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა, რეზო გაბაშვილმა და პავლე ინგოროყვამ იალქნიანი და მოტორიანი პატარა ნავით გადაცურეს შავი ზღვა და ტრაპიზონის კონფერენციაზე ჩავიდნენ, მაგრამ ხელისუფალთა უსუსურობის გამო ვერაფერი გააწყვეს - თურქებმა ქართული ტერიტორიები მაინც დაიკავეს. პავლე ინგოროყვა არ მოერიდა თავის მძიმე სენს და ჯავახეთის ფრონტზე იბრძოდა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდმა (1918-21წ.წ.) გაამძაფრა პავლე ინგოროყვას დიდი ინტერესი - გამოეკვლია საქართველოს „ოქროს ხანად" ცნობილი თამარისა და რუსთაველის ეპოქა, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანი", რომლითაც ჯერ კიდევ ჭაბუკობიდან დაინტერესდა. მან რამდენიმე ლექცია წაიკითხა ხელოვანთა სასახლეში „ვეფხისტყაოსნის" გარშემო, მრავალი წელი თავდაუზოგავად იმუშავა და უკვე 1922 წლისათვის დაამთავრა კიდეც თავისი ცნობილი „რუსთველიანა", რომელიც დაგვიანებით დაიბეჭდა 1926 წელს. მანამდე კი იყო 1921 წლის 25 თებერვალი - დამოუკიდებელი საქართველოს ანექსიის დღე. პავლე ინგოროყვა იძულებული გახდა ქართულ სამხედრო ნაწილებთან ერთად დაეტოვებინა თბილისი, რამაც მასში ისეთი

სასოწარკვეთილება გამოიწვია, რომ რევოლვერით თავის მოკვლა სცადა, მაგრამ დროზე მიასწრეს, იარაღი წაართვეს და ხელებიც კი შეუკრეს. თავისი ქვეყნის მდგომარეობით გულმოკლული ახალგაზრდა კვლავ მეცნიერულ მუშაობაში ჩაიძირა.

1923 წელს მან დაამთავრა მონოგრაფია „ჩახრუხაისძე - პოეტი, მოგზაური", სადაც გამოხატა ძლევამოსილი, თავისუფალი, იდეალური საქართველოსა და მთელი კავკასიის სურათი.

1922 წელს პავლემ დაიწყო ახალი მონოგრაფია ძველ ქართველ ცნობილ მემატიანეზე - „ლეონტი მროველი". პავლე ინგოროყვა იყო იმ დელეგაციაში, რომელიც მივიდა სერგო ორჯონიკიძესთან - მაშინდელი საქართველოს ფაქტიურ მმართველთან და გადაჭრით მოითხოვა, საქართველოს საზღვრებს ნუ შეცვლითო (სამწუხაროდ, სტალინმა, ორჯონიკიძემ და ქართველმა კომუნისტებმა 20 ათას კვ.კილომეტრზე მეტი ტერიტორია მუქთად დაურიგეს ჩვენს მეზობლებს - რუსეთს (სოჭი და მისი მიდამოები), სომხეთს (ლორეს ოლქი), აზერბაიჯანს (საინგილო) და თურქეთს (ტაოკლარჯეთი და სამხრეთ საქართველოს ნაწილი).

პ. ინგოროყვას ცოლად პყავდა ქეთევან ბაქრაძე. მას დიდი სიყვარულით შეპყვარებია ქეთევანი, რომელიც თავიდან არ პასუხობდა მის გრძნობას. ამით გულმოკლულ პავლეს ბათუმიდან ამანათით მიწა გაუგზავნია მისთვის (ჩრდილოკავკასიური ჩვეულებით ამ ჟესტით ატყობინებდნენ უიმედო შეყვარებულნი თავიანთ მიჯნურებს სიყვარულს). ექვთიმე თაყაიშვილიც კი ჩარეულა ამ საქმეში და პავლესთვის სიტყვა შეუწევია ქეთევანთან. იმედგადაწურულ პავლეს კვლავ თავის მოკვლა უცდია. ბედად, ხმაურზე მის ოთახში შევარდნილან და სისხლში მცურავი პავლე სიკვდილს გადაურჩენიათ. ის ტყვია აღარც ამოაღებინა ექიმებს და სიცოცხლის ბოლომდე ატარა. ბოლოს ქეთევანი ცოლად გაპყოლია გახელებულ მიჯნურს.

პავლე ინგოროყვას დიდი სამოქალაქო სიმამაცე გამოუჩენია — იგი 1924 წელს სხვებთან ერთად ორჯერ შევიდა სისხლისმსმელ სერგო ორჯონიკიძესთან, ჯერ ლევან რაზიკაშვილის (სამწუხაროდ ვერაფერმა უშველა), მერე კი მიხეილ ჯავახიშვილის გადასარჩენად, რის შემდეგაც მ. ჯავახიშვილი გამოუშვეს.

პაულე ინგოროყვამ თავის თანამოაზრეებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართველ მწერალთა კავშირს, რომელმაც მაშინ დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევის საქმეში. მანვე 1924 წელს დააარსა საკუთარი ჟურნალი ,,კავკასიონი", რომელმაც არსებობის მცირე დროის მიუხედავად (1924-25 წწ.) დიდი წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული მწერლობის, მეცნიერებისა და მთარგმნელობითი საქმიანობის აღორძინებაში. 1928 წელს პავლემ ალექსანდრე აბაშელთან და სხვებთან ერთად დააარსა გამომცემლობა ,,ქართული წიგნი", სადაც პ.ინგოროყვას ინიციატივითა და რედაქტორობით, უდიდესი ძალისხმევის შედეგად, დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული (პირველი აკადემიური გამოცემა 10 ტომად). და ეს მაშინ, როცა ილია აკრძალული იყო საქართველოში ბოლშევიკთა მიერ და მის სახელს ტაბუ ჰქონდა დადებული!

პავლე ინგოროყვას ახლო მეგობრობა და თანამოაზრეობა აკავშირებდა ქართველ ცისფერყანწელებთან და მათ იდეურ მოძღვართან გრიგოლ რობაქიძესთან. 1923 წლის 28 თებერვლის ბარათში გრიგოლი წერდა პავლეს: ,,...არის თქვენში ანტიური საქართველო: სინათლე, კეთილობა, გზნება, ჩქური, ხილვა ,,სხვაძისა..." გაზეთ ,,რუბიკონის" 21 იანვრის ნომერში კი რობაქიძე წერდა: ,,პავლე ინგოროყვას სახელით ახალ მწერლობის რიგში დგას ერთი მეტად მძლევარი ტალანტი, რასსიულად არიული (,,ინგოროყო" ჩრდილოეთ კავკასიიდან). იგი არიულ სიწმინდეს შეიტანს ჩვენს ლიტერატურაში. ფილოლოგოსი, ისტორიკოსი, კრიტიკოსი - იგი, როგორც ვიაჩესლავ ივანოვი, უეცრად თავდამტკიცებულ პოეტად შემოიჭრება ქართულს პოეზიაში. მე ეს მწამს". მართალია, პავლე ინგოროყვას, როგორც პოეტს, ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ, მაგრამ ჯანსუღ კორძაიას თქმისა არ იყოს, ,,პავლე ინგოროყვა მთელი არსებით პოეტი იყო. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მან დაგვიტოვა თუ არა პოეტური ქმნილებანი. იგი პოეტი იყო და თანაც ჭეშმარიტი პოეტი. პავლე ინგოროყვა პოეტი იყო ამ ცნების როგორც სოციოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური გაგებით, იგი პოეტი იყო თავისი მსოფლმხედველობით, სინამდვილისადმი თავისი დამოკიდებულებით, ცხოვრების წესით, ინტერესებით, ძალზე

გამახვილებული ინტუიციით, იდეალებისათვის თავგანწირვით, სრული უკომპრომისობით. იგი მეცნიერული მუშაობის დროსაც კი პოეტი იყო, რაც ნიშნავს იმას, რომ მას არ შეეძლო მონურად ყოფილიყო მიჯაჭვული წყაროზე, ტექსტზე, ფაქტზე". ამის ბრწყინვალე ნიმუშებია მისი „რუსთველიანა" და „რუსთველიანას ეპილოგი" (1963) და მრავალი სხვ.

1924 წლის აგვისტოს ცნობილი აჯანყების დამარცხების შემდეგ ხალხის მიმართ განხორციელებული რეპრესიების გამო პროტესტის ნიშნად იოსებ მჭედლიშვილმა, პოეტმა და ლიტერატორმა - შავი ჩოხა ჩაიცვა გლოვის ნიშნად. მალე მას მიბაძეს ვახტანგ კოტეტიშვილმა, ალექსანდრე აბაშელმა, გიორგი ნიკოლაძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ და პავლე ინგოროყვამაც (შემორჩენილია მათი ერთად გადაღებული ფოტოსურათი).

პავლე ინგოროყვა იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი ქართველ მწერალთა აკადემიური ასოციაციისა 1925 წლის 27 ნოემბერს. როდესაც კონსტანტინე გამსახურდია დააპატიმრეს და მოსკოვში ჩაიყვანეს, პავლე ინგოროყვა მოსკოვს ჩავიდა, ბევრი ადამიანი შეაწუხა (ენუქიძე, ორჯონიკიძე, კალინინი) და საბოლოოდ მისმა თავგამოდებამ კონსტანტინე დახვრეტისაგან იხსნა (გადაასახლეს სოლოვეცკის კუნძულებზე).

საინტერესოა ერთი პასაჟიც: იოსებ გრიშაშვილიმა თავის ლექსში „გენიოსების ბედი ტფილისის ბაზარზე"; გამოარჩია ორი დიდი მოღვაწე: ივანე ჯავახიშვილი და პავლე ინგოროყვა:

„აი, სად ჰყრია ჩვენი დიდება!
ლამის სირცხვილით ამეწვას ლოყა!
აი, ქართლის ხმა სად იყიდება,
ჯავახიშვილი და ინგოროყვა!"

პავლე ინგოროყვამ ამავე პერიოდში შექმნა მონოგრაფია „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი", რომელშიც მან წარმოაჩინა ქართული კალენდრის წარმოშობა და ჩამოყალიბება, გამიჯნა მისი ორიგინალური და ნასესხები რეალიები და განვითარების საფეხურები.

1929-39 წლებში პავლე განაგებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას. მის მიერ დაარსებულ გან-

ყოფილებაში თავი მოიყარა ხელნაწერთა ოთხმა კოლექციამ: საეკლესიო მუზეუმის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის ფონდებმა. შემდგომ ეს დოკუმენტები დამუშავდა, დახარისხდა, შეივსო და საფუძვლად დაედო ხელნაწერთა ინსტიტუტის შექმნას. პავლე ინგოროყვა და სიმონ ყაუხჩიშვილი მონაწილეობდნენ სვანეთში 1931 წელს მოწყობილ სამთვიან ექსპედიციაში, რომლის დროს პავლე ინგოროყვამ აღწერა და შეისწავლა 121 ძველ-ქართული ხელნაწერი და 39 პალიმფსესტი ადრეული საუკუნეებისა. ამას გარდა შეამოწმა და გადმოიწერა ეპიგრაფიკული წარწერები - სულ 262 წარწერა XI-XIII საუკუნეებისა. წიგნად გამოსცა მხოლოდ ერთი ნაწილი „სვანეთის საისტორიო საბუთები" — 1941 წელს, თუმცა გაშზადდა 1932 წელს.

პავლე ინგოროყვა ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან ანვითარებდა თვალსაზრისს ხეთური დამწერლობისა და ისტორიული ყოფის თაობაზე, რომ უძველესი ქართული ტომები, იბერები და მესხები, ხეთური სამყაროს დაშლის მერე მოსულან სამხრეთიდან საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზეო. მისი აზრით, ქართული ანბანი თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე არ შექმნილა, იგი ჯერ კიდევ იმ ხანაშია ჩამოყალიბებული, როცა ხეთას ქართველი ხალხის ერთი ნაწილი - იბერები (თიბელები) და მესხები მცირე აზიის ტერიტორიაზე მკვიდრობდნენო.

პავლე ინგოროყვა ავტორია სამი ბრწყინვალე მონოგრაფიისა: „ნიკოლოზ ბარათაშვილი" (1938), „აკაკი წერეთელი" (1940) და „ილია ჭავჭავაძე" (1951). ილიას თხზულებების გარდა მან გამოსცა ვახტანგ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის თხზულებანი, მისი რედაქტორობით გამოვიდა გიორგი მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა", „ჩვენი საუნჯე" (VI ტომი), იგი თანარედაქტორია „შაჰ-ნამეს" II ტომის, „ვისრამიანის" და „ქილილა და დამანა"-ს გამოცემებისა.

40-იანი წლების დასაწყისში პავლე ინგოროყვამ დაასრულა დიდი და ორიგინალური გამოკვლევა „ხეთური იეროგლიფური დამწერლობა", რომელიც ფაქტობრივად აკრძალეს და არ დაუბეჭდეს.

1954 წელს პაელე ინგოროყვამ დაასრულა (1947 წელს დაწყებული) ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევების ნამდვილი შედევრი და მეტრი, ათასგვერდიანი ბრწყინვალე მონოგრაფია „გიორგი მერჩულე". ეს წიგნი გრიგოლ რობაქიძეს ასე შეუფასებია: „დიდი მარჯია საქართველოსი". ამ წიგნში პ.ინგოროყვამ წარმოაჩინა დაცემული, გვემული, ოღონდ, რაც მთავარია, შინაგანად გაუტეხავი, კულტურული და სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის მებრძოლი და თავისუფლებისაკენ შეუპოვრად მიმსწრაფი ქვეყანა (რ. ჩხეიძე).

პაელე ინგოროყვა თავად ჰგავდა იმ კლარჯეთელ მშენებლებს, გრიგოლ ხანძთელის მეთაურობით, რომლებმაც ქვეყნის სამსახურში გალიეს თავიანთი დღენი და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ღრმა კვალი დატოვეს.

როცა გაიგო რომ გამომცემლობას უჭირდა, პაელემ უარი განაცხადა პონორარის მთლიანად აღებაზე და „გიორგი მერჩულეს" პონორარის მხოლოდ ნაწილი აიღო — თავადაც ძლიერ შეჭირვებულმა.

„გიორგი მერჩულეს" გამოქვეყნებას (1955 წ.) საოცარი აღფრთოვანება და აჟიოტაჟი მოჰყვა საქართველოში. წიგნს ქებადიდებით მოიხსენიებდნენ და მისი ავტორის სადღეგრძელოს ყველა ქართულ სუფრაზე სვამდნენ.

1955 წლის 30 ივნისს ოთხმა მწერალმა-აკადემიკოსმა — კონსტანტინე გამსახურდიამ, გიორგი ლეონიძემ, გალაკტიონ ტაბიძემ და იოსებ გრიშაშვილმა პაელე ინგოროყვას კანდიდატურა წარადგინეს მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევისთვის, მას სხვებმაც დაუჭირეს მხარი, მაგრამ კომუნისტურმა ხელისუფლებამ ჩაშალა ეს სამართლიანი წამოწყება. ის კი არა და, აფხაზი ვაი-მეცნიერების წაქეზებით და მოთხოვნით „გიორგი მერჩულე" ფაქტობრივად აიკრძალა.

პაელე ინგოროყვას ეკუთვნის ასევე მეორე დიდი აღმოჩენა - მან ამოიცნო მუსიკალურ ნიშანთა სისტემა (18 ნიშანი მუსიკალური ანბანისა) და X საუკუნის ხელნაწერებში შემონახული ქართული მუსიკალური დამწერლობის საიდუმლო. იგი გადმოტანილ იქნა თანამედროვე სანოტე ნიშნებზე. ამ აღმოჩენას უდიდესი

შეფასება მისცა კომპოზიტორმა ალექსი მაჭავარიანმა და ყველა სპეციალისტმა. 1956 წლის 26 ნოემბერს მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე პავლე ინგოროყვამ წაიკითხა მოხსენება ამ ახალი აღმოჩენის შესახებ... როცა მან ტრიბუნა დატოვა, დარბაზში შემოვიდნენ ქართული კაპელის მომღერლები ლოტბარის ხელმძღვანელობით, როიალს მიუჯდა ალექსი მაჭავარიანი და დიდებულად, მწყობრად აჟღერდა „გალობანი სინანულისანი“ - შექმნილი დავით აღმაშენებლის სიტყვებზე. ამ აღმოჩენამ დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპის სამუსიკო წრეებში, მაგრამ ხელისუფლებამ ესეც გააფერმკრთალა. მიუხედავად ყველაფრისა, პავლე ინგოროყვა ერის სამსახურში იდგა, წერდა, იკვლევდა და არასოდეს ზნეობრივ კომპრომისზე არ წასულა, არ უღალატნია ეროვნული და მეცნიერული ინტერესებისათვის. იგი უარყოფდა ყოველგვარ კონიუნქტურას და სამშობლოს და ჭეშმარიტებას თვლიდა ყველაზე დიდ ღირებულებებად და მათ სამსახურს შეალია კიდეც თავისი ძნელბედობით აღსავსე სიცოცხლე.

პავლე ინგოროყვა, როგორც მეცნიერი-ქართველოლოგი, იკვლევდა საქართველოს პოლიტიკური ისტორიისა და ქართული კულტურის განვითარების არა რომელიმე ერთ დარგს ან მიმართულებას, არამედ მთლიანად და გლობალურად „ქართული ცივილიზაციის ისტორიას“ (ეს ტერმინი როსტომ ჩხეიძეს ეკუთვნის).

მკვლევართა შორის ფაქტობრივად არც მოიძებნება მეორე პიროვნება (ივანე ჯავახიშვილის გარდა), რომელსაც ისე მასშტაბურად და ისეთ მაღალ მეცნიერულ დონეზე ეკვლიოს ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის განვითარების ყველა ძირითადი ეტაპი, როგორც ეს გააკეთა პავლე ინგოროყვამ. მან ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ანტიკურობის კვლევაშიც, ქართული შუა საუკუნეების ისტორიისა და კულტურის გააზრებაშიც, რუსთველოლოგიაში, XIX საუკუნის მწერალთა შემოქმედების წარმოჩენაშიც და ა.შ. აი, მისი ძირითადი ნაშრომები:

„ხეთურ-ქართველური მსოფლიო (ხეთური იეროგლიფური დამწერლობა და ხეთურ-ქართველური (თობელ-მესხური) ენა);

„ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“;

„ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“;

„ძველი ქართული მატიანე „მოქცევაი ქართლისაი“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია“;

„ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა“;

„ლეონტი მროველი“;

„გიორგი მერჩულე“;

„ანტიკური ხანისა და საშუალ-საუკუნეთა ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა და ძველი ქართული მუსიკის აღდგენა“;

„რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“;

„ჩახრუხაისძე - პოეტი-მოგზაური“;

„თამარ მეფის იამბიკონნი“;

„რუსთველიანა“;

„რუსთველიანას ეპილოგი“;

„შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ჩასწორებული ტექსტების 2-ჯერ გამოცემა (1953, 1971).

მართლაც საოცარია, რომ ახალგაზრდობიდანვე სუსტი ჯანმრთელობის მქონე პავლე ინგოროყვამ, მაინც შეძლო ამდენი რამ დაეტოვებინა ჩვენთვის!

პ. ინგოროყვას ეს ნაშრომები წარმოადგენენ დიდი ესთეტის მიერ ქართული ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ერთიან, მთლიან, თვითმყოფ პროცესად გააზრების მცდელობას, რაც ყველაზე გამოკვეთილი ნიშანია პავლე ინგოროყვას მემკვიდრეობისა. მან საფუძვლიანი (ზოგჯერ საკამათო) სიტყვა თქვა უზარმაზარ არეალში - ხეთების ისტორიიდან ილია ჭავჭავაძემდე, რუსთველოლოგიაშიც და ისტორიაშიც, მუსიკის ისტორიასა და სანოტო ნიშნების გამოკვლევაშიც კი. ის იყო ჭეშმარიტი მეცნიერის ხატი, მკვლევარი-შემოქმედი, მკვლევარი-რესტავრატორი, დიდი მამულიშვილი და თავდადებული პატრიოტი.

პავლე ინგოროყვა გარდაიცვალა 1983 წლის 20 ნოემბერს. დაკრძალულია დიდების საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მისი გარდაცვალებით დასრულდა ერთი დიდი ეპოქა ქართული ცივილიზაციის და ქართველოგიური კვლევების ისტორიაში. მისი ღვაწლი დაუვიწყარი იქნება შთამომავლობისათვის.

აკაკი ხორავა

აკაკი ხორავა იყო ქართული თეატრისა და კინოს ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, იგი თავისი უზადო შემოქმედებით უდიდეს ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა. მის მიერ განსახიერებული როლები ყოველთვის სიამაყით გვავსებდა ქართველებს და აღაფრთხოვანებდა ნებისმიერ მაყურებელს.

აკაკი ალექსის ძე ხორავა დაიბადა 1895 წლის 17აპრილს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ოჩხომურში. მშობლებმა პატარა აკაკი შეიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც იგი 1915 წელს დაამთავრა. 1915-17 წლებში სწავლობდა კიევის, ხოლო 1919 წლიდან თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. იგი სტუდენტობის წლებშივე დაინტერესებულა მსახიობობით და მონაწილეობა მიუღია სხვადასხვა თეატრებში გამართულ სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში.

ბოლოს მაინც ხელოვნების სიყვარულმა სძლია და 1922 წელს აკაკიმ ფაღავას თეატრალურ სტუდიაში განაგრძო სწავლა.

აკაკი ხორავა პროფესიულ სცენაზე პირველად გამოვიდა 1923

წელს რუსთაველის სახელობის თეატრში (ხეციას როლი შეასრულა შ. დადიანის „გეგეჭკორში“), სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. 1935 წლიდან აკაკი ხორავა იყო ამ თეატრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ხოლო 1949-55 წლებში — მისი დირექტორი.

აკაკი ხორავამ, როგორც უდიდესმა პროფესიონალმა, უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ქართული თეატრის განვითარებაში. მის ხელოვნებაზე დიდი გავლენა მოახდინეს იმდროინდელმა დიდმა რეჟისორებმა — კ. მარჯანიშვილმა და ა. ახმეტელმა.

აკაკი ხარავას მიერ განხორციელებული როლებიდან საუკეთესოა: იოქანაანი (უაილდის „სალომე“), ანდუყაფარი (ერისთავის „გაყრა“), უსახელო (ტოლერის „კაცი-მასა“), ლაერტი (შექსპირის „ჰამლეტი“), ბერსენევი (ლავრენიოვის „რღვევა“), ანზორი (შანშიაშვილის „ანზორი“), არგიშდი (დადიანის „თეთნულდი“), კარლ მოორი (შილერის „ყაჩაღები“), პლატონ კრეჩეტი (კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“), არსენა (შანშიაშვილის „არსენა“), პედრო (გ.მდივნის „ალკაზარი“), ივანე მრისხანე (სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“), ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), სირანო (როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი“), ტარიელი (ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“), ბორის გოდუნოვი (პუშკინის „ბორის გოდუნოვი“) და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ა.ხორავას მიერ შექმნილი ოტელოს სახე (შექსპირის „ოტელო“) - მარტო ეს იკმარებდა მისი სახელის დიდების შარავანდედით შესამოსად. მის მიერ შექმნილი ოტელო (ასრულებდა 1937 წლიდან) მსოფლიო შექსპიროლოგიამ აღიარა ნამდვილ შექსპირულ სახედ და შედევრად. 1947 წელს გაზეთი „პრავდა“ წერდა, რომ „აკაკი ხორავამ ოტელოს როლში მიაღწია მწვერვალს, სადამდეც მსოფლიო თეატრალურ ისტორიაში ცოტა თუ ასულა“.

აკაკი ხორავა იყო გმირულ-რომანტიკული ხასიათის, დიდი ტრაგიკული პათოსის მსახიობი. ის გამოირჩეოდა იშვიათი გარეგნობით, საოცრად მგზნებარე ტემპერამენტით, მდიდარი ხმით, განცდის სიმართლით, გმირული სულისკვეთებით, სცენური მომხიბვლელობით, გარდასახვის ოსტატობით და დიდი მასშტაბურობით. იგი ზედმიწევნით ფლობდა ტრაგიკული ხასიათის გახსნის საი-

დუმლოებას. მისი ხელოვნება იყო მონუმენტური, ამაღლებული, უდიდესი ზეგავლენის მომხდენი მაყურებელზე. აკაკი ხორავას გმირები ყოველთვის ძლიერი და დიდი ნებისყოფის მქონე ადამიანები იყვნენ.

აკაკი ხორავას 1924 წლიდან იღებდნენ კინოში. მართლაც დაუვიწყარია მის მიერ შესრულებული „გიორგი საკაძე". ეს როლი მან ისე განასახიერა, რომ ხალხს ვეღარ წარმოუდგენია სხვანაირი საკაძე. მან ასევე მთავარი როლი შეასრულა ფილმში „ალბანეთის დიადი მეომარი სკანდერბერგი" (1953), ბრწყინვალეა მისი ყარაჩოხელი გიჟუა (მ.ჭიაურელის ფილმში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!" (1965) და ა.შ.

გამოჩენილ მსახიობს ხუთჯერ მიენიჭა სახელმწიფო პრემია, ხოლო 1936 წელს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გახდა. მისმა შემოქმედებამ ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. იგი იყო კანის VII საერთაშორისო კინოფესტივალის ლაურეატი.

პარალელურად აკაკი ხორავა ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ის იყო შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი დირექტორი (1939-49 წწ.), პედაგოგი და პროფესორი (1947 წლიდან). იგი იყო საქართველოს თეატრალური საზოგადოების შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და წლების განმავლობაში მისი თავმჯდომარე, მშვიდობის დაცვის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარე. სიცოცხლის ბოლომდე ის მსახიობის ოსტატობას ასწავლიდა თეატრალურ ინსტიტუტში და თავის უმდიდრეს გამოცდილებას გადასცემდა მომავალ თაობებს.

დიდი მსახიობი და ხელოვანი გარდაიცვალა 1972 წლის 23 ივნისს. ქართველმა ერმა მას სამუდამო განსასვენებლად მთაწმინდის წმინდა მიწა მიუჩინა.

მისი სახელი ეწოდა მსახიობის სახლს თბილისში.

აკაკი ხორავა, მის მიერ ვირტუოზულად შესრულებული როლების წყალობით, მუდამ იცოცხლებს ყოველი ქართველის გულში, როგორც დიდი შემოქმედი და როგორც ძალზე ახლობელი ადამიანი.

ლადო გუდიაშვილი



ქართული ფერწერის დიდოსტატმა, გრაფიკოსმა, თეატრისა და კინოს შესანიშნავმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა უმნიშვნელოვანესი კვალი დააჩნია XX საუკუნის ქართულ ხელოვნებას.

ლადო (ვლადიმერ) გუდიაშვილი დაიბადა 1896 წლის 18 მარტს თბილისში. მამა - დავით გუდიაშვილი რკინიგზაზე მუშაობდა. ლადოს პატარაობიდანვე აღმოაჩნდა ხატვის ნიჭი.

1910-14 წლებში ლ. გუდიაშვილი სწავლობდა კავკასიის საზოგადოების ნატიფი ხელოვნების, ფერწერისა და ქანდაკების წამახალისებელ სკოლაში. ბევრს ხატავდა, თავიდანვე თავი გამოიჩინა წერის დამოუკიდებელი მანერით, თვით ანტიკურ ფიგურებსაც კი საკუთარი ხედვით წარმოაჩენდა, მონაწილეობდა მასწავლებელთა გამოფენებში და ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. 1914 წელს მან დაამთავრა სასწავლებელი მხატვარ-პედაგოგის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში. ამავე წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება" დაიბეჭდა ლადოს პირველი ნახატები, მიიწვიეს ამავე ჟურნალის

ილუსტრატორად.

ლადო გუდიაშვილის, როგორც შემოქმედის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა შეხვედრამ გენიალურ ნიკო ფიროსმანთან, რომელმაც გარკვეული ზეგავლენაც მოახდინა და ბიძგიც მისცა ლადოს შემოქმედებას. მისი ორიგინალურობის გამოკვეთას. ეს ყველაფერი 1915 წელს მოხდა.

1916 წელს ლადო გუდიაშვილი აქტიურად ჩაერთო ქართველ ხელოვანთა საზოგადოების დაარსებაში.

1917 წელს ლადომ მონაწილეობა მიიღო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მოწყობილ სამხრეთ საქართველოს ექსპედიციაში - იგი გაეცნო ქართული კულტურის ძეგლებს, ეკლესიებიდან გადაიღო ფრესკის პირები, შეისწავლა მათი შესრულების ტექნიკა.

1918-19 წლებში ლ. გუდიაშვილმა მოხატა ქართველი პოეტების კლუბები თბილისში: „პოეტების საამქრო", „ფანტასტიკური სამეკიტნო", კაფე „ქიმერიონი" (რომელიც დღეს აღდგენილია რუსთაველის თეატრში). მოგვიანებით, 1927 წელს, მანვე მოხატა სასტუმრო „ორიანტის" ვესტიბიული, 1947 წელს კი - რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ქაშუეთის ეკლესიის საკურთხეველი, სადაც მან პირველად გამოიყენა ენკაუსტიკის მეთოდი და ფრესკების მოხატვა ბრწყინვალედ განახორციელა.

1919 წელს ლადო გუდიაშვილმა მონაწილეობა მიიღო ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოფენაში, სადაც წარმოადგინა 70-ზე მეტი ნახატი. ამ გამოფენამ დიდი წარმატება და აღიარება მოუტანა მხატვარს. გამოფენის შემდეგ იგი მიწვეულ იქნა პარიზში რონსონის ე.წ. „თავისუფალ აკადემიაში", სადაც 1926 წლამდე დაჰყო.

პარიზში ლადო გუდიაშვილი დაუმეგობრდა პაბლო პიკასოს, ამადეო მოდილიანის, სესიუ კონიაკას, ლუი არაგონს და სხვა გამოჩენილ ადამიანებს.

1920 წელს ლადომ მონაწილეობა მიიღო პარიზის „საშემოდგომო სალონის" გამოფენაში და წარმატებაც მოიპოვა. ფრანგი კრიტიკოსი და ხელოვნებათმცოდნე მორის რეინალი წერდა: „ლ. გუდიაშვილის სურათები გაღელვებს, გხიბლავს. მხატვარი გაყვარებს საქართველოს, რომელიც თვალით არ გინახავს". ლ.გუდი-

აშვილმა მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამერიკაში და ბელგიაში გამართულ გამოფენებზე. 1925 წელს პარიზში მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა. პარიზმა და მონ-მარტრმა საბოლოოდ აღიარეს ქართველი მხატვარი. პრესა ფართოდ აშუქებდა მის შემოქმედებას, ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა მორის რეინალის მონოგრაფია „ლადო გუდიაშვილი", მისი ნამუშევრები შეიძინეს კერძო კოლექციონერებმა, მადრიდის სამეფო მუზეუმმა „პრადომ" (შემდგომში მისი სურათები გამოიფინა მსოფლიოს 30 ქვეყანაში).

ლადო გუდიაშვილი სამშობლოში დაბრუნდა როგორც სახელმოხვეჭილი მხატვარი და 1926 წლის აპრილში თბილისში პერსონალური გამოფენით წარსდგა ქართული საზოგადოების წინაშე.

ამავე წელს იგი მიიწვიეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც 1927 წლიდან, როგორც პროფესორი, ასწავლიდა მონუმენტურ-დეკორატიულ მხატვრობას. აქტიურად მუშაობდა როგორც ფერმწერი, გრაფიკოსი (წიგნების გაფორმება, ილუსტრაციები), თეატრისა და კინოს მხატვარი, მონუმენტალისტი.

აკადემიაში მან აღადგინა და სტუდენტებს შეასწავლა მივიწყებული ქართული ფრესკული ხელოვნების საფუძვლები.

ლადო გუდიაშვილი ეკუთვნის ქართველ მხატვართა იმ თაობას, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ხელოვნებაში ეროვნული, ქართული ფორმის ძიება. უცხოეთში დიდი ხნით ყოფნის მიუხედავად, მან არ მიიღო აბსტრაქციონიზმის სხვადასხვა სახეები და კუბიზმი. ლადოს თავიდანვე ჰქონდა მიდრეკილება დეკორატიულობისა და მახვილი ექსპრესიულობისადმი, რაშიაც ეროვნულ თავისებურებათა გამოვლინებას ხედავდა. პარიზში ყოფნისას მან ქართულ სამხატვრო ტრადიციებს ევროპული სურნელი შესძინა, წარმატებით ღაეუფლა ფერადობის, მოხაზულობისა და კომპოზიციის საიდუმლოებებს, თუმცა ბოლომდე ქართველ მხატვრად დარჩა და შეინარჩუნა საკუთარი ხელწერა.

მასზე საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა ძველმა ქართულმა კედლის მხატვრობამ და მინიატურამ. შემოქმედების პირველ წლებში გუდიაშვილის თემატიკა მოიცავდა ერთი მხრივ, ძველი თბილისის ბოპემური ცხოვრების სცენებს (სავარაუდოდ ფიროსმანის გავლენით); მეორე მხრივ საქართველოს წარსულის მიერ

შთაგონებულ ლეგენდებსა და სიუჟეტებს („კინტოების ქეიფი ქალთან“, 1919, „მოქეიფენი ეტლში“, „თევზი ცოცხალი“, „სადღეგრძელო გარიჟრაჟზე“, სამივე 1920 წ., საქართველოს ხელოვნების მუზეუმი; „ნადირობა“, 1920, მხატვრის სახელოსნო, „იდილია“, 1920, ხელოვნების მუზეუმი, „ქალი კლდეებში“, 1923, მხატვრის სახელოსნო, „ირმის ტბის პირას“, 1923, ხელოვნების მუზეუმი, „ხაში“, „ძველი თბილისი“ და სხვ.).

თბილისური ბოჰემისადმი მიძღვნილ საუკეთესო სურათებში მხატვარი ღრმა დრამატულ გამომსახველობას აღწევს. პარიზში ყოფნის დროს ჩაეყარა საფუძველი მორალური და სოციალური თემებისადმი მიძღვნილ სატირული ხასიათის ნახატების ციკლსაც.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მხატვრის თემატიკა ფართოვდება. მის შემოქმედებაში აისახა ჩვენი ერის წარსული („ლეგენდა თბილისის დაარსებაზე“, 1946, მასწავლებლის სახლი, „ყენობა თბილისში“, 1937, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, „საკადრისი პასუხი“, 1945, მხატვრის სახელოსნო), ისტორიულ პირთა და თანამედროვეთა პორტრეტები („ნიკო ფიროსმანაშვილი“, 1928, ხელოვნების მუზეუმი, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1941, „ბექა და ბეშქენ ოპიზარები“, 1946, ორივე მხატვრის სახელოსნო, „თამარ ციციშვილი“, 1940, ხელოვნების მუზეუმი, „ნინო გუდიაშვილი“ (მხატვრის მეუღლე), 1937, მხატვრის სახელოსნო, „აკადემიკოსი დ. უზნაძე“, 1945, კერძო კუთვნილება), ადამიანის ნათელი და ბნელი საწყისების ამსახველი ჟანრული სცენები („ბოროტი ოჯახი“, 1929, „ფლიდი ცოლი“, 1944, „ახალი და ძველი“, 1932, „ვეფხვის მკურნალი“, 1934, ყველა მხატვრის სახელოსნო და სხვ.).

გუდიაშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამაღლებულისა და მშვენიერების თემას, რომელსაც მხატვარი დიდი სითბოთი და პოეტური აღფრთოვანებით გადმოგვცემს („მაია სატრფოს მოლოდინში“, 1940, „საქორწინო განბანა“, 1942, „ეთერი სარკის წინ“, 1940, სამივე მხატვრის სახელოსნო, „გოგონები საყვარელ ნაკადულთან“, 1943, კერძო კუთვნილება). განსაკუთრებით აღსანიშნავია II მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი გრაფიკული

სერია („საზიზღარი ქვეწარმავალნი“, 1942, „პიტლერის ფანტაზიის კოსმოსური გაფრენა“, 1943, „აგრესორის ულტიმატუმი“, 1942, ყველა მხატვრის სახელოსნო).

ქართველ მხატვართაგან გუდიაშვილმა პირველმა დაასურათა და გრაფიკულად გააფორმა „ვეფხისტყაოსანი“ (1934), მასვე ეკუთვნის სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“-ს ილუსტრაციები. მრავალი ქართული თუ უცხოური წიგნის დასურათება. მისი ნახატები გამოირჩევა დახვეწილი და დასრულებული კომპოზიციით, დეკორაციულობითა და ზოგჯერ ორნამენტულობით, ხაზის განსაკუთრებული სიფაქიზით, მკვეთრი ინდივიდუალობით.

1957 წელს თბილისში, სურათების სახელმწიფო გალერეაში გამოიფინა ლ. გუდიაშვილის 1000-ზე მეტი ნამუშევარი, რამაც უდიდესი აღიარება მოუპოვა მხატვარს. მას ქართველ მხატვართაგან პირველს მიენიჭა რუსთაველის პრემია (1965), საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრობა (1972), შრომის გმირობა (1976). მისმა შემოქმედებამ ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. გამოცემულია მისდამი მიძღვნილი მრავალი ალბომი და წიგნი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ლადო გუდიაშვილი გარდაიცვალა 1980 წლის 20 ივლისს. დაკრძალულია მთაწმინდაზე.

ვერიკო ანჯაფარიძე

სხვა რომ არ იყოს, ჩვენ მარტო შენი
და ნატოს ეშხი დაგვიფარავდა,
თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს
ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ - მარაბდა!

ასეთი ბრწყინვალე სტროფი უძღვნა ჩინებულმა ქართველმა პოეტმა, უდროოდ დაღუპულმა ლადო ასათიანმა ვერიკოს ამ 70 წლის წინ. ხოლო დიდმა თეატრალურმა ავტორიტეტმა ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკომ შემდეგი სიტყვებით მიმართა ამ უნიჭიერეს ქალბატონს: ,,ისეთ მსახიობს, როგორც თქვენ ხართ, ორი ან სამი ნათამაშევი, უფრო ზუსტად, განცდილი სახისათვის ძეგლს დავუდგამდი"

ვერიკო ივლიანეს ასული ანჯაფარიძე დაიბადა 1897 წლის 23 სექტემბერს ქალაქ ქუთაისში. საშუალო განათლება აქვე მიიღო - დაამთავრა ქალთა გიმნაზია. 1916-17 წლებში სწავლობდა მოსკოვში ს.აიდაროვის და 1918-20 წლებში თბილისში გ.ჯაბადარის დრამატულ სტუდიებში.

1920 წლიდან მან პროფესიონალი მსახიობის რთული და მძიმე

კარიერა დაიწყო: 1920-26 წლებში იგი რუსთაველის თეატრის მსახიობი, ხოლო 1926-28 წლებში მუშაობდა ბათუმის თეატრში და თბილისის მუშათა თეატრში.

1928 წლიდან ვერიკო ანჯაფარიძე მხარში დაუდგა კოტე მარჯანიშვილს ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დაარსებაში. აქ იგი 1932 წლამდე მოღვაწეობდა. 1932-33 წლების თეატრალური სეზონი ვერიკომ მოსკოვის რეალისტურ თეატრში გაატარა. 1933 წლიდან იგი საბოლოოდ დამკვიდრდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში და ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მისი წამყვანი მსახიობი იყო (1957-59 წლებში კი თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელიც).

ვერიკო ანჯაფარიძე თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანია, რომლის შემოქმედებამ ღრმა კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის თეატრალური ხელოვნებისა და კინოს ისტორიაში.

მის მიერ შექმნილ ტრაგიკულ და დრამატულ სახეებს ახასიათებთ მაღალი პათეტიკურობა, უშუალობა, ლირიზმი, სიფაქიზე. მისმა სამსახიობო ოსტატობამ და მაღალმა საშემსრულებლო კულტურამ ხელი შეუწყო ქართული თეატრის რეალისტური და რომანტიკული ტრადიციების განვითარებას. ვერიკო ანჯაფარიძემ შექმნა დაუვიწყარი როლები: ლიზა (შიუკაშვილის „სულელი“), ოფელია (შექსპირის „ჰამლეტი“), განუმეორებელი ივდითი (გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), დეზდემონა (შექსპირის „ოტელო“), გინატრე (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“), მარგარიტა (დიუმას „მარგარიტა გოტიე“), ლარისა (ოსტროვსკის „უმზითვო“), ჯავარა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), მაყვალა (ყაზბეგის „მოძღვარი“), კლეოპატრა (შექსპირის „ანტონიოსი და კლეოპატრა“), მეჰმენე ბანუ (ჰიქმეთის „ლეგენდა სიყვარულზე“), მარია სტიუარტი (შილერის „მარია სტიუარტი“), ბებია (კასონას „ხეები ზეზეურად კვდებიან“), მედეა (ევრიპიდეს „მედეა“), დედა (ჩაპეკის „დედა“), ზეინაბი (სუმბათაშვილის „ღალატი“), მირანდოლინა (გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“).

ვერიკო ანჯაფარიძე ასევე იდგა ქართული კინოს სათაურებთან, სადაც მან შეასრულა ოცდაათამდე როლი. განსაკუთრებულ ყუ-

რადღებას იმსახურებენ სინატიფითა და ვაჟკაცური შემართებით შესრულებული როლები - ფრანგი ქალი („კომუნარის ჩიბუხი"), მარო („..საბა", 1929), კნეინა ბარათაშვილისა („არსენა", 1937), რუსუდანი („გიორგი სააკაძე" 1941-42 წწ.), ოთარაანთ ქვრივი (ილიას „ოთარაანთ ქვრივი" 1967), კნეინა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", 1965), პელაგია („შეხვედრა წარსულთან"), მგზავრი („მონანიება"). მას მინიჭებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება, შრომის გმირობა, სახელმწიფო პრემია და კ.მარჯანიშვილის სახელობის პრემია (1974 წ.).

ვერიკომ მაყურებელს თავი დაამახსოვრა აგრეთვე როგორც მხატვრული კითხვის ოსტატმა და ხელოვნებათმცოდნემ, რომელმაც ერთ კრებულად შეკრა და მკითხველს წარუდგინა მოგონებები და წერილები ხელოვნებაზე.

ვ. ანჯაფარიძე პარტნიორობას უწევდა ქართული თეატრისა და კინოს ისეთ კორიფეებს, როგორებიც იყვნენ: აკაკი ხორავა, ნატო ვაჩნაძე, უშანგი ჩხეიძე, სესილია თაყაიშვილი, გიორგი შავგულიძე, ვასო გოძიაშვილი, პიერ კობახიძე, შალვა ღამბაშიძე, აკაკი ვასაძე, სანდრო ჟორჟოლიანი, გიორგი ტყაბლაძე, აკაკი კვანტალიანი, სერგო ზაქარიაძე და სხვ.

ვერიკო ანჯაფარიძის პირველი მეუღლე იყო ცნობილი ქართველი პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე შალვა ამირეჯიბი (რომელიც შემდეგ 1925 წელს ემიგრაციაში წავიდა). ისინი 1919 წელს დაქორწინდნენ. შალვასთვის ვერიკო იყო მისი პოეზიის მუზა, შთაგონება, რომელმაც არაერთი ბრწყინვალე ლექსი უძღვნა:

„თქვენ სიყვარულზე მითხარით არა და მომიხურეთ
გულის კარები,
მაგრამ მე მაინც ტკბილ არმაღანად მოგართვით
ლურჯი მინანქანები...
...შენ ვარდი ხარ ახლად შლილი, გაზაფხულზე რა უნდა ვქნა,
შენთან ახლოს ყოფნა მინდა, მანძილიდან რა უნდა ვქნა,
საიდუმლო ვერსად გითხარ, მარტო ჩემთვის რა უნდა ვქნა..."

ვერიკოს მეორე მეუღლე გახლდათ ცნობილი ქართველი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, რომელთანაც შეეძინა ქალიშვილი — შემდგომში ცნობილი მსახიობი სოფიკო ჭიაურელი.

ღვაწლმოსილი მსახიობი გარდაიცვალა 1987 წლის 30 იანვარს. მადლიერმა ქართველობამ იგი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალა.

„ჭეშმარიტი ხელოვანისათვის სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა უკვდავებისაკენ აღმავალ სიცოცხლის კიბეზე ერთი საფეხურის ავლა, რომლის იქეთ მარადისობაა მხოლოდ. ვერიკო ანჯაფარიძემ ისეთი კდემამოსილებითა და არტისტიზმით აიარა ეს საფეხური, ბევრმა მგონი ვერც კი შეამჩნია საერთოდ მის ცხოვრებაში იყო თუ არა სიკვდილი. სიცოცხლე და უკვდავება! - აი, დიდებული ქართველი მსახიობის ბიოგრაფიული სამხრეთი და ჩრდილოეთი, ორი პოლუსი, ფენომენი, რომლის შესაცნობად ჩვენი ეროვნული თეატრის მთელი ისტორიის შესწავლაა საჭირო“ (მორის ფოცხიშვილი).

უკეთესად ძნელად თუ იტყვის ვინმე.

გიორგი ლეონიძე

Oხემით ტერფამდე ქართველი, ქართული პოეზიის ბერმუხა და წიქარა გიორგი (გოგლა) ლეონიძე დაიბადა 1899 წლის 28 დეკემბერს საგარეჯოს რაიონის სოფ.პატარძეულში:

„პატარძეული... ჩემი სოფელი, ბავშვობის კერა პატარძეული, ჩემი აკვანი წნორის ტოტისა იქა ყოფილა გადარწეული“...

პოეტის მამას ნიკოლოზ ლეონიძეს, ვაჟა-ფშაველასთან ერთად უსწავლია გორის საოსტატო სემინარიაში. ისინი მეგობრები ყოფილან - ერთად კითხულობდნენ, ერთად თევზაობდნენ და ერთად ცხოვრობდნენ. სემინარიის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა მასწავლებლად ჯერ მთიულეთში, მერე ქართლში, ბოლოს კი - პატარძეულში. ყოფილა ქართული მწერლობის დიდი მოტრფიალე, თავადაც წერდა თურმე. დედა - სოფიო გულისაშკილი - ნინოწმინდის დეკანოზის ასული, „შინგაზრდილი“ ქალი იყო, სკოლაში არ უსწავლია, მაგრამ საოცრად კარგად სცოდნია მშობლიური ლიტერატურა. მეუღლის ნაადრევად გარდაცვალების შემდეგ (1901 წ.), მან დიდი შრომით და წვალებით აღზარდა ხუთი შვილი. მანვე ჩაუნერგა პატარა გოგლას ჩვენი მწერლობისა და ისტორიის დიდი

სიყვარული, ასწავლა წერა-კითხვა:

„ჩემს სიტყვას ზრდიდა ნაჟური, რძე გავსილ კვირტის ძალების, ყამირის ღონე ვაჟური და დედის ბოსტნის კვალები“.

1907 წლიდან გოგლა ჯერ თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, ხოლო 1913 წლიდან - თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1919 წელს გ.ლეონიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა.

გიორგი ლეონიძემ ადრეულ ასაკში გამოამჟღავნა პოეტური ნიჭი. უკვე 12 წლისამ თავისი პირველი ლექსი „მცხეთა“ გამოაქვეყნა გაზეთ „სინათლეში“. 13 წლისამ ლექსი უძღვნა ვაჟა-ფშაველას, რასაც იგი საპასუხო ლექსით გამოეხმაურა. აქედან მოყოლებული, გოგლა სისტემატურად ბეჭდავდა თავის ლექსებს და პუბლიცისტურ-ლიტერატურულ სტატიებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

1918 წლიდან გოგლა დაუახლოვდა „ცისფერყანწელებს“, რომლებთანაც მას ანათესავებდა ქართულ ნიადაგზე მოდერნიზმის გადმონერგვის სურვილი და ლექსის ტექნიკური სრულყოფისაკენ სწრაფვა. ეს ლიტერატურული ვარჯიშობანი რამდენიმე წელს გაგრძელდა.

გ.ლეონიძე საკუთარი სახსრებით უშვებდა ლიტერატურულ კრებულს „საფირონი“, მონაწილეობდა ჟურნალების - „გრდემლის“ და „დროშის“ დაარსებაში. მისი ინიციატივითა და რედაქტორობით გამოდიოდა „ცისფერყანწელთა“ ყოველკვირეული ალიტერატურო გაზეთი „ბახტრიონი“.

გოგლა თვითმყოფადი და ღრმად ეროვნული პოეტია. შედევრების შექმნა 25 წლის ასაკიდან დაიწყო. მისმა ადრინდელმა ლირიკულმა ლექსებმა („ციცარი“, „ღამე ივერიისა“, „სიმღერა პირველი თოვლისა“, „ნინოწმინდის ღამე“, „მყვირალობა“, „ყივჩაღის პაემანი“, „ოლე“) იმთავითვე მოუპოვა დიდი პოეტის სახელი და საპატიო ადგილი დაუმკვიდრა ახალ ქართულ ლიტერატურაში.

უბრწყინვალესი შედევრები უძღვნა გოგლამ თავის სათაყვანებელ საქართველოს:

„გულის ფესვიდან მინდა გიმღერო, და თუ ვერ გითხრა
როგორ მიყვარხარ,

შენს თითეულ ხეს, ბალახის ღეროს, ვკოცნი, ვეხვევი,
ვეტყვი: მიყვარხარ".

იშვიათად შეუქმნია ვინმეს ისეთი ძარღვიანი სტრიქონები სამშობლოზე, როგორიცაა:

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები.
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები!"

გიორგი ლეონიძემ ჩინებულად იცოდა საქართველოს რთული და გმირული ისტორია, მძაფრად და ტკივილიანად განიცდიდა წარსულში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს და ლექსების მთელი ციკლიც უძღვნა მათ - „ქართლის ცხოვრება" („მინაწერი „ქართლის ცხოვრებაზე", წიგნი „ქართლის ცხოვრება", „მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას", „წინაპრებს", „ვეფხისტყაოსანს", „დიდ თამარს", „დავით აღმაშენებელს" და სხვ.).

თავისებური შეხედულებანი ჰქონია მას ქართველთა შორეულ წინაპრებზე. მისი შვილიშვილი გიორგი ქავთარაძე იგონებს პაპის მონაყოლს: „წინათ, ჩვენ - ქართველები შორს სამხრეთით - კაპადოკიაში ვცხოვრობდით, ხეთები გვერქვა სახელად და ღერბად არწივი გვქონდა. ის ქვეყანა უწყლო გახდა და იქიდან წამოვედით. სწორედ ამიტომ არის, რომ წყალს ქართველები ჯერ პატარებს ვაწვდით და ვამბობთ, რომ წყალი უმცროსისაა - პატარები რომ მაინც გადარჩენილიყვნენ. სხვა ხალხებს ასეთი წესი არა აქვთ. ამითვე არის გამოწვეული ისიც, რომ მხოლოდ ჩვენს ენაზე ჰქვია „წყალობას" - წყალობა, ანუ „წყლის მიწოდება"-ო.

გოგლა ასევე მძაფრად განიცდიდა დიდებული მესხეთის დაცემას და თურქთა კლანჭებში მის ჩავარდნას (ლეონიძეების გვარი ტაო-კლარჯეთიდანაა წარმოშობით, მათ წინაპრებს ართვინსა და ტბეთს შუა, შავშეთში უცხოვრიათ). სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ტაო-კლარჯეთის ხილვაზე ოცნებობდა თურმე:

„ისე დავბერდი, ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული... როდის მოუვა მათ გაზაფხული?
ველარ ვემთხვიე მესხეთის მიწას, სადაც გმინავენ ძველი ლოდები,
სადაც აჩრდილნი მამა-პაპათა შემოგვძახიან:
თქვენ გელოდებით!..."

საქართველო მისთვის მართლაც რომ ყველაფერი იყო, ქართველ გმირებს კი თავისებურად ნათლავდა, მაგალითად: დაკით აღმაშენებელი გოგლასთვის „ნათლის მხედარი“ იყო, თამარი „შუბლ-ასპიროზი“, ილია - „შუბლი საქართველოსი“ და ა.შ. ხშირად ადიოდა საგურამოში და ეხმიანებოდა ილიას სულს:

„შენ გიყვარდა ხმა მტვრევისა და მომსკდარი კლდიდან თერგი,
შენ ძირს დაგცეს ფოთოლივით, და მთასავით წამოდექი“...

არც ერთ ქართველ პოეტს ისეთი სულის შემძვრელი ლექსები არ დაუწერია სამამულო ომზე (1941-45), როგორც გოგოლა ლეონიძეს:

„შინმოუსვლელო, სადა ხარ, შენ ხომ თბილისი გიყვარდა?
სად ლპება შენი ქოჩორი, თვალი სად ამოგიღამდა?
თბილისში ვარდი აყვავდა, შენ სად არჩიე დარჩენა?
ნეტავი წამოგახედა, მთაწმინდა კიდევ გაჩვენა!“...

ან კიდევ:

„ღიმილის ბიჭი ვიყავი, ბეჭზედ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი, ოცი არ გადამეხადა,
საშობლოს დროშა მეჭირა, მტერს ვეცემოდი მეხადა!...“

ეს ლექსები, ისევე როგორც ბევრი სხვა, სიმღერებად იქცა და ხალხი მათ დიდი სიყვარულით მღეროდა.

გოგლას პოეზიის ხალხურობას თავისებური, განსაკუთრებული იერი აქვს. ხალხური ხასიათი მისი ლექსისა გამოვლენილია არა განგებ გაუბრალოებული ფორმით, არამედ უაღრესად ეროვნული შინაგანი კოლორიტითა და ჟღერადობით. მისი შემოქმედება ვანუყოფლად, ძირფესვიანად, სულით და ხორცით შედუღაბებულია ქშობელ ნიადაგთან, მის ისტორიასთან, ტრადიციებთან, მისი გულის ფეთქვასთან. გოგლას რძიან სიტყვას ბოლომდე აქვს შენარჩუნებული თავისი პირველადი, მიწისეული სურნელება, ჯავარი და სინოყიერე. მისი ლექსიდან ჩვენ ერთნაირი ბუნებრიობით გვესმის როგორც ხეობებში მოვარდნილ ზვავთა შეშზარავი ექო და მყვირალობას მთიდან გადმომდგარი ხარირემთა ძახილი, ისე ყველაზე პატარა ნაკადულის წკრიალა ხმაც. უსაზღვრო ენებით არის აღსავსე მისი „ყიჩაღის პაემანი“:

„ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე, შემოვამტვერე გზები ტიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები, ელეწე ტაძრები კელაპტრიანი...

...მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას, ველარა გხედავ,
სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი ქართლის
ხეობებს ასდით ნისლები...“

ამ შმაგი სტრიქონების გვერდითაა დიდი შინაგანი სინაზის მატარებელი საოცარი ლექსი, რომელიც ნინო ჭავჭავაძისადმი არის მიძღვნილი:

„შენს სილამაზეს იქით ბნელდება
და იხურება ცისკრის კარები,
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი“...

1962 წელს გ. ლეონიძემ შექმნა ქართული პოეტური პროზის მარგალიტი „ნატვრის ხე“ (რომლის მიხედვით ბრწყინვალე ფილმი გადაიღო რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ, მთავარ როლშია ლიკა ქავჟარაძე). ეს არის წიგნი, რომელიც „დედა-ენასავით“ აუცილებლად უნდა წაიკითხოს ყველა ქართველმა ბავშვმა. მან მკითხველი აზიარა სრულიად ახალ მხატვრულ სამყაროს. პოეტის ყრმობის ხორცშესხმული აჩრდილები, გააზრებულნი დიდი მხატვრის ღრმა ინტელექტით, თანამედროვე ოსტატის თვალთახედვით წარმოგვიდგებიან და გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენენ. თუკი რომელიმე სახე „ნატვრის ხე“-ში ავტორისეული თვისებების მატარებელია - ეს ჩორეხია. ჩორეხი - იგივე გოგლაა, ოღონდ სხვა დროსა და სხვა ვითარებაში (გ. ქავთარაძე): „ბავშვი ისე არ გაეტირება თავის დედას, როგორც ჩორეხი მისტიროდა საქართველოს წარსულ დიდებას... ვაი, ფრთამოტეხილო არწივო! ბოლომოჭრილო ხოხობო! ვაი, ქართლო, საქართველო!“ მისი შვილის, ნესტან ლეონიძის გადმოცემით, გოგლას „ადამიანზე ზრუნვა სიხარულს ანიჭებდა, საოცარი უნარი ჰქონდა მოსმენის, მარტოობა არ შეეძლო, სხვაგან ვერ ძლებდა, ახლოს იყო უბრალო ხალხთან, მიწასთან. შენდობის დიდი უნარი ჰქონდა, გაღმერთებული პყავდა საშშობლო, წინაპრები. ყველა სულიერი უყვარდა, ეცოდებოდა. სწყინდა, როცა სანთელზე მოფრენილ პეპლებს ხოცავდნენ რას ერჩით, ისედაც ერთი დღე აქვთ, გაიხარონო... უყვარდა ხე, ბალახი, ყვავილი, მთა და მზე. ყვავილი მიწის ღიმილიაო, იტყოდა... ძალიან კეთილი, ბავშვივით გულუბრყვილო იყო, სინათლე, მზე უყვარდა.

სიკვდილი სძულდა, არასოდეს ლაპარაკობდა ამაზე, ეჯავრებოდა უხეში სიტყვა, ყოველგვარი ძალადობა ბავშვზე. ადამიანი მადლობელი უნდა იყოს ყოველი წუთით, რომელიც ღმერთმა უბოძაო... დედის საფლავზე ცრემლებით სტიროდა" თურმე.

გიორგი ლეონიძე ნაყოფიერად იღვწოდა ლიტერატურათმცოდნეობაშიც. ის იყო ძველი ქართული მწერლობის, ქართულ-უცხოურ ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარი, ძველი ხელნაწერების დაუცხრომელი მაძიებელი და გამომცემელი. 1931 წელს მისი ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს (ამჟამად მისი სახელობისაა), ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს საგურამოში, ალმანახს „ლიტერატურული მემკვიდრეობა" (თავად რედაქტორობდა). 1940-48 წლებში იყო „ლიტერატურული მატიანის" რედაქტორი, 1951-53 წლებში მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, 1957-66 წლებში კი - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი. დიდი დამსახურებისათვის 1944 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 1959 წელს კი მიენიჭა საქართველოს სახალხო პოეტის წოდება. იგი იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის სამგზის ლაურეატი.

გიორგი ლეონიძემ სათანადო კომენტარებითა და გამოკვლევებით გამოსცა მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკი"(1920), სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა"(1928), იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი" (1939). მას ეკუთვნის გამოკვლევები ეეფხისტყაოსნის, ვახტანგ VI-ის, დ.გურამიშვილის, ბესიკის, საიათნოვას, ანთიმოზ ივერიელის, მ. გურიელის, ა. ყაზბეგის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ვ. ბარნოვის და სხვათა შესახებ. იგი იყო ფილმ „ჯურღაის ფარის" სცენარის ავტორი... მაგრამ ისიც სიკვდილის შვილი იყო...

გოგლა ლეონიძე გარდაიცვალა 1966 წლის 9 აგვისტოს. დაკრძალეს მთაწმინდის პანთეონში.

წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე

ცოცხალი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე, 1995 წელს 19 სექტემბერს, წმინდანად შეირაცხა არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე.

მამა გრიგოლი დაიბადა 1899 წლის 31 აგვისტოს სოფელ ბაკურციხეში (სიღნაღის მაზრა) მღვდლის რომანოზ ფერაძის ოჯახში. დედამისი მარიამ სამადაშვილი მოძღვრის ქალიშვილი გახლდათ.

1913 წელს გრიგოლმა თბილისის სასწავლებელი დაამთავრა, 5 წლის შემდეგ კი - სემინარია.

გრიგოლმა თბილისის სემინარიის დამთავრების შემდეგ 1918 წელს სწავლა გააგრძელა უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების განყოფილებაზე, პარალელურად სოფელ ხანდაკის სკოლაშიც მასწავლებლობდა.

1921 წელს გარე კახეთის საეპარქიოლოებამ გელათში გამართულ მესამე საეკლესიო კრებაზე წარმომადგენლად გააგზავნა გრიგოლი. აქ გადაწყდა მისი ევროპაში სასწავლებლად გამგზავრების საკითხი მიტროპოლიტ ნაზარის და პროფ.კორნელი კეკელიძის შუამდგომლობით. 1921 წლის ნოემბერში სრულფასოვანი თეოლოგიური განათლების მისაღებად გრიგოლი არტურ ლაისტის დახმარებით ბერლინში გაგზავნეს. იგი ჩაირიცხა ბერლინის

უნივერსიტეტის თეოლოგიურ განყოფილებაზე, რომელიც თეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით დაამთავრა. 1925 წლის აპრილიდან გრიგოლი ბონის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. ბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ მაგისტრს ნაშრომისათვის „მონაზვნობის დასაწყისი საქართველოში" მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. 1925-27 წლებში ახალგაზრდა დოქტორი ბრიუსელში კათოლიკე ბერთა ორდენში მუშაობდა. 1927 წელს ლონდონში გაემგზავრა და ოქსფორდის ბიბლიოთეკაში ქართულ ხელნაწერებს გაეცნო. ფრანგულად თარგმნა წმიდა პეტრე მოციქულის ლიტურგიის ქართული ვერსია. 1927 წელი უმნიშვნელოვანესი იყო გრიგოლის ცხოვრებაში. იგი ბონის უნივერსიტეტში ქართულ-სომხური ლიტერატურის და ენების ლექტორად, პრივატ-დოცენტად მიიღეს. მისი გამოკვლევები სისტემატურად იბეჭდებოდა სამეცნიერო პერიოდიკაში. მამა პეტრიკი წერდა: „ამ გამოკვლევებმა იმთავითვე მოუხვეჭეს დოქტორ გრიგოლ ფერაძეს ახლო აღმოსავლეთის ადრეული ქრისტიანობის პრობლემატიკის ერთი უთვალსაჩინოესი სპეციალისტის სახელი".

1929 წელს იგი ბერლინში დააპატიმრეს (დაკავების მიზეზი უცნობია). გათავისუფლების შემდეგ საფრანგეთში გაემგზავრა.

ამავე წელს გრიგოლ ფერაძის თაოსნობით ჩატარდა პარიზის ქართული სამწყსოს კრება, სადაც დაარსდა პირველი და დღემდე ერთადერთი ქართული ეკლესია. 1930 წელს შობის დღეებში იგი მძიმედ გამხდარა ავად. სიკვდილის პირას მისულს საოცარი ხილვა ჰქონია, რის შემდეგაც გადაუწყვეტია, რომ უფლისათვის ბოლომდე მიეძღვნა თავი. 1931 წელს სრულიად ახალგაზრდა, უკვე პატივდებული მეცნიერი ბერად აღიკვეცა ლონდონის წმიდა სოფიის ბერძნულ საკათედრო ტაძარში, 19 აპრილს იქვე ეკურთხა დიაკვნად, ხოლო 25 მაისს პარიზის წმიდა სტეფანეს ბერძნულ საკათედრო ტაძარში მღვდლად აკურთხეს და მის მიერვე დაარსებულ წმიდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში განამწესეს წინამძღვრად.

მამა გრიგოლის უძირითადესი საზრუნავი და გაუნელებელი ტკივილი საქართველო იყო. თითოეული მისი ნაბიჯი სამშობლოში დასაბრუნებელი გზის ძებნა იყო.. აი, რას წერდა იგი კორნელი კეკელიძეს: „საშინლად ვიტანჯები, არაფრის ხალისი არ მაქვს,

თუმცა ნივთიერად სრულიად უზრუნველყოფილი ვარ. რისთვის ვიტანჯე ამდენი ხანი, რისთვის ვისწავლე, რისთვის მოვიარე თითქმის მთელი ევროპა? რატომ არ მიშვებენ სამშობლოში?".

იგი იძულებული გახდა შეგუებოდა ემიგრანტის მძიმე ხვედრს. 1932 წლიდან გრიგოლ ფერაძე ოქსფორდის უნივერსიტეტში კითხულობდა ქართული ეკლესიის ისტორიას, ხელმძღვანელობდა ვარშავის უნივერსიტეტის პატროლოგიის კათედრას მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე. საბერძნეთის საპატრიარქოს ბიბლიოთეკებში მან გამოავლინა 162 ქართული ხელნაწერი, პოლონეთის მართლმადიდებლურ მონასტრებში — ისტორიული, პალეოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები. მან მიაკვლია გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ დაარსებულ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონს (წესდებას) 1936 წელს. მანვე ათონის მთაზე შეიძინა 15 ქართული ხელნაწერი. გრიგოლმა ევროპის ჟურნალებში გამოაქვეყნა შრომები: „ეპისტოლე წმინდისა დიონისესი ბრძენმთავრისაი და ათონელთა ეპისკოპოსისაი", „ბესარიონ გაბაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსები" უორდროპის კოლექციიდან", „გიორგი ქართველი ერის შემოქმედებაში (ქართული წარმართობის შესახებ)", „ძველ-ქართული ლიტერატურა და მისი პრობლემა", „ძველი ქრისტიანული ლიტერატურა ქართულ თარგმანებში", „ბიბლიის ქართული თქრგმნის საკითხისათვის", „ძველი საეკლესიო მწერლობის პრობლემა", „ბიზანტიემდელი ქართული ლიტერატურის საკითხისათვის", „ქართველი ბერები და მონაზვნები პალესტინაში", „ქართული ელემენტების გავლენა ბალკანეთის ხალხების კულტურაზე" და სხვ. მან დააარსა ქართული სამეცნიერო-რელიგიური წელიწდეული „ჯვარი ვაზისა". აქ დაბეჭდილი მასალებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „განმარტება მამაო ჩვენოსი - შინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა". მან ასევე პოლონურ ენაზე გამოსცა ჟურნალი „პატროლჟია".

„ჯვარი ვაზისა" 1934 წლამდე გამოიცემოდა, სულ 4 კრებული დაიბეჭდა ბევრი საინტერესო მასალით, მათ შორის პოემა „რომელი ქერუბინთა".

მამა გრიგოლთან თანამშრომლობდნენ ქართული ემიგრაციის რჩეული წარმომადგენლები: ექვთიმე თაყაიშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, მიხეილ წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, გიორგი გვაზა-

ვა, კალისტრატე და ნინო სალიები, ვიქტორ ნოზაძე, გიორგი ნაკაშიძე და სხვანი. მეგობრობა აკავშირებდა მას ნიკო მართანაც.

ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ უცხოეთში გატანილი ეროვნული საგანძურის გადამრჩენელი, ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, გრიგოლ ფერაძეც არის. მამა გრიგოლს საგანძურის შეფასება დაევალა. მან ყველაფერი აღნუსხა და ასეთი საექსპერტო დასკვნა დაწერა: „ეს ნივთები მატერიალურად ნაკლებად ფასეულია, მათ მხოლოდ ქართველი ერისთვის აქვს ისტორიული მნიშვნელობა".

ვიქტორ ნოზაძის თქმით: „გრიგოლი იყო პიროვნულად უმწიკვლო, განუსაზღვრელად სპეტაკი და ღრმად მორწმუნე. მას ჰქონდა ძვირფასი ქართული გარდამოხსნა, რომელშიც ათასობით ოქროს აძლევდნენ, მაგრამ არ ჰყიდდა, საქართველოს მუზეუმს უნდა მივართვაო"

1939 წელს იგი პოლონეთში მიიწვიეს და ვარშავაში გადავიდა, სადაც თეოლოგიურ მეცნიერებათა შესავალს ასწავლიდა. გრიგოლის უდიდესი ცოდნა შერწყმული იყო ღრმა რწმენასთან, მისი ლექციები კი გამსჭვალული იყო წმინდა მამების შემოქმედებითი სულით, თავის ფიქრებში ხშირად გადიოდა იქ, სადაც მოღვაწეობდნენ ეკლესიის მამები... მხრუნველობას იჩენდა სტუდენტების მიმართ და მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ სტუდენტებს. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა საკმაოდ ვრცელია, მისი სახელი მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში ჩაიწერა. ის იმ რჩეულთაგანი გახლდათ, რომლებიც გულს გონებასთან, რწმენას საქმესთან, პირადს საზოგადოებრივთან რომ ამთლიანებენ. გრიგოლ ფერაძემ ძველბერძნულიდან თარგმნა „ქებათა ქება", ქართულიდან ინგლისურად — კორნელი კეკელიძის გამოცემა „შობის განჩინება", გამოკვლევა „უცხოელი აკტორები ძველ ქართულ მწერლობაში" და სხვ.

ომის დროს გრიგოლი პოლონელებს და ებრაელებს ეხმარებოდა, ქუჩებში მკვდრებს აპატიოსნებდა. გესტაპომ იგი დააპატიმრა. ის ჯერ პავიაკის ციხეში იმყოფებოდა, 1942 წელს კი ოსვენციმში გადაიყვანეს. 1942 წლის 6 დეკემბერს იგი დაიღუპა, ყველაზე სარწმუნო ვერსიით, გაზის კამერაში, სადაც ნებაყოფლობით შევიდა მრავალშვილიანი პატიმრის ნაცვლად. მან ცხოვრებაში რეალურად განასახიერა ქრისტეს მცნებანი.

ახალგაზრდებისთვის საინტერესოა მისი ცალკეული გამონათქვამები და ნააზრევი.

რას ნიშნავს „მოქალაქეობა“?

მოქალაქე არ ნიშნავს პირველ რიგში ქალაქის მცხოვრებს, არამედ ნიშნავს ყოველ წევრს სამშობლოსი, გინდ იყოს ის ქალაქელი, გინდ სოფლელი, გინდ მუშა. მოქალაქე არ ნიშნავს მას, ვისაც რაიმე კერძო საკუთრება აქვს, არამედ მას, ვინც გრძნობს უდიდეს საკუთრებას: ცხოვრებას, მის მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას. ამისთანა კაცს პქვიან ქართულად მოქალაქე და მის ცხოვრებას ჰქვიან მოქალაქეობა.

მოქალაქეობა მოითხოვს შეგნებას, პატიოსნებას, აზროვნებას, ფიქრს, მხნეობას, ჭკუას.

მოქალაქეობა მოითხოვს ნათელი თვალით საგნების დანახვას, წინდახედულობას, აუჩქარებლობას, სიმდაბლეს, რომელიც არაა მონის მაჩვენებელი, არამედ განათლებულობის, სხვის აზრის გაგონების და ადამიანში ადამიანის ძებნას და დაფასებას ნიშნავს.

ესაა შინაარსი ჩვენი სიტყვის „მოქალაქეობა“.

მოქალაქეობა ამავდროულად არის მსხვერპლის გაღება, თავისი საკუთარი თავის დაწვა სხვისთვის გასანათლებლად. ქართულად მოქალაქეობა არც მაშინ გაურბის მსხვერპლს, როდესაც სხვები სიბნელეში და ჭაობში ყოფნას არჩევენ. ქართველი მოქალაქე მაინც მოქალაქეობს, ვინაიდან მისი ჰორიზონტი გაცილებით შეუზღუდველია, ვინემ მისი, ვინც სიმინდზედ ზეკით აღარაფერს ხედავს. მან იცის, რომ თუ დღეს არა, ხვალ „ტყუილად ხომ მაინც არ ჩაიცლის ეს განწირული სულისკვეთება“.

შინაარსი მოქალაქეობის არის ცხოვრება და ცხოვრება აწმყოში და იესო ქრისტე მიტომ მოვიდა ამ ქვეყნად, რომ ადამიანისთვის ეს ცხოვრება და ეს სარგებლობა ესწავლებინა. ის ეთქვა ადამიანისათვის, რაც ორი სიტყვით გამოითქმება, რაც ჩვენმა წინაპრებმა ინტუიციით შეიგნეს და რაც დღეს ყოველ ქართველმა თვის შუბლზედ უნდა დაიწეროს: „ვინც ამ ქვეყნის მოქალაქედ არ ვარგა (მოქალაქედ იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც იგი მე ვიხმარე), იგი არც იმ ქვეყნის მოქალაქედ გამოდგება!“

„პარადოქსია, რომ პიროვნებები, რომლებიც ისტორიასა და ადამიანებს ჩამოშორდნენ და სიმარტოვეში დაისადგურეს, რომ-

ლებსაც სურდათ, რომ დავიწყებას მისცემოდნენ, ღვთივკურთხეულნი და ცნობილნი გახდნენ“.

„მართლმადიდებლობა არის და იქნება უდიდესი განძი, რომელიც ჩვენ ერს ოდესმე ჰქონია. ამ განძისთვის მსხვერპლად ეწირებოდნენ ჩვენი წინაპრები. მართლმადიდებლობა არის ღირებულება - მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის ღირს ცხოვრება და სიკვდილიც“.

„ყველაფერი წარმავალია, ყველაფერი ქრება, ყველაფერს თავისი ფასი აქვს, იყიდება ან გაიყიდება. ერთია განძი, რომელსაც ფასი არ დაედება და უკვდავია იგი, რომლისთვისაც თვით ღვთის ნებით იესო ქრისტემ თავისი სიცოცხლე არ დაიშურა: ესაა ღირსება ადამიანის და უკვდავება ადამიანის სულის“.

„ყოველი ერის ცხოვრებას ჰქმნიან არა მასები, არამედ რამოდენიმე ადამიანი, რომელთაც საერთო სახელით პიროვნებას ეძახიან“.

ჯორჯ ბალანჩინი და ვახტანგ ჭაბუკიანი

ჯორჯ ბალანჩინი (გიორგი ბალანჩივაძე) - გამოჩენილი და მსოფლიო მასშტაბით აღიარებული ბალეტმაისტერი, ამერიკული ბალეტის „მამა“, დაიბადა 1904 წლის 22 იანვარს ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებლის მელიტონ ბალანჩივაძის ოჯახში, პეტერბურგში.

პატარა გიორგი 1914-21 წლებში სწავლობდა პეტერბურგის მარიამის თეატრთან არსებულ თეატრალურ სასწავლებელში. 1921-23 წლებში იგი მონაწილეობდა მცირე საოპერო თეატრის სპექტაკლებში, ამავე წლებში დადგა ცეკვები სპექტაკლში „უიღბლო ეუგენი“ (ე.ტოლერის პიესა).

19 წლის გიორგი სათაეში უდგება პეტროგრადის „ახალგაზრდა ბალეტს“, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ რუსული ბალეტის ცნობილი მოღვაწეები ლ. ლავროვსკი, ი. სმოლენსკი და სხვ.

1924 წლიდან გიორგი ბალანჩივაძე საზღვარგარეთ მიემგზავრე-

ბა საცხოვრებლად.

1925-29 წლებში იგი იყო პარიზის „ს. დიაგილევის რუსული საბალეტო დასის“ მთავარი ბალეტმაისტერი (ამ პერიოდიდან მოინათლა იგი უცხოეთში ჯორჯ ბალანჩინად).

1932 წლიდან გიორგი ფრანგული საბალეტო დასების „ბალე რიუსე და მონეტე კარლოს“ და „ბალეტი 1933“ ბალეტმაისტერია. მალე იგი მიიწვიეს აშშ-ში, სადაც შექმნა „ამერიკული საბალეტო სკოლა“, რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა დასი (1948 წლიდან მას „ნიუ-იორკ სიტი ბალე“ დაერქვა).

ჯორჯ ბალანჩინს დადგმული აქვს 100-ზე მეტი საბალეტო სპექტაკლი ბუენოს-აირესის, კოპენჰაგენის, ლონდონის, მილანის და სხვა ქალაქების თეატრებში. მის მიერ განხორციელებული საუკეთესო დადგმებია: ს.პროკოფიევის „უძღები შვილი“ (1928), სტრავინსკის „ორფეევსი“, „აპოლონი, მუზათა მბრძანებელი“ (1929), „აგონი“ (1958), „ბროლის სასახლე“ (ბიზეს მუსიკის მიხედვით, 1941), „ბალე იმპერიალი“ (ჩაიკოვსკის მუსიკის მიხედვით, 1941) და სხვ.

ბალანჩინი ავტორია წიგნისა „ცნობილი ბალეტების დაწერილებითი აღწერა“ (ინგლისურ ენაზე). თავდაპირველად იგი დგამდა სიუჟეტიან, ხოლო შემდეგ კი უსიუჟეტო, ე.წ. აბსტრაქტულ ბალეტებს, რომლებშიც განხორციელებული იყო მისი შემოქმედების ძირითადი პრინციპი - მახვილი ქორეოგრაფიული მონახაზის, სატოვანი, რთული მოძრაობების მეოხებით მუსიკა გახადო ხილვადი და სასიამოვნოდ აღსაქმელი.

ჯორჯ ბალანჩინი „ნიუ-იორკ სიტი ბალე“-სთან ერთად ორჯერ იყო საგასტროლოდ საბჭოთა კავშირში (1962 და 1973 წლებში). ორივე გასტროლები გაიმართა თბილისშიც. ამ სპექტაკლებს უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად. ცნობილი ქართველი მოცეკვავის ზურაბ კიკალეიშვილი, რომელიც რამდენჯერმე შეხვდა ბალანჩინს (პირველი შეხვედრა ამერიკაში შედგა 1950-იან წლებში), იგონებს „იქ ყოფნისას მისი არც ერთი რეპეტიცია არ გამოტოვებია. დარჩენას მთავაზობდა თავის დასში... შემდეგ „ჟარპტიცას“ პრემიერას დავესწარი. წარმოდგენას გალინა ულანოვას პარტნიორი იური ჟდანოვიც ესწრებოდა. პრემიერამ შესანიშნავად ჩაიარა. დასრულებისთანავე კულისებში შეეედი და მისი დასის

წარმომადგენლებს შეკხვდი. ბალანჩინმა ჩინურ რესტორანში დამპატიჟა, სადაც ექვსი საათი გავატარეთ ერთად. არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება შემექმნა მასზე...

1962 წელს თბილისში მან თავისი საბალეტო წარმოდგენებით გაგვაოცა. მისი სპექტაკლები იმ დროისათვის მთელ მსოფლიოში იდგმებოდა. მეორედ 1973 წელს ჩამოვიდა. ვინაიდან ამ დროისათვის ოპერა დამწვარი იყო, წარმოდგენა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა. მე და ბატონი გიორგი, როგორც უკვე ახლობელი ადამიანები, ისევ შეკხვდით. მან გამიმხილა: ,,ძალიან ვღელავ, როცა თბილისში ჩამოვდივარ. ეს ალბათ სისხლის ძახილია. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ აქ სხვა გრძნობა მიპყრობს. საქართველოა ჩემი სამშობლო, აქ არის ჩემი მშობლების საფლავი და, რაც მთავარია - ჩემი ძმა ანდრია და მისი ოჯახი".

როდესაც ჩამოვიდა, ქუთაისშიც გაემგზავრა, მამის საფლავზე. შემდეგ ამბობდა: ,,მრავალი წლის მანძილზე მინდოდა მამის საფლავი მენახა და ბედნიერი ვარ, რომ ეს სურვილი შევისრულე"

როდესაც ჯორჯ ბალანჩინს ჰკითხეს, თუ როგორ გახდა ასეთი კარგი ბალეტმაისტერი, მან უპასუხა: ,,პირველი - კარგი მსახიობები მყავს, მეორე - მუსიკა ვიცი კარგად და მესამე - ალბათ ღვთის ნებით"-ო. იგი განსაკუთრებულად მორწმუნე პიროვნება იყო. თბილისში რომ ჩამოვიდა, ეკლესიაში წავიდა. როდესაც მიემგზავრებოდა თავისი სურათი მაჩუქა ქართული წარწერით: ,,კეთილი სურვილებით გიორგი ბალანჩივაძისაგან". ეს იყო პირველი შემთხვევა, როგორც მან აღნიშნა, როცა დაწერა თავისი სახელი და გვარი ქართულად მას შემდეგ, რაც 1925 წლიდან საფრანგეთში დიაგილევთან მუშაობის პერიოდში ჯორჯ ბალანჩინად მოინათლა".

ზურაბ კიკალეიშვილმა მას ვერცხლით მოჭედილი ძველებური ხატი აჩუქა, რომელიც, ანდერძის თანახმად, გიორგი ბალანჩივაძეს სამარეში ჩაატანეს.

მსოფლიო რანგის ქართველი ბალეტმაისტერი 1984 წლის იანვარში გარდაიცვალა. დაკრძალულია ამერიკაში. 2004 წელს ნიუ-იორკში და პეტერბურგში აღინიშნა დიდი მაესტროს დაბადების 100 წლისთავი. ,,მე ვცეკვავდი იმიტომ, რომ დაბადებული ვიყავი მოცეკვავედ, ჩვენ ქართველები ხომ ყველა ვცეკვავთ" (ჯორჯ ბალანჩინი).

უდიდესი ქართველი ბალერონი და ბალეტმაისტერი ვახტანგ მიხეილის ძე ჭაბუკიანი საქართველოს პროფესიული ბალეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. მან ჯორჯ ბალანჩინთან ერთად შექმნა ქართული ბალეტის დიდება და ისტორია.

ვახტანგ ჭაბუკიანი დაიბადა 1910 წლის 12 მარტს თბილისში, მიხეილ ჭაბუკიანის ოჯახში. იგი პატარაობიდანვე ეზიარა ხელოვნებას — 1922-23 წლებში სწავლობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ მ.პერინის საბალეტო სტუდიაში.

1924 წელს, 14 წლის ვახტანგი ჩაირიცხა ამავე თეატრის საბალეტო დასში. 1926 წელს იგი გაემგზავრა ლენინგრადში (დღევანდელ პეტერბურგში) და 3 წლის განმავლობაში ქორეოგრაფიულ ოსტატობას სრულყოფდა ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ვ. სემიონოვის, ვ. პონომარიოვისა და ა. შირიაევის ხელმძღვანელობით.

1929-41 წლებში ვახტანგი იყო ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. ვახტანგ ჭაბუკიანმა შექმნა მამაკაცის ცეკვის გმირული, ვაჟკაცური სტილი და მკვეთრად განსაზღვრა მისი აქტიური საწყისი. ჭაბუკიანის შესრულებაში მკაცრი კლასიკური მანერა, ნატიფი ვირტუოზული ტექნიკა, სკულპტურული დიდებულება კარგად ერწყმოდა ჭეშმარიტ ადამიანურობას, განცდის სიმართლეს, შინაგან ექსპრესიას, მგზნებარე ტემპერამენტს. ჭაბუკიანი უხვად იყო დაჯილდოვებული იშვიათი ბუნებრივი მონაცემებით, ფლობდა მდიდარ გამომსახველობით საშუალებებს (მსუბუქი ნახტომი, სწრაფი ბრუნვები).

ს. კიროვის სახელობის თეატრის სცენაზე ვ. ჭაბუკიანმა წამყვანი პარტიები შეასრულა ჰეროიკულ ბალეტებში - „მთების გული“ (1938), „ლაურენსია“ (1939), რომლებიც თვითონვე დადგა. ამ დადგმებს საპროგრამო მნიშვნელობა ჰქონდათ ქორეოგრაფიული დრამის დამკვიდრებისათვის ქართულ და რუსულ საბალეტო ხელოვნებაში. მან აგრეთვე ითამაშა წამყვანი პარტიები მინკუსის „დონ-კიხოტში“, ადანის „ჟიზელში“, ჩაიკოვსკის „გედის ტბაში“, ასაფიევის „პარიზის ალში“, სოლოვიოვ-სედოის „ტარას ბულბაში“.

1941-1973 წლებში ვახტანგ ჭაბუკიანი ხელმძღვანელობდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასს, პარალელურად 1968 წლამდე ცეკვავდა კიდეც. აქ დადგა მან ა. ბალანჩივაძის „მთების გული“ (1941, პირველი დადგმა 1936 წ.), გ. კილაძის „სინათლე“ (1947, მიენიჭა სახელმწიფო პრემია), კრეინის „ლაურენსია“ (1948), თორაძის „გორდა“ (1949, 51 მიენიჭა კვლავ სახელმწიფო პრემია) და „მშვიდობისათვის“ (1953, სამამულო ომის თემაზე შექმნილი პირველი ბალეტი), მაჭავარიანის „ოტელო“ (1957), ცინცაძის „დემონი“ (1961), ფ.ღლონტის „განთიადი“ (1967).

საბალეტო კლასიკასთან ქართული ხალხური ცეკვის შერწყმით ჭაბუკიანმა შექმნა ეროვნული კლასიკური ბალეტის თავისებური სახეობა.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ ხორცშესხმულ ოტელოს პარტიას, სადაც ერთმანეთს შეერწყა მოქმედი ცეკვა და პანტომიმა, შექსპირისეული ტრაგედიის გრძნობისა და აზრის სიღრმე.

თბილისში მან ასევე განახორციელა შემდეგი დადგმები: „ვალპურგის ღამე“, „შოპენიანა“, „ჟიზელი“ (ყველა 1942 წ.), „დონ-კიხოტი“ (1943), „ესმერალდა“ (1944), „გედის ტბა“ (1945), „მძინარე მზუთუნახავი“ (1959), „ნაცარქექია“ (1966), „ბაიადერა“ (1968), „აპასიონატა“ (ბეთჰოვენის მუსიკაზე, 1980) და სხვ.

ვახტანგ ჭაბუკიანი 1950-73 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელს (დღეს იგი მის სახელს ატარებს), 1965-70 წლებში კი რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალური ინსტიტუტის საბალეტმაისტერო განყოფილებას. მან აღზარდა საბალეტო ხელოვნების ოსტატების მთელი თაობა საქართველოსა და რუსეთში.

ვახტანგ ჭაბუკიანმა თავისი სცენარის მიხედვით დადგა ფილმები: „ქართველი ბალეტის ოსტატები“ (1955) და „ოტელო“ (1961).

ვახტანგი უცხოელთა მიწვევით გასტროლებს მართავდა საზღვარგარეთაც (აშშ, იტალია, ლათინური ამერიკის ქვეყნები), სადაც დიდი წარმატება ხვდა წილად. იგი აღიარეს ბალეტის მეტრად.

რამდენიმე ქვეყანამ თავისთან მიიწვია და ჭაბუკიანმა სპექტაკლები დადგა იაპონიაში, ირანში, უნგრეთში, ბულგარეთსა და ფილიპინებში.

თავისი დიდი შემოქმედებით და უბადლო ოსტატობით მან შორს გაუთქვა სახელი ქართულ ბალეტს და საერთოდ ქართულ ხელოვნებას. ხალხის დიდი სიყვარულიც დაიმსახურა.

ვახტანგ ჭაბუკიანი გარდაიცვალა 1992 წლის 6 აპრილს თბილისში. ეს იყო სამოქალაქო დაპირისპირების რთული პერიოდი საქართველოში, კერძოდ, თბილისში. დიდი ხელოვანი დაკრძალეს მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

სერგო ზაქარიაძე

ჯარისკაცის მამის უნიკალური სახის შემქმნელი სერგო ზაქარიაძე იმთავითვე ქართული თეატრისა და კინოს ლეგენდად იქცა. ბევრმა დღესაც არ იცის, რომ სერგო 1932 წელს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის მარჯვენა გარემარბი იყო, თუმცა ჩვენდა საბედნიეროდ, მაინც ხელოვნების სიყვარულმა გადასძლია.

სერგო ზაქარიაძე დაიბადა 1907 წლის 18 ივნისს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში. მამა ალექსანდრე ზაქარიაძე რკინიგზელი იყო. მალე პატარა სერგო მშობლებთან ერთად ზესტაფონში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მიიღო საშუალო განათლება. 1922 წელს მან თბილისში, აკაკი ფალავას თეატრალურ სტუდიაში მან გამოცდა, თუმცა მცირე ასაკის გამო ვერ მოხერხდა მისი ოცნების განხორციელება.

1924 წლიდან სერგო ზაქარიაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, პარალელურად კი, 1926 წლიდან მუშაობდა რუსთაველის სახელობის თეატრში.

1928 წლიდან იგი იყო კ. მარჯანიშვილის მიერ ქუთაისში დაარსებული თეატრის (შემდეგში კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) მსახიობი, სადაც მოღვაწეობდა 1956 წლამდე.

1956 წლიდან სერგო ზაქარიაძე რუსთაველის სახელობის თეატ-

რში გადავიდა ჯერ წამყვან მსახიობად, ხოლო 1969 წლიდან გახდა თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. სწორედ მის დროს გავიდა ქართული თეატრი საერთაშორისო სარბიელზე - გამართა პირველი გასტროლები რუმინეთსა და გერმანიაში.

სერგო ზაქარიაძის შემოქმედებაში ერთმანეთს ერწყმოდა ღრმა ინტელექტუალიზმი, გაბედულება, აზრის სიცხადე და ემოციურობა ჩანაფიქრის ხორცშესხმის პროცესში, უკიდურესი სიზუსტე და სულიერი სითბო. იგი სცენური ხასიათების ფსიქოლოგიური დამუშავების დიდოსტატი იყო - დიდი გამომსახველობის მქონე დეტალებით, მსუყე, კონტრასტული საღებავებით, ფაქიზი ფსიქოლოგიური ნიუანსებით ძერწავდა სახეს. სერგოს გმირთა ბუნებაში ვაჟკაცობა და ნებისყოფა შეხამებული იყო ლირიზმთან და სილბოსთან. ს. ზაქარიაძე თამაშობდა გმირულ, სახასიათო და კომედიურ როლებს.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შექმნილი როლებიდან აღსანიშნავია ჯიბილო (კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება", 1938), კაპიტანი რატიანი (გოთუას „უძლეველნი", 1945), გიგაური (მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი", 1952, სახელმწიფო პრემია), გიორგი (თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი", 1954). რომანტიკული ელფერით გამოირჩეოდა ს.ზაქარიაძის მიერ შექმნილი სახეები ბაგრატიონისა (სამსონიას „ბაგრატიონი", 1944), ბახასი (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი", 1945), მეფე დავითისა (გოთუას „დავით აღმაშენებელი", 1946), ბესიკ გაბაშვილისა (გოთუას „მეფე ერეკლე", 1942).

სერგო ზაქარიაძე მგზნებარე მამხილებელი პათოსით ასრულებდა უარყოფით როლებსაც. იგი დაუნდობლად ხდიდა ფარდას ადამიანურ მანკიერებებსა და ცხოვრების მახინჯ მოვლენებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია თინიბეგი (მრევლიშვილის „ზავი", 1956). მსახიობი მახვილი კომედიური ნიუანსებით ძერწავდა სახასიათო როლებს - კავალერი რიპაფრატა (გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი", 1952).

შემოქმედებითი აზრის სიმწიფე, რომანტიკული მგზნებარება ახასიათებდა სერგო ზაქარიაძის მიერ რუსთაველის თეატრის სცენაზე შესრულებულ როლებს: ქადაგი (ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი", 1960), ფიროსმანი (ნახუცრიშვილის „ფიროსმანი", 1961). ნატიფი ფსიქოლოგიური ნიუანსებით, მღელვარე თანაგრძნობით დახატა მსახიობმა ოიდიპოს მეფის სახე (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე",

1956), რომელშიც ადამიანის სულიერი სილამაზის, მისი გონების სიდიადის მაღალი რწმენა ჩააქსოვა. სატირული სიმძაფრითაა აღბეჭდილი მისი შუისკი (შენკინის „ბორის გოდუნოვი", 1957). სერგო ზაქარიაძემ ასევე შექმნა ბეკინა სამანიშვილის, მეფე ლირის, კრეონის, ჰიგინსის, არბენინის, ურიელ აკოსტას და სხვა ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული განუმეორებელი სახეები.

სერგო ზაქარიაძე 1934 წლიდან მოღვაწეობდა კინოში. აქ მან განასახიერა დაუვიწყარი როლები: თორღვაი („უკანასკნელი ჯვაროსნები", 1934), შადიმან ბარათაშვილი („გიორგი სააკაძე" 1942-43, სახელმწიფო პრემია), ფოსტალიონი გიორგი („დღე პირველი, დღე უკანასკნელი", 1960), ექიმბაში (დანელიას „არ დაიდარდო") და სხვ.

სერგო ზაქარიაძეს მსოფლიო აღიარება მოუტანა ქართველი გლეხის - გიორგი მახარაშვილის როლმა რეზო ჩხეიძის ბრწყინვალე ფილმში „ჯარისკაცის მამა" (1965 წ.), რისთვისაც მოგვიანებით - 1971 წ. მსახიობს რუსთაველის პრემიაც მიენიჭა. 1965 წელს მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალზე ამ ფილმში მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ს.ზაქარიაძეს მთავარი პრიზი გადაეცა. გაზეთმა „იზვესტიამ" ს. ზაქარიაძეს ამ როლის შესრულებისათვის „მშობლიურ მიწაში ღრმად ჩამჯდარი კვანძიანი ძველი ფესვი" უწოდა. ამ ფილმმა ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს ეკრანები და მილიონობით ადამიანს აჩვენა ქართველი კაცის სულიერი სამყარო, სიმტკიცე, გაუტეხლობა, შემართება. მსოფლიო კინოს პროფესიონალმა კრიტიკოსებმა უმაღლესი შეფასება მისცეს მსახიობის ოსტატობას. სერგო ზაქარიაძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტობა. იგი იყო ასევე თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი, სადაც სცენიურ მეტყველებას ასწავლიდა სტუდენტებს. მსახიობი იყო მხატვრული კითხვის უბადლო ოსტატი, ქართული პოეზიისა და პროზის დაუღალავი პროპაგანდისტი, ლიტერატურული ნაწარმოებების ჩინებული ინტერპრეტატორი. მის „ჯარისკაცის მამას" ძეგლიც კი დაუდგეს გურჯაანის ცენტრში, რაც დიდი იშვიათობაა მსახიობისათვის.

სერგო ზაქარიაძე გარდაიცვალა 1971 წლის 13 აპრილს. დიდი მსახიობი მთაწმინდის პანთეონშია დაკრძალული.

რევაზ ლალიძე

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რევაზ ლალიძის სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა თბილისს მის მიერ თბილისზე შექმნილი არაჩვეულებრივი სიმღერის გამო, რომელსაც დედაქალაქის პიმნსაც უწოდებენ. და ვიდრე იარსებებს თბილისი, იარსებებს უკვდავი სიმღერაც „თბილისო“ და მასთან ერთად მისი ავტორის სახელიც არ მიეცემა დავიწყებას.

ამ ჭეშმარიტმა ქართველმა მარტო ამით როდი დაამახსოვრა თავი თანამედროვეთ.

რევაზ ილიას ძე ლალიძე დაიბადა 1921 წლის 10 ივლისს სოფელ ბაღდათში.

1939 წელს სკოლის პარალელურად მან დაამთავრა თბილისის IV სამუსიკო სასწავლებელი ვიოლინოს განხრით. ნიჭიერი მუსიკოსი 1941-49 წლებში უკრავდა ვიოლინოზე სიმფონიურ ორკესტრებში.

1943 წელს რევაზ ლალიძე თბილისის კონსერვატორიის სტუდენტი გახდა. 1948 წელს მან დაამთავრა კონსერვატორია (პროფესორ ანდრია ბალანჩივაძის საკომპოზიციო კლასი).

რევაზ ლალიძე უაღრესად ორიგინალური და მრავალმხრივი კომპოზიტორი იყო. მის კალამს ეკუთვნის სხვადასხვა ჟანრის მუ-

სიკა. სადაც კი სცადა ბედი, მუსიკის ყველა დარგში თავისი წონადი სიტყვა თქვა და შორს გაუთქვა სახელი ქართულ მუსიკას.

რევაზ ლაღიძეს ეკუთვნის ოპერა „ლელა“ (1973), რომელშიც გამომჟღავნდა კომპოზიტორის დიდი ნიჭი და ტალანტი. იგი ავტორია მუსიკალური კომედიებისა „მეგობრები“ (1951) და „კომბლე“ (1957), სიმფონიური პოემისა „სამშობლოსათვის“ (1949), სიმფონიური სურათისა „საჭიდაო“ (1952). რეზო ლაღიძემ შექმნა რამდენიმე საგუნდო სიმღერა - კანტატა („სიმღერა სამშობლოზე, „ბალადა ვაზზე“, „ოდა მესხეთზე“, „მოხეური ბალადა“ და სხვ.), საფორტეპიანო („ტოკატა“) და ჩელოს („პოემა“, „ელეგია“ და სხვ.) პიესები, ერთნაწილიანი კანტატა „მელის ვარძია“ შერეული გუნდისა და ორკესტრისათვის (1966 წ. ირაკლი აბაშიძის ლექსზე ციკლიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“). მასვე ეკუთვნის შესანიშნავი მუსიკა სპექტაკლებისა (გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“, ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ და სხვ. მან მუსიკალურად გააფორმა 40-ზე მეტი სპექტაკლი) და კინოფილმებისათვის („საბუდარელი ჭაბუკი“, „ნინო“, „ხევისბერი გოჩა“, „ზეიგენის კბილი“ და სხვ. სულ დაწერა მუსიკა 30-ზე მეტი ფილმისათვის).

რევაზ ლაღიძის სიმღერები გამოირჩევა იშვიათი მელოდიურობითა და გულწრფელობით, ჭეშმარიტი ქართულობით, სულშიჩამწვდომობით, სინაზით. მისმა „სიმღერამ თბილისზე“ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და სულ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოში. მისი ცნობილი სიმღერა ილია ჭავჭავაძის ლექსზე „ჩემო კარგო ქვეყანა“ (შეიქმნა ფილმისათვის „გლახის ნაამბობი“) საქართველოს არაოფიციალური, ჭეშმარიტად სახალხო ჰიმნი იყო კომუნისტების ეპოქაში და დღემდე უდიდესი სიყვარულით სარგებლობს.

რეზო ლაღიძე იმავდროულად ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა აღზარდა, მრავალი „დააავადა“ მუსიკისადმი დიდი სიყვარულით. იგი იყო თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკის კათედრის გამგე, 1964 წლიდან კი თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი (კამერული ანსამბლი).

ქართული მუსიკის წინაშე დიდი დამსახურებისათვის რევაზ ლაღიძეს მინიჭებული ჰქონდა რუსთაველის პრემია (1975) და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია (1977).

რევაზ ლაღიძე იყო.დიდი პატრიოტი და თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი ნიჭი და უნარი ქართველ ხალხს მოახმარა. მას ფანატიურად უყვარდა საქართველო და მისი ყველა კუთხე-კუნჭული, მთა და ბარი, უყვარდა ნადირობა და თევზაობა, ბუნებაში განმარტოება, მეგობრების წრეში ყოფნა და მღერა დიდებული ქართული ხალხური თუ ქალაქური სიმღერებისა.

მის თითოეულ ნაწარმოებში უდიდესი ქართული მუხტია ჩადებული და აფეთქებული. ის უყვარდა ყველას, მისი სიმღერები დღესაც ძალზე პოპულარულია.

რევაზ ლაღიძეს კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ნაადრევად გარდაიცვალა 1981 წლის 16 ოქტომბერს. იგი დაკრძალულია დიდების მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.



რეზო თაბუკაშვილი

რეზო თაბუკაშვილი იყო შემოქმედი და მოაზროვნე, რომელიც საკუთარ თავში მოიცავდა ადამიანის ყველა დადებით თვისებას — ნიჭიერებას, გონიერებას, სიკეთეს, ერთგულებას, საოცარ შრომისმოყვარეობასა და თავმდაბლობას. ამიტომაც უყვარდათ იგი ასე ძალიან მის თანამემამულეებს და როცა 1989 წლის ზამთარში თბილისში ხმა დაირხა, ბატონი რეზო მომაკვდინებელი სენით არის ავად და სამკურნალოდ საფრანგეთში გაუმგზავრებიათო, მთელი საქართველო მისი გადარჩენისათვის ლოცულობდა და ტაძრებში სანთლებს უნთებდა. მაგრამ ვაი, რომ ამან ვერ უშველა და მაინც დავკარგეთ ქვეყნის დიდი მოჭირნახულე და ბრწყინვალე პიროვნება.

რეზო თაბუკაშვილი დაიბადა 1927 წლის 2 აგვისტოს თბილისში, ჭეშმარიტი ინტელიგენტისა და პატრიოტის შალვა თაბუკაშვილის ოჯახში. რ.თაბუკაშვილმა 1944 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა. უნიჭიერს ახალგაზრდას ბავშვობიდანვე იტაცებდა პოეზია, ისტორია, სპორტი და მოგზაურობა.

1949 წელს მან წარჩინებით დაამთავრა სახელგანთქმული მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა (დიპლომატიური) ინსტიტუტი, დაეუფლა რამდენიმე უცხო ენას.

რეზო თაბუკაშვილი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ჩაება საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. მისი პირველი ლექსები და თარგმანები XX საუკუნის 40-იან წლებში გამოჩნდა ქართულ პრესაში. თამაზ ჩხენკელის მოგონებით, 1948 წლის ოქტომბერში ჯერ კიდევ 21 წლის ახალგაზრდამ მწერალთა სასახლის ხალხით გაჭედილ დარბაზში წაიკითხა შექსპირის სონეტების ახალი თარგმანები, რომლებმაც გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას, გერონტი ქიქოძის და სხვა მრავალთა აღფრთოვანება გამოიწვია.

რეზო თაბუკაშვილის შემოქმედება მეტად მრავალფეროვანია. მან ხელოვნებისა და კულტურის ბევრ სფეროში იმოღვაწა და ყველგან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.

რ. თაბუკაშვილი ავტორია მშვენიერი პიესებისა: „ამხანაგი გიორგი" („რაიკომის მდივანი"), რომელიც 1953 წელს დაიდგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში (წიგნად გამოვიდა 1977 წ.) და გახდა ავტორის სამოქალაქო გაბედულების ნიმუში; „რას იტყვის ხალხი" (1956, მარჯანიშვილის სახ.თეატრში), „დენბურგის ზარი" (1970, რუსთაველის სახელობის თეატრი) და სხვ. მან დაწერა კინოსცენარები ფილმებისათვის: „წარსული ზაფხული" (1959 წ.), „ჯვარცმული კუნძული" (1968), „მზე შემოდგომისა" (1973), „რეპორტაჟი ნიდერლანდებიდან" (1976), აგრეთვე ლიბრეტოები ოპერებისათვის „მინდია", „ქაჯანა" და სხვ.

რეზო თაბუკაშვილმა 30 წელი მოანდომა შექსპირის სონეტების სრულად თარგმნას. ამ ხნის განმავლობაში მრავალგზის გადაამუშავა, დახვეწა და სრულყო თავისი სონეტები. 1979 წელს კი მან გამოაქვეყნა 154-ვე სონეტის უბრწყინვალესი თარგმანი, რომელმაც უდიდესი სიამოვნება მიანიჭა ჭეშმარიტი პოეზიის მოყვარულებს.

აი, როგორია ცნობილი 66-ე სონეტის რეზო თაბუკაშვილისეული თარგმანი:

„ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა,

რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.
რადგან უწმიდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.
ასე დაღლილი, ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს.

1970 წელს რეზო თაბუკაშვილმა კინოსტუდია „ქართულ ფილმთან" ჩამოაყალიბა მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანება, რომლის მეშვეობით მრავალი ეროვნული საქმის დაგვირგვინება შეძლო.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა რეზოს შემოქმედებაში უკანასკნელი 12 წელიწადი, როცა მან საზღვარგარეთ მოძიებული უნიკალური მასალების საფუძველზე გადაიღო სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტებად იქცნენ ქართული სულიერების ისტორიაში. 1980 წელს ეკრანებზე გამოვიდა კინოდილოგია „ქართველები იტალიაში", პირველი ფილმი, რომელშიც რეზო თაბუკაშვილი რეჟისორადაც მოგვეელინა. მასში გაერთიანდა ორი დოკუმენტური ფილმი - „კვალი ნათელი" და „ალპური ვარსკვლავი". ამას ავტორმა 1982-85 წლებში მოაყოლა კიდევ ორი. ერთში, „მთანი მაღალნი", გაერთიანებულია ფილმები - „მიხეილ ხერგიანი" და „ვიტორიო სელლა" მეორეში კი - „პირველად იყო სიტყვა" და „ფურცლები ფრანგული დღიურიდან". 1987 წელს რ.თაბუკაშვილმა გადაიღო „საქართველოს მეჯურჯლუთუხუცესი", რომელიც მიეძღვნა ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლს ქართველობის წინაშე. 1987 წელსვეა გადაღებული კიდევ ერთი დილოგია - „ნაძარცვის კვალდაკვალ" და „შორიელთა სიახლოვე". ასე ჩაუყარა მან საფუძველი ახალ

ჟანრს - ლიტერატურულ კინოს. ეს იყო ახალი გზა ერის სამსახურისა. ამ დოკუმენტურ ფილმებს თავად რეზო თაბუკაშვილი ახმოვანებდა.

,,დოკუმენტური კინო ჩემთვის ლიტერატურისაგან განდგომა როდია, ეს საკუთარი თავის ახალი ამპლუის ძიება და პოვნაა, - ამბობდა რ. თაბუკაშვილი — ეს ლიტერატურის პუბლიკაციის ჩემეული მეთოდია, ნანახისა და ნაგრძნობის გაზიარების საშუალებაა. ჩემთვის დოკუმენტური კინო ცხოვრებისეული სიმართლის ხელოვნების სიმართლემდე აზიდვის უნარია. ფილმისათვის ტრადიციული სცენარი არასოდეს დამიწერია. ჯერ მასალას, ფაქტებს ვეცემი ხოლმე, ვიღებ ყველაფერს, რაც ეპოქას, ქვეყანას, ადამიანს, კულტურის გენეზისს უკავშირდება. ზოგჯერ უეცრად გამიღიმებს ბედი. მაგალითად, ქართველი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ საფრანგეთში ფილმზე მუშაობისას, პარიზში ორი მშვენიერი მანდილოსნის კვალს მივაგენი. გალაკტიონ ტაბიძის მუზას - მერი შერვაშიძეს და მელიტა ჩოლოყაშვილს ტიციან ტაბიძის მუზას... დარწმუნებული ვარ დოკუმენტური კინოს დიდ მომავალში. ბევრი რამის გაკეთება მსურს... (ინტერვიუ გაზეთ ,,7 დღესთან“).

რ. თაბუკაშვილმა ვერ მოასწრო დაესრულებინა ათი წლის ნაფიქრი და ნაოცნებარი კინოტრილოგია რწმენაზე, რომელშიც სამი ფილმი უნდა ყოფილიყო გაერთიანებული - გაბრიელ ეპისკოპოსზე, ქეთევან წამებულსა და გრიგოლ ფერაძეზე. რ. თაბუკაშვილი და მისი ოპერატორი იური ბარამიძე ნახევრად მშიერ-მწყურვალნი, ხელში მძიმე აპარატურით ევროპაში ეძიებდნენ ქართველ მამულიშვილთა ნაკვალევს. სწორედ რეზომ მიაკვლია მიხეილ თამარაშვილის საფლავს, დაძლია რთული დიპლომატიური და ბიუროკრატიული დაბრკოლებანი, მისი ნეშტი ფაქტობრივად ხელით ატარა ოპერატორთან ერთად და საქართველოში (თავის ოჯახში) ჩამოასვენა. გააპატიოსნა, პანაშვიდები გადაუხადა და ერთი თვის შემდეგ დაკრძალა დიდების პანთეონში. ამას მართლაც დიდი კაცობა ჰქვია.

სიკვდილის წინ მან საფუძველი ჩაუყარა უნიკალურ საქმეს საზღვარგარეთთან წარსულ და თანამედროვე ურთიერთობათა კვლევის ცენტრს და მასში შემავალ ეროვნული მადლიერების ინ-

სტიტუტს, რომლებსაც უნდა წარმოეჩინათ საქართველოსთვის სიკეთის მკეთებელი უცხოელი პიროვნებების ღვაწლი და დამსახურება ქართველობის და მსოფლიოს წინაშე. სამწუხაროდ, ცოტა ხნის შემდეგ ამ ინსტიტუტმა არსებობა შეწყვიტა.

რეზო თაბუკაშვილის ფილმები თავიანთი მრწამსით, მიზანდასახულობით, ზნეობრივი თუ ეროვნული პოზიციით, მეცნიერული აღმოჩენებითა და შემოქმედებითი მიგნებებით ზოგადეროვნულ ფასეულობებად დარჩნენ საქართველოს ისტორიაში. ამ ფილმებმა და მისმა აეტორმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებასა და აღორძინებაში, საბოლოოდ კი ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენაში: თამარაშვილის საფლავის მიკვლევა და მისი ნეშტის საქართველოში ჩამოსვენება; უცხოეთში მიმფანტული ქართული კულტურის ძეგლთა მოძიება, აღნუსხვა და სამშობლოში დაბრუნება; საქართველოსთან დაკავშირებული უცხოური წერილობითი და ვიზუალური მასალის კვლევა-ძიება; უცხოეთში ქართველთა ნაკვალევზე ძეგლების და მემორიალური დაფების დადგმა; სამშობლოსათვის თავდადებულთა წარმოჩენა კუნძულ ტექსელის გმირებიდან ქეთევან წამებულამდე. ყოველივე ეს უამრავ სირთულესთან და ხიფათთან იყო დაკავშირებული. რეზო თაბუკაშვილი ერთგვარი ხიდი იყო, რომელიც ქართველ ემიგრაციას აკავშირებდა საქართველოსთან. მისი დამსახურებაა აგრეთვე საქართველოს გულშემატკივართა წრის გაფართოება უცხოეთის მრავალ ქვეყანაში.

რეზო თაბუკაშვილი თამარის ეპოქიდან ჩვენს დროებაში გადმოსულ ვაჟკაც რაინდს ჰგავდა. დიდი ერისკაცი, ფართო განათლებისა და ერუდიციის, ანალიტიკოსი და გულმეცნიერი დიპლომატი, სამშობლოს ინტერესებისათვის ხმალამოღებული მებრძოლი, უაღრესად პატიოსანი და მოკრძალებული, მომავალი თაობებისათვის გადაშლილი სიბრძნის წიგნი, დაუცხრომელი მოგზაური, გულგრილი ყოველგვარი კარიერისადმი სამშობლოს სამსახურის გარდა (მან უარი თქვა ბრწყინვალე დიპლომატიურ კარიერაზე, მინისტრობაზე და სხვა ტიტულებზე).

რეზო თაბუკაშვილი იყო ქართული არისტოკრატიზმის, სიდარბაისლის, სიდინჯის განსახიერება, უმაღლესი რანგის პროფე-

სიონალი და ჩინებული ორატორი, შეუბღალავი წარსულისა და გაუბზარავი სინდისის მატარებელი.

იშვიათად უნახავთ ჩვენს თანამედროვეებს ასეთი ჰარმონიული პიროვნება. მამაკაცური სილამაზით, მოხდენილობით, არტისტიზმით დაჯილდოებულს, ოჯახიც ასეთი ყავდა - მეუღლე ულამაზესი და უბრწყინვალესი მსახიობი მედეა ჯაფარიძე და ვაჟი - ცნობილი დრამატურგი ლაშა თაბუკაშვილი. ოჯახისა და მეგობრების დიდი მოყვარული იყო (ერთხელ ახალდაქორწინებული რეზო და მედეა მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში შესულან. სანამ თავისუფალ მაგიდასთან მივიდოდნენ, მთელი დარბაზი მათკენ შემობრუნდა თურმე. ორკესტრმა დაკვრა შეწყვიტა, ჯერ აღტაცების ხმები გაისმა, მერე კი ერთობლივმა ტაშმა იგრიალა - ღიან, სილამაზეს დაუკრეს ტაში).

რეზო თაბუკაშვილზე თხრობას დავასრულებთ მისი მიმართვით XXI საუკუნის ქართველებისადმი: „სულით უღრუბლოვ და მოწმენდილო წინაპარო ჩემო, ზოგჯერ უსაფლავოვ და დაუტირებელო უცხო ძვალშესალაგებში, უსაქართველოდ დარჩენილი, საქართველოთი რომ ცხოვრობდი, ხმლითა და გონებით რომ იღვწოდი საქართველოსთვის მაშინაც კი, როცა სამშობლო შენი, საკვიდრო შენი იმ ჩიტსა ჰგავდა, ღობეს რომ ეხვეწება, ქარს ნუ გამატანო. დღეს შენს ნაკვალევზე დავდივართ შენი შთამომავალნი, ღამეულად გამოსულნი იმ საუნჯის საძებრად, ჩვენთვის რომ გქონდა საკაიდღეოდ დაუნჯებული, მაგრამ ეშმაკთმიმგებების ხელით ქვეყნად რომ მიმოიფანტა, როგორც მარგალიტები უდაბნოში. ამ მიმოფანტული უბადლო ეროვნული მშვენიერების კვალზე შედგომა ალბათ უკვე თქვენ დაგედებათ ვალად, ალბათ უკვე თქვენ უნდა იღოთ ხელად, XXI საუკუნის ქართველებო, რომლებიც ჯერ არც კი დაბადებულხართ, ან მხოლოდ ახლა იბადებით!

ღმერთმა უტყუარი გეში, ყისმათი და ნათელი დღენი მოგცეთ ჩვენი საუნჯის სამძებრო გზებზე ხეტიალისას! უკუგეფანტოთ ყველა, ვინც წინ აღგიდგეთ - სიბრძნით აღჭურვილი მტერიც და ბრიყვი, შეუსმინარი შინმყოფი მოკეთეც! - „შრომაი და მოღვაწეობაი ღირსად ცხოვრებისაი... და უწყებაი ღირსისა მას მოქალაქეობისა“. კაცობრიობა იმ დროისათვის მაინც მოეგება ვინს, იმ

დროისათვის მაინც დაცხრებიან და დაგრილდებიან მსოფლიოს ამღვრეული ენებები და კაცთა მოდგმა ალბათ უფრო მოიცლის ამგვარი წმინდა ქმედებისათვის. დალოცვილ იქნეს ზნემაღალი ცხოვრება და ღვაწლი თქვენი, შთამომავალნო ჩვენნო, პატივდებულ და დიდებაგანფენილ საქართველოში"

გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე რეზო თაბუკაშვილმა დაწერა ლექსი-ანდერძი, რომელიც მომავალი თაობის სამოქმედო გეგმად უნდა იქცეს:

მშვიდობას ვეტყვი მალე ქართულ ზეცის საფირონს
და მცირე ტალღად შეეერწყმები ზღვას, უნაპიროს,
ქარს იმქვეყნიურს დაუახვედრებ მალე წინ აფრას,
დიდებულია! გარდვიქცევი უცებ წინაპრად.
და თუმცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა წვალებას,
სიკვდილი მაინც არ დაარქვათ გარდაცვალებას.
მე წავალ, რადგან დრო აღარ მაქვს უკვე არჩევნის,
მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები.
მეც გიმეგზურებთ, ცხოვრების გზას როცა გაჰყვებით,
მე დაგინახავთ, მაგრამ აღარ დაგენახვებით.
მე არასოდეს არ ვიქნები თქვენთან მოდავე:
სამშობლო თქვენი თუ არასდროს არ იცოტავეთ!
მაგრამ იცოდეთ, მე იმ დღიდან თქვენთან არა ვარ,
თუ სარბიელად საქართველო გეპატარავათ.
დამარცხებულნიც არასოდეს ჩანდეთ საბრალოდ,
ვინმეს სიგლახე კაცთა მოდგმას არ დააბრალოთ.
ტკბილი გექნებათ სიყმაწვილე, მერე სიბერეც,
სხვათა მიღწევით სიხარული თუ გაიბევრეთ.

ჭაბუა ამირეჯიბი

თანამედროეობის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მწერალი ჭაბუა (მზეჭაბუკ) ამირეჯიბი დაიბადა 1921 წლის 18 ნოემბერს თბილისში, იგი ძმისშვილია გამოჩენილი პოეტის და პოლიტიკური მოღვაწის შალვა ამირეჯიბისა (1887-1943), რომელიც საფრანგეთში, ემიგრაციაში გარდაიცვალა.

ჭაბუა ამირეჯიბის სიჭაბუკემ და ახალგზარდობამ ბოლშევიკური ტერორის პირობებში გაიარა. XX საუკუნის 20-30-იანი წლების რეპრესიებმა იმსხვერპლა მისი მშობლები (მამა, ირაკლი ამირეჯიბი) და უახლოესი ნათესავები, რომლებიც მაღალ ქართულ არისტოკრატიას ეკუთვნოდნენ. მათ ჩაუნერგეს მომავალ მწერალს მეამბოხე სული და სიძულვილი ბოლშევიზმისა, რომელიც არად აგდებდა ადამიანის სიცოცხლეს და მის უფლებებს.

თანამედროვე ქართველ მწერლებში ჭაბუა ამირეჯიბი უნიკალური ბიოგრაფიით გამოირჩევა. სწორედ ეს მძაფრი ბიოგრაფია გახდა მისი მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილების წყარო. მწერლის რთული ცხოვრება და თავგადასავალი მშვენივრადაა ასახული ავტობიოგრაფიულ რომანში „გორა მბორგალი“ (წვართანი ყოფნათა, აღსრულებათა და მიქცევათათვის, თბ., 1995).

ამირეჯიბთა გვარის ისტორია საუკუნეთა სიღრმეში იკარგება. თავად ჭაბუა ამირეჯიბის მოგონებით, 1924 წლის აგვისტოს აჯან-

ყების შემდეგ (როცა დაიწყო საშინელი რეპრესიები და ათასობით ხვრეტდნენ წარჩინებული გვარის შვილებს), ,,პაპაჩემის ძმამ იულონ ამირეჯიბმა სახლიდან ერთი დიდი სკივრი წაიღო და ყუბანში გადამალა თავის მეგობრებთან - აქ ქვეყანა აირია და კომუნისტები ამ სკივრს უთუოდ წარგვართმევენო" - უთქვამს. ცოტა ხანში თავად იულონი გარდაცვლილა ისე მოულოდნელად, რომ სკივრის ადგილსამყოფელის შესახებ არავისთვის გაუმხელია. ორი წლის შემდეგ ჭაბუას პაპა გიგო ჩასულა ყუბანში, დიდხანს უძებნია სკივრი, მაგრამ ვეღარაფრისთვის მიუგნია. სკივრი დაკარგულა. საქმე ის არის, რომ სკივრში ამირეჯიბთა საგვარეულო სიგელები და გუჯრები იყო თურმე, მეცხრე საუკუნიდან მოყოლებული. მათი სრულყოფილი აღდგენა თავიდან ბოლომდე მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა.

თავდაპირველად ამირეჯიბები სხვადასხვა გვარის ადამიანები იყვნენ, ვინაიდან ამირეჯიბობა თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო და ეჯიბთა უფროსს ნიშნავდა. ჭაბუას წინაპრები ქობულისძენი ყოფილან (,,ამირეჯიბობა ქობულისძეთა მართებს" - ასე წერია ,,ხელმწიფის კარის გარიგებაში").

ამირეჯიბი მანდატურთუხუცესის მოადგილე იყო. მას ევალებოდა სამეფო კარზე კონტრდაზვერვის ხელმძღვანელობა, დარბაზობისა და პურობის ცერემონიები, წესრიგის დაცვა, შეთქმულებათა აღკვეთა და ა.შ.

რუსუდან მეფის შვილის - დავით ნარინის ამბის გასაგებად მონღოლებთან წარგზავნილი ბეშქენ ამირეჯიბისათვის გაუტანებიათ თამარ მეფის ნაქონი ჯვარი. ამ ჯვარმა ჭაბუამდეც მოაღწია თურმე, მწერალსაც ჭერია ხელში. მერე ჭაბუას მამას ირაკლის ივანე ჯავახიშვილისთვის გადაუცია სამუზეუმოდ, თუმცა ჩეკისტებს მაინც გაუქრიათ იგი მუზეუმიდან.

არსებობს ცნობა, რომ მონღოლებთან დაპირისპირების გამო სიკვდილით დაუსჯიათ 61 ამირეჯიბი. ისტორიიდან კარგადაა ცნობილი ქუცნა ამირეჯიბი სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი, რომელიც რამდენჯერმე წარგზავნეს ბაგრატ V-მ და გიორგი VII-მ ელჩად კონსტანტინეპოლს. თემურ-ლენგის დამანგრეველი ლაშქრობების შემდეგ მან აღდგენითი სამუშაოები წა-

მოიწყო - განაახლა ულუმბისა და ნაბახტევის ეკლესიები (ხაშურის რაიონშია). იგი გამოხატულია კიდეც ნაბახტევის ეკლესიის კედელზე თავის მეუღლე რუსა ამირეჯიბთან ერთად, რომელმაც დიდი როლი შეასრულა დანგრეული სვეტიცხოველის აღდგენაში. ქუცნას და რუსას ქალიშვილი ნათია ცოლად ჰყავდა საქართველოს მეფეს კონსტანტინეს, რომლის შვილი იყო ალექსანდრე I „დიდი" (1412-1442წ.წ.). ამირეჯიბების გვარმა საკმაოდ ბევრი პატრიოტი და ცნობილი ადამიანი მისცა საქართველოს და დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის განვითარებაშიც.

ჭაბუა ამირეჯიბი თბილისის 46-ე არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შეეიდა ამიერკავკასიის ელექტროტექნიკუმის რადიოფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1938 წელს III რანგის სამხედრო რადიოტექნიკოსის წოდებით. 1939 წელს მწერალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, საიდანაც 1940 წელს გადავიდა ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1941 წლის 22 ივნისს, ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს სამხედრო საშსახურში. 1938 წელს მამის დახვრეტის შემდეგ ჭაბუას დედა მარიამ ნაკაშიძე 3 წლით დააპატიმრეს, თუმცა შემდეგ მან კიდევ 10 წელი გაატარა საპყრობილეში. 1942 წლის აგვისტოში ჭაბუა დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან, როგორც „არასწორად გაწვეული" (ვინაიდან რეპრესირებულთა ოჯახს ეკუთვნოდა).

თბილისში დაბრუნებისთანავე ჭაბუამ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1943 წლის ბოლოს იგი თანამოაზრეებთან ერთად დააპატიმრეს როგორც არალეგალური იატაკქვეშა ორგანიზაციის „თეთრი გიორგის" წევრი. მათ ბრალად დასდეს შეიარაღებული აჯანყების მოშზადება საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. ჭაბუა ამირეჯიბს მიუსაჯეს 25 წლიანი პატიმრობა. სპეციალურ საქმეთა პროკურორმა იგი გაასაჩივრა - როგორც ლმობიერი სასჯელი და მწერლის დახვრეტა მოითხოვა. ჭაბუამ სიკვდილმისჯილთა საკანში გაატარა 2,5 თვე, თუმცა ტრიბუნალმა ძველი განაჩენი დატოვა ძალაში. იგი სასჯელს იხდიდა ყარაგანდის, კოლიმის, მორდოვეთის, ტაიმირის ნახევარკუნძულის, აღმოსავლეთ ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის

პატიმართა პანაკებში. იგი პატიმრობის დროს იყო ჩრდილოეთ ოსეთის სატყეო კომბინატის დირექტორი (1945-47), ბელორუსიის ტყის დამშუშავებელი კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი (1947-50). ჭაბუა ამირეჯიბი პატიმრობიდან სამჯერ გაიქცა. ერთ-ერთი გაქცევის გამო მეორედ მიუსაჯეს დახვრეტა, რომელიც შეუცვალეს ახალი ვადის დამატებით. საერთო ჯამში მას 83 წელი ჰქონდა მისჯილი — ძირითადი 25, კიდევ ორჯერ 25 გაქცევებისთვის და 8 წელი გაქცევის მცდელობისთვის.

პატიმრობის დროს ჭაბუამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ყარაგანდისა და ტაიმირის პოლიტპატიმართა აჯანყებებში (რომლებსაც კომუნისტები საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ). იგი იყო ამ აჯანყებათა ორგკომიტეტის წევრი. დოქტორ მაქსიმ მინცთან ერთად ჭაბუა ავტორია აჯანყებულთა ცნობილი მოთხოვნებისა, რომელთა თორმეტივე პუნქტი იძულებით შეასრულა კომუნისტურმა ხელისუფლებამ, რასაც პოლიტპატიმართა მასობრივი გათავისუფლება მოჰყვა.

პატრიოტი და მეამბოხე ჭაბუა ამირეჯიბი გადასახლებიდან 1959 წლის დეკემბერში დაბრუნდა და 38 წლის ასაკში მწერლობა დაიწყო. 1960 წლის იანვარში ჟურნალ „მნათობის" პირველ ნომერში ცნობილი პოეტის სიმონ ჩიქოვანის რეზოლუციით დაიბეჭდა ჭაბუა ამირეჯიბის პირველი მოთხრობა „რატომ არ დამაცადე". ამის შემდეგ სხვადასხვა ჟურნალებში იბეჭდებოდა მისი მოთხრობები და სტატიები. იგი ქმნიდა სცენარებს დოკუმენტური და მულტიპლიკაციური ფილმებისათვის. გამოიცა მისი მოთხრობების კრებულები - „გზა" (1962), „ძია შოთას ბადია" (1965), არაკების კრებული „თაფლის წვეთი" (1967), რჩეული მოთხრობების კრებული რუსულად „Цена перевала" (1966), მოთხრობების წიგნი „ჩემი მეჯღანე ბიძა" (1965), ნოველა „გიორგი ბურდული" (1965), „ხარის აღსარება" და სხვა, რომლებმაც მოკლე პერიოდში წარმოაჩინა მწერლის ნიჭიერება და ორიგინალური ხელწერა. 1972 წელს ჟურნალ „ცისკრის" მე-7 ნომრიდან დაიწყო ჭაბუა ამირეჯიბის ეპოქალური რომანის „დათა თუთაშხიას" ბეჭდვა, რომელსაც მწერალი თითქმის 10 წლის განმავლობაში ქმნიდა (1964-1974). ამ შედევრმა უდიდესი აღიარება მოუტანა მწერალს - არა

მარტო საქართველოში. იგი ითარგმნა და გამოიცა მსოფლიოს 30-მდე ენაზე. რომანს და მის ავტორს მიეძღვნა აღფრთოვანებული რეცენზიები და ლექსები. ამ რომანის მიხედვით ავტორისავე სცენარით გადაღებული იქნა ბრწყინვალე კინოსურათი „დათა თუთაშხია“ (რეჟისორები გიგა ლორთქიფანიძე და გიზო გაბესკირია, მთავარი როლის შემსრულებლები - ოთარ მელვინეთუხუცესი და თენგიზ არჩვაძე, შვიდ სერიად). ეს ფილმი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აჩვენეს.

1977 წელს რომანი „დათა თუთაშხია“ და მისი ავტორი წარადგინეს რუსთაველის სახელობის პრემიაზე, მაგრამ კომუნისტურმა ხელისუფლებამ მას ეს პრემია არ მისცა, თუმცა კინოფილმ „დათა თუთაშხიას“ ავტორს და დამდგმელ კოლექტივს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მაინც მიენიჭა. ჭაბუა ამირეჯიბის თქმით, „თვით დათა თუთაშხია და რომანის სხვა გმირებიც სამპლანიან სახეებად იყვნენ ჩაფიქრებულნი: პიროვნება - ერი - კაცობრიობა. ამას განზოგადებული მხატვრული სახეები ჰქვია. ჩანაფიქრის მეტი გამომსახველობისათვის რომანში, ძირითადი სიუჟეტის პარალელურად, წმინდა გიორგის სახე გამოვიყვანე (წმინდა გიორგის მითოსი ხალხისთვის თავდადების, ერის ხსნის, სხვათა სიკეთისათვის მსხვერპლად მისვლის, სამართლიანი საქმის ძლევამოსილების სიმბოლოა - ვ.შ.). სამწერლო ტექნიკაში ეს ცნობილი ხერხია. „დათა თუთაშხიაში“ წმინდა გიორგის ჩემს მიერ ინტერპრეტირებული მითოსი ხუთ ნაწილად დაეყავი. პირველი ნაწილი მთელ რომანს წავუმძღვარე და იგი ნაწარმოების საერთო პრობლემატიკის პარალელურია. ყოველ კარს თავისი ეპიგრაფი აქვს. მითოსის ამ ნაწილებში თუთაშხიას ხასიათის დინამიკა „დათა თუთაშხიას“ დინამიკას დავამთხვიე“. კრიტიკოსთა აზრით, რომანის მთავარი გმირები და ეპიზოდებიც ერთმნიშვნელოვანნი არ არიან და ისინი ყოველთვის გადატანით (ალეგორიულად, პარაბოლურად) მიანიშნებენ „სხვა“ სინამდვილეზე. კითხვაზე - როგორ მუშაობთ, სად, რა დროს? მწერალი პასუხობდა: „მუშაობის რაიმე სისტემა არ გამაჩნია. ამას წინათ შინ ათი დღე ვიჯექი, 160 საათი ვიმუშავე. მანამდე მთელი თვე არ მივჯდომივარ მაგიდას. როცა მეწერება, არც ღამე ვიცი, არც დღე. არც სხვა რამ საქმე და არც

ის მანერვიულებს, თუ ვინმემ ან რაიმემ მუშაობა შემაწყვეტინა. მგონი არასოდეს არაფერი დამიწერია ისე, რომ თავიდან დავყოლოდი და ბოლოში ჩავსულიყავი. წერას ვიწყებ მაშინ, როცა იმ დასაწერს მთლიანობაში დავინახავ, მერე ვწერ ნაჭერს, რომელიც იმ მომენტში მაინტერესებს და მეხალისება. „დათა თუთაშხია“ სულ ნაჭერ-ნაჭერ და აბდა-უბდად მაქვს დაწერილი. როცა ჩავთველი, რომ ყველაფერი დაწერილია, ვიწყებ კომპოზიციაზე მუშაობას, ანუ მასალის უსწორესი განლაგების ძებნას და ეს ყველაზე შრომატევადი, რთული და შარიანი სამუშაოა - მორგება-მიჯრამისადაგებისა და გადაკეთება-შევსება, გადაყრის პროცესი. ერთი არსებითი რამ: დედანი დამყავს ისეთ კონდიციამდე, როცა მას სიტყვა-სიტყვით, ასო-ასო მიიღებენ ისე, როგორც მივიტანე, ან არ მიიღებენ, მაგრამ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ რედაქციას ასეთი ნაწარმოები ხელს არ აძლევს... გმირის გვარსახელის შერჩევა ჩემთვის წმინდად ქვეცნობიერი რამ არის. როდესაც ბოლომდე ვგრძნობ ამა თუ იმ, თუნდაც მესამეხარისხოვანი გმირის ხასიათს, მისი რამდენიმე გვარსახელი თავისთავად მოდის. შერჩევისას ფონეტიკურ მონაცემებს ვაქცევ ყურადღებას ხან ალიტერაციას ვამჯობინებ, ხან პირიქით. ქვეცნობიერება გვარსახელის ძებნისას, მგონი, ხასიათის ფონეტიკურ, თუ შეიძლება ითქვას, მუსიკალურ ადექვატს პოულობს... ავტორისა და მისი გმირების ბიოგრაფიული მსგავსება ჩვეულებრივი რამ არის. იმის წერა, რაც იცი - ყოველთვის ჯობია იმის წერას, რაც არ იცი“.

რომან „დათა თუთაშხია“-სა და ამავე სახელწოდების ფილმის შესახებ დაიწერა ათეულობით რეცენზია, სტატია, წერილი და დისერტაციაც როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ფილმზე მუშაობის დამთავრების შემდეგ ჭაბუა ამირეჯიბი შეუდგა ახალი რომანის წერას, რომელიც ეძღვნებოდა გიორგი მეხუთეს. რამდენიმე ნაწყვეტი გამოქვეყნდა კიდეც, მაგრამ მსოფლიოში და საქართველოში დატრიალებული ახალი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების გამო მწერალმა საჭიროდ ცნო გადაედო მუშაობა ამ წიგნზე და შექმნა ნაწარმოები, რომელიც შეესაბამებოდა დროის მოთხოვნებს. „გორა მბორგალი“ - ასე ჰქვია ამ ავტო-

ბიოგრაფიული ხასიათის რომანს, რომელიც 1984-1994 წლებში იწერებოდა. რომანი წიგნად გამოვიდა 1995 წელს და მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია უკვე დამოუკიდებელ საქართველოში. იმავე წელს რომანი დაიბეჭდა მოსკოვში ჟურნალში „Знамя", 1996 წელს კი გამოიცა შვედურ ენაზე სახელწოდებით „უკანასკნელი გაქცევა". რომანში მოქმედება მიმდინარეობს კომუნისტური რეჟიმის დასრულების ხანაში - XX საუკუნის 80-იან წლებში, თუმცა მთლიანობაში ნაჩვენებია საბჭოური ცხოვრების ჯოჯოხეთი. რომანი იმგვარად არის ჩაფიქრებული, რომ მთავარი პერსონაჟის ცხოვრება სიმბოლურად გაიაზრება მთელი ერის ცხოვრებად, მისი ხვედრი და ბედი - ერის ხვედრად და ბედად. რომანში აღწერილი მოვლენები მხოლოდ ნაწილობრივ უკავშირდება ციხეებსა და ბანაკებს. მოგონებების, განსჯის, ფიქრის დიდი ნაწილი ეთმობა ავტორის ბავშვობასა და სიჭაბუკეს დაპატიმრებამდე, იმდროინდელი თბილისის ყოფას, მისი ოჯახის, ნათესავების, ახლობლების, მეგობრების, ზოგჯერ სულაც უბრალო ნაცნობების, ხან კი უცნობ პირთა თავგადასავალს, საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი უახლოესი წინაპრების მონათხრობებს, რასაც XIX საუკუნის პირველ ნახევრამდეც მივყავართ. ასე იქმნება ნოველების, მცირე ეპიზოდების, ეტიუდების, ჩანახატების გალა, რომელიც საქართველოს ცხოვრების ლამის ორსაუკუნოვან სურათს წარმოსახავს და ასხმულია ძირითად სიუჟეტურ ღერძზე - გორას მსვლელობაზე იმპერპოლარეთიდან რკინიგზამდე. სიცოცხლისაკენ, თავისუფლებისაკენ თავგადაკლული სწრაფვა მწერლის (გორას) განუშორებელი იდეალია, რომელიც არსებული რეჟიმის პირობებში მარცხით მთავრდება. აქ ანალოგიაა ვაჟა-ფშაველას გმირებთან - ცხოვრებისეული დამარცხება, მაგრამ სულიერი გამარჯვება და აღზევება, იდეალის გამარჯვება. ამ სულისკვეთებით აღზარდა გორა პაპამ, იაგორ კარგარეთელმა, რომელმაც „ქაღალდზე დამიწერა, თავთით კედელზე გამიკრა: **ღმერთო არ მომაკლო გასაჭირი, რომ სული ვწვართო, მაგრამ ისეთი გასაჭირი, რომ მიჭირდეს მხოლოდ მე**" (რევაზ თევზაძე).

ძალზე საინტერესოა ერეკლე კარგარეთელის შეგონებანი, რომ **„რევოლუცია დრომოჭმულის აგონია, დასანგრევის ნგრევაა. მის**

ბელადად მხოლოდ ისეთი კაცი მოდის, ვისაც ახლის შენების ჟინი ბუნებით არ გააჩნია, ან ამ ასპარეზზე ხელი აქვს მოცარული, მაგრამ კარგად აქვს შესწავლილი მასების პოლიტიზების, მათი დამუხტვისა და ამოძრავების ხერხები. ახლის შექმნა ტალანტია. დრომოჭმულის ნგრევა სტიქია, ვითარების გამოყენების ცხოველური ინსტინქტია. ხელმოცარულებს თვითდამკვიდრების წყურვილი რევოლუციური ასპარეზისაკენ მიერეკება, რადგან მათი ადამიანური თვისებები და შესაძლებლობები ნგრევის უნარით ამოიწურება. მათ ძალუძთ მოახდინონ რევოლუცია, ანუ დაანგრიონ დრომოჭმული, მაგრამ არ შესწევთ უნარი, ააგონ სისტემა, ააშენონ სახელმწიფო, რადგან ახლის შექმნა შემოქმედებაა და მათ კი ეს მადლი არ გააჩნიათ. კაცობრიობის ისტორიაში ძნელად მოიძებნება მაგალითი, რევოლუციის ბელადს ძველის დანგრევის შემდეგ ახალი სისტემა თავადვე აეგოს. ეს სხვათა ხვედრია, მათ შემდეგ მოსული კაცებისა. რევოლუციონერები გამარჯვების შემდეგ ერთმანეთზე იწყებენ ნადირობას"; უაღრესად საყურადღებოა ასევე ჩანძოლინის შეგონებანი: „ხელმოცარულთა ბოლო თავშესაფარი პოლიტიკანობაა. ეხლა ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, თუ რა შემთხვევაში ვერ აღწევს ადამიანი დასახულ მიზანს, რა თვისებებით მოდის პოლიტიკაში. გამარჯვების მთავარი პირობა უნიჭობაა. ნიჭი თუ გაქვს, საქმეს ვერ მოერევი, მიზანს ვერ მიაღწევ, მაგრამ მხოლოდ უნიჭობა არ კმარა. აუცილებლად საჭიროა იმის რწმენაც, რომ დამარცხებათა მიზეზი შენში კი არა, გარემოცვაშია. არც ეს კმარა. დამარცხებებმა განდიდების მანია უნდა შეგძინოთ. ეს ადვილია, რადგან თქვენ ყველას მშობლები განებივრებდნენ და გენიალური ბავშვის კომპლექსს გიყალიბებდნენ. განდიდების მანია იმისთვის არის საჭირო, რომ ეჭვის გარეშე გწამდეს საკუთარ შესაძლებლობათა უსაზღვროება. მასა, ყოყმანი თუ შეგნიშნა, არ გამოგყვება. კიდევ ერთი რამ არის საჭირო სიმხდალე. სიმხდალე განდიდების მანიის თანამავალია და მომდინარეობს რწმენიდან, რომ მე თუ დავიღუპები, ჩემს გასაკეთებელს სხვა ვერავინ გააკეთებს... სიბრძნე აჯანყებას ვნებს, სიბრძნე აჯანყებამდე და მისი დამარცხებისა თუ გამარჯვების მერეა საჭირო... ახალ რელიგიებსა თუ იდეოლოგიებს პარანოიკები

ამკვიდრებენ. მასას პარანოიკისა მეტად სჯერა, ვიდრე ბრძენისა, მიპყვება მას, ამკვიდრებს პარანოიკსაც, მის მოძღვრებასაცა და ყოველივე ეს ქურუმთა თვალთმაქცობით თავდება. ასე იყო, ასე არის, ასე იქნება... თვით სტალინის ფენომენი მისი ხანგრძლივი ერთმმართველობითაც აიხსნება. ისტორიას თუ მივმართავთ, დიდი სახელი და დიდი საქმეები უმეტესად იმ მეფეთა ხვედრია, ვინც დიდხანს იმეფა...“

„გორა მბორგალის“ გამოსვლის შემდეგ ჭაბუა ამირეჯიბმა განაგრძო მუშაობა რომანზე „გიორგი ბრწყინვალე“, მაგრამ 81 წლის ასაკში უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა - ვაჟკაცურად გაუძლო ყოველივეს, ფაქტობრივ საიქიოდან გამობრუნდა, გამოკეთდა და წიგნის დასრულება მაინც შეძლო. რომანი „გიორგი ბრწყინვალე“ 2003 წელს დასრულდა და 2005 წელს წიგნადაც გამოიცა. თხრობა წარმოებს მეფის პირით, გიორგი თავად ჰყვება თავისი და იმდროინდელი საქართველოს ისტორიას. დიდებული მიგნებაა დროისმიერ პლანთა მონაცვლეობა (საკუთრივ გიორგის შემოხმიანება ზესთა სოფლიდან, მისი გარდასხეულებანი, რეინკარნაცია, ილია ჭავჭავაძის ხილვა XIV საუკუნეში და სხვანი), რაც ერის მარადიული ყოფის იდეას ჩინებულად ესადაგება (რ. თეარაძე).

ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედება დღეს საყოველთაოდ არის აღიარებული. მისი ბიოგრაფია და თხზულებათა მოკლე ანალიზი მსოფლიოს მრავალ ცნობილ ბიოგრაფიულ ცნობარშია შეტანილი. იგი „მსოფლიოს ინტელექტუალთა საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელია. მისი თხზულებები თარგმნილი და გამოცემულია მსოფლიოს ოცდაათამდე ენაზე. იგი ნობელის პრემიის სამგზის ნომინანტია (ძირითად ხუთეულში მოხვედრილი), არის საერთაშორისო პენ-კლუბის საქართველოს ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი და საპატიო პრეზიდენტი, მისი სახელი მიენიჭა საქართველოს სანაოსნოს ერთ-ერთ ტანკერს, რომელიც აიგო სამხრეთ კორეაში.

ჭაბუა ამირეჯიბი იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და პარლამენტის წევრი, საქართველოს თავდაცვის ფონდის თავმჯდომარე (1992-2000 წწ.), მინიჭებული აქვს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხისა და ღირსების ორდენები, თბილისის საპატიო

მოქალაქეობა (2001 წ.). ჭაბუა ამირეჯიბის ვაჟმა ქუცნამ მწერალზე გადაიღო დოკუმენტური ფილმი „მარბენალი“.

მწერლის მეუღლეა პოეტი თამარ ჯავახიშვილი - მისი ცხოვრების და შემოქმედების დიდი მოამაგე. ჭაბუა ექვსი შვილის მამაა (მანანა, ლეილა, ირაკლი, ლაშა, ქუცნა და შალვა). ოთხივე მისი ვაჟიშვილი მონაწილეობდა საქართველოს ერთიანობისათვის „აფხაზეთის ომში“ (1992-93). უფროსი ვაჟი - ირაკლი გმირულად დაიღუპა. სიკვდილის შემდეგ ირაკლის ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი მიენჭია. მწერალს ჰყავს 10 შვილიშვილი და 4 ბადიში.

ღმერთმა კიდევ დიდხანს გვიცოცხლოს ეს მართლაც საამაყო მამულიშვილი!

ოთარ ჭილაძე

თანამედროვე ქართული მწერლობის „სინდისი“, უნიჭიერესი შემოქმედი და მოაზროვნე ოთარ ჭილაძე იმითაც არის გამორჩეული, რომ იგი ერთნაირად ძლიერია პროზაშიც და პოეზიაშიც.

ოთარ ჭილაძე დაიბადა 1933 წლის 20 მარტს. ამ დროს მისი ოჯახი (1943 წლამდე) ბათუმში ცხოვრობდა. მამა ივანე ჭილაძე, პროფესიით ეკონომისტი, ბათუმში სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა. დედა თამარი, ტრადიციული ქართული ოჯახის ბურჯი და დიასახლისი, მოსალოგინებლად მშობლებთან ჩავიდა კახეთში, სიღნაღში, სადაც დაიბადა მომავალი მწერალი.

1944-46 წლები - ომიანობის ეს ავადმოსაგონარი პერიოდი ჭილაძეების ოჯახმა სიღნაღში გაატარა. მაშინ თითქმის ყველას ერთნაირად უჭირდა, ამიტომ ოთარმაც უმძიმესი ბავშვობა გაიარა.

ომის დამთავრების შემდეგ ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. სწორედ აქ დაამთავრა ოთარ ჭილაძემ თბილისის (ვაჟთა) VII სკოლა 1951 წელს.

1951-56 წლებში ოთარ ჭილაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი იყო. ლექსების წერა უფროსი ძმის, ცნობილი

მწერლისა და დრამატურგის თამაზ ჭილაძის მიბაძვით დაიწყო. პირველი ლექსები 1952 წელს გამოაქვეყნა უნივერსიტეტის ალმანახ „პირველი სხივში"; პირველი პოეტური კრებული კი 1959 წელს - სათაურით „მატარებლები და მგზავრები".

ოთარ ჭილაძის პოეზიამ თავიდანვე მიიქცია ქართველი მკითხველის და სპეციალისტთა ყურადღება თავისი ნოვატორული ხასიათით, უჩვეულობით, უშუალობით. მისი ლექსებისთვის დამახასიათებელია თანამედროვე ურბანისტული სული, პრინციპული ეროვნული და მოქალაქეობრივი პოზიცია, ეპოქის სუნთქვა და თანამედროვე სულისკვეთება. ოთარ ჭილაძემ დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში ახალი ტიპის ლირიკული პოემა. მომდევნო წლებში მან დაწერა და გამოაქვეყნა ლექსებისა და პოემების კრებულები: „თიხის ფირფიტები" (1963), „რკინის საწოლი" (1965), „სინათლის წელიწადი" (1967), „ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით" (1968), „ცხრა პოემა" (1969), „გულის მეორე მხარე" (1974), „გახსოვდეს სიცოცხლე" (1984) და სხვ.

1970-იანი წლებიდან ოთარ ჭილაძემ ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო პროზაში და შექმნა ბრწყინვალე რომანების მთელი ციკლი, რომელიც ახალი სიტყვაა ქართულ მწერლობაში. მისი რომანები - „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" (1973), „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან" (1976), „რკინის თეატრი" (1981), „მარტის მამალი" (1987), „აველუმი" (1995), „გოდორი" (2003) მკითხველის წინაშე წარმოაჩენს გამხრწნელი კომუნისტური იდეოლოგიის დანგრევის შედეგად წარმოქმნილ ღრმა ეროვნულ და ეთიკურ, ფილოსოფიურ და სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს. კომუნისტურ პერიოდში მწერალი იძულებული იყო იგავური, მინიშნებების, ღრმა დივერსიის ფორმით გადმოეცა ისტორია, მითოსი, რომლის საფუძველია მისი დაუცხრომელი ფანტაზია. სწორედ ამის მეშვეობით შექმნა მწერალმა განუმეორებელი მხატვრული სამყარო.

ოთარ ჭილაძემ თავისი დიდი ნიჭი თარგმანის ხელოვნებაშიც გამოავლინა. მან თარგმნა ჰ. ლონგფელოს „ჰაიავათას სიმღერა", პუშკინის პოემები, ჟ. რასინის „ფედრა" თავად მისი პოეტური და პროზაული თხზულებანი თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე. ოთარ ჭილაძეს მიენიჭა შოთა რუსთაველის (1983) და

ალ.ყაზბეგის (1999) სახელობის ლიტერატურული პრემიები.

მწერალი რამდენჯერმე იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში. პირველად იგი 1970-იან წლებში წარადგინა ჩეხეთის პენ-კლუბმა მწერლისგან დამოუკიდებლად. მეორედ წარდგენილ იქნა რომანი „ველუმი" და მისი მთელი შემოქმედება. იგი შეიყვანეს ნომინანტთა სიაშიც (პირველი ხუთეული), მაგრამ პრემია არ მიუნიჭებიათ. ასეთ დროს სახელმწიფოები აქტიურად ერევიან, ყველანაირი გზებით ცდილობენ თავიანთი ქვეყნის წარგზავნილისათვის პრემიის მინიჭებას (როცა კომუნისტებმა მიხეილ შოლოხოვი წარადგინეს ნობელის პრემიაზე, საბჭოთა კავშირმა წყალქვეშა ნავები მიაყენა შვეციის სანაპიროს, რამაც შედეგი გამოიღო). საქართველოს სახელმწიფომ და ხელისუფლებამ კი ვერც ოთარ ჭელიძეს და ვერც სხვა ქართველი მწერლების, ამ მხრივ, ზურგი ვერ გაუმაგრა.

ოთარ ჭილაძის მეუღლე იყო საოცრად ნატიფი და ლამაზი ქალბატონი ნანა თოფაძე, რომელიც დღეს ცოცხალი აღარ არის (მისი ძმაა ცნობილი ბიზნესმენი, ფირმა „ყაზბეგის" დამფუძნებელი გოგი თოფაძე. „ოთარი ძალიან მიყვარს, - ამბობს გოგი თოფაძე, - მე მას სიძეს არ ვეძახი. ის ჩემი ძმაა. მისნაირი პრინციპული და საღად მოაზროვნე დიდი ხალხი რომ ბევრი გვყავდეს, საქართველოს აუცილებლად ეშველებოდა". ჰყავს შვილები ზაზა და თაკო ჭილაძეები,-4 შვილიშვილი. იგი დღესაც აქტიურად მუშაობს, ამჟამად წერს ახალ რომანს.

ერთხელ კარისკაცებმა პკითხეს თურმე შამილს: გვითხარი, იმამო, რატომ აკრძალეთ ლექსების თხზვა და სიმღერა? შამილმა უპასუხა: „მე მსურს მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტები შერჩნენ პოეზიას. ჭეშმარიტი პოეტი ლექსს მაინც დაწერს. ცრუთა და ფარისეველთა, პოეტებს რომ უწოდებენ თავის თავს, შეეშინდებათ ამ აკრძალვისა, სულმოკლეობას გამოიჩენენ და დადუმდებიან. ამით თავის თავსაც აარიდებენ სიცრუეს და ხალხსაც (რასულ გამზათოვი, „ჩემი დაღესტანი"). სწორედ ასეთ ჭეშმარიტ მწერლებს მიეკუთვნება ოთარ ჭილაძე, რომელიც თავის გულისნადებს აკრძალვის ეპოქაშიც ამბობდა და ახლაც საჯაროდ წარმოაჩენს ეროვნულ სატკივარს.

მწერალთან საუბარში გამოიკვეთა ის პრობლემები, რომელიც გლობალიზაციის შედეგად კარს მოდგომია დამოუკიდებელ, მაგრამ არა თავისუფალ საქართველოს. ოთარ ჭილაძე დღევანდელი ქართველობისათვის მთავარ პრობლემას შინაგანი თავისუფლების მოპოვებაში და განთავისუფლებაში ხედავს - განთავისუფლება კომუნისტურ მონობაში შეძენილი ტვირთისაგან. იმასაც დიდი ცოდნა უნდა, ვისგან ან რისგან უნდა განვთავისუფლდეთ, რათა ახალი ,,კეთილი" ბატონები არ მოგვევლინონ ,,მზრუნველი" სახით.

დღევანდელი ჩვენი საზოგადოების უზნეობის სათავე კომუნისტური იდეოლოგია იყოო, რომელიც ინერციით კვლავ განაგრძობს არსებობას ჩვენში და სწორედ მისგან უნდა განვთავისუფლდეთ პირველ რიგში. ამას კი გარკვეული დრო დაჭირდება. ბავშვი და მომავალი თაობა კვლავ წიგნს უნდა დავუბრუნოთ, ამბობს იგი. კომპიუტერი, ინტერნეტი და თანამედროვე ტექნოლოგიები მხოლოდ წიგნზე აღზრდილ ბავშვს ჭირდება, თორემ იგი შეიძლება საშიშ იარაღად იქცეს უწიგნური თაობების ხელში. ჩვენი ხსნა მხოლოდ განათლებაში და თავაუღებელ შრომაშიაო, - ამბობს მწერალი.

აშშ-ში გამომავალ გაზეთ ,,ივერიასთან" ინტერვიუში (2004 წ.) ოთარ ჭილაძე დღევანდელ ბევრ საჭირბოროტო პრობლემას გაიაზრებს. ოთარ ჭილაძე რა უცხოეთში წასული ქართველების შესახებ იგი ამბობს, რომ ,,ემიგრანტობა ცხოვრების წესად თუ არა, მოდად ნამდვილად იქცა ჩვენში, რასაც თავის დროზე ხელისუფლებამაც შეუწყო ხელი (და ეს დღემდე გრძელდება - **ვ.შ.**). შეიძლება მკრეხელობას ჩავდივარ, მაგრამ ჩვენი ემიგრაციის მთავარი მიზეზი მაინც არასწორად გაგებული თავისუფლება მგონია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სამშობლოსგან ვთავისუფლდებით, ქართველობაზე ვამბობთ პირველ რიგში უარს და თუ ეს მართლა ასეა, ძალიან სერიოზული ძალისხმევა გვმართებს ყველას ამ დამღუპველი პროცესის შესაჩერებლად. ქართველმა ებრაელებმა, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცათ, გენი დაუბრუნეს სამშობლოს, ჩვენ კი, სამშობლოდან, უპირველეს ყოვლისა გენი გაგვაქვს. მშობლების, ბებია-ბაბუების პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მშობლი-

ურ გარემოს ძალით მოწყვეტილი ბავშვი ქვეყნის ქომაგად ვერ გამოდგება. ეროვნებაც სიქალწულესავითაა - თუ დაკარგავ, ვეღარასოდეს დაიბრუნებ, მაგრამ სიქალწულისგან განსხვავებით, მისი დაკარგვა სრულებითაც არ არის სასურველი. ჩვენ კი ძალით ვაკარგვინებთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს და, რაც მთავარია, დარწმუნებული ვართ, სწორად ვიქცევით, დროულად ავუღეთ ცხოვრებას ალღო და ქეჩოზე მოვექეცით ჩვენს წასალეკად აფოფრილ ტალღას, საიდანაც ყველასათვის ერთნაირად საიმედო მიწა კი მოჩანს, მაგრამ ჯერ ღმერთმა იცის, რა გველოდება ამ მიწაზე. აი, ამგვარი გაურკვევლობა სუფევს „საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფთა" შორის და მათი გაურკვევლობა აქ დარჩენილთა ფსიქიკაზეც ახდენს უარყოფით ზეგავლენას, ანუ აქაც თავისთავად იბადება ეჭვი, შიში, უნდობლობა, უიმედობა და საუკეთესო პირობები იქმნება ანტიეროვნული, ანტიქართული (რაკი ჯერ კიდევ ბევრს ადგას გულზე ჩვენი არსებობა!) იდეოლოგიის საქადაგებლად. ჩვენდა სამწუხაროდ, არც მოხალისე თუ მოსყიდული ქადაგია სანთლით საძებარი. ხოლო ყველაფრის თავიდათავი ისევ თავისუფლებაა, უფრო სწორად, ნაწყალობევი თავისუფლება, რითაც ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ჩვენი ორასწლიანი მონობა დამთავრდა თითქოს... თავისუფლება შენით უნდა მოიპოვო, განუწყვეტელი ბრძოლითა და შრომით. ჭირნახულივით უნდა მოიწიო, თორემ მწყალობელი, მით უფრო შენთან ისტორიულად დაპირისპირებული, აუცილებლად დაგათმობინებს რაღაცას, შეგაცელევინებს მაინც; ხოლო ანგარებით თავსმოხვეული ნებისმიერი ცვლილება, რა ხასიათისაც უნდა იყოს ის, ბოროტებაა. თუკი უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე ჩვენში მომხდარ ცვლილებებს თვალს გადავავლებთ, არც იმის დადგენა გაგვიჭირდება, ვისთვის იყო სასარგებლო ამგვარი ცვლილებები, „დანგრეული" იმპერიისათვის თუ „გათავისუფლებული" კოლონიისათვის. ამდენი გზასამცდარი ბავშვი, მოშლილი ოჯახი, სასოწარკვეთილი ადამიანი არც ერთ ისტორიულ ტრაგედიას არ დაუტოვებია ჩვენთვის... ის „ეპოქალური" გარდაქმნა, რომელიც ნაწყალობევ თავისუფლებას მოპყვა ჩვენში, სამწუხაროდ, მხოლოდ გვაფრთხობს და ავ წინათგრძნობებს გვიჩენს, რის გამოც თავისუფლების შეგრძნება პასუხისმგებლობის გრძნობას კი

არ გვიმძაფრებს საკუთარი ქვეყნის მიმართ, არამედ მონური თავ-შეკავებულობისა თუ მონური თავაშვებულობისკენ გვიბიძგებს... რომელ ლიტერატურულ პროცესებზე შეიძლება ლაპარაკი ხელოვ-ნურად ჩამკვდარ, ხელოვნურად დასაჭურისებულ ქვეყანაში, სადაც გამართულად მეტყველებაც უჭირს უკვე ხალხს და ჟურნალისტურ ილეთს მეტი გასავალი აქვს, ვიდრე მწერლურ მიგნებას... არ უნდა დაგვაეიწყდეს, ჩვენმა მტრებმა ჩვენზე უკეთ იციან ქართული მწერ-ლობის ფასი და იმასაც ისევე დაუნდობლობით ებრძვიან, როგორც ქართულ ენას, ქართულ ეკლესიას თუ ქართულ მეურნეობას, ანუ ებრძვიან ყველაფერ იმას, ურომლისოდაც, უბრალოდ, შეუძლებე-ლია, ქვეყნად იწოდებოდე, მით უფრო - სახელმწიფოდ. რასაკვირ-ველია, მტრების სიფერაგისა და სისასტიკის ბრალია ჩვენი მწერლო-ბის დღევანდელი საეალალო მდგომარეობა, ოღონდ, მტერში, მაინ-ცდამიანც ჟირინოვსკის კი არ ვგულისხმობ, არამედ ჩვენიანსაც, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, ჟირინოვსკიზე დაუნდობელიც აღმოჩნდეს საკუთარი სისხლისა და ხორცის მიმართ. მართალია, რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის ლეკვები ვართ, მაგრამ ბოლოს, ეტყობა, მაინც გავტყდით, ერთმანეთს დავე-რიეთ, მტრების გულის გასახარად... მაინც, ვიდრე ლიტერატურა გვახსოვს, და ლიტერატურაზე ვლაპარაკობთ, ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა, ყველაფერი შეიძლება გამოსწორდეს, რამდენადაც ჩვე-ნი დღევანდელი მდგომარეობა ბუნებრივი მოვლენის კი არა, სწო-რედაც რომ არაბუნებრივი, ხელოვნურად შექმნილი, შეგნებულად დამახინჯებული მოვლენისა თუ მოვლენების კანონზომიერი შედე-გია. ხალხის მახსოვრობა მოკლეა და, თუკი იკადრებ, შეგიძლია იმდენჯერ მოატყუო, რამდენჯერაც მოგესურვება. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, ხანდახან შეგნებულადაც იტყუებდეს ხალხი თავს... ტყვეობაში შობილი თაობა კი მოვიდა, მაგრამ აკრძალულსა და წარმოდგენილ თავისუფლებას, რომელსაც, მართას მსგავსად, მერცხლებისა და ყვავილების სახით გამოხატავდა ტყვეობაში, ხელისუფლებისაგან შემოთავაზებული (გნებავთ შემოპარებული) ყველაფრის უფლება ამჯობინა, ანუ, პირველ რიგში, მერცხლებ-სა და ყვავილებს აუბზუა ცხვირი და, მოსელისთანავე, დაგმო

სწორედ ის, რამაც ხელი შეუწყო, უფრო მეტიც, რამაც საერთოდ განაპირობა მისი განთავისუფლება. ეს კი თვითმკვლელობის ტოლფასი აქტია. არადა, ბოლო ორი საუკუნის მანძილზე, ანუ, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მონობის ჟამს, ცენზურის განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ შექმნილი ქართული ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ადამიანის გაუტეხლობის, მისი ამოუწურავი ენერგიისა და შინაგანი თავისუფლების სადიდებელია. თუკი წერა ძნელი იყო როდისმე, მაშინ იყო ძნელი. უფრო მეტიც, წერა მაშინ ომს ნიშნავდა და ყველა როდი ბრუნდებოდა იმ ომიდან ცოცხალი. ბევრმა მწერალმა დადო თავი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ადამიანური და მწერლური ღირსების დასაცავად. წერა დღესაა ადვილი, მაგრამ იმიტომ კი არა, ცენზურა რომ აღარ არსებობს, არამედ იმიტომ, ორსაუკუნოვან ომში დაღუპულ (შეშლილ, დახვრეტილ, ნაწამებ, თვითმკვლელ) მწერლების შთამომავალმა განთავისუფლებისთანავე რომ თქვა უარი მწერლობის ტრადიციულ დანიშნულებაზე, ანუ, ჩვენი ისტორიული პრობლემა გადაწყვეტილად მიიჩნია და უცხოელი ექსპერიმენტალისტების მიბაძვით, უაღრესად „თანამედროვე“ და „აქტუალური“ თემებით დაინტერესდა, როგორიცაა, თუნდაც, ჰომოსექსუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი თუ გლობალიზაცია, ანუ მშობლიური ისტორიის კრიტიკა და მშობლიური კულტურის უარყოფა. ქართული მწერლობა მონობაშია შექმნილი, ოღონდ, თავისუფალი ადამიანისათვის, დღეს კი, მეტნაკლებად თავისუფალ საქართველოში, ძირითადად მონებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა იწერება და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ყაზბეგისა და ჯავახიშვილის წიგნებზე უკეთ საღდება. ამგვარი ლიტერატურა, რა თქმა უნდა, ზნეშეცვლილ ოჯახთან, ფუნქციადაკარგულ სკოლასთან და კორუმპირებულ საზოგადოებასთან ერთად, ხელს უწყობს ახალი ყაიდის, მე ვიტყოდი, ანტიქართული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც მხოლოდ და მხოლოდ მტრის წისქვილზე ასხამს წყალს და, ჩვენდა სამარცხვინოდ, მთლად ახალი მოვლენა არ არის ჩვენში... ჩვენი მისია უკვალოდ გაქრობა კი არ არის, მით უფრო ვინმეს ხათრითა ოუ შიშით, არამედ - გამორჩეული, განსაკუთრებული ხმისა და სახის, სულისა და ხასიათის შენარჩუნება სამყაროს აღსასრულამდე, რაც არ უნდა ძნელი მოსასმენი

იყოს ეს ვიღაც-ვიღაცეებისათვის. ისტორიულმა კატაკლიზმებმა კი არ უნდა წაგვახდინოს, კიდევ უფრო უნდა აღგვაგზნოს საომრად და სამოქმედოდ. ჩვენ მეომარი და შემოქმედი ხალხი ვიყავით ყოველთვის ხმალი არ გაგვიგდია ხელიდან, მაგრამ მაინც იმდენი რამის შექმნა შეგვიძლია, თანაგრძნობითა და პატივისცემით უნდა გვხვდებოდნენ ღღეს ყველგან, სადაც ბედი თუ უბედობა გადაგვისვრის, განათლების მისაღებად თუ თავშესაფრის სათხოვნელად. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ფუტკარიც კი არსებობს ქართული ჯიშისა! მსოფლიომ შეიძლება ჯერ არ იცის, მაგრამ ძალე გაიგებს. მთავარია, ჩვენ არ გადავშენდეთ იქამდე. ამის საშიშროება კი ნამდვილად არსებობს. **განგებ შეგვყარეს, თუ ჩვენ თვითონ დავიმართეთ შეგნებულად, აშკარად ავი სენი გვჭირს. ამ სენს სამშობლოზე გულის აცრუება ჰქვია და ძნელი სათქმელია, რატომ უნდა შეგვყროდა მაინცდამაინც ჩვენ, როცა ყველა ჯურის გადამთიელს მაინცდამაინც ჩვენს სამშობლოზე რჩება თვალი.** რაც შეიძლება სწრაფად უნდა განვიკურნოთ ამ სამარცხვინო სენისაგან, თორემ ოდესღაც შესაშურად წიგნიერი ხალხი, სანიმუშოდ უწიგნურ ხალხად ვიქცეთ ლამის... უმეცრების წყვდიადში აღმოვჩნდით ბოლოს, სადაც უფრო იოლად ვივიწყებთ წინაპართა დადგენილს და უფრო თამამად მივსდევთ სხვათა ადათ-წესებს, ლამის ადმინისტრაციული მეთოდებით ვაუქმებთ ძველს და ვამკვიდრებთ ახალ ტრადიციებს. ეს კი მიუტევებელი შეცდომაა, დანაშაულზე რომ აღარაფერი ვთქვათ... **გამოვლილი გზის დავიწყებიდან ერთი ნაბიჯი რჩება სამშობლოს უარყოფამდე...“**

ილია II

ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში 1977 წლის 25 დეკემბერი უმნიშვნელოვანესი თარიღია. სწორედ ამ დღეს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, მოხდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრება. რთული დრო ედგა მაშინ ეკლესიას.

კომუნისტურმა ტოტალიტარიზმმა და ათეიზმის ქადაგებამ უმძიმესი დაღი დაასვა ქვეყანას. მარტო 1920-იან წლებში საქართველოში დაანგრიეს, დახურეს ან საწყობებად და სამეურნეო ნაგებობებად აქციეს 1500-მდე ეკლესია, გაბატონდა უზნეობა და ამორალურობა. ხალხს ეკლესიაში შესვლას უკრძალავდნენ, დევნიდნენ სამღვდელოებას და მორწმუნეებს.

ილია II-ს აღსაყდრების მომენტისათვის საქართველოში მხოლოდ 48 მოქმედი ეკლესია (დღეს მათი რიცხვი 900-ს აღწევს) და 40-მდე სასულიერო პირი იყო (დღეს თითქმის 1200-ია).

1977 წლისათვის ეკლესიას, შეიძლება ითქვას, მრევლი არც ჰყავდა. თვით პატრიარქის წირვა-ლოცვას ათიოდე კაცი ესწრებოდა,სტიქაროსანი ყმაწვილები რუსულენოვანი ეკლესიიდან მოდიოდნენ.

და აი, მოხდა საოცრება. 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარიც და მისი ეზოც ქართველი ერის საუკეთესო წარმომადგენლებითა და ახალგაზრდებით გაივსო. რეპრესიული კომუნისტური რეჟიმის პირობებში ეკლესიისადმი ასეთი თანაგრძნობა იშვიათი რამ გახლდათ. როგორც ჩანს, ხალხმა შინაგანად იგრძნო, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში რაღაც ახალი იწყებოდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II (ერისკაცობაში ირაკლი) დაიბადა 1933 წლის 4 იანვარს ვლადიკავკაზში, გიორგი სიმონის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილისა და ნატალია იოსების ასულ კობაიძის მართლმორწმუნე ოჯახში.

გადმოცემით, ღუდუშაურთა გვარი ძველი დროიდან მოდის. ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის მეფობის ჟამს ერთ-ერთ ბრძოლაში თავი გამოუჩენია ვინმე სნოს. მისი ვაჟკაცობით მოხიბლულ მეფეს სნოს ვაჟი მოუნათლავს და ღუდუშაური დაურქმევია, ნათლულის სახელზე კი ციხეც აუშენებია.

ღუდუშაურები ხევში ცხოვრობდნენ და ვაჟკაცობით და პატიოსნებით გამოირჩეოდნენ. ილია მეორის უშუალო წინაპარი ყოფილა სიმამაცით განთქმული შიოლა ღუდუშაური (VII საუკუნის დასაწყისის მოღვაწე, ღუდუშაურთა ხეობის მფლობელი. მისი სახელის უკვდავსაყოფად შიოლას პირდაპირმა შთამომავლებმა შიოლაშვილის გვარი მიიღეს. არსებობს გადმოცემა, რომ შიოლას დედა ბაგრატიონი ყოფილა და მას „მეფიანთ ქალს“ ეძახდნენ თურმე).

ღუდუშაურებსა და ვაჟა-ფშაველას (რაზიკაშვილებს) ასევე ნათესაური ურთიერთობა ჰქონიათ. ილია II-ის მამა გიორგი ღუდუშაური დაიბადა და ცხოვრობდა სოფელ სნოში.

დედა ნატალია კობაიძე კი სოფელ სიონიდან იყო. 1927 წელს ვლადიკავკაზში შეიძინეს სახლი და იქ გადავიდნენ დროებით საცხოვრებლად. სწორედ ამ სახლში დაიბადა მომავალი მწყემსმთავარი ქართული ეკლესიისა.

გიორგი ღუდუშაურის ოჯახთან ბევრ ცნობილ სასულიერო პირს ჰქონდა ურთიერთობა. მათ შორის იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე. ძაუგის

(ვლადიკავკაზის) ქართული ეკლესია მაშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა. ქრისტეშობის დღეს, 7 იანვარს, სწორედ ამ ეკლესიაში მოინათლა ახალშობილი და ყრმას მეფე ერეკლეს პატივსაცემად ირაკლი დაარქვეს. იგი კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ყოფილმა მდივანმა, არქიმანდრიტმა ტარასიმ (კანდელაკი) მონათლა. ბავშვის ნათლია იყო მონაზონი ზოილე (დვალიშვილი), რომელიც მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის წინამძღვარი იყო. ზოილეს თავისი ნათლული ხშირად დაჰყავდა სამთავროს მონასტერში.

სწორედ აქ დალოცა იგი სამთავროს მონასტერში მყოფმა პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ.

გიორგი შიოლაშვილის შვილები თავიდანვე ეკლესიურ გარემოში იზრდებოდნენ. ოჯახი წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიაში დადიოდა. გიორგის შინ ყოველადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე მეორე ეკლესია მოუწყვია. ერთ-ერთ ქადაგებაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ასე იხსენებს იმ პერიოდს: „...ყოველ საღამოს, ძილის წინ, მამაჩემი და-ძმებს ხატების წინ დაგვაყენებდა და ლოცვებს წაგვიკითხავდა, ზოგ ლოცვას ჩვენც გვაკითხებდა, მაგალითად, 90-ე ფსალმუნს აუცილებლად რომელიმე ჩვენგანს გვათქმევინებდა, შემდეგ ნაკურთხ წყალს გვასხურებდა და დასაძინებლად გაგვიშვებდა, თვითონ კი ლოცვას აგრძელებდა და მით ამთავრებდა, რომ ყოველთა წმიდათა ქართველთა ხატის წინ მუხლს იმდენჯერ მოიყრიდა, რამდენი წმიდანიცაა გამოხატული ამ ხატზე და, ყოველი მათგანისაგან ლოცვა-კურთხევას ითხოვდა“.

1952 წელს ირაკლი შიოლაშვილმა დაამთავრა ვლადიკავკაზის 22-ე საშუალო სკოლა და მოსკოვის სასულიერო სემინარიის სტუდენტი გახდა (სემინარია სერგიევ-პოსადში, მაშინდელ ზაგორსკში მდებარეობდა). მან პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა სემინარია და როგორც საუკეთესო სტუდენტი, სასულიერო აკადემიის პირველ კურსზე უგამოცდოდ ჩარიცხეს: „მე სიყვარულით ვიხსენებ მოსკოვის სასულიერო სემინარიაში სწავლის წლებს, როცა სტუდენტებიცა და მასწავლებლებიც სიხარულით დავდიოდით მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ძალღონით აღსავსე წინამ-

ძღვრის (ეს იყო რუსეთის მომავალი პატრიარქი პიმენი Თ.Შ.) მჭერმეტყველური და ღრმა შინაარსის მქონე ქადაგებების მოსასმენად... განსაკუთრებით ჩვენ ბერად აღკვეცის წესზე დასწრება გვიყვარდა“ იხსენებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

ყოველივე ამან გადააწყვეტინა სასულიერო აკადემიის ახალგაზრდა, წარჩინებულ სტუდენტს ისეთი „ფრიად ძნელად გადასაწყვეტი საქმე“, როგორიცაა ბერად შედგომა.

1957 წლის 16 აპრილს 24 წლის ასაკში კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით თბილისის ალექსანდრე ნეველის ტაძარში სასულიერო აკადემიის I კურსის წარჩინებული სტუდენტი ირაკლი შიოლაშვილი ბერად აღკვეცეს. აღკვეცის წესი შეასრულა ეპისკოპოსმა ზინობიმ (მაჟუგა) და ბერს სახელად ილია უწოდა. ორი დღის შემდეგ, 18 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში ბერი ილია ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად, ხოლო 1959 წლის 10 მაისს წმინდა სერგის ლავრაში იეროდიაკვანი ილია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმინდეს ალექსი I-ის მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზვნად.

ჯერ კიდევ მოსკოვის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს მეოთხეკურსელმა მღვდელმონაზონმა ილიამ დაწერა საკანდიდატო შრომა „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“, რისთვისაც მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იმავე 1960 წელს მან პირველმა დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია პირველი ხარისხის დიპლომით, რის შემდეგაც აკადემიის საბჭომ, როგორც უნიჭიერეს და საუკეთესო მღვდელმონაზონს, საპროფესორო სტიპენდიატად დარჩენა შესთავაზა. მას შეეძლო ლექციები წაეკითხა სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, მაგრამ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის კურთხევა სხვაგვარი იყო - მას სამშობლოში უნდა დაეწყო მოღვაწეობა. ილიამ უარი თქვა საპატიო კარიერაზე რუსეთში, სამშობლოში დაბრუნდა და ბათუმის საკათედრო ტაძარში მღვდელმსახურად გამწესდა. 1960 წლის 19 დეკემბერს იგი აღვლენილ იქნა იღუმენის, ხოლო 1961 წლის 16 სექტემბერს - არქიმანდრიტის ხარისხში.

1963 წლის 26 აგვისტოს, კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის მიერ, მღვდელმთავართა თანამწირველობით, არქიმანდრიტი ილია ხელდასხმულ იქნა შემოქმედელ ეპისკოპოსად და დაინიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსად.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში საბჭოთა კავშირში ეკლესიაზე იერიშის მორიგი ეტაპი დაიწყო. რუსეთში დაიხურა მრავალი ტაძარი და მონასტერი. ამ დროს პატრიარქმა ეფრემ II-მ საქართველოში სასულიერო სასწავლებლის გახსნა მოახერხა, რომელსაც მეტი სიფრთხილისათვის ,,საღვთისმეტყველო კურსები" დაარქვეს. სწორედ მის პირველ დირექტორად დაინიშნა ეპისკოპოსი ილია.

აჭარაში ნაყოფიერი მოღვაწეობის შემდეგ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით 1969 წელს იგი აყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

ამავდროულად იგი მოღვაწეობდა ქართული ეკლესიის მღვდელმსახურთა ახალი კადრების მომზადების სფეროში, იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი (1963-1972).

1972 წელს მან ჯილდოდ მიიღო მეორე პანაღიის ტარების უფლება, ხოლო 1975 წელს - უფლება სკუფიაზე ჯვრის ტარებისა.

1977 წლის 23 დეკემბერს თბილისის საპატრიარქო ტაძარში გამართულმა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის XII ადგილობრივმა კრებამ განიხილა საქართველოს ეკლესიის ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხი და მიტროპოლიტი ილია ერთხმად იქნა არჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და ეწოდა ილია II (ილია I პატრიარქი იყო 390-400 წ.). მისი აღსაყდრება, როგორც ზემოთ ითქვა, მოხდა მცხეთაში, სვეტიცხოველში 1977 წლის 25 დეკემბერს.

,,ვიდრე ვცოცხლობ, მუდამ ჩემს თვალწინ იქნება ის უხილავი და მაინც ხილული ტახტი, რომელზეც მეუფის ძლიერმა მარჯვენამ ამიყვანა. ჩემს გულზე წარუშლელად წერია ის მოვალეობანი, რომელნიც მისმა უსაზღვრო მოწყალებამ დამაკისრა", - ბრძანა ახლადარჩეულმა მამამთავარმა.

მას შემდეგ 30 წელი გავიდა. ცხადი გახდა, თუ რაოდენ განუზომელი შეიქნა ილია II-ის დამსახურება ჩვენი ქვეყნის და ეკ-

ლესიის წინაშე. ამდენი ეკლესია საქართველოს ისტორიაში არც ერთი კათოლიკოს-პატრიარქის დროს არ აშენებულა. მისი დამსახურება მარტო ეკლესიათა მშენებლობით როდი შემოიფარგლა, სწორედ მისი დაჟინებული და თანმიმდევრული ქრისტიანული პოლიტიკის შედეგია ქართველი ერის მასობრივად შემობრუნება ქრისტიანული ეკლესიისაკენ, რწმენისაკენ, სათნოებისა და ქველმოქმედებისაკენ.

1990 წელს უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ხანგრძლივი და დაუღალავი შრომით მსოფლიო საპატრიარქომ საქართველოს ეკლესიას მიანიჭა მტკიცების სიგელი, რითაც აღდგა ისტორიული სამართლიანობა და მთელმა მართლმადიდებლურმა სამყარომ სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობის პერიოდში საქართველოს ეკლესიის წმინდანთა დასს მრავალი წმინდანი შეემატა - წმინდა ილია მართალი, წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე, ღირსი მამა ამბროსი (აღმსარებელი) ხელაია, წმინდა ნინოს მშობლები - ზაბულონი და სოსანა, წმინდა თეოდორე კველთელი, წმიდამღვდელმთავარი გაბრიელ ქიქოძე, წმინდა ცოტნე აღმსარებელი, მელქისედეკ I — საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი, ილარიონ ქართველი, ექვთიმე თაყაიშვილი, კირიონ II და სხვ. სულ ახლახან 2007 წლის 26 აპრილს წმინდანად იქნა შერაცხული დიდი პატრიოტი დიმიტრი ყიფიანი და მას ეწოდა „სამშობლოსათვის წამებული".

1988 წელს ილია II-ს თაოსნობით მცხეთის სასულიერო სემინარია გადმოტანილ იქნა თბილისში და დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია. საუკუნეთა შემდეგ კვლავ აღდგა გელათის სასულიერო და მეცნიერებათა აკადემიები.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიხსნა მრავალი სასულიერო სასწავლებელი, გიმნაზიები. სხვადასხვა საერო უნივერსიტეტებში (მაგ. ტექნიკურ უნივერსიტეტში) დაარსდა საღვთისმეტყველო კათედრები, სადაც ლექციებს კითხულობენ სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულნი.

კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით თანამედროვე ქართულ ენაზე გამოიცა ბიბლია, საღვთისმეტყველო

კრებული, გამოდის საეკლესიო ჟურნალ-გაზეთები (მაგ.,,ჯვარი ვაზისა", ,,საპატრიარქოს უწყებანი"), შეიქმნა ევანგელიზაციის, ხალხური რეწვის, საგარეო-ეკონომიკური, საფინანსო-სამეურნეო, სიწმინდეთა მოძიების, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები, პრესცენტრი, ხუროთმოძღვრების, საეკლესიო გალობის აღდგენისა და შემსწავლელი ცენტრი - უმაღლესი სასწავლებლით, სასწავლო კომიტეტი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდი. 2001 წლიდან ეთერშია საპატრიარქოს რადიო ,,იერია", რომლის მაუწყებლობა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთშიც. 2007 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო ტელეკომპანია ,,იერიამ", რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდის ხელშეწყობით გადის ეთერში და აქვს ეროვნულ-შემეცნებითი და ზნეობრივ-სარწმუნოებრივი დანიშნულება. იგი მალე იქცევა ოჯახის ტელევიზიად. საპატრიარქოში პერიოდულად იმართება სამეცნიერო კონფერენციები აქტუალურ თემებზე, სადაც სასულიერო პირები და მეცნიერები ერთობლივად განიხილავენ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხებს. პატრიარქის ინიციატივით მზადდება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედია. მისივე ფონდი აფინანსებს ეროვნული მნიშვნელობის პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს გლობალიზაციის ურთულეს ეპოქაში ეროვნული კულტურის, ფესვების, მამა-პაპათა უნიკალური ტრადიციების, ქართული თვითმყოფობის შენარჩუნებას და განვითარებას, ახალგაზრდა თაობის მაღალზნეობრივ და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, ქვეყნისთვის თავდადებას. საპატრიარქოში ფუნქციონირებს ახალგაზრდული ორგანიზაცია ,,ძლევაი", ჩამოყალიბდა საქველმოქმედო ფონდი ,,ლაზარე", რომელიც სოციალურად დაუცველ ფენებს უწევს დახმარებას, დაარსდა მოხუცებულთა თავშესაფარი, მოწყალების სახლი, ობოლ ბავშვთა სახლები ძეგვში, ბედიანში და ზესტაფონში.

უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოინახულა საუკუნეთა მანძილზე სამშობლოს მოწყვეტილი ფერეიდნელი ქართველები, მას აქტიური ურთიერთობა აქვს თურქეთში, საინგილოში და

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველებთან. კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და ღვაწლით თბილისში აშენდა წმინდა სამების სახელობის გრანდიოზული ტაძარი, როგორც ქართველი ერის ღვთისკენ სინანულით მოქცევის სიმბოლო (ტაძარი 2004 წელს ეკურთხა).

საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა რიცხვი ორჯერ გაიზარდა — 30-ს გადასცდა. აღსდგა ტაო-კლარჯეთის ისტორიული ეპარქია და დაარსდა ახალი - დასავლეთ ევროპის მიტროპოლია.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაჯილდოებულია მსოფლიოს საპატრიარქოს, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, ბულგარეთის, სლოვაკეთის, ჩეხეთის და თითქმის ყველა მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. ნიუ-იორკის სასულიერო აკადემიამ ილია II-ს მიანიჭა ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება. ასეთივე ხარისხი მიანიჭა მას კრეტის მეცნიერებათა აკადემიამ. ილია II არჩეულია მოსკოვის ინფორმატიზაციის აკადემიის წევრად, საზოგადოება ,,ქართული ცხოვრების წესის" საპატიო წევრად. 2002 წელს უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორის და პროფესორის წოდება მიანიჭეს.

ილია II-ის სახელს უკავშირდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში. 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაიდო საკონსტიტუციო შეთანხმება (კონკორდატი), რითაც აღდგა ისტორიული სამართლიანობა და განისაზღვრა ეკლესიის საპატიო ადგილი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეები, ქადაგებანი, რომლებიც კვლავ და კვლავ ცხადყოფენ, რომ ილია II არის ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი და მწყემსმთავარი, ერის იდეური ლიდერი და მაგალითის მიმცემი უბრალოებისა და პატიოსნების, გონიერების, სიდინჯის და ზომიერების, თანადგომის და მოყვასის სიყვარულის.

დღევანდელი და მომავალი თაობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია უწმინდესისა და უნეტარესის ცალკეული შეგონებანი და გამონათქვამები, საიდანაც ძალიან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

„ძნელია გამოთქვა, როგორია ჩვენი გრძნობა სამშობლოსადმი. თუ ვიტყვით, რომ იგი გვიყვარს, ეს არაფრისმთქმელი ფრაზაა. არც დედამიწის ულამაზეს გარკვეულ გეოგრაფიულ სივრცედ მისი აღქმა ნიშნავს რამეს. ჩვენ სისხლხორცეული ნაწილი ვართ ჩვენი მამულისა. იგი საუნჯეა ჩვენი. ჭირს გარჩევა, ჩვენ ვცხოვრობთ მასში, თუ ის სახლობს ჩვენს გულში. სამშობლო ესაა ჩვენი ენა, ესაა სული ჩვენი დიდებული წინაპრებისა, ათასობით წმინდა მოწამისა, მეფეთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა და დედათა, ესაა ჩვენი უთვალავი ტაძრები და მონასტრები, ჩვენი სიწმინდე, ხელოვნება, არქიტექტურა, მწერლობა, ესაა ჩვენი ხასიათი და აზროვნების წესი. ესაა ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი, სამშობლო ჩვენი დიდი იმედია. მისდამი გრძნობა იმდენად ამაღლებული და სათუთია, როგორც სიყვარული ღვთისადმი. ამიტომაც ამბობს ქართველი: „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“.

„მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ცოდვა გვაქვს, უფალი ელოდება ჩვენს გამოსწორებას, ჩვენს სინანულს, აღსარებას. შევთხოვთ უფალს, რომ შეგვინდოს ის სულიერი დაცემა, რაშიც იმყოფება კაცობრიობა. ღმერთმა გადაარჩინოს ჩვენი ქვეყანა და მსოფლიო“.

„ჩვენ გვყავს ზეციური საქართველო. ძლიერი წინაპრები, რომლებიც გვეხმარებიან ჩვენ და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი დაეხმარებიან ქართველ ერს, დავძლიოთ ის სიძძიმეები, რომელიც გვარგუნა უფალმა. მთავარი ის არის, რომ ქართველმა ხალხმა არ დაკარგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება, არ დაკარგოს ღვთისა და მომავლის იმედი, არ დაკარგოს საკუთარი თავის რწმენა“.

„როცა ადამიანი კეთილ საქმეს აკეთებს, მასზე გარდამოედინება მადლი სულისა წმიდისა, რაც მთელ მის სახლს, მის ახლობლებს, შვილებსა და შვილიშვილებს ეფინება“.

„თუ არა ქრისტიანული მადლით ძალმოსილება, როგორ შეძლებდა ურიცხვ მტერთან ბრძოლით მოღლილი ხალხი, რომ აღე-

შენებინა ჩვენს მცხეთაში ცას მიბჯენილი სვეტიცხოველი, თბილისისა და ბოლნისის სიონი".

„ჩვენ უპირველესად იმ გაჭირვებულებს უნდა დავეხმაროთ, რომლებიც შორს არიან ღვთისა და ეკლესიისაგან. მიმაჩნია, რომ ყველაზე გაჭირვებული სწორედ ისაა, ვინც ურწმუნოა, გზასაცდენილი და სხვასაც აცდენს"

„ღმერთმა ინებოს, რომ ერთსულოვნება მოგვცეს უფალმა, წმიდა სამებამ. მხოლოდ ერთსულოვნებაშია ჩვენი გადარჩენა".

„ყოველთვის უნდა გვახსოვდეს სიტყვები ბიბლიიდან: „ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთ მოსცის მადლი".

„იოანე ღვთისმეტყველი სახარებაში ამბობს: „ღმერთი სიყვარულ არს" და მე ვფიქრობ, არავის გამოუთქვამს უფლის ამაზე უფრო ზუსტი სახელწოდება. მართლაც, ღმერთი არის სათავე სიყვარულისა და სადაც სიყვარულია, იქ სიხარულია, იქ მშვიდობაა".

„რწმენა ღვთის არსებობის დაჯერებას კი არ ნიშნავს მხოლოდ, იგი უპირველესად გულისხმობს ცხოვრებას ღმერთში, სახიერებას, იმედს მისი წყალობისას".

„ადამიანმა თავისი ცხოვრებით ჯვარი უნდა შექმნას; ეს ჯვარი ასე გამოისახება სწრაფვა ღვთისაკენ და სწრაფვა ადამიანისაკენ. ბედნიერია ის, ვინც არა მარტო ატარებს თავის ჯვარს, არამედ თავისი ცხოვრებით ქმნის კიდეც მას. ამგვარი ადამიანი თავადაც ცხონდება და თავის გარშემო მყოფთაც აცხოვნებს".

„ის ვინც კლავს, ვინც ქურდობს, ვინც მრუშობს, ვინც ნარკოტიკებს იკეთებს და სხვა მძიმე დანაშაულზეც არ ამბობს უარს, მომაკვდინებელ ცოდვას სჩადის... არიან ორმაგი სტანდარტებით მცხოვრები პიროვნებებიც, რომლებიც უშუალოდ თვითონ მომაკვდინებელ ცოდვებს ერიდებიან, მაგრამ უზნეო გზით ან სხვათა ტანჯვა-წამების ხარჯზე მოპოვებული შემოსავლით ცხოვრობენ, რითაც უდიდეს სასჯელს უმზადებენ საკუთარ თავს... ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არა აქვს. იგი შეიძლება ზეცამდეც ამაღლდეს და შეიძლება ქვესკნელამდეც დაეცეს, მაგრამ ყველაზე ცოდვილმა კაცმაც უნდა იცოდეს, რომ ფეხზე წამოდგომა შესაძლებელია და ამიტომ გამოსწორების იმედი არ უნდა დაკარგოს.

ამის გარანტი კი არის ის, რომ ადამიანში არ კვდება სინდისი (მას ღვთის ხმასაც უწოდებენ) და ეს გრძნობა ყოველთვის მიახ-ვედრებს მას, იქცევა თუ არა სწორად. სწორედ სინდისი აღძრავს ჩვენში სინანულის გრძნობას და აღსარების მადლით იწყება პი-როვნების განწმენდის პროცესი...

მიმაჩნია, რომ ყველაზე მაღალი ხელფასი საშუალო და უმაღ-ლესი სკოლების პედაგოგებს უნდა ჰქონდეთ, რადგან ისინი აყა-ლიბებენ ქვეყნისა და ერის მომავალს და არ არსებობს ამაზე მე-ტად საპასუხისმგებლო სხვა პროფესია. ეს საქმიანობა უნდა იყოს პრესტიჟული და ეს წოდებაც დიდი შრომის ფასად უნდა მიენიჭოს ამა თუ იმ ადამიანს...

კარგი იქნება თუ ბავშვებს საბავშვო ბაღიდანვე გავუღვიეებთ როგორც ერთმანეთის, ისე საერთოდ ადამიანის თანადგომის სურ-ვილს, პატიების უნარს, უფროსის პატივისცემას, მამულის სიყვა-რულს. ეს დამოკიდებულება გაჰყვება მათ სკოლაშიც და მთელ ცხოვრებაშიც“...

ბიძინა ივანიშვილი

ეესაძლოა ზოგ-ზოგებს გაუკვირდეთ კიდეც 52 წლის ქართველი მილიარდერის მოხვედრა ამ წიგნში — მილიარდერებზე ხომ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპული შეხედულებები არსებობს, მათ მოიაზრებენ როგორც მოთამაშეებს წესების გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ ბიძინა ივანიშვილი, რომლის ქონებაც (ჟურნალ „ფორბსის“ (აშშ) 2006 წლის მონაცემებით) 6 მილიარდ დოლარამდეა, იმ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, რომელიც თამაშის ყველა წესს იცავს და ამასთან არასოდეს ივიწყებს თავის ხალხსა და მშობლიურ მიწა-წყალს..

ამ ინკოგნიტო პატრიოტსა და ბიზნესმენზე ძალზე ცოტა რამაა ცნობილი. მოხერხებულად შერჩეული გონივრული იმიჯის წყალობით ლეგენდები დადის მის სიმდიდრესა და ქველმოქმედებაზე, უბრალოებასა და სამშობლოს სიყვარულზე.

იგი ფაქტობრივად არ ჩნდება ხალხში, ტელევიზიით, მისი ადგილსამყოფელი ყოველთვის გასაიდუმლოებულია.

მისი თავმდაბლობის გამოხატულებაა ისიც, რომ საგანგებოდ არ ახმაურებს იმ ფართომასშტაბიან საქველმოქმედო საქმიანობას, რასაც იგი საქართველოში უანგაროდ ეწევა. იგი არ ივიწყებს გაჭირვებულთ, ქვრივ-ობლებს, ინტელიგენციას, მუზეუმებს, თე-

ატრებს, მეცნიერებს, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და ყველას შეძლებისდაგვარად ეხმარება. ამ დახმარებამ სხვადასხვა ეროვნული დაწესებულებებისადმი რამდენიმე ათეულ (თუ ასეულ) მილიონ დოლარს მიაღწია. ქართველობა მასზე უდიდეს სოციალურ-პოლიტიკურ იმედებს ამყარებს მომავალშიც.

ბიძინა ივანიშვილი დაიბადა 1956 წელს საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში. ალბათ, ბიბლიური სოლომონის მსგავსად ივანიშვილის წინაპრებმაც ცოდნა და სიბრძნე შესთხოვეს უფალს და მანაც თავისი მადლიანი კალთა უხვად დააბერტყა ბიძინას. მამულისადმი შემეცნებითი დამოკიდებულება, ღვთის მიერ მინიჭებული ცოდნა ამ ქართველი კაცის სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის დაუშრეტელ წყაროდ იქცა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი ერთხანს თბილისში მუშაობდა, აქვე დაიცვა დისერტაცია და დაიწყო თავისი ბიზნესი, თუმცა სერიოზული ხელისშემშლელები გამოუჩნდნენ. ბოლოს იძულებული გახდა 1989 წლიდან მოსკოვში გადასულიყო. აქ იგი ერთი წლის განმავლობაში ემზადებოდა გარკვეული კომერციული სტრუქტურების ასამუშავებლად, რის შემდეგაც მისი უშუალო მონაწილეობით **მუშაობა დაიწყო 20-ზე მეტმა კომერციულმა ორგანიზაციამ „არგო-სერვისის“ მეთაურობით.**

ფირმების საქმიანობა იმგვარად იყო ორგანიზებული, რომ ფულადი მასა ერთი ორგანიზაციიდან მეორის ანგარიშზე კრედიტების ან ურთიერთთანამშრომლობის - დახმარების სახით გადაედინებოდა, რაც საბოლოოდ საკმაოდ დიდ მოგებას იძლეოდა (ლ.ქარჩავა).

ამას მოჰყვა საკუთარი ბანკის **„როსკრედიტის“** შექმნა, რომელსაც დაევალა ამ ორგანიზაციათა ფულადი მასის მართვა. 1992 წლის მიწურულს ბანკმა ჯერ შიდასავალუტო ლიცენზია, მერე კი გენერალური სავალუტო ლიცენზია მოიპოვა, რამაც მას საშუალება მისცა სავალუტო ოპერაციები ეწარმოებინა საზღვარგარეთის ცნობილ ბანკებთან.

1992 წელს ბიძინა ივანიშვილი **„როსლეგპრომს“** დაუკავშირდა და მასთან ერთად დააფუძნა **„როსლეგპრომბანკი“**. ამ ახალი

ბანკისთვის კადრები ბანკ „როსკრედიტში“ შეარჩიეს. მალე „**როსლეგპრომბანკი**“ „**როსკრედიტის**“ აქციონერიც გახდა. ბანკის მართვაში აქტიურად ჩაებნენ ბიძინა ივანიშვილი და მისი ნდობით აღჭურვილი პირი **ვიტალი მალკინი.**

1992 წლის ბოლოს ბანკ „**როსკრედიტის**“ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა **ედუარდ სახაროვი,** რომელიც მანამდე მოსკოვის მერიის საფინანსო-სამეურნეო საამმართველოს უფროსის მოადგილე იყო, შემდგომში კი სააქციო საზოგადოება „პეკინის“ პრეზიდენტი (ამ თანამდებობაზე იგი მოსკოვის მერმა - იური ლუჟკოვმა დანიშნა). ბანკში სახაროვის მოსვლამ ბიძინა ივანიშვილს მოსკოვის მერიასთან გაუმყარა კავშირები.

მართვის თვალსაზრისით ბიძინა ივანიშვილის ძირითადი როლი ბანკის მუშაობის სტრატეგიის განსაზღვრა, წამყვანი კადრების შერჩევა და მათ მუშაობაზე მუდმივი კონტროლია. მნიშვნელობა არა აქვს ამ დროს იმყოფება ივანიშვილი რუსეთში თუ არა. 1994-95 წლებში ივანიშვილი თითქმის ერთი წელი არ გამოჩენილა რუსეთში. ამ პერიოდში მასა და ბანკს შორის დამაკავშირებელი რგოლი იყო ვიტალი მალკინი, რომელიც 1994 წლიდან ბანკ „როსკრედიტის“ პრეზიდენტია (1999 წლიდან კი ამავე ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე). მალკინმა რამდენჯერმა ჩააკითხა ივანიშვილს საზღვარგარეთ. ყოველი ვიზიტის შემდეგ ბანკის საკადრო პოლიტიკაში და ფინანსურ ოპერაციებში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა.

რუსეთშიც და დასავლეთშიც ყველა აღიარებს, რომ **ბიძინა ივანიშვილი ძლიერი ეკონომისტ-ფინანსისტი და კარგი სტრატეგი, საუცხოო ხელმძღვანელი და ორგანიზატორია,** ყოველთვის თავად არჩევს თავის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების მმართველ კადრებს, მკაცრი და ძალზე მომთხოვნია იმათ მიმართ, ვინც მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად არ ასრულებს . ბიძინა თავად არის ყველა იდეის გენერატორი და აუცილებლად ბოლომდე მიპყავს ისინი. ბანკის მართვისას არ ცდილობს ჩაეძიოს წვრილმანებს, საკუთარ თავზე მხოლოდ ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებულ იმ მნიშვნელოვან პრობლემებს იღებს, რომელთა გადაწყვეტასაც ბანკის წინსვლა მოსდევს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იგი ყოველთვის ახდენს კადრების გადახალისებას. მისდამი

დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ბიძინას მკაცრად აქვს განსაზღვრული შრომის განაწილების პრინციპები, რაც მას საშუალებას აძლევს, კარგად აკონტროლოს კონკრეტული პირების, პირველ რიგში, ხელმძღვანელების მოქმედება. გარე კავშირებს ბიძინა ივანიშვილი უმეტესად იმ ადამიანების მეშვეობით ამყარებს, ვინც ღიდი აეტორიტეტით სარგებლობს ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის და ბიზნესის სამყაროში. მას სამართალდამცველ ორგანოებთან საქმე არასდროს ჰქონია.

რუსეთის ფინანსური ბაზრის ბრწყინვალე ცოდნამ ბიძინა ივანიშვილს საშუალება მისცა, დროულად აერიდებინა თავი 1995 წლის აგვისტოში საფინანსო ბაზარზე მომხდარი რთული მოვლენებისათვის, რის გამოც „როსკრედიტმა" მხოლოდ მინიმალური ზარალი განიცადა. **სწორედ ივანიშვილის იდეის შესაბამისად დაინერგა ბანკის ყველა ფილიალში უნაღდო ანგარიშსწორება „შმარდ ჩარდ"-ის მეშვეობით, რამაც მის ბანკს ლიდერის პოზიცია მიანიჭა მოსახლეობის ანაბრების მომსახურების სფეროში.**

ბიძინა ივანიშვილის მარჯვენა ხელია ზემოთ ხსენებული ვიტალი მალკინი, რომელმაც დაამთავრა ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. იგი 1995 წელს აირჩიეს რუსეთის ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტად (ებრაელები ფლობენ მსოფლიო ფინანსების დაახლოებით 75-80%-ს). იგი არის კანადის მოქალაქე. სწორედ მალკინი ასხამს ხორცს ივანიშვილის იდეებს და ახორციელებს ბანკის სერიოზული პროექტების ფინანსურ კონტროლს. ასევე კურირებს ბანკის უსაფრთხოების სამსახურს ივანიშვილის არყოფნის პერიოდში.

დაძაბული სამუშაო გრაფიკით გადატვირთულ მალკინს ერთხელ ბიძინა ივანიშვილთან დაუჩივლია, რომ ნაშოვნი ფულის ხარჯვას და შესაფერისად დასვენებას ვერ ახერხებდა, რაზედაც ივანიშვილს უპასუხია: - **„მე სიამოვნებას ქველმოქმედება და გაჭირვებული ადამიანების დახმარება მანიჭებს, შენც სცადე, ვინმეს ფულით დაეხმარე და ნახე, როგორც ისიამოვნებ"**. მალკინი ასეც მოიქცა - გაჭირვებულ ბიძას დაეხმარა. მეორე დღეს ბიძინას მალკინისთვის უკითხავს: - „დაეხმარე ვინმეს?" „კი, ბიძაჩემს 100 ათასი დოლარი ვაჩუქე". - „მერე, რა იგრძენი?" - „მხოლოდ ის, რომ ასი

ათასი დოლარი დაეკარგე" - უპასუხია მალკინს (ლ.ქარჩავა).

საქართველოში ბიძინა ივანიშვილის სახელი დაუკავშირდა „ქართუ ჯგუფის" მოქმედებას, რომლის განკარგულებაშია ბანკი „ქართუ". ამ ბანკმა თავის დროზე შეიძინა ქართულ-ამერიკული ბანკი „აბსოლუტი", რომელიც იმ დროს გაკოტრდა. ბიძინა ივანიშვილსვე ეკუთვნის თბილისის ბოტანიკურ ბაღში მდებარე უზარმაზარი სასტუმრო კომპლექსი და ბიზნეს-ცენტრი, რომელიც ფაქტობრივად დასრულებულია. **ბიძინა ივანიშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის რუსთაველის თეატრის გადარჩენის საქმეში. მისი ქველმოქმედების შედეგია თბილისის თეატრების გარემონტება, მუზეუმებისათვის გაწეული დახმარება, დამატებითი ხელფასების დანიშვნა მთელი რიგი ეროვნული დაწესებულებების თანამშრომლებისათვის. განუზომელია მისი წვლილი სამების საკათედრო ტაძრის აგების და ქართული ეკლესიის დახმარების კეთილშობილურ საქმეში.**

ბიძინა ივანიშვილი განსაკუთრებით ზრუნავს თავის მშობლიურ რაიონზე. იგი დიდ დახმარებას უწევს საჩხერის მოსახლეობას, გზების მშენებლობაში, გაზიფიკაციაში, სკოლებისა და სამედიცინო დაწესებულებათა გარემონტებაში და ახალი ტექნიკით აღჭურვაში, სოფლის მეურნეობის აღორძინებაში.

თავად ბიძინა „ჩაკეტილი" ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნება. ის საკმაოდ სიტყვაძუნწია, იშვიათად ჩნდება მიღებებსა და პრეზენტაციებზე, ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს. ასაიდუმლოებს თავის ოჯახურ ცხოვრებას და ამაში მას საგანგებოდ შერჩეული ერთგული ადამიანების მთელი შტატი ეხმარება.

პყავს მეუღლე ეკა ხვედელიძე და ოთხი შვილი. როგორც ნამდვილ ქართველ ვაჟკაცს, განსაკუთრებით უყვარს მშობელი დედა, დიდი მონდომებით ახორციელებს დაღუპული მამის - გრიგოლის იდეალებს და აუსრულებელ ოცნებებს.

ბიძინა ივანიშვილი მტკიცედ ემიჯნება პოლიტიკას და მიაჩნია, რომ ეროვნული საქმის კეთებისათვის პოლიტიკოსობა სულაც არ არის აუცილებელი. დარწმუნებული ვართ, რომ თავისი ცხოვრების მანძილზე იგი უფლის მადლითა და შეწევნით კიდევ უამრავ სიკეთეს დათესავს თავის სამშობლოში.

ღმერთმა გეიმრავლოს ასეთი ქართველები!

ბოლოთქმა

დღევანდელი ქართველობა უძნელესი ამოცანის წინაშე დგას: ან უნდა შევქმნათ ძლიერი სახელმწიფო და გადავრჩეთ როგორც ერი და დიდი წარსულის, კულტურისა და ტრადიციების ქვეყანა, ან უნდა ავითქვიფოთ გლობალიზაციის უშველებელ, კოსმოპოლიტიკურ სივრცეში.

ამ რთული ამოცანის გადაწყვეტაში სწორედ ჩვენი გმირების, დიდი ქართველების ცხოვრების გამოცდილება, მათი ღვაწლის ცოდნა და სამშობლოსადმი განუზომელი სიყვარულის მაგალითები დაგვეხმარება, თუმცა, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი.

თუ „კაცნი გვქვიან", ჩვენ თვითონაც რამე მნიშვნელოვანი უნდა შევმატოთ ჩვენს ქვეყანას და არ დავრჩეთ მხოლოდ სუფრის პატრიოტებად.

კარგად უნდა გვახსოვდეს **კონსტანტინე გამსახურდიას** ბრძნული შეგონება: **„ის თაობა, რომელიც წინაპართა აკლდამების აჩრდილებს ეფარება, ღირსი არ არის არსებობისა"**.

უფროსმა თაობამ პირადი მაგალითი უნდა უჩვენოს მომავალ თაობას, აკვნიდანვე ჩაუნერგოს უმაღლესი ეროვნული ღირებულებანი, რომელთა მეოხებითაც აქამდე შევინარჩუნეთ ეროვნულობა: ქართული ცხოვრების წესი, სამშობლოს (და არა მხოლოდ მისი რომელიმე კუთხის) სიყვარულის ქართველური განცდა, ღმერთისადმი ღრმა რწმენა, შრომისმოყვარეობა, კაცთმოყვარეობა, ოჯახის კულტი, ტოლერანტობა (ოღონდ, არა გულუბრყვილო), მადლის ქმნისა და მიტევების ნიჭი, ქალისა და უფროსების მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა და რაინდობა, ახალგაზრდობისადმი ნდობა და მკაცრი სიყვარული, მაღალი ზნეობრიობა, პირადულზე მაღლა საქვეყნო საქმის დაყენება, მხედრული მოვალეობა და სამოქალაქო სიმამაცე.

ჩვენი დღევანდელი პრობლემები უზნეობიდან და უსიყვარულობიდან იღებს სათავეს. ეკონომიკური და სოციალური სიდუხჭირე გაცილებით ადვილად აღმოსაფხვრელია, ვიდრე უზნეობა, უსიყვარულობა და ეგოიზმი.

ახალგაზრდობა ძალზე მტკივნეულად განიცდის უსამართლობას, როცა ღარიბ და ნიჭიერ მოზარდს აკრძალული ხერხებით აშკარად ჩაგრავს ფულიანი ან მაღალი თანამდებობის მქონე მამიკოს შვილი. ჩვენი ეროვნული ღირსების საქმეა, რომ ობიექტურად შევარჩიოთ ჭეშმარიტად ნიჭიერი ახალგაზრდები და განსაკუთრებული განათლება მივაღებინოთ (აქ თუ საზღვარგარეთ), როგორც ამას აკეთებდა დავით აღმაშენებელი.

ბავშვი თავიდანვე სიყვარულის და პატრიოტული განწყობის, ღვთის მოშიშობის და მაღალი ზნეობრიობის ატმოსფეროში უნდა იზრდებოდეს. მას მშობლები, სკოლა და ინსტიტუტები უნდა უნერგავდეს ლამაზ ეროვნულ ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს და დაამტკიცეს თავიანთი სიცოცხლისუნარიანობა. ცხადია, ტრადიციების გარეშე არ არსებობს არც ეროვნული სული და არც მაღალი კულტურა. ჩვენს დიდ წინაპრებს ჰქონდათ მცირე (შეგნებულად შეზღუდული) ყოფითი მოთხოვნილებანი და უზარმაზარი იდეალი. ეს იდეალი საქართველოს დიდება იყო და ყველა ჭეშმარიტი ქართველის სულში ენთო. ქალიც და კაციც მზად იყო ამ იდეალის სამსხვერპლოზე მიეტანა განურჩევლად ყველაფერი, სიცოცხლის ჩათვლით.

ჩვენი უმთავრესი ღირებულებაა ეროვნული ცხოვრების წესის მთავარი ფუძე - ესაა **„ქართველობა“**, რომელიც, როგორც უნიკალური ფენომენი, „შეიძლება შევადაროთ გრაალის თასს, სადაც საუკუნეების განმავლობაში წვეთობით გროვდებოდა ერის სულიერი და ხორციელი ცხოვრების შემაკავშირებელი დულაბი“ (პროფ. ო. ქოჩორაძე).

თითოეულ ქართველს ასევე კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებულია, რომ სამშობლო უფლის მიერ ბოძებული უდიდესი განძია, რომელსაც სათუთი მოვლა და დიდი გაფრთხილება სჭირდება. დიდი იტალიელი პატრიოტი ნიკოლო მაკიაველი ამბობდა:

„როდესაც საქმე სამშობლოს ინტერესებს ეხება, თავი შეიკავეთ იმაზე მსჯელობისაგან - სამართლიანია ეს და ეს გადაწყვეტილება თუ უსამართლო, ლმობიერია თუ სასტიკი, საქებია თუ საძრახისი; ანგარიში არ უნდა გავუწიოთ არავითარ თვალსაზრისს და მივიღოთ მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომელიც ხელს შეუწყობს მისი არსებობისა და თავისუფლების შენარჩუნებას“.

სიტყვა გამიგრძელდა, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს მოვუხდი და იმედს გამოვთქვამ, რომ ეს წიგნი ცოტათი მაინც შეუწყობს ხელს ყოფითი პრობლემებით გადაქანცულ ჩემს თანამემამულეებში ეროვნული სიამაყისა და სიკეთისადმი რწმენის გაღვივებას.

ვაჟა შუბითიძე

თბილისი, თიბათვე, 2007 წელი.

P.S. წიგნი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მომსწრენი გავხდით, რამაც ასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და სერიოზულად შეაფერხა ქართული სახელმწიფოს ფორმირება. ცხელ კვალზე ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: **ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება — უზნეობას, უპასუხისმგებლობას და ეგოიზმს თავი უნდა დავაღწიოთ და წინ ნამდვილი ეროვნული ფასეულობანი წამოვწიოთ, თავი დავანებოთ ახალი ბატონების ძებნას, სხვათა წამბაძველობას და თავისუფალი ერის ცხოვრებით ვიცხოვროთ...**

გამოყენებული ლიტერატურა

ვახტანგ ბერიძე. ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967

შალვა ხიდაშელი. ქართული ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1988

შ. ამირანაშვილი. ბექა ოპიზარი, თბ., 1937

გიორგი არაბული. შოთა რუსთველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში. თბ., 1992

მამია ჩორგოლაშვილი. მთაწმინდა, თბ., 1991

ვაჟა შუბითიძე. პოლიტოლოგია. თბ., 2006

ვახტანგ აბაშმაძე. ქართული ინტელექტუალური ფენომენები. თბ., 1992

ლევან სანიკიძე. წიგნი მოწამეთა. თბ., 1988

ვაჟა შუბითიძე. საქართველოს დიდი მეფეები. თბ., 1994

ლევან სანიკიძე. უქარქაშო ხმლები. წ.1-4.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.I-XI. თბ.

როინ მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990

როინ მეტრეველი. მეფე თამარი, თბ., 1991

ქართლის ცხოვრება. ტ.1-2, თბ. 1955

ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოისა. ქართული მწერლობა. ტ. 8, თბ., 1990

ქართული მწერლობა. ტ. I-XX. თბ.

სოსო სიგუა. მარტვილი და ალამდარი. კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრების გზა. თბ., 2003, II გამოცემა

პავლე ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1955

ს. ჯორბენაძე. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა. თბ., 1984

დავით ლორთქიფანიძე. დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. თბ., 1960

ქეთევან ნუცუბიძე. შალვა ნუცუბიძე. თბ., 1994

ავთანდილ ნიკოლეიშვილი. გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), თბ., 1990

ქეთევან ჯიჯეიშვილი. ქართული დემოკრატიის სათაეებთან (ნ.ნიკოლაძე, ა.ჯორჯაძე), თბ., 2002

შოთა ლომსაძე. მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984

სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში. თბ., 2001

გურამ ასათიანი. თანამდევი სულები, თბ., 1983

მიზეილ კვესელავა. პოეტური ინტეგრალები. თბ., 1977

ვახტანგ ჯავახაძე. უცნობი. თბ., 1991

როსტომ ჩხეიძე. „ბედი პავლე ინგოროყვასი". თბ., 1993

როსტომ ჩხეიძე. ალექსანდრე ორბელიანი, თბ., 1996

გურამ შარაძე. უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი I, თბ., 1991.

ვაჟა შუბითიძე

ვაჟა ავთანდილის ძე შუბითიძე დაიბადა 1959 წლის 28 დეკემბერს ქ.ხაშურში. 1976 წელს დაამთავრა ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა.

1977-82 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1982-1985 წლებში სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიანტი.

ვაჟა შუბითიძე არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1987), ასევე პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი (2004), სრული პროფესორი. ლექციებს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის 14 წიგნი - აქედან 4 მონოგრაფია და დანარჩენი სახელმძღვანელოები). იგი არის პოლიტიკურ იმიჯზე გამოცემული პირველი წიგნის ავტორი საქართველში („რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს", თბ., 2000). მისი ინტერესების სფეროა ისტორია, პოლიტოლოგია, საარჩევნო ტექნოლოგიები, იმიჯი, საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR). პოლიტიკური მარკეტინგი.

ვაჟა შუბითიძე არის ეროვნულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების (პოლიტიკური მართვა და პოლიტიკური ტექნოლოგიები) ხელმძღვანელი.

ვაჟა შუბითიძის ავტორობით გამოცემული წიგნები

1. **საქართველოს დიდი მეფეები**, თბ., (1991, 1994, 2005)
2. **ნოე ჟორდანია - პოლიტოლოგი და სოვეტოლოგი**, თბ., 1998 (მონოგრაფია)
3. **რა შეუძლია პოლიტიკაში კარგ იმიჯს**. თბ., 2000 (მონოგრაფია)
4. **პოლიტოლოგია**. თბ., 2001 (ოთარ ქოჩორაძესთან თანაავტორობით)
5. **პოლიტოლოგია. პოლიტიკური ტექნოლოგიები** (ოთარ დავითაშვილთან თანაავტორობით, თბ., 2002
6. **პოლიტოლოგია. პოლიტიკური და საარჩევნო ტექნოლოგიები**. თბ., 2003 (ი.კვესელავასთან და ვ.ჭანუყვაძესთან თანაავტორობით;
7. **ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებები**. თბ., 2003 (მონოგრაფია)
8. **გოგი თოფაძე - წარმატებული ბიზნესმენი და პოლიტიკოსი**, თბ., 2003 (მონოგრაფია)
9. **საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)**, თბ., 2005 (მ. ბოჭორიძესთან თანაავტორობით)
10. **გამოყენებითი პოლიტოლოგია**, თბ., 2005 (ვ.ფერაძესთან თანაავტორობით)
11. **პოლიტოლოგია**. თბ., 2006
12. **ჩვენი სამშობლოს ისტორია**, თბ., 2007
13. **ქართული ციხესიმაგრეები და ეკლესია მონასტრები**, თბ., 2008 (დ. ბოლქვაძესთან თანაავტორობით)
14. **იმიჯოლოგია** (სახელმძღვანელო), თბ., 2008

სარჩევი

ფარნავაზი ---------- 15
ფარსმან მეორე „ქველი“ ---------- 19
წმინდა ნინო და მირიან მეფე ---------- 23
პეტრე იბერი და იოანე ლაზი ---------- 27
ვახტანგ გორგასალი ---------- 33
დავით და კონსტანტინე მხეიძეები ---------- 39
გრიგოლ ხანძთელი და აშოტ კურაპალატი ---------- 42
დავით კურაპალატი, იოანე მარუშისძე
და ბაგრატ მესამე ---------- 50
არსუკისძე ---------- 58
გიორგი მთაწმინდელი ---------- 61
ეფრემ მცირე ---------- 72
იოანე პეტრიწი ---------- 76
არსენ იყალთოელი ---------- 82
დავით IV აღმაშენებელი და
გიორგი ჭყონდიდელი ---------- 85
გიორგი III ---------- 97
თამარ მეფე ---------- 103
შალვა ახალციხელი ---------- 116
ბექა და ბეშქენ ოპიზარები ---------- 120
გრიგოლ სურამელი და ცოტნე დადიანი ---------- 125
დემეტრე თავდადებული ---------- 128
გიორგი V ბრწყინვალე ---------- 131
ლუარსაბ I ---------- 143
სიმონ I ---------- 151
ბერი თევდორე ---------- 161
ქეთევან წამებული ---------- 163
გიორგი სააკაძე და იოსებ ჯულაშვილი (სტალინი) ---------- 168
ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა
და ელიზბარ ქსნის ერისთავები ---------- 183
ანთიმოზ ივერიელი ---------- 186
სულხან-საბა ორბელიანი ---------- 191

ვახტანგ VI ---------- 197
ვახუშტი ბაგრატიონი ---------- 207
დავით გურამიშვილი ---------- 215
ერეკლე II ---------- 222
სოლომონ I ---------- 240
ალექსანდრე ორბელიანი ---------- 253
სოლომონ დოდაშვილი ---------- 263
დიმიტრი ყიფიანი ---------- 270
ნიკოლოზ ბარათაშვილი ---------- 277
გაბრიელ ეპისკოპოსი ---------- 282
ილია ---------- 287
აკაკი ---------- 299
იაკობ გოგებაშვილი ---------- 307
ნიკო ნიკოლაძე ---------- 317
ალექსანდრე ცაგარელი ---------- 332
ალექსანდრე ყაზბეგი ---------- 336
დავით სარაჯიშვილი ---------- 342
პეტრე მელიქიშვილი ---------- 348
ივანე მაჩაბელი ---------- 352
ვასო აბაშიძე ---------- 357
კირილონ II ---------- 362
მიხეილ თამარაშვილი ---------- 370
ვაჟა-ფშაველა ---------- 378
ფიროსმანი ---------- 387
დავით კლდიაშვილი ---------- 392
ექვთიმე თაყაიშვილი ---------- 397
ზაქარია ფალიაშვილი ---------- 404
არჩილ ჯორჯაძე ---------- 409
კოტე მარჯანიშვილი ---------- 418
შალვა დადიანი ---------- 424
ივანე ჯავახიშვილი ---------- 429
იაკობ ნიკოლაძე ---------- 437
მიხაკო წერეთელი ---------- 441
ვანო სარაჯიშვილი ---------- 448

მიხეილ ჯავახიშვილი ---------- 451
გრიგოლ რობაქიძე ---------- 460
ივანე ბერიტაშვილი ---------- 474
დიმიტრი უზნაძე ---------- 477
ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი ---------- 481
შალვა ნუცუბიძე ---------- 486
ანდრია რაზმაძე ---------- 498
ნიკოლოზ მუსხელიშვილი ---------- 503
კონსტანტინე გამსახურდია ---------- 506
გალაკტიონი ---------- 518
ვიქტორ ნოზაძე ---------- 526
პავლე ინგოროყვა ---------- 532
აკაკი ხორავა ---------- 542
ლადო გუდიაშვილი ---------- 545
ვერიკო ანჯაფარიძე ---------- 550
გიორგი ლეონიძე ---------- 554
წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე ---------- 560
ჯორჯ ბალანჩინი და ვახტანგ ჭაბუკიანი ---------- 566
სერგო ზაქარიაძე ---------- 572
რევაზ ლალიძე ---------- 575
რეზო თაბუკაშვილი ---------- 578
ჭაბუა ამირეჯიბი ---------- 585
ოთარ ჭილაძე ---------- 595
ილია II ---------- 603
ბიძინა ივანიშვილი ---------- 614

ბოლოთქმა ---------- 619
გამოყენებული ლიტერატურა ---------- 622

საგამომცემლო უზრუნველყოფა:
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

დირექტორი:	ზაურ ნაჭყებია
ტექნიკური რედაქტორი:	ლევან ბოჭორიშვილი
ოპერატორები:	სოფო ძილიფთარი
	ნონა ჯღარკავა
კორექტორები:	ძეთევან ფახნაძია
	გვანცა შანავა

მისამართი: თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22
ტელ: (899) 56-14-57; 98-39-30; 98-71-25; 92-25-23.

Email: inovacia@caucasus.net.

ფასი სახელშეკრულებო